ალექსანდრე დაუშვილი

საქართველოს II რესპუბლიკა

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

ისტორიის ეთნოლოგიის რელიგიის შესწავლისა და
პროპაგანდის ცენტრი

ალექსანდრე დაუშვილი

საქართველოს II რესპუბლიკა

თბილისი
2021

მონოგრაფია გამოცემულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის – „საქართველოს II რესპუბლიკა“ (გრანტი № PS-21-168) ფარგლებში.

წინამდებარე მონოგრაფიაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

მონოგრაფიაში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის დოკუმენტური და ფოტომასალა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების ფოტოასლები, ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის არქივის, პროფ. ალ. დაუშვილის პირადი არქივის დოკუმენტები და ფოტოები.

პროექტის ხელმძღვანელი: პროფ. **ალექსანდრე დაუშვილი**
პროექტის კოორდინატორი: ისტორიის დოქტორი **ლელა მიქიაშვილი**
რედაქტორი: ისტორიის დოქტორი **ნათია ჯალაბაძე**
ტექნიკური რედაქტორი: ისტორიის დოქტორი **კობა წენგუაშვილი**
რეცენზენტები: პროფ. **უჩა ბლუაშვილი**
ისტორიის დოქტორი **ნათია მირიანაშვილი**
დიზაინი: **ანა რუაძე**
დაკაბადონება: **ხათუნა ჩაჩუა**

©ალექსანდრე დაუშვილი, 2021

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2021
©ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი, 2021
©გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2021

ISBN 978-9941-498-32-9

წინასიტყვა

100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კომუნისტური მესიანიზმის იდეით შეპყრობილი რუსეთის XI არმია, ქართველი კომუნისტების აქტიური დახმარებით, შემოიჭრა საქართველოში და ძალმომრეობით დაამყარა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ „არც მდიდრები და არც ღარიბები, სადაც ყველა ბედნიერი და წარმატებული იქნებოდა“. პირველ კომუნისტებს ღრმად სწამდათ, რომ სულ რამდენიმე წელიწადში ეს კომუნისტური ბედნიერები, „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ ძალისხმევით, მოეფინებოდა მთელს მსოფლიოს და დამყარდებოდა ერთიანი „პროლეტარული საძმო“, ჩამოყალიბდებოდა მსოფლიო პროლეტარიატის საყოველთაო ურღვევი რესპუბლიკა, რომლის მთავარი მიზანი იქნებოდა კაცობრიობის დიდი ხნის ნანატრი ოცნება – **კომუნიზმი.**

მართალია, მალე გამოვლინდა, რომ მსოფლიო მასშტაბით გამარჯვებას ასე სწრაფად ვერ მოიპოვებდნენ, რომ „მსოფლიო ბურჟუაზია უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე მოელოდნენ“, რომ ევროპა შევიდა „სტაბილიზაციის ხანაში“, ხოლო რუსეთის პროლეტარიატი, თავის მარიონეტულ სახელმწიფოებთან, დარჩა ეულად და 70 წლის მანძილზე კვებავდა თავის საზოგადოებას ლამაზი ზღაპრებით: „მომავალი, ნათელი და ბედნიერი კომუნისტური სამყაროს შესახებ“.

ეს ზღაპრები, ეს ილუზიები მსოფლიოშიც ბევრმა ირწმუნა, ბევრსაც დააჯერეს და ცოტა მოგვიანებით შეიქმნა კიდეც **ერთიანი სოციალისტური სისტემა**, რომელმაც ლამის მსოფლიოს ქვეყნების ნახევარი გააერთიანა – აქ შედიოდნენ სხვადასხვა კულტურის, სხვადასხვა მენტალობის მქონე ერები და სახელმწიფოები. მაგრამ მათში მთავარი და წარმმართველი მაინც იყო მისი პირველსაწყისი – **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი**, რომლის ორგანული და მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ჩვენი ქვეყანაც – **საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა**.

არსებობის 70 წლის მანძილზე ამ სახელმწიფოს მართავდნენ ძლიერი პოლიტიკური მოღვაწეებიც და „სუსტგონება ივანეებიც“, ამ სახელმწიფომ შეასრულა დიდი ისტორიული მისიაც და გარკვეულ პერიოდში – მსოფლიო სტრატეგიული განვითარების შემფერხებელი მიზეზიც გახდა. მას „ბოროტების იმპერიას“ უწოდებდნენ და როგორც დიალექტიკური განვითარების ბუნებრივი შედეგი – გაქრა კიდეც მსოფლიო ასპარეზიდან.

საქართველო, უდავოდ, დაიპყრო, ძალით დაიმორჩილა რუსეთის კომუნისტურმა იმპერიამ, მაგრამ **ქართველი მონა არასოდეს ყოფილა** – არსებობის 70 წლის მანძილზე საქართველომ სოციალურ-ეკონომიკური და განსაკუთრებით კულტურული განვითარების მხრივ ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომ ძალიან ძნელად მეჩვენება თვალსაწიერ მომავალში მისი განმეორება.

თანამედროვე რუსი ექსპერტების გაანგარიშებით XX საუკუნის 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში მატერიალური ცხოვრების დონით პირველ ადგილზე საქართველო და მისი მრავალეროვანი მოსახლეობა იყო. განსაკუთრებით მაღალი ჩანს ქვეყნის სამეცნიერო და კულტურული პო-

ტენციალი. საქართველო ამაყობდა თავისი „მათემატიკური სკოლით“, „ფსიქოლოგიური სკოლით“, „გეოლოგიური სკოლით“, „საისტორიო სკოლით“ და ბევრი თვალსაჩინო სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევით.

კიდევ უფრო განსაცვიფრებელი იყო შედეგები კულტურაში – მუსიკაში, თეატრალურ ხელოვნებაში. მსოფლიო ალაპარაკდა „ქართული კინოს ფენომენზე“, წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია ქართულმა სპორტმა – ლეგენდარული სპორტსმენები, სარეკორდო შედეგები, მსოფლიო აღიარებები... **ეს არ არის გამონაგონი... ეს არის ჭეშმარიტება...**

ამ კომუნისტურმა საზოგადოებამ მსხვერპლიც ბევრი მოითხოვა საქართველოსაგან – უამრავ ბრძოლებში, აჯანყებებსა თუ მსოფლიო შეტაკებებში საქართველომ ასიათასობით თავისი მოქალაქის სიცოცხლე მიიტანა სამსხვერპლოზე, 1937 წლის მასობრივი რეპრესიების დროსაც საქართველოში ყველაზე მეტი რეპრესირებული ქართველია... გამარჯვებებიც იყო და დამარცხებებიც...

დღეს ბევრი უცხოელი ექსპერტი ამტკიცებს, რომ „...სამუდამოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს ის ხელსაყრელი სავაჭრო პირობები, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი სოციალისტური წყობილების დროს“. ამრიგად, არსებობდა რაღაც ფაქტორი ან ფაქტორთა ჯგუფი, რაღაც „ის“ – რაც ქმნიდა განსაკუთრებულ საფუძვლებს, განსაკუთრებულ სტიმულებს საქართველოს როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე კულტურული განვითარებისათვის. როგორც გვიმტკიცებენ, ესენი სამუდამოდ არის დაკარგული...

წიგნის მიზანია დავადგინოთ, რა იყო „ის“, რა გვქონდა ისეთი, რამაც ასეთი შთამბეჭდავი წინსვლა გამოიწვია...

აბა მაშ რა აკლდა, რა არა ჰქონდა ქართველს და ქართველობას?

ეროვნული დამოუკიდებლობა, ეროვნული სუვერენიტეტი!

ქართველი ერის უდიდესი მსხვერპლისა და ბრძოლის შედეგად 1992 წელს საქართველო გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი – მან მოიპოვა ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა... მიზანი მიღწეულია, გამარჯვება – მოპოვებული...

უკვე 30 წელია საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. მან განვლო სახელმწიფო მშენებლობის მეტად რთული გზა, უამრავი წინააღმდეგობა გადალახა და მომავალშიც გადალახავს, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის ნანატრი შედეგი... შეიძლება ამის ბრალი ისიც არის, რომ ჩვენ ძალიან ადვილად დავანგრიეთ ყველაფერი ის, რაც იყო?

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს სიღატაკეში ცხოვრობს, ჩაკვდა კულტურა, მოიშალა მეცნიერება, მოსახლეობის თითქმის მეოთხედი საზღვარგარეთ არის გადახვეწილი – „ბედის საძებნელად“. გაჩნდნენ ქართველი მილიონერები, მილიარდერებიც, რომლებიც გვაოცებენ ქველმოქმედებით... მაგრამ არიან ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებიც სანაგვეში იქექებიან და ღამეს სახლის ნაცვლად ქუჩაში მიუსაფარნი ატარებენ, **გაჩნდნენ მაწანწალა ბავშვები**... საქართველოში მიმდინარეობს **კაპიტალის პირველადი დაგროვების შეუქცევადი პროცესი...**

30 წელია საბჭოთა საქართველოს შესახებ მხოლოდ ნეგატივი ისმის. ესეც სრულიად ბუნებრივია – ახალი ხელისუფლება, რომელსაც

უამრავი საშინაო და საგარეო პრობლემა დაუგროვდა, რომელიც ხშირად ილუზიებში ცხოვრობს და ხალხსაც ილუზიებში ამყოფებს, მუდამ ცდილობს ყურადღება გადაიტანოს წარსულის „საშინელებებზე“ – რატომღაც მუდამ ჰგონიათ, რომ „მათი საშინელებები“ იმათზე ნაკლებია ან სიმწვავით, ან თავისი სოციალური შედეგებით...

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ საქართველოს **საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკის არსებობის 70 წლიანი ისტორია, ობიექტურად, შეულამაზებლად ვაჩვენოთ თუ როგორ, რა საშუალებებით მოახერხა ქართველობამ და საქართველოში მცხოვრებმა არაქართველმა მოსახლეობამ ერთობლივი ძალისხმევით უმაღლესი შედეგების მიღწევა საზოგადოებრივი ყოფიერების ძალიან ბევრ სფეროში. ვინ აფერხებდა და ვინ ახალისებდა ქართველი ერის შინაგანი შემოქმედებითი იმპულსების მაქსიმალურ გამოვლენას – იმ პერიოდში ხომ მართლაც შენდებოდა ახალი ქალაქები, ახალი ფაბრიკები-ქარხნები, „ზღვები“ და კაშხლები, კულტურის სახლები და სასახლეები...

წინამდებარე ნაშრომი, საქართველოს **საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელის (პარტიული ლიდერის) საქმიანობის კომპლექსურად გადმოცემის ერთ-ერთი პირველი ცდაცაა, რადგან **საბჭოთა** ისტორიოგრაფია მუდამ გაურბოდა მათზე საუბარს, საქართველოს უახლეს ისტორიას მუდამ წერდნენ მათ გარეშე, მათი დამსახურებისა თუ ნაკლოვანების წარმოჩენის გარეშე. ჩვენ გვსურს ამ ხარვეზის, შეძლებისამებრ, გამოსწორებაც...

ეს კი მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა და ამის შესრულებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩემმა თანაავტორებმა – საქართველოსა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა, მარქსიზმის იდეოლოგებმა, საქართველოს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მეცნიერებასა თუ კულტურაში აქტიურად ჩაბმულმა ადამიანებმა, რომელთა მოსაზრებები, შეხედულებები, დასკვნები ძალიან ხშირად არის წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ამ ნაშრომში „დოკუმენტები ღაღადებენ“.

ნაშრომზე მუშაობა გამაბედინა არა მარტო იმან, რომ საქართველოს **საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკის 100 წლის იუბილეა და მას ოფიციალურად არავინ აღნიშნავს, ხოლო **საქართველოს ისტორია კი ერთადერთია და ის არის ერთიანი. არავის არა აქვს უფლება ქართველ ერს წაართვას თავისი ისტორია – თუნდაც, ის დრამატული იყოს.** საქართველოს ახალგაზრდა თაობამ უნდა იცოდეს „სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა“ (ილია ჭავჭავაძე), რომ ახალი საქართველოს მშენებლობის დროს აიცილოს ის დრამატიზმი, ის წინააღმდეგობა, რაც ასე ძვირად დაუჯდა ჩვენი მამა-პაპების წინა თაობებს.

საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემებზე ჩემი მუშაობის თითქმის 50-წლიანმა გამოცდილებამ, სხვადასხვა არქივებში, წიგნსაცავებში ხანგრძლივად გატარებულმა საათებმა და წუთებმა დააგროვა უნიკალური დოკუმენტური მასალა, რომელსაც ყოველგვარი კომენტარების გარეშე ვთავაზობ მკითხველს – მან განსაჯოს, დაე, ის იყოს უმაღლესი მსაჯული...

ალექსანდრე დაუშვილი

თავი I. პროლოგი ანუ წანამძღვრები

კონფუცი

ოცნება – „სოციალიზმი“. იდეა თანასწორობაზე ადამიანთა უძველესი და უნეტარესი ოცნება იყო. ის დაიბადა კლასობრივი საზოგადოების წარმოშობისთანავე – როცა გაჩნდნენ მდიდრები და ღარიბები, როცა მცირერიცხოვანმა ჯგუფებმა დაიწყეს ადამიანების უზარმაზარი მასების ლაგამამოუდებელი ექსპლუატაცია, მათი განუკითხავი ჩაგვრა და ამ მიზნით ჩამოაყალიბეს კიდეც სპეციალური ინსტიტუციები, რაც დაგვირგვინდა კლასობრივი სახელმწიფოს ფორმირებით. საუკუნეების მანძილზე ბობოქრობდა დამონებული ადამიანის შეუდრეკელი სული და ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული თავისუფლება და ნანატრი თანასწორობა. მსოფლიოს ყველა ხალხის ფოლკლორმა, დიდი მოაზროვნეების თეორიულმა შემოქმედებამ, შემოინახა ოცნება იმ ბედნიერ და სათნო საზოგადოებაზე, სადაც არ იყო ადამიანის მიერ ადამიანების ექსპლუატაცია, არ იყო განსხვავება მდიდარსა და ღარიბს შორის, იყო საყოველთაო კეთილდღეობა და ადამიანთა შორის სათნოება. ჩინელი, ინდოელი, სპარსელი, ბერძენი, ებრაელი, ქართველი თუ სხვა ხალხების მოაზროვნეები თუ ხალხური სიტყვის დიდოსტატები იხსენებდნენ, იგონებდნენ, აყალიბებდნენ ასეთი საზოგადოების კონტურებს. ჩინელი კონფუცის, ბერძენი პლატონის, რომაელი სენეკას და სხვა მრავალთა ნააზრევში, დღევანდელი მეცნიერი ადვილად ამოიკითხავს საყოველთაო თანასწორობის საზოგადოების ნანატრ კონტურებს.

„ხორციელდებოდა დიადი სამართლიანობის პრინციპები და ზეცის ქვეშ ყველაფერი საერთო იყო. ირჩევდნენ ბრძენთა და ნიჭიერთა, იქცეოდნენ კეთილსინდისიერად და მხარს უჭერდნენ თანხმობასა და მშვიდობას. ადამიანები ნათესაურად ექცეოდნენ არა მარტო თავის ნათესავებს, მამაშვილურად – არა მარტო საკუთარ შვილებს. ამიტომაც ჰქონდათ მოხუცებს თავშესაფარი. მცირეწლოვნებს დიდი ამაგით ზრდიდნენ, უვლიდნენ ყველას – ქვრივ მამაკაცებს და ქალებს, ობლებს, უშვილო მოხუცებს, უძლურებს. პროდუქტების დაყრა ადგილზე არ შეიძლებოდა, მაგრამ არ არსებობდა მათი საკუთარ სახლში შენახვის აუცილებლობაც. ისინი შრომისათვის თავის არიდებას სამარცხვინოდ თვლიდნენ, მაგრამ შრომობდნენ არა საკუთარი თავისათვის. აი, რატომ არ ხორციელდებოდა ბოროტი ზრახვები, არ არსებობდა მოტყუება, არ იყო ქურდობა და ყაჩაღობა, ამიტომ არ კეტავდნენ შემოსასვლელ კარებს. ყოველივე ამას დიდი ერთობა ეწოდებოდა.

კონფუცი

„დადგენილებათა წიგნი“ (ძვ. წ. VI ს.)

უფალმა იესო ქრისტემ I საუკუნეში ახალი გზა უჩვენა კაცობრიობას, რათა მას გადაელახა საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობა და დაემკვიდრებინა „კაცთა შორის მშვიდობა და ქვეყანასა ზედა სათნო-

ება“. ორი ათასი წელი ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანული მოძღვრების პრინციპებით, მაგრამ უფლის მიერ დასახული ამოცანა ბოლომდე მაინც ვერ იქნა გათავისებული, მისი შეგონებების დიდი უმრავლესობა ვერ შესრულდა.

„ერთი გაკლია: წადი. რაც გაქვს, გაჰყიდე, მოდი და გამომყევი. ვინც ლოყაში გაგარტყავს, მეორეც მიუშვირე, ვინც სამოსელს წაგართმევს, მოსასხამსაც ნუ დაუჭერ“.

იესო ქრისტე (მარკოზი, 10, 21)

მიუხედავად უდიდესი მცდელობისა, ვერც ქრისტიანულმა ეკლესიამ მოახერხა საყოველთაო თანასწორობის მიღწევა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის აღმოფხვრა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ვერ მოხერხდა ქონებრივი უთანასწორობის მთავარი მიზეზის – წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია. მატერიალური სიმდიდრის ერთპიროვნულად ფლობა ექსპლოუატატორის უდიდეს და უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა და ამისთვის ის მუდამ იყენებდა მის ხელთ არსებულ ყველა დაშვებულ თუ დაუშვებელ ხერხებს. მაგრამ გამოსავალი მაინც მოინახა...

თომას მორი

უტოპისტები. ქრისტიანულ მოძღვრებაში უხვად დავანებული სოციალიზმის ელემენტები წინ წამოწიეს და მათი საკუთარი ინტერპრეტაცია საზოგადოებას შესთავაზეს კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანებმა, რომლებიც ქრისტიანულ მოძღვრებაში კიდევ უფრო ღრმად იხედებოდნენ, ვიდრე ბევრი კარდინალი თუ ეპისკოპოსი. ინგლისელმა, დღეს წმინდანად შერაცხულმა ტომას მორმა, პირველმა ჩამოაყალიბა მომავალი კომუნისტური საზოგადოების ნათელი კონტურები. თავის ზღაპრულ მოთხრობაში, სადაც მოვლენები სადღაც ძალიან შორს, პატარა კუნძულ უტოპიაზე ხდება, მან საყოველთაო კეთილდღეობისა და ადამიანების ჰარმონიულად ცხოვრების საზოგადოება დააფუძნა. ამ კუნძულზე არ იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რადგან ყველა თავისუფალი და თანასწორია. არ იყო განსხვავება ქონებრივ შემოსავლებში, ყველა მუშაობდა კეთილსინდისიერად, უანგაროდ. ისინი ერთობლივად ზრდიდნენ ახალგაზრდა თაობას, ზრუნავდნენ მოხუცებზე, ქვრივ-ობლებზე, უძლურებზე. ხოლო შრომისაგან თავისუფალ დროს ატარებდნენ ხელოვნებაში, კულტურულ ცხოვრებაში, სპორტულ პაექრობებში.

„მე მეჩვენება, რომ ყველგან, სადაც არის კერძო საკუთრება, სადაც ყველაფერი იზომება ფულით, იქ ძნელი შესაძლებელია როდესმე სახელმწიფოს მართვა წარმოებდეს სამართლიანად და ბედნიერად“.

თომას მორი.
„უტოპია“ (XVI ს.)

თომას მორის შეხედულებები ვრცელდებოდა დასავლეთ ევროპაში. უფრო ხშირად, მსგავსი შეხედულებები ჰქონდათ ქრისტიანულ ტაძარ-მონასტრებში – ბერი თომაზო კამპანელა, აბატი ჟან მელიე, გაბრიელ დე მაბლი თვითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად საკუთარ ოცნებებში აშკარად ხედავდნენ მომავალი კომუნისტური – სოციალურად თავისუფალი და თანასწორი საზოგადოების კონტურებს. უტოპისტებს შორის იყვნენ საერო პირებიც: სეს-სიმონი, რობერტ ოუენი და სხვ.

რეალიზატორები. ოცნებასთან ერთად ადამიანები ცდილობდნენ „საყოველთაო კეთილდღეობის“ ცალკეული ოაზისების შექმნასაც. საყოველთაოდ ცნობილია ევროპული მისიონერების მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში პარაგვაის პამპასებში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის (დაახლოებით 200 ათასი კაცი) სოციალურად თანასწორი, ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებელი საზოგადოების (რედუქციის) ორნგანიზება. ამ საზოგადოებაში კერძო საკუთრება ლიკვიდირებული იყო, ადამიანები უანგაროდ იღვწოდნენ კოლექტიური ინტერესებისათვის. მართალია, მათ ყველას ჰქონდა კერძო მფლობელობაში პატარა მიწები, მაგრამ ისინი უფრო დიდი ენთუზიაზმით შრომობდნენ კოლექტიურ მიწებზე, სარეწებში თუ საწარმოებში.

„ისევე, როგორც მისიის სხვა დანარჩენი მიწები, ეკუთვნის თემს და არც ერთ აქაურ მცხოვრებს არა აქვს სხვა უფლება, გარდა მისი გამოყენებისა. ამიტომაც ისინი ერთმანეთზე არაფერს ყიდიან. ასეთივეა დამოკიდებულება სახლების მიმართ, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ყველა ამგვარ სახლზე ზრუნავს თემი, როცა საჭიროდ ჩათვლის – შეაკეთებს მას, თუ საჭიროა – ხელახლა ააშენებს...

თვითმხილველის დაკვირვებიდან (XVIII ს.)

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავისი სურვილით კომუნისტურ პრინციპებზე შოტლანდიაში მეურნეობა მოაწყო უტოპისტმა რობერტ ოუენმაც. მან თავისი სახსრებით, ბამბის ფაბრიკის მუშებისათვის დააარსა ნიუ-ლენარკის კომუნა, სადაც მუშები ცხოვრობდნენ ღირსეულ სახლებში, მათი შვილები დადიოდნენ უფასო სკოლაში, საბავშვო ბაღში. საქმეში ჩახედულები ამტკიცებენ, რომ მას მხოლოდ კეთილშობილი სურვილები ამოძრავებდა, ხოლო კაპიტალისტური სახელმწიფო ასე ადვილად თავის პრინციპებს, თავის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს ასე მარტივად არ მოშლიდა. ამისათვის საჭირო იყო მუდმივი და შეუნელებელი ბრძოლა.

ბრძოლა. ძალიან მალე გახდა ნათელი, რომ ლამაზი იდეები, კეთილშობილი პროექტები და ბევრისთვის მისაღები კეთილი სურვილები რადიკალურად ვერ ცვლიდნენ საზოგადოებაში არსებულ ვითარებას. როგორც წესი, ისინი რჩებოდნენ მხოლოდ ფილოსოფიურ ტრაქტატებში და ასე, ტრაქტატების ფორმით, ვრცელდებოდნენ გრძნობამოჭარბებულ ინტელიგენციაში, რომლისთვისაც თანასწორობის, თავისუფლების, ძმობის, მეგობრობის იდეა ფუჭი სიტყვები არ იყო. ეს ადამიანები აშკარად ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას. სწორედ ინტელიგენციის გარკვეულ ჯგუფებში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა მოსაზრება შეურიგებელი ბრძო-

ლის გზით ადამიანთა შორის თანასწორობის მიღწევისა. მათი აზრით, სწორედ უკომპრომისო ბრძოლა დათრგუნავს, გაანადგურებს, წალეკავს მქონებლებს და დაამკვიდრებს საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებას. ევროპის ძალიან ბევრი მოაზროვნე, აშკარად ემხრობოდა „ექსპლუატატორთა ექსპროპრიაციის“ იდეას.

გენიალურმა თ. დოსტოევსკიმ ასეთი რევოლუციონერის ჩინებული პორტრეტიც დაგვიხატა ოქტომბრის რევოლუციამდე ჯერ კიდევ ძალიან დიდი ხნით ადრე და მანვე იწინასწარმეტყველა რევოლუციური ბრძოლის, სამოქალაქო დაპირისპირების უარყოფითი შედეგებიც.

„გამიგონეთ, ჩვენ გადავატრიალებთ ქვეყანას, არ გჯერათ? ისე გადავატრიალებთ, ყველაფერი თავდაყირა დადგეს. ჩვენ ჩავკლავთ ამ სურვილს: ქვეყნად გავამეფებთ ლოთობას, ჭორებს, ჯაშუშობას, გაუგონარ გარყვნილებას. ჩანასახშივე მოვახშობთ ყოველ გენიოსს. საყოველთაო მნიშვნელი სრული თანასწორობა იქნება“

თეოდორ დოსტოევსკი. „ეშმაკნი“

რუსეთის ინტელიგენციამ ამ ბრძოლის კონკრეტული შედეგებიც კი წინასწარ დაინახა და გაასაჯაროვა. ამაში იყო მისი დამსახურება.

„კომუნიზმი ჩაიქროლებს მდელვარედ, საშინლად, სისხლით, უსამართლობით, სწრაფად. ჭექა-ქუხილს შორის, ალმოდებული სასახლეების ფონზე, ფაბრიკებისა და წარმომადგენლობითი ადგილების ნანგრევებზე – წარმოჩნდებიან ახალი აღთქმანი, ახალი რწმენის სიმბოლოების მსხვილად მოხაზული კონტურები.

ალექსანდრე გერცენი (Письма из Франции и Италии. XIX в.).

საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ყველაფერი ეს ინტელიგენციის რადიკალურად განწყობილი ჯგუფების სურვილები და ფარული ოცნებები იყო, რომ მათ აშკარად აკლდათ სისტემატიზება. ჯერ კიდევ არ იყო შემჩნეული გარკვეული რევოლუციური კლასი, ჩამოყალიბებული ბრძოლის კონკრეტული ამოცანები, მიზნები, ეტაპები. ყველაფერი ეს კი, პირველად, სწორედ ორმა გერმანელმა მოაზროვნემ ჩამოაყალიბა.



კ. მარქსი

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი ღრმად განათლებული ადამიანები იყვნენ, რომლებმაც დაინახეს, შეაფასეს და წინ წამოსწიეს ევროპის საზოგადოებაში ის კონკრეტული კლასი, რომელსაც ხელეწიფებოდა დაენგრია ძველი, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სახელმწიფო წყობა და აეშენებინა ახალი, უკლასო, კომუნისტური საზოგადოება. ეს იყო პროლეტარიატი – არაფრისმქონე, რომელიც ბურჟუაზიასთან ბრძოლაში დაამსხვრევდა მხოლოდ თავის ბორკილებს და მოუპოვებდა კაცობრიობას სანუკვარ თავისუფლებას. თავის უამრავ თეორიულ ნაშრომებში მარქსი და ენგელსი ამტკიცებდნენ პროლეტარიატის ისტორიულ მისიას, მის უნარს – ბოლომდე მიეყვანა კლასობრივი ომი და პრო-

ლეტარიატის დიქტატურის დახმარებით მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებისათვის მიენიჭებინა ბედნიერი ცხოვრება. მათი აზრით ამ საქმეში სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატის ინტერესი საერთო იყო, მათ მოელოდათ ერთნაირი ბრძოლა, ისინი აუცილელად უნდა გაერთიანეულიყვნენ პროლეტარიატის საერთაშორისო საძმოში. სწორედ მარქსსა და ენგელს ეკუთვნის პროლეტარიატის მთავარი და წარმართველი სლოგანი, რომელმაც საკმაოდ დიდი ხნით დაიმორჩილა მილიონებით ადამიანი:

„პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ამ ლოზუნგის გარშემო, მართლაც, დაირაზმა ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ნაწილი. თანდათან ჩამოყალიბდა ახალი, უკლასო საზოგადოების მშენებლობის გეგმაც, რომელიც დასაწყისში მხოლოდ ოცნებას ჰგავდა, მაგრამ მარქსისტები მის რეალიზაციას უცილობლად აპირებდნენ.

„ერთნაირი იძულებითი შრომა საზოგადოების ყველა წევრთათვის კერძო საკუთრების სრულ გაუქმებამდე. სამრეწველო არმიების შექმნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნობისათვის“, „დამუშავება ყველა მიწისა, რომელიც დაუმუშავებლად არის დატოვებული, და უკვე დამუშავებული მიწების დამუშავების გაუმჯობესება იმის შესაბამისად, თუ როგორ დიდდება კაპიტალები და იზრდება მუშების რიცხვი“, „დიდი სასახლეების აგება ეროვნულ მამულებში საერთო სადგომებად მოქალაქეთა კომუნებისათვის, რომლებიც დაადგებიან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების უპირატესობას“, „მიწათმოქმედების შეერთება მრეწველობასთან, ხელშეწყობა ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების თანდათან მოსპობისათვის, „მიწის საკუთრების ექსპროპრიაცია და მიწის რენტის გამოყენება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად“, „ყამირების გატეხა და მიწების გაუმჯობესების საერთო გეგმის მიხედვით“.

ფრიდრიხ ენგელსი („კომუნიზმის პრინციპები“. XIX ს.)

მარქსი და ენგელსი ყველგან, თავისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ უკლასო კომუნისტური საზოგადოებისათვის პრაქტიკული ბრძოლა უნდა დაიწყოს მხოლოდ თითოეულ ქვეყანაში კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის მაქსიმალური განვითარების, მისი ყველა შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ, როცა უკლასო საზოგადოებისათვის ასაშენებლად მომზადდება ყველა ობიექტური პირობა. ხოლო ეს ისტორიული მოვლენა კი უნდა განხორციელდეს ყველა განვითარებულ ქვეყანაში ერთობლივად...

გ. პლეხანოვი

გიორგი პლეხანოვი ის პირველი რუსი „რაზნოჩინელი“ ინტელიგენტი აღმოჩნდა, რომელიც მოიხიბლა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებით და თავის მეგობრებთან ერთად რუსეთიდან შორს, შვეიცარიაში შექმნა პირველი რუსული მარქსისტული ორგანიზაცია „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“. მათ რუსულად თარგმნეს მარქსისტული თხზულებები, აქტიუ-

რად მონაწილეობდნენ პროლეტარიატის ინტერნაციონალური ორგანიზაციების მუშაობაში, ეწეოდნენ დიდ თეორიულსა და პრაქტიკულ საქმიანობას, ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ დასავლეთ ევროპის პროლეტარული მოძრაობის ლიდერებთან, ადგენდნენ რუსეთის ცარიზმისა და ტირანიის დამხობის კონკრეტულ გეგმებს.

მარქსისტული ორგანიზაციები შეიქმნა რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა მხარეში: პოლონეთის სამეფოში, ბალტიისპირეთში, ამიერკავკასიაში – საქართველოში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში...

ქართული სოციალიზმი. ქართველ ხალხს მდიდარი და ტრაგიკული ისტორია აქვს. ის აღსავსეა პერმანენტული ბრძოლებით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. დიდებულ და ნათელ იდეებს შორის, თანასწორობის იდეასაც მუდამ აფასებდა ქართველი კაცი. უამრავი წესი და ტრადიცია შემოინახა ქართველთა ყოველდღიურმა ყოფამ კოლექტივისტური ურთიერთობის გადმონაშთების სახით. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ კახეთში, საერთო მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობითა და მიწების პერიოდული გადანაწილებით, ასევე, სასოფლო ერთობის იურიდიული სტატუსი საადგილმამულო სფეროში, დიდ გამძლეობას ინარჩუნებდა და არსებობას დიდხანს განაგრძობდა.

თავისუფლების, თანასწორობის იდეა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც არის ასახული: ზღაპრებში, ლეგენდებში, მითებში. საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ზღაპარი ღარიბი ქვრივის შვილის შესახებ, რომელმაც თავისი სიბრძნით, გამჭრიახობით, მიზანსწრაფვით ყველა დაბკოლება გადალახა, უძლიერესი სახელმწიფოს მშვენიერ მეფის ასულზე დაქორწინდა და უძლეველი მეფეც გახდა. კიდევ უფრო პოპულარული იყო ქართულ ფოლკლორში ასახული ცხოვრება ღარიბი გლეხის კაცისა – არსენა მარაბდელისა, რომელმაც, სოციალური უსამართლობითა და გლეხკაცის ტოტალური ჩაგვრით შეწუხებულმა, მდიდრების ექსპროპრიაციის თავისებური ფორმაც გამოძებნა: „მდიდარს ართმევს - ღარიბს აძლევს ღმერთი როგორ გაუწყრესა!“

ი ლ ი ა

მაგრამ ქონებრივი დიფერენციაციის გაძლიერებამ, რაც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ კიდევ უფრო გაამძაფრა, საზოგადოების ინტელექტუალების შეხედულებებზეც უარყოფითად იმოქმედა და მათში ეს რელიეფურადაც აისახა. „გაჭირვება“ და “გასაჭირი“ – აი, კრიტიკული რეალიზმის ძირითადი მოტივი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. წარმოუდგენელმა სოციალურმა გაჭირვებამ საქართველოს პრივილეგირებული ფენების (თავადაზნაურობის) ბევრ წარმომადგენელს უბიძგა გამოეთქვა რადიკალური, სოციალური დიფერენციაციის საწინააღმდეგო შეხედულებებიც კი.

„ჩვენს ეკონომიკურ წყობაში ორგვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა, რომ სოფლის წრეში ყოფილიყო მამულები, მიწა, მინდორი, ტყე – საზოგადო, სასოფლო ხმარებაში ყოფილიყო: მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებული-

ყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორო-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა – მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვრებოდა“

ილია ჭავჭავაძე (XIX ს.)

ევროპის უნივერსიტეტებში სწავლამ, დასავლეთის მოწინავე კულტურული მიღწევის გათავისებამ ბევრ ქართველში გააჩინა ახალი თეორიული აზროვნების, მარქსისტული მსოფლმხედველობის სამშობლოში დანერგვის მოთხოვნილება და მის საფუძველზე ქვეყნის გადახალისების, გარდაქმნის დაუოკებელი სურვილი. მათ შორის იყვნენ ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, ირაკლი წერეთელი და სხვები.

დადასტურებულად ითვლება, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში უკვე არიან მარქსისტული შეხედულების მქონე ახალგაზრდები, რომლებმაც კლასობრივი დაპირისპირება და კლასობრივი ბრძოლა თავისი მოღვაწეობის ქვაკუთხედად გაიხადეს.

„ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორ ახალ, ერთიმეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით – ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით – მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა...“

სილიბისტრო ჯიბლაძე
სიტყვა, წარმოთქმული ე. ნინოშვილის დაკრძალვისას (1994 წ.)

სილ. ჯიბლაძე

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული აზროვნების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა მუშა-რევოლუციონერებმა: მაქსიმ გორკიმ, მიხეილ კალინინმა, ლევ კამენევმა და სხვ. მათ გვერდზე აღიზარდა ქართველი მუშა რევოლუციონერების მებრძოლი თაობა: მიხეილ ჩოდრიშვილი, ვანო და გიორგი სტურუები და მრავალი სხვა.

საყურადღებოა, რომ საქართველოში კომუნისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ ქველმოქმედი, ფილანტროპი ადამიანებიც, რომლებმაც საზღვარგარეთ კომუნალური მოძრაობის პრინციპები შეითვისეს და სურდათ ისინი თავის ქვეყანაში განეხორციელებინათ, დახმარებოდნენ ღარიბებს, შეემსუბუქებინათ მათი ხვედრი. ამ ადამიანებს შორის გამორჩეული მაინც გულგულელი მემამულე ივანე კოლელიშვილია, რომელმაც შეძლო კოლექტივისტური სულისკვეთების გამოღვიძება კახეთში და გულგულაში პირველი კომუნალური ექსპერიმენტი განახორციელა. მან სოფლის უღარიბესი გლეხობის ბაზაზე შექმნა პირველი კომუნა საქართველოში.

„ძმებო და ამხანაგებო! გაჭირვება თქვენი დიდია, მდგომარეობა თქვენი აუტანელი. თქვენთვის არ არსებობს არც თბილი სადგომი, არც კარგი სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი, არც მოსვენება, არც ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. მუდამ დღე მუშაობთ, სისხლის ოფლს ღვრით და თქვენი თავისთვის ვერ მოგიცხიათ რა... აბა, შეხედეთ თქვენს შვილებს, შიმშილ-სიცივისაგან გამოყვითლებულან, დაავადმყოფებულან, დაღვრემილ-დაქრუშულან. სად არის მაგათი საამოდ ბალღურად მომღიმარი სახე, სიცოცხლით სავსე თვალები? სად არის მათი ბალღური სიცელქე?...ცალკ-ცალკე რომ ვიყვნეთ, ჩვენ გაჭირვებას, ჩვენ დაბეჩავებას ვერ მოვუვლით, რადგან ჩვენი გაჭირვება დიდია, და ერთმანეთისაგან განცალკევებულებს ძალა არ შეგვწევს... ძმებო, ჩვენ, ვისაც ქონება გვაქვს, ჩვენი ქონება ჩამოვიდეთ სასოფლოდ, ამხანაგურად დავამუშავოთ უქონლებთან ერთად და ამხანაგურად გავიყოთ ჩვენი ნაწვავ-ნადაგი...“

ვანო კოლელიშვილი
სიტყვა, წარმოთქმული სოფლის გლეხებთან შეკრებაზე (1905 წ.)

ვ. კოლელიშვილი

პირველ კომუნარებს მოთხოვნილება დიდი არა ჰქონდათ. ერთმანეთს ერიდებოდნენ. კარგად იცოდნენ, რომ საერთო დოვლათი ჯერ არ ჰქონდათ შექმნილი და საჭირო იყო ეკონომია. პირველ ხანებში კომუნა ვ. კოლელიშვილის სახსრებით არსებობდა. შრომის ორგანიზაციას კომუნის თავმჯდომარე აწესრიგებდა. შრომა რეგლამენტირებული იყო – მძიმე ფიზიკურ სამუშაოს კაცები ასრულებდნენ, ქალები მსუბუქ სამუშაოზე გამოიყენებოდნენ. კომუნაში მოზრდილებიც საკმაოდ იყვნენ, კომუნაში უსაქმურს ვერ ნახავდით. მიუხედავად გარჯისა, მიუხედავად პირველი წარმატებებისა, საქართველოში პირველი კომუნის დაფუძნების მცდელობა მაინც მარცხით დასრულდა – სოფლის ბურჟუაზიამ, მეფის ადგილობრივ ადმიანისტრაციასთან ერთად, ძალიან მალე უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო კომუნის ეკონომიკური და იურიდიული განადგურება. მაგრამ კომუნალური იდეები რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებშიც ბევრს გაუჩნდა..

რსდმპ. სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ კომუნისტური იდეების არსებობა, ერთიანობის და საერთო სტრატეგიის გარეშე განწირული იყო დასაღუპად. რუსეთის უკიდეგანო იმპერიის სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების მქონე ახალგაზრდებმა 1898 წელს ჩამოაყალიბეს, ხოლო 1903 წელს, რსდმპ-ს II ყრილობაზე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას (რსდმპ) და მარქსისტული იდეების საფუძველზე, ინტერნაციონალისტური მსოფლმხედველობით და კომუნისტური მიზნებით დაამტკიცეს პოლიტიკური პროგრამა და წესდება. ამ ყრილობას საქართველოდანაც ესწრებოდნენ (ა. ზურაბოვი, ა. თოფურიძე, ბ. კნუნიანცი). საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა ეს პატივი დაიმსახურეს სოციალ-დემოკრატიული იდეების პროლეტარიატის რიგებში პროპაგანდით, საპირველმაისო მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობით, მუშათა გაფიცვებით, მეფის „ოხრანკას“ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლებით. მთელ რუსეთის იმპერიაში გახმაურდა ბათუმში 1902 წელს, როტშილდის ქარხანაში

მოწყობილი გრანდიოზული მუშათა გაფიცვისა და მუშათა ბარბაროსული დარბევის ამბავი.

„მალე მოედანი დაცარიელდა. ჯარისკაცებმა თოფები ჯოჯგინებად დადგეს. სოსო ამხანაგებთან ერთად დადის, აკვირდება, საფრთხეს არ ერიდება. მე ამ დროს დავრბოდი, ძმას დავეძებდი, მეგონა – მოკლეს. ზოგი იძახის „მიშველეთო“, ზოგი წყალს თხოულობს. მოკლულები და დაჭრილები გამოიტანეს ჩვენმა ქალებმა: დესპინე შაფათავამ, ნატალია კირთაძემ, გაიანე ჩხეიძემ...“

ვერა ლომჯარია.
ბათუმის დარბევის მონაწილე. (1902 წ.)

ამ გაფიცვას ახალგაზრდა იოსებ ჯუგაშვილი (სტალინი) ხელმძღვანელობდა, რომელმაც ბათუმში პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ჩამოაყალიბა და თანამზრახველთა ძალიან ძლიერი გუნდიც შემოიკრიბა. მალე ის „ოხრანკამ“ მიაგნო და შორეულ ციმბირში გადაასახლა და, თანაც, არაერთხელ.

საქართველოს პროლეტარიატის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ასამაღლებლად უდიდეს მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ნოე ჟორდანია, ალექსანდრე წულუკიძე, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ფილიპე მახარაძე და სხვები. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ძალიან მალე მოიპოვეს დიდი ავტორიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატებს შორის.

„...კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“.

რსდმპ III ყრილობის რეზოლუციიდან (1905 წ.)

ალ. წულუკიძე

ქართველი სოციალ-დემოკრატები ხშირად ესწრებოდნენ პარტიის ყრილობებს, სიტყვით გამოდიოდნენ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, წერდნენ თეორიულ სტატიებსა და ნაშრომებს, არაერთხელ გაუკრიტიკებიათ პლეხანოვიც, მარტოვიც, ტროცკიც და ულიანოვიც (ლენინი). რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღიარებულ თეორეტიკოსებად ითვლებოდნენ: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, იოსებ ჯუგაშვილი და სხვ.

მაგრამ, როგორც ყველა პოლიტიკურ მიმდინარეობაში, რუსეთის სოციალ-დემოკრატებშიც თავიდანვე გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა – „ბოლშევიკები“ და „მენშევიკები“. ეს ზედწოდებები პარტიულმა ჯგუფებმა მიიღეს ხელმძღვანელ ორგანოებში მოპოვებულ თანამდებობებში წარმომადგენელთა რაოდენობის მიხედვით. „ბოლშევიკებად“ – ლენინის პოლიტიკური კურსის მომხრეები ითვლებოდნენ, „მენშევიკები“ – პლეხანოვის პოლიტიკური გუნდის მხარდამჭერები იყვნენ. დასაწყისში მათ შორის უთანხმოება არაძირითად, მეორე ხარისხოვან სა-

კითხებს ეხებოდა. მაგრამ, მოგვიანებით, უთანხმოება უფრო გაღრმავდა. დღეს ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ ამის მიზეზი „ბოლშევიკების“ ახალგაზრდა ლიდერის, ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის (ლენინის), წრეგადასული ამბიციები, პოლიტიკური ნოვაციებისადმი საოცარი მიდრეკილება და ოპონენტების მიმართ უკომპრომისობა უნდა ყოფილიყო, რაც არ მოსწონდა უფრო გაწონასწორებულ გიორგი პლეხანოვს.

ვლადიმერ ლენინი. მარქსიზმში საოცრად განსწავლული, ინტელიგენტის ოჯახიდან გამოსული, სიმბირსკელი ახალგაზრდა რევოლუციონერი, ბავშვობიდან აღივსო რუსეთის ცარისტული ხელისუფლების მიმართ შურისძიებით – იმპერატორზე თავდასხმის ორგანიზაციისათვის მისი უფროსი ძმა, ალექსანდრე ულიანოვი სიკვდილით დასაჯეს. არის გადმოცემა, რომ სწორედ მაშინ უთქვამს ოჯახში ახალგაზრდა კაცს: „ჩვენ სხვა გზით წავალთ!“ და ამ გზის რეალიზებას მთელი თავისი ცხოვრება შეალია.

ვ. ლენინი

რევოლუციური საქმიანობის დაწყებიდანვე, ის ყოველთვის ცდილობდა ყოფილიყო პირველი, განეხორციელებინა საკუთარი თეორიული შეხედულებები, დაპირისპირებოდა ცნობილ ავტორიტეტებს, მუდამ შემოეტანა ახალი ხედვები და ახალი იდეები, გაესაღებინა ისინი მარქსიზმში ნოვაციად, ბოლომდე ემტკიცებინა რევოლუციური ხაზის ერთგულება, კლასობრივ ბრძოლაში უკომპრომისობა.

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, აშკარად, უკვე შეიმჩნეოდა „ოპორტუნიზმი“ – ანუ მარქსისტული რევოლუციური (ძალმომრეობითი) მოძღვრების სულისკვეთებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. ევროპაში საყოველთაოდ აღიარებული პროლეტარიატის ლიდერები (მილიერანი, ბერნშტეინი და სხვ.) ცდილობდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიები, სოციალ-რეფორმისტულ პარტიებად გადაექციათ, აყენებდნენ ბურჟუაზიასთან გარკვეული შეთანხმების ამოცანას, უარყოფდნენ კლასობრივ ბრძოლას, პროლეტარიატის დიქტატურის აუცილელობას და ა.შ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს უთანხმოებანი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ჯერ წვრილმანი საკითხებიდან დაიწყო და იმდენად გაძლიერდა, რომ ვ.ი. ლენინმა სერიოზულად დაიწყო ფიქრი განხეთქილებაზე, თავის მხურვალე მხარდამჭერებთან ერთად ახალი პარტიის შექმნაზე. მის ამ ნაბიჯებს, მისი პოლიტიკური ოპონენტები რსდმპ-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობიდან, ძალიან უარყოფითად აფასებდნენ.

„...და როგორ უაზრო თავსმოხვევას წარმოადგენს ის ულირსი ინტრიგა, რასაც ასე სისტემატურად აჩაღებს ამ საქმის სწორუპოვარი ოსტატი ლენინი, რუსეთის მუშათა მოძრაობაში არსებული ყოველგვარი ჩამორჩენის ეს პროფესიონალი ექსპლოატატორი. არც ერთი ჭკუათმყოფელი ევროპელი სოციალისტი არ დაიჯერებს, რომ შესაძლებელია განხეთქილება იმ მარგარინისეული უთანხმოებების გამო, რასაც ასე ოსტატურად აცხობს ლენინი კრაკოვში...

ლევ ტროცკი
პირადი წერილი კარლო ჩხეიძეს. 1913 წ. (ამონარიდი).

რუსეთში შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობის გამო, სოციალ-დემოკრატების ლიდერების დიდი უმეტესობა, საზღვარგარეთ, ემიგრაციაში მოღვაწეობდა. ევროპის სხვადასხვა ქალაქში უწევდა ცხოვრება ვლადიმერ ულიანოვის ოჯახსაც. მას მატერიალურად ეხმარებოდნენ ევროპაში მცხოვრები სოციალ-დემოკრატებიც, რომელთა შორის, ეს დღეს უკვე დადასტურებულია, რომ იყვნენ გერმანიის იმპერიის სპეცსამსახურების ფასიანი აგენტებიც.

მაგრამ აქ, ევროპაში, ლენინი თავის გულმხურვალე მომხრეებსაც ხვდებოდა. სწორედ ლენინის დავალებით, ვენაში მყოფმა იოსებ ჯუგაშვილმა დაწერა ეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხებზე მემარცხენე სოციალ-დემოკრატების თვალსაზრისით გაჯერებული ნაშრომი „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“. თავიდანვე ამ ნაშრომმა საპროგრამო მნიშვნელობა შეიძინა. ის ძალიან მოეწონა ლენინს.

„ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და წერს დიდ სტატიას... სტატია ძალიან კარგია. საკითხი საბრძოლოა და ჩვენ იოტის ოდენასაც არ დავთმობთ პრინციპულ პოზიციას ბუნდელი არამზადების წინააღმდეგ“

ვ. ი. ლენინი
მ. გორკისადმი მიწერილი წერილიდან (1913 წ.)

ი. ჯუგაშვილი

ამ პერიოდში ვლადიმერ ლენინისა და იოსებ სტალინის ურთიერთობა განსაკუთრებულია. ლენინი არა მარტო იზიარებს ახალგაზრდა ბოლშევიკის რიგ შეხედულებებს, არამედ უკვე თვლის მას მომწიფებულად იმისათვის, რომ უხელმძღვანელოს საერთორუსულ ორგანიზაციასაც. ვლადიმერ ლენინმა უკვე 1912 წელს, პრაღის VI პარტიულ კონფერენციაზე, განახორციელა განხეთქილება და გაემიჯნა პარტიის მემარჯვენე ნაწილს („მენშევიკებს“). პარტიის ხელმძღვანელ ბირთვში მან კოოპტაციის წესით შეიყვანა იოსებ ჯუგაშვილიც (სტალინი). სოსო მაშინ გადასახლებაში იმყოფებოდა.

სწორედ ამ დროს ლენინის დაახლოებულ პირთა შორის გამოჩნდა მეორე ქართველი – გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე, რომელიც ძალიან მალე შეასრულებს მნიშვნელოვან როლს ბოლშევიზმის ისტორიაში.

ვითარება კი მთელს მსოფლიოში, იმჟამად, ძალიან საგანგაშო შეიქმნა – მზადდებოდა I მსოფლიო ომი.

დიდი საკაცობრიო დაპირისპირება. მსოფლიო ომი იმ გადაულახავმა წინააღმდეგობებმა გამოიწვია, რაც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის მომწიფდა და მთლიანად განისაზღვრებოდა ეკონომიკური განვითარების უთანაბრობით, სახელმწი-

ფოთა პოლიტიკური ელიტების ამბიციებით, რევაშისტული და სხვა მერკანტელური სურვილებით. ეს დაპირისპირება თანდათან მწიფდებოდა – მზარდი სურვილები ნედლეულის ახალი წყაროების გადანაწილების, მსოფლიო კოლონიალური სისტემის გადახალისების, „მზის ქვეშ ახალი ტერიტორიული მონაპოვრების გადიდების“ და სხვა „აუცილებელი“ და „გადაუდებელი“ მოსაზრებების საფუძველზე.

დაპირისპირებულ სახელმწიფოთა ორი დაჯგუფება ჩამოყალიბდა: „ანტანტა“ (საფრანგეთი-დიდი ბრიტანეთი და რუსეთი, აშშ მათ მოგვიანებით შეუერთდა) და „სამთა კავშირი“ (გერმანია–ავსტრია-უნგრეთი და იტალია. თურქეთი მათ მოგვიანებით შეუერთდა). ყველა ქვეყანას თავისი კონკრეტული, სხვებისგან განსხვავებული მიზნები ჰქონდა და ამ საბედისწერო ომისათვის სხვადასხვაგვარად მოემზადა. მიუხედავად უდიდესი რესურსებისა, რუსეთის იმპერია ომისათვის ყველაზე ცუდად მომზადებული აღმოჩნდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ II თურქეთის განადგურებაზე, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების დაპყრობაზე მაინც ოცნებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ომში გამარჯვებული ქვეყნები, ყველაფერში, გერმანიის იმპერიას და მის მოკავშირეებს ადანაშაულებენ, ამ ქვეყნების უპასუხისმგებლო მესვეურებმაც თითოეულმა ცალკ-ცალკე და ყველამ ერთად მსოფლიო გასწირეს იმ საშინელებებისათვის, რაც ომის დაწყებისთანავე, წარმოუდგენელი სისწრაფით განვითარდა – გავრცელდა სისასტიკე, ულმობლობა. ქიმიური იარაღი არა მარტო გამოგონეს, არამედ ის ადამიანების წინააღმდეგაც წარმატებით გამოიყენეს. შეიქმნა ადამიანის განადგურების მოდერნიზებული ახალი სახეობები: გაჩნდნენ ტანკები, არტილერიის ახალი სახეები, თვითმფრინავები და აეროპლანები. ყოველდღიურად ფრონტებზე იღუპებოდა მრავალი ათასი ჯარისკაცი – ადამიანის სიცოცხლეს დაეკარგა ფასი. ყველგან გამეფდა ულმობლობა, სისასტიკე, კაცთმოძულეობა.

I მსოფლიო ომი

როცა 1914 წლის ზაფხულში, სარაევოში, ხორვატმა ნაციონალისტმა, გაბრიელ პრინციპმა, ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ფერდინანდი მოკლა და I მსოფლიო ომი დაიწყო, ძალიან ბევრი ქვეყნის სოციალ-დემოკრატი, ბევრისთვის მოულოდნელად, საკუთარი ქვეყნის მთავრობის მიერ წარდგენილი სამხედრო ბიუჯეტის მხარდამჭერი გახდა. სწორედ იმ დღეებში, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ პირველი სერიოზული მარცხი განიცადა პროლეტარიატის საერთაშორისო შეკავშირების პრაქტიკული ამოცანების რეალიზაციის საქმეში. მხოლოდ რუსი „ბოლშევიკები“ მოუწოდებდნენ

პროლეტარიატს „გადაექციათ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად“, მაგრამ მათ, იმჟამად, არავინ უსმენდა – რუსეთში მათი პოლიტიკური ზეგავლენა უმნიშვნელო იყო.

ომმა უკიდურესად დაძაბა ვითარება ევროპის ქვეყნებში: ეკონომიკა მთლიანად სამხედრო დაკვეთებზე გადავიდა, იხარჯებოდა უზარმაზარი მატერიალური და ადამიანური რესურსები, სოციალურმა გაჭირვებამ არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ვითარება გამოუვალი ჩანდა...

„სუსტი რგოლი“. ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ რუსეთის იმპერია ომისათვის ყველაზე ცუდად მოემზადა. პირველი პატრიოტული ეიფორია მალე შეიცვალა აპათიით, ქვეყანა მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა, დაიწყო და გაძლიერდა ინფლაცია. საოცრად დაეცა რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II ავტორიტეტი.

საერთო ვითარებას ქვეყანაში აშკარად ამძაფრებდა რუსეთის წარუმატებლობები I მსოფლიო ომის ფრონტებზე, განსაკუთრებით ბალტიისპირეთში, სადაც ერთმანეთის მიყოლებით დაიკარგა პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. კავკასიის ფრონტებზე ცალკეული, ზოგჯერ მნიშვნელოვანი წარმატებები, საერთო სურათს ვერ ცვლიდა. ცდილობდნენ ვითარების გამოსწორებას მინისტრების ხშირი შეცვლით, პატრიოტული პროპაგანდის გაძლიერებით. 1916 წელს ნიკოლოზ II თბილისშიც კი ჩამოვიდა, რომ ჯარისკაცები გაემხნევებინა და პირადად გასცნობოდა კავკასიის ფრონტზე შექმნილ ვითარებას.

ნიკოლოზ II თბილისში

ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ ომში – რუსეთის მხარეს დაახლოებით 200 000 ჯარისკაცი იბრძოდა, ხოლო რუსეთის ოფიცერთა შორის, დაახლოებით, 7000 საქართველოდან იყო გაწვეული. მათ თავი გამოიჩინეს არა ერთ მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციაში, მათ შორის, ბევრი იყო გენერლის სამხედრო წოდებით დაჯილდოებული, ხელმძღვანელობდნენ დიდ სამხედრო შენაერთებს. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ქართველი თავადაზნაურობის დიდი უმეტესობა პირნათლად იცავდა ერთგულებას რუსეთის მონარქიის მიმართ და სეპარატიზმს იმჟამად გამორიცხავდა. თუმცა იყო ჯგუფი თავადაზნაური პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების, რომლებიც გერმანიასთან მჭიდრო კავშირში ხედავდნენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის რეალურ გზას (მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი, ს. კედია და სხვ.). მათ გარკვეული ნაბიჯებიც გადადგეს ამ მიმართულებით. ეს გზა მეტად სახიფათო იყო, ამიტომაც

პოლიტიკური პარტიების დიდმა უმრავლესობამ მათთან კავშირისაგან თავი შეიკავა...

I მსოფლიო ომის დროს, საქართველოს მოსახლეობა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სერიოზულად შემცირდა წარმოება, შეწყდა ეკონომიკური კავშირები ევროპასთან, დაეცა მარგანეცის ექსპორტი, „მშრალმა კანონმა“ მნიშვნელოვნად შეამცირა ძირითადი აგრარული კულტურის – მეღვინეობის მასშტაბები და წარმოება. მოიშალა ტრანსპორტი, სურსათის მიწოდება, მაღაზიებთან გაჩნდა რიგები.

ასეთმა ვითარებამ, პირველ რიგში, რუსეთის იმპერიის დედაქალაქებში – პეტროგრადსა (ომის დაწყებისთანავე, პატრიოტული მოსაზრებით, დედაქალაქს სახელი გადაარქვეს) და მოსკოვში გამოიწვია მოსახლეობის ფართო ფენეში უკმაყოფილების ზრდა, რაც რევოლუციურ მღელვარებაში ადვილად გადაიზარდა.

„თებერვლის რევოლუცია“. 1917 წლის თებერვლის ბოლოს პეტროგრადში სოციალური ვითარება იმდენად გაუარესდა, რომ დაიწყო სტიქიური, უმართავი პროცესები. მეფის „ოხრანკა“ ვერ უმკლავდებოდა მუშათა გაფიცვებს, დამშეული ადამიანების ბუნტებს, მასობრივ დაუმორჩილებლობას. უკმაყოფილება გავრცელდა ჯარშიც. გამოვლინდა ხელისუფლების სრული კოლაფსი.

„მთავრობა სრულიად უძლურია აღმოფხვრას უწესრიგობა. ქალაქის გარნიზონის იმედი არ უნდა გვქონდეს. გვარდიული პოლკების სარეზერვო ბატალიონები ამბოხებამ მოიცვა. კლავენ ოფიცრებს. ისინი სახალხო მოძრაობისა და განრისხებული ბრბოს რიგებს შეუერთდნენ და მოემართებიან შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო სათათბიროსაკენ. სამოქალაქო ომი დაიწყო და სულ უფრო ღვივდება...

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე
მ. როძიანკო (1917 წ. 27 თებერვალი)
ნიკოლოზ II-ისათვის გაგზავნილი წერილიდან

თებერვლის რევოლუცია

ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა. ტახტზე უარი განაცხადა მისმა ძმამაც – დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ. რუსეთში მონარქია დაემხო. ხელისუფლება რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ გადასცა დროებით მთავრობას. პარალელურად, რუსეთის ქალაქებში იქმნებოდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები – რუსული რევოლუციური აზროვნების „მიგნება“, რომელიც ჩაითვალა პარლამენტზე უფრო დემოკრატიულ, უფრო პროლეტარულ, უფრო სამართლიან და ხალხთა ინტერესების გამოხატვის უფრო ლეგიტიმურ ფორმად.

რუსეთის ყველა პარტიამ მხარი დაუჭირა ახალ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას – დროებით მთავრობას, რომელმაც რუსეთში გამოაცხადა პოლიტიკური ამნისტია, მოსახლეობას მიანიჭა ყველა პოლიტიკური თავისუფლება და უფლებები, ამასთან, მოსახლეობას ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების მოწვევასაც დაპირდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები, როგორც მემარჯვენეები, ისე მემარცხენეები მხარს უჭერდნენ ამ დიდ, სახალხო რევოლუციას, სეპარატისტულ გეგმებს არ ამუშავებდნენ, ბოლომდე რუსეთის რევოლუციის ერთგულებად რჩებოდნენ.

ამასობაში, პეტროგრადში გადასახლებებიდან თანდათან დაბრუნდნენ პოლიტიკური ლიდერები. მათ შორის, ერთ-ერთი პირველი იოსებ სტალინიც იყო, რომელიც სწრაფად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში.

მალე პეტროგრადში, შვეიცარიიდან, გერმანიაზე გავლენით, დაბრუნდა რუსი რევოლუციონერების დიდი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ: ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი) მეუღლითურთ, გრ. ზინოვიევი, მიხა ცხაკაია და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები. ლენინმა, ჩამოსვლისთანავე, წამოაყენა რუსეთში რევოლუციური ცხოვრების განვითარების საკუთარი გეგმა (ე.წ. „აპრილის თეზისები“), რომელიც ბევრად ეწინააღმდეგებოდა ტრადიციული სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისს რევოლუციური განვითარების კარდინალურ საკითხებზე. მაგრამ ლენინი დისკუსიისათვის მზად იყო...

ლენინი ოქტომბერში

ლენინი ოქტომბერში. საზღვარგარეთ, შვეიცარიაში ხანგრძლივმა ყოფნამ, ინტენსიურმა მუშაობამ პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაზე დაკვირვებამ ლენინი მიიყვანა მარქსიზმის რიგი ფუნდამენტური საკითხის გადასინჯვამდე. ევროპაში შექმნილ თავის იმჟამინდელ ნაშრომებში ის უკვე ამტკიცებდა, რა თქმა უნდა, მარქსისაგან განსხვავებით, რომ მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ კაპიტალიზმი უკვე გადაზარდა თავის უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში – იმპერიალიზმში, რომელიც სოციალისტური რევოლუციის წინადღეა. ლენინი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონი დაპირისპირებას წამყვან ქვეყნებს შორის, ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრების გამო, უკიდურესად ამძაფრებს, რისი გამოხატულებაც არის სწორედ მიმდინარე მსოფლიო ომი. ხდება მოსახლეობის უდიდესი მასების გაღატაკება, უმნიშვნელო ნაწილის – ფინანსური ოლიგარქიების არნახული გამდიდრება. იქმნება რევოლუციური სიტუაცია წამყვან ქვეყნებში. ლენინმა წამოაყენა მოსაზრება, რომ კაპიტალიზმი შეიძლება დაემხოს არა ყველა ქვეყანაში ერთად (როგორც ამას მარქსი ამტკიცებდა), არამედ „ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში“, სადაც კაპიტალიზმის ყველაზე „სუსტი რგოლია“.

ლენინის აზრით, ასეთი „სუსტი რგოლი“ რუსეთი იყო.

ამიტომაც რუსეთში დაბრუნებისთანავე მან მოუწოდა პროლეტარიატს ხელში აეღოთ ძალაუფლება – „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რუსეთის საბჭოების უმრავლესობაში ბოლშევიკების წარმომადგენლობა უმნიშვნელო იყო. თვით პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე „მენშევიკი“ კარლო ჩხეიძე გახლდათ. გარკვეულ პერიოდში, ა. კერენსკის მთავრობაში ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ცნობილ ქართველ სოციალ-დემოკრატი ირაკლი წერეთელი იყო. ეს თანამდებობა მან, მთავრობის ანტიდემოკრატიული საქციელის გამო, პროტესტის ნიშნად დატოვა.

ბოლშევიკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს აგიტაცია ფაბრიკებსა და ქარხნებში. ქვეყანაში შექმნილი ვითარებაც ხელს უწყოდა მათ ამაში – ფრონტზე დროებითი მთავრობის მიერ ორგანიზებული არცერთი სამხედრო ოპერაცია არ დამთავრდა წარმატებით, ვერ მოგვარდა ქალაქების სურსათით მომარაგების საკითხი, მაღაზიებთან გაუთავებელი რიგები იდგა, ყოველდღიური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ძალას აცლიდა რუსეთის რიგით შეჭირვებულ მოქალაქეს და რევოლუციისაკენ განაწყობდა. ასეთ ვითარებაში, წარმატებით მუშაობდა ბოლშევიკური ლოზუნგი – „მიწები – გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მუშებს!“ ანუ „დაიტაცე დატაცებული!“.

„ცკ. აღიარებს, რომ როგორც რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობა (აჯანყება გერმანიის ფლოტში, როგორც მთელს ევროპაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდის უკიდურესი გამოვლინება, შემდეგ იმპერიალისტთა შორის ზავის ჩამოგდების საფრთხე რუსეთის რევოლუციის ჩახშობის მიზნით), ისე სამხედრო მდგომარეობაც (რუსეთის ბურჟუაზიისა და კერენსკისა და კამპ. უეჭველი გადაწყვეტილება გერმანიისათვის პიტერის ჩაბარების შესახებ), ასევე, პროლეტარული პარტიის მიერ საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება, – ყოველივე ეს გლეხთა აჯანყებასთან და ჩვენი პარტიისაკენ ხალხის ნდობის შემობრუნებასთან დაკავშირებით (არჩევნები მოსკოვში), ბოლოს, მეორე კორნილოვშჩინის აშკარა მომზადება (პიტერიდან ჯარების გაყვანა, პიტერისაკენ ყაზახების გამოგზავნა, მინსკის გარშემორტყმა ყაზახებით და სხვ.), – ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას“.

ვ. ი. ლენინი (1917 წ. ოქტომბერი)

ამ მწვავე სოციალურმა ვითარებამ გამოიწვია ის, რომ პირველ რიგში პეტროგრადში, და შემდეგ სხვა ქალაქებშიც, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობა ბოლშევიკებმა და მათმა თანამგრძნობებმა („მემარცხენე ესერები“) მოიპოვეს. ამავე პერიოდს უკავშირდება ბოლშევიკების რიგებში ყოფილი „მენშევიკის“, ძლიერ ენერგიული პიროვნების ლ. ტროცკისა და მისი პოლიტიკური დაჯგუფების გაერთიანებაც.

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ლენინმა ჯარისკაცების კეთილგანწყობა კაიზერის ფულით მოახერხა. ფაქტი კი ერთია – 4 ივლისის ანტისამთავრობო პოლიტიკურ დემონსტრაციაში პეტროგრადის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებდა მონაწილეობას. ეს დემონსტრაცია დროებითმა მთავრობამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა და

დაარბია. ლენინი იძულებული გახდა გახიზნულიყო – ის რაზლივში, ტყეში იმალებოდა. სწორედ მაშინ გამოადგა მას ქართველი მეგობრები – იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე. ისინი მისი ერთგული მეკავშირეები გახდნენ.

1917 წელს, აგვისტოში შეიკრიბა ბოლშევიკური, ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიული პარტიის VI ყრილობა, რომელმაც მიიღო კურსი შეიარაღებულ აჯანყებაზე. ყრილობაზე საანგარიშო სიტყვით გამოსულმა იოსებ სტალინმა, გააცამტვერა პარტიაში ლენინის შეხედულებების ჯერ კიდევ არსებული კრიტიკოსები და პარტიას მოუწოდა რევოლუციური გზით გადაეწყვიტა ძალაუფლების საკითხი.

„ჩვენი დროშის ქვეშ ამხანაგებო!

გლეხებო! თქვენმა ბელადებმა ვერ გაამართლეს თქვენი იმედები. ისინი კუდში მისჩანჩალებენ კონტრრევოლუციას. თქვენ კი უმიწოდ რჩებით...

ჯარისკაცებო! რევოლუციის ძალა ხალხისა და ჯარისკაცების კავშირია. მინისტრები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება. მაშ ყოველთვის ხალხთან იყავით და იბრძოლეთ მის რიგებში!

ძირს კონტრრევოლუცია!

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს სოციალიზმსა და ხალხთა ძმობას!“

სტალინის მიერ ოქტომბრის დღეებში დაწერილი მოწოდება (1917 წ.)

სტალინი ოქტომბერში

1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) ღამით, რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცებისა და მეზღვაურების დახმარებით, კრეისერ „ავრორას“ გასროლის შემდეგ, ბოლშევიკებმა შტურმით აიღეს ზამთრის სასახლე, დააპატიმრეს დროებითი მთავრობა და ძალაუფლება გადასცეს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების II ყრილობას, რომელიც პეტროგრადში სწორედ იმ დღეებში მიმდინარეობდა. ყრილობაზე ბოლშევიკებმა და მათმა მხარდამჭერმა მემარცხენე ესერებმა (სოციალ-რევოლუციონერებმა) შეადგინეს ახალი პროლეტარული მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო ვლადიმერ ულიანოვის (ლენინის) მეთაურობით. ამ მთავრობაში ეროვნებათა საქმეთა კომისრის „პორტფელი“ იოსებ ჯუგაშვილმა ჩაიბარა.

მეორე დღესვე საჯაროდ გამოცხადდა ომის დამთავრება (დეკრეტი „ზავის შესახებ“), დაიწყო მოლაპარაკება გერმანიის კოალიციასთან ბრესტ-ლიტოვსკში. ასევე გამოქვეყნდა „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, რომელსაც ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი აწერდნენ ხელს. დეკლარაცია რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს თავისუ-

ფალი არჩევანის გაკეთებას სთავაზობდა, თუმცა იყო დიდი იმედი, რომ ეს ხალხები კვლავ ერთობლივად გააგრძელებდნენ ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დაიწყო რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს დაშლის პროცესი.

საქართველო კვლავ დამოუკიდებელია. „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“ რუსეთის სახელმწიფოს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პარტიების დიდმა უმრავლესობამ სახელმწიფო გადატრიალებად, პოლიტიკურ ძალმომრეობად ჩათვალა და ბოლშევიკურ ხელისუფლებას რადიკალურად გაემიჯნა.

ნ. ჟორდანია

თბილისში დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული „კავკასიის საგანგებო კომისარიატი“ გაუქმდა და შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი, რომელმაც დაამტკიცა ამიერკავკასიის მთავრობა. მასში შედიოდნენ ძირითადად ქართველი „მენშევიკები“, სომეხი ნაციონალისტები – „დაშნაკები“ და აზერბაიჯანელი მუსავატელები. ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს არსებობის შესაძლებლობა ქართველ „მენშევიკებს“, რომლებიც აშკარად ჰეგემონობდნენ იმ პერიოდში სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ სივრცეში, მარქსისტული მოძღვრების – პროლეტარიატის საერთაშორისო შეკავშირების თავისებურ გამოხატულებად მიაჩნდათ და მის დაშლას, მაინცდამაინც, არ აპირებდნენ.

მაგრამ, მოხდა გაუთვალისწინეელი რამ – ბოლშევიკური რუსეთის მიერ ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება სამხრეთ კავკასიის სეიმის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა, რითიც, ფაქტობრივად, დაუპირისპირდა თურქეთს. ამასობაში, კავკასიის ფრონტი მოიშალა, რუსი ჯარისკაცები სამშობლოში გაემგზავრნენ და თურქებს გაეხსნათ გზა ადვილად დაეკავებინათ მათთვის სანუკვარი კავკასია ბაქოს უმდიდრეს საბადოსთან ერთად.

დიპლომატიური შერკინება კავკასიის ახალ ხელმძღვანელებს ძლიერ, შეიარაღებულ და რევანშისთვის განწყობილ თურქებთან არ გამოუვიდათ. ტრაპიზონის კონფერენციიდან სეიმის დელეგაციის ხელმძღვანელი ა. ჩხენკელი სასოწარკვეთილი დეპეშებით ბომბავდა თბილისს, ნოე ჟორდანიას.

„...თუ გერმანიის დელეგაციამ გადამწყვეტი დახმარება არ გაგვიწია, თურქები დაგვჩაგრავენ... იცოდეთ, თურქებთან ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანელები სომხებს გასწირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ. თუ თურქებმა და თათრებმა თავისი გაიტანეს, მაშინ აუცილებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის უფრო მისაღები პირობებით“

აკაკი ჩხენკელი
თბილისში გამოგზავნილი დეპეშა (1918 წ. მაისი)
(ამონარიდი)

ეს წინასწარმეტყველება ახდა – წარმოუდგენლად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს კონფერენციაზე სომეხი და აზერბაიჯანელი დიპლომატები – აშკარად გაიყო მათი პოლიტიკური ინტერესები. სომხებს თურქების არ სჯეროდათ, 1915 წლის საშინელი ხოცვა-ჟლეტის მოგონება მათში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო; აზერბაიჯანელებს კი თურქები თავისი უშიშროების გარანტად მიაჩნდათ. ქართველების ზეგავლენა უკვე ვერ შველოდა სამხრეთ კავკასიელი ხალხების პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნების საქმეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

თურქები სწრაფად მოითხოვდნენ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწების – აჭარის, კოლა-არტაანის, ისტორიული საქართველოსა და სომხეთის მიწების სწრაფად ჩაბარებას. რამდენადაც ამ საკითხებზე კავკასიელთა პასუხი გვიანდებოდა, თურქებმა დაიწყეს აღნიშნული მიწების ძალით დაკავება. მათ არა მარტო კოლა-არტაანი და ბათუმის ოლქი მიიტაცეს, არამედ ხელში ჩაიგდეს ახალციხე, ახალქალაქი. ისინი უკვე ბაქოსკენ მიიწევდნენ.

გერმანიის იმპერიული ხელისუფლების წარმომადგენელთა რჩევით ქართველმა პოლიტიკოსებმა გადადგეს მათთვის ძალიან იძულებითი ნაბიჯი: 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და მიიღეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრიდან მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეურთდა რუსეთს...

...ამიერიდან, საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – დემოკრატიული რესპუბლიკაა; საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“...

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“
(1918 წ. 26 მაისი) (ამონარიდი)

საქართველოს ეროვნული საბჭო, ფაქტობრივად, საქართველოს პარლამენტად გამოცხადდა და დამფუძნებელი კრების არჩევამდე საქართველოს მთავრობაც ჩამოყალიბდა. საქართველოს დამოუკიდებლობა მაშინვე ცნეს გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის იმპერიებმა. მოგვიანებით მათ კიდევ სხებიც შეუერთდებიან. მაგრამ „ანტანტა“, რომელიც კვლავ თვლიდა, რომ ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში დროებითია და მალე მოხერხდებოდა რუსეთში კანონიერი მთავრობის აღდგენა, ეს დიპლომატიური შეთანხმება არ ცნო.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობას მტრულად შეხვდა ბოლშევიკური რუსეთიც და მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეტად მძიმე და გაჭიანურებულ სამოქალაქო ომში იყო ჩაბმული, ის ყველა ზომას იღებდა, რომ არ დაეკარგა ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონზე. ამისთვის კი მას ჰყავდა საკმაოდ ერთგული მოკავშირეებიც: სამხრეთ კავკასიელი ბოლშევიკები, დამოუკიდებელი რესპუბლიკების არსებობის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალებიც – რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი და გამტარებელი ეთნოსები: აფხაზების, ოსების, რუსების რიგი დაჯგუფებები და ა.შ.

ბოლშევიკური რუსეთის ეს გაღიზიანება კარგად ჩანს მოსკოვის ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებშიც.

„აღიარებენ რა ვილჰელმის უპირატესობას, თბილისელი მენშევიკები თამაშობენ დამოუკიდებლობას. ასე ჭირდება გერმანიის დიპლომატიას, რომ დააქუცმაცოს ამიერკავკასია ნაჭრებად. მაგრამ რა არის ეს? – უბრალო ოკუპაცია თუ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა? ოკუპირებულია ბელგია, პოლონეთი, ლიტვა და სხვა ხალხები. იქ არ იგრძნობა „დამოუკიდებლობის თამაში“. ხალხმა იცის, რომ დამპყრობლის ჩექმამ ის მიწას გააკრა, ამიტომაც ემზადება ომისათვის“.

გაზ. „პრავდა“ (1918 წ. 30 ივნისი)
(ამონარიდი)

გერმანიის იმპერია თავიდანვე მხარში დაუდგა სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს, იგეგმებოდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტები. ქართველი პოლიტიკოსების ის ჯგუფი (გ. მაჩაბელი, მ. წერეთელი და სხვ.), რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე თანამშრომლობდა გერმანიის საიმპერიო სტრუქტურებთან, უდიდეს პატივში იყვნენ და რეალური შესაძლებლობებიც ჰქონდათ დაეგეგმათ ქართულ-გერმანული თანამშრომლობის მომავალი კონტურები. მაგრამ მოხდა ისე, რომ გარკვეულ ეტაპზე თბილისის ოფიციალურმა ხელისუფლებამაც თავისი პოლიტიკა გათვალა მიმდინარე ომში გერმანიის გამარჯვებაზე და იმედოვნებდა, რომ ძლიერი და გამარჯვებული ქვეყანა დაეხმარებოდა ომის შედეგების დაძლევასა და შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო.

დამფუძნებელი კრება

ამასობაში, საქართველოში დამყარდა მრავალპარტიული დემოკრატია, მოხდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, შეიქმნა ლეგიტიმური მთავრობა, არსებობდა სიტყვის, კრების, კავშირების თავისუფლება. გარკვეულ ეტაპზე, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს. რეგულარული სამხედრო შენაერთების გვერდით არსებობდა სახალხო გვარდია. მუშის

სოციალური და ეკონომიკური ინტერესები მკაცრად იყო დაცული. ურთუ-ლესი საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, დაიწყო სახელმწიფო დე-მოკრატიული სტრუქტურების მშენებლობა. საქართველოში ყველა პოლი-ტიკურ პარტიას ჰქონდა თავისუფალი საქმიანობის უფლება. მხოლოდ ქართველმა ბოლშევიკებმა გააპროტესტეს სამხრეთ კავკასიის რუსეთისა-გან ჩამოცილება – ჩათვალეს ეს დიდი მსოფლიო პროლეტარული რევო-ლუციის ინტერესების დალატად, ადგილობრივი ნაციონალიზმის გამოვ-ლენად, მარქსიზმის რევიზიად. სამხრეთ კავკასიელი ბოლშევიკები მოს-კოვის უერთგულესი აგენტები იყვნენ და სისტემატურად აწვდიდნენ და-შიფრულ დეპეშებს საკუთარ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების შესახებ.

„სერგო – ეკითხება საქართველოში მდგომარეობის შესახებ.

კოტე – ...თბილისში მძიმე, დუხჭირი განწყობილებაა. მენშევიკები ტანჯა-ვენ ჩვენს ამხანაგებს. მასობრივი დაჭერები არ წყდება. სულ ბოლო დროს გამო-ვიდა ჩვენი გაზეთები და იმწუთასვე დახურეს. მაგრამ რუსი მუშები, ქართველი და სომეხი მუშების ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა. მთებში გლეხე-ბის აჯანყებებია. მაგრამ დღეს მივიღეე კარგი ამბები – ბაქოს რაზმები უახლოვ-დებიან თბილისს. ამიერკავკასია მოუთმენლად ელის ბოლშევიკებს“

კოტე ცინცაძისა და სერგო ორჯონიკიძის სატელეფონო
საუბარი (1920 წ.) (ამონარიდი)

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ბევრი პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი. უმთავრესი კი ის იყო, რომ აშკარად ცდილობდა შეერიგებინა მარქსიზმის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ორთო-დოქსია საქართველოს დამოუკიდელობასა და სუვერენიტეტის აღიარებას-თან. მთელი თავისი მმართველობის ხანაში, მან ვერ მოახერხა „სოციალ-დემოკრატიული ხაფთანის გახდა“, რასაც მისგან ბოლომდე ეროვნულ პლატფორმაზე მყოფი პოლიტიკური პარტიები მოითხოვდნენ (მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატები და სხვ.).

პრობლემებს შორის თავისი სიმწვავით გამოირჩეოდა აგრარული პრობლემა – 1918 წელს საქართველო შეაზანზარა გლეხთა მასობრივმა გამოსვლებმა დუშეთში, სამეგრელოში, საჩხერეში და სხვა კუთხეებში. ამ პრობლემის გადაწყვეტა ბევრ საკითხთან იყო დაკავშირებული და გლეხობა დიდხანს ლოდინს არ აპირებდა.

„...რევოლუციის პირველივე დღეებიდანვე სოფლის მუშა უცდის მიწის სა-კითხის გადაწყვეტას, მაგრამ მიწის საკითხი ისევ ძველ მდგომარეობაშია... ანარ-ქიული აგიტაცია ფეხს იკიდებს, პირველ ყოვლისა უმიწაწყლო და ცოტა მამუ-ლიან გლეხებს მოთმინება ეკარგებათ და რა საკვირველია, თუ შავრაზმული აგიტაციის ანკესზე ადვილად ეგებიან...“

გაზ. „ერთობა“, (1918 წ. 17 თებერვალი)
(ამონარიდი)

პრობლემები იყო ეროვნულ ურთიერთობათა დარგშიც. მართალია, საქართველოს ხელისუფლება ინტერნაციონალისტური იყო თავისი მრწამსით, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს შემადგენლობა-

ში აღარ უცხოვრიათ და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები მაინცდამაინც არც აღელვებდათ, ზოგს ჩრდილოეთით ეჭირა თვალი, ზოგს აღმოსავლეთით, ზოგსაც – დასავლეთით.

აფხაზებისა და ოსების გარკვეული ნაწილი ბოლშევიკებს მიემხრო და არაერთხელ ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებიც მოაწყვეს, რომლის დროსაც ზარალდებოდა, როგორც ქართველი, ისე ოსი და აფხაზი რიგითი მოქალაქე. რამდენადაც დღეს დემოკრატიული საზოგადოების მიერ „ბოლშევიზმი“ ფასდება (მათ შორის რუსეთშიც), როგორც ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა, რომელმაც გაამრუდა რუსეთის ისტორიული განვითარება, ამიტომ იმჟამად მათი და მათი მომხრეების მიერ მოწყობილი ანტისახელმწიფოებრივი აჯანყებები უნდა განხილულ იქნეს როგორც დასჯადი მოვლენა და საუბარი ამ შემთხვევაში აფხაზებისა და ოსების მიმართ ქართველების მხრიდან განხორციელებულ რაღაც მითიურ „გენოციდზე“, არამართლზომიერია. მით უფრო, ამას არ ადასტურებენ დოკუმენტები.

„...ჩვენ შევიკრიბეთ 17 პარტიული რაიონის პროლეტარიატისა და ნახევრადპროლეტარიატის წარმომადგენელი... ჩვენ ორ ფრონტზე ვიბრძვით – ჩრდილოეთით – დენიკინის წინააღმდეგ, სამხრეთით – სოციალ-გამყიდველების წინააღმდეგ... მშრომელი სამხრეთ ოსეთი აღსდგა და დაასამარა თავისი მჩაგვრელი ქართველი სოციალ-შოვინისტები... შემოვიდნენ ოსეთში თავად მაჩაბლის მეთაურობით, ქართველი პურისკევიჩები... აჯანყება ჩააქრეს მოლაპარაკების გზით...“

ოსი კომუნისტების მემორანდუმი 1920 წ. (ამონარიდი)
ГАСПИ РФ, ф. 85, оп. 18. д. 41, с. 1-2.

სერიოზულად გართულდა ურთიერთობა სომხეთის რესპუბლიკასთან, რომელმაც სამარცხვინო ომიც კი წამოიწყო სომხებით დასახლებული საქართველოს ისტორიული მიწების დასაკავებლად. პრობლემები გამოიკვეთა მაჰმადიან ქართველებთან ურთიერთობებშიც აჭარაში, ახალციხეში, რაც ბოლომდე მაინც ვერ დარეგულირდა.

სერიოზულად გაურთულდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ურთიერთობა საერთაშორისო არენაზეც. 1918 წლის ნოემბერში გერმანიაში მოხდა რევოლუცია, რომელმაც დაამხო იმპერატორის ხელისუფლება. გერმანიის სამხედრო ბლოკი დამარცხდა. „ანტანტის“ სახელმწიფოები გამარჯვებას ზეიმობდნენ. მათ მსოფლიო ხელახლა გადაინაწილეს: დაშალეს ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის იმპერიები. შექმნეს ახალი სახელმწიფოები, დაინაწილეს „მანდატები“ ქვეყნების სამმართავად, მიითვალეს ერები და ეთნო-

ინგლისელები ბათუმში

სები. სამხრეთ კავკასიაში ინგლისის საექსპედიციო კორპუსი შემოვიდა და ბათუმი დაიკავა.

რამდენადაც „ანტანტის“ ლიდერები ბოლშევიკურ რევოლუციას ძალმომრეობად და არალეგიტიმურად თვლიდნენ და ნამდვილად მოელოდნენ ახლო მომავალში რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, ამიტომაც ისინი, სამხრეთ კავკასიას რუსეთის კანონიერ სამფლობელოებად განიხილავდნენ. ამაზე აშკარად მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კოლბის განცხადება, – რომელიც „ანტანტის“ ლიდერებს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ეთნოსების „დე იურედ“ აღიარებისაგან თავის შეკავებას ურჩევდა.

ამასთან, ინგლისელებს კარგად ახსოვდათ საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების თბილი, მეგობრული დამოკიდებულება გერმანიის იმპერიასთან; ინგლისელებს არც ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მარქსისტული პოზიციები და ფრაზეოლოგია ხიბლავდათ და მის მიმართ ამ თავის უპატიურ დამოკიდებულებას ძალიან ბევრი ფორმით აშკარად ავლენდნენ.

ბრიტანელებს სერიოზულად აღელვებდათ რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომი და აშკარად უჭერდნენ მხარს ანტიბოლშევიკურ დაჯგუფებებს: დენიკინს, კოლჩაკს, იუდენიჩს, ალექსეევს და სხვებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ სამხრეთ კავკასიის „დე ფაქტო“ სახელმწიფოების ალიანსი დენიკინთან უზრუნველყოფდა მოსკოვის სწრაფად აღებასა და ბოლშევიზმის დასამარებას. ისინი ჯიუტად სთავაზობდნენ ჟორდანიასა და გეგეჭკორს მჭიდრო კავშირს რუს გენერალთან. მაგრამ თბილისი ამ გარიგებაზე არ თანხმდებოდა. ინგლისელების ეს იდეა აზერბაიჯანშიც არ მოეწონათ.

გენერალ-ლეიტენანტი ჩარლზ ჯეიმს ბრიგსი

„ინგლისელები და იტალიელები წავლენ, რუსეთი კი დარჩება. ამიტომაც მასთან უნდა იყოთ კარგ ურთიერთობაში და აი ჩემი რჩევა – დათმეთ თქვენი თავმოყვარეობა, გაუწოდეთ დენიკინს ხელი და უთხარით მას: „ჩვენ ვართ თქვენთან“. ხომ ცნობილია, რომ პატარა სახელმწიფოები ძალიან სუსტები არიან, მათ შორის მტრობა კი არ უნდა იყოს, არამედ ისინი უნდა გაერთიანდნენ...”

გენერალ-ლეიტენანტი ჩარლზ ჯეიმს ბრიგსი (1919 წ. 23 მაისი)
საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრის სტენოგრამა (ამონარიდი)

დენიკინის სამხედრო შენაერთები, პირველი სერიოზული წარმატებების შემდეგ, სასტიკად დამარცხდნენ კომუნისტური რუსეთის შეიარა-

ღებულ ძალებთან. მოსკოვმა განიმტკიცა თავისი პოზიციები, შეძლო სასიკვდილო საფრთხის ნეიტრალიზება და ფრონტებზე მდგომარეობის რადიკალურად თავის სასარგებლოდ შემობრუნება. სულ მალე რუსეთის XI არმია კავკასიის მისადგომებთან გამოჩნდა. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, მოხდა ჩრდილო კავკასიის სრული სოვეტიზაცია. 1920 წლის დასაწყისში კომუნისტური რუსეთის ჯარები უკვე აზერბაიჯანის საზღვრებს მიუახლოვდნენ. სამხრეთ კავკასიის უდიდესი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა მოსკოვისაგან მოითხოვდა გადაუდებელი ზომების მიღებას, რომ ეს ტერიტორიები ხელში არ ჩაეგდო „ანტანტის“ გამარჯვებულ სახელმწიფოებს.

„რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობის და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპისა და აზიის შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი-ბაქო, ბათუმი-თავრიზი, ბათუმი-თავრიზი-არზრუმი)... ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში მიმავალი უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რევოლუცია თუ ანტანტა – ეს არის მთელი საკითხი“

იოსებ სტალინი (1920 წ.)
საგაზეთო ინტერვიუ (ამონარიდი)

ლ. კარახანი

თვით აზერბაიჯანში, შიდაპოლიტიკური გართულების გამო, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ადვილად მოხერხდა მშვიდობიანად საბჭოთა ხელისუფლების რეალიზება – დემოკრატიულმა ხელისუფლებამ სრული უუნარობა გამოიჩინა გაეწია რაიმენაირი წინააღმდეგობა კომუნისტური საფრთხისათვის. მათ საქართველო-აზერბაიჯანის 1919 წლის სამხედრო ხელშეკრულებაც სათანადოდ ვერ აამოქმედეს, რომ მომხდარიყო ერთობლივი ძალისხმევა და რუსეთი ხელმეორედ არ შემოეშვათ სამხრეთ კავკასიაში. ამის შემდეგ სომხეთის გასაბჭოება უკვე დროის საკითხი გახდა – თურქეთის აგრესიისაგან შეწუხებული სომხეთის დემოკრატიული რესპულიკა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა სერიოზულად შეაშფოთა და ძალიან ნაჩქარევად, თავის საზიანოდ, გადააწყვეტინა კომუნისტურ რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმება. აქ მთავარი კი ის იყო, რომ ხელისუფლებამ, რომელმაც არ გაითვალისწინა ომში გამარჯვებული ქვეყნის, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების რჩევა: ხელშეკრულება გაეფორმებინა მათ მიერ აღიარებულ რუსეთის ოფიციალურ სამხედრო წარმომადგენელთან, გენერალ დეენიკინთან, სწრაფად და გაუაზრებლად, ხელშეკრულების ტექსტის თბილისში მოუმზადებლად, მოსკოვში აფრინა ლენინის ძველი ნაცნობი გ. ურატაძე. 1920 წლის 7 მაისს გაფორ-

მდა ხელშეკრულება რუსეთის იმ ხელისუფლებასთან, რომელსაც არც დემოკრატიული მსოფლიო აღიარებდა, და სულ რამდენიმე კვირის წინ არც თვითონ საქართველოს ხელისუფლება არ სცნობდა ლეგიტიმურად. ამ დაუფიქრებლობამ, მოგვიანებით, სერიოზული უარყოფითი შედეგები მოუტანა საქრთველოს, თუმცა იმჟამად თბილისში ხელშეკრულების გამო აჟიოტაჟი დიდი იყო. სინამდვილეში კი ვითარება დრამატულად წარიმართა...

„ჩვენთვის უფრო სასარგებლოა, რომ ინგლისელები ბათუმიდან განიდევნონ ბურჟუაზიული საქართველოს ხელით, ვიდრე ჩვენი ჯარები ჩაებნენ ინგლისთან ომში. საქართველო ჩვენ გვჭირდება როგორც დროებითი ბუფერი. ის რომ საბჭოთა იყოს, ვერ შეასრულებდა იმ მნიშვნელოვან როლს... ნავთობის მიწოდება ისე უნდა მოაწყოთ, რომ ისინი მუდამ ხელში გვყავდეს...“

რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე
ლევ კარახანი (1920 წ.)
ხელშეკრულების დადების შემდეგ ს. ორჯონიკიძისადმი
გაგზავნილი საიდუმლო წერილი (ამონარიდი)

ვითარება სამხრეთ კავკასიაში სულ უფრო რთულდებოდა. ევროპის დაპირებული „დე იურე“ აღიარება აშკარად ჭიანურდებოდა. თურქეთ-სომხეთის დაპირისპირებამ აპოგეას მიაღწია. ვითარება ამ ქვეყანაშიც ისე დაიძაბა, რომ კვლავ სომეხი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის საკითხი დადგა. მათთვის ხსნა კვლავ რუსეთი იყო. ამიტომაც ძალიან ადვილად და სწრაფად მოხდა სომხეთის გასაბჭოება. დემოკრატიული საქართველო მარტო აღმოჩნდა კომუნისტური რუსეთის შესაძლო აგრესიის წინაშე.

ლორეს პროვოკაცია. საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობა სერიოზულად ართულებდა სამხრეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებას – ბაქოს ნავთობის საზღვარგარეთ გასატანად აუცილებელი იყო სატრანზიტო დერეფანი – ბაქო-ბათუმის სრული გაკონტროლება, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპულიკის არსებობის პირობებში შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ საქართველოს გასაბჭოების აუცილებლობა ბოლშევიკური რუსეთის გეოსტრატეგიულმა ინტერესებმა მოითხოვეს და ამ პროცესს უკვე ვერაფერი შეაჩერებდა.

1920 წლის დასასრულს, საქართველოში რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ II სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერებს (კ. კაუცკის, ე. ვანდერველდეს, ე. სნოუდენს და სხვ.), საქართველოში რევოლუციური სიტუაცია მაინც არ იყო შექმნილი, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების შედეგად ვითარება მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა, მიმდინარეობდა რთული, მაგრამ საინტერესო პოლიტიკური ცხოვრება.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცია კი იმჟამად ძალიან სუსტი იყო, ის მხოლოდ 9 ათას კაცს აერთიანებდა და მთლიანად მოსკოვიდან მიღებული სუბსიდიებით არსებობდა. მისი ადგილობრივი ორგანიზაციები ბევრ ადგილზე დეზორგანიზებული იყვნენ.

„ჩვენ არ ვწყვეტთ მცდელობებს აღვადგინოთ დანგრეული ორგანიზაციები...“
მ. ორახელაშვილი (1920 წ. 12 დეკემბერი)

ამის გამო გადაწყდა, „რევოლუციური ნაპერწკალი“ აკიაფებულიყო არაქართველებით დასახლებულ რეგიონში, რომლის მოსახლეობის მართვა მოსკოვისთვის უფრო ადვილი იქნებოდა. შეირჩა ქვემო ქართლის ისტორიული კუთხე ლორე – ძირითადად სომხებით დასახლებული რეგიონი. აქ, ამ ტერიტორიაზე სომხებთან, ქართველებთან ერთად, საკმაოდ ბევრი რუსი მოსახლეც ცხოვრობდა, რომელიც არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუ კი ეს კუთხე კვლავ მის სამშობლოს, რუსეთს შეუერთდებოდა. ეს ტერიტორია საქართველო-სომხეთის 1918-1919 წლის დაპირისპირების შემდეგ, ინგლისელების ზეწოლით, სამ ნაწილად იყო გაყოფილი, შუა – ნეიტრალურ ნაწილს ამჟამად მხოლოდ ქართული მხედრობა აკონტროლებდა. სწორედ ეს გამოიყენეს შეთქმულებმა.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოს გასაბჭოების მიზნით პროვოცირების მოწყობა სომხებით დასახლებულ ტერიტორიაზე სომხეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოვის მითითებით დაგეგმა და ამისათვის პასუხისმგებელი პირიც ი. ლაზიანიც გამოჰყო.

„...ორჯონიკიძისა და ლეგრანის ინიციატივით გადაწყდა ზონაში აჯანყების ორგანიზაცია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეგიდით. ამ ამოცანის განსახორციელებლად სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ლეგრანის მითითებით 1920 წლის 20 დეკემბერს ზონაში აგზავნის კომუნისტების ჯგუფს ასტრატიანის, ალაბიანის, სტეფანიანის, ენგლიანის და სხვების შემადგენლობით. მხოლოდ შემდეგ იგივე ლეგრანის მითითებით, აჯანყების ორგანიზაციისათვის სომხეთის კა ცკ დადგენილებით გაიგზავნა ი. ლაზიანი...“

ი. ლაზიანი (ლორეს აჯანყების ორგნიზატორი)

ГАСПИ РФ. ф.64, оп. 1, д. 139, л. 6.

1921 წლის 8 თებერვალს სომეხმა კომუნისტებმა ლორეს ნეიტრალურ ზონაში მიიღეს ბრძანება დაეწყოთ აჯანყება 11-12 თებერვალს ღამით. აჯანყებულებმა მოახერხეს ქართული დაქსაქსული სამხედრო ფორმირებების შევიწროება, დაეუფლნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს და თბილისისაკენ დაიძრნენ.

კოჯორთან დაღუპული იუნკრები

„11 თებერვალს აჯანყდნენ ბორჩალოს „სომხები“, გარეკეს ჩვენი ჯარი, დაატყვევეს ბევრი... მაშინვე დავიბარე ოდიშელიძე და მოვსთხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ იყო დანაწილებული და შეერთება ვერ მოასწრეს... ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარემ აკ. ჩხენკელმა დეკემბერში... “

ნოე ჟორდანია (ჩემი წარსული)

(ამონარიდი)

თბილისის ომი. ქართველი მხედრები გმირულად იბრძოდნენ, ცდილობდნენ მოულოდნელობითა და ცუდი ხელმძღვანელობით გამოწვეული პირველი მარცხის გარდატეხას. უკან დახევის პერიოდში არა ერთი გმირული ეპიზოდიც შექმნეს და სამშობლოს დამოუკიდებლობას ბევრმა შესწირა თავი. ლეგენდად იქცა თბილისის მახლობლად, კოჯრის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში ქართველი იუნკრების საბრძოლო შემართება.

„...გენერალ ჯიჯიხიას, რომლის მე-7 ბატალიონი წითელ ხიდთან იდგა, იარუმზე იერიშის მიტანა უბრძანეს. ცხენოსანთა რაზმს დაავალეს მგლის ჭიშკარით ლორესკენ გაჭრილიყო. ამ გეგმიდან არაფერი გამოვიდა, სანაინის რაზმმა, რომელმაც თავისი შემადგენლობის ორიმესამედი დაკარგა, ამის გაკეთება ვერ შეძლო...

ომი წაგებულია, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ...

გიორგი კვინიტაძე (მოგონებები) (ამონარიდი)

სხვისი გაფუჭებული საქმე დამსახურებულმა გენერალმა ვეღარ გამოასწორა. მთავრობის გადაწყვეტილებით სამხედროებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თბილისი დატოვეს. სპეციალური განკარგულებით მთავრობამ თბილისიდან გაიტანა სამუზეუმო სიძველეების უდიდესი რაოდენობა, რომ ისინი ბოლშევიკებს ხელში არ ჩავარდნოდათ.



ს. ორჯონიკიძის დეპეშა ლენინს, სტალინს

16 თებერვალს, შულავერში, ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც მოსკოვს დახმარებისთვის მიმართა. დაიწყო რუსეთის XI არმიის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. 1921 წლის 25 თებერვალს ქართველი კომუნისტები და რუსი ჯარისკაცები გამარჯვებულნი შევიდნენ თბილისში. ბაქოში მყოფმა სერგო ორჯონიკიძემ სასწრაფოდ აცნობა მოსკოვს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

„თბილისის თავზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

სერგო ორჯონიკიძე (1921 წ. 25 თებერვალი)

თავი II. სერგო ორჯონიკიძე

ბოლშევიზმი – მესიანისტური იდეოლოგია და პრაქტიკაა. ლენინური მიმართულების სოციალ-დემოკრატია მუდამ მესიანისტური კატეგორიულობით გამოირჩეოდა. მას თავიდანვე თან დაჰყვა აპრიორი ჭეშმარიტებაზე და შეუცდომლობის პრეტენზია. ბოლშევიკებს თავისი თავი მიაჩნდათ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის ინტერესების ერთადერთ, ბოლომდე თანამიმდევრულად გამტარებელ პოლიტიკურ ძალად. ვ.ი.ლენინი სრულიად რეალურად თვლიდა შესაძლებლად, რომ ადამიანების რამდენიმე თაობაში მოხერხდებოდა არა მარტო უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენება, არამედ შესაძლებელი გახდებოდა ახალი, ძველისგან რადიკალურად განსხვავებული, ადამიანის აღზრდა, რომელიც იქნებოდა თავისუფალი ყოველგვარი ბურჟუაზიული გადმონაშთისაგან, მას გაუქრებოდა ყოველგვარი ინდივიდუალური მისწრაფება და მასში ტოტალურად დამკვიდრდებოდა კოლექტივისტური ტენდენციები და სურვილები; ლენინის თვალსაზრისით, ეს ადამიანები უანგაროდ იშრომებდნენ, გმირულად თავს გასწირავდნენ საერთაშორისო რევოლუციურ ბრძოლებში, გამოიჩენდნენ ინიციატივას შრომაში, იქნებოდნენ უანგარონი, დიდსულოვანნი, დიდი შრომითი და საბრძოლო შემართების მატარებელნი. ბოლშევიკების აზრით, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული ადამიანის შრომა მოახდენდა წარმოუდგენელ სასწაულებს: მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა შრომისნაყოფიერება, დაგროვდებოდა ხვავი და ბარაქა, რომელსაც გასცემდნენ „თითოეულისგან უნარის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით!“. ძალიან ბევრ რიგით ბოლშევიკში იყო უდიდესი რწმენა იმისა, რომ ძალმომრეობის გამოყენებით შეძლებდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევას, ძალდატანებით მოახერხებდნენ ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენებას და ძალისხმევით უზრუნველყოფდნენ ადამიანებისათვის „ნათელ და ბედნიერ ცხოვრებას“, სადაც, ბოლოს და ბოლოს, აღარ იქნებოდა მდიდარი და აღარ იქნებოდა ღარიბი. ფილოსოფოსები და ღრმად მოაზროვნე ადამიანები ამტკიცებენ, რომ ლენინურ ბოლშევიზმში თავიდანვე რწმენის ფაქტორი უდიდეს ადგილს იკავებდა და სწორედ ეს განსაზღვრავდა, მნიშვნელოვანწილად, მათ გამარჯვებებსაც.

ს. ორჯონიკიძე

ბოლშევიკების პლაკატი

„...მარქსიზმი კიდევ უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ფიქრობენ... ადამიანის ცხოვრებაში ეკონომიკის ბატონობა მარქსის მოგონილი როდია. მარქსმა ის მხო-

ლოდ შეამჩნია თავის გარშემო, ევროპის კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მაგრამ მან ის განაზოგადა და მისცა მას უნივერსალური ხასიათი... მარქსმა შექმნა ნამდვილი მითი პროლეტარიატზე... მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა. ის არის რწმენა, რელიგია. სწორედ ამას ეფუძნება მისი ძლიერება... ბოლშევიზმი კიდევ უფრო ტრადიციულია, ვიდრე ჰგონიათ, ის მთლიანად თანხვედრაშია რუსეთის განვითარების ისტორიულ პროცესთან. მოხდა მარქსიზმის რუსიფიკაცია...

ნიკოლოზ ბერდიაევი
Истоки и смысл русского коммунизма (ამონარიდი)

ნ. ბერდიაევი

რუს ბოლშევიკებს ეს რწმენა და პოლიტიკური ილუზიები განსაკუთრებლად გაუძლიერდათ გერმანიის რევოლუციის შემდეგ, როცა სოციალისტური რევოლუციების მცდელობის კასკადი განხორციელდა დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყანაში (გერმანიაში, უნგრეთში და ა.შ.), ძალიან სწრაფად შეიქმნა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები. ბევრი მათგანი ყოფილი სოციალისტებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული: მოხდა დასავლეთ ევროპის ერთიანი მუშათა მოძრაობის გათიშვა. ევროპელმა კომუნისტებმაც ჩათვალეს, რომ ლენინის ექსპერიმენტი რუსეთში სწორედ ის სოციალისტური რევოლუციაა, რომელზედაც ოცნებობდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ასეთი ადამიანები დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის თვალსაჩინო ლიდერებს განეკუთვნებოდნენ. მათ შორის იყვნენ: ფრიც მერინგი, კლარა ცეტკინი, როზა ლუქსემბურგი, კარლ ლიბკნეხტი, პალმირო ტოლიატი და მრავალი სხვა. მართალია, დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლუციების სწრაფი ლიკვიდირება მოხერხდა, მაგრამ იდეა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა“, რომელიც დაასამარებდა საერთაშორისო ბურჟუაზიულ საზოგადოებას – კიდევ დიდხანს დარჩა დასავლეთ ევროპაში.

სწორედ საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის სამმართავად შექმნა ვ.ი.ლენინმა 1919 წელს III კომუნისტური ინტერნაციონალი და მოსკოვში მოიწვია ევროპის რადიკალურად განწყობილი პროლეტარული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო აღიარებამ ბოლშევიკები კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია მოახლოებულია და ის აუცილებელი შედეგია პროლეტარიატის პერმანენტული ბრძოლისა, რომელიც, უდავოდ, საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების აშენებით დასრულდება; რომ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები იმდენად ძლიერია, ხოლო მისი ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ იმდენად აუცილებელი და სამართლიანი, რომ ამისათვის სრულიად გამართლებულია „რევოლუციის ექსპორტი“, „რევოლუციური ომები“, პროლეტარიატის შეიარაღებული ჩარევა თავისი კლასობრივი ძმების საშინაო საქმეებში“: მათთვის არ არსებობს საზღვრები

– პროლეტარიატის მსოფლიო ინტერესი რევოლუციურ ომებს აუცილებლობით განაპირობებს.

„...ინტერნაციონალიზმი საქმით ერთია და მხოლოდ ერთი: თავდადებული მუშაობა საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის და რევოლუციური ბრძოლის გასაძლიერებლად, მხარდაჭერა (პროპაგანდით, თანაგრძნობით, მატერიალურად) ასეთივე ბრძოლისა, ასეთივე ხაზისა და მარტოდმარტო მისი, ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ“...

ვ. ი.ლენინი

III ინტენაციონალი

აქედან გამომდინარე რუსი ბოლშევიკებისათვის არავითარი შემკავებელი ბარიერი უკვე აღარ არსებობდა: ბურჟუაზიული საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმები, საზღვრები, ეროვნული სუვერენიტეტი, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა – მათთვის იყო ფუჭი სიტყვები, რომელთაც ადვილად უმკლავდებოდნენ „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მოთხოვნებით“, „მუშათა საერთაშორისო ინტერესებით“, „მსოფლიო რევოლუციის ამოცანებით“ და ა.შ. სწორედ ამ პრინციპებით და უკვე აპრობირებული მეთოდებით, კომუნისტურმა რუსეთმა 1918-1920 წლებში საბჭოთა ხელისუფლება დაამკვიდრა: ბალტიისპირეთში, ამავე პრინციპებით და მეთოდებით სცადა საბჭოთა ხელისუფლების რეალიზება პოლონეთში, თუმცა უშედეგოდ; იგივე პრინციპებით და მეთოდებით მოქმედებდა ის სამხრეთ კავკასიაშიც (აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში). ბოლშევიკების ეს თეორიული პრინციპები, პრაქტიკული მოქმედების დაწერილი თუ დაუწერელი კანონები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბოლშევიზმზე მსჯელობის დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიული პროცესების გაგება ძლიერ გაჭირდება.

ოკუპაციის პირველი დღეები. ბოლშევიკური რუსეთის XI არმიის მიერ ოკუპირებულ თბილისში სერგო ორჯონიკიძე მოგვიანებით ჩამოვიდა ბაქოდან. შულავერში შექმნილი საქართველოს რევკომი კი თბილისში უკვე მთლიანად აკონტროლებდა ვითარებას, წითელი არმიის ავანგარდული რაზმები ბათუმში გახიზნულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს დაედევნენ.

სერგო ორჯონიკიძემ თბილისში გადმოიყვანა რკპ (ბ) ცეკას კავბიურო სრული შემადგენლობით – თბილისი კვლავ გახდა ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი. საქართველოს გასაბჭოებით სერგო ორჯონიკიძემ ბრწყინვალედ შეასრულა ის ისტორიული ამოცანა, რაც მას ვ. ი. ლენინმა დაუსახა 1920 წელს, როცა ქმნიდა კავკასიის სრული „სოვეტიზაციის“

მიზნით სპეციალურ პარტიულ ქვედანაყოფს თვალსაჩინო კავკასიელი ბოლშევიკების შემადგენლობით – სწორედ მათ უმოკლეს დროში უნდა განეხორციელებინათ პარტიის მიზანდასახულობა და აღმოსავლეთით კომუნისტური რევოლუციის მასშტაბები რაც შეიძლება გაეფართოებინათ.

სერგო ორჯონიკიძეს იმჟამად კომუნისტური პარტიის მეორე ეშელონის ხელმძღვანელებს შორის უკვე გამორჩეული ადგილი ეკავა. კავკასიის წარმატებულმა „გასაბჭოებამ“ მას პარტიაში გავლენა და მდგომარეობა კიდევ უფრო განუმტკიცა. ის იყო მიზანსწრაფი, ენერგიული, დაუნდობელი და კომუნისტური თვალსაზრისით – ღრმად იდეური. ის ან ძალიან უყვარდათ, ან საოცრად ეჯავრებოდათ. საქართველოში მუდამ იყო ეჭვი მის მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ, ამიტომაც ქართველ ინტელიგენციაში მას დიდ პატივს არ სცემდნენ. რა თქმა უნდა, ის არ მოსწონდათ და საქართველოს ოკუპაციის ინიციატორად თვლიდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს არსებული პოლიტიკური პარტიების ლიდერებიც, თუმცა ძალმოსილება სერგო ორჯონიკიძეს კავკასიაში შეუდარებლად დიდი ჰქონდა.

„...წითელი არმიის რევოლუციური საბჭოს ეს წევრი ფაქტიურად, ძველი რუსი მეფის ნაცვლების ანალოგიაა, მაგრამ წარმოუდგენლად მეტი უფლებებით, რომელიც არის ხელისუფალი ყველა ხელისუფალთა შორის...“

დამფუძნებელი კრების დეპუტატი, პოლიტპატიმარი ანდრო ჭიაბრიშვილი (1923 წ.)

საპატიმროდან ლ. ტროცკისადმი გაგზავნილი წერილი (ამონარიდი)

თბილისში დამკვიდრებისთანავე სერგო ორჯონიკიძე დაუკავშირდა თავის პარტიულ ხელმძღვანელობას მოსკოვში და მიიღო სპეციალური დირექტივები. საქმე იმაში იყო, რომ საქართველოში, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, პოლიტიკური და სოციალური ვითარება განსხვავებული იყო. თავისუფლების ორი წელი, საზოგადოების ძირითად ნაწილზე ტკბილ მოგონებად გადაიქცა და ისინი ვერ ურიგდებოდნენ ბოლშევიკურ ოკუპაციას. ყოველდღიურად, თბილისის სხვადასხვა უბანში, იმართებოდა საპროტესტო მიტინგები, ვრცელდებოდა პროკლამაციები.

ლენინმა, თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს კავკასიაში საყურადღებო რჩევები მისცა და მოუწოდა ქართველი ინტელიგენციის მიმართ განსაკუთრებული პოლიტიკა შეემუშავებინათ, წასულიყვნენ გარკვეულ დათმობებზეც, უზრუნველეყოთ ისინი ეკონომიკურად, წაეხალისებინათ მათი შემოქმედება.

„ვ.ი. ლენინი – საჭიროა განსაკუთრებით შედავათიანი პოლიტიკა ქართველი ინტელიგენციის მიმართ...

ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა – ინტელიგენციასთან ურთიერთობა და კონტაქტი მიმდინარეობს ... ქართველ და საზოგადოდ ადგილობრივ ინტელიგენციას ჩვენ ვეჭცევით ნდობით, ჩვენ ვცდილობთ ჩავაყენოთ ინტელიგენცია შრომისათვის საუკეთესო პირობებში და მივცეთ სრული თავისუფლება განავითარონ საღი ნაციონალური კულტურა სამშობლო ენის ნიადაგზე... “

ს. ორჯონიკიძის, მ. ორახელაშვილის, შ. ელიავას სატელეფონო საუბარი ვ.ი.ლენინთან (1921 წ. მარტი) (ამონარიდი)

სერგო ორჯონიკიძესთან შეთანხმებით საქართველოს რევკომმა დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპულიკის მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო. უხუცესი ქართველი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე დაინიშნა მთავრობის თავმჯდომარედ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გახდა მ. ორახელაშვილი, განათლების სახალხო კომისარი – ა. სვანიძე (ი. სტალინის ცოლისძმა), შინაგან საქმეთა საკითხებს კურირებდა ბ. კვირკველია, სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი იყო შ. ელიავა. არსებობდა სულ 15 სახალხო კომისარიატი. სპეციალური დადგენილებით შეიქმნა საქართველოს საგანგებო კომისია („ჩეკა“) – კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან, ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ მებრძოლი ძლიერი ორგანიზაცია. მასში ქართველებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ რუსები, ებრაელები, სომხები.

ფ. მახარაძე

საბჭოთა საქართველოს „დამოუკიდებლობის“ საკითხისათვის. საქართველოს ძალმომრეობით გასაბჭოების შემდეგ ქართველ კომუნისტებს ოფიციალურად, რაიმე დადგენილების ან ზეპირი გადაწყვეტილების საფუძველზე „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, რომელიც მიიღეს 1918 წლის 26 მაისს, არ გაუუქმებიათ. პირიქით, ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე, თავის გამოსვლებში, პარტიულ ფორუმებზე საბჭოთა საქართველოს კომუნისტი ლიდერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქართველომ სწორედ ეხლა მიაღწია „ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას“, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდება ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის – პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის სანუკვარი ოცნებები და მიზნები.

საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური შინაარსი თავიდანვე აღელვებდათ საბჭოთა საქართველოს მესვეურებს. ამაზე მიგვანიშნებს სწორედ სერგო ორჯონიკიძის განცხადებებიც სხვადასხვა შეხვედრის დროს. ეს საკითხი განიხილეს რკპ (ბ) ცეკას კავბიუროს სხდომაზეც.

„...1. რა აზრს ვდებთ ამიერკავკასიის რესპულიკების დამოუკიდებლობაში?; 2. შეიძლება თუ არა გავიგოთ დამოუკიდებლობა ბურჟუაზიული გაგებით?; 3. შეიძლება თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკები იყვნენ დამოუკიდებელნი რსფსრ-საგან?; 4. შეიძლება თუ არა ამიერკავკასიის რესპუბლიკები იყვნენ დამოუკიდებელნი ერთმანეთისაგან? ...

დაადგინეს: ცნობილ იქნას ამიერკავკასიის რესპუბლიკების (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის) დამოუკიდებლობის აუცილებლად გატარება, მხოლოდ იმ პარტიული ურთიერთობების საფუძველზე, რომელიც უკვე არსებობს ამ რესპუბლიკის პარტიულ ეროვნულ კომპარტიათა შორის...

რკპ (ბ) ცეკას კავბიუროს 1921 წლის 2-3 ივლისის
სხდომის ოქმი (ამონარიდი)
(ГАСПИ РФ, ф. 64, оп. 1, д. 1., л.88.)

ოქმი არ აფიქსირებს, თუ რა პასუხები გაეცა სერგო ორჯონიკიძის მიერ დასმულ ზემოთ მოტანილ რიტორიკულ შეკითხვებს, თუმცა რუსეთის კომპარტიაში უკვე იყო საკმაოდ კარგად დამუშავებული გასაბჭოებულ ე.წ. „დამოუკიდებელ“ ქვეყნებთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება. ეს კი მთლიანად ეფუძნებოდა მარქსიზმის ფუნდამენტურ მოთხოვნას პროლეტარიატის ინტერესების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენების შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, ეროვნულ პრობლემებს, ეროვნულ საკითხებს გამარჯვებული პროლეტარიატი ადვილად გადაწყვეტდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე – ეს იყო კომუნისტური პარტიის მთავარი პრინციპი და ის პარტიულ დოკუმენტებშიც აისახა.

როგორც ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, თავიდანვე რუსეთის კომუნისტურ პარტიაში პარტიული სუბორდინაცია და პარტიული ინტერესი ძირითადი და წამყვანი იყო მუდამ. რესპუბლიკების მმართველი პოლიტიკური ძალა – ამ შემთხვევაში, საქართველოს კომუნისტური პარტია რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სრულ დაქვემდებარებაშია; მისი დადგენილებები, ცირკულარები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისათვის აუცილებლად სავალდებულო შესასრულებელი იყო.

ცნობილია: საქართველოს გასაბჭოებამდე რუსეთის ფედერაციამ, ისარგებლა რა 1918 წლის ნოემბრის რევოლუციით გერმანიაში, საბჭოთა ხელისუფლება აღადგინა ბალტიისპირეთის ქვეყნებში: ლიეტუაში, ესტონეთში, ლატვიაში, უკრაინასა და ბელორუსიაში. ყველა ამ ქვეყნებთან მოსკოვმა სასწრაფოდ გააფორმა კონვენცია, დადო ხელშეკრულებების უამრავი რაოდენობა, რომლის ძალით ეს „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები, პარტიული სუბორდინაციის გამო, ფაქტობრივად მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი რკპ (ბ) ცეკას ხელმძღვანელების გუნება-განწყობილებაზე. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ „დამოუკიდებლობა“ რუსეთის კომუნისტ-ლიდერებს ესმოდათ პროლეტარული გაგებით, მოსკოვის კრემლის ხელმძღვანელების პრინციპებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით.

„...რუსეთის კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელ დაწესებულებათა ყველა გადაწყვეტილება უსათუოდ სავალდებულოა პარტიის ყველა ნაწილისათვის, მიუხედავად მათი ნაციონალური შემადგენლობისა. უკრაინელი, ლიტველი, ლატვიელი კომუნისტების ცენტრალური კომიტეტები სარგებლობენ პარტიის საოლქო კომიტეტის უფლებებით და სავსებით ემორჩილებიან რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს“

რკპ (ბ) VIII ყრილობა (1919 წ. მარტი)
პარტიის წესდება (ამონარიდი)

სწორედ ასეთი „დამოუკიდებლობა“ იგულისხმებოდა რუსეთის კომუნისტური პარტიის მიერ დეკლარირებული „დამოუკიდებლობის“ დროს.

ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს კომუნისტური რუსეთის მთავარი თავისებურებაც – კომუნისტურმა პარტიამ თავიდავე უზურპაცია გაუკეთა ხელისუფლებას და მას ერთპიროვნულად მართავდა, „საბჭოთა დემოკრატიის“, „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ ლენინური პრინციპების საფუძველზე. ეს ყველაფერი სათანადოდ იყო ასახული პარტიულ დოკუმენტებში და მას ლეგიტიმური ხასიათი ჰქონდა. სახელმწიფო სტრუქტურები (საბჭოები, აღმასკომები, პროფკავშირები თუ კომკავშირული ორგანიზაციები) თავიდან ბოლომდე, მთლიანად ემორჩილებოდნენ რკპ (ბ) ცეკას პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ცხოვრებაში მათ მიზანდასახულობებს ატარებდნენ. სწორედ ასეთი „დამოუკიდებლობა“ მიიღო საბჭოთა საქართველომაც.

გ. ლორთქიფანიძე

მოლაპარაკება „მენშევიკებთან“. ლენინთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, გარკვეულ პერიოდში, გადაწყდა საქართველოს ყოფილ მმართველ პარტიასთან მოლაპარაკება. ლენინმა ქართველ კომუნისტებს ნ. ჟორდანიასთან დაკავშირება და მასთან კომპრომისიც კი ურჩია. ქუთაისში დაიწყო და წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენელთან გრ. ლორთქიფანიძესთან. პრობლემა შექმნა იმან, რომ პოლიტიკური კრიზისის ვითარებაში, ნ. ჟორდანიამ შეცდომით, ნება დართო თურქეთის ხელისუფლებას ტაოარდაგანის რაიონში დროებითი კონტროლის განხორციელება. მაგრამ რუსეთის აგრესიით ისარგებლეს თურქებმა და მთელი ბათუმის ოლქი დაიკავეს და მის დათმობას აღარ აპირებდნენ.

სწორედ იმ დღეებში მოსკოვში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკება, რაზეც მოსკოვის ლიდერები დიდ იმედებს ამყარებდნენ – მათ თურქები მიაჩნდათ „ანტანტის“ წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან ძალად და მის დაკარგვას არ აპირებდნენ. ამიტომ მოსკოვს არ სურდა XI არმია რაიმე ფორმით დაპირისპირებოდა თურქების შეიარაღებულ ძალებს. ამიტომაც მოხდა გარიგება – ქართველი კომუნისტები „კარტ ბლანშს“ აძლევდნენ დემოკრატიული საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ბოლომდე გაენადგურებინათ აჭარაში შემოჭრილი თურქი დამპყრობელი და გაენთავისუფლებინათ აჭარა. ხოლო შემდეგ, ნ. ჟორდანია და მისი პოლიტიკური გუნდი ემიგრაციაში წავიდოდა, ამაში მათ ხელს არ შეუშლიდნენ. ხოლო განთავისუფლებულ აჭარას საბჭოთა ჯარები დაიკავებდნენ.

„შეთანხმება საომარი მოქმედების ლიკვიდაციისა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რწმუნებული გრიგოლ ლორთქიფანიძე და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის რწმუნებული მამია ორახელაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს 1921 წლის მარტის 17 და 18 ქ. ქუთაისში და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომად-

გენლის აბელ ენუქიძის თავმჯდომარეობით და ამავე რესპუბლიკის წარმომადგენლის ალექსანდრე სვანიძის მონაწილეობით შეთანხმდენენ:

1.მოხდეს დაუყოვნებელი ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა.

2.დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდნენ ბათომის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისაგან.

3. რევკომის განკარგულებაში მყოფი საბჭოთა ჯარის ნაწილები პირველყოვლისა ბათომზე გავლით იჭერენ ამ ოლქის სამხრეთ საზღვრებს.

4. არა უგვიანეს ვიდრე 25 მარტისა თანრთვით ქ. ბათუმსა, მის რაიონსა და რკინის გზის ლიანდაგზე საჯავახოდან ვიდრე ქ. ბათომამდე და საერთოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკავია დემოკრატიულ მთავრობას, რჩება ამ უკანასკნელის ადმინისტრაცია და ხელისუფლება.

5.რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარები შედიან ბათომის ოლქში, როგორც მეგობრულად განწყობილი ძალა დემოკრატიული მთავრობისა და მისი მხედრობისადმი.

6. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭირო და მიზანშეწონილი იქნება დემოკრატიული მხედრობისა და რევკომის ჯარების გაერთიანებული მოქმედება ბათუმის ოლქის გარეშე მტრისაგან დასაცავად, გამორკვეული იქნება ორთავე სარდლობის შეთანხმებით...“

სუიცსა, ფ. 281, აღ. 1, ს. 3 ფურც. 8.

და ეს მართლაც ასე მოხდა. ქართველმა მებრძოლებმა წარმატებით გაართვეს თავი სამხედრო ამოცანას და ბათუმის ოლქი გაათავისუფლეს თურქი ასკერებისაგან. ბათუმისათვის ბრძოლა ბევრით არის საინტერესო. ბათუმის განთავისუფლებაში აქტიურად მონაწილეობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც. სწორედ აქ, ბრძოლის ველზე ის შემთხვევით შეხვდა დიმიტრი ჟლობას – თავის ვახტმისტრს I მსოფლიო ომის დროს. ეს შეხვედრა ძალიან ემოციური აღმოჩნდა. საქმე იმაში იყო, რომ დიმიტრი ჟლობა იმჟამად რუსეთის საოკუპაციო მე-18 ცხენოსანი დივიზიის მეთაური იყო, მისი სამხედრო შენაერთები აფხაზეთის გავლით ჩამოვიდნენ ბათუმში სამხედრო ოპერაციის განსახორციელებლად.

„...თურმე ქაქუცა ბათუმში ყოფნის დროს თვით დ. ჟლობას შეხვედრია, რომელიც მას კარგად იცნობდა ტვერის პოლკიდან. ჟლობა ამ პოლკში ქაქუცას ასეულში ვახტმისტრი ყოფილა. მას ისე გახარებია ქაქუცას ნახვა, რომ ძველი ჩვეულებისამებრ შეუძახია: „ოხ, ვაშე სიატელსტვო!“. როცა ცხენოსანი დივიზია და ცხენოსანი ათასეული შეაერთეს, ჟლობამ ქაქუცას შესთავაზა ჩვენი ცხენოსანი ჯარის უფროსობა, მაგრამ იმან არ იკისრა. სამაგიეროდ, მისი მითითებით, ფრიდონ წულუკიძე დაინიშნა სარდლად, ხოლო ქაქუცა – მის მოადგილედ“.

შეფიცული ალექსანდრე სულხანიშვილი
ჩემი მოგონებანი, სან-ფრანცისკო, 1981 წ.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობა თითქმის მთელი შემადგენლობით, ოჯახებითურთ და მომხრეთა გარკვეული ნაწილი ბათუმიდან ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო იქიდან გემით – საფრანგეთში, ხანგრძლივ ემიგრაციაში გაემგზავრა. წასვლისას მათ თან გაიყოლეს სა-

ქართველოს მუზეუმებსა და სასახლეებში თავმოყრილი უნიკალური ეროვნული სიმდიდრე, რათა ბოლშევიკებს ის მოსკოვში არ გაეტანათ. ამ განძეულს თან გაჰყვა ემიგრაციაში განძეულის მთავარი მცველი – პროფ. ექვთიმე თაყაიშვილი.

ქ. ჩოლოყაშვილი

წასვლამდე ნ. ჟორდანიამ და სხვა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა საიდუმლოდ ურჩიეს ქართველ სამხედრო ოფიცრებს და გენერლებს, მიეღოთ საბჭოთა მთავრობის შეთავაზება სამხედრო სამსახურზე და შიგნიდან აეფეთქებინათ საბჭოთა სამხედრო სტრუქტურები. ამ მოწოდების თანახმად, ძალიან ბევრი სამხედრო ოფიცერი შევიდა საქართველოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში. მათ შორის: ა. ანდრონიკაშვილი, რ. მუსხელიშვილი, ქ. ჩოლოყაშვილი და სხვ. საქართველოში დაახლოებით 7 000 მეფის ოფიცერი ცხოვრობდა და საჭირო იყო მათზე კონტროლი – საბჭოთა ჯარებში მსახურება მათ ავალდებულებდა ყოფილიყვნენ რეჟიმისადმი ლოიალურნი (სამხედრო ფიცი). დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1923 წელსაც კი საქართველოს წითელ ჯარში 11% თავადაზნაურობისა და სასულიერო წოდების წარმომადგენელი იყო.

სტალინი თბილისში. საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლებას სერიოზულად გაუჭირდა უკვე პირველ თვეებში. გარდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეების ანტისაბჭოთა გამოსვლებისა, დემონსტრაციებისა და მიტინგებისა, რთული პრობლემები შეიქმნა ეკონომიკაში – ფული სისტემატურად უფასურდებოდა, გაჩნდა სურსათ-სანოვაგის სერიოზული დეფიციტი, უკმაყოფილება შეიმჩნეოდა მუშებშიც კი.

„საშუალო ფენების დამოკიდებულება რევოლუციისადმი გულგრილი და მიუღებელია – განუსაზღვრელია. ცდილობენ არ იცხოვრონ პოლიტიკით, მათთვის მთავარია ბევრი ფულის შოვნა, სულ ერთია რა გზით, რა საშუალებით. მსხვილი ბურჟუაზია მენშევიკურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად, კონტრრევოლუციურად არის განწყობილი. თუმცა გარეგნულად თავი ისე უჭირავს – „ტიშე ვადი. ნიჟე ტრავი“... თბილისში იფურჩქნება სპეკულაცია, გლეხები ფულზე სურსათს აღარ ყიდიან – მოითხოვენ მანუფაქტურას, ნავთს, ასანთს, ფასები საქონელზე იზრდება საათობრივად...“

საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩკ“-ს) ინფორმაცია (1921 წ.)
(ამონარიდი)

რთულ სოციალურ ვითარებას დაემატა გარკვეული სერიოზული გართულებები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული პრეტენზიების გამო – როგორც ჩანს, იდეოლოგიური განსხვავების გარდა, კომუნისტებს მაინც გადმოჰყვათ წინა ხელისუფლების დროს გაჩენილი პრობლემები. გარკვეული სირთულეები შეექმნა თვითონ სერგო ორჯონიკიძესაც – მას სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა საქართველოს პარტიული ელიტის ზოგიერთ წარმომადგენელთან – როგორც ჩანს, თბილისში „ორ მეფეს“ ვერ იტანდნენ. სწორედ ამ, და სხვა პრობლემების

გადასაწყვეტად, ლენინთან შეუთანხმებლად, სერგო ორჯონიკიძემ თბილისში მოიწვია ი. ბ. სტალინი, რომელიც შვებულებაში იყო და ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ სანატორიუმში ისვენებდა.

2 ივლისს ი. სტალინი დაესწრო რკპ (ბ) ცეკას კავბიუროს პლენუმს. მასზე მოიწვიეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელები. განიხილეს საჭირბოროტო საკითხები, იყო ტერიტორიული პრობლემებიც: სომეხი კომუნისტები სომხებით დასახლებულ მთელ სამხრეთ საქართველოს მოითხოვდნენ, ისინი აზერბაიჯანელებს – მთიან ყარაბაღს ედავებოდნენ. გადაწყდა – სომხეთ-საქართველოს შორის ტერიტორიული პრეტენზია განეხილა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს. კავბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რუსეთის ფედერაციასთან აუცილებლად გაეფორმებინათ სამოკავშირო ხელშეკრულება.

„...დადასტურდეს აუცილებლობა ამიერკავკასიის რესპულიკების (საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარება...

... აღნიშნული რესპუბლიკების აუცილებლად გადაუდებელი სამხედრო და სამეურნეო მხარდაჭერიდან გამომდინარე, რომლებსაც უკავიათ საერთო ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩაითვალოს აუცილებლად სამხედრო, სავაჭრო და სამეურნეო-ფინანსური კონვენციის დადება ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და რუსეთს შორის ნებაყოფლობის საფუძველზე“...

რკპ (ბ) ცკ კავბიუროს 1921 წლის 2 ივლისის დადგენილება: „ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და რსფსრს ურთიერთობის შესახებ“ (ამონარიდი)

ბ. მდივანი და მისი ოჯახი

1921 წლის 7, 8 და 14 ივლისს ი. სტალინი დაესწრო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომებსაც, გაერკვა ბევრ საკითხში და დარწმუნდა, რომ საქართველოს რევკომის ხელმძღვანელი ფ. მახარაძე თავს ვერ ართმევდა დაკისრებულ მოვალეობას, რომ საქართველოს კომპარტიაში შეიმჩნეოდა სერიოზული კრიზისის ნიშნები. მან ურჩია ქართველ კომუნისტებს შეეცვალათ რევკომის ხელმძღვანელი უფრო ენერგიული პიროვნებით – მისი აზრით, ასეთი იყო ბუდუ მდივანი, მისი ახალგაზრდობის მეგობარი ბაქოში მიმდინარე რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდიდან; ასევე ურჩია, გაეძლიერებინათ მენშევიკების ფარული ანტისაბჭოთა საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა და რეპრესიები. ამავე დროს, პირადად ი. სტალინს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა „ბათუმის საკითხის“ მოწესრიგება. თავის მხრივ ი. სტალინმა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობას მოსთხოვა დადგენილებაში აუცილებლად დაეფიქსირებინათ „ქართული ენის სახელწიფო სტატუსი“ და გაეტარებინათ მისი რეალიზების ღონისძიებები.

„7. წესად დადგინდეს უმკაცრესი დაცვა ქართული ენის ინტერესებისა გამოუკლებლივ ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც ემსახურებიან ქართველ მოსახლეობას. “

საქართველოს კპ (ბ) ცკ 1921 წ 8 ივლისის
დადგენილება (ამონარიდი)

ეროვნული საკითხი. პრობლემებს შორის, რომელიც მართლაც აზანზარებდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, ეროვნული საკითხიც ჩანს. საქართველო XX საუკუნის დასაწყისში უკვე ძალიან მრავალეროვანი ქვეყანა იყო. ეთნიკური ანკლავები სერიოზულად აფერხებდნენ ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს. გარკვეულ სერიოზულ პრობლემებს, როგორც უკვე აღინიშნა, ეროვნული საკითხი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებასაც უქმნიდა და მათ გარკვეული გამოსავალიც მოძებნეს. მათ მიერ შემუშავებულ კონსტიტუციაში აფხაზეთს და სამუსლიმანო საქართველოს (მაჰმადიან ქართველებს) ავტონომიას პირდებოდნენ, თუმცა ამ ავტონომიის დეტალიზაცია არ არის კონსტიტუციაში მოცემული.

ბოლშევიკებმა რუსეთში ეროვნული საკითხი სტალინის მიერ შემუშავებული პროგრამით განახორციელეს – საოლქო ავტონომიის პრინციპით რუსეთის ფედერაცია აერთიანებდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში თითქმის ყველა ერს. მათ შორის, მთელი შუა აზია, თურქესტანის ავტონომიის სახით, იყო რუსეთის შემადგენლობაში; ავტონომიის სტატუსით იყვნენ გაერთიანებულნი ვოლგის თათრები, ჩუვაშები, უდმურტები და სხვა, საკმაოდ დიდი ერები. რა თქმა უნდა, რუსული შაბლონი ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის დროს საქართველოშიც უნდა გადმონერგილიყო.

აქ კი გარკვეული პრობლემები იყო აფხაზეთში, აჭარაში, ცხინვალის რეგიონში, სომხებითა და მაჰმადიანი ქართველებით დასახლებულ სამხრეთის ტერიტორიებზე.

სწორედ სტალინის თბილისში ყოფნის დროს ბათუმიდან ჩამოსული იყო აჭარისტანის მეჯლისის დელეგაცია, რომელსაც მეჯლისის თავმჯდომარე ჰასან ლორთქიფანიძე ხელმძვანელობდა. მათ საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინეს თბილისთან პოლიტიკური ურთიერთობის საკუთარი ხედვა და ითხოვდნენ მის დამტკიცებას.

„...კულტურის დარგში თითქმის დამოუკიდებელი ვიქნებით... ენის შესახებ ჩვენ არაფერი გვითქვამს, საქმეებს ვაწარმოებთ ქართულადაც, რუსულადაც, თათრულადაც... საქართველოსგან ჩვენ იმას მოვითხოვთ რაც გვწამს და რისთვისაც ვმუშაობთ... სარწმუნოების საკითხი ჩვენი ხალხისთვის მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხია. ჯერჯერობით არ შეიძლება ლაპარაკი სარწმუნოების სკოლიდან განთავისუფლებაზე...“

ჰასან ლორთქიფანიძე
ამონარიდი საგაზეთო ინტერვიუდან
“სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 10 ივლისი.

აჭარისტანის მეჯლისის მემორანდუმი სერიოზულად გააკრიტიკა ქართველმა ინტელიგენციამ: ვახტანგ კოტეტიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვებმა საპროტესტო წერილები გამოაქვეყნეს და ჩათვალეს, რომ აღნიშნული მემორანდუმის რეალიზება კიდევ უფრო დააქუცმაცებდა საქართველოს. სწორედ ამ პროტესტმა აიძულა საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება ეთხოვა ი. ბ. სტალინისათვის აჭარის დელეგაციასთან შეხვედრა.

მ. აბაშიძე

დოკუმენტურად არ დასტურდება ამ შეხვედრის შესახებ, თუმცა, როცა 1921 წლის 27 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის №54 დეკრეტი აჭარის სოციალისტური საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების პრიმატი მასში მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, დიდი ქართველი მამულიშვილის მემედ აბაშიძის ღვაწლი აჭარის საქართველოსთან ორგანულად დაკავშირების საქმეში. მაგრამ, რადგან ის საქართველოს წინა ხელისუფლებასთან – ქართველ მენშევიკებთან თანამშრომლობდა, უკვე ამ ეტაპზე ქართველმა კომუნისტებმა აჭარაში ორიენტაცია აიღეს თახსიმ ხიმშიაშვილზე და მის პოლიტიკურ დაჯგუფებაზე.

აფხაზეთში ვითარება არანაკლებ რთული ჩანდა. უკვე გასაბჭოების პირველ დღეებში, აფხაზი კომუნისტების ზოგიერთი წარმომადგენელი ემხრობოდა რსფსრ-ს შემადგენლობაში შესვლას, ზოგიერთს ჯერ კიდევ ახსოვდა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან და იქ ჩამოყალიბებულ დროებით სახელმწიფო წარმონაქმნებთან აფხაზების ლიდერების ერთი ჯგუფის თანამშრომლობაც. მაგრამ საბოლოოდ აფხაზეთის კუთვნილების საკითხი, როგორც ამტკიცებდნენ, აფხაზი ხალხის ნებით მაინც საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა.

„ყრილობა მიესალმება უმჭიდროვეს კავშირსა და ძმურ ურთიერთობას ყველა საბჭოთა სოციალისტურ რესპულიკასთან, ხოლო პირველ რიგში კულტურით, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობით და ყოფაცხოვრებით ყველაზე ახლო მდგომ საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან“

აფხაზეთის მშრომელთა I ყრილობის დადგენილება
(სოხუმი, 1921 წ. 28 მაისი) (ამონარიდი)

ყრილობამ განიხილა საკითხი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ და დაადასტურა აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. თუმცა, აფხაზეთის იმუდამინდელი ლიდერები (ნ. ლაკობა, ე. ეშბა) ყველა გამოსვლაში ხაზს უსვამდნენ ამ „დამოუკიდებლობის“ ფორმალობას, რომ ეს იყო მხოლოდ გარკვეული „ფირნიში“, რომლის მთავარი მიზანი იყო მენშევიკური საქართველოს პერიოდში ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში გაჩენილი ბზარის საბოლოო აღმოფხვრა. 1921 წლის ნოემბერში, საქართველოსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რითიც დადასტურდა აფხაზეთის ორგანული

ჩართულობა საქართველოს სახელმწიფოს ერთიან სხეულში. ეს გადაწყვეტილება უზრუნველყო, აგრეთვე, რკპ (ბ) ცკ კავბიუროს იმ გადაწყვეტილებამაც, რომლის ძალით აფხაზეთის კომუნისტური ორგანიზაცია სტრუქტურულად მთლიანად დაექვემდებარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

„...განიხილეს: საქართველოს კომპარტიასთან აფხაზეთის ორგბიუროს ურთიერთობის შესახებ.

დაადგინეს:

1. აფხაზეთის ორგბიურო ორგანიზაციულად მთლიანად შეერწყმის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ინარჩუნებს სახელწოდებას „რკპ“;

2. ამხ. ეშბა შედის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში სრულუფლებიან წევრად...

რკპ (ბ) ცკ კავბიუროს 1921 წ. 21 ნოემბრის
დადგენილება (ამონარიდი)

ნ. ლაკობა

ამრიგად, ფაქტობრივად, აფხაზეთის სსრ თავიდანვე ავტონომიური უფლების მატარებელი იყო და მისი „დამოუკიდებლობა“ ნ. ლაკობას აღიარებით იყო მხოლოდ „ფირნიში“ და სხვა არაფერი.

დიდი გულმოწყალება გამოიჩინა საქართველოს კომუნისტურმა მთავრობამ ცხინვალის ოლქში მოსახლე ოსების მიმართ. დემოკრატიული საქართველოს დროს მოწყობილი არა ერთი აჯანყებისა და ქართველი მოსახლეობის ავაზაკური ძარცვა-რბევის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში გადარეკილი ოსების დიდი ნაწილი უკან დააბრუნეს, მათ მიიღეს დაკარგული ქონების თითქმის სრული კომპენსაცია, ხოლო 1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს ინტელიგენციისა და ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ცენტრით ქართულ ქალაქ ცხინვალში.

ცოტა მოგვიანებით, საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ ცხინვალის რეგიონის ოსი მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად ისინი გადმოასახლა ტირიფონის ნაყოფიერ ველზე, დაეხმარა ახალმოსახლეებს პრობლემების გადაწყვეტაში.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ოსი კომუნისტების გარკვეულ ჯგუფს მაინც დარჩა უკმაყოფილების გრძნობა სამხრეთ ოსეთის სტატუსის გამო – ისინი ითხოვდნენ რესპუბლიკას. ეს მაშინ, როცა მათ ისტორიულ სამშობლოში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ოსეთს თავისი სახელმწიფოებრიობა იმჟამად საერთოდ არ ჰქონდა.

ეროვნულ-ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტის დროს ქართველი კომუნისტები ბევრ კომპრომისზე წავიდნენ, აზერბაიჯანს დაუთმეს ზაქათალას ოლქი, სომხეთს – ისტორიული ლორე ალავერდის უმდიდრესი საბადოებით, თურქეთს – კოლა-არტაანი და ისტორიული ტაო-კლარ-

ჯეთი. თურქებთან ურთიერთობის საბოლოოდ დასარეგულირებლად გადაწყდა მათთან დიპლომატიური შეხვედრა.

ყარსის ხელშეკრულება. მოსკოვი იმჟამად თურქეთს ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ავანგარდად თვლიდა და გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდა, რომ ქემალ ათათურქი თავის ფორვატერში მოექცია. ამ მიზნით მას არ აკლებდნენ არც შეიარაღებას, არც ფინანსურ დახმარებებს, მეფის დროინდელი ყველა ხელშეკრულება და თურქეთის მიერ აღებული ყველა ძველი ვალდებულება ძალადაკარგულად გამოაცხადეს. რუსეთმა თურქეთთან გააფორმა 1921 წლის 16 მარტის საოცრად სასარგებლო ხელშეკრულება, რომელშიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული საკითხებიც იყო განხილული და გადაწყვეტილი. მაგრამ საჭირო იყო ეს გადაწყვეტილებები დაედასტურებინათ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსაც. ამისთვის თადარიგი დროულად დაიჭირეს.

„... მოლაპარაკების დროს მკაცრად იქნეს დაცული მოსკოვის ხელშეკრულების მუხლები. ანტანტანსთან ბრძოლის მიზნით დავიცვათ კავკასიის რესპუბლიკების სოლიდარობა ანგორასთან...

ნუ ვუარყოფთ კავკასიის რესპუბლიკების უფრო მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობას ანგორასთან, სპარსეთთან და ავღანეთთან, თუ კი ამ საკითხს დააყენებს ანგორას დელეგაცია. მოლაპარაკების დროს დადგეს საკითხი საძოვრებისა და მინდვრების გამოყენების, და ასევე, ჭოროხის რაიონში ჭოროხის სპილენძის საბადოებზე კონცესიების შესახებ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ კავკასიის რესპუბლიკების ერთმანეთისაგან იზოლირებული გამოსვლები, ყველა საკითხის გარშემო უნდა იყოს ერთსულოვნება...“

რკპ (ბ) ცკ კავბიუროს 1921 წლის 3 სექტემბრის
დადგენილება (ამონარიდი)
ГАСПИ РФ, ф. 64, оп. 1. д. 1, с. 152.

ქ. ათათურქი

მოლაპარაკების დროს რომ არ მომხდარიყო გაუთვალისწინებული შემთხვევა, მას ესწრებოდა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელიც. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დიპლომატებმა, მოსკოვის 16 მარტის ხელშეკრულეის საფუძველზე, ხელი მოაწერეს ყარსის ხელშეკრულებას, რომელმაც თითქმის საუკუნის მანძილზე განსაზღვრა ამ ქვეყნებს შორის სახელმწიფო საზღვრების ურღვეობა.

მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების მიმართ თანამედროვე ქართულ, სომხურ, თურქულ ისტორიოგრაფიაში არის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, თუმცა არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებამ თურქეთის პრეტენზიებს გარკვეული აზრით მაინც „ლაგამი ამოუდო“. რა თქმა უნდა, ისტორიული ქართული და სომხური ტერიტორიების თურქეთისათვის უკან დაბრუნება ძალიან დიდი დანაკარგი იყო სამხრეთ კავკასიის ორივე ხალხისათვის, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოს აჭარაც დაკარგული ჰქონდა და ისიც მხოლოდ რუსეთ–თურქეთის 1877-1878 წლების წარმატებული ომის შედეგად შეიერთა რუსეთის იმპერიამ (რეალურად კი საქართვე-

ლომ) – რა თქმა უნდა, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულების ძალით აჭარისა და ქალაქ ბათუმის საქართველოს შემადგენლობაში დატოვება და მასზე პოლიტიკური სუვერენიტეტის გავრცელება ანუ თურქეთის მხრიდან ამ ფაქტის აღიარება – მაინც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ხელშეკრულებით საზღვარი თურქეთსა და საქართველოს შორის საბოლოოდ ასე განისაზღვრა – შავი ზღვისპირა სოფელი სარფი, შემდეგ მთა ყარა-შარვარი, საზღვარი გადაჭრის მდინარე ჭოროხს ჩრდილოეთით სოფელ „ვ“-ს. შემდეგ მარადიდი, საზღვარი გადადის სოფელ საბურის მთაზე, შემდეგ ხედის მთა, მთა ქვა-კიბე, სოფელი ქავთარეთიდან ხაზგამყოფია მეძიბნა-გორა გრეატ კესმუნი, შემდეგ საზღვარი გაუყვება წყალგამყოფ ხაზს მთა კორდას და ა.შ. და ა.შ.

ტერიტორიული დათმობის კონპენსაციად თურქეთმა ბათუმსა და მის ოლქში თავისთვის სპეციალური პრივილეგიები დაიკანონა – უბაჟო ვაჭრობა, თავისუფალი მიმოსვლა, ადგილობრივი მოსახლეობისათვის აუცილებლად ავტონომიური უფლებების მინიჭება, რელიგიური შეხედულებების თავისუფალი აღიარება, შარიათის კანონების მოქმედებისათვის ხელის შეწყობა და სხვ. ანუ თურქეთი შეეცადა თავისი ზეგავლენა აღნიშნულ რეგიონზე რამენაირად მაინც შეენარჩუნებინა; თუმცა, როგორც აღინიშნა მოგვიანებით, კრემლის მიერ თურქეთის ხელისუფლების მიმართ გაჩენილი გულცივობისა და გაძლიერებული ეჭვების პირობებში – ეს შეღავათები ფაქტობრივად აღარ სრულდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველომ თურქეთის სასარგებლოდ დაკარგა 12 115 კვ.კ. 164 000 მოსახლეობით, აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყდა ზაქათალას ოლქის საკითხიც – დაიკარგა 3993.89 კვ. კმ. 92 608 მოსახლე და ლორეს ნეიტრალური მხარე მთელი თავისი მოსახლეობით. კომუნისტებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ საზღვრების საკითხი – დროებითი, მეორეხარისხოვანი საკითხი იყო, რადგან სულ მალე განხორციელებული „მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია“ საერთოდ დაანგრევდა ეროვნულ სახელმწიფოებს თავისი საზღვრებით და აშენდებოდა პროლეტარიატის უნიტარული სახელმწიფო.

შ. ნუცუბიძე

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა. სიძნელეების მიუხედავად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მაინც განმტკიცდა – ამას აპირობებდა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის XI არმიის ყოფნა, კომუნისტების მობილიზება, საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის მიღება.

საქართველოს რევკომი, რომელიც თითქმის ერთი წელი წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოს, გაუქმდა. მის მაგივრად ხელისუფლება თავის ხელში აიღო საქართველოს მუშათა და გლეხთა საბჭოების I ყრილობამ, რომელიც 1922 წლის 25 თებერვალს შეიკრიბა. არჩევნები ჩატარდა რუსეთში აპრობირებული შერჩევითი სისტემით – მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს: თავადაზნაურობას, ვაჭრებს, მემამულეებს, სასულიერო წოდებას, ყოფილი მთავრობის ძალოვან სტრუქტურებში მომსახურე პირებს და მოსახლეობის სხვა კატეგორიებს ხმის უფლება ჩამოერ-

თვათ. ყრილობაში ძირითადად კომუნისტური პარტია იღებდა მონაწილეობას, საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია (თ. ღლონტი, შ. ნუცუბიძე და სხვ.), რომლებმაც თავიდანვე დაუჭირეს მხარი კომუნისტურ ხელისუფლებას და ამის გამო გარკვეული მანდატებიც მიიღეს.

ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა კონსტიტუცია, რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებდა რუსეთის ბოლშევიკური კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, ერთი გამონაკლისით. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის მომავალი განვითარებისათვის – ის არ გამორიცხავდა სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ქვეყნის გაერთიანებას.

„...საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპულიკა აცხადებს თავის მტკიცე მზადყოფნას შევიდეს ერთიანი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში...“

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია (1922 წ. მარტი)
(ამონარიდი)

მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში შესაძლებელია ეს ერთადერთი საკონსტიტუციო მუხლი იყოს, სადაც სუვერენული ქვეყანა წინასწარ გეგმავს თავისი დამოუკიდელობისა და სუვერენიტეტის ლიკვიდაციას.

ამის მიზეზი კი ის იყო, რომ „მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე“ მეოცნებე რუსი ბოლშევიკები, ინტერნაციონალისტური პრინციპებიდან გამომდინარე, ერთიანი პროლეტარული სახელმწიფოს შექმნას ვარაუდობდნენ და მისი რეალიზაცია უკვე 1922 წლის შუა ხანებიდან დაიწყეს. უპირველესად, მიზნად დაისახეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და სამხრეთ კავკასიის სამი საბჭოთა რესპუბლიკის გაერთიანება.

1922 წლის ზაფხულში შეიქმნა სპეციალური პარტიული კომისია ვ. კუიბიშევის ხელმძღვანელობით, რომელშიც რკპ (ბ) ცეკას თვალსაჩინო ლიდერებთან ერთად შედიოდნენ ნაციონალური კომპარტიათა წარმომადგენლები (საქართველოდან ბ. მდივანი). გაერთიანების კონცეფციის შედგენა დაევალა ი. ბ. სტალინს, რომელმაც თავისი პროექტი მთლიანად დააფუძნა რუსეთის ფედერაციაში უკვე არსებულ ეროვნებათაშორის გამოცდილებას, პარტიულ და საბჭოთა დოკუმენტებს. ეს იყო ე.წ. „ავტონომიზაციის პროექტი“, რაც გულისხმობდა რუსეთის ფედერაციაში ავტონომიის უფლებით ყველა ახლადშექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს გაერთიანებას.

ვ. კუიბიშევი

სტალინის პროექტი აზერბაიჯანის კომპარტიამაც მოიწონა. ყველასაგან გასაოცრად, საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა მოსკოვში გააგზავნეს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ს შემდეგი დადგენილება:

„ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე შემოთავაზებული გაერთიანება დამოუკიდებელი რესპუბლიკებისა, ავტონომიის ფორმით, ნაადრევად ჩაითვალოს. სამეურნეო ღონისძიებებისა და ზოგადი პოლიტიკის გაერთიანება საჭიროდ ჩაითვალოს. ოღონდ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“.

საქართველოს კპ (ბ) ცკ-ას 1922 წლის 15 სექტემბრის
გადაწყვეტილება (ამონარიდი)

ქართველი კომუნისტების ლიდერების (ბ. მდივანი, ფ. მახარაძე, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე და სხვ.) ამ პოზიციამ ვითარება კრემლსა და თბილისს შორის ძალიან დაძაბა. ამის გამო ქართველ „ოპოზიციონერებს“ სერიოზულად გაუფუჭდათ ურთიერთობა კრემლის სრულუფლებიან და ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენელთან – სერგო ორჯონიკიძესთანაც, რომელიც კავკასიაში სკრუპულოზურად ახორციელებდა კრემლის მიზანდასახულობებს.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ ქართველი კომუნისტების ეს ჯგუფი არც ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მომხრენი იყვნენ. როგორც ჩანს, მათ დაავიწყდათ საქართველოს I საბჭოთა კონსტიტუციაში თავის ხელით ჩაწერილი ზემოთ უკვე მოტანილი დებულება.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მხურვალე მომხრე ვ.ი. ლენინი იყო და მას არ მოეწონა ქართველი კომუნისტების ამ ერთი ჯგუფის ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება ხალხებისა და სახელმწიფოების ინტერნაციონალური გაერთიანების საბჭოთა მოდელის მიმართ. მან ისინი საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა. თუმცა გარკვეულ დათმობებზეც წავიდა და ი.ბ. სტალინიც დაიყოლია – მან მოახდინა სტალინის პროექტის ცვლილება და ავტონომიზაციის ნაცვლად გადაწყდა 4 საბჭოთა რესპუბლიკის: რსფსრ, ამიერკავკასიის სფსრ, უკრაინისა და ბელორუსიის საკავშირო სახელმწიფოში – „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“ გაერთიანება.

„საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინადადება ნაადრევი გაერთიანების შესახებ პლენუმის მიერ ერთხმად იქნა უარყოფილი. საქართველოს ცეკას წარმომადგენელმა მდივანმა, როცა დაინახა პლენუმის ერთსულოვნება, იძულებული გახდა უარი ეთქვა საქართველოს ცეკას წინადადებაზე. პლენუმმა მიიღო კომისიის წევრების სტალინის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვის და მოლოტოვის წინადადება ამიერკავკასიის ფედერაციის შენარჩუნებისა და ამ უკანასკნელის გაერთიანებაზე რსფსრ, უკრაინასა და ბელორუსიასთან „რესპულიკების კავშირში“

ი. ბ. სტალინის წერილი ს. მ. კიროვს
(1922 წ. 17 ოქტომბერი) (ამონარიდი)

ვ. ი. ლენინის მკაცრი კრიტიკის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თითქმის სრული შემადგენლობით გადადგა – ეს ერთადერთი შემთხვევაა ბოლშევიზმის ისტორიაში. ამან საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში სერიოზული დაპირისპირებები გამოავლინა.

პოლიტიკური ჯახი ქართულად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გავლენიანი წევრების გადადგომამ და ხელისუფლებაში შედარებით ახალგაზრდა წევრების (ლ. ღოღობერიძის, ბ. ლომინაძის, ს. მამულიას და სხვ.) მოსვლამ კიდევ უფრო გაართულა ვითარება პარტიულ ზედაფენაში. გუშინდელი კომკავშირლები სასტიკად აკრიტიკებდნენ უფროს თაობას, ადანაშაულებდნენ „ნაციონალ-უკლონიზმში“ – ბრალს დებდნენ ეროვნული საკითხის ჰიპერბოლიზებაში. დღეს ზოგიერთი ექსპერტი „ნაციონალ-უკლონისტებს“ „კომუნისტ-პატრიოტებს“ უწოდებს და ბ. მდივანს, ფ. მახარაძეს, კ. ცინცაძეს და სხვებს საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა, ამ პოლიტიკური ფიგურების შესახებ, ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ ნაწილს, უკვე იმჟამად, რადიკალურად უარყოფითი შეხედულება ჰქონდა.

ს. მამულია

„...ისეთმა ხელმძღვანელებმა „ეროვნული პოლიტიკისა“, როგორებიც არიან მახარაძე, ქავთარაძე, ცინცაძე და სხვები, რომლებმაც არაერთხელ მოხსნეს მატერიალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის რეკორდები, შემოიყვანეს საქართველოში რუსეთის არმია და ამით ამაყობდნენ (მდივანი თავადაც აღნიშნავდა, რომ საზღვრების შესახებ ხელშეკრულებებს ხელს ისე აწერდნენ, რომ არც კითხულობდნენ)...“

დამფუძნებელი კრების დეპუტატი, პოლიტპატიმარი
ანდრო ჭიაბრიშვილი (1923 წ.)
საპატიმროდან ლ. ტროცკისადმი გაგზავნილი წერილი (ამონარიდი)

საქმეში ჩახედულები იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ ფ. მახარაძესა და მ. ცხაკაიას შორის იმდენად წარმოუდგენელი დაპირისპირება და დაძაბული ურთიერთობა იყო, რომ ისინი არასოდეს არსად არ ისხდნენ ერთად, რომ სურათიც კი არ არსებობდა, სადაც ეს ორი უხუცესი ქართველი კომუნისტი ერთად იყო გადაღებული.

ა. რიკოვი

პარტიული კინკლაობა საქართველოში ძალიან გაჭიანურდა. მოხდა დაუშვებელი ფაქტიც კი – თბილისში რუსეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. რიკოვის სტუმრობისას, ს. ორჯონიკიძის ოჯახში მოხდა ინციდენტი, რომელიც ბოლშევიზმის ისტორიის ანალებშია შესული: ძველმა კომუნისტმა ა. კობახიძემ, რომელიც ა. რიკოვის მეგობარი იყო პოლიტიკური გადასახლებიდან, სერგო ორჯონიკიძე აშკარად დაადანაშაულა კორუფციაში და შეშურდა მისი თეთრი ცხენის ბედი, რომელიც, მისი თქმით, რიგით ქართველზე უკეთ ცხოვრობდა. ამის გამგონე ს. ორჯონიკიძემ თავი ვეღარ შეიკავა და ხელი შემოჰკრა ა. კობახიძეს.

„...საერთო საუბრის დროს ამხ. კობახიძემ სერგო ორჯონიკიძეს უსაყვედურა, რომ მას ჰყავს რაღაც ცხენი და რომ სათავეში მდგომი ამხანაგები, მათ შორის ს. ორჯონიკიძეც, მატერიალურად გაცილებით უკეთ არიან უზრუნველყოფილნი, ვიდრე პარტიის სხვა წევრები... ერთ-ერთი ფრაზა იყო იმის შესახებ, რომ სერგო ორჯონიკიძე ხაზინის ხარჯზე კვებას რაღაც ცხენს, აკაკი კობახიძემ სერგოს ყურში ჩასჩურჩულა. ამის შემდეგ მათ შორის ატყდა ლანძღვა-გინება, რომლის დროს ორჯონიკიძემ კობახიძეს გაარტყა...

ა. ი. რიკოვის განცხადება პარტიული კონტროლის კომისიაში (1922 წ.) (ამონარიდი)

ეს ინციდენტი ძალიან გახმაურდა, თვით ვ.ი.ლენინის ყურამდეც კი მივიდა და ის აისახა კიდეც ერთ-ერთ მის ბოლო სტატიაში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ქართველ კომუნისტებს შორის არსებული უთანხმოებით კარგად სარგებლობდნენ მათი პოლიტიკური ოპონენტები. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოს არაკომუნისტურ პარტიებს ჰქონდათ მუშაობის უფლება, თუმცა მათ აქტიურად უთვალთვალებდნენ „ჩეკისტები“. ქართველი სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები პერიოდულად იკრიბებოდნენ. მათთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდნენ: „ახალგაზრდა მარქსისტები“, „ახალგაზრდა ნაციონალ-დკემოკრატები“, „ახალგაზრდა დაშნაკები“ და სხვ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანტისაბჭოთა პოზიციაზე მდგომი სტუდენტი ახალგაზრდობა იმჟამად დიდი აქტივობით გამოირჩეოდა. ზოგიერთ არასაბჭოთა პარტიულ ორგანიზაციას თავისი პერიოდული გაზეთიც ჰქონდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთში დაიწყო ყველა ანტისაბჭოთა პარტიის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, საქართველოშიც დაიწყეს ანტისაბჭოთა პარტიების „თვითლიკვიდაციის“ პროცესი, რაც საბჭოთა მთავრობის ძლიერი ზეწოლით განხორციელდა.

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი (ხელაია)

1922 წელს საბჭოთა მთავრობა გენუის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმისათვის ემზადებოდა და მასზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ, რომ გაერღვიათ ეკონომიკური ბლოკადა და ურთიერთობა დაემყარებინათ მოწინავე, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან.

სწორედ ამ დროს, საქართველო გააოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას გმირობამ, რომელიც არ შეუშინდა რეპრესიებს და კონფერენციის ორგანიზატორებს სპეციალური მემორანდუმი გაუგზავნა, რომელშიც სასტიკად იყო დაგმობილი საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მხრიდან და მისი ძალმომრეობითი გასაბჭოება. ასეთმა განცხადებამ კრემლში სერიოზული განრისხება გამოიწვია.

„...ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაანთავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე ... დაუ-

ყოვნებლივ გაყვანილი იქნას საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ-დაცულ იქნას მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მოტაცებისაგან. საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ფორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნეჩვეულებას და ეროვნულ კულტურას შეესაბამება...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია) 1922 წ. მემორანდუმი გენუის საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორებს (ამონარიდი)

კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებამ საოცრად გააღიზიანა ქართველი კომუნისტები. მათ მწყემსთავარი მეტეხის ციხეში გამოკეტეს და კრემლში მისი მკაცრად დასჯის მოთხოვნით დეპეშა გააგზავნეს. რკპ (ბ) ცეკამ ამ საკითხის მომზადება და პლენუმზე გატანა ი.ბ. სტალინს დაავალა.

„პატრიარქ ამბროსის და საქართველოს სხვა სასულიერო წევრების მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის... გთავაზობთ: 1. სასჯელის გამოტანისას შემოიფარგლეთ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით; 2. ყველა არსებული მასალა ეგზარხოს ამბროსის და სხვა სასულიერო პირების კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ გამოიყენეთ სპეციალურად ორგანიზებული კამპანიის დროს პრესაში, რადიოში, განსაკუთრებით სოფლად და ა.შ.“

რკპ (ბ) ცეკას პოლიტბიუროს დადგენილება (1924 წ.) (ამონარიდი)

ГАСПИ РФ, ф. 17, оп.3. д. 426, с. 78.

რ. მაკდონალდი

საბჭოთა რეპრესიებმა ვერ შეაჩერეს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილება. 1922 წელს სერიოზული აჯანყება მოხდა სვანეთში, რაც გამოიწვია ადგილობრივი ბოლშევიკების კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებმა, ადგილობრივი ტრადიციებისადმი უპატიურმა დამოკიდებულებამ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ, მოსახლეობისათვის იარაღის ჩამორთმევის კამპანიის დროს გამოჩენილმა დარღვევებმა.

აჯანყება იმდენად ძლიერი იყო, რომ ის შეიტყვეს ევროპის წამყვანი ქვეყნების სახელმწიფოთა მესვეურებმაც კი.

„...ჟორდანიამ მაცნობა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ის აცხადებს, რომ წარსული წლის ზაფხულში დასავლეთ საქართველოში მცხოვრებლები აჯანყდნენ, დაამარცხეს რუსის ჯარი და დღევანდლამდე მათ შენარჩუნებული აქვთ ხელისუფლება...

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რ. მაკდონალდის მიმართვა საბჭოთა მთავრობას (1922 წლის 22 აპრილი) (ამონარიდი)

სვანეთის აჯანყება ძალიან მალე გადაიზარდა ხევსურეთის აჯანყებაში, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოიცვა და მას ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხელმძღვანელობდა. ქაქუცამ ერთგული პირები გაგზავნა დუშეთისა და გორის მაზრებში ადგილობრივი პარტიზანული ჯგუფების შესაქმნელად. მარტო დუშეთის მაზრის მუხრანის რაიონში ათობით პატრიოტი იყო ტყეში გახიზნული. ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი ათ ჯგუფად იყო დაყოფილი და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში მოქმედებდა.

„სამშობლოს ერთგულნო!
საქართველოს მტრების განკითხვის დროა მოახლოებული. მათ აამხედრეს თავის მოწინააღმდეგედ მთელი კულტურული კაცობრიობა.
ვიყოთ მხნე, მტკიცე და გაბედულნი.
სალამი თქვენ და გამარჯვება საქართველოს.
ქაქუცა ჩოლოყაშვილი. კახეთი, 1922 წ. აპრილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ცდილობდა ანტისაბჭოთა საერთო ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიის პატრიოტული ძალებიც აქტიურად მოეზიდა. ამ მიზნით, რამდენჯერმე თავისი წარმომადგენელიც გაგზავნა იქ, მაგრამ ერთობლივი ბრძოლის ორგანიზება ვერ მოხერხდა. პირიქით, საბჭოთა სისტემა აძლიერებდა რეპრესიებს არა მარტო აჯანყებულებისა, არამედ მათ შესაძლო მხარდამჭერთა წინააღმდეგაც. ამ სადამსჯელო რაზმებს უკვე ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა.

„...შეცვივდნენ სახლში, გადააბრუნეს იქაურობა. ლოგინი და მუთაქები სულ დაჭრეს. თაროებიდან გადმოყარეს შესანიშნავი წიგნები, წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს... მამა და დათო ხელშეკრულები მიაბეს ცაცხვზე და დაუწყეს ცემა...
ნინო ავალიშვილი (ქ. ჩოლოყაშვილის ნათესავი)
(ამონარიდი მოგონებიდან)

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პერმანენტული ანტისაბჭოთა გამოსვლები და ამბოხებები გადაიზარდა დიდ სახალხო აჯანყებაში, რომელშიც საზღვარგარეთ გახიზნული პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას.

1924 წლის აჯანყება. საქართველოში დარჩენილი ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიები იმედს არ კარგავდნენ, რომ შეძლებდნენ დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებას და მოახერხებდნენ ბოლშევიკების ძალაუფლების დამხობას. ამ მიზნით, მათ „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ შექმნეს და მუშაობა გააცხოველეს. კომიტეტი აერთიანებდა თითქმის ყველა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ინტენსიური და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა კომიტეტის წევრებთან.

საქართველოს პოლიტიკური ემიგრაცია ვარაუდობდა, რომ თუ აჯანყება ძლიერი და ერთსულოვანი იქნებოდა, დემოკრატიული ევროპა მათ მხარს დაუჭერდა და იარაღით დაეხმარებოდა აჯანყებულ ქართველ

ხალხს. ჯერ კიდევ 1922 წელს, პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა ნ. ხომერიკი, ცოტა მოგვიანებით – ვ. ჯუღელი და ბ. ჩხიკვიშვილი.

1924 წლის 21 იანვარს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვ.ი. ლენინი. კრემლში დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. გამოიკვეთნენ აშკარა ლიდერებიც: ქართველი იოსებ ბესარიონის ძე ჯუგაშვილი (სტალინი) და ებრაელი ლევ დავითის ძე ბრონშტეინი (ტროცკი).

როგორც თბილისში, ისე პარიზში ჩაითვალა, რომ აჯანყებისათვის დრო იყო შესაფერი და საჭირო იყო სამხედრო მომზადების დაჩქარება: იგეგმებოდა დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების მხრიდან საბჭოთა კავშირის აღიარების პროცესის დაწყება და ქართული ემიგრაცია სრულიად ლოგიკურად ფიქრობდა, რომ ეს ფაქტორი სერიოზულად გაართულებდა ანტისაბჭოთა აჯანყების შესაძლებლობებს.

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ქართველი კომუნისტებიც დაინტერესებულნი იყვნენ ანტისაბჭოთა აჯანყებაში – მათ აუცილებლად სჭირდებოდათ ქვეყანაში გარკვეული „შიშის სინდრომის“ დამკვიდრება, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე, როგორც ისინი ფიქრობდნენ, გაეტეხათ „კლასობრივი მტრის“ წინააღმდეგობა და შეუქცევადი გაეხადათ საბჭოთა სისტემის ბატონობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება სამოქალაქო ომის გარეშე დამყარდა, რამაც, რუსეთის მსგავსად, ვერ გამორიცხა ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების აშკარა თუ ფარული საქმიანობა. საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა საბაბი მასობრივი ტერორის განსახორციელებლად და პოლიტიკური სივრცის გასანეიტრალებლად.

ანტისაბჭოთა პარტიებში, „დამოუკიდებლობის“ კომიტეტში შეგზავნილი აგენტების საშუალებით, საბჭოთა ორგანოებისათვის ბევრი ფაქტი და განზრახულობა წინასწარ გახდა ცნობილი და გარკვეული პრევენციული ზომებიც უკვე იყო მიღებული: ჯერ კიდევ 1923 წელს, სხვადასხვა ბრალდებით, სიკვდილით დასაჯეს ქართველი მხედართუფროსები: რ. მუსხელიშვილი, კ. აფხაზი და სხვები.

კ. აფხაზი

აჯანყება 1924 წლის აგვისტოს ბოლოს დაიგეგმა. 24 აგვისტოს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში, ტყეში, მივიდნენ „დამკომის“ წევრები: მთავარსარდალი ს. ჭავჭავაძე, ი. ჯავახიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, შ. ამირეჯიბი და სხვ. გაიმართა დიდი აღლუმი. ყველა აჯანყების წარმატებით განხორციელებას მოელოდა.

თუმცა, იმერეთში აჯანყება ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს დაიწყო, რითიც მოხდა საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების დროული მობილიზება და მათ ბოლომდე გამოიყენეს ეს უპირატესობა. ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს – ცნობილია, რომ სადგურ ყვირილასთან ვაგონებში ჩაცხრილეს დაპატიმრებული აჯანყებულების დიდი ჯგუფი. სერგო ორჯონიკიძის აღიარებით, მათ აჯანყების ჩაქრობის პირველსავე დღეებში

ფიზიკურად გაანადგურეს დაახლოებით 1000 ქართველი თავადი და აზნაური.

„...ამბოხება ველური საძულველით საზოგადოების ყველა კლასს მოედო. რადგან ელემენტარული უფლებების ლეგალური დაცვა შეუძლებელი იყო, ხალხი და პოლიტიკური პარტიები სულ უფრო და უფრო უიმედო აქციებისაკენ მიდიოდნენ, რაც ძალთა უთანაბრობის გამო წინასწარ იყო განწირული. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც ვერ შეძლო გამოეწვია საყოველთაო მღელვარება, საჭიროდ მიიჩნია მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა... ერთადერთი ძალა, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო სისხლიანი მოვლენების თავიდან აცილება, თვით კომუნისტური ხელისუფლება იყო. მას ჰქონდა საშუალება და ბრწყინვალე მომენტი, ჩაეცხრო მძიმე საომარი სული და ხალხისათვის უბედურება აეცილებინა...

II ინტერნაციონალის აღმასკომის სპეციალური კომისიის
დასკვნა (ამონარიდი გ. გელაშვილის სტატიიდან)

რა თქმა უნდა, არ მოხერხდა აჯანყების საერთოკავკასიურ ამბოხებად გადაზრდის გეგმის რეალიზება – პირიქით, სამხრეთ კავკასიის კომუნისტურმა რეჟიმებმა ქმედითი დახმარება გაუწიეს ქართველ ბოლშევიკებს.

მაგრამ, ის, რასაც არ მოელოდნენ ქართველი კომუნისტები, იყო ამ აჯანყებაში გლეხობის საკმაოდ დიდი წარმომადგენლობა. ამასთან დაკავშირებით სერგო ორჯონიკიძეს დასჭირდა დიდი განმარტებითი მოხსენების წაკითხვა რკპ (ბ) ცეკას 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე, რომელიც სწორედ აგრარული პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს იხილავდა. მან თავის მოხსენებაში დეტალურად გააანალიზა კომუნისტური პოზიციებიდან დანახული აჯანყების გამომწვევი მიზეზები, არ მოერიდა შეცდომების აღიარებას და დეტალურად მიმოიხილა აჯანყების ჩაქრობის დრამატული შედეგებიც.

„მენშევიკური მთავრობა გლეხობისაგან გადასახადს არ იღებდა, ჩვენ კი არცთუ მცირე გადასახადს ვახდევინებთ... აი, აქ უნდა ვეძებოთ ჩვენი მარცხის მიზეზი ოზურგეთის რაიონში...“

სერგო ორჯონიკიძე
რკპ (ბ) ცეკას 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის
სტენოგრამა (ამონარიდი)
ГАСПИ РФ, ф. 17, оп. 2. д. 151. с. 508.

პლენუმზე აჯანყების მნიშვნელობის შეფასებით და ქართველი კომუნისტების აგრარული პოლიტიკის კრიტიკით, თვითონ იოსებ სტალინიც გამოვიდა და ურჩია მათ დამოკიდებულება სოფელთან რადიკალურად შეეცვალათ.

„ ... ის რაც მოხდა საქართველოში, აქ კი ეს ის მხარეა, სადაც აჯანყება მოედო საყოველთაოდ ყველას. ის ახალი, რის გამოც გაჩაღდა აჯანყება, იყო ფასები... ძალიან ძვირია ჩვენთვის თქვენი საქონელი. ჩვენ გვერდით გვაქვს საზღვარი, საიდანაც კონტრაბანდულად შემოდის თქვენს საქონელზე ხუთჯერ იაფი საქონელი... ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩვნზე დამოკიდებული ყველა შესაძლებლო-

ბა იმისათვის, რომ გლეხობის მზარდი პოლიტიკური ინიციატივა ჩავაყენოთ საბჭოთა ხელისუფლების ჩარჩოებში...“

ი. ბ. სტალინი

რკპ (ბ) ცეკას 1924 წლის ოქტომრის პლენუმის სტენოგრამა (ამონარიდი)

ГАСПИ РФ, ф. 17, оп.3. д. 461. с. 95.

აჯანყებამ, ქართველი კომუნისტების ყველა მოლოდინი გაამართლა: მოხდა ყველა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის გამოვლენა და მათი ლიკვიდაცია, კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საბაბით თითქმის სრულად განადგურდა ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც დაკარგა პოლიტიკური წონა სოფელში, უკიდურესობამდე გაძლიერდა ათეისტური კამპანია, დაიხურა ბევრი ეკლესია-მონასტერი.

აჯანყების მარცხმა ევროპაში გადახვეწილ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში სერიოზული განხეთქილება გამოიწვია, ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი აჯანყების მზადების შესახებ ინფორმირებულიც კი არ იყო. გაძლიერდა საბჭოთა ხელისუფლებასთან კომპრომისის მომხრეთა დაჯგუფება (გრ. ვეშაპელი და სხვ.).

„ქართველმა ხალხმა უნდა სწორად შეაფასოს ისიც, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს მასთან ევროპას, და ისიც თუ რა როლს ასრულებს მის ცხოვრებაში რუსეთი... თუკი საქართველო თავის პოლიტიკას მუდამ ააგებს მსგავსი კონფლიქტების თავის სასარგებლოდ გამოყენებაზე, თუ კი ის რუსეთს მისცემს იმის თქმის საშუალებას, რომ ყოველი შესაძლო გართულების დროს საქართველო რუსეთის წინააღმდეგ შექმნის ინტრიგებს, ეს აამხედრებს საქართველოს წინააღმდეგ არა მარტო ბოლშევიკურ, არამედ ყოველგვარ რუსეთს, და ვინ იცის რა ბედს გაუმზადებს ასეთი პოლიტიკა საქართველოს. ევროპა კი ასეთ პოლიტიკას ჩათვლის ავანტურისტულად“.

ირაკლი წერეთელი (1925 წ.)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი.

II განყოფილება, ფ. 14, აღ. 12, ს. 28, ფურც. 268.

ირ. წერეთელი

ქართველმა კომუნისტებმა გააკეთეს დასკვნა აგვისტოს აჯანყების შედეგებზე და გადაწყვიტეს უფრო ეფექტიანად აემოქმედებინათ ეკონომიკური ბერკეტები, განევითარებინათ მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ხელი შეეწყოთ გლეხობისათვის, რადგან უკვე აშკარა იყო, რომ მარტო რეპრესიებით ძლიერ და დინამიურად განვითარებულ ქვეყანას ვერ ააშენებდნენ.

სოციალისტური ეკონომიკის პირველი ნაბიჯები საქართველოში. ეკონომიკა გასაბჭოების შემდეგ, პირველ თვეებში, სერიოზულ პრობლემებს განიცდიდა. ამის მიზეზი იყო ჯერ კიდევ დემოკრატიული საქართველოს არსებობის პირობებში შექმნილი რთული ვითარება გლობალურ ეკონომიკაში (I მსოფლიო ომი და მისი ეკონომიკური შედეგები), ტრადიციული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა რუსეთის ეკონომიკურად და-

წინაურებულ რეგიონებთან, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სერიოზული შეფერხება და ა.შ.

საქართველოს მეურნეობის სამმართავად, რუსეთის მიბაძვით, საქართველოში შეიქმნა „სმუსი“- სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, რომელსაც უნდა შეემუშავებინა გეგმები, პროექტები, განეხორციელებინა კონკრეტული მიზანდასახულობანი, რომ ეკონომიკა სწრაფად ამუშავებულიყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა იმ პერიოდში, როცა რუსეთში ბოლშევიკები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და შემოეღოთ ე.წ. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ (ნეპი), რომელიც ძირითადი ეკონომიკური სიმაღლეების ხელში ფლობის პირობებში უშვებდა საბაზრო ურთიერთობების ზოგიერთ ელემენტს, ახალისებდა კერძო ბიზნესს, საშუალო და მცირე საწარმოებს უკან უბრუნებდა ყოფილ მეწარმეებს, გლეხებს უფლებას აძლევდა ნამატი პროდუქცია ბაზარზე გაეტანათ სარეალიზაციოდ. თუმცა, საქართველოში საწარმოთა და წიაღისეული სიმდიდრეების ნაციონალიზაცია მაინც განხორციელდა.

„ამონაწერი სმუსის სპეციალური კომიიის ხდომის ოქმიდან თამბაქოს ფბრიკების, ტყავის ქახნებისა და კვები მოეწველობი საწრმოები ნაციონალიზაციის შესახებ. 1 ივნისი 1921 წ.

მოისმინეს: 4. იმ საწარმოთა შესახებ, რომლებიც განეკუთვნებიან კვების განყოფილების დაქვემდებარებას.

დადგინეს: 4. ნაციონალიზირებულ იქნენ საკვები ნივთიერებების მწარმოებელი ფაბრიკა „ესკესი“, „ფრანგული საზოგადოების“ მაკარონ-ვერმიშელის ფაბრიკა, პეტროსიანცის წისქვილთან ერთად და ხარაზოვის საგალანტერიო ფაბრიკა-საცხობი. სიხარულიძის ლუდსახარში ქარხნები (ყოფილი ვეტცელი) და ლაღიძის ხელოვნური მინერალური წყლების ქარხნები და შავიზღვა კავკასიის შრომითი არტელის საწარმო „ძველი ზემელი“...

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 303, აღ. 1, ს. 99, ფურც. 76.

პირველ ხანებში ეკონომიკაში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში 1770 კაციდან წარმოებაში დარჩა მხოლოდ 500. ანაზღაურება მიზერული იყო. ერთი მუშა იღებდა 3 გირვანქა პურს, საპონს, მანუფაქტურას, ჩექმებს. თბილისის აგურის №4 ქარხანაში საწარმოს პერსონალი მუშაობდა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, კვირა და უქმე დღეებშიც. მშრომელთა 90 პროცენტი მალარიით იყო ავად. მუშათა საცხოვრებელ ბინებში საშინელი ანტისანიტარია მეფობდა, საქონელსა და ადამიანებს ერთ ჭერქვეშ ეძინათ, ხშირი იყო სიკვდილიანობის შემთხვევები.

იმისათვის, რომ სოციალური პერსპექტივა გაეღვივებინათ, პროკომუნისტურად განწყობილი ადამიანებისათვის შეექმნათ რწმენის ახალი სიმბოლოები, გადაწყდა საქართველოში ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1922 წლის 10 ოქტომბრის შაბათობას – ადამიანების ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ ენთუზიაზმით საზოგადოებისათვის გაწეულ მუშაობას, რაც მომავალი კომუნისტური საზოგადოების წევრებისათვის მთავარ მახასიათებელ თვისე-

ბად უნდა გადაქცეულიყო. ამ შაბათობაში თვითონ სერგო ორჯონიკიძეც მონაწილეობდა. ჰესი რუსეთის ელექტიფიკაციის გეგმაში – „გოელროში“ იყო შეტანილი და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში.

შაბათობა ზაჰესში

მშენებლობაზე, სხვადასხვა დროს, დაახლოებით 4000 კაცი მუშაობდა. ის ფაქტობრივად აშენდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან ჩამორთმეული ძვირფასი საეკლესიო ნივთების რეალიზების ხარჯზე. თუმცა, მოსკოვმა, პოლიტიკური მოსაზრებით, საზღვარგარეთ სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად დამატებით 750 000 ოქროს მანეთი გამოჰყო. მშენებლობა საკმაოდ გაჭიანურდა. ის საჩვენებელ ობიექტად გადაიქცა, სადაც მიჰყავდათ, როგორც საბჭოთა დიდმოხელეები, ისე საზღვარგარეთის მუშებისა და კომუნისტური პარტიების დელეგაციები. 1926 წელს ზაჰესს ესტუმრა იოსებ სტალინიც.

„გაუმარჯოს ჩვენს აღმშენებლებს, მუშებს და ტექნიკოსებს, ინჟინრებს.
ი.ბ. სტალინი (1926 წ. 2 ივნისი)
ზაჰესის საპატიო სტუმართა ჩანაწერების წიგნი

ელექტროსადგური 1927 წლის 26 ივნისს გაუშვეს ექსპლოატაციაში. მეორე დღესვე ქუთაისის მახლობლად საფუძველი ჩაეყარა ახალ დიდ ელექტროსადგურს – რიონჰესს. აჭარაში კი უკვე დასრულების სტადიაში შევიდა „აჭჰესი“.

„ნეპის“ პოლიტიკა გარკვეული კონტროლის პირობებში, საწარმოების საზღვარგარეთელ მეწარმეებზე იჯარით გაცემასაც ითვალისწინებდა (კონცესია). უპირველეს ყოვლისა, დადგა საკითხი ჭიათურის მარგანეცის კონცესიის შესახებ. ათეული წლების განმავლობაში, ჭიათურაში ძლიერი ეკონომიკური ინტერესი ჰქონდა გერმანიის სახელმწიფოს, მაგრამ იმჟამად ჭიათურის უმდიდრესი საბადოებით ამერიკელებიც დაინტერესდნენ. ხელისუფლება გეგმავდა ამ ორი ქვეყნის დაპირისპირების გამოყენებას საბჭოთა ქვეყნის სასარგებლოდ: რკპ (ბ) ცეკას პოლიტბიურო ზედმეტად იყო დაინტერესეული ჭიათურის საქმეებით, რაზეც მიუთითებს არა ერთი მისი დადგენილება თუ რეკომენდაცია.

„...ჩაითვალოს მიზანშეწონილად უპირატესობის მინიჭება გერმანელებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი წინადადებები ამერიკელებთან შედარებით ნაკლებად სასარგებლო იქნება... შეატყობინეთ ჩიჩერინს გამოიძახოს გერმანიის ელჩი და აცნობოს ჩვენი გადაწყვეტილება გერმანელების უპირატესობის შესახებ... დაევალოს მთავარ საკონცესიო კომიტეტს არავითარ შემთხვევაში არ ჩაშალოს მოლაპარაკება ამერიკელებთან და ყოველმხრივ გააჭიანუროს იგი...
რკპ (ბ) ცკ პოლიტბიუროს 1924 წლის დეკემბრის
დადგენილება (ამონარიდი)
ГАСПИ РФ, ф. 17, оп.162. д. 2. с. 47.

საბოლოოდ, 1925 წ. 12 ივნისს ჭიათურის საბადოებზე ყოვლისმომცველი კონცესია გადაეცა ცნობილ ამერიკელ ბიზნესმენს ა. ჰარიმანს, რომელმაც ივალდებულა წარმოების ისეთი რეაბილიტაცია, რაც მას მსოფლიო სტანდარტების დონეზე აიყვანდა.

საქართველოში საშუალო და წვრილი საწარმოების დიდი უმრავლესობა კვლავ დაუბრუნეს ყოფილ მეპატრონეებს. ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ ამ პოლიტიკამ გაამართლა და ეკონომიკურმა ცხოვრებამ დაიწყო ინტენსიური განვითარება. მაგრამ მან გააძლიერა „ნეპმანებიც" – ადამიანები, რომლებმაც ახალ ცხოვრებას ალღო აუღეს და „ფული იშოვეს". მათ მიმართ კი დამოკიდულება სრულიად განსხვავებული იყო.

„მუშათა განწყობილებაზე განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს მკვეთრად თვალში საცემი შედეგები ახალი ეკონომიკური პოლიტიკისა და ბურჟუაზიის ზღაპრული სიმდიდრე. როგორც აღინიშნა, მუშების ნაწილი ხანგრძლივად არ იღებს ხელფასს და ულუფას, მაშინ როცა ადგილობრივი ბურჟუაზია კაფე-რესტორნებში ფანტავს უზარმაზარ თანხებს"

საგანგებო კომისიის აგენტურული ცნობა (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ.1, ს. 212, ფურც. 108.

ძველი სოფელი

გადაიდგა პირველი ნაბიჯები სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. გატარდა საბჭოთა აგრარული კანონმდებლობა. თუკი რაიმე გადაურჩა დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებას სოფელში ჩამოსართმევი, საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერს კონფისკაცია გაუკეთა და შექმნა „მიწის ფონდი". დაიწყო ღარიბ და უღარიბეს გლეხობაზე მიწის უსასყიდლოდ გადაცემის პროცესი. განისაზღვრა კვოტებიც – დასავლეთ საქართველოში 2,5 ჰა., აღმოსავლეთ საქართველოში 4 ჰა.

იმჟამად საქართველოში სულ 2 401,5 ათასი კაცი ცხოვრობდა, აქედან სოფლად ბინადრობდა 1 926,4 ათასი კაცი, რომელიც 326,4 ათას გლეხურ მეურნეობას ქმნიდა. 1925 წლისათვის საქართველოს სოფელში უკვე 413, 9 ათასი გლეხური მეურნეობა იყო.

საბჭოთა მთავრობამ საზღვარგარეთ შეიძინა ტრაქტორებისა და მანქანა-მოწყობილობების პირველი პარტიები და შეიტანა სოფელში. იგეგმებოდა მესაქონლეობის ასაღორძინებლად სპეციალური პროგრამების შემუშავება, სავეტერინარო სამსახურის მოწესრიგება და ა.შ.

პარალელურად, სოფლად კომუნისტური პრინციპებიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების შექმნა მიმდინარეობდა. გაჩნდნენ პირველი კომუნები – სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, სადაც

ყველაფერი განსაზოგადოებული იყო: მიწაც, საქონელიც, შრომის იარაღებიც, საცხოვრებელიც. ბავშვებსაც ერთად ზრდიდნენ, ქვრივ-ობლებს ეხმარებოდნენ. ასეთი კომუნები შეიქმნა: ზემო-ქედში (კახეთი), სამთავისში (ქართლი), ხიდეშელში (რაჭა) და სხვა სოფლებში. ბევრ ადგილზე შეიქმნა მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობები, გასაღების კოოპერატივები და ა.შ.

გატარებული ღონისძიებების მიხედვით, XX საუკუნის 20-იანი წლების შუახანებში, მოხდა გარკვეული სოციალური ძვრები საქართველოს სოფელში: მნიშვნელოვნად შემცირდა ღარიბი და უღარიბესი გლეხობის კატეგორია, სამაგიეროდ გაიზარდა საშუალო გლეხის რაოდენობა. აშკარად შესამჩნევი გახდა სოფლის ბურჟუაზიის („კულაკები“) ეკონომიკური ზრდა და სოფელში მისი პოზიციების განმტკიცებაც.

„1924-1925 წლებში მოვიდა 5 მილიონი ვედრო ღვინო. აქედან 700 000 – სახელმწიფო-კოოპერაციული ორგანიზაციებისაა. 800 ათასი ვედრო გაყიდულია თვით მწარმოებლების მიერ ადგილობრივად. ფართო ბაზრებზე კერძო პირებმა გაიტანეს მილიონი ვედრო ღვინო. ასევე ხილეულობა. კერძო პირების მიერ მსხვილ პარტიებად საღდებოდა არა ნაკლებ 500 ათასი ფუთისა...

ამონაწერი საქ. კპ(ბ) ცეკას 1926 *წ.* ოქმიდან

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ.3 ს. 110, ფურც.44.

კერძო ბიზნესის გაძლიერებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძვანელების ერთ ნაწილში (ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ს. ქავთარაძე და სხვ.) მემარცხენე ტენდენციები გააძლიერა – ისინი მოითხოვდნენ „ნეპის“ შეწყვეტას, სოფლის ბურჟუაზიის „კულაკების“ ლიკვიდაციას, ინტელიგენციისათვის მიცემული შეღავათების შეზღუდვას და ა.შ. ი. ბ. სტალინის ფრაქცია იმჟამად „ნეპის“ გაუქმებას არ აპირებდა. არც ინტელიგენციასთან არსებული ურთიერთობის რადიკალურ გადასინჯვას გეგმავდა – პირიქით.

საბჭოთა კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბება. მარქსიზმი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, პროლეტარული ტიპის სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ახალი ადამიანის აღზრდას, რომელიც თავისუფალი იქნება კაპიტალისტური საზოგადოების მანკიერებებისაგან არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში, არამედ ფსიქო-სოციალურ და ფსიქო-მენტალურ სფეროშიც: პიროვნებას მკვეთრი გარდასახვა უნდა განეხორციელებინა წარსულიდან აწმყოში და მას აუცილებლად ევალებოდა ახალი, პროლეტარიატისათვის მისაღები, სულიერი ფასეულობების გათავისებაც. ასეთები იყო: კოლექტივიზმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, შეურიგებლობა ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლენის მიმართ, პროლეტარული ინტერესების ყველაზე მაღლა დაყენება, ათეიზმი და ა.შ. და ა.შ.

ახალი საზოგადოების სულიერი საფუძვლების საკითხებზე მსჯელობისას, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, ხოლო მოგვიანებით კი ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ პარტიაში აშკარად გამოიკვეთა უამრავი თვალსაზრისი და შეხედულება, ჩამოყალიბდა სხვადასხვა პროგრამა და პროექტი – მთავარი კი ის იყო, რომ ახალი საზოგადოება მთლიანად

უარყოფდა ძველს, დრომოჭმულს, არქაულს. ის ბოლომდე ანგრევდა როგორც ეკონომიკურ, ისე სულიერ საფუძვლებს და აშენებდა ისეთ კულტურულ სინამდვილეს, რომელიც, წარსულისაგან განსხვავებით, არ იქნებოდა მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესების რეალიზება, არამედ მას მთლიანად გაითავისებდა, აქტიურად გამოიყენებდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა – რიგითი მშრომელი.

"პროლეტკულტი"

იმჟამად განსაკუთრებით პოპულარული იყო შეხედულება პოლიკულტურული ადამიანის აღზრდის შესახებ. ამ კონცეფციის მიხედვით, ახალი სამყაროს მშენებელი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო კულტურული მოღვაწეობის ნებისმიერი სფერო და როცა მოისურვებდა, იმ დღეს ის მუშა იქნებოდა, შემდეგ შეიძლება მხატვარი ან მომღერალიც გამხდარიყო, თუ მოისურვებდა – პოეტობასაც არავინ დაუშლიდა, შეეძლო განევითარებინა თავისი შესაძლებლობები და ექიმიც გამხდარიყო. ეს იყო ადამიანის შესაძლებლობების ჰიპერტროფირებული წარმოდგენა. მიუხედავად ამისა, ამ თვალსაზრისს ბევრი იზიარებდა და მისი რეალიზება სცადეს სწორედ, საბჭოთა განათლების სისტემის დახმარებით.

საბჭოთა განათლება და საგანმანათლებლო სისტემა თავიდანვე გამორჩეული ყურადღებით იყო გარემოცული პარტიული ხელმძღვანელების მხრიდან. ამ სფეროში ბოლშევიკებმა სერიოზულ წარმატებებსაც კი მიაღწიეს. საქმე ის არის, რომ როცა მოსახლეობის დიდი უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარია, ამ ხარვეზის გამოსწორების დროს მმართველ პოლიტიკურ ძალას ადვილად შეუძლია განათლების შინაარსის სრული კონტროლი და დეტერმინიზება თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომაც, ბოლშევიკების განათლების სისტემა, მისი შინაარსი, მიზნები და ამოცანები თავიდანვე მკაცრად შემოსაზღვრული იყო ჩარჩოებით – ის მთლიანად ეფუძნებოდა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას და გამორიცხავდა, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, წარსულის კულტურული მემკვიდრეობის რაიმე დოზით ათვისებას: საბჭოთა ქვეყანაში ყველაფერი უნდა დაწყებულიყო თავიდან.

მართალია, დემოკრატიული საქართველოს არსებობის მოკლე ხანში ჩატარდა დიდი მუშაობა საგანმანათლებლო სისტემის გასაუმჯობესელად, გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, თბილისში და რეგიონებში იხსნებოდა სკოლები, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა მაინც 36,7 პროცენტს უდრიდა. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო სოფლად, არაქართველი ეთნოსებით დასახლებულ რეგიონებში, მთის ზონაში და ა.შ.

მოსკოვის წაბაძვით, საქართველოში ძალიან მალე ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო კონცეფცია, რომელიც მარქსისა და ენგელსის თხზულებებში ნაგულისხმებ პრინციპებს ითვალისწინებდა და მას ქართული სკოლის განვითარების საფუძვლად მოიაზრებდნენ.

„...ჩვენი მიზანია ისე მოვამზადოთ ბავშვები, რომ ისინი ჰარმონიულად განვითარდნენ და შეიქმნას ახალი კომუნისტური საზოგადოების მკვიდრნი წევრნი, გრძნობდნენ მჭიდრო კავშირს საზოგადოებასთან, შეიგნონ კომუნისტური ფსიქოლოგია და შრომის უნარი, რომელსაც შეუძლია თავისი ნებისყოფა და ინტერესი დაუქვემდებაროს კოლექტივის ინტერესს, რომელსაც ყოველ პირობებში შეუძლია იყოს კარგი ამხანაგი, მუშაობაში შეიტანოს თავისი ინიციატივა“

მარიამ ორახელაშვილი
განათლების სახალხო კომისრის მოადგილე
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 300, აღ.1, ს. 81, ფურც.14.

მ. ორახელაშვილი

წერა-კითხვის გავრცელებისათვის ადგილებზე იქმნებოდა სპეციალური სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, ბიბლიოთეკები. საქართველოს ფაბრიკებსა და ქარხნებში მასობრივად ჩამოყალიბდა წერა-კითხვის სალიკვიდაციო კურსები. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საგანმანათლებლო ქსელი სწრაფად განვითარდა – 1925 წელს საქართველოში უკვე იყო 1428 ქართული, 120 სომხური, 79 თურქული, 59 რუსული და სხვა ნაციონალური სკოლა.

მართალია, საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციამ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მიანიჭა, მაგრამ, ინტერნაციონალიზმის ყოვლისმომცველი პრინციპის რეალიზაციის გამო, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მშობლიურ ენაზე სასკოლო საქმის განვითარებას. ამიტომაც იყო საქართველოში უამრავი არაქართული სკოლა. ეს კი სერიოზულად აფერხებდა საქართველოში მოსახლეობის კონსოლიდაციას, რადგან ბევრ რეგიონში ეთნიკურად უცხო მოსახლეობას ქართული საერთოდ არ ესმოდა და აქტიურად ვერ მონაწილეობდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

განათლება თავიდანვე მთლიანად გაათავისუფლეს რელიგიური შინაარსისაგან. ამასთან, განსაკუთრებით 20-იანი წლების შუა ხანებში, ათეისტურმა პროპაგანდამ, მნიშვნელოვანწილად ტოტალური ხასიათი მიიღო. ფაქტობრივად ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კანონგარეშე გამოაცხადეს. სკოლებში ბავშვებს უვითარებდნენ რელიგიისადმი შეურიგებლობის გრძნობას, ნერგავდნენ ეკლესიისადმი უპატიურ დამოკიდებულებას, ნიჰილიზმს, ახალისებდნენ ეკლესია-მონასტრების, მეჩეთების, ღვთისმსახურების ადგილების დარბევებს. ყველა ტრადიცია და ადათ-ჩვევა, რომელსაც რელიგიური საფუძველი ჰქონდა ან ტრადიციულ სულიერ ფასეულობას განეკუთვნებოდა, განსაკუთრებით იდევნებოდა და ცდილობდნენ მის საბჭოთა ფასეულობებით ჩანაცვლებას.

„...შობის წინა დღეს, 6 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართა ჩვენი კავშირის საქალაქო კრება, რომლის შემდეგ კავშირის წევრები გამოვიდნენ ქუჩაში... ჩირაღდნებითა და დროშებით ხელში. დემონსტრაციამ მიზანს მიაღწია. არცერთი ახალგაზრდა იმ დღეს ეკლესიაში არ ყოფილა. დემონსტრანტებს მოჰ-

ქონდათ ჩირადღნები წითელი ნაჭრებით გადაკრული, რომელზეც ეწერა: „სარწმუნოება მეცნიერებისა და რევოლუციის მტერია“. ქ. ახალსენაკში იმ დღეს აავფეთქეს საგანგებოდ მოწყობილი „მამა ღმერთი“, რამაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა“.

გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. (რეპორტაჟიდან ამონარიდი)

სკოლა სოფელ სურამში

ეკლესიასთან, სამღვდელოებასთან, ყველა კონფესიის წარმომადგენლებთან საბჭოთა ხელისუფლება ავლენდა ულმობლობას და ცდილობდა მათი ზეგავლენის ტოტალურ აღმოფხვრას. თბილისის ბევრ ეკლესიაში გახსნეს აბანო, სამკითხველო ან თეატრი, ბათუმში დახურეს ცნობილი „აზიზიეს მეჩეთი“, დუშეთში დაარბიეს სომხური ეკლესია, სურამში სინაგოგაში გახსნეს კლუბი.

რელიგიის წინააღმდეგ ტოტალურ ბრძოლას თავისი სერიოზული მიზეზი ჰქონდა – საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია აცხადებდა პრეტენზიას ყოფილიყო ახალი საზოგადოების მშენებელი ადამიანის მთავარი აღმზრდელი, მისი გზის მაჩვენებელი. ამიტომ ის ვერ აიტანდა „კონკურენტს“ ადამიანის სულიერებისათვის ბრძოლაში. პირიქით, კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რელიგიურ ტრადიციები საყოველთაოდ ჩაანაცვლა საბჭოთა ტრადიციებით – ცხოვრებაში აქტიურად ნერგავდნენ „კომუნისტურ ქორწილს“, „კომუნისტურ ნათლობას“, კომუნიზმის საქმისადმი თავდადებული ადამიანების მემორიალების („წმინდა ადგილები“) მონახულებას და ა.შ.

სერგო ორჯონიკიძე და სხვა ქართველი კომუნისტი ლიდერები თავისი მონაწილეობით ცდილობდნენ ახალი კომუნისტური დღესასწაულების მასობრივ კულტივირებას. ასეთი ღონისძიებები, როგორც წესი, ფაბრიკა-ქარხნებში იმართებოდა. „კომუნისტური ნათლობის“ დროს ბავშვებს სა-

ხელად არქმევდნენ: ორჯონიკას, ვლადლენს, მარატს, კიმს, მელორს და ა.შ. და ა.შ.

საგანმანათლებლო პროექტების სარეალიზაციოდ კომუნისტურ პარტიას აუცილებლად სჭირდებოდა შემოქმედებითი ინტელიგენცია – მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე აღზრდილი უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები. საქართველოს კომპარტიას ასეთი ინტელიგენცია ყავდა, მაგრამ საკმაოდ ცოტა: ალ. სვანიძე, მ. ტოროშელიძე, ფ. მახარაძე და სხვ. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საქართველოში საჭირო იყო ახალი – საბჭოთა ინტელიგენციის აღზრდა, მაგრამ ამას დრო სჭირდებოდა. სანამ ეს ამოცანა შესრულდებოდა, უნდა მომხდარიყო გარკვეული კომპრომისი ძველ შემოქმედებით ინტელიგენციასთან, რომელიც საკმაოდ ბევრი იყო საქართველოში და ამავე დროს, გამოირჩეოდა საკმაოდ მაღალი ხარისხით.

ვ.ი. ლენინის მითითებით საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერებმა, თვითონ სერგო ორჯონიკიძემ, გადადგა პირველი ნაბიჯები საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენელის გადმოსაბირებლად. უკვე 1921 წლის 4 მარტს ქართველი კომუნისტების ერთ-ერთი ლიდერი შ. ელიავა შეხვდა თბილისის ინტელიგენციის წარმომადგენლებს და დაპირდა ყოველმხრივ დახმარებას. კეთილგანწყობის დასადასტურებლად თბილისის შემოქმედებით ინტელიგენციას აჩუქეს წარმატებული ბიზნესმენის ა. ხოშტარიას სახლი, სადაც განთავსდა „ხელოვნების სასახლე“.

ძველი ინტელიგენციის კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად, უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა მატერიალური დახმარების ეფექტიანი პროექტი, რომელიც გათვლილი იყო დაახლოებით 140 თვალსაჩინო და დამსახურებულ მოღვაწეზე, მათ ოჯახებზე. ამ სიაში შევიდნენ: ილია ჭავჭავაძის ქვრივი ოლღა გურამიშვილი, ვაჟა ფშაველას ოჯახი, მწერალი არტურ ლაისტი, ქართველი მწერლები: ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კლდიაშვილი, მსახიობი ვასო აბაშიძე, კომპოზიტორები: დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ღვაწლმოსილი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი და მრავალი სხვა.

ე. ჩერქეზიშვილი

„ვინ არ იცის, რომ თქვენ დიდ ყურადღებას აქცევთ საზოგადოდ მსახიობებს და განსაკუთრებით ქართველ მსახიობებს. მეც წილად მხვდა თქვენგან უხვად გაცემული...

ელისაბედ ჩერქეზიშვილი
განათლების სახ. კომისრის დ. კანდელაკისადმი
გაგზავნილი პირადი წერილი (ამონარიდი)

კომუნისტების მცდელობამ გარკვეული შედეგი გამოიღო – ქართველი ინტელიგენციის ერთი ჯგუფი ჩადგა კომუნისტების სამსახურში: გრიგოლ რობაქიძე წლების მანძილზე განათლების სახალხო კომისარიატში

განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მწერალი გერონტი ქიქოძე, რომელიც ახალგაზრდობაში ი. სტალინთან თანამშრომლობდა და რადიკალური შეხედულებებით გამოირჩეოდა, გერმანიაში საბჭოთა საქართველოს ელჩად შეარჩიეს. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული გამიჯვნის სამთავრობო კომისიაში აქტიურად თანამშრომლოდნენ მეცნიერი პავლე ინგოროყვა და სოლომონ მაჩაბელი.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულ „აკადემიურ ცენტრში", რომელსაც განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის ახალი პროექტები უნდა წარმოედგინა, აქტიურად თანამშრომლობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, გ. ნათაძე, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ა. რაზმაძე, დ. უზნაძე და სხვები.

„...ხელოვნება ყოველთვის წინ უძღვის რევოლუციას, დიდებული მწერლები ყოველთვის წინასწარ გამოიცნობდნენ ხოლმე ახალ გზას. დიდებული კომპოზიტორი სკრიაბინი უნდა ჩაითვალოს რუსეთის რევოლუციის წინასწარმეტყველად... ქართული ხელოვნება მთლიანად იღებს ლოზუნგს ხელოვნება მასებისაკენ. ოთახიდან ქუჩაში. ხელოვნება თანამგზავრია რევოლუციის...

პაოლო იაშვილი (1921 წ. 27 მარტი)
თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის ამონარიდი

კომუნისტური რეჟიმის პირველ წლებში, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას არ გაურბოდა დიდი ივანე ჯავახიშვილიც. ის, როგორც თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, ხშირად აწუხებდა განათლების სახალხო კომისარიატს უნივერსიტეტისათვის აუცილებელი და გადაუდებელი მატერიალური თუ ტექნიკური დახმარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლებაც კეთილგანწყობით პასუხობდა მის ამ ლოიალურ დამოკიდებულებაზე.

„...ვინაიდან, მთელი წლის განმავლობაში, განუწყვეტლივ ეწეოდით ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას, ამ ზაფხულს, თუ გსურთ, ისარგებლეთ დამსახურებული შვებულებით. კომისარიატი გაძლევთ ერთდროულ დახმარებას 15 მილიონს...

დიმიტრი კანდელაკი (1921 წ. 10 აგვისტო)
საქართველოს განათლების სახალხო კომისრის
პირადი წერილი ივ. ჯავახიშვილს (ამონარიდი)

საქართველოს სახკომსაბჭომ თავის სხდომაზე არაერთხელ განიხილა ახალგაზრდა კ. გამსახურდიას თხოვნა საზღვარგარეთ განათლების გასაგრძელებლად წასვლაზე თანხმობის მიცემის შესახებ. მისი მივლინება საფრანგეთსა და გერმანიაში წარმატებით განხორციელდა. მაგრამ, როცა მისმა კრიტიკოსებმა საქართველოში მის წინააღმდეგ უღირსი პიარი ააგორეს და მას საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა საქმიანობაც კი დააბრალეს. კ. გამსახურდიამ არ დაიზარა და საზღვარგარეთიდან საკმაოდ ლოიალური, დიდი წერილი გამოუგზავნა საქართველოს განათლების კომისარს.

„...მე, მუდამ ვადიარებდი, როგორც იქ, ისე აქ, რომ განათლების კომისარმა ჩემი უცხოეთში გამგზავრების დროს შეძლებისამებრ ხელი შემიწყეთ და ასეთი ჩემი საქციელი, რომ მას ადგილი ჰქონდეს, ყოველივე ბუნების გარეშე იქნებოდა... ვისაც მე კომისარიატის წინაშე დავუსმენივარ, იმას ძალიან ბუნდოვანი უნდა ჰქონდეს ევროპის ცხოვრებაზე... შეძლებისამებრ დავბრუნდები საქართველოში და მართლაც თუ რაიმე ფაქტიური საშუალება ექნება მთავრობას იმის დასამტკიცელად, რომ მე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ევროპაში აგიტაციას ვეწეოდი, მე სრულიად დამშვიდებული შევურიგდები უმკაცრეს სასჯელს.“

კონსტანტინე გამსახურდია (1923 წ. ნოემბერი)
განათლების სახ. კომისრის დ. კანდელაკისადმი
გაგზავნილი პირადი წერილი (ამონარიდი)

კ. გამსახურდია მარჯვნიდან მეორე

ძველი ინტელიგენციის ქმედითუნარიანობის, მისი ფრონდირების გასანეიტრალებლად და, რაც მთავარია, მისთვის სერიოზული კონკურენტების შესაქმნელად, კომუნისტურმა პარტიამ დაისახა მიზნად ე.წ. „წითელი პროფესურის“ ჩამოყალიბება. ესენი აუცილელად უნდა ყოფილიყვნენ მუშებისა და ღარიბი გლეხობის შვილები, სწორედ მათ უნდა დაეკავებინათ უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ცენტრებში, პოეზიის ოლიმპზე თუ ხელოვნების გალერეებში ძველი ინტელიგენციის კუთვნილი ადგილი. ამ ამოცანის მიღწევა ადვილი არ იყო, მაგრამ ამისათვის მტკიცე საფუძველი თავიდანვე შეიქმნა.

მუშებისა და უღარიბესი გლეხების წარმომადგენლებისათვის ხელის შესაწყობად, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე, დაწესდა განსაკუთრებული პრივილეგიები – მათ უგამოცდოდ იღებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. მიუხედავად იმისა, რომ გლეხობას იმჟამად არა ჰქონდა პასპორტი, ამას ხელი არ შეუშლია საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდები ჩაებარებინა სოფლის ათასობით ახალგაზრდას.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში რამდენჯერმე მოეწყო „აკადემიური წმენდა“, რაც გულისხმობდა, სოციალურად არასაიმედო პირებისაგან (თავადაზნაურობის, სასულიერო წოდების, ყოფილი მმართველი პარტიის წევრებისა თუ თანამგრძნობების შვილებისაგან) განთავისუფლებას. იდევნებოდნენ სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების ანტისაბჭოთა პარტიების წევრები, თანამგრძნობები. ასეთ პროფესურას დევნიდნენ, ან სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ.

მოგვიანებით შეიქმნა „მუშათა ფაკულტეტები“ („მუშფაკები“), რომლის მიზანი იყო მუშათა კლასის გამორჩეული ნაწილის აქტიური ჩაბმა უმაღლესი განათლების სისტემაში. რა თქმა უნდა, ასეთი ინტელიგენცია სოციალურად საიმედოც იყო და მიზნებიც გაუმართლა მმართველ პარტიას. ამ წრიდან გამოვიდა ძალიან ბევრი ღირსეული ქართველი მეცნიერი და ხელოვანი, რომლებმაც მთელი სამეცნიერო სკოლები და ხელოვნებაში გამორჩეული მიმართულებები შექმნეს (აკად. ი. კაჭარავა, აკად. გ. ხარაძე, ბალერონი ვ. ჭაბუკიანი, მსახიობი კ. დაუშვილი და სხვ.)

თუმცა ფაქტია, რომ იყვნენ ლოიალურად განწყობილი ძველი თაობის პროფესორებიც, ხელოვნების დარგის მოღვაწენიც, რომლებმაც ადვილად გამოავლინეს ადაპტაციური თვისებები და კარგად მოერგნენ ახალ დროებას. მათ მიმართ საბჭოთა ხელისუფლებას თავისი სპეციფიკური პროექტები ჰქონდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა სახელმწიფომ ძალიამ მალე მონოპოლური სისტემა დაამკვიდრა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ კულტურის სფეროშიც. საბჭოთა სახელმწიფოში სპონსორიც, მეცენატიც, ხელოვნებისა და კულტურის დამფინანსებელი მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფო შეიძლება ყოფილიყო – ის ფლობდა ფინანსურ რესურს, რაც ყოველთვის ასე აუცილებელია მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის სხვადასხვა დარგის განსავითარებლად. ეს ჭეშმარიტება ძალიან მალე გახდა ნათელი და პირველ რიგში ეს შეეტყო ქართულ კინომატოგრაფიას.

მართალია, ქართული კინო თავის არსებობას 1915 წლიდან იწყებს და დემოკრატიული საქართველოს პერიოდში მოხერხდა მხოლოდ ერთი მხატვრული ფილმის – „ქრისტინეს“ გადაღება, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ კინოს ძლიერი საფუძველი ჩამოუყალიბდა და განუვითარდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში და, აქედან გამომდინარე, მან ყველაზე უფრო აშკარად განიცადა იდეოლოგიური წნეხის სიმწვავე. საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე კარგად განსჭვრიტა კინოს – როგორც სინთეზური ხელოვნების უდიდესი აღმზრდელობითი და პროპაგანდისტული შესაძლებლობები და თავიდანვე ხელოვნების ეს დარგი მტკიცედ ჩააყენა საბჭოთა იდეოლოგიურ სამსახურში.

“წითელი ეშმაკუნები”

საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში ქართული კინოს მთავარი შინაარსი იყო მუშათა და უღარიბეს გლეხთა ცხოვრება, კაპიტალიზმის პირობებში მათი სიდუხჭირე, სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობის დასაბუთება, ახალი სოციალისტური ყოფის პროპაგანდა. ამისათვის თავიდანვე გამორჩეული ყურადღება მიენიჭა ქართული ლიტერატურის იმ ნიმუშებს, რომლებიც კაპიტალიზმის მანკიერებაზე, ადამიანების დუხჭირ ყოფაზე მოუთხრობდნენ მკითხველს (ე. ნინოშვილის, ლ. არდაზიანის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილის და სხვათა მხატვრული ლიტერატურა).

პირველი ქართული ფილმები მკვეთრი სოციალური ჟღერადობით გამოირჩეოდნენ: „არსენა ჯორჯიაშვილი“ (სცენარი შ. დადიანი, რეჟისორი ივ. პერესტიანი), „სურამის ციხე“ (ლ. არდაზიანის მოთხრობის მიხედვით), „ქარიშხლის წინ“ (რეჟისორი კ. მარჯანიშვილი) და მრავალი სხვა.

დიდი მოწონება და საყოველთაო აღიარება მოიპოვა თბილისის კინოსტუდიაში გადაღებულმა მხატვრულმა ფილმმა „წითელი ეშმაკუნები“

(რეჟისორი ივ. პერესტიანი). ფილმი მთლიანად პასუხობდა საბჭოთა პროპაგანდის ყველა კრიტერიუმს, გამოირჩეოდა რევოლუციური აღმაფრენით და მაღალი აქტიორული შესრულებით. ფილმი საკავშირო ეკრანზე უჩვენეს და როგორც მაყურებლების, ისე პროფესიონალი კრიტიკოსების წარმოუდგენლად მაღალი შეფასება დაიმსახურა.

„წითელი ეშმაკუნებით“ სახკინმრეწვმა აჩვენა ჩვენს რეჟისორებს, თუ როგორ უნდა დავდგათ საბჭოთა ფილმი. ბევრი დაგვეთანხმება ჩვენ, თუ ვიტყვით: „წითელი ეშმაკუნები“ დღემდე გარდაუვალია. რეჟისორმა პერესტიანმა ამ ფილმში სამოქალაქო ომის მთელი სული და გული ჩააქსოვა“.

«Советский Экран», 1925 г. №33. стр. 23.

ჰეროიკულ-პროპაგანდისტული ფილმების გვერდით თავიდანვე თბილისის კინოსტუდიაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღრმა შინაარსისა და ფსიქოლოგიური სიღრმის სცენარების ეკრანიზაციას. ქართული ფილმის უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს ცნობილი თვალსაჩინო მწერლის გ. წერეთლის ჩინებული რომანის „პირველი ნაბიჯის“ ეკრანიზება, რომელსაც ფილმის ავტორებმა „სამი სიცოცხლე“ შეარქვეს (სცენარი და რეჟისურა ივანე პერესტიანის). ამ ფილმში განსაკუთრებით გამოვლინდა ქართული კინოს ლეგენდის – ნატო ვაჩნაძის ბრწყინვალე ოსტატობა, მთავარი გმირის – ესმას როლის ურთულესი პასაჟების მისეული ინტერპრეტაციის განსაკუთრებული სიღრმით გამოირჩეოდა. მას პარტნიორობას უწევდა ახალგაზრდა, დამწყები მსახიობი მიხეილ გელოვანი, მოგვიანებით სტალინის როლის ყველაზე გამორჩეული ინტერპრეტატორი მთელ საბჭოთა კავშირში.

ნ. ვაჩნაძე

გასაბჭოების პირველ ხანებში სერიოზული პრობლემები იდგა ქართული თეატრის წინაშე. კინოსაგან განსხვავებით, მისი ემოციური ზემოქმედების მასშტაბები ერთობ მოკრძალებული იყო (რესპუბლიკაში სულ რამდენიმე პროფესიული თეატრი არსებობდა), მაგრამ ისინიც თავიდანვე ჩააყენეს საბჭოთა პროპაგანდის სამსახურში. საქართველოს განათლების სამინისტროში მწერალი გრ. რობაქიძე სწორედ თეატრალურ კოლექტივებს კურირებდა და სწორედ ის იღებდა აქტიურ მონაწილეობას თეატრების რეპერტუარის განსაზღვრის რთულ პროცესში.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი არის კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი. მან, როგორც მისი ბიოგრაფიული ქრონიკები მიუთითებენ, თავიდანვე დაუჭირა მხარი ოქტომბრის რევოლუციას და თავისი პირველი რევოლუციური სულისკვეთებით გაჟღენთილი სპექტაკლები რუსეთის სხვადასხვა ქალაქში დადგა, მათ შორის დედაქალაქებშიც კი. ითვლება, რომ როცა საქართველოში (1922 წ.) მან რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, სწორედ მაშინ დაიბადა ქართული საბჭოთა თეატრი.

კოტე მარჯანიშვილმა შემოიკრიბა უნიჭიერესი მსახიობების მთელი პლეადა: უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვები. იმჟამად ქართველი მსახიობები პროფესიონალური ოსტატობის გარკვეულ სიმაღლეებს უკვე აღწევდნენ და მაყურებლების დამსახურებულ ოვაციებს იწვევდნენ.

ს. ახმეტელი და კ. მარჯანიშვილი

რევოლუციური ჟღერადობის სპექტაკლების გარკვეული ნაწილი, კოტე მარჯანიშვილმა მეტად ნიჭიერ ახალგაზრდა რეჟისორთან, სანდრო ახმეტელთან ერთად მოამზადა. ს. ახმეტელი ფანტასტიკური ენერგიის კაცი იყო და ვერ იტანდა რუტინას, დახავსებულ თეატრალურ ნორმებს. მას სცენაზე რევოლუციური ენერგიით აღვსებული პერსონაჟები სჭირდებოდა. მან რუსთაველის თეატრში შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდობის ძლიერი ჯგუფი „დურუჯი“. ეს ახალგაზრდები, მათი აზრით, ახალ ქართულ თეატრს ქმნიდნენ. მალე გამოაქვეყნეს თავისი კრედოც, სადაც ჩამოყალიბებულია მათი ესთეტიკური შეხედულებები.

„...არტისტი გიჟი, არტისტი ცეცხლოვანი... შფოთი... გოროზი. არტისტი ფაფარაყრილ რაშზე... კადნიერი...რიხიანი. კენტავრი ვეფხვებით საერთაშორისო კარნავალში, მარჯნისფერი მზე „დურუჯი“...

მსახიობთა კოორპორაცია „დურუჯი“ (1924 წ.)

საყოველთაოდ არის მიჩნეული, რომ სწორედ ეს კოორპორაცია დაეხმარა ქართულ თეატრს დაეძლია არსებული კრიზისი, ჯგუფის წევრები თვლიდნენ, რომ საკაცობრიო კულტურის მიღწევათა ათვისებასთან ერთად აუცილებლად საჭირო იყო ეროვნული თავისებურებების, ტრადიციული ფასეულობების გათვალისწინებაც.

გამორჩეული მდგომარეობა დაიკავა ქართულ თეატრში ახალგაზრდა ნიჭიერმა რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ. ის ერთნაირი ენერგიით მუშაობდა, როგორც კინოშიც, ისე ოპერასა და თეატრშიც, რის გამოც ამ რეჟისორის შრომა არა ერთი სახელმწიფო ჯილდოთი წახალისდა. აღსანიშნავია, რომ ალ. წუწუნავა უპირატესად ქართველი კომპოზიტორების ოპერების დადგმით გაითქვა სახელი. სწორედ მან განახორციელა გენიალური ზ. ფალიაშვილის „დაისის“, დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ვ.დოლიძის „ქეთო და კოტე“-ს პრემიერები.

იმჟამად, განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა ქართულ ლიტერატურაში, რომელშიც კრიზისის ნიშნები ადრეც შეიმჩნეოდა, ხოლო საქართველოს ძალმომრეობითმა გასაბჭოებამ ქართულ ლიტერატურაზეც საგრძნობლად იმოქმედა: დაიწყო „განფენების“ პროცესი. არსებობდა მწერალთა სხვადასხვა დაჯგუფება: „არიფიონი“, „ცისფერი ყანწები“, „აკადემიური ასოციაცია“ და სხვ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობას ხელი არ შეუშლია ქართველი მწერლების გარკვეული ნაწილისათვის თავი შეეკავებინათ ურთიერთდაპირისპირებისაგან, კინკლაობისა და ერთმანეთის მიმართ აშკარად მტრული გამოხდომებისაგან. საბჭოთა ხელისუფლება

ჩინებულად იყენებდა ამ შესაძლებლობებს და ახერხებდა თავის მხარეზე ბევრი ცნობილი და დამსახურებული მწერლისა თუ პოეტის გადმობირებას.

1921 წლის 17 დეკემბერს შეიქნა პროლეტარ მწერალთა ასოციაცია. თბილისის ხელოვნების სასახლეში ჩატარდა მათი დამფუძნებელი სხდომა. მას ესწრებოდნენ იონა ვაკელი, იაკინთე ლისაშვილი, სილიბისტრო თოდრია და სხვ. სტუმრის სტატუსით მას დაესწრო ტიციან ტაბიძეც. ამ ასოციაციის წევრებს მუდამ გარანტირებული ჰქონდათ საბჭოთა სახელმწიფოს მხარდაჭერა: ხელშეწყობით, მატერიალური თუ მორალური წახალისებით, სახელმწიფო ჯილდოებით. ისინიც ხშირად წერდნენ და აქვეყნებდნენ თავის ნაშრომებს კომუნისტურ პრესაში.

„წითელი ფრთები დავკრა არაბეთს,
ძველი ახალზე გადავუნაცვლო,
გზები შევუკრა რურში საფრანგეთს,
და პუანკარეს ფერი ვუცვალო.
გადავიარო დიდი ინგლისი,
არ შევეპუვო კლდეებს და კორდებს,
კერზონს ჩავუდო თავში სინდისი,
ჩამოვაცალო ნიღაბი ლორდებს “
მუშა პოეტი

რა თქმა უნდა, კომუნისტურ პარტიას საკუთარი კულტტრეგერული პოლიტიკა თავიდანვე ჰქონდა და მას თანმიმდევრულად და საკმაოდ პრინციპულადაც ახორციელებდა. თუმცა ამ პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში მაინც შესამჩნევი იყო განსხვავება, გამოიკვეთა გარკვეული ეტაპებიც. ეს პოლიტიკა იყო საკმაოდ მოქნილი და გარკვეულ ევოლუციურ კანონებსაც ემორჩილებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ეს იყო ეროვნული, ტრადიციული ფასეულობებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება, ინტერნაციონალისტური სულისკვეთების ტოტალური დამკვიდრება და ა.შ.

ი. ლისაშვილი
მეუღლესთან ერთად

„ქართველის“ მაგივრად „საბჭოთა“. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, განსაკუთრებით, დიდი იყო რწმენა პროლეტარიატის ინტერესების უპირატესობისა, რომ ეროვნული საკითხი, ქართველობის იდენტობის საკითხი, ქართული სახელმწიფოებრიობის საკითხი არის მეორადი, დაქვემდებარებული; რომ კომუნიზმის პერიოდში აღარ იარსებებენ ერები, მოხდება ერების შერწყმა, საყოვლთაოდ მოიშლება საზღვრები – კლასობრივი საზოგადოების მთავარი მახასიათებელი, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საფუძველს ჩაუყრის ადამიანთა შორის ყველაზე სამართლიან, ყველაზე ჰუმანურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

„...ამხ. ფილიპე აღნიშნავს, რომ, რული მართვისა მუშების ხელშია. მე არ ვეთანხმები მას ამაში: ჯერჯერობით მართვის რული ჩვენი პატივცემული ამხანაგების ხელშია. ჩვენ მათი გვჯეროდა და გვჯერა. მაგრამ როცა მუშები მართვის რულს მართლაც თავის ხელში აიღებენ, აი მაშინ აღარ იქნება ის დაპირისპირებები, რომლებიც დღეს შეიმჩნევა... მე თანახმა ვარ ეროვნული თვითგამორკვევის, მაგრამ არ მინდა, რომ ჩემი პარტია მიცურავდეს შოვინისტურ პარტიებთან ერთად.

დელეგატი ობოლაძე (1921 წ. 5 ივნისი)
საქართველოს კპ(ბ) თბილისის I პარტკონფერენციის
სტენოგრამა (ამონარიდი)

ყველაფერი ეროვნული, ტრადიციული გამოცხადდა დრომოჭმულად, არქაულად, რომლის წინააღმდეგ მოწინავე პროლეტარს ყველა ფორმით და ყველა საშუალებით უნდა ებრძოლა. სახელმწიფო ყოველმხრივ ახალისებდა ტრადიციული ფასეულობების ნგრევას და მის ადგილზე ახალი, საბჭოთა ტრადიციების, ცხოვრების წესის კულტივირებას.

ამ მიმართულებით საქართველოშიც ბევრი გაკეთდა. რუსეთიდან გადმოიღეს „კომუნალური ბინების“ შექმნის პრაქტიკა, რაც ჩაითვალა ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად, კოლექტივისტური სულისკვეთების დანერგვის მთავარ ფორმად.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სოფლებში იქმნებოდა კომუნები – კომუნისტური პრინციპებით დატვირთული თვითკმარი სოციო-კულტურული უჯრედები.

ქალაქებისთვის კი აუცილებელი გახდა კომუნალური საცხოვრებელი სახლის ფორმირება. ასეთ ბინებში რამდენიმე ოჯახს ერთად უნდა ეცხოვრა, მათ საერთო ექნებოდათ სამზარეულო, სველი წერტილები. ისინი დღის განმავლობაში ინტენსიურ ურთიერთობაში შევიდოდნენ ერთმანეთთან და განავითარებდნენ ერთად ცხოვრების, თანამშრომლობის, ურთიერდახმარების ჯანსაღ ტრადიციებს. ეს პროექტი განახორციელეს მუშათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მოტივით და ის გაკეთდა ქალაქის ბურჟუაზიის, თავადაზნაურებისა თუ მდიდარი ადამიანების საცხოვრეელი ბინების კონფისკაციის ხარჯზე. საქართველოს კომპარტიამ ამ მიზნით შექმნა სპეციალური „მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების“ კომისია, რომელსაც თავისი წარმომადგენლობა ჰქონდა ყველა ქალაქში. სწორედ ისინი ძალმომრეობით ახორციელებდნენ ქალაქის მდიდარ კვარტლებში გარეუბნებიდან სარდაფებში მცხოვრები მუშების, რესპექტაბელურ ბინებში ჩასახლებას. როგორც წესი, ცდილობდნენ, რომ მეზობლებად ყოფილიყვნენ ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, რომ პროლეტარულ ინტერნაციონალურ გარემოში ჩამოყალიბებულიყო ახალი საბჭოთა ფასეულობები.

„განიხილეს – მუშების განსახლება გარეუბნიდან ცენტრში.

დაადგინეს – ცენტრის 1, 3, 7, 9, 10 რაიონებში ჩასახლება არ შეიძლება. მუშები უნდა ჩასახლდნენ 2, 4, 5, 6, 8, 11, 12 რაიონებში. ... წინასწარ მუშათა კავშირმა უნდა დაჯავშნოს სახლი. მუშათა კომისია ათვალიერებს მას, განსაზღვრავს ოთახების ოდენობას, გაბარიტს, ხარისხს. შემდეგ მუშათა კრება ირჩევს კომენდანტს და სამოსახლო სახლში აწარმოებს გამოსახლებას. გამოსახლებას

არ ექვემდებარებიან: 1. სახლის პატრონი; 2. ექიმი; 3. ფიზიკური შრომით დაკავებული; 4. რკინიგზის მოსამსახურე; 5. კომუნისტური პარტიის წევრი; 6. ადამიანი, რომელიც საჭიროა მუშათა ამ კავშირისთვის სხვადასხვა მოსაზრებით.“

„მუშათა ყოფითი პირობების გაუმჯობესების კომისიის“
მუშაობის შემსწავლელი კომისიის ოქმი. 1921 წ. (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 1, ს. 143, ფურც. 51.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იყო ტრადიციული ოჯახის ნგრევის სერიოზული მცდელობა. ამის აუცილებლობას მარქსიზმის ფუძემდებლური დოგმაც აყენებდა – ოჯახი კერძო საკუთრების წარმოშობის განმაპირობებელ ფაქტორად ითვლებოდა. ოჯახის ნგრევას საბჭოთა რუსეთში დიდი აგიტაცია უტარდებოდა, ცნობილი რევოლუციონერი ქალი ალექსანდრე კოლონტაი (პირველი დიპლომატი ქალი მსოფლიოში) ამ იდეის აღიარებული პროპაგანდისტი იყო. ძალიან გაამარტივეს განქორწინება, ყველანაირად ცდილობდნენ ქალის სოციალურ აქტივიზებას, მის გამოყვანას ოჯახის პატრიარქალური გარემოს ზეგავლენისაგან და აქტიურ ჩაბმას სოციალისტურ აღმშენებლობაში, საბჭოთა მართვის სტრუქტურებში. ეს ნოვაცია საქართველოში განსაკუთრებით რთული შესასრულებელი ამოცანა იყო, მაგრამ ამას ძალიან ხშირად ძალის გამოყენებით, ზემოქმედების სხვადასხვა ფორმით აღწევდნენ. ამან საქართველოს მთაში და მაჰმადიანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში ზოგჯერ აჯანყებაც კი გამოიწვია.

ქართველი ბოლშევიკები

ასეთი რადიკალური გარდაქმნების გატარება, რა თქმა უნდა, მოითხოვდა მისი აღმსრულებელი ადამიანების არა მარტო ძალადობრივ მობილიზებას, არამედ ის გულისხმობდა გარკვეული რწმენის არსებობასაც. სწორედ ეს რწმენა აკეთებინებდა რიგით კომუნისტს იმ საქმეს, რაც იწვევდა მისი ეროვნული თუ ტრადიციული ფასეულობების რღვევას.

საქართველოში კომუნისტური რწმენის ადამიანი, ფანატიკოსი, იმჟამად ცოტა არ იყო. ძალიან საინტერესოა მათი აზროვნების სტილი, შეხედულებების მასშტაბები, რადიკალიზმის ამპლიტუდა.

„...მუშური უნდა გახდეს სასამართლო, რაც იმას ნიშნავს რომ, როცა მოსამართლის წინაშე დგას ბურჟუა და მუშა, სასამართლომ მუშა უნდა გაამართლოს.

შეკითხვა – მუშამ რომ ბურჟუას ცოლი გააუპატიუროს, როგორ უნდა მოიქცეს მოსამართლე?

– ერთი კი არა, რამდენიმე ბურჟუას ცოლიც რომ გააუპატიუროს, სასამართლომ მუშას კეთილგანწყობა უნდა დაუმტკიცოს და გაამართლოს.

საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი

თბილისის IV რაიონის პარტიული კრების
სტენოგრამა (1923 წ.) (ამონარიდი)

ო. ოკუჯავა

ეს პარტიული ფანატიზმის გამოვლენის ტიპიური შემთხვევაა, რომლის მატარებელი მაშინ ბევრი იყო და ეს განწყობილება სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა საზოგადოებას. ასეთ ადამიანებს ღრმად სწამდათ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჭეშმარიტება და მიაჩნდათ, რომ მსოფლიოს მომავალი – კომუნისტური პროლეტარული სახელმწიფოა, ამიტომაც ეს ადამიანები დაუნდობლად, შემართებით და მომავალი კომუნისტური პერსპექტივების სახელით აკეთებდნენ აშკარა ძალადობას და ამას ამართლებდნენ „კლასობრივი ბრძოლის“ აუცილებლობით, წარსულში, გაბატონებული კლასების ბატონობის დროს, მათ მიერ გადატანილი ექსპლუატაციის, შევიწროვების თუ უგულისყურო დამოკიდებულების შური საძიებლად. ეს სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორი ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო და ის ბევრ ღირსეულ ადამიანს აქეზებდა მომავლის სახელით ბოლომდე გაეტარებინა დაგეგმილი რეპრესია.

„შანხაი დაეცა (იგულისხმება კომუნისტების მიერ ამ ქალაქის დაკავება – ა.დ.) რა სასიამოვნოდ იმოქმედა ამ ფაქტმა. შანხაი დაეცა – იმეორებს მსოფლიო. ეს სიმბოლოა მსოფლიოს ერთ ნაწილში ტირანიის დაცემისა. ეს რევოლუციაა! თვალწინ მიდგას ჩინელების დაღლილი სახე, გაცისკროვნებული ბედნიერებით. ისინი გაბედულად მოაბიჯებენ მაისის წითელი დროშებით, მხიარული მარშით. ამ ხმების გამგონე მსოფლიოს ერთი ნაწილი ცოფებს ყრის, მეორე ზეიმობს. მსურს შევუერთდე ამ საერთო სიხარულს და მათთან ერთად გამარჯვების ჰიმნი ვიმღერო“.

ოლღა ოკუჯავა (გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე)
ამონარიდი პირადი დღიურიდან (1927 .)

როცა განათლებული ქალი, სახელგანთქმული პოეტის მეუღლე ასეთ „ჰიმნებს“ მღერის და ასე აღფრთოვანებული განიცდის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამარჯვებას მსოფლიო არენაზე, რა უნდა ითქვას რიგით მუშა ქალებზე, ძალაუფლების საჭესთან მისულ გუშინდელ „მონებზე“, პროლეტარებზე, რომლებმაც „დაკარგეს ბორკილები და მოიპოვეს მთელი ქვეყნიერება!“

1925 წლისათვის საქართველოში უკვე საკმაოდ მძლავრად და საკმაოდ დიდი მასშტაბით კომუნისტური ცნობიერება იკრებდა ძალებს. ეროვნული ნიჰილიზმი, წარსულისადმი ზედმეტად კრიტიკული დამოკიდებულება, საერთო სურვილი – ყველაფერი დაეწყოთ „სუფთა ფურცლიდან“, ყოველგვარი ტრადიციისა, თუ ეროვნული ფასეულობის იგნორირების საფუძველზე, უკვე რეალური გახდა. ეს ტენდენცია ძლიერდებოდა ყოველ

ეკონომიკურ წარმატებასთან, სამეურნეო თუ კულტურულ მიღწევასთან ერთად. ამ საქმეში სერგო ორჯონიკიძის დამსახურებაც რელიეფური იყო.

მაგრამ მოსკოვში ვითარება ისე განვითარდა, რომ სტალინს სასწრაფოდ დასჭირდა ცენტრში თავისი მხარდამჭერების რიგების გამაგრება – მან სერგო ორჯონიკიძე მოსკოვში გაიწვია.

თავი III. მამია ორახელაშვილი

მ. ორახელაშვილი

მემკვიდრეები. ვ. ი. ლენინი 1924 წლის 21 იანვარს ისე გარდაიცვალა, რომ თავისი დაგეგმილი დიდი სოციალური ექსპერიმენტი ბოლომდე განუხორციელებელი დარჩა. ის ძალიან დიდხანს ავადმყოფობდა, ფაქტობრივად ჩამოშორდა სახელმწიფოს მართვის სადავეებს და აშკარად ხედავდა, როგორ ეცლებოდა ძალაუფლება ხელიდან. მის ადგილს მისი მოწაფეები იკავებდნენ. ეს ლენინს მეტად აგრესიულს ხდიდა იმათ მიმართ, ვინც მას თავის მემკვიდრედ ესახებოდა. სწორედ ასეთი უარყოფითი ენერგეტიკის მომძლავრების პერიოდში უკარნახა ლენინმა თავის სტენოგრაფისტ ქალებს თავის ე.წ. „ანდერძი“, ანუ „წერილი ყრილობას“, სადაც მან გამოკვეთა კომუნისტური პარტიის ორი ლიდერი, რომელიც, მისი აზრით, შეძლებდნენ გაძღოლოდნენ მის მიერ დაწყებულ საქმეს: ლევ ტროცკი და იოსებ სტალინი.

„მე ვფიქრობ, რომ ძირითადად ჩვენი მდგრადობის საკითხთან დაკავშირებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ცკ-ას ისეთ წევრებს, როგორიცაა სტალინი და ტროცკი. მათ შორის ურთიერთობას, ჩემი აზრით, აქვს ძალიან დიდი ხვედრითი წილი იმ შესაძლო განხეთქილების საშიშროებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული...

ვ.ი. ლენინი (1922 წ. 24 დეკემბერი)

ლენინის გარდაცვალების შემდეგ, მისი მემკვიდრის საკითხი საქართველოშიც დადგა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საკითხი სპეციალურად განიხილა. დადგენილების შინაარსი აშკარად მიუთითებს, რომ ქართველი კომუნისტი ლიდერების დიდ უმრავლესობას მემკვიდრედ აშკარად ლევ ტროცკი მიაჩნდათ და მათ ი. სტალინს აშკარად იგნორირება გაუკეთეს. 1924 წლის 28 იანვარს შედგა საქ. კპ (ბ) ცკ ბიუროს სხდომა, რომელსაც ესწრებოედნენ: მ. ტოროშელიძე, ფ. მახარაძე, ლ. დუმბაძე, ს. თოდრია, პ. ცინცაძე, მ. ბედია და სხვ. მათ განიხილეს მოსკოვიდან მიღებული წერილი. საკითხი ეხებოდა ვ.ი. ლენინის პოლიტიკური მემკვიდრის შერჩევას: ვის უნდა ეხელმძღვანელა პარტიისათვის „ტრიუმვირატს“ (სტალინი, ზინოვიევი, კამენევი), თუ ძალაუფლება ერთპიროვნულად ხელში უნდა აეღო ლ. ტროცკის.

ამ საკითხზე აზრთა ერთიანობა არ იყო. ფ. მახარაძეს ჰქონდა სხვებისაგან განსხვავებული შეხედულება – მისი აზრით, ლენინი უნდა შეეცვალათ მის უახლოეს მოსწავლეებს და არა ტროცკის: უნდა შექმნილიყო ხელმძღვანელი კოლექტივი, რომელშიც შევიდოდა ლ. ტროცკიც. საწინააღმდეგო თვალსაზრისი ჰქონდა ბიუროს უმრავლესობას: მათი აზრით, ვ.ი. ლენინი უნდა შეეცვალა ლ. ტროცკის.

„დაადგინეს – ბიურო იწონებს მოსკოვის ბიუროს გადაწყვეტილებას ლ. ტროცკის კანდიდატურის შესახებ, რომ მომავალში მთელი მუშაობა უნდა წარმოებდეს ლ. ტროცკის ავტორიტეტის ასამაღლებლად, რასაც უნდა მიეცეს კამპანიური ხასიათი. ამის შემდეგ წამოყენებულ იქნას მისი კანდიდატურა. ბიურო თვლის, რომ აუცილებელია ლ. ტროცკის გამოსვლა თეორიული წერილით და ა.შ.“

საქ. კპ (ბ) ცეკას ბიუროს 1924 წლის 28 იანვრის
ბიუროს დადგენილება (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ.14, აღ. 2, ს. 25, ფურც. 1.

აღსანიშნავია, რომ ტროცკის მხარდამჭერთა შორის არ ფიგურირებს მამია ორახელაშვილის გვარი. როგორც წესი, ის მუდამ ი. სტალინის მხურვალე მხარდამჭერი იყო და არ ფიქსირდება იმჟამად რაიმე ანტისტალინურ პოლიტიკურ ინტრიგაში მისი მონაწილეობა.

მამია ორახელაშვილი პარტიის ერთ-ერთი უძველესი წევრი იყო. ის მეორე თაობის კომუნისტების რიგებს განეკუთვნებოდა. მართალია, თავადაზნაურული წარმოშობის იყო და უმაღლესი სამედიცინო განათლებაც ჰქონდა მიღებული (დაამთავრა სამხედრო-სამედიცინო აკადემია), მაგრამ თავიდანვე მემარცხენე შეხედულებებით გამოირჩეოდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრიანდა 1903 წელს და თავიდანვე ბოლშევიკურ მიმართულებას დაუჭირა მხარი. აქტიური პარტიული საქმიანობის გამო მეფის ჟანდარმერიამ არაერთხელ შეიპყრო და გადაასახლა ის ციმბირის სხვადასხვა კუთხეში.


მ. ტოროშელიძე

მამია ორახელაშვილი მუდამ დიდი ენერგიით გამოირჩეოდა და ძალიან მალე ხელმძღვანელობაშიც დააწინაურეს. სწორედ მან 1920 წლის დეკემბერში, საქართველოს გასაბჭოებამდე რამდენიმე თვით ადრე, რკპ (ბ) ცკ კავბიუროს სხდომაზე გააკეთა დიდი მოხსენება საქართველოში შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. სწორედ ის იყო „შულავერის რევკომის“ იმ წევრებს შორის, რომლებმაც „XI არმია საქართველოში შემოიყვანეს და ამით ამაყობდნენ“ (პოლიტპატიმარ ა. ჭიაბრიშვილის სიტყვით). მამია ორახელაშვილი ძალიან მალე გახდა არა მარტო საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, არამედ მან უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ამიერკავკასიის კომუნისტებს შორისაც. მას გამოარჩევდა არა მარტო საქმის ცოდნა, მარქსისტული დოგმატიკის ღრმა გააზრება, არამედ პრინციპულობა, შეურიგებლობა, ზოგჯერ აშკარა ულმობლობა, კლასობრივი მტრების მიმართ ძალის დემონსტრაციის დიდი სურვილიც.

„...საქართველოში ჩვენ მოვედით, შემოვიჭერით ხიშტებით... საქართველოში ჩვენ გვაქვს ნათელი კლასობრივი დიფერენციაცია და ჩვენ არ შეგვიძლია შემოვიდეთ და საქმე ვაკეთოთ თეთრი ხელთათმანებით. საქართველოში იყო სამოქალაქო ომის პერმანენტული მდგომარეობა...

როდის აქეთ გახდა ძალადობა ის ელემენტი, რომელიც სამარცხვინოა კომუნისტისათვის?..

მამია ორახელაშვილი
საქართველოს კპ (ბ) ცკ 1924 წლის ოქტომბრის
პლენუმის სტენოგრამა (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 2, ს. 9, ფურც. 215.

მამია ორახელაშვილს ძალებს მატებდა ის, რომ იოსებ სტალინის ერთგულ მხარდამჭერად ითვლებოდა და ისიც აქტიურად ჩაება იმ პოლიტიკურ ბრძოლებში, რაც კრემლში განვითარდა 1924 – 1927 წლებში.

როცა, 1926 წელს, იოსებ სტალინმა კრემლში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად მოსკოვში სამუშაოდ გადაიყვანა სერგო ორჯონიკიძე და რკპ (ბ) ცკ-ს პარტიული კონტროლის კომისიის ხელმძღვანელად შეარჩია, საქართველოში მამია ორახელაშვილის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაიზარდა: მამია ორახელაშვილი მთელ თავის შესაძლებლობებს ახმარდა სტალინის მიზანდასახულობათა განხორციელების საქმეს.

ლ. ტროცკი

სოციალიზმი ერთ ქვეყანაში. არაერთხელ აღინიშნა, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში კერძოდ, მუშათა მოძრაობაში, საერთოდ, ჰქონდათ დიდი იმედები მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მოახლოების შესახებ, რომელიც საყოველთაოდ წალეკავდა კაპიტალისტურ საზოგადოებას და დაამყარებდა პროლეტარიატის საყოველთაო ბატონობას. ამ პროცესის გაგრძელებას მოელოდა ყველა – მოსკოვის კრემლის ლიდერები, სადაც კი ამის შესაძლებლობა ეძლეოდათ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყოვლისმომცველი პრინციპებიდან გამომდინარე, ახალისებდნენ რევოლუციის ექსპორტს. მათ მხარს უჭერდნენ დასავლეთ ევროპაში შექმნილი კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელებიც, რომლებიც რუსი ბოლშევიკების მსგავსად, ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდნენ.

რუსეთში ამ აგრესიული მიმართულების ყველაზე მკაფიო და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, რკპ (ბ) ცეკას პოლიტბიუროს თვალსაჩინო წევრი ლევ ტროცკი (ბრონშტეინი). ბოლშევიკების უზარმაზარი არმადები ელოდებოდნენ სამხედრო ყიჟინას, რომ ევროპასა და ამერიკის წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში დახმარებოდნენ ადგილობრივ მუშებს და განეხორციელებინათ პროლეტარული რევოლუციები.

ითვლებოდა, რომ თუ ახლო მომავალში ევროპასა და ამერიკაში არ განხორციელდებოდა სოციალისტური რევოლუციების კასკადი, რუსეთის პროლეტარიატი განწირული იქნებოდა დასაღუპად, ქვეყანში მოხდებოდა კაპიტალიზმის რესტავრაცია.

XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში კი აშკარა გახდა, რომ ევროპა და მთელი მსოფლიო „სტაბილიზაციის ხანაში“ შევიდა – რაც იმას ნიშნავდა, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების (კომუნისტების) მოლოდინი ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ახლო მომავალში „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ გამარჯვებისა, ფუჭი ოცნება აღმოჩნდა. საჭირო იყო ან შეიარაღებული ჩარევით „პროლეტარული რევოლუციების“ ხელოვნური წაბიძგება (ანუ ტროცკის ე.წ. „პერმანენტული რევოლუციის“ რეალიზება), ან რაღაც სხვა, ახალი გზების ძიება, რომელიც ოქტომბრის გადატრიალების შედეგად ძალაუფლებაში მოსულ პროლეტარიატის პარტიას „ახალ საქმეებს“ გაუჩენდა.

ი. ბ. სტალინმა, როგორც პარტიის გენერალურმა მდივანმა, ქვეყანას შესთავაზა ახალი კონცეფცია – „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების“ შესაძლებლობის შესახებ. მისი თვალსაზრისით რუსეთს (ახლა უკვე საბჭოთა კავშირს) ჰქონდა ყველა ის აუცილებელი პირობა, რომელიც კომუნისტური პარტიის ენერგიული ხელმძღვანელობის პირობებში აუცილებლად უზრუნველყოფდა სოციალიზმის ფუნდამენტის მშენებლობას ერთ ქვეყანაში, საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გარეშეც.

„დიახ, – უპასუხა პარტიამ, – სოციალისტური მეურნეობა შეიძლება აშენდეს და უნდა აშენდეს ჩვენს ქვეყანაში, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ ავაშენოთ სოციალისტური მეურნეობა, ავაშენოთ სრული სოციალისტური საზოგადოება ...“

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია (მოკლე კურსი) (ამონარიდი)

გრ. ზინოვიევი

ი. ბ. სტალინის ეს შეხედულება საბჭოთა კავშირში ყველამ არ გაიზიარა: პირველ რიგში ტროცკისტებმა, შემდეგ მათ შეუერთდნენ ზინოვიევისა და კამენევის პოლიტიკური დაჯგუფებები და შეიქმნა ე.წ. „მემარცხენე (ახალი) ოპოზიცია“, რომელიც სტალინსა და მის პოლიტიკურ გუნდს „თერმიდორულ გადაგვარებაში“ ანუ ბურჟუაზიასთან გარიგებასა და კომპრომისებს აბრალებდა.

ი. ბ. სტალინმა ოპოზიციის საპასუხოდ, თავისი შეხედულებების დასასაბუთებლად დაწერა თეორიული ნაშრომი „ლენინიზმის საფუძველების შესახებ“, რომელშიც მან ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობა თავის მსოფლმხედველობით პრიზმაში გარდატეხა და პარტიას შესთავაზა მის მიერ გაგებული ლენინის მსოფლმხედველობა. სტალინის თვალსაზრისით, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება სრულიად შესაძლებელია, თუ კი რეალიზდება სამერთიანი ამოცანა: განხორციელდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მოხდება სოფლის კოლექტივიზაცია და გაიმარჯვებს კულტურული რევოლუცია.

საქართველოში, სტალინის ეს სიახლე თავიდანვე გაიზიარა მ. ორახელაშვილის პოლიტიკურმა დაჯგუფებამ – მ. კახიანმა, ფ. მახარაძემ, შ.

ელიავამ, მ. ცხაკაიამ, ლ. ქართველიშვილმა, ლ. ღოღობერიძემ და სხვებმა, თუმცა იყვნენ აშკარა მოწინააღმდეგენიც: ს. ქავთარაძე, ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა და სხვ. მათ შორის, პოლიტიკურმა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. პარტიულ ფორუმებზე კომუნისტური ოპოზიცია სტალინის მომხრეებს მარქსიზმის რევიზიაში ადანაშაულებდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სერგო ქავთარაძემ, სტალინის ახალგაზრდობის მეგობარმა, ხელი მოაწერა ტროცკისტების მიერ შედგენილ თეზისებს, სადაც გაკრიტიკებული იყო სტალინის ფრაქციის მიერ დაანონსებული „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გეგმა“.

საქართველოს ინდუსტრიალიზაცია. რატომ დაიწყო ინდუსტრიალიზაცია XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში? საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ 1925 წელს ქვეყანაში დასრულდა „აღდგენითი პერიოდი“ ანუ საბჭოთა ეკონომიკამ შეძლო რევოლუციის შემდგომი პერიოდის სიძნელეების დაძლევა და წარმოების ზრდის მაჩვენებლებითა და მისი შედეგებით გაუსწორდა 1913 წელს – მეფის რუსეთის ეკონომიკური განვითარების ყველაზე საუკეთესო და შედეგიან წელს.

მართალია, პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსი და საზღვარგარეთელი ისტორიკოსები (ე. გიმპელსონი, რ. დევისი, გ. დეგტიაროვი და სხვები) ამტკიცებენ, რომ აღდგენითი პერიოდი საბჭოთა სინამდვილეში 1925 წელს კი არა, არამედ შედარებით გვიან, ხოლო ზოგიერთ დარგში XX ს. 30-იან წლების შუა ხანებშიც კი არ იყო დასრულებული, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში, პარტიულმა ხელმძღვანელობამ 1925 წელი ჩათვალა აღდგენითი პერიოდის დასასრულად, როცა უკვე შეიძლებოდა განვითარების ახალ საფეხურზე – ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლა.

ოფიციალურად ითვლება, რომ საკ. კპ (ბ) XIV ყრილობაზე (1925 წლის დეკემბერი) საბჭოთა კომუნისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება ქვეყნის დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

„...რადაც უნდა დაგვიჯდეს განვავითაროთ ჩვენი მსხვილი სახელმწიფო მრეწველობა, დავძლიოთ ჩვენს წინაშე მდგომი სიძნელეები. ხოლო შემდეგ ის, რომ განვავითაროთ ადგილობრივი ტიპის საბჭოთა მრეწველობა... საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ გაჩაღდეს ცხოვრება, სამრეწველო ცხოვრება ყველა რაიონში, ყოველ ოკრუგში, ყოველ გუბერნიაში, ოლქში, ნაციონალურ რესპუბლიკაში. თუ ადგილზე დაფარულ ძალებს არ ავამოქმედებთ სამეურნეო მშენებლობის ხაზით, თუ ყოველმხრივ არ დავეხმარებით ადგილობრივ მრეწველობას, დაწყებული რაიონებითა და ოკრუგებით, თუ არ ავამოქმედებთ მთელ იმ ძალებს, ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო მშენებლობის იმ საყოველთაო აღმავლობის მიღწევას, რომელზეც ლენინი ლაპარაკობდა.

ი.ბ. სტალინი

საკავშირო კპ (ბ) XIV ყრილობის სტენოგრამა (1925 წ.) (ამონარიდი)

საქართველოში ინდუსტრიალიზაცია უკვე დაწყებული იყო: მიმდინარეობდა ზაჰესის მშენებლობა, დასასრულს მიუახლოვდა აჭარის-წყალზე ძლიერი ჰესის აგებაც. პარალელურად მიმდინარეობდა სურამის სატრანსპორტო გადასასვლელის მშენებლობა, შავი ზღვის რკინიგზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, დაიგეგმა ჯულფის სარკინიგზო მონაკვეთის ექსპლოატაციაში შეყვანა და ა.შ. და ა.შ.

სამხრეთ კავკასიის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ცენტრი იყო ჭიათურა, რომლის მარგანეცი მსოფლიოში უნიკალურია და დიდი რაოდენობითაც გაჰქონდათ საზღვარგარეთ. მარგანეცის ექსპორტმა 1925 წელს შეადგინა 23 მილიონი მანეთი (ანუ 1913 წლის მხოლოდ 70%).

ა. ჰარიმანი

ქვანახშირის საბადოები იმჟამად სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ საქართველოში იყო (ტყიბულში, ტყვარჩელში, ახალციხეში). ქვანახშირის ამოღების დარგში საქართველომ გადააჭარბა 1913 წლის დონეს, როცა ქვანახშირის შახტებიდან გამოიტანეს 4 567 ათასი მანეთის მადანი.

საქართველოში ინდუსტრიალიზაციის პროცესი შეეხო მრეწველობის ბევრ დარგს. ჰიდროენერგეტიკის განვითარების პარალელურად საქართველოში 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან უკვე შეიმჩნევა მანქანათმშენებლობის დაწინაურება. ქართველმა მანქანათმშენებლებმა 1926 წლიდან დაიწყეს აბრეშუმის ძაფსახვევი რთული მანქანა-დანადგარების წარმოება, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირში შეწყდა საზღვარგარეთიდან მისი ანალოგების შემოტანა, რითიც დაიზოგა ვალუტა. ამ სიახლემ საქართველოს ეკონომიკის ხელმძღვანელებს შესაძლებლობა მისცა დაეწყოთ აბრეშუმსახვევ-საძახავი ფაბრიკების მშენებლობა, ჯერ თბილისში, შემდეგ რეგიონებში (თელავში, ოზურგეთში, ქუთაისში და ა.შ.).

1928 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ამერიკელ ა. ჰარიმანს, რომელსაც ჭიათურის უნიკალური საბადო ჰქონდა საექსპლუატაციოდ გადაცემული და, როგორც ამტკიცებდნენ, ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებდა, გაუუქმეს საკონცესიო ხელშეკრულება და საქართველოს მთავრობამ თვითონ დაიწყო ამ უნიკალური საბადოს ექსპლუატაცია. იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ამ ნაბიჯმა გააუმჯობესა დარგის განვითარება – 1913 წელს არსებული 35 მაღაროდან 1929 წელს უკვე „გაცოცხლდა“ 17 მაღარო და გამამდიდრებელი ფაბრიკა. ჭიათურის მაღაროებში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობამ 9300 კაცს გადააჭარბა.

ინდუსტრიალიზაციის გეგმით საქართველოში დაიწყეს დიატომიტის, ბარიტის, გუმბრინის, მარმარილოს და სხვა წიაღისეული სიმდიდრის ექსპლოატაცია. დასრულდა თბილისის ლითონკონსტრუქციების და ლითოგრაფიული ქვის გადამამუშავებული ქარხნების, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის, ბათუმის ხის დამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. საფუძველი ჩაეყარა თბლისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, სადგურ კასპის მახლობლად – ცემენტის ქარხნის მშენებლობას. საკავშირო მნიშვნელობა შეიძინა ბორჯომის საკასრე ქარხანამ, გორში დაიწყეს უარმაზარი საკონსერვო ქარხნის მშენებლობა და ა.შ. და ა.შ.

დეცენტრალიზაციის პროცესები. როგორც დოკუმენტურად დასტურდება, XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში კრემლში ჯერ კიდევ იყვნენ ძალები, რომლებიც საქართველოს დაქუცმაცებაზე, მისი ცალკეული კუთხეებისა და მხარეების გადანაწილებაზე ოცნებობდნენ. მათ, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ჰყავდათ მომხრეები, მხარდამჭერები, რომლებიც ეროვნული ინტერესების იგნორირების ხარჯზე პირად, კარიერის-

ტულ ინტერესებს ანიჭებდნენ უპირატესობას. მოსკოვის პარტიულ ხელმძღვანელობაში ქართული ლობი ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ ძლიერი. ამიტომაც, სწორედ ამ პერიოდში, საქართველოში განსაკუთრებით რთულად წარმოჩინდა დეცენტრალიზაციური პროცესები.



ი. ჟვანია

1925 წლის 12 სექტემბერს, გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ლ. ბერიას წერილი „მეგრელი ავტონომისტების შესახებ“, რომელშიც დაგმობილი იყო ზუგდიდის ადგილობრივი ინტელიგენციის ერთი ჯგუფის რაღაც მცდელობა სამეგრელოს ავტონომიის მისაღწევად (მ. დადიანი, ვ. ბუკია, კ. კილასონია და სხვ.). ამ ეტაპზე საქართველოს კპ(ბ) ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი, მისი ხელმძღვანელის ი. ჟვანიას სახით გაემიჯნა ამ პროცესს და სასტიკად დაგმო ის. მაგრამ მალე ისაკი ჟვანია თვითონ გახდა ე.წ. „მაფალუელების“ (სამეგრელოს ავტონომიის მომხრეთა) მოძრაობის წამყვანი ლიდერი და ცდილობდა პარტიულ ფორუმებზე, პარტიული ხელმძღვანელობის კაბინეტებში დაემტკიცებინა, რომ სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნა სეპარაცია კი არ იყო, არამედ ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის რეალიზაციის გეგმის აუცილებელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფდა მეგრელი გლეხის უფრო აქტიურ ჩაბმას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე პროცესებში იმით, რომ ის მიიღებდა ბროშურებს, წიგნებს, კომუნისტურ გაზეთებს მშობლიურ – მეგრულ ენაზე. ეს საკითხი ი. ჟვანიამ რამდენჯერმე დააყენა ი. სტალინთან და მ. კალინინთან შეხვედრების დროსაც.

თავიდანვე ზუგდიდის სამაზრო კომიტეტში ადგილობრივი კომუნისტების დიდი ჯგუფი (მაგალითად, სოფელ დარჩლის კომუნისტური ორგანიზაცია მ. მამფორიას ხელმძღვანელობით) თავიდანვე გაემიჯნა ი. ჟვანიას ამ წამოწყებას და თბილისისაგან მოითხოვა მწვავე რეაგირება ადგილობრივი სეპარატისტების ამ გამოხდომაზე.

„...აკაკი ქანთარიას, გრიშა შელიას, ბეგი ბერიას, ისააკ ჟვანიას გახსნიათ ნარკომობის მადა. მაზრის თავმჯდომარეობა და მაგისთანები თურმე ეცოტავათ... და დაიწყეს აგიტაცია სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნით, რასაც ამტკიცებს ის დარიგებები, რომელნიც გადაუციათ ზოგიერთი ამხანაგისათვის ზემოთხსენებულ პირებს, კარიერისტული მადით უნდა იქნეს გამოწვეული...

დარჩლის რაიკონფერენცია უცხადებს ზიზღს და სასტიკ პროტესტს აკაკი ქანთარიას, ბეგი ბერიას, გრიშა შელიას და ისაკი ჟვანიას...

საქ. კპ(ბ) სოფ. დარჩლის რაიკონფერენციის
რეზოლუცია (1925 წ.) (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 213, ფურც. 2.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობის სეპარატისტული ტენდენციები დაგმეს საქართველოს ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა. რუსთაველის სახ. თეატრში სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და საპროტესტო განცხადება გააკეთეს. ყოფილი მენშევიკი დ. თოფურიძე, საქართველოს პატრიოტები:

მ. შოგირაძე, მ. კვარაცხელია და სხვები მწვავე კრიტიკით გამოვიდნენ თბილისის პრესაში და მათ მხარი ბევრმა დაუჭირა სამეგრელოშიც.

„სამეგრელო განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, როგორც ეკონომიკურად, აგრეთვე კულტურულად. სამეგრელოს ხალხი მუდამ ყოფილა და არის მჭიდროდ დაკავშირებული მთელ ქართველ ხალხთან... ხელოვნურად გაყოფილი ნაწილი ვერ იცოცხლებს და აუცილებლად მოკვდება... ყოველი მეგრელი, რომელიც თავის მოქმედებებში არ ხელმძღვანელობს ფარული პირადი ინტერესებით, თავის სამშობლო ენად თვლის მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენას, სწავლობს ამ სამშობლო ენას...

მ. კვარაცხელია
გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ, 16 სექტემბერი

მაგრამ, სამეგრელოს ავტონომიის მომხრეებს გავლენიანი მფარველებიც გამოუჩნდნენ – აფხაზი კომუნისტების ლიდერი ნ. ლაკობა აშკარად თანაუგრძნოდა ამ მოძრაობას და მოახერხა კიდეც გალში „ყაზახიშე გაზეთის“ მეგრულ ენაზე დაბეჭდვა. საკითხმა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში გამოიწვია სერიოზული კამათი და მალე საკითხისადმი ორი მიდგომა გამოიკვეთა: 1. „იმის წინააღმდეგ, რომ მეგრელ გლეხს მივცეთ რაიმე მეგრულ ენაზე, ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი უნდა ჰქონდეს“ და 2. „თუ თქვენ დღეს გამოსცემთ ბროშურას მეგრულ ენაზე, ხვალ გაიხსნება ცხრაწლედი, ხოლო ზეგ – შექმნიან ავტონომიურ რესპუბლიკას“.

დისკუსია საკმაოდ გაჭიანურდა, ი. ჟვანია მცდელობას არ აკლებდა და სულ ახალ-ახალი ინიციატივით გამოდიოდა. მაგრამ ძალიან მალე აჭარაში დაიწყო პროცესები, რომლებმაც სამეგრელოს საკითხი მცირე ხნით უკან გადასწია – ბათუმში სერიოზულად გართულდა საქმე – ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა თბილისი კოლონიალიზმში დაადანაშაულეს.

„...მესამე სესია მწუხარებით აღნიშნავს საქართველოს მთავრობის მიერ აჭარისტანის მიმართ თავიდანვე წარმოებულ ნაციონალურ-შოვინისტურ და კოლონიალური პოლიტიკის წარმოების გაგრძელებას. საქართველოს მთავრობა თავისი ნაციონალურ კოლონიალურ პოლიტიკას არ იშლის...

ქედაში გამართული აჭარისტანის საბჭოების
ცაკის III სესიის რეზოლუცია (1925 წ.) (ამონარიდი)
აჭარის სახელმწიფო არქივი, ფ. რ-4, ს. 249, ფურც. 13.

ამ რეზოლუციამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია თბილისში და საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა თითქმის მთელი შემადგენლობით ჩავიდა ბათუმში, შეხვდა პარტიულ აქტივს, გაიმართა დისკუსია. თ. ხიმშიაშვილი სასწრაფოდ ჩამოაშორეს ხელისუფლებას, გაერკვნენ საქმის ვითარებაში, მოიტანეს არგუმენტები...

„ბათუმი პროლეტარიატის კერაა, პროლეტარიატის ბატონობის საფუძველი კი მისი დიქტატურაა. პროლეტარიატმა უნდა მოიმხროს გლეხობა. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ დიქტატურა დაიშლება და ბათუმის კუთვნილების საკითხი არა ცაკში, არამედ სხვა ადგილზე გადაიჭრება...“

მამია ორახელაშვილი

სიტყვა აჭარის ცაკის III სესიის II სხდომაზე (1925 წ. ოქტომბერი)
გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ. 25 ოქტომბერი

მ. ორახელაშვილის გამოსვლის შინაარსი აშკარად მიუთითებს, რომ აჭარის კუთვნილების საკითხი, ჯერ კიდევ, არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი, რომ მოსკოვში იყვნენ ძალები, რომლებიც თვლიდნენ, რომ გეო-სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი კუთხე და ბათუმის პორტი საქართველოს არ უნდა კუთვნებოდა.

ბათუმის კუთვნილების საკითხი, მიუხედავად ყარსის ხელშეკრულებისა, კვლავ აღელვებდა თურქეთსაც, რომელიც თავისი ემისრების საშუალებით ცდილობდა აჭარის მთიანეთის მოსახლეობა, რომელშიც ჯერ კიდევ ძლიერი იყო მაჰმადიანური სარწმუნოება და აქედან გამომდინარე, პროთურქული ორიენტაცია, თურქეთში გადასახლებაზე დაეთანხმებინა. როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევები ადასტურებენ, თურქები სეპარატისტულად განწყობილ ძალებს აჭარაში სისტემატურად აწვდიდნენ ფინანსებს, იარაღს, ინსტრუქტორებს. გამოიკვეთნენ ანტისაბჭოთა მოძრაობის ლიდერებიც: ალისულთან ბოლქვაძე, ისკანდერ აბულაძე, ისრაფილ ცეცხლაძე და სხვ.

1929 წელს აჭარის საბჭოების არჩევნების დროს, როცა ბათუმიდან ჩასული კომუნისტები ცდილობდნენ პოლიტიკურად გაეაქტიურებინათ ადგილობრივი ქალი, აერჩიათ ის დეპუტატად, ჩაეყვანათ ბათუმში, ეწეოდნენ აგიტაციას ჩადრის ტარების წინააღმდეგ და რომლის დროსაც აშკარად ძალმომრეობით ფორმებსაც იყენებდნენ, დაიწყო ხულოს აჯანყება.

აჯანყებულებმა გაანადგურეს საბჭოთა სკოლები, ბევრ სოფელში მოკლეს კომუნისტები, ადგილობრივი საბჭოთა ხელმძღვანელები, კომკავშირლები. მათ მოახერხეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ლოკაციების დაკავება, განაიარაღეს ერთ-ერთი, № 25 საგუშაგოც კი. აშკარა იყო, რომ აჭარის კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ დაუშვა შეცდომა, რითიც ისარგებლეს პროთურქულმა ძალებმა.

„აშკარაა, თქვენ დაუშვით შეცდომა...“
ი. ბ. სტალინი (1929 წ.)

საქ. კპ (ბ) ცკ-ს მდივანი მ. კახიანი

ი.ბ. სტალინის დეპეშა საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას (ამონარიდი)

1929 წლის 25 მარტს გადაწყდა აჯანყების ლიკვიდაცია. საბჭოთა ჯარები ქედსა და ხულოში შევიდნენ. ოპერაციას თვით ლ. ბერია ხელმძღვანელობდა. ამბოხებულები შედრკნენ, უკან დაიხიეს, ზოგი ჩაბარდა ხელისუფლებას, ზოგიც თურქეთში გადაიხვეწა.

დეცენტრალიზაციის პროცესებმა გამოაშკარავეს, რომ საქართველოში ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი სერიოზულად შეფერხდა, რომ ამას აუცილებლად გამოიყენებდა მტერი.

კადიროვის ინციდენტი. 1928 წლის ზაფ-

ხულში, საქართველოში ჩამოვიდა მოსკოვიდან გამოგზავნილი პარტიული კონტროლის კომისია, რომ შეესწავლა საქართველოს კპ (ბ) ცეკას საქმიანობა პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელების საქმეში. კომისიის წევრებმა მთელი საქართველო შემოიარეს, შეხვდნენ მოსახლეობას, რიგით კომუნისტებს, ბევრი რამ შეისწავლეს და ბევრიც გაიგონეს. კომისიის ხელმძვანელის პშენიცინის შემაჯამებელ დასკვნებში არაფერი იყო არაორდინალური, საქართველოს კომპარტიის მოღაწეობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა. მაგრამ ცოტა მოგვიანებით, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა – სეიდ კადიროვმა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა პირადი წერილი, რომელშიც ჩამოყალიბული იყო ისეთი ბრალდებები, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში სერიოზულად შეშფოთდნენ. ს. კადიროვი მათ აბრალებდა ნაციონალიზმს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებიდან გადახვევას, შოვინიზმსაც კი. ქართველი კომუნისტების კრიტიკოსს დეტალურად აქვს შესწავლილი (როგორც ჩანს კომისიისაგან მალულად) საქმეები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, სამეგრელოში, სამხრეთ საქართველოსა და აჭარაში.

„აჭარაში უკმაყოფილების მიზეზი ჩადრი კი არ იყო, არამედ იმაში, რომ აჭარლებს დაუხურეს მედრესები. ამასთან, უკმაყოფილონი იმითიც კი არ იყვნენ, რომ აუკრძალეს საღვთო რჯულის შესწავლა, არამედ იმით, რომ ხმარებიდან ამოიღეს არაბული ალფავიტი; საქმე ჩადრში კი არ იყო, არამედ იმაში, რომ აჭარის ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებისადმი ყურადღება არ იყო სათანადო...

ქართველი კომუნისტების ერთ ნაწილში დამკვიდრდა და ვითარდება იდეა – არცთუ მაინცდამაინც გაითვალისწინონ ეს პატარა ეროვნებები: ისინი უფრო დაბალი კულტურის, ნაკლებად განვითარებულნი არიან და აქედან გამომდინარე, ნაკლებ შეიძლება მათ ანგარიში გაუწიო. ეს არის შოვინიზმი – სახიფათო და საშიში შოვინიზმი, რომელსაც შეუძლია საქართველოს პატარა რესპულიკა გადააქციოს კინკლაობის არენად და მან უკვე გადააქცია ის კინკლაობის არენად...“

სეიდ კადიროვი
საკ. კპ (ბ) ცეკა-ში გაგზავნილი წერილი (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 425, ფურც. 21.

ს. კადიროვი საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას აბრალებდა რკპ (ბ) ცეკას ყრილობებსა და პლენუმებზე მიღებული დებულებების იგნორირებას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნების უგულებელყოფას და ა.შ. როგორც ჩანს, მასთან შეხვედრების დროს საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელებზე განაწყენებულ ადამიანებს მისთვის გარკვეული ინფორმაციაც მიუწოდებიათ.

„...აფხაზების დარჩენილ ნაწილს, რომლებიც ჯერ კიდევ ვცხოვრობთ აქ (აფხაზეთში), არა გვაქვს საშუალება განვავითაროთ ჩვენი კულტურა და ლიტერატურა, რადგან ჩვენ ხელს გვიშლის მეზობელი რესპულიკა – საქართველო, რომელიც თავხედურად თანდათან ითვისებს ჩვენს ქვეყანას. ამ უმრავლესობით, მათ სურთ, წაგვართვან ქვეყნის პატრონის უფლება; არწივები – აფხაზები უნდათ გადაააჯიშონ, რომ აფხაზებმა დაკარგონ თავისი ფიზიონომია. ჩვენი დაღუპვა გარდაუვალია, ე.ი. აფხაზეთი მთლიანად უნდა დაემორჩილოს საქართველოს...

აფხაზი კომკავშირლების ჯგუფი

(ამონარიდი ანონიმური წერილიდან)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 425, ფურც. 13.

ს. კადიროვის წერილის რეზონანსი იმდენად ძლიერი იყო, რომ საჭირო გახდა მისი დეზავუირება: მოხერხდა რკპ (ბ) ცეკას სახელზე კომისიის სხვა წევრის (საკ. კპ. (ბ) ცკ-ს პარტიული კონტროლის კომიის წევრის გ. პ. ადამიანის) საპასუხო წერილი-განმარტების ორგანიზება, სადაც ის ს. კადიროვს ამხელს ფაქტების გაყალბებაში, მათ არასათანადო და სუბიექტურ ინტერპრეტაციაში, დემაგოგიაში.

მაგრამ ისიც აშკარაა: ს. კადიროვის წერილში მოყვანილი ფაქტები მიუთითებდნენ, რომ კომუნისტური დოგმატიკის ერთ-ერთი პრინციპი – თითქოსდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, დაუყოვნელივ მოსპობდა ეროვნულ ურთიერთობაში ყველა წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას, სინამდვილეში უტოპია აღმოჩნდა. საქართველოში საეროვნებათაშორისო ურთიერთობებს, როგორც ჩანს, ვერ აწესრიგებდა ამ თემაზე მიღებული უამრავი პარტიული დადგენილება თუ ცირკულარი.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ს. კადიროვი წერილში ეხება ყველას, იხილავს ყველას – ქართველების გარდა. საქართველო, რომელსაც კომუნისტურმა დიქტატურამ ძალით წაართვა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, რომელიც თავის სუვერენულ უფლებებს თავის ტერიტორიაზეც კი ვეღარ ახორციელებდა, რომლის მკვიდრი – ქართველი მოსახლეობა არაფრით არ განსხვავდებოდა იმ ეთნოსებისაგან, რომელთა ინტერესების დაცვაც იკისრა კადიროვმა, ისევე განიცდიდა პროლეტარიატის დიქტატურის მარწუხებს, როგორც ყველა სხვა საქართველოს მაცხოვრებელი. საქართველოში, ფაქტობრივად, არ ხორციელდებოდა კომუნისტური კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა: ქართული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ. პირიქით, კულტივირებულმა ინტერნაციონალისტურმა პოლიტიკამ აშკარად შეაფერხა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი.

„ქართული შოვინიზმი“. ინციდენტი მიჩქმალეს, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ღრმად შეესწავლა საქართველოში საეროვნებათაშორისო ურთიერთობის გამოცდილება და ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში სპეციალური კომისიები დააგზავნეს. შემოსული ინფორმაცია საგანგაშო იყო.

„ახალციხეში არსებობს ერთაშორისო მტრობა: სომხებს და თურქებს შორის (სოფელი ვალე); ქართველებსა და თურქებს შორის, რაც ვლინდება ძარცვა-რბევაში (სოფ. ძველი არლი, უდე)... ბოლო პერიოდში შესამჩნევი გახდა ნაციონალისტური ტენდენციები, რომლის გამტარებლებად გვევლინებიან ახალციხის წვრილბურჟუაზიულ ვაჭართა ნაწილი და ზოგიერთი ანტისაბჭოთა ელემენტი მემამულე ბეგებისა და კულაკების წრიდან ...

ამხ. ცეხაძე
საქ. კპ (ბ) ცეკას მდივანს მ. კახიანს (1929 წ. 25 აგვისტო).
საქართველო შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 289, ფურც. 149.

დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა XX საუკუნის 20-იან წლებში, სკრუპულოზურად სწავლობ-

და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების (დაახლოებით 100 ეთნოსი) სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებს, შეძელებისამებრ ცდილობდა მათი კულტურული განვითარებისათვის ნაყოფიერი საფუძვლების შექმნას. 1928 წელს საქართველოში 186 სომხური, 90 თურქული, 91 რუსული, 116 ოსური, 106 ბერძნული, 58 აფხაზური, 5 ებრაული, 1 გერმანული სკოლა იყო. ყველა ამ განსხვავებული სკოლებისათვის პედაგოგიური კადრების, სახელმძღვანელოების, ინფრასტრუქტურის და განათლებისათვის საჭირო სხვა საკითხების მოგვარებას სჭირდებოდა კოლოსალური თანხები, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო გაეღო საკავშირო ბიუჯეტის მკაცრ ჩარჩოებში მოქცეულ ქვეყანას. ეს მაშინ, როცა სახელმწიფო ენის – ქართული ენის ინტერესები და მისი სტატუსი თითქმის ყოველდღიურად იმცრობოდა, მისი განვითარებისათვის და მისი სახელმწიფო სტატუსის დასამკვიდრებლად სახსრები არა კმაროდა. აქედან გამომდინარე, საქართველოში არსებული საეროვნებათაშორისო ურთიერთობები გადახალისებას აშკარად საჭიროებდა. ამაზე ყურადღებას ამახვილებდა ქართველი ინტელიგენციაც.



ნ. ნიკოლაძე

ურთიერთობა ქართველ ინტელიგენციასთან. 1924 წლის აჯანყება მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი აღმოჩნდა ძველი ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლისათვის. მათ კომუნისტურ სახელმწიფოსთან ურთიერთობისათვის კომფორმიზმი აირჩიეს (ერთს ფიქრობდნენ, მეორეს ამბობდნენ, მესამეს აკეთებდნენ), მათ კარგად დაინახეს, რომ დასავლეთ ევროპამ აჯანყების დროს საქართველო მიატოვა, რომ აჯანყებიდან სულ ძალიან მალე საბჭოთა კავშირის აღიარების პერმანენტული პროცესი დაიწყო (აშშ-გარდა), ამასთან საბჭოთა სისტემა უკვე ავლენდა სიცოცხლისუნარიანობას – იყო ეკონომიკური წინსვლა, სახელმწიფოს ჰქონდა სერიოზული და მნიშვნელოვანი პროექტები ქვეყანაში განათლების, მეცნიერების, კულტურის განვითარებისთვის. ამიტომაც, ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა აირჩია თანამშრომლობა.

„უკანასკნელმა მოვლენებმა აჩვენა ქართველი ინტელიგენციის ევროპაზე ორიენტაციის უპერსპექტივობა, რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია. ამიტომაც შეიმჩნევა გარდატეხა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ შემორუნება“.

საკ. კპ (ბ) ცეკას 1924 წლის ოქტომერის პლენუმის რეზოლუცია (ამონარიდი)

ГАСПИ РФ, ф. 17, оп.2. д. 85, с. 732

ეს განწყობილება, ეს ტენდენცია, განსაკუთრებით რელიეფურად გამოჩნდა 1927 წლის 5 აგვისტოს, ხელოვნების სასახლეში ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის შეკრების დროს. ნიშანდობლივია, რომ ამ შეკრების ინიციატორი უკვე ძალიან მხცოვანი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება და დიდი მამულიშვილი ნიკო ნიკოლაძე იყო. საბჭოთა პრესამ ამ შეკრებას დიდი ყურადღება დაუთმო. შეხვედრაზე იყო საუბარი ქართული კულტურის, მეც-

ნიერების, ხელოვნების განვითარების კარდინალურ საკითხებზე, ხელისუფლებასთან ურთიერთობის პრობლემაზე, საქართველოს მომავალზე. შეკრებამ მიიღო ძალიან კომპრომისული რეზოლუცია.

"...გარდამავალი ხანის შემდეგ ჩვენი ქვეყანა გამოდის მტკიცე აღმშენებლობის გზაზე... საქმის დიდი უმეტესობა, ცხრამეათედი მაინც იმ გზით მიდის, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია მუდამ შენატროდა და შენატრის... აშკარა შეიქმნა, რომ ჩვენი ქვენის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები შეუთავსდეს იმ სისტემას, რომელშიც საქართველო ისტორიის განაჩენით არის მოქცეული. ასეთი შეთავსება ჩვენთვის არ წარმოადგენს სიძნელეს, რადგან ქართველ ინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა რადიკალიზმი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში"

1927 წ. 5 აგვისტოს ქართველი ინტელიგენციის შეკრებაზე მიღებული რეზოლუცია (ამონარიდი)

გაზ. „კომუნისტი" 1927 წ. 7 აგვისტო.

თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ, ამ კომპრომისის მიზეზი შემდეგი იყო ─ ქართული კულტურა კრიზისს განიცდიდა, იმისათვის, რომ ის ძალუმად განვითარებულიყო, უპირველეს ყოვლისა მარტო ნიჭი და სურვილი არ კმაროდა, საჭირო იყო მილიონობით მანეთის კაპიტალდაბანდება და თითქმის ყველა მიმართულებით: განათლების, მეცნიერების, კინოს, თეატრის, მხატვრული ლიტერატურის, საკლუბო მუშაობის, საგამომცემლო და საბიბლიოთეკო საქმის წინ წასაწევად საქმიანობა.

„ქართულ თეატრს ხალხი არ ეკარება. ქართულ წიგნს ხალხი ხელში არ იღებს. მთავრობისაგან კი ისმის – თეატრზე ბევრი იხარჯება – შემოსავალი არ ჩანს, ქართული წიგნის გამოცემაზე ვზრუნავთ – გავრცელებით არ ვრცელდება... გზის გამონახვა ისე არ შეიძლება, თუ ძველი თვალსაზრისი, ძველი კულტურის ნიადაგი დაგმობილი, უკუგდებული არ იქნება... ზოგი გენიოსს ელოდება... გამოსავალი – ისტორიულ კლასობრივ თვალსაზრისზე დგომაა. დღეს ერთი მთავარი პირობის დაცვაა საჭირო – ქართული კულტურის ყველა ძალები შეძლებისამებრ ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით უნდა განიმსჭვალონ... საბჭოთა ქვეყანაში მხოლოდ პროლეტარული კულტურის, პროლეტარული იდეოლოგიის დანერგვა შეიძლება და არა სხვა რამეებისა."

რ. კალაძე
გაზ. „კომუნისტი",1922 წ. 16 სექტემბერი.

ხელისუფლებასთან კომპრომისები აშკარად წაადგა საქართველოს ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს და დაიწყო ამ ლოიალობის აშკარა დემონსტრირება: საბჭოთა ხელისუფლებას ერთგულება დაუდასტურა საქართველოს მედიკოსთა კონგრესმა, საქართველოს პროლეტარ მწერალთა ყრილობამ, საქართველოს მეცნიერ მუშაკთა თავყრილობამ და სხვ. არ შეიძლება ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში არ დავინახოთ ქართველი და ამიერკავკასიელი კომუნისტების ლიდერების მ. ორახელაშვილისა და მისი მეუღლის მარიამ ორახელაშვილის დამსახურება. თავადაზნაურთა ოჯახიდან გამოსულებს არ უჭირდათ ინტელიგენციასთან სა-

ერთო ენის გამონახვა. მით უფრო, რომ მათი სიძე ევგენი მიქელაძე ახალგაზრდა და მეტად პერსპექტიული დირიჟორი იყო.

მაგრამ საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობასთან „თაფლობის თვე“ დიდხანს არ გაგრძელდა. 1928 წლის იანვარში საქართველოს კპ(ბ) ცეკას მდივანმა მ. კახიანმა, რომელიც იდეოლოგიურ მუშაობას კურირებდა, ქართველ ლიტერატორებს აშკარა ულტიმატუმი წაუყენა: 1. თავის შემოქმედებაში არ დაეშვათ ნაციონალიზმის რეციდივები; 2. გაეძლიერებინათ ინტერნაციონალიზმი; 3. შემოქმედებაში აესახათ პროლეტარიატის დიქტატურის პრინციპები; 4. წარმოეჩინათ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გაღრმავება.

ქართველი მწერლების ჯგუფი

რაც დრო გადიოდა, საქართველოს კომპარტია უფრო მეტ პრეტენზიას უყენებდა ქართულ მწერლობას. პარტიული იდეოლოგების აზრით, XX საუკუნის დასასრულის საქართველოში იდგა ორი საკითხი: 1. მეტი იდეოლოგიური სიმტკიცე და გარკვეულობა; 2. მეტი სიმარტივე და სისადავე. თუ მწერალი ამ მოთხოვნებს არ გაითავისებდა, ის გარიყული აღმოჩნდებოდა, არა მარტო კულტურეგერული პროცესებიდან, არამედ რეალური ცხოვრებიდანაც.

„საქართველოს მწერლები ჯერ კიდევ შორს არიან ცხოვრებაში, ე.ი. თავის შემოქმედებაში გვიჩვენონ ცხოვრების ახალი გაგება... არავინ იფიქროს, რომ მწერლობას არ ეხება ის ბრძოლა, რასაც პარტია ეწევა თავის რიგებში და მის გარეთ... ნაკლები თანაგრძნობა ძველი ქვეყნიდან დარჩენილი ადათ-ჩვეულებებს და კულტურის სხვა ამგვარ ნაშთებს. ბრძოლა ნაციონალიზმთან, კარ-ჩაკეტილობასთან...ახალი ადამიანის ძებნა და მონახვა... “

გაზ. „კომუნისტი“ მოწინავე, 1929 წ. 1 იანვარი (ამონარიდი).

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დიდი ჰონორარები და პრივილეგიები საქართველოში ბევრისთვის მაცდუნებელ სატყუარად გადაიქცა და საბჭოთა ხელისუფლებაზე ლოიალურად განწყობის ხელოვანთა რაოდენობამ იმატა. მაგრამ, არ უნდა გამოვრიცხოთ, საბჭოთა იდეოლოგიის მხურვალე თაყვანისმცემელთა მომრავლებაც, ზოგიერთის იდეოლოგიური მეტამორფოზებიც. ასეთი ადამიანები კი სიცოცხლეს უმწარებდნენ ჭეშმარიტ დიდ და საინტერესო ქართველ მწერლებს.

“რა საჭირო თავის მოტყუება... როდესაც საერთოდ კლასთა ინტერესები წყვეტს ყველა საკითხს? როდესაც ჯავახიშვილი „დამპატიჟეს“ სწერს და გივი შადურს ალაყებს და აბოდებს, ეს ფრიად პოლიტიკურ, კლასიურ ამბებს ეხება და ეს ხდება ანტიპროლეტარულ ფენათა კარნახით“...

ბენიტო ბუაჩიძე (1929 წ.)

ამ ეტაპზე აშკარად გაძლიერდა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის თეორეტიკოსთა რიგები (შ. რადიანი, ბ. ჟღენტი და სხვ.), რომლებიც დიდი ხნით წამყვან ადგილს დაიკავებენ „ლიტერატურის ფრონტზე“ და კიდევ დიდი ხნით განსაზღვრავენ ქართული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ ხაზს. სწორედ ამ ჯგუფის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოხერხდა ქართული პოეზიის გენიის – გალაკტიონ ტაბიძის აქტიური ჩართვა ამ ბრძოლაში. ამ საქმეში, რა თქმა უნდა, მისი რევოლუციონერი მეუღლის – ოლღა ოკუჯავას დამსახურებაც უნდა იყოს.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს სერიოზული პრობლემები შეახვედრეს ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქს ივანე ჯავახიშვილსაც – 20-იანი წლების დასაწყისში ის ლოიალურად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რის გამოც გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა, მაგრამ XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში, მოსკოვში, პროფ. მ. პოკროვსკის ინიციატივით დაიწყო სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა ისტორიკოსთა ძველი თაობის წინააღმდეგ. დაიწყო ისტორიკოსთა დევნა, შეითითხნა ე. წ. „ისტორიკოსთა საქმე“. მ. პოკროვსკი, რომელიც ლენინთან მეგობრობდა და თავის თავს ორთოდოქს მარქსისტად თვლიდა, მოითხოვდა ყველა ისტორიკოსისაგან ისტორიის გაგების პროცესი მთლიანად დაეფუძნათ ისტორიული მატერიალიზმის მარქსისტულ პრინციპებზე, ისტორიაში დაენახათ მხოლოდ კლასობრივი ბრძოლა, სახელმწიფოში – მხოლოდ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის საშუალება. ვინც ამ შეხედულებებს არ იზიარებდა, მ. პოკროვსკის აზრით, უნდა განდევნილიყო საზოგადოებათმცოდნეობიდან, მოეკვეთათ სამეცნიერო ორგანიზაციებიდან.

ი. ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სამარცხვინო დევნა, რომელშიც ზოგიერთი მისი მოსწავლეც გაერია, სწორედ მოსკოვში განვითარებული ბრძოლის ადგილობრივი გამოძახილი უნდა იყოს.

საქართველოში ტექნიკური ინტელიგენცია, ჯერ კიდევ, ბევრი არ ჩანს, ის ფორმირების პროცესში იყო, მაგრამ მოსკოვში ტექნიკური ინტელიგენციის წინააღმდეგ გავეშებული ბრძოლა „კონდრატიევშჩინას“ სახელწოდებით, საქართველოშიც გადმოინერგა. ძველი თაობის ტექნიკური ინტელიგენცია, რომელიც ოდნავ მაინც შემჩნეული იყო დასავლეთ ევროპული სამეცნიერო თეორიების პატივისცემაში, ან კონტაქტი ჰქონდა დასავლეთის სამეცნიერო წრეებთან, ან სრულად არ იზიარებდა მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებებს, საბჭოთა სისტემის მტრულ ძალად გამოაცხადეს. ამ შეხედულებების კონცენტრირებულ გამოხატულებად რუსი პროფესორი კონდრატიევი მიიჩნიეს და ის მკაცრად გააკრიტიკეს. დაიწყეს მისი ქართველი „მომხრეების“ დევნა.

„კონდრატიევშჩინა თავის დასაყრდენს ხედავდა კულაკობაში და საერთოდ ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტურ ელემენტებში. ისინი ხელს უშლიდნენ პარტიას

ძირფესვიანად ამოეფხვრა კაპიტალისტური ნაშთები, იბრძოდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ კულაკური მეურნეობების ზრდისათვის“

გაზ. „კომუნისტი“,1930 წ. 29 ოქტომბერი (ამონრიდი)

ასეთ დამოკიდებლებას და ურთიერთობებს ინტელიგენციის წრეებში, რა თქმა უნდა, შეჰქონდა პიროვნული დაძაბულობა, განხეთქილება, დაპირისპირება. მუდამ იძებნებოდნენ ისეთი ქართველი მეცნიერები თუ კულტურის წარმომადგენლები, რომლებიც ზოგი გულწრფელად და ზოგიც თვალთმაქცურად ფეხს უწყობდა კომუნისტი ლიდერების მიერ წამოწყებულ კამპანიებს და გულმოდგინედ აკრიტიკებდა, ამხელდა და ამუნათებდა ძალიან ბევრ ღირსეულ და დამსახურებულ ადამიანს.

ს. ქავთარაძე

კრიზისი. XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს, მსოფლიოში გამოვლინდა სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, დაიწყო მწვავე ეკონომიკური კრიზისი, ამერიკისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების უმეტესობა უმძიმეს ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, დაიხურა უამრავი ფაბრიკა-ქარხანა, გაკოტრდა არა ერთი უმსხვილესი ბანკი და საფინანსო ორგანიზაცია. იმ წლებში, ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე უფრო დაზარალდა – დაიწყო ე.წ. „დიდი დეპრესია“, გახშირდა ქრონიკული უმუშევრობა, მოსახლეობის შემოსავლებმა კატასტროფულად იკლო, გამწვავდა სოციალური ურთიერთობები და ა.შ.

სერიოზული პრობლემები შესამჩნევი გახდა საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც. აქ ეკონომიკურ პრობლემებს, რა თქმა უნდა, სხვა საფუძველი და სხვა მატარებელი სოციალური კლასი ჰყავდა. პარტიული ლიდერების ერთ ჯგუფს (ლ. ტროცკის, ლ. კამენევს, გ. ზინოვიევს, ს. ქავთარაძეს, მ. ოკუჯავას, კ. ცინცაძეს და სხვ.) სერიოზულად აშინებდათ „ნეპის“ პირობებში, შედარებით თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების დროს, სოფლის ბურჟუაზიის (რუსული ტერმინოლოგიით „კულაკების“) სოციალურ-ეკონომიკური აქტივიზება, მათი შემოსავლების პერმანენტული ზრდა, ი. სტალინის პოლიტიკური ფრაქციის მშვიდი დამოკიდებულება მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისადმი და „კულაკებისადმი“, მათი აზრით, შემრიგებლური პოზიცია.

კომუნისტური პარტიის ეს ლიდერები, რომლებიც აშკარად გრძნობდნენ, რომ ი.სტალინის ფრაქციამ ისინი ხელისუფლებას ჩამოაშორა, პარტიის უმრავლესობას ბურჟუაზიულ გადაგვარებაში ე.წ. „თერმიდორში“ ადანაშაულებდნენ.

„სულ უფრო აშკარად სახიფათო ნაბიჯებს დგამს სოფლის ზედაფენების სასარგებლოდ... ფაქტი კი ის არის, რომ ვითომდა ღარიბების კავშირისა საშუალო გლეხთან, ჩვენ ყველგან და ყველაფერში ვამჩნევთ საშუალო გლეხობის

მხრიდან ღარიბის დაქვემდებარებას, ხოლო მათი დახმარებით კი – ღარიბის დამორჩილებას კულაკების მხრიდან.

ლ. ტროცკი, ლ. კამენევი, გ. ზინოვიევი, ნ. კრუპსკაია...
განცხადება საკ. კპ (ბ) ცკ და ცკკ ივლისის პლენუმს
Архив троцкого. т. 2, М.,1990, с.15.

სტალინის ფრაქცია და მისი მომხრეები, როგორც მთლიანად კავშირში, ისე საქართველოშიც ფიქრობდნენ, რომ „მემარცხენე კომუნისტები“ ტროცკის ხელმძღვანელობით, ზედმეტად აჭარბებდნენ კულაკურ საფრთხეზე აქცენტირებით, რომ საბჭოთა სოფელში არსებული მდგომარეობა არ ქმნიდა საფუძველს პანიკისათვის, რომ სოციალურ-ეკონომიკური ვითარება სოფლად მთლიანად პასუხობდა პარტიის მიზანდასახულობებს და მისი შეწყვეტა ან გადასინჯვა გამოიწვევდა „ნეპის“ ლენინური პოლიტიკის რღვევას.

„არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა შესაძლებლობა, რაც სოფლის მეურნეობაში იფარება, მისი ახლანდელი ტექნიკური ბაზის დროს, უკვე ამოწურულია. სოფლის მეურნეობა, მრეწველობისაგან განსხვავებით, გარკვეულ ხანს შეიძლება სწრაფი ტემპით მიიწევდეს წინ ახლანდელი ტექნიკური ბაზის დროსაც. გლეხის კულტურულობის, წერაკითხვის მცოდნეობის უბრალო ამაღლებასაც კი, ისეთ მარტივ საქმესაც კი, როგორიც თესლის გაწმენდაა, შეეძლო 10-15%-ით გაედიდებინა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია... სოფლის მეურნეობაში იფარება მთელი რიგი შინაგანი პოტენციური შესაძლებლობები, რომლებიც ჯერ მთლიანად არ არის გამოყენებული და გამოყენებული უნდა იქნან უახლოეს წლებში“

ი. ბ. სტალინი
თხზ. ტ. 6. გვ.351.

ანტისტალინური ოპოზიცია „კულაკების“ ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების კვალდაკვალ მოითხოვდა „ნეპის“ შეწყვეტას, სოფლად პარტიის აგრარული პოლიტიკის გამკაცრებას და ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ნაცვლად კოლექტიური მეურნეობების შექმნას, „კულაკობის“ წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებას.

ი. სტალინის ფრაქცია სოფლად მკვეთრი ნაბიჯების გადადგმის წინააღმდეგი იყო, მაგრამ 1928 წელს, სოფლის ბურჟუაზიამ („კულაკებმა“), რომელსაც ჰქონდა ხორბლის საკმაოდ მნიშვნელოვანი მარაგები, სახელმწიფოს დააკლო 100-140 მილიონი ფუთი მარცვალი. ისინი ბაზარზე ფასების აწევას ელოდებოდნენ. ამან კი უკვე დააფრთხო ი. სტალინის პოლიტიკური გუნდი და გადაწყვიტა შეტევაზე გადასულიყო: საბჭოთა სახელმწიფოს დიდძალი და იაფი სურსათ-სანოვაგე ჭირდებოდა: 1.უნდა დაეპურებინა მუშები და მოქალაქეები; 2. უნდა დაეპურებინა წითელი არმია და ფლოტი; 3. სურსათის საზღვარგარეთ გატანით უნდა უზრუნველეყო ვალუტის შეუფერხებელი შემოდინება, რომ დაესრულებინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია; 4. დაეგროვებინა სასურსათო რეზერვები და შეექმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საჭირო მარაგის ძლიერი ბაზა მოსალოდნელი მსოფლიო ომის კვირაძალზე, რომ ისტორიულად მეტად საბე-

დისწერო ჟამს არ განმეორებულიყო 1928 წელი. სწორედ ამან ი. სტალინსაც გაახსენა „კულაკი“.

„შეხედეთ კულაკურ მეურნეობებს: იქ ბედლები და ფარდულები პურით არის სავსე, შესანახავი ადგილების ნაკლებობის გამო პური ღია ფარდულების ქვეშ უყრიათ, კულაკურ მეურნეობებში ჭარბი პური 50-60 ათას ფუთობით აქვთ თვითოეულ მეურნეობაზე... მოსთხოვეთ კულაკებს მთელი ჭარბი პურის დაუყოვნებლივ ჩაბარება სახელმწიფო ფასებში“.

ი. ბ. სტალინი
თხზ. ტ. 11. გვ. 2.

სტალინის ფრაქციამ გადაწყვიტა შეტევაზე გადასვლა და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის დაჩქარება. მიზნად დაისახეს, საბჭოთა სოფელში უკვე არსებული არტელების, კომუნების, მიწის ერთობლივი დამუშავების ამხანაგობების გამოცდილების საფუძველზე რადიკალურად გარდაექმნათ ვითარება, რომ თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს უკვე ხელი არ შეეშალათ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისათვის, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულ გლეხობას სახელმწიფო მუდმივად უზრუნველეყო იაფი და ულევი სურსათ-სანოვაგით.

კოლმეურნე
სოფ. გულგულა

საკოლმეურნეო მოძრაობის I ეტაპი საქართველოში. პერიოდი, რომელიც მასობრივი კოლექტივიზაციის პროცესებს დაემთხვა, იმითაც იყო საყურადღებო, რომ ქვეყანამ შეიმუშავა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების (1928-1929\1932-1933 წწ.) პირველი ხუთწლიანი გეგმა. მეურნეობრიობის ეს ფორმა – დაგეგმარება, მარქსისტული ორთოდოქსიის უმთავრესი ეკონომიკური დოგმატთაგანია, რომელიც მიჩნეული იყო ზეაღმავალი ეკონომიკური განვითარების პანაცეად. უკვე შემუშავებული პროექტი ითვალისწინებდა მრეწველობის განვითარებასთან ერთად, სოფლის რადიკალურ გარდაქმნასაც.

საქართველოს სახალხო მეურნეობა, იმჟამად, უფრო აგრარული მიმართულების იყო. 1924 წლის მონაცემებით, მრეწველობას მასში ეკავა მხოლოდ 22%, 1926 წელსაც სოფლის მეურნეობა სახალხო მეურნეობის 75,5% შეადგენდა. იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგი – სოფლის მეურნეობა უფრო მაღალნაყოფიერი გაეხადათ, გადაწყდა მისი რადიკალური გარდაქმნა, რადგან როგორც საქართველოს ხელმძღვანელები აღნიშნავდნენ „საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება ძველი მამა-პაპისეული საშუალებებით წარმოუდგენელია“.

პარტიულ ფორუმებზე, პლენუმებზე, ეკონომიკურ შეხვედრებზე თანდათან ჩამოყალიბდა სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმა, რომელიც საქართველოში კოლექტივიზაციის პროცესის რეალიზაციასაც ითვალისწინებდა. საკავშირო გეგმით საქართველოს კოლექტივიზაციის დაგეგმილი ამოცანები უნდა დაესრულებინა 1932\1933 წლებში. მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში

იყვნენ ადამიანები, რომლებიც პროცესების დაჩქარებას შეეცადნენ. მაგალითად, ლ. ღოღობერიძე, მ. კახიანი, ს. მამულია და სხვები ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ რუსეთის ცენტრალურ რეგიონებში მიმდინარე პროცესებს და პარტიის დავალებები დროზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეესრულებინათ.

მასობრივი კოლექტივიზაციის დაწყების წინ საქართველოში სულ იყო 8 კომუნა, 35 სასოფლო-სამეურნეო არტელი, მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობა – 60, სამანქანო ამხანაგობა – 30. მიწათსარგებლობის ეს სოციალისტური ფორმები ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა საქართველოს სოფლის განვითარებაზე – მისი საფუძველი მაინც ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა იყო. საქართველოს პარტიული მუშაკების ერთი ნაწილი ვარაუდობდა, რომ დროის დასახულ მონაკვეთში გაეერთიანებინათ ინდივიდუალური გლეხების მხოლოდ 15 პროცენტი, ისიც ღარიბები და მოჯამაგირეები.

ეს გადაწყვეტილება კი სერიოზულ ზიანს აყენებდა სოფლის ბურჟუაზიას – ის დაქირავებული მუშა-ხელის გარეშე დარჩა, ამიტომაც თავიდანვე, ისინი ან მკვეთრად გაემიჯნენ და დაუპირისპირდნენ საკოლმეურნეო მოძრაობას, ან კიდევ, როგორც დასტურდება, თვითონ შეეცადნენ შეექმნათ კოლმეურნეობები, რომ მომხდარიყო შექმნილ ვითარებაში ლავირების შესაძლებლობა.

„დღეს-დღეობით კულაკები მრავლდებიან – მატულობენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეკონომიკური ზომებით ვავიწროვებთ. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით მაინც იზრდება კულაკური ელემენტები... კულაკები დღესაც საკმაოდ გავლენას ახდენენ სოფლის ღარიბ-ღატაკ ნაწილზე და მოჯამაგირეებზე. რა თქმა უნდა, ამ კულაკების გავლენას ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ღარიბთა და მოჯამაგირეთა გავლენა, რასაკვირველია, მათი ეკონომიკური გაზრდის მხრით. ამ საკითხის ცენტრში დგას უღარიბესი გლეხობა და მოჯამაგირეთა ორგანიზაცია, ყველა საკითხებში და ყველა დარგში ამ ჯგუფმა უნდა გასცეს პასუხი.“

ფილიპე მახარაძე

1928 წლის 12 ნოემბერს წარმოთქმული სიტყვა (ამონარიდი).

საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 227, ფურც. 2.

მოსკოვიდან მიღებული დირექტივებითა და ცირკულარებით სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, კოლექტივიზაცია უნდა მომხდარიყო ნებაყოფლობით, ყოველგვარი დაძალების გარეშე, მხოლოდ მიღწეული კონკრეტული მაგალითების პოპულარიზებით. სოფლის გარდაქმნის გეგმამ გამოაცოცხლა ზოგიერთი ადრინდელი ექსპერიმენტიც...

სოფელი ბაღი. იმჟამად პარტიულ პრესაში, სხვადასხვა გამოცემაში უდიდესი პროპაგანდისტული მუშაობა მიმდინარეობდა სოფლის ცხოვრების რადიკალური გარდაქმნის წასახალისებლად – ამტკიცებდნენ, რომ განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს სოფელში დამკვიდრდებოდა თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვარი: ელექტროენერგია, ახალი აგროტექნიკა, აგრონომიული მეცნიერების უახლესი მიღწევები, ვეტერინარი, ზოოტექნიკოსი, რადიკალურად შეიცვლებოდა სოფელში ადამიანის მუშაობის შინაარსიც – ის დაუახლოვდებოდა ქალაქურ შრო-

მას, დაიწყებოდა ქალაქსა და სოფელს შორის სოციალური განსხვავების თანდათან ლიკვიდირება და ეს განსხვავება კი სულ ახლო მომავალში მთლიანად გაქრებოდა. საქართველოს სოფლის მოსახლეობა მიიღებდა ახალ ჯანდაცვის ობიექტებს, კულტურულ-საგანამანთლებლო კერებს, ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის სრულად მოწესრიგებულ სისტემას და ა.შ.

კოლექტივიზაციის პროცესებში აქტიურად ჩაება ვანო კოლელიშვილი, გულგულას ცნობილი კომუნის დამაარსებელი, რომელიც კომუნისტურ პრესაში, სხვადასხვა დროს, არაერთხელ გამოვიდა სოფლად კომუნალური მეურნეობის განვითარების პროპაგანდით.

„ჩვენი ცხოვრება ასე არ წავა წინ. ჩვენი დაქუცმაცებული მეურნეობებით ვერ ვიცხოვრებთ. ხალხი უნდა შეერთდეს. გაერთიანდება სახნავ-სათესი მიწები, საქონელი, ტრანსპორტი და სხვა საწარმოო საშუალებანი. ჩვენ გვეყოლება თითი-თითო ძროხა თითოეულს. მათ გამოვუყოფთ მომვლელს. ის, ხან მთაში ატარებს, ხანაც ბარში, ისევე, როგორც თელაველები. გაერთიანებული ფერმებისათვის კი გვექნება ფერმები, ზამთარში – ალაზანზე გვეყოლება, საკვებს იქ დავუგროვებთ. ზაფხულში კი მთაში გავრეკავთ. რაც შეეხება მიწის დამუშავებას – იმდენი ტრაქტორი და სამკალი მანქანა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი მოვა, რომ ყველაფერს იმით გავაკეთებთ...“

ვანო კოლელიშვილი
სიტყვა სოფელ გულგულას გლეხობის ყრილობაზე (ამონარიდი)

საბჭოთა ანტიკულაკური პლაკატი

ვანო კოლელიშვილი, საქართველოს სოფლის მოსახლეობას სთავაზობდა შეექმნათ „სოფელი ბაღი“, სადაც რიგით მშრომელ გლეხს ექნება ცხოვრებისა და კულტურული დასვენების საუკეთესო პირობები. მისი აზრით, ძალიან მალე სოფლის ბავშვები თავისი განვითარებით არ ჩამოუვარდებოდნენ ქალაქელებს, სოფელში იქნებოდა ყველა აუცილებელი სოციალური და კულტურული ობიექტი. მაგრამ, იმჟამად, ეს მხოლოდ ოცნება იყო. საქართველოს სოფელში ვითარება უფრო დრამატული ჩანდა, ვიდრე ეგონათ. სოფლებში თავი იჩინა უკმაყოფილებამ.

კლასობრივი ბრძოლა სოფლად. კოლექტივიზაციის საწყის ეტაპზე საქართველოს სოფლის სოციალური იერსახე ასე გამოიყურებოდა: ღარიბი გლეხი იყო დაახლოებით 30%, საშუალო გლეხი დაახლოებით 65% იყო, სოფლის ბურჟუაზია კი დაახლოებით 5 % (ვარაუდობენ უფრო ნაკლებსაც – 1,4 -2,4%%). აქედან ყველაზე რადიკალური იყო ღარიბი გლეხი –კომუნისტური პარტიის მთავარი დასაყრდენი სოფლად. საქართველოში მისი ხვედრითი წილი საკმაოდ განსხვავებულია დარგების მიხედვით: მე-

მინდვრეობის რეგიონებში ღარიბი იყო 30%, მევენახეობის რაიონებში – 25,6%, მეხილეობის რაიონებში – 6,9%, მეთამბაქოეობის რაიონებში 12%, მესაქონლეობის რაიონებში – 54,2%.

საქართველოს უღარიბესმა გლეხობამ და მოჯამაგირეებმა, რომლებიც შურით შეჰყურებდნენ სოფლის ბურჟუაზიის შეძლებულ ცხოვრებას, რეალიზაცია გაუკეთეს „კულაკების“ წინააღმდეგ მიმართულ ფართომასშტაბიან კომუნისტურ კამპანიას, რომლის შედეგად საბოლოოდ უნდა შექმნილიყო სოციალისტური სოფელი.

ახალ სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურას, ნორმალური ფუნქციონირებისათვის, სჭირდებოდა „კანტორა“, საწყობი, საქონლის ფარეხი, წისქვილი, ფინანსები. საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ინდუსტრიალიზაციისათვის ვალუტასა და ფინანსურ საშუალებას ზოგავდა, სოფლად რადიკალური რეფორმის გატარება მხოლოდ სოფლის ბურჟუაზიის გაძარცვის ფასად შეეძლო. მან ეს განახორციელა ღარიბი გლეხების ხელით.

„გაყიდა ცხვარი და ყიდის კიდეც. გადამალა ხორბალი ორმოში, რომელიც დაბეზღებით ადმოჩნდა. კოტე ჩარბოდაშვილის ქონებას ექნეს კონფისკაცია და თვითონ იქნეს განდევნილი თემის ფარგლებიდან და მთელი მისი ქონება გადაეცეს ქვემო-ქედის კოლმეურნეობას.

ზემო ქედის სოფლის საბჭოს 1929 წლის 22 დეკემბრის
დადგენილება (ამონარიდი)
თელავის რაგიონალური არქივი, ფ. 69, ს. 2, ფურც. 7.

ქონების გადანაწილების ახალი ტალღა ქართულ სოფელში იწვევდა სოციალურ დაპირისპირებას, რასაც ყველამხრივ ახალისებდა მმართველი პარტია, რომელსაც ეს პროცესები „კლასობრივი დაპირისპირების გაღრმავების პროცესად“ მიაჩნდა და ყოველმხრივ ახალისებდა ამ პროცესს. ეს კი იწვევდა შეტაკებებს, მკვლელობებს, სისხლიან ანგარიშსწორებებს.

„დიდი ლილოს კოლმეურნეობა „ანეულს“ კულაკებმა დაუწვეს მოსავლის ძნები, მინდორში ასაღებად გამზადებული. სოფელ ნუკრიანში ორმა კულაკმა გადაწვა კოლმეურნეობის თივა 1200 მანეთის ღირებულების, ამავე სოფელში კულაკებმა დაწვეს პურის საფქვავი... ვარდისუბანში კულაკებმა მხეცურად მოკლეს და დაწვეს კოლმეურნეობის 4 აქტიური წევრი... სიღნაღის რაიონის სასოფლო საბჭოს არტელის მეცხვარეებს თავს დაესხნენ კულაკები და მოკლეს 6 კოლმეურნე...

სახელმწიფო პოლიტსამმართველოს საინფორმაციო
დეპეშები საქართველოს კპ (ბ) ცკ. 1930 წ. (ამონარიდი)

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ წახალისებული სოფლის აქტივისტები საშინლად უსწორდებოდნენ მათ მიერ შესახელებულ „კულაკებს“, რომელთა რიგებში ზოგჯერ საშუალო გლეხებიც მოხვდნენ და დაზარალდნენ. ძალადობა, რომელიც მ. ორახელაშვილის თვალსაზრისით, კომუნისტისათვის საძრახისი არასოდეს არ უნდა ყოფილიყო, კოლექტივიზაციის საწყის ეტაპზე „დამოკლეს მახვილად“ გადაიქცა და მას აქტიურად იყენებდნენ ორგანიზაციული შეცდომებისა და

ნაკლოვანებების გადასაფარად. კოლექტივიზაციის პროცესების მოწინააღმდეგეთა მიმართ გატარებული რეპრესიები კანონიერ სახეს იძენდნენ, როცა მათ ამტკიცებდნენ საბჭოების უზენაესი ორგანოები, ან და პარტიის ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანიზაციები. მართალია, ყოველმხრივ ცდილობდნენ დაეცვათ იმპოზანტურობა და ოფიციალურ დოკუმენტებში მუდამ ნებაყოფლობითობაზე, აგიტაცია-პროპაგანდის გაძლიერებაზე იყო საუბარი, თუმცა შემორჩენილია დოკუმენტები, რომლებიც საწინააღმდეგოსაც ამტკიცებს.

„...დაევალოს, აჭარისტანის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, მიიღოს ყველანაირი ზომები აჭარის ტერიტორიაზე არსებული ბანდების გამოსავლენად და სალიკვიდაციოდ, ამასთან გამოიყენონ მეთოდები: მკვლელობა, დახვრეტა და შემორიგებაც – განსაკუთრებულ შემთხვევებში. პირები, რომლებიც შემჩნეულნი არიან კომუნისტების მკვლელობაში – ცალსახად ლიკვიდირებულ იქნენ.

ს. მამულიას წინადადებით მიღებული აჭარისტანის
საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება (1930 წ.)

ლავრენტი ბერიას შენიშვნა: ჩვენთვის არ არის ცნობილი, თუ რა მოტივით სარგებლობდა საოლქო კომიტეტი აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დროს, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-9 წელს ის ულერს უაზროდ, საშინლად.....

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ.4, საქ. 287, ფურც. 2.

Всесоюзная Коммунистическая Партия (больш.).

ПРАВДА

Орган Центр. Ком. и Моск. Ком. ВКП (б)

Головокружение от успехов.

(К вопросам колхозного движения).

ი.ბ. სტალინის სტატია

კლასობრივმა დაპირისპირებამ წარმოუდგენელი მასშტაბები მიიღო. ექსპერტები მიუთითებენ, რომ 1930 წლის დასაწყისში ანტისაკოლმეურნეო მოძრაობამ მთლიანად საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია – ადგილი ჰქონდა ანტისაბჭოთა გამოსვლებს, შეტაკებებს სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. თუ 1929 წელს დაფიქსირდა 1307 საპროტესტო გამოსვლა, 1930 წელს უკვე მოხდა 2700 ანტისაბჭოთა აქცია, რომელშიც დაახლოებით მილიონი გლეხი იღებდა მონაწილეობას. აშკარა იყო, რომ რუსეთში მზადდებოდა „გლეხური ბუნტი“. საჭირო იყო ვითარების განმუხტვა.

„თავბრუდახვევა წარმატებისაგან“. ასე ჰქვია ი. სტალინის პატარა სტატიას, რომელიც 1930 წლის დაიწერა და რომელშიც მკაცრად არიან გაკრიტიკებულნი ის პარტიული ფუნქციონერები, რომლებმაც დაარღვიეს ნებაყოფლობის პრინციპი საკოლმეურნეო მშენებლობაში, მთელ რიგ რაიონებში ისინი „განკულაკების“ მუქარით აიძულებდნენ გლეხებს გაწევრიანებულიყვნენ კოლმეურნეობებში, არსებულ ქონებას, საქონელს, ფრინველს მთლიანად ასაზოგადებდნენ და გლეხს გაძვალტყავებულს ტოვებდნენ.

„საკოლმეურნეო მოძრაობის მთავარ რგოლს, მის ახლანდელ მთავარ ფორმას, რომელსაც ახლა ხელი უნდა ჩავჭიდოთ, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი. სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულია წარმოების ძირითადი საშუალებები, უმთავრესად მარცვლეული მეურნეობის ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა-პირუტყვი, სამეურნეო შენობები... არტელში განსაზოგადოებული არ არის: საკარმიდამო მიწები (პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ.“

ი.ბ. სტალინი (1930 წ. 5 მარტი)

წერილმა დროულად შეაჩერა კოლექტივიზაციის ფორსირებული პროცესები: ძალიან ბევრი კოლმეურნეობა დაიშალა. თუ წერილის გამოქვეყნებამდე საქართველოში 2894 კოლექტიური მეურნეობა იყო, ორი თვის შემდეგ – 2094 კოლმეურნეობა დარჩა. საქართველოშიც დაიწყეს „განტევების ვაცის“ ძებნა – ძალიან მალე ისინიც აღმოაჩინეს (ლ. ღოღობერიძე, ს. მამულია, მ. ორახელაშვილი და სხვ.), ისიც გაიხსენეს, რომ ისინი ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელებს ავალებდნენ დაეჩქარებინათ პროცესები სოფლად, მიეღწიათ კოლექტივიზაციის სარეკორდო მაჩვენებლებისათვის, რომ თავი მოეწონებინათ კრემლის წინაშე. ისიც გაიხსენეს, რომ ამ სიჩქარის დროს ირღვევოდა სოციალისტური კანონიერება, ადამიანების უფლებები და ა.შ.

„ამ კოლექტივიზაციის გატარებამ მიიღო კომპანიური ხასიათი უნდა ითქვას, რომ არასოდეს არცერთი კომპანია ჩვენ პარტიას არ ჩაუტარებია ისე მოუმზადებლად, ისე აუწონ-დაუწონავად, როგორც ეს იქნა ჩატარებული კოლექტივიზაციის შესახებ“ (სტილი დაცულია- ა.დ.)

ფილიპე მახარაძე
საქ. კპ (ბ) VII ყრილობის სტენოგრამა (ამონარიდი)

ასეთი სერიოზული დარღვევებისა და გადაცდომების გამოსასწორებლად, კიდევ იმისთვის, რომ უფრო ეფექტიანად ეხელმძღვანელა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისა და მთელი ქვეყნისათვის, ი. ბ. სტალინმა, საქართველოს კომპარტიის I მდივნად, ლავრენტი ბერიას კანდიდატურა შეარჩია. მამია ორახელაშვილი მოსკოვში გადაიყვანეს – საქართველოს საბოლოოდ განარიდეს.

თავი IV. ლავრენტი ბერია

ლ. ბერია

აფხაზეთში, სოხუმის მახლობლად, სოფელ მერხეულში, დაიბადა და გაიზარდა ლავრენტი პავლეს ძე ბერია. ის ბოლშევიკების პარტიას საქართველოს გასაბჭოებამდე შეუერთდა და პარტიის გადაწყვეტილებით აზერბაიჯანში განსაკუთრებულად რთული დავალებების წარმატებით შესრულებით თავიც გამოიჩინა. მას ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობის უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა. თავიდანვე გამოირჩეოდა ორგანიზაციული თვისებებით. სადაც კი ის მუშაობდა, ყველგან იყო პირველი და მას, ამის გამო, მუდამ განსაკუთრებულ ამოცანებს ავალებდნენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საარქივო მასალებში ლ. ბერია პირველად 1924 წლის მაისს ჩნდება, როცა პარტიის ხელმძღვანელებმა მისი მატერიალური დახმარება გადაწყვიტეს და საქართველოს სახკომსაბჭოს ფონდიდან ამ მიზნით მას გამოუყვეს 240 მანეთი.

ლ. ბერიას პიროვნულ შესაძლებლობებსა და ორგანიზაციულ ნიჭს აშკარად აღიარებდნენ, განსაკუთრებით საგანგებო კომისიის („ჩეკა“) რიგებში მისი ხანგრძლივი მუშობის გამო, მაგრამ ბევრს ის არ უყვარდა – სწორედ მისი ზედმეტი ინფორმირებულობისათვის. „ჩკ“-ას ქართულ ორგანიზაციაში ხაგრძლივმა მსახურებამ მას ძალიან ბევრი შესძინა: ლავრენტი ბერიამ მტერზეც და მოყვარეზეც ძალიან ბევრი იცოდა. საბჭოთა სისტემის ამ ურთულეს და ერთ-ერთ ფუნდამენტურ ორგანიზაციაში, როცა ის უკვე მისი ხელმძღვანელი გახდა, ლ. ბერიამ რკინისებური დისციპლინა დაამყარა, რითიც ბევრს აოცებდა

„ბერიამ, პირველივე შეხვედრისთანავე, ძალზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე... იგი, უდავოდ, ძალზე ჭკვიანი და გამჭრიახი კაცი იყო, უზარმაზარი ნებისყოფის მქონე და ამასთანავე მეთაურობისა და სხვებზე გავლენის უნარით დაჯილდოვებული. თავისთავშიც მეტად დარწმუნებული ჩანდა. ეტყობოდა, რომ ვერავითარ საწინააღმდეგო აზრს ვერ იტანდა და არაფრადაც არ აგდებდა. სრულიად შეუწყნარებელი იყო სხვების მიმართ და ძალიან ბრაზდებოდა, თუ კი ვინმე რამეში არ ეთანხმებოდა, თუმცა, ამას არც ერთი საბჭოელი არ უბედავდა, ისინი მის წინ ყმებივით იქცეოდნენ...

მერაბ კვიტაშვილი
დიდი ბრიტანეთის დაზვერვის პოლკოვნიკი,
თეირანის კონფერენციაზე პრემიერ მინისტრის უ. ჩერჩილის
უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი ქვედნაყოფის ხელმძღვანელი. (1943 წ.)

როცა საქართველოს კომპარტიის ლიდერებს, XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე, სერიოზული შეცდომები მოუვიდათ და საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის დროს არა ერთი დანაშაულიც დაუშვეს, ამ შეცდომებისა და დამახინჯებების გამოსასწორებლად, საქართვე-

ლოში სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუმჯობესება და პარტიის მიზანდასახულობათა რეალიზება კრემლმა სწორედ ლავრენტი ბერიას შესთავაზა. 1931 წლის 14 ნოემბერს გაიმართა საქ. კპ (ბ) ცკ პლენუმი, რომელმაც საქართველოს პარტორგანიზაციის პირველ მდივნად ლავრენტი ბერია აირჩია. ერთი წლის შემდეგ ლ. ბერია უკვე ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახდა – ეს კი უდიდესი ნდობა და პასუხისმგებლობა იყო.

ლ. ბერიამ თავისი მუშაობის უპირველეს ამოცანად სოფლის მეურნეობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ჩათვალა, რაც ადვილი საქმე არ აღმოჩნდა.

„...დიდი ნაწილი საშუალო გლეხისა მოჰყვა განკულაკებაში. როგორ ხდებოდა განკულაკება, სადაც აუარებელი შეცდომა იქნა დაშვებული? ჯერ ერთი, რომ ასახლებდნენ ოჯახს, რომელშიც შედიოდნენ 80-90 წლის მოხუცები, ინვალიდები, ქალები, ბავშვები და ავადმყოფები. სად ასახლებდნენ მათ – კაცმა არ იცის, სად უნდა წასულიყო – არავინ იცოდა. ამან შექმნა ის გარემოება, რომ საშუალო გლეხი, რომელიც უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე კულაკისა, გახდა მისი თანამგრძნობელი“

ფილიპე მახარაძე
სიტყვა საქართველოს კპ (ბ) VII ყრილობაზე (1930 წ.)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 6., ს. 2, ფურც. 367

ლ. ბერიამ თავისი მოღვაწეობა აშკარა პოპულისტური საქმიანობით დაიწყო – უკვე კარგად აპრობირებული მეთოდით: თავისი წინამორბედების შეცდომებისა და დანაშაულობების ჰიპერტროფირებული წარმოდგენით, მათი საქმიანობისა და მათი ცხოვრების დაფარული მხარეების სააშკარაოზე გამოტანით, პარტიის დაწერილი და დაუწერელი კანონების მათ მიერ უხეში დარღვევების მხილებით, ის შეეცადა ფართო მასებში პოპულარობის განმტკიცებას. ასეთი პოლიტიკა მოსწონდა იმჟამინდელ საბჭოთა საზოგადოებას – ცხოვრებით გაღიზიანებული და ნევრებმოშლილი ადამიანები მუდამ „განტევების ვაცს“ ელოდებოდნენ. რა თქმა უნდა, ასეთ დროს სუბიექტურ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

„...რაში გამოიხატებოდა ძველი ხელმძღვანელების შეცდომები?. პირველ რიგში რუსეთის ხორბლეულის რაიონების გამოცდილების მექანიკურ გადმოღებაში ქართულ სოფელში, რაც აიხსნებოდა ქართული სოფლის სინამდვილის არცოდნით, მისგან მოწყვეტით, საქართველოს თავისებურებების გაუთვალისწინებლობით, ანგარიშგაუწევლობით, უხეში შეცდომები დამზადების კამპანიის დროს, ადგილობრივი ამხანაგებისათვის აშკარად გადიდებული დავალებების მიცემაში, კოლექტივიზაციის პროცესის დეკრეტირებაში, ადმინისტრირების მეთოდის გამოყენებაში კოლმეურნეობების მშენებლობის დროს, უხეში დამახინჯებები ფულადი რესურსების მობილიზაციისას, ძალმომრეობითი მეთოდების გამოყენება ობლიგაციების გავრცელების დროს და ვითარების ვარდისფრად წარმოდგენა...

ლავრენტი ბერია
საქ. კპ (ბ) VIII ყრილობის სტენოგრამა (1932 წ.) (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 7., ს. 1, ფურც. 68.

საბჭოთა მუშაობის სტილი, უკვე ჩამოყალიბებული მყარი ტრადიციით, ყოველთვის გულისხმობდა წინამორბედი, შეცდომების გამო განთავისუფლებული ხელმძღვანელის, მკაცრ კრიტიკას. ლ. ბერიამ ეს საქმე კი ფილიგრანული ოსტატობით განახორციელა და მას ეს კრიტიკული პათოსი ძალიან დიდხანს გაჰყვა. მით უფრო, რომ წინამორბედმა ხელმძღვანელებმა მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიჩინეს თავი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის დროს და მართლაც დაუშვეს უხეში გადაცდომები. სწორედ ამ გადაცდომების, შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორებას, სამხრეთ კავკასიის რესპულიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმებსა და პერსპექტივებს ეხებოდა ის ახალი დადგენილებაც, რომელიც ი. ბ. სტალინის ინიციატივით მომზადდა.

ისტორიული გადაწყვეტილება. 1931 წ. 31 ოქტომბერს საკ. კპ (ბ) ცეკამ მიიღო დადგენილება: „საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კპ(ბ) ცეკას, აზერბაიჯანის კპ (ბ) ცეკასა და სომხეთის კპ (ბ) ცეკას მოხსენებათა გამო“. მან თავიდანვე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვის, ისე საქართველოსათვისაც. სწორედ ეს დადგენილება დაედო საფუძვლად საქართველოში ერთიან, კომპლექსურ ქმედებას, რომლის შედეგი აღმოჩნდა საკმაოდ მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება: მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული აღმშენებლობის გაძლიერების ბაზაზე ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის წარმატებული დასრულება. დადგენილების რეალიზაციით დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი საქართველოს ისტორიაში: საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკური განვითარება ტოტალურად – როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა. აშკარად გამოიკვეთა ქვეყნის მომავალი განვითარების უპირატესი ორიენტირები, რამაც საკმაოდ ხანგრძლივად (თითქმის საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე) უზრუნველყო საქართველოს ეკონომიკის მეტ-ნაკლებად სტაბილური განვითარება, რაც ქართველი ერის კონსოლიდაციის წარმატებით დასრულების საფუძველიც გახდა.

„„საბჭოთა კავშირის უზრუნველყოფა ძვირფასი ტექნიკური სპეციალური კულტურებით (ბამბა, ჩაი, რამი, აბრეშუმი, თამბაქო, ციტრუსოვანი ნარგავები, ლიმონი და მანდარინი...)“... საქართველოს ორგანიზაციების წინაშე სახავს ჩაის პლანტაციების (საბჭოთა მეურნეობები) მაქსიმალურად გაფართოების საბრძოლო ამოცანას, აგრეთვე ამ კულტურების კოლმეურნეობებში ყოველმხრივ გაფართოების ამოცანას, მთელი რიგი სპეციალური წამახალისებელი ღონისძიებების გზით (პურით მომარაგება, სამრეწველო საქონლით მომარაგება, შეღავათიანი სესხის მხრივ და სხვ.). ამასთან, მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაის მხრივ“

საკ. კპ (ბ) ცეკას 1931 წ. 31 ოქტომბერს დადგენილება (ამონარიდი)

ციტრუსების ბაღი

საკავშირო დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასაც გულისხმობდა, ამ მიზნით გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები, გარკვეული შეღავათები და პრივილეგიებიც იმ ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის, ვინც აქტიურად ჩაებმებოდნენ დადგენილების რეალიზაციის საქმეში. ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ დადგენილება ითვალისწინებდა დასავლეთ საქართველოს ჭაობიანი ტერიტორიების გაჯანსაღებას და ამ მიწებზე ჩაისა და ციტრუსების ბაღების, ახალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, ჩაის, ხილისა და ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების ორგანიზებას. უდიდესი სუბსიდიები გამოიყო საქართველოს საკურორტო პოტენციალის ასათვისებლად.

სწორედ ამ დადგენილებამ შეუქმნა მატერიალური საფუძველი იმ გამორჩეულ კეთილდღეობას, რასაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ მიაღწია 60-80-იან წლებში და რაც რუსეთში ინტელიგენციის რიგი წარმომადგენლის შურისა და ანტიქართული ფსიქოზის წარმოშობის საფუძველი გახდა.

„...დღეს, სამუდამოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს ის ხელსაყრელი სავაჭრო პირობები, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი სოციალისტური წყობილების დროს. ბუნებრივი პირობებით განსაზღვრული უპირატესობა, რაც საქართველოს გააჩნდა სხვა ქვეყნებთან შედარებით, კვლავაც არსებობს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც აადვილებს ვაჭრობას მთელი მსოფლიოს სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორთან, ისინი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია...

საქართველო ვერ დაიბრუნებს ძველ პოზიციებს, თუ ვერ შეძლებს დაკარგული ბაზრების დაბრუნებას და ამავე დროს ახალ ბაზრებზე დამკვიდრებას...“

საზღვარგარეთელი ექსპერტების (TACIS) დასკვნა (1999 წ.)

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე არქივი, დამატება, აღ.1, ს. 29, ფურც. 16.

ახალი კოლხიდა. იმუამად, საკ. კპ (ბ) ცეკას დადგენილებები არ იყო „ფარატინა ქაღალდი“, როგორც ეს შემდეგ მოხდა. მის უკან იდგა განსაზღვრული რესურსები, საკავშირო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა, მოსკოვისა და ლენინგრადის შესაბამისი სამეცნიერო პოტენციალის შესაძლებლობები და საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელის დიდი ნებისყოფა.

დადგენილების რეალიზება ძალიან სწრაფად დაიწყეს. მნიშვნელოვანი პროექტები, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში წინა წლებშიც ხორციელდებოდა, მაგრამ ლ. ბერიას მონდომებისა და მიზანსწრაფვის გამო ამ პროექტების მასშტაბებიც და, რაც მთავარია, შესრულების ხარისხი განსაკუთრებით გაიზარდა. ლ. ბერიამ საქართველოს ხელმძღვანელობაში აშკარად დანერგა „ჩეკისტური მიდგომა“ საქმისადმი, მკაცრი ადმინისტრირების მეთოდები, მოხდა პირადი პასუხისმგებლობის წარმოუდგენელი ზრდა და „შიშის სინდრომის“ შესაძლებლობების აქტივიზირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი მმართვის პერიოდში ხელმძღვანელების ლექსიკონიდან ამოშალა სიტყვა „შეუძლებელია“, პიროვნება ყველაფერზე უნდა წასულიყო, რომ ნაკისრი დავალება შეესრულებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ადვილად „დაასრულებდნენ“.

„...აქ ჯერ კიდევ ვერ შეეგუენ იმ აზრს, რომ საყოველთაოდ უნდა იყოს ერთიანი ბოლშევიკური ნებისყოფა ამიერკავკასიის ბოლშევიკებისა... ის რაღაც ნაპრალებს ეძებს და ქმნის პატარა ატამანებს. ეს არ გამოვა, ყველა ეს ნაპრალი ამოივსება, ხოლო თუ ვინმე სადმე შეძვრება, იქვე გაქვავდება...“

ლავრენტი ბერია
საქართველოს კპ (ბ) VIII ყრილობის სტენოგრამა (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღ. 7, ს. 1, ფურც. 88.

საქართველომ თავისი ადამიანური რესურსები მთლიანად მიმართა საკ. კპ (ბ) ცეკას დადგენილების სარეალიზაციოდ. მართლაც, გამორჩეული და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოში ჭაობიანი და უვარგისი მიწების ამოშრობა-აღდგენისა და სასოფლო-სამეურნეო საქმეში მათი ჩართვის საკმაოდ ხანგრძლივ და ეფექტიან პროცესს.

„მგზნებარე კოლხიდელის – დიდი სტალინის შთაგონებით, კოლხეთის დაბლობზე, საბჭოთა ხალხი გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებს ბუნების სტიქიასთან, რათა საუკუნეებით დაგუბებულსა და აშმორებულ ჭაობს გამოსტაცოს ძვირფასი, უაღრესად ნაყოფიერი მიწა და ციტრუსოვან კულტურათა ბაღად აქციოს... ამჟამად კოლხიდის ველზე მიმდინარეობს გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც ჭაობების ამოშრობის ზუსტად დამუშავებულ გეგმაზეა დამყარებული. სამუშაოთა ცენტრი მოთავსეულია ფოთის მიდამოებში და ითვალისწინებს პირველ რიგში 5-ათასი ჰექტარი მიწის დაშრობას და ამ ნიადაგზე ძვირფას ციტრუსოვანთა კულტურათა ბაღების გაშენებას“

კანდიდ ჩარკვიანი
სიმონ ჩიქოვანი
კრებული „ახალი კოლხიდა“, 1937 წ.

გალაკტიონი

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება ძალიან მალე ნაყოფიერად აისახა საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. თუ 1924 წლიდან 1932 წლამდე კოლხეთის ჭაობების ამოშრობას ძლივს მოახმარეს 4 570 ათასი მანეთი, დადგენილების მიღების შემდეგ ამ ისტორიული ამოცანის სარეალიზაციოდ საკავშირო მთავრობამ მხოლოდ ერთ წელს გამოჰყო 13 350 ათასი მანეთი. საქართველოში შემოიყვანეს რთული და თანამედროვე ტექნიკა – 16 მძლავრი ექსკავატორი, 20 სპეციალური ტრაქტორი, მსუბუქი ტექნიკა და ა.შ. უკვე 1934 წელს ჭაობების ამოსაშრობად საკავშირო მთავრობამ დამატებით კიდევ 11 650 ათასი მანეთი გამოჰყო. ამის საფუძველზე, იგეგმებოდა 9 000 ჰექტარი გაჯანსაღებული მიწების ექსპლოატაციაში შეყვანა. მუშაობის ტემპები რეკორდული იყო: თუ 1924-1932 წელს საქართველოში ამოაშრეს კოლხეთის ჭაობის მხოლოდ 300 ჰექტარი, 1932-1934 წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა 5000 ჰა ახალი, გაცოცხლებული ნაყოფიერი მიწა, რომელზედაც გაშენდა ციტრუსისა და ჩაის ახალი პლანტაციები.

ეს ისტორიული გამოწვევა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, იმდენად გამოხატავდა ქართველი ერის ნაციონალურ ინტერესებსა და ხანგრძლივ პერსპექტივაზე იყო გათვლილი, რომ ქართველმა მწერლებმა ამ ფაქტს ჩინებული ლექსების კრებული მიუძღვნეს. ეს ლექსები, რა თქმა უნდა, ეპოქის დამღით არიან დაღდასმულნი, მაგრამ მათში გულწრფელი ფრაზებიც აშკარად გამოკრთის.

„მალარია!
ხან სიმინდი უტყვია,
ვით ეს ყანა
ფარცხა, ფაცხა მეგრული,
გული კაცის
მოკლულია უტყვიოდ,
ხელები აქვს უბორკილოდ შეკრული“

ასე იყო წარსულში, დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ კი რა მოხდა? რას მოელის დიდი პოეტი ამ ტერიტორიებზე მიმდინარე აღდგენითი სამუშაოებიდან?

„მალე აშრიალდება ფორთოხლის
და ლიმონის ბაღები,
დაიქროლებს სიო კალიფორნიის
და პალმების აიწევა თაღები.

ბურუსში ჩანს სუბტროპიკის მცენარე,
ამ ჭაობზე
ხვალ რომ გადაიშლება,

გაუმარჯოს აყვავეულ ამ არეს
პირველყოფილს
რომ სპობს გადაშიშვლებას!“
გალაკტიონი (1934 წ.)

პოეტურ კრებულში, რომელიც მოგვიანებით (1937 წ.) გამოქვეყნდა, გაერთიანდა თვალსაჩინო ქართველი პოეტების: ალექსანდრე აბაშელის, ირაკლი აბაშიძის, შალვა აფხაიძის, ვიქტორს გაბესკირიას, იოსებ გრიშაშვილის, იონა ვაკელის, იაკინთე ლისაშვილის, კოლაუ ნადირაძის, სიმონ ჩიქოვანის, გალაკტიონ ტაბიძის მიერ სხვადასხვა დროს კოლხეთის ჭაობების ამოშრობის ისტორიული მნიშვნელობისადმი მიძღვნილი ლექსები და პოემები. შეიძლება დავუშვათ, რომ ამ კრებულში მონაწილე პირებს შორის იყვნენ კომფორმისტები, შინაგანად საბჭოთა ხელისუფლების მოძულე ადამიანებიც, მაგრამ ისინი ყველა ერთხმად აღნიშნავდა კოლხეთის დაჭაობებული სივრცის გაჯანსაღების უდიდეს მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საჭირო საქმეში.

ახალი ვენახი, ახალი ბაღები

პარალელურად, ხანგრძლივი მუშაობა ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოშიც ხეხილის ბაღებისა და ახალი ვენახების გასაშენებლად. ამ მიზნით, განსაკუთრებული იყო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობაც, რასაც, ასევე, უდიდესი ისტორიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თუ 1930 წელს ქსპლოატაციაში შევიდა 5400 ჰექტარი ახალი სარწყავი მასივი, უკვე 1933 წელს ირწყვებოდა 23 654 ჰექტარი ახლადათვისებული მიწა. თესავდნენ ბამბას, რგავდნენ ხეხილს, აშენებდნენ ვენახის ზვრებს.

იმ წლებში გორის, ქარელის რაიონებში შეიქმნა მეხილეობის ახალი საბჭოთა მეურნეობები, გაიხსნა ახალი სანერგე სადგურები, დიდი მუშაობა ჩატარდა სოფლების გარშემო ქარსაცავი ზოლების შესაქმნელად.

„...შენი მკერდები ათქვირდა მაშინ
–ეს მოგონება აღარ გაქრება –

როცა ნესვები დამწიფდა ბაღში
და ყვითელ ატმებს დაუწყეს კრეფა.

მახსოვს: კალათა ტოტებს აჰკიდე,
რომ დაგეკრიფა ყურძენი ხეზე,
და გიწეპავდნენ ტუჩების კიდეს
მწიფე ლეღვები, დამსკდარი მზეზე.

კოლაუ ნადირაძე

საკარმიდამო ნაკვეთები. *ლ. ბერიას* მმართველობის პერიოდში საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის „პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები“, რომელთა შესახებ ი. სტალინი თავის გახმაურებულ სტატიაში მკაფიოდ მიანიშნებდა. ეს თეზისი არ იყო ორთოდოქსული მარქსიზმის დოგმატიკიდან, მასზე არც ლენინს არაფერი აქვს თავის ბოლოდროინდელ ნააზრევში, მაგრამ ი. სტალინმა სწორედ ეს სიახლე გამოიყენა გლეხური ბუნტების შესაჩერებლად და ამ პოლიტიკამ მას გაუმართლა.

დაიწყეს კოლმეურნე გლეხებისათვის „საკარმიდამო ნაკვეთების“ სწრაფად შერჩევა და დარიგება. ვინც კოლმეურნეობაში მუშაობდა, იმ ოჯახს სოფელში აძლევდნენ გარკვეულ მიწას – ფერმას მინიატურაში, სადაც მას უფლება ჰქონდა გაეგრძელებინა დამოუკიდებელი სამეურნეო საქმიანობა, მხოლოდ ოჯახის წევრების შრომის გამოყენებით. კოლმეურნეს ეკრძალებოდა მუშა-ხელის დაქირავება. ამ მეურნეობიდან მიღებული პროდუქციის გაყიდვა „საკოლმეურნეო ბაზრებზე“ უკვე შეიძლებოდა და მიღებული შემოსავალი კარგი დანამატი იყო კოლმეურნე გლეხის ბიუჯეტისათვის. ამრიგად, გლეხს ეძლეოდა საშუალება კვლავ დაკავშირებოდა საბაზრო ურთიერთობას.

ამ სიახლის ინიციატორებს, როგორც მოსკოვში, ისე თბილისშიც ეგონათ, რომ ეს ღონისძიება იყო დროებითი, სანამ კოლმეურნეობა გაძლიერდებოდა და ფინანსურად განმტკიცდებოდა. მაშინ „საკარმიდამო მამული“ თავის აუცილებლობას და მიზანდასახულობას დაკარგავდა და შეერწყმებოდა კოლექტიურ საკუთრებას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

„საკარმიდამო მეურნეობის დიდი მოცულობა ზოგიერთ რაიონში წარმოშობს პრობლემებს საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის საქმეში. ამის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ საკოლმეურნეო-საზოგადოებრივი შრომისა და საკარმიდამო მეურნეობაში შრომის უნარიანი შეხამების შედეგად, როცა საკოლმეურნეო შრომისაგან მიღებული შემოსავალი უზრუნველყოფს გლეხის შრომის შრომითი ორიენტაციის გადასვლას არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტივისტური შრომის ფორმებისაკენ“.

ლავრენტი ბერია
საქ. კპ (ბ) IX ყრილობის სტენოგრამა (1934 წ.)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 167, ფურც. 14.

საიდან გაჩნდნენ საქართველოში „პატარა ბოსტნები პატარა ბაღები“? როგორც დოკუმენტურად მტკიცდება, ეს „საკარმიდამო ნაკვეთები“ გამოთავისუფლდნენ სოფლის ბურჟუაზიის „განკულაკების“ დროს მიტა-

ცებული მიწების საფუძველზე. სოფელში ყველამ ჩინებულად იცოდა, თუ საკარმიდამო მიწა ვინ, როდის და რომელ „კულაკს“ „წაართვა“.

„მ ო ი ს მ ი ნ ე ს: *საბაღეს (საკარმიდამოს) განაწილება*

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ბატიაშვილ არჩილს მიეცა დიდ მინდვრებზე მიტრო ომანაშვილის 1200 კვ საჟენი; მეზვრიშვილ ნიკოს – ძეძვებში ვანია შიუკაშვილის 1200 კვ. საჟენი. ავაქაშვილს სანდროს – ნადარბაზევში იასე ბურნაძის მიწა 600 კვ. საჟენი; ზარდიაშვილ სანდროს – გიორგი მოდებაძის მიწა 1600 საჟენი...

წინანდლის სოფსაბჭოს დადგენილება (ამონარიდი) 1934 წ.
თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს. 3, ფურც. 1.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხი, ვისაც გადაუნაწილდა „კულაკების“ ექსპროპრირებული სამიწო ფონდი, თავისი დრაკონული ღონისძიებების თანამონაწილედ გაიხადა და ამით შეძლო მისი სოციალური პროტესტის განეიტრალება. ამან სერიოზული სოციალური უკმაყოფილების საფუძველი სოფელში მოსპო.

საქართველოს ზემძლავრი ინდუსტრიალიზაცია. ლ. ბერიას ხელმძღვანელი საქმიანობა დაემთხვა ეპოქას, როცა საბჭოთა სახელმწიფო, უზარმაზარი ძალების დაძაბვით და წარმოუდგენელი მსხვერპლით ცდილობდა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგებში მსოფლიოში წამყვან პოზიციების მიღწევას. მძიმე, გაუთავებელ პოლიტიკურ ბრძოლებში ჩაკარგული ქვეყანა, ისე მივიდა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე, რომ განვითარების მხოლოდ გეგმები ჰქონდათ, ისიც ქაღალდის ფურცელზე დაწერილი. რეალური მიღწევები ჯერ კიდევ შთამბეჭდავი არ ჩანდა – საბჭოთა კავშირს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები ანგარიშს საერთოდ არ უწევდნენ.

„ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩებით მოწინავე ქვეყნებს. ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ, ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ...

ი. ბ. სტალინი
სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ
სრულიად საკავშირო კონფერენციაზე 1931 წ. 4 თებერვალს
წარმოთქმული სიტყვა. (ამონარიდი)

გადაუდებელმა ამოცანებმა და საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერების ამბიციებმა მოითხოვეს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების 45 პროცენტიანი ზრდა. ეს კი საჭიროებდა დამატებით მატერიალურ რესურსებთან ერთად, შრომის განსაკუთრებულ ორგანიზებას, რაც მხოლოდ გამორჩეულ სამეურნეო მუშაკებს ხელეწიფებოდათ. ლავრენტი ბერიამ შემოიკრიბა თავის გარშემო ენერგიული ადამიანების დიდი ჯგუფი და მათთან ერთად (ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, პ. მელაძე, გ. ყურულაშვილი, ს. თოდრია, რ. გოგლიძე, გ. ვაშაძე, ვ. მზარეულაშვილი და სხვ.), უდიდესი ძალისხმევით შეძლეს ეკონომიკის განვითარება.

გრანდიოზულმა ამოცანებმა მოითხოვეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ზოგიერთი დოგმატიკის გადახედვა – მრეწველობის სტიმულირების მიზნით დაინერგა სამეურნეო ანგარიში, სულ სხვა დატვირთა შეიძინა მუშათა მატერიალური და მორალური სტიმულირების ფაქტორებმა,

შეიცვალა დამოკიდებულება „სპეცებისადმი“ (ძველი, რევოლუციამდელი პროფესიონალებისადმი, ინტელიგენციისადმი საერთოდ).

ვ. ბაქრაძე

ეპოქის მოწოდება გახდა „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს!“ „კულაკების“ მიმართ განხორციელებულმა რეპრესიებმა, სახელმწიფო ობლიგაციების თითქმის ძალისმიერი გავრცელებისა და არსებული ადამიანური რესურსების საფუძველზე, საბჭოთა ქვეყანაში დაიწყო მრეწველობის „ა“ ჯგუფის დაჩქარებული განვითარება. XX საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოში აშენდა ახალი თბოელექტროსადგურები, სამშენებლო მასალათა დამამზადებელი საწარმოები, მსუბუქი მრეწველობის ბევრი მნიშვნელოვანი ობიექტი და ა.შ. დაჩქარებული წესით მიმდინარეობდა კასპის ცემენტის ქარხნის, თბილისის ახალი მექანიკური ქარხნის, ზაჰესი II-ის მშენებლობა და ა.შ.

1930 წელს ექსპლოატაციაში შევიდა „რიონჰესი“, მიმდინარეობდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს პოტენციალის შესწავლა და მისი ექსპლუატაციისათვის მომზადება. ქუთაისში ბარიტის საბადოს საფუძველზე მიმდინარეობდა ლითოფონის ქარხნის მშენებლობა.

გაძლიერებულმა ინდუსტრიალიზაციამ მოითხოვა დამატებითი მუშახელი – სოფლიდან მიგრანტთა ხარჯზე საქართველოს სამრეწველო ქალაქებმა მიიღეს მუშათა რიგების ახალი შევსება. 1930 წლიდან საქართველოში, ოფიციალური ცნობით, უმუშევრობა უკვე აღარ ფიქსირდებოდა. პირიქით – გაჩნდა დიდი მოთხოვნა კვალიფიცირებულ კადრებზე.

კადრების „შიმშილის“ მოსასპობად ფაბრიკა-ქარხნებთან მოეწყო პროფესიულ-ტექნიკური განათლების კურსები, წრეები, სკოლები. თითქმის ყველა მსხვილ სამრეწველო ქალაქში გაიხსნა ტექნიკუმები – საშუალო ტექნიკური პერსონალის მოსამზადებლად.

სწორედ 1930 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოეყო პოლიტექნიკური მიმართულების კათედრები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა „ГПИ“ – სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც გახდა საქართველოში ტექნიკური ინტელიგენციის აღზრდის მნიშვნელოვანი კერა.

1935 წელს საქართველოში ექსპლოატაციაში შევიდა რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმო – ამიერკავკასიაში ერთადერთი და უდიდესი „ТАРЗ №8“ (თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხანა) და სსრ კავშირში ერთ-ერთი უდიდესი თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა (მომავალი „ისანი“) (არცერთი ეს საწარმო დღეს აღარ არსებობს).

„...თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა მერვეა საბჭოთა კავშირში, თავისი სიდიდითა და აღჭურვილობით პირველი ამიერკავკასიაში. იგი უნდა მოემსახუროს ამიერკავკასიისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის ავტომეურნეობებს. ქარხანას უკავია 11 ჰექტარი ფართობი, აქვს 9 საწარმოო კორპუსი. დასრულებულია მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა 60 ოჯახისათვის. ქარხანას აქვს დამხმარე მეურნეობა დიღომში (48 ჰექტარი). საწარმოს მშენებლობა დაჯდა

14 მილიონ 37 ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენი მოხმარდა მუშათა საცხოვრებელ ბინებსა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების მშენებლობას...“

გაზ. „კომუნისტი“, 1934 წ. 6 სექტემბერი.

ავტოშემკეთებელი ქარხანა

ჭიათურის უნიკალური საბადოს ბაზაზე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობამ. 30-იანი წლების მეორე ნახევარში, თბილისში, გაიხსნა „ცენტროლიტი“, შამპანური ღვინოებისა და კონიაკის ქარხნები. კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ახალი საწარმოები ექსპლოატაციაში შევიდა საქართველოს თითქმის ყველა დიდ თუ საშუალო ქალაქში.

მაგრამ, მარტო საწარმოს მშენებლობა და ექსპლოატაციაში შესვლა არა კმაროდა მაღალი ეკონომიკური წარმატებებისათვის. აუცილებელი გახდა შრომისნაყოფიერების ზრდა.

სტახანოვური მოძრაობა. მარქსისტული დოგმატიკით – ექსპლუატაციისაგან თავისუფალი ადამიანის შრომა წარმოუდგენლად შედეგიანი უნდა ყოფილიყო, რომელსაც დაეფუძნებოდა მომავალი კომუნისტური საზოგადოება, სადაც წარმოება და განაწილება მთლიანად სახელმწიფოს ხელში იქნებოდა და ის იზრუნებდა ადამიანის, როგორც შრომით, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებზე. ფ. ენგელსის მიხედვით, ამისათვის უნდა შექმნილიყო „შრომითი არმიები“ – ადამიანთა დიდი მასების გაერთიანებები, რომლებიც სრულად განახორციელებდნენ წარმოების პროცესს. „შრომითი არმიების“ საბჭოთა სინამდვილეში დანერგვის ინიციატორი ლევ ტროცკი იყო და მან ერთ-ერთი პირველი „შრომითი არმია“ ჩრდილოეთ კავკასიაშიც ჩამოაყალიბა. ეს იყო უანგარო შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ, სამაგიეროდ, ადამიანი ცხოვრებისათვის საჭირო ყველა პროდუქტს ასევე სახელმწიფოსაგან უფასოდ იღებდა.

1919 წელს, ვ.ი.ლენინის მონაწილეობით, შედგა პირველი „შაბათობა“, როცა ადამიანები სრულიად უანგაროდ, ანაზღაურების გარეშე, შრომობდნენ საზოგადოებისათვის საჭირო და აუცილებელი საქმის გასა-

კეთებლად. ეს „შაბათობა“ საბჭოთა სისტემას ბოლომდე გაჰყვა, თუმცა ის წელიწადში ერთხელ თუ ეწყობოდა.

მაგრამ, ლენინის გარდაცვალებისა და ლ. ტროცკის რეალური ძალაუფლების შესუსტების შემდეგ „შრომის არმიების“ მიმართ ინტერესი შენელდა. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა იყო უანგაროდ შრომის შემსრულებელთა ნაკლები რაოდენობა და ასეთი შრომის არაეფექტიანობა. ძალიან მალე გახდა ნათელი, რომ წმინდა მარქსისტულ დოგმატიკაზე დაფუძნებული ეკონომიკა სერიოზულ პრობლემებს აწყდებოდა და ქმედითი და რეალური არაფერი კეთდებოდა. შიშველი ენთუზიაზმი მარადიული ეკონომიკური კატეგორია ვერ გახდა. საჭირო იყო საბჭოთა ეკონომიკის მართვის სტრუქტურაში სიახლის ელემენტების შეტანა, რაც გამოაცოცხლებდა ეკონომიკას.

ი.ბ.სტალინის ფრაქციის ინიციატივით საბჭოთა შრომით კოლექტივებში დაინერგა „სამეურნეო ანგარიში“, ყურადღება მიექცა წარმოების პროცესების რაციონალიზაციას, ოპტიმიზაციას. დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოიძებნა კონკურენციის ალტერნატიული ფორმა – შრომითი ენთუზიაზმი ვერ ფარავდა ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებს, საჭირო გახდა მატერიალური სტიმულირება, რომ შრომისნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელი ზეაღმავალი ყოფილიყო.

ა. სტახანოვი

აი, მაშინ გაიხსენეს ვ. ლენინის წერილი „როგორც მოვაწყოთ შეჯიბრება“, რომელიც საფუძვლად დაედო უშუალოდ შრომის პროცესს წარმოებებში. მოწინავე მუშები, უფრო ხშირად კომუნისიტები ან კომკავშირლები, საწარმოო პროცესის დროს გამოდიოდნენ ახალი შრომითი თაოსნობის ინიციატორად. საქმე ეხებოდა პროდუქციის რაოდენობის ზრდას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას, მასალებისა და ნედლეულის ეკონომიკურ ხარჯვას, შრომის პროცესების რაციონალიზაციას და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მატერიალური დაინტერესების საფუძველზე უნდა გაკეთებულიყო.

1935 წლის 30 აგვისტოს დომბასელმა მეშახტემ ალ. სტახანოვმა შრომის ახალი რეკორდი დაამყარა – მან ყოველდღიურ ნორმას 14-ჯერ გადააჭარბა და მოხსნა ევროპაში, გერმანიის რურის შახტებში აღიარებული მეშახტეების დღიური რეკორდი. მისი ეს თაოსნობა ახალი მასობრივი მოძრაობის სტიმული გახდა. ამ ფაქტით დაინტერესდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები და მათ ამ საქმიანობის ტირაჟირება საბჭოთა პროპაგანდისტულ აპარატს დაავალეს.

„სტახანოვური მოძრაობა მუშათა და მუშა-ქალთა ისეთი მოძრაობაა, რომელიც მიზნად ისახავს ახლანდელი ტექნიკური ნორმების გადალახვას, არსებული საპროექტო სიმძლავრეების გადალახვას. გადალახვას – იმიტომ, რომ ისინი, ეს ნორმები, უკვე მოძველდნენ ჩვენი დღეებისათვის, ჩვენი ახალი ადამიანისათვის. ეს მოძრაობა ამსხვრევს ძველ შეხედულებებს ტექნიკაზე, ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, ძველ საპროექტო სიმძლავრეებს, ძველ საწარმოო გეგმებს და მოითხოვს ახალი, უფრო მაღალ ტექნიკური ნორმების, საპროექტო სიმძლავრეების, საწარმოო გეგმების შექმნას.

ი.ბ.სტალინი

სიტყვა სტახანოველთა პირველ თათბირზე (1935 წ. 17 ნოემბერი)

ი. ბ. სტალინმა, ამ ახალ თაოსნობაში დაინახა საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი წინსვლის ახალი შესაძლებლობები და არც შემცდარა. რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს ამ თაოსნობის ტირაჟირება დაავალეს.

ნ. სადაღაშვილი

ლ. ბერიას მითითებით საქართველოს პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა დიდი მუშაობა გაშალეს ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სტახანოვური მუშაობის მეთოდების გასავრცელებლად. საქართველოში პირველი სტახანოველები ჭიათურასა და ტყიბულის საწარმოებში გამოჩნდნენ. მაღაროელები ვ. სამხარაძე, ტრ. ფოფხაძე, ა. კაპანაძე, ტყიბულელი მეშახტე გრ. გიორგაძე, ტყვარჩელელი ნ. ხუნტუა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სტახანოველი მ. ფაღავა დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ. ამ თაოსნობამ მათი ხელფასებიც მნიშვნელოვნად გაზარდა. საბჭოთა სტატისტიკით საქართველოს საწარმოებში სტახანოვურმა მოძრაობამ მხოლოდ ერთი წლის მანძილზე შრომისნაყოფიერება 29,1 პროცენტით გაადიდა, მძიმე მრეწველობაში – 25,5 პროცენტით.

სტახანოვური მოძრაობა გავრცელდა საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც. ქართველი კოლმეურნეები სოციალისტურ შეჯიბრებებში იწვევდნენ რუსეთის, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელებს, აფორმებდნენ შრომით ხელშეკრულებებს, იღებდნენ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს: რომ უფრო უკეთ ემუშავათ, უფრო მეტი მოსავალი მოეყვანათ, უფრო წინ წაეწიათ ქვეყნის სამეურნეო შესაძლებლობები.

„იგი დაიბადა 1903 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში. სწავლისათვის არც დრო და არც საშუალება ჰქონდა. 1930 წელს ახლადშექმნილი ოჯახით სოფელ ქვახვრელში დასახლდა, მაგრამ მეუღლე სულ მალე გარდაეცვალა და დარჩა მარტო მცირეწლოვანი ბავშვებით... ნატალია სადაღაშვილი ახლადშექმნილ სოფლის კოლმეურნეობაში გაერთიანდა... როცა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა, მან გადაწყვიტა არ ჩამორჩენოდა მოწინავე სტახანოველებს... შრომა დაუფასდა. მის მიერ გაპიროვნებულ ნაკვეთში მოვიდა არნახული მოსავალი. ...აი, ასეთი იყო ნატალია სადაღაშვილი და არც არავის გაჰკვირვე-

ბია, როცა იგი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს... დეპუტატების საპატივსაცემოდ საბჭოთა მთავრობამ მიღება მოაწყო. როცა სუფრასთან ადგილები დაიკავეს, ნ. სადაღაშვილი ი.ბ. სტალინის გვერდით აღმოჩნდა. მან ცხოველი ინტერესი გამოავლინა ნატალიას საქმიანობის მიმართ და საუბრის დასასრულს ჰკითხა, რა სურდა მთავრობისაგან ბეჯითი მუშაობისათვის. ნატალია არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა – „სკოლა“... ი.ბ. სტალინის მითითებით, იმავე წელს დაიწყეს სკოლის მშენებლობა, რომელიც სულ მალე დამთავრდა და რომელსაც დღესაც თანასოფლელები სიყვარულით „ნატაშას სკოლას“ ეძახიან...

კრებული „სტახანოვური მოძრაობის პიონერები საქართველოში“
(თბილისი, 1975 წ.) (ამონარიდი)

ანდრე ჟიდი საქართველოში. საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს, უდიდესი ინტერესით, ადევნებდნენ თვალს დასავლეთ ევროპაში. XX საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტური იდეოლოგია მთელ მსოფლიოში საოცარ აღმავლობას განიცდიდა: საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი კომუნისტური პარტიები არსებობდა – აშკარაა, სამყარო ჯერ კიდევ ძიების პროცესში იყო და ბოლომდე არა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ რომელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია უფრო წაადგებოდა პროგრესს და რომელი უფრო სწრაფად მიიყვანდა ადამიანს დიდი ხნის ნატვრასთან – საყოველთაო კეთილდღეობით სავსე საზოგადოებასთან.

იმჟამად ევროპისა და ამერიკის წამყვანი კაპიტალისტური, დემოკრატიული ქვეყნები საშინელი ეკონომიკური კრიზისიდან გამოდიოდნენ, იყო „დიდი დეპრესია“, მშრომელი მასების მასობრივი გაღატაკება და ა.შ. ამ ფონზე დემოკრატიული იდეოლოგიის სერიოზული კრიზისის ნიშნებიც შეიმჩნეოდა. ასეთ ევროპას ბევრი იმდროინდელი მოაზროვნე განადგურებასაც კი უწინასწარმეტყველებდა (მაგალითად, ო. შპენგლერი თავის „ევროპის მზის ჩასვენება“-ში და სხვ.“).

ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ, კომუნისტური საბჭოთა კავშირი უკლასო საზოგადოების აშენების გეგმებს სთავაზობდა მსოფლიოს და თვითონაც საკმაოდ ენერგიულ ნაბიჯებს დგამდა რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეჟიმის დასამკვიდრებლად. საბჭოთა კავშირს საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა მსოფლიოში, რადგან კომუნისტური მოძრაობის მთავარი მოკავშირე „სიღარიბე“ – ჯერაც კიდევ მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა იმჟამინდელი კაცობრიობის ყოველდღიურ ცხოვრებას.

კომუნისტური იდეოლოგიისა და პრაქტიკის პარალელურად, ჩამოყალიბდა ფაშისტური, ნაციონალისტური იდეოლოგიაც, რომელიც იტალიელი და გერმანელი ფაშისტების მეცადინეობით სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდა ევროპაში – ბევრი მას მესამე გზად მიიჩნევდა და მტკიცე მხარდაჭერასაც უცხადებდა. ფაშისტური ორგანიზაციები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობდნენ.

1933 წელს, გერმანიაში, სახელმწიფოს სათავეში, დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა და დამკვიდრებული წესების სრული დაცვით მოვიდა ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია ადოლფ ჰიტლერით სათავეში. მისი ერთ-ერთი უპირველესი ღონისძიება იყო რაიხსტაგის დაწვის ფარული ორგანიზება და მისი კომუნისტებისათვის გადაბრალება. გერმანიაში დაიწყო კომუნისტების დევნა. შეიპყრეს III ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი გ. დიმიტროვი და ლაიპციგში მოეწყო საჩვენებელი პროცესი. აშკარა იყო, რომ ა. ჰიტლერი მსოფლიოს ახალ გადანაწილებაზე ოცნებობდა.

ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია ხელისუფლებაში

„ახალი ტერიტორიების მოპოვება-შეძენა და მასზე ჭარბი მოსახლეობის გადანაწილება შეუდარელად დიდ შესაძლელობას შეგვიქმნიდა მომავლისათვის.

მაგრამ წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევდით, თუ ტერიტორიული ექსპანსია სადმე აფრიკაში კი არა, არამედ აქ, ევროპაში განხორციელდება.

ჩვენი გადაწყვეტილება – ვიბრძოლოთ არსებობისათვის – სრულიად ბუნებრივია.

ადოლფ ჰიტლერი
„ჩემი ბრძოლა“ (ამონარიდი)

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისი იყო საოცრად რთული, წინააღმდეგობრივი ხანა – მოხდა ერების კონსოლიდაცია ეროვნული ლიდერების გარშემო, ძალა გახდა პრობლემების გადაჭრის მთავარი საშუალება, აშკარა იყო საბედისწერო ომის მოახლოებაც. ასეთ ვითარებაში მსოფლიოს ყველა იდეოლოგიური მიმართულება, ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ხელმძღვანელი ცდილობდა მსოფლიოში თავის მომხრეთა გამრავლებას, თავისი იდეოლოგიური პოსტულატების კულტივირებას, მსოფლიოში ცნობილი ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვებას, მწერლების, ხელოვნების მუშაკების გადაბირებასა და მათ აქტიურ ჩართვას პროპაგანდისტულ სახელმწიფო მანქანაში.

საბჭოთა სახელმწიფო თავისი პოლიტიკური სისტემის, იდეოლოგიის ძირითადი პოსტულატების ექსპორტს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე ახორციელებდა. ამ მიზნით, აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა დელეგაციებსაც – ძირითადად მუშების, მემარცხენე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა ჯგუფების დახმარებით, რომლებიც სხვადასხვა საბაბით და მიზნით, სხვადასხვა დროს ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირში. არსებობდა და სულ უფრო ძლიერდებოდა III კომუნისტური ინტერნაციონალი – მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მთავარი ციტადელი, რომელსაც მთლიანად მოსკოვი აკონტროლებდა. მოსკოვს სურ-

და შორს გაეტანა თავისი ეროვნული პოლიტიკის შედეგები, რათა ყოველმხრივ დაერწმუნებინა მსოფლიოს რადიკალურად განწყობილი ადამიანები: საბჭოთა სისტემა ყველა პირობას უქმნის ადრე დაჩაგრულ ერებს ეკონომიკის, კულტურის არნახულ აყვავებისათვის. საქართველო ასეთი სტუმრების მიღების ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი იყო, ამიტომაც საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ დელეგაციები საზღვარგარეთიდან.

ა. ბარბიუსი

ჯერ კიდევ 1925 წელს, საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი მუშების დიდი ჯგუფი, რომელსაც თბილისელები წარმოუდგენელი აჟიოტაჟით შეხვდნენ. 1927 წელს, თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი. ის შეხვდა მუშებს, იყო სხვადასხვა საწარმოში და მოიხიბლა ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით. ის საქართველოში 1929 წელსაც ჩამოვიდა და სიტყვით გამოვიდა თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე.

„მე მგონი, რომ საქართველოს თუნდაც ერთხელ დათვალიერებით ყოველი გულწრფელი მოქალაქე თამამად იტყვის, რომ საქართველო იმ საფეხურზე დგას და წინსვლის ისეთ ხანას განიცდის, როგორიც მას არ მოსწრებია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ეს წინსვლა ეტყობა ეკონომიკას, კულტურას, პოლიტიკას, სოციალურ და სხვა დარგებს“

ანრი ბარბიუსი
გაზ. „მუშა“, 1927 წ. 20 ოქტომბერი

ვ. პიკი

„ლაიფციგის პროცესის“ შემდეგ, კურორტ ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში, ჯანმრთელობას იკაჟებდა გიორგი დიმიტროვი – III კომუნისტური ინტერნაციონალის მომავალი გენერალური მდივანი. ის ხშირად ხვდებოდა ქართველ მუშებს, პროპაგანდას უწევდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. საქართველოში იმყოფებოდა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვილჰელმ პიკი (მომავალში, II მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი და ერთადერთი პრეზიდენტი) და ბევრი სხვა პოლიტიკური მოღვაწე. ისინი ხვდებოდნენ საქართველოს მუშებს, გლეხებს, სტუმრობდნენ სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელს და ამ შეხვედრების დროს პროპაგანდას უწევდნენ საზოგადოებრივი განვითარების სტალინურ გეგმას, მას კი სწორუპოვარ ლიდერად აცხადებდნენ.

„მე ვიცი, რომ თქვენ ელით იმ მომენტს, როცა შეძლებთ დაეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს თქვენი რევოლუციური ძალით, რათა უზრუნველყოთ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება გერმანიაში, რათა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მუშათა გაერთიანებული ძალ-ღონით გააფართოვოს მსოფლიო რევოლუციის ბაზა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს მომენტი მალე დადგება...“

ვილჰელმ პიკი
საქართველოს მუშებთან შეხვედრის დროს
წარმოთქმული სიტყვა (ამონარიდი)

მაგრამ, მეტად თავისებური და განსხვავებული აღმოჩნდა სტუმრობა ევროპაში ძალიან ცნობილი და აღიარებული მწერლის, ფრანგი ანდრე ჟიდის, რომელიც გამოირჩეოდა ორიგინალური აზროვნებით, საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფიით და საყურადღებო გამონათქვამებით. ის ევროპაში ცნობილი იყო თავისი კრიტიკული შეხედულებებით ბურჟუაზიული სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის კარდინალურ საკითხებზე, ჰქონდა კეთილგანწყობით აღსავსე წერილებიც საბჭოთა კავშირისა და სტალინის მიმართ. (მოგვიანებით – 1947 წელს მან ნობელის პრემიაც კი მიიღო ლიტერატურის დარგში გაწეული დიდი ღვაწლისათვის). ეს საკმარისი იყო, რომ მისთვის საბჭოთა კავშირში, მართლაც, მეფური მიღება მოეწყოთ. ქართული გაზეთები ბეჭდავდნენ ანშლაგებს: „საფრანგეთის დიდი ხალხის დიდ მწერალს, უძლეველი საბჭოთა კავშირის მეგობარს, ანდრე ჟიდს – მხურვალე სალამი ორდენოსანი საქართველოს მშრომელებისაგან“.

ანდრე ჟიდი საქართველოში 1936 წლის ზაფხულში ჩამოვიდა და ის, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მწერლების სტუმარი იყო – მას დახვდნენ და მასპინძლობა გაუწიეს: პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, ბესარიონ ჟღენტმა და სხვა ქართველმა მწერლებმა, პოეტებმა, კრიტიკოსებმა. შეხვედრის დროს გაიმართა ქართული ლხინიც. ერთ-ერთ მიღებაზე ცნობილმა ქართველმა ლიტერატორმა ბ. ჟღენტმა ფრანგ მწერალს შენიშნა, რომ კარგი იქნებოდა, როცა სამშობლოში დაბრუნდებოდა, დაეწერა წიგნი: „სოციალიზმის ქვეყნიდან დაბრუნება“. ამ კითხვაზე ა. ჟიდმა ასეთი პასუხი გასცა – „მალე დადგება ისეთი დრო, როცა მას შეეძლება მისცეს თავის ახალ წიგნს შემდეგი სახელწოდება: „სოციალიზმის ქვეყანაში დარუნება“. ამით, მომავალმა ნობელის პრემიის ლაურეატმა, საფრანგეთში სოციალისტური რევოლუციის განხორციელება დააანონსა და ამით თავისი ქართველი კოლეგების გული მოინადირა.



ა. ჟიდი

„არსად საბჭოთა კავშირში არ მიგვრძნია უფრო ნამდვილი, უფრო მოყვარული ერთგულება გამარჯვებული რევოლუციის დიდი საქმისადმი, როგორც მშვენიერ, ორდენოსან საქართველოში, რომელმაც თავისი ხელმძღვანელთა გონების წყალობით შეძლო შეენარჩუნებინა, აღედგინა ან ახლად მოეპოვებინა თავისი ჭეშმარიტი ტრადიციის ძირითადი თვისებები“

ანდრე ჟიდი

წერილი ლავრენტი ბერიას: „გამოთხოვება საქართველოსთან“
(ამონარიდი) 1936 წ. აგვისტო

ანდრე ჟიდმა დანაპირები შეუსრულა ბესო ჟღენტს – ძალიან მალე საფრანგეთში გამოქვეყნდა მისი წიგნი „საბჭოთა კავშირიდან დაბრუნება“, რომელიც უკვე აღარ მოეწონა საბჭოთა ხელისუფლებას, ავტორის მიერ საბჭოთა სისტემის რიგი მხარეების შეულამაზებელი კრიტიკის გამო. ამის შემდეგ ა. ჟიდის შემოქმედება დიდი ხნით აიკრძალა საბჭოთა კავშირში, მასზე საუბარიც არ შეიძლებოდა.

„სტალინის გამოსახულებას შეხვდებით ყველგან, ყოველ ნაბიჯზე, მისი სახელი *ყველას ბაგეზეა ასახული, ქება-დიდება მისი – ყველა გამოსვლის დროსაა. განსაკუთრებით კი საქართველოში, ყველა საცხოვრებელში, ყველაზე უფრო მოკრძალებულში, მიუსაფარშიც კი, თქვენ, აუცილებლად დაინახავთ სტალინის სურათს სწორედ იმ ადგილას, სადაც ადრე ხატები ეკიდათ. მე არ ვიცი რა არის ეს: გაღმერთება, სიყვარული, შიში, მაგრამ ყველგან და ყველაფერში ყოველთვის არის ის...“*

ანდრე ჟიდი
„Возвращение из СССР“ (1937 წ.) ამონარიდი

სტალინის პიროვნების კულტი საქართველოში. სამწუხაროა, რომ ნობელის პრემიის მომავალმა ლაურეატმა, საინტერესო და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაშრომების ავტორმა ვერ დაინახა, ვერ შეამჩნია, რომ „ის“, რაც მას ასე ძალიან არ მოსწონდა საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის დროს, იყო სწორედ „ის“ აუცილებელი, უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი გადამწყვეტი კომპონენტი, რაც მის ქვეყანას – დემოკრატიულ საფრანგეთსა და მის მოკავშირეს – დიდ ბრიტანეთს არ აღმოაჩნდათ II მსოფლიო ომის დაწყების წინ. სწორედ ამ „ნაკლის“ (ანუ ამ ფაქტორების არ არსებობის) გამო, მსოფლიო სუპერ-სახელმწიფოებმა ინგლისმა და საფრანგეთმა, უზარმაზარი ადამიანური და მატერიალური რესურსების არსებობის პირობებში, სამარცხვინოდ წააგეს ბრძოლა II მსოფლიო ომის დასაწყისში ჰიტლერის არმიებთან დიუნკერკთან, ხოლო ა. ჟიდის სამშობლო – საფრანგეთი, გერმანიის მიერ ოკუპირებული, იძულებული გახდა ჰიტლერთან გარიგებაზე წასულიყო.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში, საბჭოთა კავშირში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა სტალინის პიროვნების კულტის ფორმირება – ამას ცდილობდნენ არსებული პროპაგანდისტული მანქანის ყველა შესაძლო ხერხებით. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა – გერმანიაში ჩამოყალიბებული ნაციონალისტურ-შოვინისტური პოლიტიკური და ფსიქო-სოციალური რეალიები, და მისგან წარმომდგარი ძლიერი იმპულსები შეიძლება დაძლეულიყო მასზე კიდევ უფრო ძლიერი პოლიტიკური და ფსიქო-სოციალური რეალიებითა და ძლიერი იმპულსებით. პიროვნების კულტი – ეს იმჟამად არ იყო ერთი პიროვნების მანიაკალური პატივმოყვარეობის სურვილი. ეს იმ პერიოდში ზოგიერთი სახელმწიფოს განვითარების ისტორიული პროცესის აუცილებლობის შედეგი იყო და მას ისტორიული ლოგიკა განაპირობებდა.

აღსანიშნავია, სტალინის კულტის ფორმირების საქმეში, ლავრენტი ბერიას მიერ შეტანილი წვლილიც – 1935 წელს მან საქართველოში, ერთ-ერთ პარტიულ ფორუმზე წაიკითხა მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან“, რომელიც შემდეგ რუსულ ენაზეც ითარგმნა და საზღვარგარეთაც გამოქვეყნდა. ტრადიციულად, ასეთი მოხსენება მომზადდა საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური სამსახურის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით, თუმცა მისი წარდგინება ქართველი კომუნისიტების პარტიულ ფორუმზე ლიდერმა, ლავრენტი ბერიამ გააკეთა.

ლ. ბერიას ავტორობით გამოცემული წიგნი

მოხსენება-წიგნის მთავარი ამოცანა იყო დოკუმენტურად დაესაბუთებინა ი. სტალინის უდიდესი ღვაწლი ამიერკავკასიაში ბოლშევიკური იდეების გავრცელებისა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის განვითარების საქმეში, რასაც საქართველოს წინა პარტიული ხელმძღვანელობა (ფ. მახარაძე, თ. ჟღენტი და სხვ.) რატომღაც ჩქმალავდა. ნაშრომში ხაზგასმულია ი. ჯუგაშვილის (სტალინის) თავიდანვე მტკიცე და ორგანული კავშირი ლენინის მსოფლმხედველობასთან და მის პოლიტიკურ ხაზთან. მოხსენება–წიგნი ამკვიდრებდა იმ პერიოდში ასე აუცილებელ და საჭირო თეზისს: „სტალინი – ლენინის საქმის ყველაზე ერთგული გამგრძელებელია!“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში საქართველოს კომუნისტების ლიდერს არ ჩამორჩებოდნენ ქართველი მწერლებიც – გიორგი ლეონიძემ უზარმაზარი პოემა მიუძღვნა იოსებ სტალინს „ბავშვობა და ყრმობა“, პაოლო იაშვილმა დაწერა რამდენიმე ლექსი სტალინზე, ლიტერატურაში აკადემიური მიმართულების წარმომადგენელმა კონსტანტინე გამსახურდიამ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელს მიუძღვნა თავისი წიგნი – „ბელადი“.

„ეთხოვებოდნენ ყმაწვილები გორის მშვიდ ქუჩებს, ბალახითა და ხავსით მოსილ ქუჩაბანდებს, ჩუტკარაანთ უბნის ვიწრო შუკებს, მტკვრისა და ლიახვის ხეობების საყვარელ სანახებს, ბურეთისა და კვერნაქის მშვენიერ ქედებს, ყოველ ამინდში რომ იცვლიან ფერსა და აღნაგობას. გორის ციხეს მუდამ დაღვრემილს, საუკუნეთა კოშმარულ სიზმრებში გართულს.

როგორი დიდი მღელვარება შეიპყრობს ხოლმე ჭაბუკს, როცა თავისი სიყრმის ასპარეზს უნებურად შორდება, სცილდება იმ აზრით, რომ ცხოვრების უფრო მაღალ ხარისხზე შესდგას ფეხი.

როგორი პატარა, საყვარელი და სანატრელი ხდება მაშინ ეს ადგილები, მივიწყებულია ყოველივე სიმძიმილი და თუნდაც დუხჭირი ცხოვრება გეტარებინოს მანდ, მაინც გიმძიმს მათი დათმობა...“

კონსტანტინე გამსახურდია
„ბელადი“ (ამონარიდი)

სტალინს

დაუშრეტელი ცეცხლის დენა ხარ,
ღელვა მზის შუქით განათებული,
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,
ხალხის გენიად დაბადებული.

ა. მაშაშვილი

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი.
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი.
ასწია დროშა მაღალი
კაცთა შრომის და გონების,
მსოფლიო აზრის, ძახილის,
მიღწევის, გამოგონების.

გ. ტაბიძე

შენ დათესე სიბრძნის თესლი,
სამშობლოს რომ ალამაზებს,
უბრძნესი და უთბილესი
ჩვენ ცხოვრება გვითავაზე.

ს. ჩიქოვანი

მშრომელთა ბედის აკვანი
მზრუნველად დაგირწევია,
საბუდრად მილიონების
გულები აგირჩევია.
ჩვენი გული და გონება,
თვით ჩვენი სისხლის დენა ხარ,
ათასი წლისა მანძილის
ათ წუთში გამორბენა ხარ.

ხალხური

ჯუღაშვილო, მე შენ გამჩენს
ვენაცვალე ყელშია.
დაწიხლული გლეხკაცობა
შენ გამართე წელშია.

ხალხური

ვ. სტავსკი

1937 წელს, საბჭოთა კავშირში, დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსანის“ შექმნიდან 750 წლისთავი. თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ოფიციალური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საბჭოთა ლიტერატურის კორიფეები (დემიან ბედნი, ალექსანდრე სერაფიმოვიჩი და სხვ.), დელეგაციები ბულგარეთიდან, ესპანეთიდან, ისლანდიიდან, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან. საზეიმო შეხვედრის დროს, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გენერალურმა მდივანმა, მწერალმა ვ. სტავსკიმ თავის გამოსვლაში, პოეტმა ა. ჟაროვმა თავის საზეიმო მიმართვაში და სხვა გამომსვლელებმა გრძნობამოჭარბებული სიტყვები არ დაიშურეს ი.ბ.სტალინის კულტის გასაძლიერებლად.

„ჩვენ პლენუმს ვხსნით აქ, თბილისში, ქართველი ხალხის დედაქალაქში, იმ ხალხისა, რომელმაც ჩვენს სამშობლოს, კაცობრიობას მისცა გენიოსი და ბელადი, ამხანაგი სტალინი!“

ვლადიმერ სტავსკი
სსრკ მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი (1937 წ. თბილისი)

საქართველო, „ხალხთა ბელადისა და დიდი მასწავლებლის“ სამშობლო ქვეყანა, და ეს არის უდიდესი დამსახურება საკაცობრიო კულტურის წინაშე – ეს თეზისი მტკიცედ ინერგებოდა სრულიად საქართველოში და მას გარკვეული მატერიალური საფუძველიც ჰქონდა შემზადებული – საქართველოსა და ქართველ ერს, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და მისი მეგობრები კრიტიკის ცეცხლში ატარებდნენ და უამრავი მისი ნაკლი სააშკარაოზე გამოჰქონდათ („ბედნიერი ერი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და სხვ.), სულ რაღაც შვიდი ათეული წლის შემდეგ, საჯაროდ უმტკიცებდნენ, რომ ისინი მსოფლიოში უკვე იყვნენ იმით გამორჩეულნი, რომ მათ მიწაზე დაიბადა „გენიოსი და ბელადი, ამხანაგი სტალინი“. ეს მოსაზრება, შესაძლებელია, ქართველებში ბევრმა არც კი გაიზიარა, ზოგმა ის საიუბილეო სხდომაზე პოეტების გადაჭარბებულ ხოტბადიდებას დაუკავშირა, ზოგმა შეიძლება ის დაივიწყა კიდეც, მაგრამ ამ სხდომაზე ნათქვამი საქართველოს გამორჩეულობის თეზისი მაინც ჩაინერგა ნაყოფიერ ნიადაგში. რიგით ქართველს, ზოგიერთ ინტელიგენტსაც კი იმპონირებდა, რომ უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის ხელმძღვანელი, მსოფლიო პროლეტარიატის „დიდი ბელადი და მასწავლებელი“ გორში დაბადებული მეწაღის ვაჟიშვილი იყო, რომელსაც ქართული გვარიც ჰქონდა და ქართულადაც მეტყველებდა. ეს ქართული ხალხური ზღაპრის ახდენის ტოლფასი იყო – ღარიბი ქვრივის შვილი უზარმაზარი სახელმწიფოს მეთაური გახდა...

ეროვნული საკითხი და ეროვნული ურთიერთობები. სტალინის პიროვნების კულტი – ინტერნაციონალისტური კულტი იყო – მას აღიარებდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ერის წარმომადგენლები. საქართველოში – აქ მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებიც.

ლ. ბერიას მიაჩნდა, რომ მისი მოღვაწეობის შედეგად, ეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხები საქართველოში რადიკალურად გაუმჯობესდა. მან, მართლაც შეცვალა პოლიტიკა და წინა წლებში საქართველოში ეროვნებათაშორისი ურთიერთოების გაუმჯობესების, არაქართველი ეთნოსების სოციალურ-კულტურული დაწინაურების მიზნით დაწერილ გაუთავებელ დადგენილებებსა და ცირკულარებს უკვე ამ ეტაპზე დაუპირისპირა ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესამჩნევი განვითარება, რომელიც ერთიანად გააუმჯობესებდა ყველა ეთნოსის საერთო ცხოვრების დონეს, როგორც ქართველის, ისე არაქართველი მოსახლეობის, და ეს კი შექმნიდა სოციალური და ეროვნული თანასწორობის კიდევ უფრო ძლიერ აღქმას.

უკვე აშკარად ჩანდა, რომ საქართველოს შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობები ვერ უზრუნველყოფდნენ ქვეყანაში მცხოვრები მრავალი ათეული ეთნოსის კულტურული განვითარების მაღალ სტანდარტებს მშობლიურ ენაზე. ამიტომაც 30-იან წლებში, ეროვნებათაშორისო ურთიერთობის პოლიტიკა უფრო სხვა განზომილებაში გადაიყვანეს.

საქართველოში ეთნოსები ცხოვრობდნენ როგორც კომპაქტურად, ისე ბევრი იყო შერეული დასახლებებიც. მრავალეროვანი იყო როგორც ქალაქის მოსახლეობა, ასევე ბევრი დაბა და სოფელი. მაგალითად, თბილისის მაზრის სოფელ ყარაიაში ცხოვრობდა 6570 თურქი, 276 ქართველი, 775 რუსი, 264 აისორი, 169 სომეხი. პოლიეთნიკური დასახლებები

ბევრი იყო აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონში, სამხრეთ საქართველოში, აჭარაში.

30-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნოსს უკვე ჩამოყალიბებული, გამოცდილი პარტიული და კომკავშირული ელიტა ყავდა, რომლის საშუალებით, ძირითადად, რეგულირდებოდა ერთაშორისი ურთიერთობები საქართველოში და მაქსიმალურად ცდილობდნენ დაეძლიათ, გაენეიტრალებინათ ეთნიკური დაპირისპირება – თუ კი ის განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა არაჯანსაღი ტენდენციები და ზოგიერთი მიუღებელი ფაქტი მაინც ხდებოდა და ეს ფაქტები ასახულია იმჟამინდელ პარტიულ თუ სახელმწიფო დოკუმენტებშიც. XX საუკუნის 20-იან წლებში, სერიოზული პრობლემა იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსი ეროვნების მოთარეშე ბანდების საქმიანობა, რომლებიც ქართულ სოფლებს ძარცვავდნენ. გარკვეული პრობლემები იყო პანკისში, სადაც ქისტი (ჩეჩენი) მოსახლეობა კომპაქტურად ცხოვრობდა და ზოგჯერ შეიმჩნეოდა დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე.

როგორც დასტურდება, საქართველოს ზოგიერთ სოფელში, სადაც პოლიეთნიკური საზოგადოება იყო ჩამოყალიბებული, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვა, ადგილი ჰქონდა ეთნოსებს შორის წინააღმდეგობას, შეიმჩნეოდა უსამართლობაც.

ლაზები

„მოისმინეს: „ამხ. მოლოტოვის სახელზე, მოქ. იოსიფიდის განცხადება იმის შესახებ, რომ ბაშკიჩეთის რაიონში ცალკეულ შემთხვევებში მახინჯდება ეროვნული პოლიტიკა“

... კირიონ იოსიფიდი, ბაშკიჩეთის რაიონის სოფ. ყაშკათალას მცხოვრებია, უპარტიო, 40 წლის. აქ ძირითადად ცხოვრობენ თურქები (უმრავლესობა), ქართველები, სომხები, რუსები (დუხობორები, მოლოკნები), გერმანელი, ჩეჩნები. ბერძნები ცოტანი არიან. ისინი, ძირითადად, ორ სოფელში ცხოვრობენ. საქონლის გატაცება, დაკვლა, სისხლის აღება და სხვა ამგვარი იშვიათობას არ წარმოადგენს. უმრავლესობა ასეთი შემთხვევისა ადგილობრივი მილიციის მიერ არ არის გახსნილი, დამნაშავენი არიან დაუსჯელნი და უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა ასეთი მოვლენების ზრდა...

საქართველოს კპ (ბ) ცეკას ბიუროს 1934 წ. 3 დეკემბერის დადგენილება (ამონარიდი)

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 181, ფურც. 198.

პოლიეთნიკურ რეგიონებში უკმაყოფილობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ეთნიკურ უმცირესობებისათვის „სოციალური ლიფტის“ არ არსებობის პრობლემაც. დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოს რიგ პო-

ლიეთნიკურ რეგიონში ადგილობრივი კადრების ხვედრითი წილი ნომენკლატურაში არ შეადგენდა 37,8 პროცენტს.

საქართველო რომ დამოუკიდებელი და სუვერენული, ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა ყოფილიყო, ის უდავოდ განახორციელებდა ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში მცხოვრები პოლიეთნიკური ჯგუფების მჭიდრო ჩართულობას არა მარტო ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ ისინი აქტიურ როლს შეასრულებდნენ ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური პროცესების მართვის საქმეშიც (მაგლითად, აშშ-ის გამოცდილება). მაგრამ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დოგმატიკა გულისხმოდა ადგილებზე ყველა ეთნოსისათვის ნორმალური კულტურულ-საგანმანათლებლო პირობების შექმნას. თუ ეს არ გაკეთდებოდა, ბევრი ეთნოსის წარმომადგენელი, როგორც ვნახეთ, მოსკოვში ჩივილსაც არ ერიდებოდა.

„1...1921-1928 წლამდე, თურქეთში წავიდა 4500 ლაზი მხოლოდ აფხაზეთიდან. ამის მიზეზია ლაზების მიწათმოწყობის არარსებობა; 2. ლაზების სუსტი ჩაბმა კუსტარულსა და საწარმოო არტელებისა, და თევზჭერის ორგანიზაციების საქმიანობაში; 3. ლაზების ცხოვრების სპეციფიკის სუსტი ცოდნა; 4. პარტიული და საბჭოთა მუშაობის არ ქონა ლაზ მოსახლეობაში მშობლიურ ენაზე; 5. თურქეთში გადასახლების საკითხზე მუშაობა ქემალისტების აგიტატორების მხრიდან, კულაკების ბატონობა, რომლებიც მოგვევლინენ ახალ ქურქებში...

ლაზი მოქალაქის ი. ციტაშის წერილი გიორგი დიმიტროვს (ამონარიდი) საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 9, ს. 181, ფურც. 210.

სწორედ ამ ლაზი მოქალაქის წერილზე (და კიდევ სხვა ბევრ დოკუმენტზე) დაყრდნობით, დღეს, გერმანელი მეცნიერების ერთი ჯგუფი ცალმხრივად ამტკიცებს, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში, საქართველოში, ადგილი ჰქონდა ეთნიკური ჯგუფების მიზანმიმართულ შევიწროებას, რათა მომხდარიყო მათი შერწყმა და ნიველირება ქართველი ერის ერთიან ორგანიზმში, რაც სუბიექტურ ინსინუაციად შეიძლება ჩაითვალოს.

საეროვნებათაშორისო ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესის დროს. მართალია, ეს პროცესი ერთიანად მტკივნეული იყო საქართველოს ყველა ეროვნების წარმომადგენელისათვის, მაგრამ დაფიქსირდა ფაქტები, როცა ამ რთულ სოციალურ პროცესს უსინდისო ადამიანები თავისი კერძო ინტერესებისათვის იყენებდნენ და ხელოვნურად აღვივებდნენ ერთაშორის დაძაბულობას.

მესხეთელი თურქები

„როგორი კულაკი ვარ, როცა 14 სულს ვინახავ, არასოდეს მივაჭრია, მოჯამაგირე არასოდეს მყოლია, არავისთვის ექსპლოატაცია არ გამიწევია. ამას-

თან, როგორც ყველა კანონმორჩილი გლეხი, სისტემატურად ვიხდი ყველასათვის სავალდებულო სასოფლო-სამეურნეო გადასახადს. ჩემი ქონება ამჟამად წარმოადგენს: 6 ნახევარ ჰექტარ მიწას, ერთ ძველ სასოფლო სახლს, 30 ცხვარს, 1 ძროხას, 5 ხარს, 1 ცხენს, 1 ვირს, 2 წვრილ საქონელს. ეს არის სულ 14 სულზე... ჩემი კულაკობის საიდუმლო შემდეგშია. ნადირაძე ჩემი მეზობელია. ბავშვობიდან ერთად ვცხოვრობთ მეზობლად, თუმცა მე თურქი ვარ და ის ქართველია. ჩვენ ვიზრდებოდით ერთად. მ. ნადირაძეს ყავს ბიძაშვილი, რომელიც ცარიზმის დროს მუშაობდა თბილისში, ჟანდარმერიაში ჩინოვნიკად, რომელმაც მე დამასმინა 1916 წელს ჟანდარმერიის პოლკოვნიკთან იმის გამო, რომ მე ვარ ცარიზმის მოწინააღმდეგე. ამისათვის ჟანდარმერიამ მე დამაპატიმრა და გადამასახლა ირკუტსკში 8 წლით, სადაც დავყავი 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. შემდეგ ჩამოვედი საქართველოში. ახლა ჩემი დამბეზღებელი ნადირაძე სერგო ალექსანდრეს ძე დაპატიმრებულია სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მიერ 1929 წელს და გაასახლეს თბილისიდან. მისი ბრალდების ერთ-ერთი მოტივი ისიც იყო, რომ მან მე ციმბირში გამისტუმრა. სწორედ ამის გამო მისი ბიძაშვილი მე გასაქანს არ მაძლევს, მემუქრება...

ტორომ ან შარიფოღლი (გოგოლაძე)
ლ. ბერიასადმი გაგზავნილი წერილი (ამონარიდი)

ლ. ბერიას დავალებით თბილისიდან სპეციალური კომისია გაიგზავნა სამხრეთ საქართველოში და დაადასტურეს, რომ ტორომ ან შარიფოღლი კულაკი არ არის. ის სასწრაფოდ ამოიღეს კულაკების სიიდან. მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ნადირაძემ მას ქონება მაინც ჩამოართვა, რამაც თბილისიდან მეორე კომისიის გაგზავნა გამოიწვია. ამ შემთხვევაში სიმართლემ გაიმარჯვა.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება იმ წლებში დიდ ყურადღებას უთმობდა მაჰმადიანურ რეგიონებში ათეისტურ პროპაგანდას – ძალიან დიდი იყო მოლებისა და ხოჯების ზეგავლენა, ისინი ხალხში პროთურქულ ტენდენციებს ავრცელებდნენ, ხელს უშლიდნენ საქართველოს მაჰმადიან მოსახლეობას აქტიურად ჩაბმულიყვნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში. ლ. ბერიას პირადი მითითებით ახალციხესა და სხვა პოლიეთნიკურ რეგიონებში მაჰმადიანი ახალგაზრდობისათვის სპეციალურად გაიხსნა ერთწლიანი კურსები (სულ 200 კაცზე). ასეთი კურსების მიზანი იყო საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემისათვის მოემზადებინათ ადგილობრივი კადრები.



აზიზიეს მეჩეთი ბათუმში

1933 წლის 22 ოქტომბერს, საქ. კპ (ბ) ცეკას ბიურომ მიიღო დადგენილება „ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში სახალხო განათლების ორგანოების გაძლიერების შესახებ". თუმცა ბოლომდე საეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლემები 30-იან წლებშიც ვერ მოწესრიგდა. მაგ-

რამ საქმე იმაში იყო, რომ იმჟამად თვით მკვიდრი ქართველი ერის უამრავი პროლემა იყო მოსაწესრიგებელი და გადასაწყვეტი. ხოლო მას საქართველოს ხელისუფლების გარდა ვერავინ მოაგვარებდა. მათ შორის მთავარი იყო ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა დაიწყეს და წარმატებით დაგვირგვინებას მოელოდა.

ქართველი ერის კონსოლიდაციის სტალინ-ბერიასეული გეგმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთის იმპერატორის ნებამ ერთ სახელმწიფოში გააერთიანა დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო, დიდი მამულიშვილების მთავარი ამოცანა გახდა ქართველთა ერთიანობის მიღწევა, კუთხური პარტიკულარიზმის დაძლევა, რელიგიური განსხვავებებით (მართლმადიდებელი, კათოლიკე, გრიგორიანი და მაჰმადიანი ქართველები) გამოწვეული გაუცხოების აღმოფხვრა. უდიდესი ძალისხმევით, ძალიან მწირი რესურსებით, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მეშვეობით, უამრავი ქველმოქმედი ქართველის დახმარებით ეს პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდა.

„აბა დაიძახე: ქართველო თქო, თუ შავი ზღვიდან მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებული ქართლელის მეტი (ე.ი. გორის მაზრაში მცხოვრები) თუ შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი მსხვილი კისერი შენსკენ მოიდრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქოს იმას არ ეძახიანო, თითქოს ისინი ქართველები არ არიანო...“

ილია ჭავჭავაძე

სწორედ ილიამ და „თერგდალეულებმა“ ჩაუყარეს მტკიცე საფუძველი ქართველი ერის კონსოლიდაციის დიდ ისტორიულ საქმეს, რაც ასე ძალუმად აისახა ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში, ქართული ენის სახელმძღვანელოს შექმნაში, ქართული სასკოლო ქსელის ჩამოყალიბებაში, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ხელის შეწყობაში, ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების აღორძინებაში, ქართული თეატრის განვითარებაში, ქართული სიმღერისა და ფოლკლორის შესწავლა-წარმოჩენაში, ქართული მხატვრული ლიტერატურის აღორძინებაში და ყველაფერი ამის საფუძველზე, მათი აზრით, უნდა მომხდარიყო ერთიანი ქართული ცნობიერების ჩამოყალიბება, რელიგიური გაუცხოვების შედეგების საბოლოო დაძლევა, კუთხური პარტიკულარიზმის აღმოფხვრა და ერთიანი ეროვნული ინტერესებით გულანთებული ახალი ქართველის ფორმირება.

მართალია, ობიექტური მიზეზების გამო ეს პროცესი ბოლომდე მათ ვერ მიიყვანეს, ზოგ სფეროში გადაულახავი წინააღმდეგობებიც გამოჩნდა, რომლის დაძლევის შესაძლებლობა მათ არ ჰქონდათ და ამიტომაც ისინი მომავალ თაობებს დაუტოვეს შესასრულებლად.

ლავრენტი ბერიას, სტალინის შემწეობით, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვისა და ბევრი პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობა ჰქონდა და მან ქართველთა კონსოლიდაციის პროცესი თანმიმდევრულად განახორციელა კიდეც, თუმცა, რა თქმა უნდა, საბჭოთა, სოციალისტური ფასეულობების ნიადაგზე, მაგრამ შედეგი მაინც თვალსაჩინო იყო.

1. საქართველოს ინდუსტრიული განვითარების საფუძველზე მოხდა ქართველი ერის ეკონომიკური ღვედებით შეკვრა-გაერთიანება. ეკონომიკური განვითარების არსებული კანონები (თუნდაც საბჭოთა), ერთიანი ქართული ბაზრის, თუნდაც საბჭოთა ბაზრის ფორმირებამ პარტიკულარიზმის რიგი პრობლემა საბოლოო აღმოფხვრა – მათ მტკიცედ დააკავშირა საქართველოს რეგიონები ერთმანეთს ეკონომიკურად. საკ. კპ ცკ-ას 1931 წლის ოქტომბრის დადგენილების რეალიზებამ, რომელმაც უზრუნველყო დასავლეთ საქართველოში ძლიერი ეკონომიკური რესურსების გამოვლენა და განვითარება, მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაშიც, ასევე განაპირობა ამ მხარის გარკვეული კულტურული დაწინაურება, ცხოვრების დონის თვალშისაცემი ზრდაც.

„განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშაობას, უზრუნველყონ პროგრამის მთლიანი შესრულება... ფერომანგანუმის მრეწველობის ხაზით უზრუნველყოფილი იქნას საქართველოში ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის დამთავრება დანიშნულ ვადაში ... ყურადღება მიაქციონ თუთის ხის გაშენების საკითხებს და მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობების აღმშენელობას, მეაბრეშუმეობის გავრცელებას კოლმეურნეობებში... განამტკიცონ საქართველოს საკურორტო მეურნეობის განვითარების ხელმძღვანელობა და მოაწყონ ამ გაერთიანების ხელმძღვანელობის ქვეშ სანატორიუმების მშენებლობის სპეციალური სააქციო საზოგადოებები...“

საკ. (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება (ამონარიდი)

უზარმაზარმა კაპიტალდაბანდებებმა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობა ქვეყნის ერთიან სამეურნეო ორგანიზმში და მიუხედავად იმისა, რომ ის სტალინური სოციალიზმის ეკონომიკურ კანონებს ექვემდებარებოდა, შედეგად გამოიწვია რეგიონების ეკონომიკური დაკავშირება და ეროვნული კონსოლიდაციისათვის ეკონომიკური ფუნდამენტის შემზადება. ეკონომიკის განვითარება მტკიცედ დაუკავშირეს ცოდნას: განათლებული, ორგანიზებული, ტექნიკის მცოდნე კადრების აღზრდას და მომზადებას და ა.შ.

2. 30-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში ძირითადად დასრულდა ქართული საბჭოთა სკოლის მშენებლობა, რომელიც ლ. ბერიას მმართველობის პერიოდში კვლავ ი. გოგებაშვილის „დედა-ენას“ დააფუძნეს. თუმცა ის შეავსეს საბჭოთა ბელადების ბიოგრაფიებითა და საბჭოთა სინამდვილის აპოლოგიკური საბავშვო მოთხრობებით. ამ სახელმძღვანელოში, ასევე, შეიტანეს სოსელოს (ი. სტალინის) ჯერ კიდევ 1895 წელს ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაბეჭდილი ლექსი „დილა“, რომელიც ი. გოგებაშვილმა თვითონ დაამატა თავის 1913 წლის სახელმძვანელოს.

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც, გახარებული,
ნაზი ხმით ამას ამბობდა:
„აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა,
სამშობლო გაახარეო!“

ქართულმა საბჭოთა სკოლამ მოიცვა სრულიად საქართველო. ის კუთხეებიც კი, რომლის ქართველმა მოსახლეობამ ქართულად წერა-კითხვა არ იცოდა (სამეგრელოს ზოგიერთი რეგიონი, აფხაზეთის ქართველობით დასახლებული რაიონები, აჭარის მთიანეთი). მედრესები ყველგან დახურეს. ანტიქართული ციტადელი ბათუმში – აზიზიეს მეჩეთი დაანგრიეს. საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში, განსაკუთრებით 30-იან წლებში, საქართველოში მასობრივად აშენდა სკოლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, საშუალო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები. თუ 1928 წელს, საქართველოში, ყველა ტიპის 2560 საგანმანათლებლო სასწავლებელი იყო, 30-იანი წლების ბოლოს მათი რაოდენობა უკვე დაახლოებით 4 000-ს მიუახლოვდა.

სასკოლო ქსელის განსავითარებლად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტები: ქუთაისში (1930 წ.), ცხინვალში (1932 წ.) სოხუმში (1932 წ.) თბილისში (1935 წ.) ბათუმში (1935 წ.) გორში (1935 წ.), თელავში (1939 წ.) ზუგდიდში (1939 წ.).

საქართველოში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდა XX საუკუნი 30-ინი წლების დასაწყისში, თუმცა ზოგიერთ შრომით კოლექტივში წერ-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები 30-იანი წლების ბოლომდე შემორჩა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აჭარელი ახალგაზრდისათვის ამ პერიოდში უფრო ძვირფასი გახდა შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე, საქართველოს გმირული ისტორია, ვიდრე მედრესებში მიღებული ცოდნა. ისინი უკვე აღარ განიხილავდნენ საკუთარ თავს ქართველებისაგან განსხვავებულად (აჭარისტანს შეეცვალა სახელი – აჭარად, აჭარის ფუხარა ხალხი საქართველოს ორგანული ნაწილი გახდა, (ანუ „ჰუსეინ დავითაძის“ შვილიშვილი უკვე „გიორგი დავითაძე“ გახდა), რადგან რელიგიურმა ფაქტორმა მათთანაც დაკარგა ყოველგვარი ზეგავლენა და საერთო ეროვნული ფასეულობები (თუნდაც საბჭოთა სიმბოლიკით დაღდასმული) მათთვისაც განმსაზღვრელი იყო.

სამწუხაროდ ეს პროცესი წარმატებით ვერ განვითარდა და ვერ განხორციელდა სამხრეთ საქართველოს მაჰმადიან ქართველებში.

3. წარმოუდგენლად გაიზარდა ქართული წიგნის ტირაჟი. ყოველწლიურად იბეჭდებოდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ათიათასობით რაოდენობა. მარტო “დედა-ენა“ იბეჭდებოდა 85 ათასი ტირაჟით. ქართული ჟურნალები და გაზეთები („კომუნისტი“, „მუშა“, „საქართველოს კომუნისტი“ და სხვ.) მრავალათასიანი ტირაჟით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ქართველი მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში.

მართალია, ეს პრესა ანგაჟირებული და ვიწროპარტიული შინაარსის იყო, მაგრამ ის ქართველების კონსოლიდაციას მაინც ახერხებდა.

1937 წელს, სტალინის მითითების საფუძველზე, ლ. ბერიამ მოახდინა ილია ჭავჭავაძის კულტის დამკვიდრება საქართველოში. პირველად, რა თქმა უნდა, სტალინის სანქციით, „პრავდამ“ დაბეჭდა დიდი სტატია ილია ჭავჭავაძეზე, რამაც მწვანე შექი აუნთო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლას, სასკოლო პროგრამებში მის შეტანას, ის გამოცხადდა „დიდ რევოლუციურ-დემოკრატად“, რუსი განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების (ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლუბოვი და სხვ.) თანამოაზრედ და მოეხსნა ის უარყოფითი არეალი, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ თავისი საქმიანობის დასაწყისში (ნ. ჟორდანიამ, ფ. მახარაძემ და სხვ.) ილიას გარშემო წლების მანძილზე აშენა. ილიას ნაწარმოებები ათიათასობით ტირაჟით იბეჭდებოდა. საქართველოს კომუნისტური პრესა ილია ჭავჭავაძის პოპულარიზაციას ეწეოდა.

„თავის სტატიებში, პოემებში, მოთხრობებში და საჟურნალო სტატიებში ჭავჭავაძე თავს ესხმოდა საქართველოს ძველი თაობის თავადაზნაურულ ინტელიგენციას, რომელმაც უარი განაცხადა რუსეთის კოლონიალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. მეფის ხელისუფლება ილია ჭავჭავაძეს თავის მტრად მოიაზრებდა...“

გაზ. „პრავდა“, 1937 წ. 29 მაისი (ამონარიდი)

„პრავდაში“ დაბეჭდილმა პუბლიკაციამ, საქართველოში, რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება ილიას მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ილიას მთავარი მოძულე ფილიპე მახარაძე ჯერ კიდევ საქართველოს ხელისუფლების გავლენიანი პიროვნება იყო. დაიწყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მასობრივი პოპულარიზება, თუმცა უკვე ახალი იდეოლოგიური კლიშეების გათვალისწინებით.

რკინიგზელთა კლუბი თბილისში

4. გაძლიერდა და განმტკიცდა ქართული თეატრი. თითქმის ყველა დიდ და საშუალო ქალაქში იყო პროფესიული ქართული თეატრალური კოლექტივი. 30-იანი წლების შუა ხანებში, საქართველოში, 48 პროფესიული თეატრალური კოლექტივი იყო, ძირითადად – ქართულენოვანი და პოპულარიზებას უწევდა სალიტერატურო ქართულ ენას. სტატისტიკური ცნობით, 30-იანი წლების დასარულს, თეატრში წლის განმავლობაში დადიოდა 1 978 ათასი მაყურებელი. XX საუკუნის 30-იან წლებში ქართულმა თეატრმა წარმოუდგენელ წარმატებებს მიაღწია. ქართულმა თეატრმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ტოტალიტარიზმის პირობებში ქართველთა ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების საქმეში.

5. გამორჩეული გახდა ქართული კინოს მნიშვნელობა – მართალია, ის საბჭოთა სინამდვილის პროდუქტი იყო და მას მთლიანად განმსჭვალავდა იდეოლოგიური პროპაგანდის აუცილებლობა, მაგრამ ამ ვითარებაშიც ქართული კინო, თავისი ღრმად ეროვნული შინაარსით, ქართული დრამატურგიით, ქართული სამეტყველო ენით და ძალიან მაღალი პროფესიული ოსტატობით ახერხებდა ქართული საქმის კეთებას.

6. 30-იან წლებში უდიდესი ძალისხმევა მოხმარდა ქართული ფოლკლორული მუსიკის, ლიტერატურის, ქორეოგრაფიის შესწავლისა და განვითარების საქმეს. ახალგაზრდა თაობის მუსიკალური განათლება ჩაითვალა აუცილებლობად. ქალაქებსა და ბევრ რაიონულ ცენტრში გაიხსნა სამუსიკო სკოლები, ტექნიკუმები, თბილისში გაიხსნა მეორე კონსერვატორია. 15 სამუსიკო ტექნიკუმში 1978 ახალგაზრდა სწავლობდა (1935 წ.), მათ შორის 338 მუშისა და 104 კოლმეურნის შვილი იყო. სწორედ იმ წლებში ჩაეყარა ძლიერი საფუძველი ქართველების წარმატებებს სამუსიკო ხელოვნების სფეროში, რამაც თავისი გამოვლენას XX საუკუნის 60-80-იან წლებში მიაღწია.

ქართული ფოლკლორის შესასწავლად სისტემატურად ტარდებოდა სამეცნიერო ექსპედიციები, სწორედ მაშინ გამოვლინდა ძალიან ბევრი საინტერესო სამუსიკო თუ ქორეოგრაფიული არტეფაქტი, რომელიც წარმატებით იქნა გამოყენებული, როგორც პროფესიულ სამუსიკო ხელოვნებაში, ისე ხალხური შემოქმედების სხვადასხვა სფეროშიც.

7. ქართველი ერის კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელის გაფართოება: თითქმის ყველა სოფელსა და ქალაქში არებობდა ბიბლიოთეკა, კინო-დანადგარი, კლუბი, კულტურის სახლი. ქართველები გახდნენ წიგნის მოყვარულები. 1934 წელს ბიბლიოთეკებიდან გაიტანეს 110 883 წიგნი. სწორედ ამ პერიოდში გაეცნო ქართველობის ძირითადი ნაწილი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას, გაითავისა ილიასა და აკაკის შემოქმედება, ღრმად დაეუფლა შოთა რუსთაველის უკვდავი შედევრის საკაცობრიო იდეებს. საბჭოთა სისტემამ ყოველმხრივ გამოიყენა დიდი შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის საკაცობრიო იდეები თავისი პროპაგანდისტული მიზნებისათვის და ამ საქმეში მიაღწია უდიდეს წარმატებას.

8. ერის კონსოლიდაციის უდიდესი საშუალება იყო საქართველოს რადიო – მისმა ქსელმა მოიცვა სრულიად საქართველო, ის გახდა დახვეწილი, ლიტერატურული ქართულის გავრცელების უპირველესი საშუალება. თუ კი ვინმა დარჩა რესპუბლიკაში წერა-კითხვის უცოდინარი, საქართველოს რადიოს საშუალებით ის ეუფლებოდა და ეცნობოდა კლასიკური თუ თანამედროვე ქართული ლიტერატურის უახლოეს შედევრებს.

9. გასათვლისწინებელია, რომ ქართველი ერის კონსოლიდაცია შესაძლებელი გახდა ქართული ინტელექტუალური ელიტის მტკიცე შემოქმედებითი ერთიანობის საფუძველზეც – ქართული ინტელექტუალური, შემოქმედებითი ელიტა კონცენტრირებული იყო საქართველოში, მის დედაქალაქ თბილისში. ქართველების შემოქმედებითი ენერგია მთლიანად მიმართული იყო სამშობლოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ, მისი ინტელექტუალური დონის ამაღლებისაკენ, რამაც თავისი დადებითი შედეგები აშკარად გამოიღო.

1932 წელს ლ. ბერიამ სამეგრელოს ავტონომიზაციისათვის მებრძოლი პარტიული ჯგუფი ხელისუფლებას ჩამოაცილა, მათი ლიდერი ი. ჟვანია გაათავისუფლა თანმადებობიდან და ეს თემა საბოლოოდ დახურა.

ამრიგად, XX საუკუნის 30-იან წლების შუა ხნებში ქართველი ერი კონსოლიდაციის პროცესი დასრულდა.

ქართველი პოლიტიკური ნაციის ფორმირების დასაწყისი. საქართველო გასაბჭოების დროს – პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური იყო. ეს განპირობებულია საქართველოს ისტორიული განვითარების დრამატული შედეგებით. და არა მარტო ქართველები იყვნენ პოლიკონფესიური და, გარკვეულწილად, პარტიკულარიზმის სენით დაავადებული, არამედ საქართველოს რიგ რეგიონში (მაგალითად, სამხრეთ საქართველოში, აფხაზეთში, ცხინვალის ოლქში და ა.შ.) მცხოვრები მკვიდრი თუ სხვადასხვა დროს აქ მოსული არაქართველი მოსახლეობაც ქართველებთან, საქართველოს სახელმწიფოსთან თავისი დამოკიდებულების განსხვავებულ იმპულსებს ავლენდა. იყო კეთილმეზობლობისა და ურთიერთთანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება, იყო მექიშპეობაც, გაუგებრობებიც, ცალკეული კონფლიქტებიც. ზოგიერთი ეთნოსი საქართველოში განცალკევებულ ანკლავს წარმოადგენდა თავისი მიკროსამყაროთი. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ხანგრძლივმა ყოფნამ და რუსეთის დივერსიულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გააღრმავა გაუცხოვების ტენდენციები საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის.

„...რაც შეეხება ქართველთა მონდომებას, რომ ამ მხარეში ქართული მართლმადიდებლობა გაბატონდეს, ეს ჩვენთვის არ არის მისაღები და მათ ამაში ხელი უნდა შევუშალოთ, რადგან ქართველები ნაციონალისტები არიან და ისინი დაიწყებენ ამ ახალშემოერთებულ მხარეში ნაციონალისტური იდეების ქადაგებას და ეს კი ჩვენთვის სახიფათოა.“

საქართველოს ეგზარქატის ცირკულარი (XIX ს.)
(ამონარიდი)

ზემოთ უკვე აღინიშნა გარკვეული დაძაბულობის არსებობაზე ეთნიკური ურთიერთობის დარგში, რაც გარკვეულ ეტაპზე პარტიის ავტორიტეტით გადაილახა, მაგრამ ფაქტობრივი ავტონომიების (ანკლავების) არსებობას ვერცერთი ქვეყანა ვერ შეურიგდებოდა და საჭირო იყო ამ ეთნიკური მრავალფეროვნების საერთო ინტერესებით გაერთიანება, არა მარტო პროპაგანდით და პარტიულ ყრილობებზე წარმოთქმული „ხალხთა მეგობრობის“ სადღეგრძელოებით, არამედ კონკრეტული, მიზანმიმართული პოლიტიკით.

საქართველოში ეთნიკური სურათის წარმოსადგენად მოვიტანთ ბორჩალოს მაზრაში (სამხრეთ საქართველო) მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობას: თურქი – 50 979 კაცი, სომეხი -14 169 კაცი, ქართველი – 7 949 კაცი, ბერძენი – 5 501 კაცი, გერმანელი – 4 052 კაცი, რუსი – 1 156 კაცი, სხვა დანარჩენი – 835 კაცი, უცხოელი – 1096 კაცი. სამწუხაროდ, იმჟამად სტატისტიკური ცნობები არ აფიქსირებდნენ სახელმწიფო ენის ცოდნის მაჩვენებელს და არ ვიცით მაგალითად, მაზრაში მცხოვრებმა

გერმანელებმა, თურქებმა და ა.შ. იცოდნენ თუ არა საქართველო სახელმწიფო ენა – ქართული. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მაზრაში მცხოვრებმა 3 თურქმა, 2 340 სომეხმა, 35 ბერძენმა, 1 რუსმა გამოაცხადა ქართული ენა მშობლიურ ენად.

ასევე, თბილისის მაზრაში (თბილისის გარეშე) მცხოვრები 28 597 სომეხიდან ქართული მშობლიურ ენად დაასახელა 11 656 კაცმა, 24 601 ბერძენიდან – 46 კაცმა, 15 846 თურქიდან – მხოლოდ ერთმა, 7 941 რუსიდან – 50 კაცმა, 2880 გერმანელიდან – 43 კაცმა და ა.შ. ვითარება თითქმის მსგავსია ყველა პოლიეთნიკურ რაიონში. სწორედ ეს ქართული ენის მცოდნე არაქართველი მოახლეობა ქართველებთან ერთად აყალიბებდა ქართულ პოლიტიკურ ნაციას და ამ პროცესს სისტემატური ხელშეწყობა სჭირდებოდა. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ენის ცოდნის მაჩვენებელი სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო, რადგან ის მუდამ დაკავშირებულია ტრადიციებთან, ურთიერსიმპატიებთან, ყოფითი კულტურის გამოცდილებასთან და ა.შ.

სტატისტიკური კრებულები კი არაფერს ამბობენ, მაგრამ იგრძნობა, რომ ბევრ პოლიეთნიკურ რაიონში ქართული ენის ცოდნის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი უნდა ყოფილიყო და ვერ ხერხდებოდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის სრული დაცვა. ბევრ რეგიონში (განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში), არაქართველმა მოსახლეობამ არც ქართული იცოდა და არც რუსული.

XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში, ლ. ბერიამ, საქართველოში გაატარა პოლიტიკა, რომლის მიზანი ქართული პოლიტიკური ნაციის ფორმირების დაწყება უნდა ყოფილიყო. ამ პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო რესპუბლიკაში მცხოვრები ძირითადი ეთნოსების (აფხაზების, ოსების, სომხების, თურქების და ა.შ.) ქართველებთან კიდევ უფრო ორგანულად დაკავშირება, ურთიერთ კომუნიკაციების შესაძლებლობების გაფართოება, არაქართველი ეთნოსების კიდევ უფრო აქტიური ჩაბმა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში. ამ მიზნით, პირველ რიგში, გადაწყდა აფხაზური და ოსური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა. ამ საკითხის დაყენება და მისი გადაწყვეტა მოსკოვის თანხმობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, აფხაზი და ოსი პარტიული ნომენკლატურა საქართველოში ამ სიახლის წინააღმდეგნი არ იყვნენ, თუმცა, როგორც ასევე დოკუმენტურად დასტურდება, ამ სიახლეს სერიოზული მოწინააღმდეგენიც ჰყავდა.

„...რამდენიმე უნიჭო სტატია გამოქვეყნდა, რომელშიც დასაბუთებულია რუსულთან შედარებით ქართული ანბანის უპირატესობა. ეს საქმე თავს მოგვახვიეს ნაციონალისტებმა თბილისიდან, ხოლო სამხრეთ ოსეთელი მლიქვნელები სიხარულით მზად არიან ამ საქმის აღსასრულებლად. უნდა იყო ბრმა ვერ შეამჩნიო, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ნაციონალური ანტაგონიზმი, რომ არსებობს საუკუნოვანი სიძულვილი, რაც კიდევ უფრო გაღრმავდა 1918-1919 წწ... სამხრეთ ოსეთის პარტაქტივის შეკრებაზე გამოიტანეს გადაწყვეტილება სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ. ამაში ცუდი არაფერია, შეიძლება დროული არ არის... იმის ნაცვლად, რომ ქარ-

თული თავისი ანბანი გადაიყვანონ რუსულ გრაფიკაზე, ისინი ცდილობენ სამხრეთ ოსეთიც თან გაიყოლონ...

კრემლში გაგზავნილი ოსი მოქალაქის ანონიმური წერილი (ამონარიდი) საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება ფ. 14, აღ. 12, ს. 178, ფურც. 177.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ევროპაში ფაშისტური იდეოლოგიის გაძლიერებისა და გერმანიაში ჰიტლერის ერთპიროვნული ძალაუფლების განმტკიცების კვალდაკვალ, საბჭოთა ხელისუფლება შემოუბრუნდა ეროვნულ ფესვებს, ტრადიციებს, ზღვარგადაცილებულ ინტერნაციონალიზმს შეუხამა ეროვნული ფასეულობების აღორძინების საკუთარი ინტერპრეტაცია, ეროვნული კონსოლიდაციის პროცესების დაჩქარება, მოსახლეობის კონცენტრაცია ერთიანი „სოციალისტური სამშობლოს“ იდეის გარშემო. სწორედ საქართველოს მოსახლეობის ერთიანობისა და კულტურული თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გადაწყდა, საქართველოში, აფხაზური და ოსური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა.

ს. ჯანაშია

აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს კპ(ბ) აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის XV პარტკონფერენციამ. 3-4 დეკემბერს შედგა სამეცნიერო თათბირი, რომელსაც აფხაზ მეცნიერებთან ერთად ესწრებოდნენ ექსპერტები თბილისიდან და მოსკოვიდან. თათბირზე პროფ. ს. ჯანაშიამ მოითხოვა ამ საკითხის გადაჭრის დროს აფხაზი მოსახლეობის ფართო ფენების მოსაზრებების მაქსიმალური გათვალისწინება. შეიქმნა კომისია (ბ. კაცია, ა. შანიძე, ვ. ხარაზია, ს. ჯანაშია და სხვ.), რომელმაც 1937 წლის 5 დეკემბერს შეჯერებული პროექტი დაამტკიცა. ახალ აფხაზურ ანბანში 39 ასო იყო, 33 – ქართული, 3 ასო – ძველი ქართული დამწერლობიდან, 1 – მეგრული სიტყვების აღსანიშნავად, 2 – ბერძნულის.

თუ აფხაზები იმ „ძველი“ აფხაზების მემკვიდრეები არიან, ვინც IX-XIII საუკუნეებში აფხაზეთში ქართული ანბანით კულტურულ აღმშენებლობას ეწეოდნენ (ამის აღიარების სურვილი დღესაც აფხაზ სეპარატისტებს ძალიან აქვთ), მაშინ არ უნდა ჩათვალონ „იძულებად“, „თავსმოხვევად“, „გაქართველების მცდელობად“ ეს ბუნებრივი და აშკარად ეფექტიანი გადაწყვეტილება – ეწერათ და ეკითხათ იმ ანბანით, რაზეც მათი წინაპრები წერდნენ და კითხულოდნენ ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული.

1938 წლის 21 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის საბჭოების საოლქო აღმასკომის გადაწყვეტილებით ოსური ანბანიც გადაიყვანეს ქართულ დამწერლობაზე.

II მოფლიო ომის მოახლოებასთან დაკავშირებით, გერმანიის შესაძლო მოკავშირის – თურქეთის დაგეგმილი მცდელობების გასანეიტრალებლად, საბჭოთა მთავრობამ საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობას,

რომლებიც აღწერის დროს თავს თურქებად თვლიდნენ, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, დეკრეტირებით მიაკუთვნეს აზერბაიჯანელი ეთნოსის სახელი. ზოგმა ეს ადვილად შეითვისა (ბორჩალუს, ელის და სხვა თურქმენული ტომების შთამომავლებმა), ზოგმაც უფრო მტკივნეულად. თუმცა ეს უკმაყოფილება დოკუმენტებში დადასტურებული არ ჩანს.

ქართული პოლიტიკური ნაციის ფორმირების დადებითი პროცესი შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა, მაგრამ ის ბოლომდე მაინც არ იქნა მიყვანილი...

საქართველოს ახალი კონსტიტუცია. საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურებმა, XX საუკუნის 30-იანი წლების შუახანებში, საჭიროდ ჩათვალეს კონსტიტუციის შეცვლა, რადგან მათი აზრით, ქვეყანაში განხორციელებულმა რადიკალურმა და მნიშვნელოვანმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა საზოგადოების სერიოზული ტრანსფორმაცია გამოიწვია და საჭირო იყო ქვეყნის უზოგადეს კანონში ამ სიახლის ფიქსაცია. ფაქტი ერთია – ეკონომიკური პარამეტრებით, საბჭოთა კავშირი მსოფლიოში მეორე სახელმწიფო გახდა, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოებით კვლავ ჩამორჩებოდა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. სწორედ ამიტომ, იმ წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა მოწოდება: „დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მაჩვენებლით“ („დიპ“ – საბჭოთა კავშირში ამ სახელწოდების მქონე ახალი კონსტრუქციის დაზგასაც აწარმოებდნენ).

არ უნდა იყოს გამორიცხული საგარეო პოლიტიკური ფაქტორიც – მოსალოდნელი მსოფლიო ომის კვირაძალზე საბჭოთა ხელისუფლებას სურდა ეჩვენებინა მსოფლიოსათვის სახელმწიფოს მონოლითური შეკავშირება ახალი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებით და ხაზი გაესვა საბჭოთა ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების (თუნდაც კუდშეკვეცილის) დიდი მნიშვნელობისათვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ფართო განხილვისათვის გამოქვეყნდა და რამდენიმე თვის განმავლობაში საბჭოთა გაზეთებში დაუშვეს მისი განხილვა, კრიტიკა, წინადადებების შეტანა, დისკუსია. საქართველოშიც გამოქვეყნდა კონსტიტუციის პროექტი და დაიწყო მისი საჯარო განხილვა. ცნობილმა ქართველმა სოციალ-დემოკრატმა, დემოკრატიული საქართველოს სამხედრო და განათლების მინისტრმა გრ. ლორთქიფანიძემაც გააგზავნა თავისი შენიშვნები კონსტიტუციის პროექტზე, რაც მას მოგვიანებით ძალიან ძვირად დაუჯდა.

პროექტის ტექსტი განიხილა საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ და 5 დეკემბერს ის ერთხმად დაამტკიცა. რამ გამოიწვია ეს ცვლილებები?

„...ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალიტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი... სსრ კავშირის ეკონომიკის დარგში მომხდარ ამ ცვლილებათა შესაბამისად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც... ყველა ექსპლოატატორული კლასი ლიკვიდირებული აღმოჩნდა.

დარჩა მუშათა კლასი
დარჩა გლეხთა კლასი
დარჩა ინტელიგენცია.“

ი. ბ. სტალინი
სიტყვა საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე (1936 წ. 25 ნოემბერი) (ამონარიდი)

სტალინური კონსტიტუცია

ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში, წინა წლებთან შედარებით, იყო ცვლილებები: არასავსებით თანასწორი არჩევნები შეიცვალა თანასწორით (ხმის უფლება სსრ კავშირის უკვე ყველა მოქალაქეს ჰქონდა), მრავალსაფეხურიანი არჩევნები – პირდაპირით, აშკარა – ფარულით. საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციაში შეიტანეს, მაგრამ მას დაემატა შენიშვნა – „მშრომელთა ინტერესთა შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განსამტკიცელად“, სხვა მიზნით, ამ დემოკრატიული თავისუფლებეის გამოყენება, დასჯადი ქმედება იყო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპულიკა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციამ შეასრულა თავისი ისტორიული დანიშნულება – დაამყარა მჭიდრო და ძმური კავშირი სამხრეთ კავკასიის ერებს შორის, უზრუნველყო მათი მზარდი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე მომზადდა მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციის პროექტებიც და ისინიც წინასწარ გამოქვეყნდა. საქართველოს ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა სრულიად საქართველოს საბჭოების VIII ყრილობამ 1937 წლი 13 თებერვალს. ამ კონსტიტუციით მოკავშირე რესპუბლიკას კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება ჰქონდა, თუმცა ამ „უფლებას“ არასოდეს იყენებდნენ.

„თავი I. საზოგადოებრივი წყობილება

მუხლი 1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო.

მუხლი 2. საქართველოს სსრ-ს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, აღმოცენებულნი და განმტკიცებულნი მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შემდეგ...

თავი XI. მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და მოვალეობანი

მუხლი 131. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება.

მუხლი 132. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

მუხლი 133. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

მუხლი 134. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება...

მუხლი 156. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა...

საქართველო სსრ-ს კონსტიტუცია,
მიღებული 1937 წ. 13 თებერვალს. (ამონარიდი)

ფუნიკულიორი

ახალი კონსტიტუციისა და ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე საქართველოში არჩევნები დაინიშნა 1938 წლის 12 ივნისს. დოკუმენტურმა ქრონიკამ შემოინახა ის „არნახული ენთუზიაზმი“, რაც არჩევნებზე სუფევდა – მასში მონაწილეობა მიიღო ელექტორატის 99,2 პროცენტმა. საქართველოს უზენაეს საბჭოში არჩეული იყო 237 დეპუტატი. მათ შორის: კომუნისტი – 75,5 %, უპარტიო – 24,5%. მუშა იყო – 33%, გლეხი – 23%, ქალი – 24,9%. ეროვნული შემადგენლობა ასეთია: ქართველი – 191, რუსი – 7, სომეხი – 13, აზერბაიჯანელი – 7, ოსი – 7, აფხაზი – 5, იტალიელი – 1, ებრაელი – 3, ბერძენი – 2.

დეპუტატებს შორის იყვნენ როგორც პარტიული ლიდერები, ისე სტახანოველი მუშები (ტრიფონ ფოფხაძე, სტეფანე ქსოვრელი, ნიკოლოზ გელაძე და სხვ.), კოლმეურნე გლეხები (სოფიო ბაზანდარაშვილი, ცაცა ქარდავა, მართა პლიევა და სხვ.) და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები (ივანე ჯავახიშვილი და სხვ.).

არჩევნების დღეს თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ფუნიკულიორზე გრანდიოზული პავილიონი – სტალინური არქიტექტურის შედევრი, და იქვე – კულტურისა და დასვენების ახალი პარკი მრავალფეროვანი ატრაქციონებით.

პირველი მოწვევის პირველ სესიაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ფ. მახარაძე. ჩამოყალიბდა საბჭოთა საქართველოს მთავრობაც – სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გახდა ვ. ბაქრაძე.

ახალი კონსტიტუციით საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შედიოდნენ: აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1931 წელს, საკავშირო მთავრობამ, როგორც იქნა, გადასინჯა თავისი ჯერ კიდევ 1921 წელს მიღებული გადაწყვეტილება და მოახდინა მთლიანად საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებში შემავალი რესპუბლი-



დ. გულია

კების სტატუსის უნიფიცირება. 20-იან წლებში მიმდინარე ექსპერიმენტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნის საკითხებთან დაკავშირებით დასრულდა და საჭირო იყო ყველა სუბიექტი ახალ წესებს დამორჩილებოდა. 1931 წლის 4 თებერვალს, სოხუმში, შედგა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობა, რომელმაც შექმნა სპეციალური კომისია აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად (ლაკობა, ბებია, შამბა, ბაღაპში, პეტროვსკი, ანგულია და სხვ.). 10 თებერვალს ყრილობამ განიხილა რესპუბლიკის სტატუსის შეცვლის საკითხი და მისი ურთიერთობა საბჭოთა საქართველოსთან. აფხაზეთმა მიიღო ისეთივე სახელმწიფოებრივი სტატუსი, რაც ჰქონდა თათრეთის, ბაშკირეთის, დაღესტნის და სხვა რესპუბლიკებს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში – აფხაზეთი გახდა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (რაც ფაქტობრივად იყო 1921 წლიდან). საქართველოსთან 1921 წელს გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულება გაუქმდა. პრესაში ეს ცვლილებები ძალიან ბუნდოვნად გააშუქეს – აფხაზეთის ხელისუფლება მოსახლეობის პროტესტს მოელოდა. 1931 წლის 23 თებერვალს, გუდაუთაში მოხდა ანტისაბჭოთა გამოსვლა, რომელიც სწორედ ნაციონალისტურად განწყობილ აფხაზ მოქალაქეებზე გამოიწვია რესპუბლიკის სახელმწიფო სტატუსის ცვლილებამ. მას აშკარად გამოკვეთილი ანტიქართული ხასიათიც ჰქონდა, თუმცა ამ საკითხზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას მაინც და მაინც არ ამახვილებდა.

„...1931 წ. აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფლებში მოეწყო ანტისაბჭოთა გამოსვლები. მიზეზები: ძველი ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის შენელება; პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების სისუსტე; კულაკების შემოტევის გაძლიერება; ადგილობრივი ხელმძღვანელების მხრიდან პარტიის ხაზის დამახინჯება; აფხაზეთის ხელმძღვანელობის მუშაობის მემარჯვენე-ოპორტუნისტული პრაქტიკა...

საქართველო კპ (ბ) ცეკას ბიუროს დადგენილება (1931 წ.)
(ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღ. 6, ს. 33, ფურც. 1-2.

დადგენილებაში ეს არ აისახა, მაგრამ როგორც საქართველოსა და აფხაზეთის პოლიტიკური სამმართველოს აგენტები ამტკიცებდნენ, ამბოხებულებმა სცადეს თურქეთთან დაკავშირება, მათ ემისრები გააგზავნეს სამეგრელოში, ზუგდიდში, გალში. დაფიქსირდა აფხაზეთში მცხოვრები სომხებისა და ბერძნების მხარდაჭერის მიღწევის მცდელობებიც. ამბოხებაში ჩაბმული იყვნენ კომუნისტები და კომკავშირლები, იყო პარტიული დოკუმენტების გადაყრის შემთხვევებიც. სახელმწიფოს პოლიტსამმართველოს აგენტურამ დააფიქსირა ამბოხებაში მონაწილეთა შორის პროთურქული ძლიერი იმპულსებიც, ანტიქართული – სეპარატისტული განწყობილებებიც და ა.შ.

აფხაზეთი 30-იან წლებში

იმჟამად ვითარება განიმუხტა. ამ ამბების შემდეგ, უკვე ხელისუფლებაში მოსულმა ლ. ბერიამ (აფხაზეთის მკვიდრმა) მიზნად დაისახა, მაქსიმალურად შეეცვალა ვითარება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და გაეძლიერებინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარამეტრები. გარკვეულწილად, ეს ამოცანები შესრულდა. ყურადღება გამახვილდა სკოლებში მშობლიური აფხაზური ენის სწავლების გაუმჯობესებაზე, აფხაზური ენის ფუნქციის გაძლიერებასა და განვითარებაზე, აფხაზურ ენაზე მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის საკითხების მოწესრიგებაზე. დასახეს სხვა ღონისძიებებიც.

„...აფხაზების 67 პროცენტმა იცის წერა-კითხვა. I საფეხურის 459 სკოლაა 43 ათასი მოსწავლით, II საფეხურის 89 სკოლაა 7000 ბავშვით. ხუთი ტექნიკუმია (ინდუსტრიული, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური, სამედიცინო, სამუსიკო). ორი უმაღლესი სასწავლებელი-პედაგოგიური და სუბტროპიკული კულტურების; მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამხარეო მუზეუმი. 500 აფხაზი სწავლობს მოძმე რესპუბლიკებში. რესპუბლიკაში 68 საბავშვო ბაგა და ბაღია 4 ათასზე მეტი ბავშვით. საბჭოთა აფხაზეთში შეიქმნა აფხაზური ლიტერატურა. 2 რესპუბლიკური, 5 რაიონული, 2 პოლიტგანათლების და მრავალი ძირეული გაზეთი გამოდის აფხაზურ, რუსულ, მეგრულ, ბერძნულ ენებზე.

მრეწველობა: ტყვარჩელი 1934 წლის I კვარტალში შევიდა ექსპლოატაციაში, დაიწყო ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე 48 ათასი კილოვატსაათი იქნება. გუმისთასთან – სოხუმჰესი შენდება 26 კილოვატსაათის სიძლავრის. ბზიფის ხე-ტყის კომბინატი, ქიმიური ქარხანა – 3, ეთერზეთები საწარმო, თამბაქოს ფაბრიკა...“

გაზ. „კომუნისტი“ 30-იანი წლების შუა ხანა (დაიჯესტი)

ეს ყველაფერი ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის შვილების წარმომადგენლების ბეჯითი შრომის შედეგი იყო. პარტიული იმპერატივი ჯერ კიდევ ახერხებდა აქ სეპარატისტული ტენდენციების შეკავებას, ალაგმვას. კრემლში ქართული ლობის ძლიერებაც აიძულებდა აფხაზი ეთნოკრატიის აგრესიულ წარმომადგენლებს შეეკავებინათ თავი ანტიქართული ტენდენციებისაგან და იმჟამად საჯაროდ ყველა ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე ლაპარაკობდა.

ბათუმი 30-იან წლებში

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, 30-იან წლებში, ძირითადად დაძლიეს წინა პერიოდში არსებული პარტიკულარიზმისა და განცალკევებულობის სინდრომი და მხარე ორგანულად ჩაეწერა ერთიან ქართულ სხეულში. გარკვეული გადაცდომები, რომელიც აჭარაში სეპარატიზმის ტენდენციების აღმოსაფხვრელად დაუშვა საქართველო კპ (ბ) ცეკას მდივანმა ს. მამულიამ, გამოსწორდა. 30-იან წლების სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა აჭარაც ჩაითრია ერთიანი ქართული საბჭოთა ბაზრის ფორმირებაში, დაკონკრეტდა მისი წვლილი და მნიშვნელობა, ყოველწლიურად იზრდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სახელმწიფო სუბსიდიები.

„...აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტუცრ რესპუბლიკაში 18 საბჭოთა მეურნეობა და 254 კოლმეურნეობაა. 860 რკინის გუთანი, 17 ტრაქტორი, 17 აგრონომი, 49 აგროტექნიკოსი... 1933 წელს მოიკრიფა და გადამუშავდა 1 218 ტონა ჩაი. ციტრუსები 1934 წელს 1681 ჰექტარზეა დათესილი: მანდარინი 927 000 ძირი, ლიმონი – 14 000 ძირი, ფორთოხალი – 15 000 ძირი. პირველ ხუთწლედში კაპიტალდაბანდებამ მიაღწია 49 მილიონ მანეთს. მრეწველობის პროდუქცია 24 ჯერ გაიზარდა. ბათუმი ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ 1933 წელს მოგვცა 106 მილიონი მანეთი პროდუქცია...

გაზ. „კომუნისტი“, 1934 წ. 9 იანვარი (ამონარიდი)

აჭარის რეგიონი მნიშვნელოვან საკურორტო ჰაბად გადაიქცა და სხვადასხვა წყაროს (საკავშირო და საქართველოს პროფკავშირები, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტი) ყოველწლიურად ზრდიდა დაფინანსებას ავტონომიურ რესპუბლიკაში საკურორტო მშენებლობებისათვის. ბათუმში, ქობულეთში, ჩაქვში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში არა ერთი პირველი კლასის სასტუმრო, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი აშენდა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ცხინვალი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს 30-იან წლებში მიექცა დიდი ყურადღება. სტალინის კულტიდან გამომდინარე ცხინვალს შეეცვალა სახელი და ეწოდა სტალინირი. 30-იან წლებში აქ აშენდა ხე-ტყის გადამამუშავებელი კომბინატი, გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, დიდ ლიახვზე აშენდა ჰიდროელექტროსადგური, ავტონომიურ ოლქში უკვე 800 საწარმო ფუნქციონირებდა. გარკვეული წინსვლა შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობაშიც: გაიზარდა ნათესი ფართობები – 19 ათასი ჰექტარიდან 38 172 ჰექტა-

რამდე. მნიშვნელოვნად გადიდდა მესაქონლეობის ხვედრითი წილი რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურაში.

ს. სანაკოევი

გაუმჯობესდა ოლქის კულტურული მომსახურება: თუ 1919 წელს ცხინვალის რეგიონში მხოლოდ 8 სკოლა იყო და ისიც მხოლოდ ქართულ სოფლებში, 1937 წელს ოლქში ფუნქციონირებდა 327 სკოლა. ცხინვალში გაიხნა პედაგოგიური ინსტიტუტი, ტექნიკუმები. ამოქმედდა ოსური თეატრი, გამოდიოდა ოსური გაზეთები. მაგრამ ოსურ სკოლებშიც მშობლიურ ენაზე სწავლება მხოლოდ დაწყებით კლასებში ხორციელდებოდა, ზედა კლასებში სწავლება გრძელდებოდა რუსულ ენაზე.

30-იანი წლების საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი ტემპი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში რიგითი მშრომელების მუხლჩაუხრელი შრომის შედეგი იყო. მიღწევებთან ერთად მან წამოატივტივა და ძალიან თვალსაჩინო გახადა რიგი სერიოზული ნაკლი და ჩამორჩენა, რისი დაძლევაც ძალის გამოყენებით სცადეს.

1937 წლის მასობრივი რეპრესიები საქართველოში. 30-იანი წლების შუახანებში, მოხდა საბჭოთა სისტემის გარკვეული სტაბილიზება. უზარმაზარი ენერგიისა და ადამიანური შესაძლებლობების მაქსიმალური დაძაბვით სახელმწიფომ მოახერხა მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა და ჩაითვალა, რომ ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლები ძირითადად აშენდა. ამ სტაბილიზაციამ და სოციალურ-ეკონომიკურმა პროგრესმა, თავის დადებით შედეგებთან ერთად, სისტემის მანკიერი მხარეებიც გამოავლინა. მაშინ ჩაითვალა, რომ ეს მანკიერი მოვლენები და მხარეები არა სისტემის შინაგანი განვითარების შედეგი იყო, არამედ შენიღბული კლასობრივი მტრის, საზღვარგარეთის მტრული სახელმწიფოების სპეცსამსახურების მიერ მოსყიდული აგენტების ბოროტი განზრახულობათა რეალიზება. აშკარად შესამჩნევი გახდა, რომ საზოგადოერივი ცხოვრების ბევრ მხარეს ახასიათებდა თავისებურებები, რომელიც მარქსისტულ-ლენინური თეორიით საბჭოთა საზოგადოებაში არ უნდა ყოფილიყო.

ლ. ღოღობერიძე

საერთაშორისო ვითარებაც იმჟამად ძალიან დაიძაბა: ფაშისტური სახელმწიფოების პოლიტიკური წონა მსოფლიოში სულ უფრო და უფრო გაიზარდა, ისინი რევანშზე, მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებაზე ფიქრობდნენ და ამ მიმართულებით ქმედით ნაბიჯებსაც დგამდნენ. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები, უდიდესი რესურსებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, მათ მიმართ განსაცვიფრებელ ლოიალობას იჩენდნენ. საბჭოთა სახელმწიფო, თავისი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით და ცხოვრების მათთვის ყოვლად მიუღებელი წესით, ფაშისტური სახელმწიფოებისათვის (გერმანია, იტალია, ესპანეთი, უნგრეთი და ა.შ.) უპირველეს სამიზნეს

წარმოადგენდა და ისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილ და საჭირო საიდუმლო საქმიანობასაც აქტიურად ეწეოდნენ. აუცილებლად მნიშვნელოვანი იყო, ქვეყანაში ე.წ. „მეხუთე კოლონის“ აღმოჩენა და მისი განეიტრალება.

ამრიგად, საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობამ შექმნა ნაყოფიერი საფუძველი 1937 წლის მასობრივ რეპრესიების სარეალიზაციოდ. ასეთ ვითარებაში ძალიან ადვილად ჩამოყალიბდა ცნება „ხალხის მტერი“, რომელიც, ოფიციოზის თვალსაზრისით, წარმოადგენდა ადამიანს, რომელიც შეგნებულად და მიზანმიმართულად ცდილობდა საბჭოთა ცხოვრების სხვადახვა სფეროში შეფერხებების გამოწვევას, დესტაბილიზაციისათვის ხელის შეწყობას, სახელმწიფოს მიზანდასახულობათა ჩაფუშვას.

„თავის მიზნად ისახავდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ნგრევას, ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების გამოთხრას, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გაადვილებას, წითელი არმიის დამარცხების მომზადებას, სსრ კავშირის დანაწილებას, მუშებისა და კოლმეურნეების მონაპოვართა მოსპობას, სსრ კავშირში კაპიტალისტური მონობის აღდგენას...“

სკპ (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 422

შ. ელიავა

საბჭოთა სახელმწიფოში, როგორც ვნახეთ, ძალადობა თანდაყოლილი თავისებურება იყო, განსაკუთრებით „კლასობრივი მტრების“ მიმართ და ამის აღირებას არც ერიდებოდნენ. პარტიული და საბჭოთა დოკუმენტები ადასტურებენ, რომ კლასობრივი მტრის გამოვლენა, დასჯა თითოეული კომუნისტის, საზოგადოების აქტიური და შეგნებული წევრის აუცილებელი მოვალეობა იყო. კომუნისტური პარტიის წესდება ხაზგასმით მიუთითებდა და მოითხოვდა თითოეული კომუნისტისაგან გაენადგურებინათ, დაუნდობლად მოპყრობოდნენ საბჭოთა სისტემის ყველა შემაფერხებელს, ნებისმიერ დივერსანტს.

„ჩემს მიერ საუბარში გამოაშკარავებული იქნა კონტრრევოლუციონერი ვასილიევის გამოსვლები მუშათა დიდი ბელადის სტალინის მიმართ, რის შესახებ თქვენ მოგაწოდეთ წერილობითი მასალები. რაც შეეხება სიბრალულს კონტრრევოლუციონერი ვასილიევის მიმართ: არც ჰქონია და არც ექნებათ არასოდეს კონტრრევოლუციონერ ხალხის მტრებს ჩემგან შებრალება...

თბილისის ერთ-ერთი საწარმოს პარტიული აქტივისტის
განცხადება (ამონარიდი)
საქართველოსშსს არქივი, ფ. 136, ს.36, ფურც. 21.

კომუნისტებს შეუბრალებლობა, ულმობელი დამოკიდებულება „კლასობრივი მტრის“ მიმართ გასაბჭოებისთანავე თან დაჰყვათ – ეს აქსიომაა. ამისკენ მათ უბიძგებდა ე.წ. „კომუნისტური პირდაპირობის სინდრომი“, „კრიტიკისა და თვითკრიტიკის“ საბჭოთა ტრადიცია. ახალი სამყაროს მშენებლებს უნდა ყოველდღიურად გამოევლინათ, ემხილებინათ სოცია-

ლისტური სისტემის წინსვლის შემფერხებლები – მათ უნდა აღეზარდათ საკუთარი თავიც და სხვებიც კომუნისტური სულისკვეთებით. საერთოდ, წესდების მიხედვით, კომუნისტური პარტიის წევრს პარტიისაგან დამალული არაფერი უნდა ჰქონოდა, ერთმანეთისთვის თვალი უნდა ედევნებინათ, რომ არ მომხდარიყო გადაცდომები, პარტიის გენერალური ხაზის გამრუდება, დაწერილი და დაუწერელი საბჭოთა კანონების დარღვევები. საბჭოთა შრომითი კოლექტივების პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დოკუმენტები, უკვე 1921 წლიდან, აღსავსეა ასეთი მხილებებით, შეტყობინებებით, დაკვირვებებით – ეს იყო კომუნისტის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა 30-იანი წლების მეორე ნახევარში.

მარქსისტული აპრიორით, ექპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანის შრომას სასწაული უნდა მოეხდინა: საოცრად უნდა გაზრდილიყო შრომისნაყოფიერება, განმტკიცებულიყო დისციპლინა, ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა. 30-იანი წლების საბჭოთა კავშირში ეს ყველგან ასე არ იყო და ყოველდღიურად შეიმჩნეოდა შრომის დისციპლინის დარღვევები, უპასუხისმგებლობა, სერიოზული გადაცდომები, უხარისხო პროდუქციის წარმოება და ა.შ. მოახლოებული ომის კვირაძალზე ასეთ უდისციპლინობას, არაორგანიზებულობას სახელმწიფო ვეღარ დაუშვებდა. საჭირო გახდა სწრაფი რეაგირება და დაიწყო მასობრივი პოლიტიკური პროცესების ორგანიზება, უშუალოდ, შრომით კოლექტივებში, რათა აღმოეფხვრათ ნაკლოვანებები, რომლებიც „ხალხის მტრების“ მიერ იყო ორგანიზებული.

„1935 წელს საწარმოში მოხდა დიდი და სერიოზული ავარია, რომლის მიზეზები ჯერ კიდევ გაურკვეველია. დაკვირვებით მივედი იმ დასკვნამდე, რომ სარემონტო საამქროს ყოფილი უფროსი კუხალაშვილი თავს ვერ აბამდა მუშაობას. შემდეგ გაირკვა, რომ ის ინსტიტუტიდან გარიცხული ყოფილა ტროცკისტული წარსულისათვის. მძიმე ავარიები ხშირად მეორდებოდა... ჩვენ გვინდოდა ბოლომდე გვემხილა ისინი... ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეს ავარია მოხდა მთავარი ინჟინრის ხელშეწყობით – თავბერიძის დაღუპვის მიზნით...;

ტ. ტაბიძე

ზაჰესის პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარებელი
პოლიტიკური პროცესის ოქმი (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღ. 10, ს.26, ფურც. 17.

მსგავსი პოლიტიკური პროცესები მთელს რესპუბლიკაში ეწყობოდა – ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, საბჭოთა მეურნეობაში, შემოქმედებით და სამეცნიერო ინსტიტუციებში. როგორც წესი, პარტიული ორგანიზაცია საქმის შესასწავლად წინასწარ გამოჰყოფდა „სამეულს“, რომელიც ეცნობოდა შემოსულ დოკუმენტაციას და ამზადებდა საბრალდებო დასკვნას. შემდეგ ეს ვერდიქტი გაჰქონდათ სადისკუსიოდ პოლიტიკურ პროცესზე (პარტიულ ან კომკავშირულ კრებაზე). თუ ბრალდებული ჯერ კიდევ არ იყო დაპატიმრებული სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ, ის ამ პროცესს თვითონაც ესწრებოდა და თავის დაცვის შესაძ-

ლებლობა ჰქონდა. საქართველოში ჩატარებული პროცესების დროს გამოვლენილი ბრალდებულები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: „პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, რომლებსაც თავიანთ საქმიანობაში ჰქონდათ სერიოზული შეცდომები, დარღვევები და დანაშაულობები“, „პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომლებიც ადრე წლებში და ამჟამადაც ახორციელებდნენ უკანონო რეპრესიებს პატიოსანი ადამიანების წინააღმდეგ“, „კომუნისტური პარტიის რიგებში ადრეულ წლებში არსებული ფრაქციების ლიდერები და აქტივისტები“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები და აქტივისტები“ (ვინც კიდევ შემორჩა), „დამარცხებული სოციალური კლასების (თავადაზნაურობის, სამღვდელოების, „კულაკების“, ბურჟუაზიის) თვალსაჩინო წარმომადგენლები“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავენი“, „1924 წლის აჯანყების მონაწილენი“, „სამეურნეო ცხოვრების საშუალო და დაბალი რგოლის არაკომპეტენტური ხელმძღვანელები, რომელთა საქმიანობა მავნებლობად გამოცხადდა“, „დასავლეთის სპეცამსახურების აგენტურა“ (ე.წ. „მეხუთე კოლონა“), „სრულიად უდანაშაულონი“ და ა.შ.

ამ ადამიანებს, საბჭოთა კავშირში, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მუდამ უთვალთვალებდნენ და ბევრი მათგანის შესახებ არსებობდა სპეციალური კარტოთეკებიც. ამ მასალებზე დაყრდნობით, აგრეთვე შრომითი კოლექტივებიდან შემოსული შეტყობინებების საფუძველზე 1937 წელს დაიწყო მასობრივი „წმენდა“ – დაიწყო რეპრესიები.

„ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს შინსახკომის ორგანოების მიერ დაპატიმრებულია 12 000-ზე მეტი ადამიანი. ამ დრომდე დაპატიმრეულთაგან მსჯავრდადებულია:

სამეულის მიერ 5236

უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ 910

სსრკ შინსახკომთან არსებული საგანგებო სათათბიროს მიერ 591

საქართველოს სსრ სასამართლოს სპეკკოლეგიის მიერ 468

სამხედრო ტრიბუნალების მიერ 99

სახალხო სასამართლოების მიერ 70

დაპატიმრებულთაგან სულ მსჯავრდებულია 7374 ადამ.

შედეგად, საქართველოს სრ შინსახკომის ციხეებში ამჟამად 5 ათასზე მეტი გამოძიების ქვეშ მყოფია, მათ შორის, თბილისში 2 ათასზე მეტია...

საქართველოს კპ (ბ) ცკ მდივანი ლ. ბერია.

საქართველოს შს არქივი. II განყოფილება, ფ. 14, აღ. 11, ს. 152, ფურც. 171.

დღეს ზოგიერთი დასავლეთელი მეცნიერი (მ. იუნგე, დ. ბონვეჩი და სხვ.) ცდილობენ საქართველოში მიმდინარე რეპრესიების პროცესი ხელოვნურად დაუკავშირონ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესს და არაქართველი ეთნოსების წარმომადგენლების წინააღმდეგ (აფხაზების, ოსების, სომხების, აზერბაიჯანელების, ბერძნების, თურქების და ა.შ.) განხორციელებული რეპრესიები გამოაცხადონ ქართველი ერის მიზანმიმართულ პოლიტიკად ამ ეთნოების ქართველებში ასიმილაციის მისაღწევად. ამავე დროს, ეს მეცნიერები საერთოდ არ ითვალისწინებენ ქართველი რეპრესირებულების რაოდენობას, რომელიც ქვეყანაში ყველაზე მრა-

ვალრიცხოვანი იყო (13 156 კაცი). ხოლო ხელოვნების, კულტურის დარგში ქართველი ერის დანაკრგები თავისი შედეგებით – აუნაზღაურებელია. ეს მაშინ, როცა საქართველოში რეპრესიის მსხვერპლი აღმოჩნდა: 450 ზერბაიჯანელი, 568 აფხაზი, 1728 სომეხი და ა.შ.

ე. მიქელაძე

არაქართველი ეთნოსების რეპრესირების რაოდენობა საქართველოში მიზერულია – ცალკეულ ეთნოსში განხორციელებული „წმენდის“ მაჩვენებელი არ აჭარბებს 1 პროცენტს, კიდევ უფრო ნაკლებია მათში სიკვდილით დასჯილთა ოდენობა. საერთოდ, გერმანელ მეცნიერთა ზედმეტად გაბერილი ციფრებითაც, საქართველოში რეპრესირებული აღმოჩნდა მოსახლეობის დაახლოებით 0,7%. ამიტომაც მიუღებელია მათ მიერ შემოგდებული ტერმინი „დიდი ტერორი საქართველოში“.

საქართველო საბჭოთა სისტემის ორგანული ნაწილი იყო და ქვეყანაში ხორციელდებოდა არა „ქართული რეპრესიები“ (რის დამტკიცებასაც ეს მეცნიერები ცდილობენ), არამედ საბჭოთა ხელისუფლების მიერ II მსოფლიო ომის წინ საპრევენციოდ საჭიროდ მიჩნეული სადამსჯელო ღონისძიებები.

როგორც დასტურდება, საქართველოში მცხოვრები არაქართველი ეთნოსების წარმომადგენლების 98-99 პროცენტი, ქართველებთან მჭიდრო სოციალურ-ეკონომიკურ კონტაქტში განაგრძობდა ცხოვრებას, შემოქმედებით შრომას, კულტურულ განვითარებას. არავის ისინი არ შეუყრია „გეტოებში“ და არ განუხორციელებია მათ მიმართ დისკრიმინაციული კანონმდებლობა (როგორც ეს გერმანელმა ფაშისტებმა განახორციელეს გერმანიასა და მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ებრაელების, სლავების, ბოშების და სხვა ეთნოსების მიმართ).

საბჭოთა კავშირში განხორციელებული რეპრესიები ორ მთავარ მიზანს ემსახურებოდა: 1. ქვეყანაში „მეხუთე კოლონის“ საფუძვლიანი განადგურება, ანტისაბჭოთა განწყობილების მატარებელი ადამიანების ნეიტრალიზება, რომლებსაც შეეძლოთ საბედისწერო ომის დროს მოწინააღმდეგე ძალებისათვის „გაეღოთ კარი“, შეექმნათ ახალი მთავრობა, წასულიყვნენ კომპრომისებზე (როგორც ეს საფრანგეთის, დანიის, ბელგიის, ნიდერლანდების, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სახელმწიფოების მესვეურებმა გააკეთეს); 2. შორეული აღმოსავლეთის უკიდეგანო ტერიტორიებზე სამუშაოდ გადაიგზავნა მრავალრიცხოვანი და იაფი მუშახელის („ხალხის მტრების“) უზარმაზარი კონტინგენტი.

ორივე ეს ამოცანა, საბჭოთა სახელმწიფომ წარმატებით შეასრულა. შორეული აღმოსავლეთის, ციმბირისა და კალიმის მშენებარე საწარმოები საქართველოდან გადასახლებული იაფი მუშახელით აივსო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში რეპრესირებულთა მნიშვნელოვანი პროცენტი – ეს პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურა იყო. ბევრ მათგანს, მართლაც ჰქონდა სხვადასხვა დროს ჩადენილი სხვა-

დასხვა გადაცდომა, დარღვევა თუ დანაშაული – ამან გამოიწვია ქვეყანაში ხელმძღვანელი კადრების მწვავე ნაკლებობა.

„1937 წელს ნომენკლატურულ თანამდებობებზე დაწინაურდა 4000 კაცი, მათ შორის რაიკომების, ქალაქკომების პირველი, მეორე და მესამე მდივანი გახდა 219 კაცი, რაიკომებისა და ქალაქკომების განყოფილების გამგეები, მოადგილეები და ინსტრუქტორები – 100 კაცი, სახალხო კომისრები, კომისრის მოადგილეები, მსხვილი რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები – 135 კაცი, აღმასკომების თავმჯდომარეები – 72, მსხვილი საწარმოებისა და მეურნეობის დირექტორები – 136, მტს-ების დირექტორები და მოადგილეები პოლიტიკური მუშაობის დარგში – 76, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები – 34, რაიმიწგანის გამგეები – 61, უმაღლესი სასამართლოს წევრები და რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები – 98. რაიონის პროკურორები, გამომძიებლები, სასამართლოს თავმჯდომარეები – 290, პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საბჭოების თავმჯდომარეები – 20 კაცი. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების პარტკომებად დაწინაურდა 2128 კაცი...“

საქართველოს კპ (ბ) ცეკას სტატისტიკური ცნობა (ამონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 12, ს.5, ფურც. 12.

სიკვდილით დაისაჯნენ ცნობილი ქართველი ბოლშევიკები: მ. ორახელაშვილი, ლ. ღოღობერიძე, ს. მამულია, ლ. ქართველიშვილი, მ. ოკუჯავა, ბ. კვირკველია, ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე და მრავალი სხვა. მათ შორის იყვნენ, როგორც სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი, ისე მისი მხურვალე მომხრეებიც. ისინი გილიოტინაზე „სხვადასხვა მხრიდან ავიდნენ“.

ე. ეშბა

რეპრესიები განიცადეს საქართველოს ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმაც: ინჟინრებმა – ბ. ჭიჭინაძემ, პ. აღნიაშვილმა, ბ. მიქელაძემ, კ. ოდელიკაძემ, პოეტმა – ტ. ტაბიძემ, მწერალმა – მ. ჯავახიშვილმა, დირიჟორმა – ე. მიქელაძემ, რეჟისორმა – ს. ახმეტელმა და სხვებმა. რეპრესირებული პირების ოჯახის წევრები აღმოჩნდნენ წარმოუდგენლად მძიმე მდგომარეობაში – საზოგადოებამ ისინი „მოიკვეთა“, ძალიან ბევრს აეკრძალა მშობლიურ კუთხეში ცხოვრება, ზოგი სრულიად უსახლკარო დარჩა (რეპრესირებულებისათვის, როგორც წესი, გათვალისწინებული იყო ქონების სრული კონფისკაცია). ობლად დარჩენილ ბავშვებს ან ინტერნატებში ათავსებდნენ, ან ახლო ნათესავებს მიჰყავდათ აღსაზრდელად.

1938 წლის რეაბილიტაცია. საქართველოში მასობრივი რეპრესიები ფსიქოზის ზღვარს მიუახლოვდა – შრომით კილექტივებში უამრავი მასალა დაგროვდა „ხალხის მტრების“ გამოსავლენად. საოცრად აქტიურობდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ადგილობრივი ხელმძღვნელები, აქტივისტები, ვეტერანები. მაგრამ, მოხდა საოცარი რამ – 1937 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საბჭოთა ქვეყანას გადაუარა რეპრესიების „ახალმა ტალღამ“: დაიწყო „ბრალმდებელთა“ პროცესები. კრიტიკის

ეპიცენტრში აღმოჩნდნენ უკვე ის ადგილობრივი ხელმძღვნელი მუშაკები, რომლებმაც, ფაქტობრივად, აამოქმედეს და განახორციელეს მასობრივი რეპრესიების მთელი პროცესი – საიდან მოდიოდა ასეთი სწრაფი ტრანსფორმაციის იმპულსი, ასეთი ცვლილების მექანიზმი – არა ჩანს, მაგრამ არსებული დოკუმენტური მასალა ამას აშკარად ადასტურებს. უკანონო რეპრესიებით შეწუხებული თანამშრომლები ახალ ვითარებაში უკვე „შურს იძიებდნენ“ წარსული შევიწროებისათვის, უკანონობისა და უსამართლო დამოკიდებულებისათვის.

ამ შემთხვევაში კი უკვე განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა საზოგადოების უპრინციპობა, კონფორმიზმი, „შიშის სინდრომის“ ფსიქოლოგიური ზემოქმედების კონკრეტული შედეგები, როცა ერთი და იგივე ადამიანი ერთნაირი ენერგიით მონაწილეობდა როგორც წინ თვეებში შემდგარ პროცესებში და შემდეგ, ასეთივე ენერგიით აკრიტიკებდა იმათ, ვისაც ადრე თვითონვე მხარს უჭერდა და ემხრობოდა.

„აი ვინ არიან ისინი: ხუბიეროვი – დიდი მექალთანეა, დარწმუნებული ვარ ხუბიეროვი ბინძური ადამიანია, დაკავშირებული გიორგობიანთან და ჩერნიკოვთან. მეხლისი – ჩერნიკოვის მარჯვენა ხელია, მან იცოდა მისი დანაშაული და დუმდა. ივანოვი – ჩერნიკოვის მონაა, საერთოდ ბინძური ადამიანია. ტოკარევი – ცუდად გამოიყურება, სუფთა კაცი არ უნდა იყოს, ქალაქის პოლიციელის შვილია, ჩერნიკოვის დაახლოებული კაცია. ციხისელი, კარგად იცნობდა გიორგობიანს და ხშირად ნადირობდა ქალაქგარეთ... იძლევა საფუძველს ვთქვათ, გიორგობიანთან ერთად აკეთებდა შავბნელ საქმეს...

ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიული კრების ოქმი
(1937 წ. ნოემბერი) (მონარიდი)
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ.512, ს.19, ფურც.6-7.

საქართველოს ძალიან ბევრ კოლექტივში, 1937 წლის ბოლოს ჩატარებულმა კრებებმა, გამოავლინეს ადამიანების მიმართ უსამართლო და უსულგულო დამოკიდებულების არა ერთი ფაქტი. ასეთი პროცესების ორგანიზატორები და მათი „კუდები“, როგორც წესი, კოლექტივებისაგან განკვეთეს და პატიმრობაში აიყვანეს.

ასეთი და მსგავსი შემთხვევები, მთელი კავშირის მასშტაბით, უამრავი იყო და ვითარება ყოველდღიურად უფრო და უფრო მძიმდებოდა. საჭირო იყო ამ მასობრივი პროცესების შეჩერება...

1938 წლის იანვარში, საკ. კპ(ბ) ცენტრლური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება: „საკ. კპ (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“. ამ დადგენილებამ სწრაფად შეაჩერა მასობრივი რეპრესიების ტალღა.

„კომუნისტებს შორის არსებობენ, ჯერ კიდევ არ არიან გამჟღავნებულნი და მხილებულნი ცალკეული კომუნისტი-კარიერისტები, რომლებიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით, ცდილობენ პარტიის წევრთა ხელაღებითი რეპრესიების გმოყენების გზით, თავი დაიზღვიონ სიფხიზლის ნაკლებობაში შესაძლო ბრალდებისაგან... ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ხალხის შენიღბული მტრები,

მავნებელ-თვალთმაქცები, პროვოკაციული მიზნით, აწყობენ ცილისმწამებლურ განცხადებათა შეტანას პარტიის წევრებზე და „სიფხიზლის გაშლის“ საბაბით აღწევენ საკ. კპ (ბ) რიგებიდან პატიოსანი და თავდადებული კომუნისტების გარიცხვას“...

საკ. კპ (ბ) ცეკას 1938 წლის იანვრის დადგენილება (ამონარიდი)

1938 წლის რეაბილიტაციის პროცესმა ნათლად აჩვენა კონფორმიზმის, ადამიანთა უპრინციპობის, საკუთარი ინტერესების გულისათვის სხვა პიროვნების გაწირვის შესაძლებლობის საშინელი, არაადამიანური სურათი. ეს ვითარება განსაკუთრებით შემზარავი ჩანს მაშინ, როცა ერთი და იგივე პარტიული ორგანიზაცია იხილავს ერთი და იგივე პიროვნების საქმეს ორჯერ – რეპრესიების დროსაც და რეაბილიტაციის პერიოდშიც.

„1937 წლის 10 ოქტომბერს, პარტიულმა ორგნიზაციამ განიხილა პარტიის წევრის – სიმონ ცუცქირიძის „საქმე“. სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ცუცქირიძის მიერ შახტის ვინტილატორის დამონტაჟების დროს ჩადენილი „დანაშაულებრივი ქმედება“. როგორც კომისია ამტკიცებდა, ცუცქირიძის ხელმძღვანელობით „ვინტილატორი დაიდგა მავნებლურად. ის განსაზღვრული იყო მეშვიდე ვენტილის განიავებისათვის. მავნებლობა გმოიხატა იმაში, რომ ვინტილატორი დადგმული იყო გატეხილ საკისარზე, არ იყო დამაგრებული სათანადო ფუნდამენტზე სათანადო სამაგრებით, არამედ დამაგრებული იყო მავნებლურად – მავთულის გადახვევით და ეს მავთული განგებ იყო დაფარული ცემენტში, რის გამოც, რამდენიმე დღის შემდეგ, ვინტილატორი მოირყა და გაჩერდა“.

ამ ბრალდების გამო, ცუცქირიძე პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. მაგრამ, შინსახკომის ორგანოებმა ს. ცუცქირიძისდმი კოლექტივის მიერ წაყენებული ბრალდება არ დაადასტურა და ბრლდებული გაანთავისუფლა ხუთი თვის პატიმრობის შემდეგ. რეაბილიტირებულმა კაცმა მუშაობა ძველ საწარმოში დაიწყო და მოისურვა კვლავ კომუნისტური პარტიის რიგებში შესვლა. 1939 წლის 26 მარტს, პარტიული ორგნიზაცია იხილავს მისი პარტიაში აღდგენის საკითხს... კრებაზე მის დასაცავად გამოვიდნენ ის პირები, ვინც მას „მავნებლობას“ აბრალებდა. მათ შორის, ერთი – რესპუბლიკაში ცნობილი სტახანოველი, დამსახურებული ადამიანი იყო. მან აღნიშნა: „თუმცა, ვინტილატორი გულგრილად იყო გაკეთებული, ცუცქირიძე მაინც არ შეიძლება მავნებელი ყოფილიყო“.

საყურადღებოა მიღებული დადგენილების შინაარსიც: „ცუცქირიძე, გარიცხული იყო 1937 წლის ოქტომბერში ხალხის მტრების მიერ“.

ა.დაუშვილი, თბილისი – 1937, გვ. 148.

1938 წლის რეაბილიტაციას არ შეეძლო, და არც ჰქონია მიზნად, მთლიანად უკანონოდ გამოეცხადებინა 1937 წლის რეპრესიები. მან კვლავ დაადასტურა, რომ რეპრესიების სუსხი სრულიად სამართლიანად იგემეს „ხალხის მტრებმა“, „ფაშიზმის აგენტებმა“, „მავნებლებმა“, მაგრამ, საქმე ისე წარმოადგინეს, რომ, თითქოს, სწორედ მათი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაზარალდნენ პატიოსანი რიგითი მოქალაქეები.

1937 წლის რეპრესიებმა თავისი ამოცანა შეასრულა: მან, მეტ-ნაკლებად, გაანადგურა შესაძლო „მეხუთე კოლონა“ საბჭოთა კავშირში და შორეულ აღმოსავლეთის შრომაგასწორების კოლონიები და საპატიმროე-

ბი („გულაგი“) გაავსო უამრავი იაფი მუშახელით, რომელთა შრომა განსაკუთრებით დასაფასებელი აღმოჩნდა II მსოფლიო ომის კვირაძალზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე მეორეჯერ (პირველი ეს იყო „კულაკების“ წინააღმდეგ ბრძოლა) წარმატებით მოახერხა და საბჭოთა ხალხების დიდი უმრავლესობა, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი ტოტალური რეპრესიული პოლიტიკის მნიშვნელოვან დამრტყმელ ძალად გადააქცია. ამ პროცესში ბრალდებებს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები უჭერდნენ მხარს და ეს დოკუმენტურად დასტურდება კიდეც.

საქართველოში მიღწეული თვალსაჩინო შედეგებისათვის ლავრენტი ბერია სტალინმა მოსკოვში გადაიყვანა – ის სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობაზე დააწინაურეს. ეს იყო 1938 წლის 22 აგვისტო. საქართველოში მოვიდა ახალი ხელმძღვანელი – კანდიდ ჩარკვიანი.

თავი V. კანდიდ ჩარკვიანი

კ. ჩარკვიანი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, ის, მხოლოდ 14 წლის ყმაწვილი იყო. რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობის მდიდარი წარსული და ცარიზმის სატუსაღოებში ხანგრძლივი ჯდომის გამოცდილება საერთოდ არა ჰქონდა. არც პარტიულ დისკუსიებში მიუღია ქმედითი მონაწილეობა და არცერთი ფრაქციისთვის არ დაუჭერია მხარი, მაგრამ მთელი თავისი არსებით კანდიდ ჩარკვიანი საბჭოთა პროდუქტი იყო – უფრო გამოკვეთილი ჰუმანიტარული მიდრეკილებებითა და ჩინებული განათლებით. პარტიულ ცხოვრებაში სრულიად ახალგაზრდა ჩაება – 20 წლის ახალგაზრდა უკვე ხელმძღვანელობდა ქართველი კომუნისტების ოფიციოზის, გაზეთ „კომუნისტის“ პარტიული ცხოვრების განყოფილებას. 1930 წელს პარტიის რიგებში მიიღეს. სულ მალე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორობაც ჩააბარეს. შემდეგ, კიდევ უფრო დააწინაურეს და საქართველოს კომპარტიის თეორიული ჟურნალის რედაქტორის მოადგილე გახდა. ასეთი წარმატებული კარიერა, იმჟამად, გამონაკლისი არ იყო, „სოციალური ლიფტი“, ჯერ კიდევ, გამართულად მუშობდა და ნიჭიერ, მიზანსწრაფ, საბჭოთა სისტემის ერთგულ ახალგაზრდებს წინსვლის შესაძლებლობა ნამდვილად ჰქონდათ.

მისი თანამდებობრივი აღმავლობა, ლავრენტი ბერიას ზეობის ხანას უკავშირდება, რაც ახალგაზრდის მიმართ, მის სუბიექტურ კეთილგანწყობასაც მიუთითებს. მაგრამ, არც მისი თვალში საცემი, თანდაყოლილი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული თვისებების არსებობა უნდა გამოირიცხოს, რაც ლ. ბერიას მახვილ თვალს არ გამოეპარა.

„...თუმცა, კანდიდ ჩარკვიანი ბოლშევიკების პირველ თაობას არ მიეკუთვნებოდა, უიდეო, ცინიკურ-ოპორტუნისტული საბჭოთა ბიუროკრატიის უმეტესობისაგან განსხვავებით, იგი სრულიად ფლობდა მარქსიზმის თეორიას და ბოლომდე ამ იდეოლოგიის ერთგული რჩებოდა...“

გელა ჩარკვიანი (ვაჟიშვილი)

ლავრენტი ბერიამ სწორედ ეს პიროვნება დატოვა თავის მემკვიდრედ და ამაში იყო რაციონალური მარცვალი – გამოცდილ პარტიულ მუშაკს, ამიერკავკასიელი ბოლშევიკების ლიდერს, თავის შემცვლელად საქართველოში სჭირდებოდა სუფთა, შეურყვნელი ბიოგრაფიის მქონე პიროვნება, რომელიც არ იქნებოდა „გასვრილი“ პარტიულ ბრძოლებში, „სასახლის კარის ინტრიგებში“ და თავის საქმეს „სუფთა ხელებით“ დაიწყებდა. ბერიას საქართველოში, უდავოდ, სჭირდებოდა პიროვნება, რომელიც მის გაკეთებულ საქმეს არ დააზიანებდა, შეინარჩუნებდა და გა-

ნავრცობდა; მას სურდა ისეთი ახალგაზრდა, რომელიც მასზე დამოკიდებული და მართვადიც იქნებოდა. კანდიდ ჩარკვიანმა თავისი მოღვაწეობით სრულიად გაამართლა ლ. ბერიას ჩანაფიქრი.

საქართველოს კპ (ბ) ცკ-ას 1938 წლის 31 აგვისტოს პლენუმზე კანდიდ ჩარკვიანი ერთხმად დაამტკიცეს საქართველოს კპ (ბ) ცეკას პირველი მდივნის თანამდებობაზე.

ეპოქა, რომელშიც მოუწია სახელმწიფო მოღვაწეობის დაწყება 31 წლის ახალგაზრდა კაცს, მეტად დრამატული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო – საბჭოთა ქვეყანაში ძირითადად დამთავრდა მასობრივი რეპრესიები, დაიწყო ნაწილობრივი რეაბილიტაცია; საჭირო იყო ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი განვითარება, სოფლად არსებული კოლექტიური მეურნეობების განმტკიცება, კულტურული აღმშენებლობის კიდევ უფრო წინ წაწევა და ა.შ. ყველაფერი ეს უნდა გაკეთებულიყო ძალიან სწრაფად – II მსოფლიო ომი კარზე იყო მომდგარი. და, რაც მთავარია, ახალ პარტიულ ხელმძღვანელს ლ. ბერიას მიერ აღებული ტემპი არ უნდა დაეგდო – საბჭოთა ქვეყანა ომისათვის ემზადებოდა, მსოფლიოში ფაშისტური აგრესია ყოველთვიურად ძლიერდებოდა, ხოლო ამ აგრესიის მთავარი ორიენტირი რესურსებით მდიდარი საბჭოთა კავშირი რომ იქნებოდა – ამას ყველა ისედაც კარგად ხედავდა.

მიუნხენის კონფერენცია

ვითარება მსოფლიოში კალეიდოსკოპივით იცვლებოდა – მდიდარი და ძლიერი დემოკრატიული ქვეყნები იმ წლებში ფაშისტურ სახელმწიფოებს ყველაფერს პატიობდნენ – მათ თვალი დახუჭეს ჰიტლერის მიერ ვერსალის ზავის ძირითადი პრინციპების დარღვევაზე: გერმანიამ, 1935 წელს, ზავის პირობების საწინააღმდეგოდ რეინის დემილიტარიზებული ოლქი დაიკავა; მსოფლიოს დემოკრტიულმა სახელმწიფოებმა გამოიჩინეს სრული გულგრილობა ესპანეთის სოციალისტური, დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ ფაშისტური ამბოხების დროს და ქვეყანა ჰიტლერსა და მუსოლინს საჯიჯგნად მიუგდეს; მათ არაფერი გააკეთეს გერმანიის მიერ ავსტრიის ანშლუსის შესაჩერებლად, რომლის დამოუკიდებლობის

გარანტორები თვითონვე იყვნენ. ხოლო 1938 წელს, როცა კანდიდ ჩარკვიანი თავის ახალ თანამდებობაზე მოვალეობის აღსრულებას შეუდგა, ევროპის დიპლომატია, ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოები კვლავ აღმოჩნდნენ ფაშისტური აგრესიის წინაშე: ჩეხეთის შემადგენლობაში მყოფი, გერმანელებით დასახლებული სუდეტების ოლქის სეპარატისტების მოთხოვნის საფუძველზე, გერმანია ამ ტერიტორიის მისთვის დაუყოვნებლივ და უპირობო გადაცემას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ომით იმუქრებოდა. მიუნხენში მოხდა სამარცხვინო გარიგება...

„ბოლოს და ბოლოს გადაწყდა, რომ საფრანგეთი და ინგლისი უზრუნველყოფენ ჩეხოსლოვაკიის ახალი საზღვრების უშიშროებას, რომელთა მიმართ გერმანია და იტალია თავის გარანტიებს იძლევინ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როგორც კი დაკმაყოფილდება პოლონელებისა და უნგრელების მოთხოვნები ჩეხების მიმართ...

დამის 1 საათსა და 30 წუთზე ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.

დალადიე სასოწარკვეთის გამო ადგილს ვერ პოულობს:

– ჩეხოსლოვაკია, ჭარბი ძალების ზეწოლის გამო, იძულებული გახდა, დაეთმო. მშვიდობის შესანარჩუნებლად ის გაწირეს, – მოდუშული იმეორებს ის...

ჟენევიევა ტაბუი (ფრანგი ჟურნალისტი)

„20 лет дипломатической борьбы“ (ამონრიდი)

როცა ივიწყებ დაპირებებსა და ვალდებულებებს მეგობრების წინაშე, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მიენდო იმ პოლიტიკოსებს, ვისაც შენს მიმართ კლასობრივი ზიზღი და აშკარა გულგრილობა ამოძრავებთ – ეს დასკვნა გააკეთა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ მიუნხენის სამარცხვინო გარიგების შემდეგ. გადაწყდა საბჭოთა ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მაქსიმალური განმტკიცება.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) საკ.კპ (ბ)-ს ორგანული და ერთ-ერთი მოწინავე რაზმი იყო. ლ. ბერიას მმართველობის წლებში მან უკვე საბოლოოდ მიიღო თავისი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული იერსახე, ჩამოყალიბდა მისი სტრუქტურა თავისი უამრავი განშტოებებით (საოლქო და რაიონული კომიტეტებით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებით, პარტიული ბიუროებით და მრავალრიცხოვანი პარტიული აქტივით). ეს იყო, ფაქტობრივად, ნახევრად გასამხედროებული, მტკიცედ შეკავშირებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც იმართებოდა ლენინური „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპებით, რაც გულისხმოდა: პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას თავიდან ბოლომდე; პარტიული ორგანოების პერიოდულ ანგარიშგებას თავიანთი პარტიული ორგანიზაციებისა და ზემდგომი ორგანოების წინაშე; მტკიცე პარტიულ დიციპლინას და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილებას; ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა ქვემდგომი ორგანოებისთვის უცილებელ სავალდებულობას.

1938 წელს, როცა კ. ჩარკვიანმა საქ. კპ (ბ) ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობა დაიკავა, საქართველოში უკვე 55 421 კომუნისტი იყო. ორგანიზაციის სრულ დაქვემდებარებაში იყო აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციები. საქართველოს კომუნისტებს შორის იყვნენ: ქართველი (37 875 კაცი), აფხაზი (504 კაცი), ოსი

(2 480 კაცი), სომეხი (7 933 კაცი) აზერბაიჯანელი (1 112 კაცი), რუსი (3 554 კაცი), უკრაინელი (410 კაცი), ებრაელი (421 კაცი), სხვა დანარჩენი (1 132 კაცი).

ნიშანდობლივია, რომ იმ წელს, როცა კ. ჩარკვიანი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, საქართველოს კომპარტიის რიგები საკმაოდ მნიშვნელოვნად შეივსო – პარტიის წევრი გახდა 4 310 კაცი, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატი – 11 962 კაცი.

პარტკომი

საქართველოს კომპარტიას 1938 წელს 3291 ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ჰქონდა. სწორედ, მათი დახმარებით მართავდა პარტია ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველ დარგს, ეს იყო პარტიის ხერხემალი – მის მონოლითურობაზე და მიზანსწრაფვაზე იყო დამოკიდებული სრულად ქვეყნის განვითარება. პირველად ორგანიზაციებს შორის ყველაზე მრავლრიცხოვანი იყო კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაცია (1 013 ერთეული), შემდეგ მოდიოდა: მრეწველობა (314 ერთეული), ტრანსპორტი (207 ერთეული), ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზიები (236 ერთეული) და ა.შ.

1939 წლის 1 იანვარს, საქართველოს კომუნისტების განათლების ცენზი ასეთია: უმაღლესი განათლებით – 3 739 კაცი (6,7%), არასრული უმაღლესი განათლებით – 1 807 კაცი (3,3%), საშუალო განათლებით – 7 667 კაცი (13,8%), არასრული საშუალო განათლებით – 7 921 კაცი (14,3%), დაწყებითი განათლებით – 17 327 კაცი (31,3%), დაწყებითი განათლების გარეშე წერა-კითხვის მცოდნე პარტიაში იყო 16 960 კაცი (30,6%). ამრიგად, საქართველოს კომპარტიის ძირითადი შემადგენლობა (61,9%) 30-იანი წლების დასასრულს, ფაქტობრივად, გაუნათლებელი, მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოს მმართველი პარტია, მართლაც, ძირითადად უსწავლელი მუშებისა და გლეხებისაგან შედგებოდა და ხშირად, სწორედ ისინი იყვნენ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აქტივისტები, ბრალმდებლები პოლიტიკური პროცესების დროს, ინფორმატორები და ა.შ. მათი მართვა ადვილი იყო, ყველაზე მეტად ისინი ატარებდნენ აგრესიის რადიკალურ მუხტს. სწორედ, აქედან მოდიოდა ის ულმობლობაც, რაც დამახასიათებელი იყო კომუნისტური მოძრაობისათვის იმ წლებში.

პარტიული ცხოვრება იმჟამად მეტად დატვირთული ჩანს შინაარსით. ადგილობრივი პარტიული კომიტეტის მდივანი, ფაქტობრივად, შრო-

მით კოლექტივში „მეორე კაცი“ იყო. ამავე დროს, ის ითავსებდა ორგანიზაციის „სულიერი მამის“ ფუნქციასაც, მას ევლებოდა კომუნისტების აღზრდა, თვალის მიდევნება, რომ არავის დაერღვი საბჭოთა დაწერილი თუ დაუწერელი კანონები, ხშირად „პარტკომი“ (პარტიული კომიტეტის მდივანი) ოჯახური კონფლიქტების გადაწყვეტაშიც იღებდა მონაწილეობას, უზრუნველყოფდა ცხოვრების საბჭოთა წესის კულტივირებას და ა.შ.

პარტიულ ორგანიზაციას, განსაკუთრებით მრავალრიცხოვან საწარმოებში, უამრავი განშტოება ჰქონდა: ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის კომისია, აგიტაცია-პროპაგანდის კომისია, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კომისია და სხვ. ორგანიზაციებში აუცილებლდ იყვნენ ადგილობრივი აგიტატორები და პროპაგანდისტები, რომლებსაც ევალებოდათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ინფორმაციის მიტანა შრომითი კოლექტივის ყველა წევრთან, მათი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის გაძლიერება. ხშირად, სწორედ ისინი უკითხავდნენ მშრომელებს გაზეთებს „პრავდასა“ და „კომუნისტს“ შესვენებების დროს.

ყველა ორგანიზაციას ჰყავდა თავისი აქტივი – სწორედ ამ წრიდან არჩევდნენ აგიტატორებსა და პროპაგანდიტებს. პერიოდულად იმართებოდა პარტიული კრებები, რომელზედც იხილავდნენ მიმდინარე საკითხებს, იყო „კრიტიკა და თვითკრიტიკა“, საწარმოს განვითარების გეგმების შეფასება, ხორციელდებოდა მასზე კონტროლი, იგეგმებოდა პოლიტიკური პროცესის ორგანიზება და ა.შ.

მაგრამ, უკვე 30-იანი წლების შუა ხანებში, კომუნისტებს, განსაკუთრებით ნომენკლატურას, რომელიც პროფესიულ ჩინოსნებად ჩამოყალიბდა, სწრაფად განუვითარდათ გაბიუროკრატების ძლიერი ტენდენცია. ეს კასტა, ფაქტობრივ ძალაუფლებას ფლობდა და მისი ზოგიერთი წარმომადგენელი ზოგჯერ ცდუნებას ვერ უძლებდა: ადგილი ჰქონდა თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, ფულის გაფლანგვას, კომუნისტური ცხოვრების ასკეტური ნორმების უხეშ დარღვევებს.

„1937 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს კპ (ბ) ცეკას ბიურომ განიხილა: ქალაქ ჯუღელში (ზესტაფონი – ა.დ.) გარყვნილების ბუნაგის არსებობის შესახებ. აღინიშნა, რომ სიგნალების მიუხედავად, რაიკომი და მილიცია ზომებს არ იღებს. მილიციის თანამშრომლები თვითონ დადიან და ერთობიან გარყვნილების ბუნაგში...

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 11, ს. 82, ფურც. 147.

პარტიული ნომენკლატურის ბიუროკრატიული გადაგვარების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ, რეპრესიული მექანიზმის გარდა სხვა მეთოდი ვერ მოიფიქრა.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია: რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ძალიან ადრე შეამჩნია, რომ აუცილებელი იყო განსაკუთრებული პოლიტიკის განხორციელება ახალგაზრდა თაობის მიმართ. 1917 წელს რუსეთში უკვე შეიქმნა ახალგაზრდების პროკომუნისტური ორგანიზაციები. უკვე მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, მიზნად დაისახეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვნელობით

ქვეყნის ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობა კომუნისტური ამოცანების რეალიზაციის პროცესში: ყველგან, სადაც კი პარტიას სჭირდებოდა ინიციატივა, ენთუზიაზმი, ახალგაზრდული შემართება – იქ აგზავნიდნენ კომკავშირლებს.

საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის შექმნას უკავშირებენ ბორის ძნელაძის სახელს, რომელმაც 1917 წელს შექმნა ბოლშევიკური ახალგაზრდული ორგანიზაცია „სპარტაკი". მას გარკვეული წვლილი მიუძღვის საქართველოში საბჭოთა ინტერვენციის რეალიზაციის საქმეში.

ბ. ძნელაძე

საქართველოს გასაბჭოებისთანავე საქართველოს ლენინური კომუნისტური კავშირი მხარში ამოუდგა ქართველ კომუნისტებს და უდიდესი წვლილიც შეიტანა კომუნისტურ მიზანდასახულობების რელიზაციის საქმეში: ისინი იყვნენ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წინააღმდეგ განხორციელებული სისხლიანი ექსცესების ინიციატორები და აღმსრულებლები, ისინი ანგრევდნენ ტაძრებსა და მონასტრებს, წვავდნენ ხატებს; მათი წარმომადგენლების ულმობლობით ამოწყდა ფანიაშვილების ოჯახი ქართლში; კახეთში, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, სწორედ კომკავშირელთა ჯგუფები თავს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ, ჯერ კიდევ, შემორჩენილ თავადაზნაურთა ოჯახებს და ა.შ.

XX სუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში, საქართველოს კომუნისტური კავშირი თავის რიგებში აერთიანებდა 170 000 ახალგაზრდას. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი. კომკავშირული ორგანიზაცია სრულად იმეორებდა კომუნისტური პარტიის ორგანიზაციულ სტრუქტურას. მას, საქართველოს ყველა რეგიონსა და რაიონში, თავისი საოლქო და რაიონული ორგანიზაციები ჰქონდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი შტატითა და დიდი აქტივით. პერიოდულად, იმართებოდა კომკავშირული ორგანიზაციების ყრილობები, პლენუმები. კომკავშირლების მთავარი ამოცანა იყო სტალინური ხუთწლედების მშენებლობებზე აქტიური მონაწილეობა. კომკავშირულ ორგანიზაციას შეეძლო თავისი გადაწყვეტილებით დაევალდებულებინა კომკავშირის რიგითი წევრი, მიეღო აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა მშენებლობაში, გამოეჩინა ინიციატივა – თუნდაც, საქართველოს ფარგლებს გარეთ.

კომკავშირული ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირში, გადაიქცა პარტიის კადრების ნამდვილ სამჭედლოდ – სწორედ ამ ორგანიზაციაში სწავლობდნენ, იწრთობოდნენ იდეურად და პრაქტიკულადაც მომავალი პარტიული ფუნქციონერები. რამდენადაც კომკავშირი მთლიანად იმეორებდა პარტიულ სტრუქტურებსა და მუშაობის სქემას, ისინი ადვილად ერთვებოდნენ სახელმწიფოს მართვის პროცესში და სწრაფად ახდენდნენ ადაპტაციას ნებისმიერ ვითარებაში.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია სრულად აკონტროლებდა **პიონერულ გაერთიანებებს**, რომლებიც „ბოი სკაუტების“ წაბაძვით ჩამოყალიბდნენ ჯერ რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში, ხოლო სულ მალე საქართველოშიც. პიონერული ორგანიზაცია სკოლის საშუალო ასაკის მოსწავლეებს აერთიანებდა. ესეც გასამხედროებული ორგანიზაცია იყო და ეს ახალგაზრდები ხშირად მარშირებდნენ გაშლილი წითელი დროშებით, საყვირებით. ისინი აწყობდნენ ლაშქრობებს, ანთებდნენ „პიონერულ კოცონს“, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. მათი დევიზი იყო: „კომუნისტური პარტიის საქმისათვის იყავ მზად! – მზად ვარ!“

საბჭოთა პიონერები

პიონერული ორგანიზაციები 30-იან წლებში უკვე სერიოზულ კომუნისტურ აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდნენ ახალგაზრდებში, რადგან ისინი ყოველ სკოლაში არსებობდნენ და ყველა მათგანს ჰყავდა თავისი ორგანიზატორი – პიონერხელმძღვანელი. სწორედ ამ პერიოდში, ცნობილი რუსი მწერლის – არკადი გაიდარის წიგნის – „თემური და მისი რაზმი“-ს წაბაძვით, საბჭოთა პიონერები, საქართველოშიც, ქმნიდნენ „თემურელების რაზმებს“, აქტიურად ეხმარებოდნენ მოხუცებს, სუსტებს, ავადმყოფებს, აკეთებდნენ კეთილ საქმეებს.

როგორც კი საბჭოთა ხელისუფლებას გაუჩნდა შესაძლებლობა, ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში გახსნა პიონერთა სახლები, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდები ეუფლებოდნენ დამატებით ცოდნას მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მონაწილეობდნენ თვითმოქმედი წევრების მუშაობაში, გაერთიანებული იყვნენ სპორტულ სექციებში და, ყველაფერი ეს, იყო უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომი. კანდიდ ჩარკვიანის პირადი დამსახურებაცაა, რომ საქართველოს მთავრობის ახლი სახლის აშენებისთანავე, თბილისის ცენტრში ყოფილი მეფისნაცვლის რეზიდენცია გადაეცა ახალგაზრდებს და მას ეწოდა „პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე“

თავის მხრივ, პიონერული ორგანიზაცია მთლიანად აკონტროლებდა და ზრუნავდა „**ოქტომბრელებზე**“ – ეს იყო დაწყებითი კლასების მოსწავ-

ლეებისათვის შექმნილი პირველადი ჯგუფები, რომლებიც ნორჩი ასაკის პატარა მოზარდებს უკვე აჩვევდნენ დისციპლინას, მოუთხრობდნენ პარტიულ მითებს ბელადებზე და მათ ბავშვობაზე, ზრდიდნენ კომუნისტური სულისკვეთებით. მათი განმასხვავებელი ნიშანი იყო, წითელი სამკერდე ვარკვლავი ლენინის ბავშვობის სურათით.

საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაცია. ეს იყო ყველაზე მასობრივი გაერთიანება, რომელიც აკავშირებდა ასეულ ათასობით საქართველოს მოქალაქეს (1930-იანი წლების შუა ხანებში მისი რაოდენობა თითქმის მილიონ კაცს უახლოვდებოდა). ამ ერთიან ორგანიზაციაში (პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო) შედიოდნენ მისი დარგობრივი, დაქვემდებარებული სტრუქტურები (ფეიქრების, მეწაღეების, მკერავების, მეშახტეების, განათლების მუშაკების და ა.შ.). თავისი შინაარსით, მიზანდასახულობით საბჭოთა პროფკავშირები რადიკალურად განსხვავდებოდნენ, როგორც ძველი, რევოლუციამდელი პროფკავშირებისაგან, ისე დასავლეთ ევროპის „ტრედუნიონისტური“ მოძრაობისაგან. რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ ის მშრომელების ინტერესების ერთადერთი დამცველი და ბოლომდე წარმატებით გამტარებელი ინსტიტუციაა, ხოლო ფაბრიკები და ქარხნები სახელმწიფოსი, ანუ ხალხის კუთვნილებაა, პროფკავშირებს „ბრძოლის“ ფუნქცია აღარ სჭირდებოდათ. სამაგიეროდ, მათ გადაეცათ შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქცია, სოციალური დაზღვევის საქმის მართვა და ორგანიზება, შრომის კანონმდებლობის დაცვა, ადგილებზე უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის ორგანიზება და მასზე კონტროლი და ა.შ. და ა.შ.

გაფიცვები, ლოკდაუნები, ულტიმატუმები, მუშათა უფლებების, მუშათა პროფესიული მოთხოვნების სხვადასხვა რადიკალური ფორმით დაცვა საბჭოთა კავშირში უკვე აღარ ხდებოდა. საბჭოთა პროფკავშირებს შეეძლოთ მხოლოდ ეზრუნათ მუშათა შრომისა და ცხოვრების პირობების დაცვასა და გაუმჯობესებაზე, სოციალისტური შეჯიბრების გააქტიურებაზე, რაციონალიზატორ-გამომგონებელთა მოძრაობის ინტენსიფიკაციაზე, კულტურულ-საგანმანთლებლო და განსაკუთრებით – ყოფითი პრობლემების მოგვარება-მოწესრიგებაზე, უზრუნველეყოთ მუშები დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურებით.

პროფკავშირული ორგანიზაცია არსებობდა საწევროების ხარჯზე. ამასთან, საბჭოთა ხელისუფლებამ მას სამმართავად გადასცა მუშათა კულტურულ-საგანმანმთლებლო მიზნით აგებული ნაგებობები (კულტურის სახლები, სასახლეები). პროფკავშირების ცენტრალური საბჭო მართავდა მშრომელთა დასვენების სფეროს მთლიანად (სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფებით). დროთა განმავლობაში, საბჭოთა პროფკავშირების ხელში თავი მოიყარა უზარმაზარმა მატერიალურმა ქონებამ.

ამრიგად, XX საუკუნის 30-ინი წლების დასასრულს, კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის დროს, საქართველოში მთლიანად ჩამოყალიბდა და განმტკიცდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემა თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფებით, რომლებიც ქმნიდნენ ძლიერ საფუძველს („რეჟიმის სვეტები“) შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ეკონომიკური წინსვლა. XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლო ურთულეს საგარეო პოლიტიკურ ვითარებას დაემთხვა – 1937 წელს ესპანეთის სამოქალაქო ომში საბჭოთა სამხედრო ტექნიკის წარუმატებლობამ და გამოვლენილმა სხვა ტექნიკურმა ნაკლოვანებებმა, საბჭოთა მთავრობას დაანახა, რომ მრეწველობის რიგ დარგებში სერიოზული პრობლემები იყო. მათი გადაჭრა სწრაფად უნდა მომხდარიყო, რათა II მსოფლიო ომის დაწყებამდე გამოსწორებულიყო ყველა ხარვეზი და ნაკლი, კიდევ უფრო გაძლიერებულიყო საბჭოთა მრეწველობა. რესპუბლიკების პარტიულმა ხელმძღვანელებმა მიიღეს ახალი დირექტივები ეკონომიკის წამყვანი დარგების დაჩქარებული განვითარების, რეზერვების ამოქმედებისა და გეგმით გათვალისწინებული ეკონომიკური შედეგების მისაღწევად. 1938 წელს საბჭოთა კავშირის უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი, ხუთწლიანი გეგმა (1938-1942 წწ.).

„გეგმა ითვალისწინებდა ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერების ამაღლებას, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას, საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებას. ნავარაუდევი იყო 1942 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების თითქმის ერთიორად გადიდება 1937 წელთან შედარებით. მესამე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა ეს ოდენობა, რაც გეგმით იყო დასახული, დაახლოებით უდრიდა პირველ და მეორე ხუთწლედებში გაწეულ მთელ კაპიტალდაბანდებათა თანხას“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, 1959, გვ. 645

ამ ვითარებაში კანდიდ ჩარკვიანისა და მისი პოლიტიკური გუნდის წინაშე დადგა საკითხი: ლ. ბერიას მიერ დაწყებული სამრეწველო პროექტები გაეგრძელებინა, დაესრულებინა და დაეწყო უკვე ახალი გეგმების რეალიზება. პრობლემა იმაში იყო, რომ ლ. ბერიამ კი შეძლო მნიშვნელოვნად გაეაქტიურებინა საქართველოში მეურნეობრიობა (თუნდაც ძალისმიერი მეთოდების ფასად), მაგრამ საგეგმო დავალებების ყოველწლიური 100 პროცენტიანი შესრულება მანაც ვერ შეძლო.

შამპანური ღვინის ქარხანა

ზეინდუსტრიალიზაციის საკავშირო პროგრამიდან გამომდინარე, იმ წლებში საქართველოში მრეწველობის ზრდის ტემპი აშკარად თვალსაჩინოა – პირველი სამი წლის მანძილზე, საქართველოს მრეწველობაში დიდი კაპიტალდაბანდებები განხორციელდა – გაიხსნა ახალი მძლავრი შახტები ტყიბულსა და გელათში, ექსპლოატაციაში შევიდა ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, თბილისის ტრიკოტაჟის კომბინატი, ქარხანა „ცენტროლიტი“, დასრულდა ზესტაფო-

ნის ფეროშენადნობთა ქარხნის რიგი ახალი კორპუსის მშენებლობა, რეს-პუბლიკის სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა ჩაის ახალი ფაბრიკები, თბილისში ექსპლუატაციაში შევიდა შამპანური ღვინის ქარხანა და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ მოსკოვის ქართული ლობის მხარდაჭერით კ. ჩარკვიანმა მიღწია თბილისის მახლობლად სამხრეთ კავკასიაში პირველი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაგეგმარებას (საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს 1940 წლის 12 სექტემბრის დადგენილება).

„ქარხნის ასაგებად კონკრეტული ადგილის შერჩევა დაევალა სპეციალურ კომისიას, რომელმაც თბილისიდან 20-25 კმ რადიუსზე, ოთხი ძირითადი საკარაუდო პუნქტიდან შეარჩია რკინიგზის მაგისტრალურ ხაზთან მდებარე სადგური ველის ტერიტორია, ქალაქიდან 9 კილომეტრზე. შეიქმნა სსრკ-ის მშენებლობის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებული სამშენებლო ორგანიზაცია – „საქმეტალურგმშენი“, რომლის უფროსად დაინიშნა ნ. გიორგაძე. ქარხნის დირექტორად დანიშნეს ვ. ხლებნიკოვი, ხოლო მთავარ ინჟინრად პროფ. ნ. ქაშაკაშვილი. საპროექტო სამუშაოები დაევალა მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს – „გიპრომეზს“. მშენებლობის სანუსხო ღირებულება მაშინდელი კურსით – 800 მილიონ მანეთს შეადგენდა. დაშქესანის რკინის მადნისა და საქართველოს ქვანახშირის საბადოების ათვისებისათვის გათვალიწინებული დიდი სამუშაოების შესრულების შემდეგ ყოველწლიურად უნდა ამოეღოთ მილიონი ტონა მადანი და 2 მილიონი ტონა ქვანახშირი.“

საქართველო შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 1, ნაწილი VIII, ს. 11255, ფურც. 80.

საწარმოების რაოდენობის ზრდა საგრძნობლად ზრდიდა მუშახელის რიცხოვნობას, წარმოებაში მოდიოდა ძალიან ბევრი ახალგაზრდა კადრი სპეციალური განათლებით. ამას კი უზრუნველყოფდა თითქმის ყველა დიდ საწარმოსთან საფაბრიკო-საქარხნო სკოლის არსებობა. კვალიფიცირებული მუშები უფრო ნაყოფიერად შრომობდნენ – ხარისხის მართვის საფაბრიკო-საქარხნო სისტემა ზოგიერთ საწარმოში უკვე გამართულად მუშაობდა.

„მუშები და მოსამსახურეები

საქართველოს მთელ სახალხო მეურნეობაში, 1928 წელს იყო 142,9 ათასი მუშა და მოსამსახურე, 1936 წელს ეს ციფრები გაიზარდა 342 ათასამდე. 1928 წელს, მთელს მსხვილ მრეწველობაში იყო 18,2 ათასი მუშა და მოსამსახურე, 1936 წელს – 63, 5 ათასი. მსხვილი მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა ხვედრითი წონა მთელ სახალხო მეურნეობაში 1928 წელს შეადგენდა 12,7 პროცენტს, 1936 წელს – 18,4 პროცენტს. საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში 1932 წლის 1 ივლისისათვის იყო 2 040 ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი, 1937 წლის 1 ივლისისათვის კი – 5 893 ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი. ზრდა უდრის 288,9 პროცენტს“.

გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. 1 ნოემბერი.

აღსანიშნავია, რომ 1938-1940 წწ. ადგილობრივი სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული მრეწველობის (ეს ფორმა, იმჟამად, ჯერ კიდევ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საბჭოთა ეკონომიკაში) ფართოდ განვითა-

რებასთან დაკავშირებით გაიზარდა წვრილი მრეწველობის საწარმოთა რიცხვიც. ასეთი საწარმოების რაოდენობა 1940 წელს 2,1-ჯერ აღემატებოდა 1937 წლის მაჩვენებელს. წვრილი მრეწველობის საწარმოთა ჩქარ ზრდას ადგილი ჰქონდა ლითონდამუშავებაში (2-ჯერ), საფეიქრო (2-ჯერ), და კვების მრეწველობაში (114,1 პროცენტით). ამან საქართველოში კიდევ უფრო გაზარდა მუშათა რაოდენობა.

მუშათა შრომა-მუშათა ყოფა. დღეს ბევრი ამტკიცებს, რომ საბჭოთა სისტემის პირობებში, განსაკუთრებით ომის წინა პერიოდში, იყო კატორღული, აუტანელი შრომა, დაბალი ანაზღაურება, მუშის უუფლებობა და საშინელი ექსპლოატაცია, მასზე ხორციელდებოდა პერმანენტული იდეოლოგიური ზეწოლა და ა.შ.

საბჭოთა მუშის საცხოვრებელი

უდავოდ, საბჭოთა რეჟიმის დროს, შრომითი პირობები საწარმოებში იდეალური არ იყო, თუმცა არსებობდა შრომის კანონმდებლობა, შრომითი ხელშეკრულების დადების პრაქტიკა, პროფკავშირული ორგანიზაციები თავისი უფლებებითა და ვალდებულებებით, რომლებიც შრომის პირობების მოწესრიგებაზე ზრუნავდნენ. მაგრამ, უშუალოდ საწარმოებში, რა თქმა უნდა, ყველგან ვითარება სახარბიელო არ ჩანს. საბჭოთა მუშა გამომუშავებული შრომის სრულ ანაზღაურებას, რა თქმა უნდა, არ იღებდა – მას (ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს) ეჭრებოდა ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი ბიუჯეტისათვის მის უკითხავად, ე.წ. „განუყოფელ ფონდებში“, რომლის საფუძველზე ხდებოდა განათლების, ჯანმრთელობის სისტემისა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო სფეროს (ბინების მშენებლობა, ტრანსპორტის ქსელის მოწესრიგება და ა.შ. და .შ.) დაფინანსება. მაგრამ, იყო შემთხვევები, როცა ამ ფონდებიდან თანხა შეეძლოთ გამოეყენებინათ სხვა მიზნით, ფარულად, პოლიტბიუროს მითითებით (შეიარაღებაზე, საზღვარგარეთის კომპარტიების დაფინანსებაზე და ა.შ.)

30-იან წლებში, სტახანოვური მოძრაობის განვითარების კვალდაკვალ, გამომუშავებული ნორმების ზრდამ საგრძნობლად გაადიდა ხელფასი (მუშის საშულო ხელფასი საქართველოში 1937 წელს – 573 მანეთია),

1938 წელს – უკვე 690 მანეთი. საქართველოში 1939 წელს წლიური საშუალო ხელფასმა შეადგინა – 3 800 მანეთი. ამასთან, საბჭოთა სისტემის ეკონომიკური ფუნდამენტის განმტკიცების კვალდაკვალ, დაიწყეს მუშებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა. ახალ სახლებს, საბავშვო ბაღებს, კლუბებს და კულტურის სასახლეებს აშენებდნენ თვითონ მდიდარი ფაბრიკა-ქარხნები და კოლმეურნეობებიც. სტახანოველებს, მუშადეპუტატებს – ქალაქის პრესტიჟულ რაიონებში სტალინური არქიტექტურით აშენებულ შედევრებში აძლევდნენ განსაკუთრებულ ბინებს. ეს ფაქტორი წარსულსა და თანამედროვეობას შორის, ისეთ დიდ განსხვავებას იძლეოდა, რომ სოციალური წინსვლის შედეგი თვალსაჩინო იყო და მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი კმაყოფილი ჩანდა.

"1922 წელს საწარმო ინახულა საქართველოს ქიმიკოსთა კავშირის კომისიამ, რომელმაც ოფიციალურ დოკუმენტებში ქარხნის მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებს კოშმარული უწოდა. ქარხნის მუშები ცხოვრობდნენ გომურებში, ყოფილ საჯინიბოებში, სარდაფებში: 4-6 კაცი ერთ ოთახში. მუშებს ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არა ჰქონდათ – არ ედგათ მაგიდა და სკამები, იკვებებოდნენ მხოლოდ პურით"

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 836, ს. 1, ფურც. 45.

„დავიბადე გურიის ერთ-ერთ პატარა სოფელში. ადრე დავობლდი, გავიზარდე სიღარიბეში, ჩემი ბავშვობა და სიყმაწვილე სიდუხჭირეში მიმდინარეობდა, ცოტა რომ წამოვიზარდე, წამოველ ქალაქს, განვიზრახე აქ გამეკაფა გზა ცხოვრებისაკენ... თითოეული ჩვენთაგანი ვისაც შრომა სურს, უზრუნველყოფილია ყოველგვარი პირობებით, იშრომოს, შექმნას პროდუქცია და მიიღოს მის მიერ შექმნილი პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, რაც ჩვენ სინამდვილეში ნიშნავს: იცხოვრე უდარდელად, არ გეშინოდეს უმუშევრობის, დაიკმაყოფილე ყოველგვარი ზომიერი და კანონიერი მოთხოვნილება. ასეთ ეპოქაში მომიხდა მე გზის გაკაფვა და რა გასაკვირია, რომ მიზანს მივაღწიე. შარშან, გეგმას 400-500 პროცენტით ვასრულებდი, რის გამოც, პარტიამ და მთავრობამ დამაჯილდოვა მსუბუქი ავტომობილით. ამჟამად, მთავარი მექანიკოსის მოადგილედ ვმუშაობ და ვცდილობ სტახანოვურად ვიშრომო".

ვანო მდინარაძე
თბილისი № 8 ავტოსარემონტო ქარხნის მუშა-სტახანოველი
ამონარიდი ავტობიოგრაფიიდან

მუშათა უკმაყოფილების გამოვლენასაც ჰქონდა ადგილი და ეს საქართველოში ფიქსირდება საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისთანავე. XX საუკუნის 20-იან წლებში, ჯერ კიდევ, შესაძლებელი იყო მუშას გამოეხატა შრომის პირობებით უკმაყოფილება, გაეპროტესტებინა ხელფასის რაოდენობა, გაფიცულიყო – ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. საბჭოთა სისტემის განმტკიცების კვალდაკვალ, მით უფრო როცა ფაბრიკებსა და ქარხნებში განმტკიცდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მუშათა უკმაყოფილება არ გამჟღავნებულიყო – ამის გამო, სერიოზულად ისჯებოდნენ, როგორც „უკმაყოფილონი", ისე საწარმოს ხელმძღვანელებიც. მაგრამ მუშათა უკმაყოფილება მაინც გრძელდებოდა და მას საკმაოდ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მუშათა უკმაყოფილება ყველაზე მასშტაბურად საბჭოთა სისტე-

მის პირობებში ვლინდებოდა ე.წ. „მუშათა დენადობაში“ – ანუ რიგითი მუშა ერთ ქარხანაში დიდხანს არ ჩერდებოდა. ეს იყო სერიოზული პრობლემა, რადგან მუშების მომზადებაზე საწარმო ხშირად ხარჯავდა უზარმაზარ თანხებს, და ეს ახლადმომზადებული მუშა, სულ რამდენიმე თვეში უკვე ტოვებდა საწარმოს და გადადიოდა სხვა ფაბრიკასა თუ ქარხანაში. 30-იანი წლების მეორე ნახევარში, მუშათა დენადობამ საბჭოთა ქვეყანაში შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო. ამის საწინააღმდეგოდ, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1940 წლის 26 ივნისს, მიიღო სპეციალური ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა „საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურ წასვლას“.

დასტურდება, რომ საქართველოს მუშები იყენებდნენ გაფიცვებს, როგორც ეკონომიკური ბრძოლის ფორმას: ჯერ კიდევ, 20-იანი წლების შუა ხანებში, არის ინფორმაცია ტყიბულის მუშების „მასიური გამოსვლის შესახებ“. 1933 წელს, თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში მოხდა სერიოზული კონფლიქტი მუშებსა და ფაბრიკის ტექნიკურ ხელმძღვანელობას შორის. 1936 წლის ზაფხულში, თბილისის მ. კალინინის სახ. ქარხანაში, ქარხნის ადმინისტრაციის გულგრილობისა და დაპირების შეუსრულებლობის გამო ქარხნის მუშები გაიფიცნენ. არის ცნობა, რომ 1937 წელს, ივნისში, გაიფიცნენ ქუთაისის აზოტის კომბინატის მშენებელი მუშები – 90 კაცი.

„1935 წლის 17 სექტემბერს თბილისის ავჭალის შუშის ქარხანაში იხარშებოდა „ცუდი მინა“. პარტიის წევრობის კანდიდატმა მილევიჩმა საამქროს უფროსს განუცხადა, რომ საჭირო იყო ღუმელში ცეცხლის მოკლება. როცა საამქროს უფროსი თვალს მიეფარა, მან მოუწოდა ღუმელთან მომუშავე მუშებს: „ბიჭებო, გვეყოფა, რაც გვაწამეს და გვამასხარავეს, შეაჩერეთ მუშაობა. მან პირველმა გადააგდო ჩასაბერი მილი და ჩამოვიდა დაზგიდან. ღუმელთან მომუშავე მუშებმა, მათ შორის, კომუნისტებმაც, მიატოვეს სამუშაო...“.

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 176, ს. 11 ფურც. 82.

თუმცა, არ აღინიშნოს ის, რომ 30-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს მუშათა ყოფა-ცხოვრებში ხდება ცვლილება უკეთესობისაკენ, სამართლიანი არ იქნება. მუშათა კლასი საბჭოთა სისტემის მთავარი დასაყრდენი იყო და, თუ კი რამ შეეძლო ამ სისტემას, ყველფერი ამ კლასის გულის მოგებას ემსახურებოდა.

30-იან წლებში უკვე გაჩნდა მუშათა ე.წ. „ზედაფენაც“ – პრივილეგირებული ნაწილი ანუ სტახანოველები, დამკვრელები, პოლიტიკურად აქტიური მუშები – მუშათა აქტივი. ბევრი მთგანი 1937 წლის „წმენდის“ შემდეგ გახდა ფაბრიკა-ქარხნის დირექტორი, წამყვანი სამეურნეო მუშაკი-ხელმძღვანელი. ძალიან ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა სამეურნეო და ორგანიზაციული თვისებებით, მათ გააგრძელეს სწავლა, დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და უდიდესი წვლილიც შეიტანეს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში (მჭედელი დ. ჭიჭინაძე, მეტალურგი ვ. სალაძე, მჭედელი კ. ილურიძე, ფეიქარი ე. მაზანაშვილი, მეშახტე პ. ნანიკაშვილი და მრავალი სხვა). მათთვის საბჭოთა ხელისუფლებას დარგობრივი აკადემიებიც კი ჰქონდა, სადაც ისინი სწავ-

ლობდნენ და კვალიფიკაციას იმაღლებდნენ. სწორედ ისინი იღებდნენ პრესტიჟულ ბინებს ქალაქის ცენტრში. საქართველოს მთავრობამ 10 საუკეთესო სტახნოველ მუშას (ვანო მდინარაძეს, მირდატ აკოფოვს და სხვებს) საჩუქრად გადასცა მცირელიტრაჟიანი ავტომობილი „მოსკვიჩი“. მათ, ასევე, შეეძლოთ მიეღოთ პერიოდულად ე.წ. „დეფიციტური“ პროდუქციაც სპეციალურ განმანაწილებლებში.

თუმცა, ქართველი რიგითი მუშის ყოველდღიური ყოფაც მნიშვნელოვნად მოწესრიგდა და შედარებით ასატანი გახდა. საბჭოთა გაზეთები აღსავსეა რეპორტაჟებით საქართველოს მუშების ყოველდღიური ყოფის ამსახველი სიუჟეტებით – მათი ცხოვრება ძალიან წააგავდა ერთმანეთს და ფუფუნებით, რა თქმა უნდა, არ გამოირჩეოდა.

„სტალინის სახელობის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა დიდ საცხოვრებელ სახლში, რომელსაც საბჭოს ქუჩის მთელი კვარტალი უჭირავს, სტუმრად ვართ სტახანოველ სანდრო რაზმაძესას. ოთახში იმდენად თბილა, რომ ფარნჯრები გაიორთქლა და ზედ ბავშვები თითით აწერენ თავის სახელს. სუფთად და ლამაზად დალაგებულ დიდ ოთახში ნაძვისხე დგას, სათამაშოებითა და ტკბილეულობით მორთული. გრძელ მაგიდაზე სხვადასხაგვარი სასმელები და საჭმელები აწყვია. მხიარული სანდრო მაგიდის თავში ზის მის მეგობარ მუშებთან და მეზობლებთან ერთად... მუშები ადღეგრძელებდნენ საამურსა და ბედნიერ ცხოვრებას, უკრავდნენ პატეფონს და მღეროდნენ. მხიარულება ტრაილებდა ბედნიერი მამის ოჯახში. ბავშვები კი აწებებდნენ წითელ ქაღალდებს, ამშვენებდნენ დიდი სტალინის პორტრეტს...“

გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ. 3 იანვარი

აგრარული პრობლემები საბჭოთა სახელმწიფოს მუდამ ჰქონდა. მარქსისტულ-ლენინური დოგმატიკის საფუძველზე განხორციელებული რადიკალური გარდაქმნები დასაშვებზე უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა. მაგრამ, კ. ჩარკვიანის მმართველობის პერიოდში, ქვეყანამ „ყველაზე ცუდი“ უკვე უკან მოიტოვა და ადაპტაციური პროცესები, როგორც კომუნისტური პარტიის ლიდერები ამტკიცებდნენ, სოფლად შედარებით სწრაფად განვითარდა.

„სოფლის მეურნეობის დარგში, ნაცვლად წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანისა, მათი სუსტი ტექნიკით და კულაკის ძალა-გავლენით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მექანიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისმომცველი სისტემის სახით. ყველასათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორს, თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნეობრივი ტექნიკით, ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს...“

ი.ბ. სტალინი

ამ შემთხვევაში სტალინი, აშკარად, ვარდისფრად წარმოაჩენდა სოფლად შექმნილ ვითარებას, რადგან ყველგან ასე კარგად არ იყო საქმე და მათ შორის, საქართველოშიც. მართალია, დამკვრელ კოლმეურნეთა II ყრილობაზე მიიღეს „კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება“, რომელმაც კონკრეტული ორიენტირები დასახა საკოლმეურნეო მშენებლობის

ტრაქტორი ქართულ სოფელში

გზაზე, მაგრამ ცალსახად, წარმატებული კოლმეურნეობები არცერთ საბჭოთა რესპუბლიკაში არ ჩანს. აგრარულ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა იყო, რაც თანდათან წესრიგდებოდა: დაიწყო კოლმეურნეობათა გამსხვილების პროცესი, ჩამოყალიბდა მართვის აპარატი, მოწესრიგდა ფინანსური ურთიერთობები, ყოფილი მესაკუთრე გლეხები ეჩვეოდნენ კოლექტიურ შრომასა და შემოსავლების განაწილებას. საქართველოს სოფელში რომ გარკვეული სოციალური პრობლემები იყო, ამაზე მიუთითებს საკომლო წიგნების (დავთრების) შინაარსიც, რომლებიც შემორჩენილია და კარგად გვიჩვენებს 30-ინი წლების დასასრულს ქართულ სოფელში შექმნილ სოციალურ ვითარებას.

„სოფ. წინანდლის სასოფლო დავთარი. 1937 წ. (ამონარიდი)

– ბეჟუაშვილი საბედა, მდ. დაბადებული 1900. წერა-კითხვის უცოდინარი, აქვს ვენახი (დაბლარი), 0,27 ჰა, 1200 ძირი. გადასახადიდან განთავისუფლებულია.

– ბეჟუაშვილი ბაბე გიორგის ასული, დაბადებული 1840 წ. წერა-კითხვის უცოდინარი. უთესია: სიმინდი – 0,25 ჰა, კარტოფილი – 0,03 ჰა, ბოსტნეული – 0,05, ხორბალი – 0,27. შემოდგომა-გაზაფხულის ნათესი – 0,3 ჰ, ვენახი (დაბლარი) – 0,08 ჰ (350 ძირი). გადასახადი – 27.50 მან.

– გრიშიკაშვილი კოტე, დაბ. 1895 წ. წერა-კითხვის უცოდინარი, ცოლი – დაბ. 1909 წ. სამი შვილი (ვაჟები). უთესია: კარტოფილი – 0,01 ჰა, ხორბალი – 0,13 ჰა, ლობიო – 0,02 ჰა, ვენახი დაბლარი 0,27 ჰა (1000 ძირი). გადასახადი – 32,15 მან.

– ბელიაშვილი ზაქარია, დაბ. 1878 წ. ოჯახში 8 წევრია, ცოლი და 6 შვილი. უთესია: სიმინდი 0,5 ჰა, კარტოფილი – 0,03 ჰა, ბოსტნეული 0,05 ჰა, ხორბალი – 0,75 ჰა, ვენახი – 0,09 ჰა (250 ძირი)...

თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, აღ. 1, ს. 70, ფურც. 1.

საკომლო დავთარიდან ირკვევა, რომ სოფლის გლეხობას თითქმის არა ჰყავს საქონელი – ყველაფერი კოლმეურნეობაში შესვლის დროს გაერთიანეს, თუმცა, არიან ცალკეული გლეხები, რომელთაც ჰყავთ თითო ძროხა, ხბო, ცხენი.

უკვე ლ. ბერიას მმართველობიდან დაიწყო კომპანია გლეხობისათვის საკარმიდამო მამულებში საქონლის მოშენების უზრუნველსაყოფად. ეს აშკარად გამოიწვია განკულაკების პერიოდში გლეხების მიერ საქონლის მასობრივმა დაკვლამ, რამაც სახელმწიფოში მკვეთრად შეამცირა პირუტყვის რაოდენობა. სახელმწიფო პროგრამით კოლმეურნე გლეხებს შედავათიან ფასებში აძლევდნენ საქონელს (მარტო 1934-1938 წლებში, ამ

ფორმით კოლმეურნე გლეხებმა შეიძინეს 7 352 დეკეული, 51 024 გოჭი, 70 494 ცხვარი და ბატკანი).

ამასთან, საკარმიდამო ნაკვეთების არსებობამ, საკმაოდ მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებამ, რაც საქართველოს პირობებში მცირე ფართობზეც უხვმოსვლიანი იყო, გლეხობას მისცა შესაძლებლობა „საკოლმეურნეო ბაზრებზე“ გაეტანა თავისი მოსავალი: ღვინო, ყურძენი, ხორბალი, კარტოფილი და აქედანაც მიეღო დამატებითი და საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავალი.

საქართველოს გლეხი, იმ წლებში, ძირითადად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში შრომობდა. 1937 წელს საქართველოში კოლექტივიზირებული იყო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის 76,5 %, რომელზედაც მოდიოდა ნათესი ფართობის 82,8%. ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა. სულ საქართველოში 30-ინი წლების დასასრულს ითვლებოდა 4 236 კოლმეურნეობა და 476,1 ათასი კოლმეურნე გლეხი.

იმ წლებში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის ტექნიკურ აღჭურვილობას: 1940 წელს საქართველოში უკვე 2926 ტრაქტორი იყო, რომელიც გადანაწილდა 58 მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. ამის გარდა, გაიზარდა კომბაინების, კულტივატორების, გამაფხვიერებლების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობაც.

საბჭოთა სტატისტიკური კრებულების თანახმად, საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა სოფელში ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები: ნათესი ფართობი, საჰექტარო მოვლიანობა, პირუტყვის სულადობა და ა.შ. როგორც ამტკიცებდნენ, ეს კოლმეურნეების შემოსავლებზეც აისახებოდა.

„პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობათა შემოსავალი და მათი ძირითადი ფონდების ღირებულება. 1932 წელს საქართველოს კოლმეურნეობების მარტო ფულადი შემოსავალი 60 286 436 მანეთს შეადგენდა, კოლმეურნეობების ძირითადი ფონდების ღირებულება კი – 80 171 819. 1937 წელს, შემოსავალ-გასავალი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საქართველოს კოლმეურნეობები მიიღებენ ფულად 336 357 052 მანეთს. ეს რაოდენობა თითქმის ექვსჯერ მეტია იმაზე, რაც კოლმეურნეობებმა 1932 წელს მიიღეს. კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს გრძელვადიანი კრედიტები: 1932 წელს 3 841 726 მანეთი, 1937 წელს – 49 686 542 მანეთი...“

გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. 1 ნოემბერი

საბჭოთა სახელმწიფოს აგრარულ პოლიტიკაში იმ წლებში მთავარი მაინც იყო ის, რომ მას უწყვეტად ჰქონდა იაფი და მუდმივად განახლებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი დაბალ ფასად, რაც მას საშუალებას აძლევდა შეენარჩუნებინა ქვეყნის შიგნით სურსათზე შედარებით დაბალი ფასები, რათა დაეკმაყოფილებინა მუშები, მოსამსახურეები და წითელი არმიის საჭიროება, ხოლო საგარეო არენაზე – ხელსაყრელად, დიდი მოგებით გაეყიდა ეს პროდუქტი და ამის საფუძველზე შემოეტანა უახლესი საწარმოო ტექნიკა და ტექნოლოგიები საბჭოთა მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

შრომადღის მაჩვენებლებიც კოლმეურნეობებში სიტემატურად იზრდებოდა. ზრდის მაჩვენებლებს მუდამ აკვირდებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი სოფლის მეურნეობის განყოფილება. უამრავი მაკონტროლებელი ორგანო ამოწმებდა რამდენად კარგად მუშაობდნენ კოლმეურნეობები, რამდენად ეფექტიანი იყო მათი შრომა და როგორ იზრდებოდა კოლმეურნე გლეხის შემოსავალი.

„აღბულად-მანგლისის რაიონის ასურეთის კოლმეურნეობა „უსპეხ“ შეიქმნა 1930 წ. ამჯერად აერთიანებს 199 მეურნეობას, ანუ სოფ. ასურეთის 63,7%. მოსახლეობა გერმანელია. თავმჯდომარე ოტო კოხი. საქ. კპ (ბ) წევრი, 34 წლის, დაბალი განათლებით... კოლმეურნეობაში 5 საწარმოო ბრიგადაა, რომლებიც 4 ჯგუფად არიან დაყოფილი. მინდორში მუშაობს ორივე სქესის 432 კაცი... გამოიმუშავეს 101 228,49 შრომადღე... კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 1 228 789,25 მანეთი. აქედან, შრომადღეებზე გაანაწილეს 888 450 მანეთი, ნუ 69,1%. შრომადღის ღირებულება გამოვიდა 8,80 მანეთი...“

საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 279, ფურც. 29.

ქართველი და უკრაინელი კოლმეურნეების მეგობრობის მონუმენტი გენიჩესკში

30-იანი წლების დასასრულს, ძალიან პოპულარული გახდა მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მშრომელთა თანამშრომლობა, მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების გაფორმება, მოწინავე კოლმეურნეთა შორის პირადი ურთიერთობების დამყარება, პერიოდული შეხვედრები, გამოცდილების ურთიერგაზიარება და ა.შ. ამ ურთიერთობის საფუძვლის ჩამყრელი აღმოჩნდნენ მახარაძელი (ოზურგეთელი) და გენიჩესკელი (უკრაინა, ხერსონის ოლქი) მშრომელები, რომლებმაც ასეთი შეჯიბრების ხელშეკრულება უკვე 1938 წელს გააფორმეს. მათ მხარი აუბეს ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიასა და უკრაინის ტალალაევკის რაიონის „ოქტომბრის 14 წლისთავის სახელობის“ კოლმეურნეობის მშრომელებმაც, შემდეგ, შეჯიბრებებში ჩაებნენ სოფელ ნატანებისა და სომხეთის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეები და სხვა სასოფლო შრომითი კოლექტივები.

„უკრაინელი და ქართველი ხალხის მეგობრობას, რომელიც თანდათან მტკიცდება, ისტორიული ფესვები აქვს... ჩვენ მოვდივართ რა მზიურ საქართველოში, მოგვაქვს უკრაინელი ხალხის დავალება განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ ხალხთა ლენინური მეგობრობა, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ კოლმეურნეობათა, საწარმოთა, რაიონთა სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის, კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, ბედნიერი, შეძლებული ცხოვრებისათვის. უკრაინელმა ხალხმა მოგვცა დავალება გავაფართოვოთ სოციალის-

ტური შეჯიბრება თითოეული ქარხნის, ფაბრიკის, მადაროს, კოლმეურნეობის გადაქცევისათვის თავდაცვის მიუვალ ციხესიმაგრედ....“

გაზ. „კომუნისტი“, 1938 წლის 6 ნოემბერი.

სოციალისტურ შეჯიბრებებში ჩაბმული შრომითი კოლექტივები ყოველწლიურად აჯამებდნენ თანამშრომლობის შედეგებს, ავლენდნენ გამარჯვებულ კოლექტივებს, აჯილდოვებდნენ წარჩინებულებს.

თანამშრომლობის ამ ფორმას, დიდ მნიშვნელობას აძლევდა პარტიული ხელმძღვანელობა, ამიტომაც მათზე ბევრს წერდნენ ცენტრალური თუ ადგილობრივი პრესის ორგანოები. დღეს აშკარაა, რომ ამ ურთიერთობებში ეკონომიკურზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება, კულტურათა დაახლოება, ურთიერთგამდიდრება და ურთიერთსიმპათიების გაღრმავება.

როგორც დასტურდება, საქართველოს კომპრტიის ახალი ხელმძღვანელობა ასეთ ინიციატივას ან თვითონ ახალისებდა, ან მხარს უჭერდა, რადგან მიაჩნდა ის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად.

კ. ჩარკვიანი თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა აგრარულ სფეროში 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების კონკრეტული ამოცანების უპირობო შესრულებას. სწორედ, მისი მმართველობის წლებში, ძალიან ბევრი გაკეთდა ამ მიმართულებით: 30-იანი წლების ბოლოს საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის, ციტრუსების, ტექნიკური კულტურების არა მარტო სათესი ფართობები, არამედ მოსავლიანობაც – საქართველო რჩებოდა ამ პროდუქტებით საკავშირო ბაზრის ძირითად მომმარაგებლად. 1940 წელს ჩაის ფართობი საქართველოში გადიდდა 49 637 ჰექტარამდე (1937 წელს იყო მხოლოდ 41 752 ჰა). ასევე გაიზარდა ციტრუსების ნათესი ფართობები (20 000 ჰა). სტატისტიკური ცნობების მიხედვით, საგრძნობლად გაიზარდა მრავალწლიანი ნარგავების (ვაზი, ხეხილის ბაღები, ტუნგო, ევკალიპტი, დაფნა და სხვ.) ფართობები და საჰექტარო მოსავლიანობა. საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეთერზეთების წარმოებისათვის მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. იყო სხვა მიღწევებიც...

„1938-1940 წლებსა და 1941 წლის პირველ ნახევარში საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ მკვეთრად გამოხატული ინდუსტრიული ხასიათი მიიღო. ეს იყო უდიდესი თვისებრივი ნახტომი, რომლის შედეგადაც, საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადაიქცა“.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 769.

ასეთ შეფასებას შეგვიძლია დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ, მაგრამ ფაქტია – კანდიდ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველომ პირველად თავის ისტორიაში 1940 წელს 28 დეკემბერს შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,3 პროცენტით. 1939 წელ-

თან შედარებით ზრდამ შეადგინა 20,1 პროცენტი. ეს დიდი გამარჯვება იყო.

იმჟამად, მზარდი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში კულტურასა და ხელოვნების განვითარებას ხმარდებოდა.

კულტურული რევოლუციის ძირითადი შედეგები. 30-იანი წლების მეორე ნახევარში, კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის პერიოდში, უკვე აშკარა გახდა, რომ კომუნისტების მიერ ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა და მან, მნიშვნელოვანწილად, გაუმართლა საქართველოში მის ფუძემდებლებს: საბჭოთა იდეოლოგიის მატარებელი რიგითი მოქალაქე საქართველოში უკვე საკმაოდ ბევრი ჩანს, ხოლო თუ კი ვინმე ანტისაბჭოთა შეხედულებებს ჯერ კიდევ ატარებდა, ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ ეს განწყობილებები შეენიღბათ, დაემალათ. ისინი, დღეს ეს აშკარაა, საჯაროდ კონფორმისტულად იქცეოდნენ: ყველა საბჭოთა სისტემის მიერ დამაკვიდრებეული ფასეულობების გამარჯვებაზე საუბრობდა და რეჟიმს ერთგულებას ეფიცებოდა.

კულტურული განვითარების განმაპირობებელი და უპირველესი საფუძველი საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის უდავო წარმატება იყო, რომელმაც თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე უკვე გამოზარდა ახალი თაობა მარქსისტულ-ლენინური (სტალინური) მეთოდოლოგიის იდეურ საფუძველზე და მკაცრად გაატარა, გამოაწრთო საბჭოთა სკოლის აღმზრდელობით სისტემაში. ეს ინსტიტუცია კი უკვე მთლიანად იყო დატვირთული იდეოლოგიური კლიშეებით და აშკარად კარგ შედეგებს იძლეოდა. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა საქართველოში წერა-კითხვის ლიკვიდაციის პარალელურად მიმდინარეობდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის კულტივირება და ეს ხდებოდა არა მარტო მოზარდებში, არამედ იმ ზრდასრულ ადამიანებშიც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში იწყებდნენ დედა-ენის შეთვისებას.

საბჭოთა ადამიანის აღზრდაზე საბჭოთა ხელისუფლება თანხებს არ იშურებდა – ეს აღზრდა მხოლოდ კომუნისტური უნდა ყოფილიყო, ყოველწლიურად იზრდებოდა სასკოლო ქსელის ოდენობა: თუ 1925 წელს საქართველოში იყო 1428 ქართული, 120 სომხური, 79 თურქული, 59 რუსული და სხვა ნაციონალური სკოლა, უკვე 1940 წელს საქართველოში სამი საფეხურის (ოთხწლედი, შვიდწლედი და ცხრაწლედი) 4 511 სკოლა იყო, რომელშიც სწავლობდა 767 ათასი ბავშვი. ეს პროცესი განხორციელდა პედაგოგთა ახალი კადრების მომზადების ფონზე, რომლის დროს უდიდესი ყურადღება ექცეოდა სწორედ მომავალი პედაგოგის იდეურ პოზიციას, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისადმი მის ერთგულებას, საბჭოთა რეჟიმისადმი დამოკიდებულებას და ა.შ.

დადასტურებული ფაქტია, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს, საქართველოში, მოსახლეობის დიდი უმეტესობა – ათეისტი იყო. რელიგიურ ცნობიერებას საჯაროდ არ აღიარებდნენ, ღრმად მალავდნენ და ოჯახურ ურთიერთობაში იყენებდნენ (თუმცა, დადასტურებული ფაქტია: მაინც შემორჩა ბავშვის ტრადიციული ნათლობა, აღდგომის ღღესასწაულის პატივისცემა. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ეკლესიებშიც დადიოდნენ).

უკვე ამ პერიოდში, საქართველოში, შესამჩნევი გახდა ცოდნის, განათლების მიმართ ახალგაზრდობის უდიდესი ლტოლვა, უმაღლესი განათლების მიღების სურვილი, მეცნიერების საფუძვლების შესწავლის მოთხოვნილება. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ უკვე 1939 წელს საქართველო, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, გავიდა პირველ ადგილზე სახალხო განათლების სფეროში – ყოველ 1000 კაცზე საქართველოში ითვლებოდა 113,4 საშუალო სკოლადამთავრებული და 11,2 უმაღლესი განათლებით. ეს პროცესი დააჩქარა სოფლიდან მოსახლეობის მასობრივმა მიგრაციამ 30-იანი წლების დასაწყისში, მუშებისა და ღარიბი გლეხის შვილებისათვის სოციალური პერსპექტივის გაჩენამ და ა.შ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უდიდესი ლტოლვა, რაც მაშინ შეიმჩნეოდა საზოგადოებაში წიგნისადმი, მხატვრული ლიტერატურისადმი. ქვეყანაში ბიბლიოთეკების ქსელი მასშტაბური იყო: თითქმის ყველა სოფელში ბიბლიოთეკა და წიგნადი ფონდი არსებობდა (1940 წელს საქართველოში 1 598 ბიბლიოთეკა და 1 745 000 წიგნადი ფონდია). ეს კი ხელს უწყობდა ქვეყანაში წიგნიერების განვითავრებას. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან ხორციელდებოდა ცენზურა საზღვარგარეთელი მწერლების თხზულებებზე, მაგრამ ქართული, რუსული და ევროპული კლასიკა საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი წიგნის ბაზარზე. სწორედ იმ წლებში ჩაეყარა საფუძველი პირადი, საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნას მუშისა და გლეხის ოჯახებში, რასაც უდიდესი საგანმანათლებლო და სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა.

ნ. მუსხელიშვილი

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ სოციალისტური მშენებლობის ამოცანები, ის გრანდიოზული მიზნები, რასაც საბჭოთა ხელისუფლება აყენებდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ არენაზე, მოითხოვდა უდიდეს ძალისხმევას მეცნიერების, როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი დარგების განსავითარებლად. დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განსავითარებლად – ამას მოითხოვდა საკოლმეურნეო მოძრაობის ინტენსიფიკაცია და ამ სფეროში ჯერ კიდევ სერიოზული საკადრო შიმშილი. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საქართველოში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, ჩაის მრეწველობის, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტები. კადრების მომზადებასთან ერთად, ამ ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი სამეცნიერო მუშაობაც მიმდინარეობდა.

ფუნდამენტური მეცნიერების სათავე საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. ამ პერიოდში მას, უკვე, ი. სტალინის სახელი ჰქონდა მიკუთვნებული და საქართველოში კადრების მთავარ სამჭედლოდ ითვლებოდა. თითქმის ყველა დიდ ქალაქში შექმნილ პედინსტიტუტებშიც ინტენსიური სამეცნიერო კვლევები წარმოებდა. პარალელურად, არსებობდა სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტი. უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება იყო, რომ შეიქმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, რომელმაც გააერთიანა, როგორც საბუნე-

ბისმეტყველო, ისე ქართველოლოგიური ინსტიტუტები და საქართველოში მნიშვნელოვან სამეცნიერო სისტემად გადაიქცა. ამ ორგანიზაციამ გააერთიანა აბასთუმნის ობსერვატორია (დაარსდა 1932 წ.), გეოფიზიკის სამეცნიერო-კვლეთითი ინსტიტუტი (არსებობს 1933 წლიდან), ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ა.შ.

უკვე ამ პერიოდში მსოფლიო აღიარება მოიპოვეს პროფესორებმა: ნ. მუსხელიშვილმა, ევ. ხარაძემ, ნ. კეცხოველმა, ქ. ბახტაძემ და მრავალმა სხვამ. საოცრად განვითარდა სამედიცინო მეცნიერება და პრაქტიკა. ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი მეცნიერები, რომლებმაც განავითარეს არსებული მდიდარი ტრადიციები: კ. ერისთავი, ე. ფიფია, მ. ჩაჩავა და მრავალი სხვა).

კ. კეკელიძე

სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა ქართველოლოგიური მეცნიერება – პატრიოტიზმი არასაბჭოურად გაგებული, ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ფასეულობების პრიმატი – საბჭოთა იდეოლოგების მხრიდან ჩამორჩენად, პატრიარქალიზმად, ანაქრონიზმად გამოცხადდა, ამიტომაც მეცნიერების ეროვნულ დარგებს (ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ფილოსოფიას და ა.შ.) სერიოზული პრობლემები შეექმნა. ცენზურა მკაცრი იყო და საზოგადოებათმცოდნეობა მთლიანად ისტორიული მატერიალიზმის ძირითად პრინციპებს უნდა დაქვემდებარებოდა. სწორედ ამ პოზიციებიდან იყო გაკრიტიკებული დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, რომელიც ერთხანობას მისი დაარსებული უნივერსიტეტიდანაც კი გააგდეს და მისი შემოქმედება კრიტიკის პრიზმაში გაატარეს. თუმცა, სწორედ ამ პერიოდში, ივანე ჯავახიშვილმა შექმნა თავისი საუკეთესო ნაშრომები საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პრობლემაზე.

„მეცნიერება... შრომის ორგანიზაციული იარაღია. გაბატონებული კლასის ხელში ბატონობისა და ექსპლოატაციის იარაღი იყო. პროლეტარიატის ხელში ის უნდა გადაიქცეს სოციალური აღმშენებლობის, ბუნებასთან ბრძოლის ძლევამოსილ იარაღად. მეცნიერული გამოცდილება გადასინჯული უნდა იყოს კოლექტიური შრომის თვალსაზრისით, სისტემატურად ახსნილი და გაშუქებული პროლეტარული აღმშენებლობის პირობებთან შედარებით“.

გაზ. „კომუნისტი“, მოწინავე (ამონარიდი)

ქართველოლოგიის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა 1936 წელს დაარსებულმა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა (ენიმკი-მ). მისი დირექტორი იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია. სწორედ ამ წლებში გამოიცა ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, შეიქმნა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოები, დადგინდა ქართული ენის ნორმები. განსაკუთრე-

ბულ წარმატებებს მიაღწიეს პროფესორებმა: ა. შანიძემ, ა. ჩიქობავამ, კ. კეკელიძემ, შ. ნუცუბიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, გ. ახვლედიანმა და სხვებმა.

იმ წლებში, მნიშვნელოვნად წინ წაიწია ხალხური ზეპირსიტყვიერების შესწავლამ, ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები, გროვდებოდა ხალხური ლექსები, სიმღერები, ზღაპრები. საქმე იმაში იყო, რომ 30-იანი წლების შუა ხანებში, როცა გერმანიაში ფაშისტური ნაციონალისტური ხელისუფლება მოვიდა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის მზადება დაიწყო, საბჭოთა მთავრობამაც, თავის იდეოლოგიურ სამსახურში, ინტერნაციონალისტურ დოგმატიკასთან ერთად, გარკვეული დოზით ეროვნული ფასეულობებისა და ეროვნული იდენტობის მახასიათებლების პროპაგანდაც გადაწყვიტა. ეს პოლიტიკა მეტად საჭირო და შედეგიანი აღმოჩნდა.

კანდიდ ჩარკვიანის უდიდესი დამსახურებაა (რა თქმა უნდა კრემლის ქართული ლობის დახმარებით), რომ 1941 წელს დაეფუძნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც პირველ ეტაპზე 16 თვალსაჩინო მეცნიერი გააერთიანა. აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი ნიკო მუსხელიშვილი. საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციონირებამ უზრუნველყო ქართული ინტელექტუალური პოტენციალის კიდევ უფრო დაწინაურება, რაც საკმაოდ რელიეფურად აისახა ქართული ლიტერატურის განვითარებაზეც.

ახალი ქართული ლიტერატურა საბჭოთა სისტემის პირობებში, წინააღმდეგობების დაძლევის გზით ვითარდებოდა – საქართველოში მწერალი თუ პოეტი გამორჩეული, „ცხებული“ იყო და მას მუდამ ჰქონდა განსაკუთრებული ავტორიტეტი საზოგადოებაში. საბჭოთა იდეოლოგიამ მოითხოვა რომ მწერალს, პოეტს, ხელოვანს ხოტბა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილისათვის შეესხა, აესახა სოციალიზმის გრანდიოზული მშენებლობები, ახალი საბჭოთა ადამიანის ფორმირების პროცესი, ეწერა „ფორმით ეროვნული, შინაარსით ინტერნაციონალური“ (ი.ბ. სტალინი) მხატვრული ლიტერატურა.

ა. ბელიაშვილი

უკვე აღინიშნა, რომ ქართველი მწერლების ერთმა ჯგუფმა მხარი აუწყო სოციალისტურ რეალიზმს, ასახა სოციალიზმის ესთეტიკური პრინციპები თავის მხატვრულ ბელესტრისტიკაში. რამდენადაც საბჭოთა სინამდვილეში სახელმწიფო იყო ერთადერთი სპონსორიც, გამომცემელიც, ქართველი მწერლები თანდათან ლოიალურები გახდნენ, თუმცა ეს კომპრომისი ბევრს შემოქმედებაში სერიოზულ პრობლემებად დაუჯდა. სახელმწიფოს მახვილ თვალს მუდამ ყურადღების ცენტრში ყავდა შემოქმედი ადამიანი და მისგან საბჭოთა სინამდვილის კრიტიკულ შეფასებას არ ელოდებოდა, სამაგიეროდ პირდებოდა კარგ ჰონორარებს, საზოგადოებრივ აღიარებას და „სტალინურ პრემიებს“, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა მწერლებისა და შემოქმედებითი მოღვაწეების ყოველწლიურ ბიუჯეტს. მიტომაც არ არის გასაკვირი,

რომ საბჭოთა სისტემის მეხოტბეთა რიგებში ბევრი ღირსეული მწერალი და პოეტი აღმოჩნდა.

„თქვენ პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შეძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათებდეს მისი შესაფერისი ხელოვნება? მე გეძახით თქვენ... შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდებო, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველო“.

გალაკტიონ ტაბიძე (1937 წ.)

სირთულეების მიუხედავად ქართული ლიტერატურა ვითარდებოდა, იქმნებოდა ახალი ნაწარმოებები. მოღვაწეობდნენ და მნიშვნელოვანი შედევრებიც შექმნეს კ. გამსახურდიამ, მ. ჯავახიშვილმა, ა. ბელიაშვილმა, ს. კლდიაშვილმა და სხვ. მაგრამ ეპოქის კოლორიტს მაინც კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, გ. ლეონიძის „ბავშვობა და ყრმობა“ და მსგავსი შინაარსის ნაწარმოებები ქმნიდნენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, იდეოლოგიური სამსახურები განუწყვეტლივ თვალს ადევნებდნენ, თუ რაზე მუშაობდნენ და რას აქვეყნებდნენ ქართველი მწერლები. ჩამოყალიბებული იყო შეფასების მკაცრი კრიტერიუმებიც და მათი შემოქმედება მუდამ კომუნისტური სახელმწიფოს ინტერესებიდან ფასდებოდა.

„...ბელადის სახე, როგორც ჩვენი გამარჯვების სიმბოლო, ახალი გაცისკროვნებული კაცობრიობის სიმბოლო, ჩვენი პოეტებისათვის უშრეტ წყაროს წარმოადგენს. ა. მაშაშვილის „სამშობლო ბელადისა“, ს. ჩიქოვანის „სიმღერა სტალინზე“, ა. აბაშელის „ფოლადური“, ს. შანშიაშვილის ლექსი „იოსებ სტალინს“...

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება ხასიათდება მებრძოლი ნაციონალიზმით, მისტიკით და წვრილბურჟუაზიული იდეალიზმით. სესხულობდა რა ნიცშესაგან ამორალიზმს ევროპის ლპობადი კაპიტალიზმის ფილოსოფიისაგან, გამსახურდია ფართოდ ავითარებდა ამ იდეებს თავის ნაშრომებში. ზოგიერთ ნოველაში იგი „რასობრივი თეორიის“ პირდაპირ ქადაგებამდე მიდიოდა. „მთვარის მოტაცება“, მიუხედავად ავტორის ზოგიერთი ფორმალური მიღწევისა, განმსჭვალულია ჩვენთვის უცხო და მიუღებელი იდეური ტენდენციებით...“

კანდიდ ჩარკვიანი
„საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა
უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე“ (1938 წ.)

სწორედ აქედან გამომდინარე, საქართველოს მწერლები იჩენდნენ დიდ სიფრთხილეს, თუმცა ადამიანური სისუსტეები მათაც საკმაოდ ახასიათებდათ, რის გამოც, მათ შორის, მუდამ იყო წვრილმანი ადამიანური ინტრიგებიც, ერთმანეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებაც და ასევე, საკმაოდაა შემორჩენილი მათ მიერ ხელმოწერილი დასმენების დოკუმენტებიც.

მხატვრობა XX საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოში, აშკარად აღმავლობის გზაზეა და ეს ცხადყო იმ ვერნისაჟებმა, რაც რუსთაველის პოემის საიუბილეო თარიღისადმი იყო მიძღვნილი. საზოგადოებამ მიიღო ი. თოიძის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, თ. აბაკელიასა და სხვების

მიერ დასურათხატებული „ვეფხისტყაოსანის“ არაჩვეულებრივი ილუსტრაციები. თბილისის სამხატვრო აკადემია მხატვრებისა და მოქანდაკეების ახალი თაობის სამჭედლო გახდა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა აგრძელებდა ი. ნიკოლაძის, მ. თოიძის, ე. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის, უ. ჯაფარიძის ხაზს სახვით ხელოვნებაში.

“მუშათა სასახლეები” საქართველოს კურორტებზე

სამხატვრო აკადემიის **არქიტექტურის ფაკულტეტი,** უკვე იმ წლებში, ყოველწლიურად არაერთ ნიჭიერ და შემოქმედ ახალგაზრდებს ზრდიდა. 30-იან წლებში ქართველი არქიტექტორები არა ერთი საინტერესო პროექტის ავტორ-რეალიზატორები გახდნენ. თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ცენტრალური მოედნები და ქუჩები მათ მიერ განხორციელებული პროექტებით გალამაზდა და დამშვენდა. თბილისში აშენდა თბილისის „დინამოს“ ახალი სტადიონი (არქიტექტორი ა. ქურდიანი). წიგნის სასახლე (არქიტექტორები ნ. ბარათაშვილი და გ. მიქაელიანი), თბილისის ფუნიკულიორის მთავარი პავილიონი (არქიტექტორები ზ. და ნ. ქურდიანები), საქართველოს მთავრობის სახლი რუსთაველის პროსპექტზე (არქიტექტორი ვ. კოკორინი.) და სხვ. ქუთაისის, გორის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალისა და სხვა დიდი ქალაქების ცენტრალური ქუჩები დამშვენდა სტალინური არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშებით.

ქალაქ გორში, სახლს, რომელშიც „დაიბადა“ ი. ბ. სტალინი, გაუკეთეს საფარი პავილიონი და ის სახლ-მუზეუმად გადაიქცა, სადაც ათასობით საბჭოთა მოქალაქე ყოველწლიურად დადიოდა.

ფართომასშტაბიანი საკურორტო მშენებლობის პროგრამებით ბორჯომში, წყალტუბოში, გაგრაში, ციხისძირსა და სხვა საკავშირო კურორტებზე აშენდა ნამდვილი არქიტექტურული შედევრები. საქართველოში არქიტექტურამ ფართო გაქანება შეიძინა და ამის გამო ძალიან მალე აღიზარდა ქართველი არქიტექტორების ნიჭიერი ახალი თაობა.

მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებებს 30-იან წლებში მიაღწია **ქართულმა კინომ**, რომელიც მთლიანად საბჭოთა შემოქმედების ნაყოფია. გარკვეულმა ობიექტურმა და სუბიექტურმა პირობებმა აშკარად უზრუნველყვეს ქართული კინოს ტრიუმფი უკვე იმ წლებში. ზემოთ აღინიშნა 20-იან წლებში მიღწეული დიდი წარმატებების შესახებ, ხოლო კინომოღვაწეთა სულ ახალმა თაობამ კიდევ უფრო წინ წასწია ქართული საბჭოთა კინოხელოვნება: მიხეილ ჭიაურელი, სიკო დოლიძე, დავით რონდელი, მიხეილ კალატოზიშვილი (კალატოზოვი), ლეო ესაკია, კონსტანტინე პი-

პინაშვილი და სხვები ქმნიდნენ საინტერესო შედევრებს, რომელიც მოსწონდა საბჭოთა მაყურებელს და არა მარტო მათ.

მ. ჭიაურელი

ი.ბ. სტალინის პირადი ნდობა და მაღალი შეფასება დაიმსახურა მიხეილ ჭიაურელმა – ნიჭიერმა შემოქმედმა და ქართული კინოს ერთ-ერთმა პატრიარქმა. მან ჩინებულად აუღო ალღო ეპოქას და მისი ფილმები გამოირჩევა როგორც საბჭოთა იდეოლოგიური კანონების სრულყოფილი დაცვით (ამ საქმეში მან წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია), არამედ კინოხელოვნების დიდოსტატობის უნიკალური გამოვლენით. მისი ლეგენდარული ფილმი „არსენა“, რომელიც დღესაც წარმატებით გადის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბევრ ტელეარხზე, სწორედ კინოს ამ ნოვატორის გამორჩეული შედევრია. სცენარი მ. ჭიაურელმა, მწერალ ს. შანშიაშვილთან ერთად დაწერა და იგი არის საბჭოთა კანონებით შექმნილი, მართლაც, უნიკალური შედევრი, რომელიც ქრესტომათიულია, როგორც თავისი იდეური დატვირთვით, ისე სპეციფიკითაც: სახეზეა კლასობრივი ბრძოლა ქართულ სოფელში – ფეოდალებსა და გლეხობას შორის შეურიგებელი დაპირისპირება. ფილმის ერთ-ერთი წამყვანი ლაიტმოტივია რუსი და ქართველი ხალხის შეურყეველი მეგობრობა (ჯარისკაცი მიტროხინისა და არსენას გულითადი მეგობრობა), სახეზეა ლენინური „ორი რუსეთიც“ (დეკაბრისტი ბესტუჟევი), არის მებრძოლი ათეიზმის „წიპურტებიც“ (მღვდლის პერსონაჟთან დაკავშირებით), სახეზეა კლასობრივი ერთობა გაბატონებულ კლასებს შორის (ციციშვილებისა და ბარონი როზენის ურთიერთობა). ეს ყველაფერი არის ამ ფილმში საკმაოდ უხვად, მაგრამ ფილმი მაინც არის კინოშედევრი – ქართველი გლეხის ბიჭის არსენა ოძელაშვილის საქმეების მასშტაბური კომუნისტური ინტერპრეტაცია იმდენად სრულყოფილად და დამაჯერებლად ჟღერს, რომ დღესაც ხიბლავს რიგით მაყურებელს თავისი კინოპოეტიკითა და მასშტაბურობით.

ფილმი “არსენა”

„ამხანაგი მოლოტოვი დაინტერესდა არსენას პიროვნებით. მასალები საიდან აკრიფეო. მე ვუამბე დაწვრილებით... დაინტერესდა აგრეთვე არსენას კინოფილმით, თუ როდის იქნება მზადაო... ამხანაგმა მოლოტოვმა სურვილი გამოთქვა, რომ რაც შეიძლება მალე იქნეს ეგ ფილმი დამთავრებულიო. ძალიან დაინტერესდა აგრეთვე, მიტროხინის და დეკაბრისტის როლით...

ს. შანშიაშვილი

ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 წ. №6, გვ. 17.

საკავშირო ეკრანზე დიდი წარმატება ხვდა წილად სოციალური ჟღერადობის

ფილმს „დარიკოს“ (რეჟისორი ს. დოლიძე), რომელიც გურიის გლეხთა ანტიფეოდალურ ბრძოლებს ასახავს და რომელშიც მსახიობმა თამარ ციციშვილმა რევოლუციონერი გლეხის ქალის წარმოუდგენლად დამაჯარებელი სახე შექმნა. იმ წლებში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ ფილმები: „დაკარგული სამოთხე“ (რეჟისორი დ. რონდელი), „ნარინჯის ველი“ (რეჟისორი ნ. შენგელაია) და ბევრი სხვა. ქართველ და საკავშირო მაყურებლებში დიდი მოწონება დაიმსახურეს ქართველმა კინომსახიობებმა: სპარტაკ ბაღაშვილმა, სერგო ზაქარიაძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, ნატო ვაჩნაძემ, გიორგი შავგულიძემ და მრავალმა სხვამ.

ა. ვასაძე

ქართული კინოს წარმატება მტკიცედ ეფუძნებოდა საქართველოში **თეატრალური ხელოვნების** განვითარების ახალ მიღწევებს. XX საუკუნის 30-იან წლების მეორე ნახევარში ქართულმა თეატრმა საბჭოთა კავშირში წამყვანი ადგილი დაიკავა თავისი შედეგებით, როგორც დრამატურგიით, ისე მსახიობთა ოსტატობით. შემთხვევით არ იყო ის, რომ, როცა სტალინმა დააწესა „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის“ საპატიო წოდება და საბჭოთა კავშირის თეატრების განსაკუთრებით დამსახურებული ადამიანები დააჯილდოვეს, მათ შორის ორი თვალსაჩინო ქართველი მსახიობიც იყო: აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე.

მ. ნაკაშიძე

1936 წელს, მოსკოვში, გაიმართა ქართული კულტურის დეკადა, რომელშიც ქართული კულტურის თითქმის მთელი ბომონდი იღებდა მონაწილეობას – რაც კი კარგი და საგანგებო იყო ქართულ კინოში, თეატრში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, ფერწერაში, ხალხურ შემოქმედებაში – ყველაფერი უხვად ჩაიტანეს ქართველებმა მოსკოვში.

დიდი თეატრის სცენაზე აჟღერდა „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ახალგაზრდა მაესტროს ევგენი მიქელაძის დირიჟორობით, მცირე თეატრის სცენაზე აჩვენებდნენ სანდრო ახმეტელის თეატრალურ შედევრებს, მოსკოვის კინოთეატრებში გადიოდა ქართული კინოსურათები, ხოლო ვერნისაჟები დაეთმო ქართველი ფერმწერების გამორჩეულ ნაწარმოებებს.

„კრემლში გამართულ კონცერტზე ვიმღერე კომპოზიტორ დ. არაყიშვილის რომანსი და ჯილდას არია. სტალინი მოვიდა ჩემთან, მომილოცა წარმატება, ახალი წარმატებები მისურვა და შემეკითხა ჩემს მუშაობაზე თეატრში. შემაქო აგრეთვე ვოროშილოვმა. მათ მირჩიეს კიდევ უფრო მეტი ვიმუშაო საკუთარ თავზე. ეს რჩევა განსაზღვრავს მთელს ჩემს შემდგომ ცხოვრებას, რომელსაც მე მშობლიურ საბჭოთა ხელოვნებას ვუძღვნი“...

მერი ნაკაშიძე - ოპერის სოლისტი, ორდენოსანი.
„კომუნისტი“ 1936 წ. 16 იანვარი

დეკადამ უდიდესი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. მოსკოვის თეატრალური გაზეთები აღფრთოვანებულ სტატიებს ბეჭდავდნენ ქართველი მსახიობების მაღალ ოსტატობაზე, ქართული კულტურის მიღწევებზე. ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში რომ წარმატებული იყო, ამაზე მიუთითებს დეკადის დამთავრებისთანავე საბჭოთა მთავრობის სპეციალური განკარგულებაც, რომლის საფუძველზე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრს მიენიჭა ლენინის ორდენი, ხოლო დეკადის მონაწილე მსახიობები დაჯილდოვდნენ ორი თვის ფულადი პრემიით. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა 10 კაცი (დ. ანდღულაძე, ა. ამირანაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ე. მიქელაძე და სხვ.), საპატიო ნიშნის ორდენით 37 პიროვნება (დ. არაყიშვილი, შ. აზმაიფარაშვილი, დ. გამრეკელი, ვ. კავსაძე და სხვ.). თბილისში ოპერის მსახიობებისათვის სპეციალური სახლის ასაგებად საკავშირო მთავრობამ გამოჰყო 3 მილიონი საბჭოთა მანეთი. ოპერის თეატრის შესაკეთებლად – 700 ათასი მანეთი, კონსერვატორიის რეკონსტრუქციისათვის – 500 ათასი მანეთი, ხოლო თბილისში ახალი საკონცერტო დარბაზის ასაშენებლად – 1 მილიონი მანეთი.

კლუბები და კულტურის სასახლეები 30-იანი წლების საბჭოთა სინამდვილის მნიშვნელოვანი ატრიბუტია. მარქსისტული მოძღვრება ახალი ადამიანის ჰარმონიული აღზრდის შესახებ აუცილებლად გულისხმობდა ადრე დაჩაგრული, ექსპლოატირებული კლასების: მუშებისა და გლეხების აქტიურ ჩართულობას კულტურულ ცხოვრებაში, მათ კულტურულ აღზრდას. ამ პერიოდში საბჭოთა კულტურამ უკვე დაძლია „პროლეტკულტის“ სიმახინჯეები და მსოფლიო კულტურის ის შედევრები, რაც კომუნისტებისათვის ფასეული იყო, უკვე დაინერგა საბჭოთა მასკულტურაში. საბჭოთა კულტრეგერის როლს ჩინებულად ასრულებდნენ საწარმოო და სასოფლო კლუბები, კულტურის სასახლეები, რომლებსაც მილიონერი კოლმეურნეობები უკვე თამამად უკვეთავდნენ ცნობილ ქართველ არქიტექტორებს.

სოფლის კულტურის სახლი

თითქმის ყველა შეძლებულ საწარმოს აუცილებლად საკლუბო დაწესებულება უნდა ჰქონოდა. აქ მიმდინარეობდა ნაყოფიერი სექციური მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით. იყო დრამწრე, ხალხური ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი ჯგუფები, ფერწერის გაერთიანება და სხვ. ამ სექციებში სამუშაო საათების შემდეგ ისვენებდნენ, კულტურის მიღწევებს ეუფლებოდნენ რიგითი მუშები და გლეხები, მათი ოჯახის წევრები, მოსწავლე-ახალგაზრდები. კლუბები მთლიანად პროფკავშირული ორგა-

ნიზაციების ხარჯზე ფუნქციონირებდნენ და მეცადინეობა აქ უფასო იყო. საქართველოში სტატისტიკური ცნობებით 1937 წელს სულ 1 209 საკლუბო დაწესებულება იყო, მათ შორის სოფლებში – 1077.

ყველა კლუბში იყო კინოდანადგარი, იმართებოდა ახალი ფილმების ჩვენება. ხშირად ეწყობოდა ფილმების განხილვა, შეხვედრები მსახიობებთან. კლუბებში არსებობდა ლექტორიუმები – სადაც იკითხებოდა სხვადასხვა შინაარსის ლექცია, ტარდებოდა პოლიტსაგანმანათლებლო ღონისძიებები, ეწყობოდა საზეიმო შეხვედრები, დისპუტები, ახალი წლის საღამოები ბავშვების მონაწილეობით და ა.შ.

სპორტი. II მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად საბჭოთა კავშირში უდიდესი ყურადღება მიაქციეს სპორტული თამაშების განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. სპორტი ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმის დროს გამორჩეული მზრუნველობის საგანია – ის მუდამ ზრდის შეიარაღებული ძალების პოტენციას. საბჭოთა კავშირში ამ მიზნით არსებობდა საზოგადოებრივ-გასამხედროებული ორგანიზაცია „დოსააფი“ (არმიისა და ფლოტის ხელშეწყობის ნებაყოფლობითი საზოგადოება). ეს ორგანიზაცია აკანონებდა გარკვეულ ფიზკულტურულ ნორმებს (საფეხურებს), რომელიც ნებისმიერ საბჭოთა მოქალაქეს უნდა გაეთავისებინა და გადაელახა. ამის გამო, ისინი, სხვადასხვა ხარისხის სამკერდე ნიშნებით ჯილდოვდებოდნენ. საქართველოს ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი გაერთიანებული იყო ამ ორგანიზაციაში. სპეციალურად მომზადებული ინსტრუქტორები, ახალგაზრდებს ასწავლიდნენ ტირში პისტოლეტიდან სროლას, პარაშუტიდან დაშვებას, ჭიდაობას, ხელჩართულ ბრძოლას და ა.შ.

ბ. პაიჭაძე

30-იან წლებში თითქმის ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში არსებობდა ფიზკულტურელთა ჯგუფები, წრეები. ეწყობოდა კროსები, ლაშქრობები, შეჯიბრებები ფეხბურთში, კრივში, ჭიდაობაში. იმ წლებში, საქართველოში უკვე ძალიან პოპულარული გახდა ფეხბურთი. თბილისის „დინამომ“ ეროვნული ნაკრების სახე მიიღო და ქართველი გულშემატკივრის გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა. საკავშირო შეჯიბრებებზე წარმატებებს აღწევდნენ: ბ. პაიჭაძე (ფეხბურთი), ა. მეკოკიშვილი (ჭიდაობა), ნ. დუმბაძე (მძლეოსნობა) ლ. ღუდუშაური (კრივი) და ბევრი სხვა.

აშკარაა, რომ XX საუკუნის 30-იან წლებში, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც, ქართული ხელოვნება, კულტურა, სპორტი, უკვე მაქსიმალურად იყენებდა იმ რესურსებს, რასაც არსებული ვითარება მას სთავაზობდა და თავისი წინსვლის, განვითარების მეტად უმნიშვნელოვანეს ეტაპს აგრძელებდა. ამ საშვილიშვილო საქმეში კომუნისტური საქართველოს ხელმძღვანელობის, მათ შორის კანდიდ ჩარკვიანის, ღვაწლი და დამსახურება აღსანიშნავი და დასაფასებელია.

II მსოფლიო ომი და საქართველო. მიუნხენის სამარცხვინო გარიგებამ, ჩეხოსლოვაკიის ინტერესების უგულებელყოფამ და ჰიტლერის

დიქტატის საფუძველზე, ჩეხოსლოვაკიის დაშლა-დაქუცმაცებამ, საბჭოთა მთავრობას კარგად დაანახა, რომ დასავლეთ ევროპის წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები ყველაფერზე წავიდოდნენ, ოღონდაც საკუთარი ქვეყნებისათვის გერმანიის აგრესია თავიდან აეცილებინათ. მართალია, ამ ქვეყნებში იყვნენ პოლიტიკოსები (უ. ჩერჩილი, შ. დე-გოლი და

მოლოტოვ - რიბენტროპის პაქტი

სხვ.), რომლებიც მოითხოვდნენ ჰიტლერის წინააღმდეგ ენერგიული ზომების გატარებას, მაგრამ ისინი ხელისუფლებაში არ იყვნენ და მხოლოდ მკვეთრი განცხადებებით კმაყოფილდებოდნენ. გერმანიის პრეტენზიები კი ყოველთვიურად იზრდებოდა: მან თავისუფალი ქალაქის – დანცინგის სტატუსის გადასინჯვა გადაწყვიტა. ეს ისტორიული გერმანული ქალაქი, ვერსალ-ვაშინგტონის ზავით, ცალკე ანკლავად იყო გამოყოფილი. მის გერმანიასთან შეერთებას, სხვებთან ერთად, ეწინააღმდეგებოდა პოლონეთიც. ადგილობრივი გერმანელები კი დედა-სამშობლოსთან შეერთებას ცდილობდნენ და გერმანიისაგან, ისევე როგორც სუდეტების ოლქის III რაიხთან მიერთების დროს, პროცესების დაჩქარებას მოითხოვდნენ. ვითარება კვლავ გამწვავდა ევროპაში. შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ, ინგლისისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჩემბერლენი, დალადიე) აიძულა საბჭოთა კავშირთან სამხედრო შეთანხმების დასადებად მოლაპარაკება დაეწყოთ. ი. სტალინი თანახმა იყო ასეთი შეთანხმებისა, მაგრამ პრინციპულად მოითხოვდა პოლონეთში საბჭოთა ჯარების გატარების თავისუფლებას. ამის თანხმობას კი პოლონეთის მთავრობა, ასევე პრინციპულად, არ იძლეოდა. მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ვითარებით ისარგებლა გერმანიამ და საბჭოთა კავშირს თავდაუსხმელობის ხელშეკრულება შესთავაზა – ეს ფაქტიურად ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ წლების მანძილზე ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული ანტისაბჭოთა თუ ანტიფაშისტური რიტორიკის საწინააღმდეგო ქმედება იყო. საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც გრძნობდა, რომ იმჟამად ფართომასშტაბიანი ომისათვის ჯერ კიდევ მზად არ იყო და არც დასავლეთის ქვეყნების ლიდერების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, ჰიტლერთან კომპრომისზე

წავიდა – დაიდო 1939 წლის 23 აგვისტოს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი „თავდაუსხმელობის შესახებ“. მსგავსი პაქტები გერმანიას ევროპის რიგ ქვეყანასთან (დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, პოლონეთთან, დანიასთან და ა.შ.) უკვე გაფორმებული ჰქონდა.

რა თქმა უნდა, პაქტს ჰქონდა საიდუმლო მუხლებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროების გაფართოებას გულისხმობდა ბალტიისპირეთსა და აღმოსვალეთ ევროპის რიგ სახელმწიფოში. პაქტის გამოქვეყნებამ დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური აურზაური გამოიწვია.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის მხარემ დანცინგის მიდამოებში მოაწყო პროვოკაცია, ის დააბრალა პოლონელებს და მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდა. ჰიტლერმა ძალიან მალე პოლონეთის ფრონტზე მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. პოლონეთს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისაგან ჰქონდა მიღებული დაპირება, რომ მესამე მხარის თავდასხმის შემთხვევაში ისინი აქტიურად დაეხმარებოდნენ მოკავშირეს და აგრესორის განადგურებაში მონაწილეობას მიიღებდნენ.

„რას აკეთებს თქვენი არმია? თქვენი ავიაცია? თქვენ დაგვპირდით ეფექტიან და სწრაფ დახმარებას, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ თქვენ დახარჯეთ დრო იმაზე, რომ წააქეზეთ ჰიტლერი, გააკეთეთ ყველაფერი იმისთვის, რომ შექმნოდა რწმენა იმისა, რომ ის შეძლებდა ჩვენზე თავდასხმას. როგორც ადრე, ისე ამჯერადაც თქვენ არ შეასრულებთ თქვენ დანაპირებს. კიდევ უფრო უარესი, თქვენ გააკეთეთ ყველაფერი იმისათვის, რომ ინგლისსაც შეუშალეთ ხელი შეესრულებინა თავისი ვალდებულებები...

პოლონეთის ელჩის იულიუშ ლუკასევიჩის საუბარი
საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჟორჟ ბონესთან
(1939 წ. 1 სექტემბერი, საღამოს 6 საათი) (ამონარიდი)

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ომში ჩაბმა გაჭიანურდა, რამაც პოლონეთის ომისათვის სრული მოუმზადებლობა გამოავლინა. მისი დაწყების ორი კვირის თავზე საბჭოთა კავშირმა, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ჩაგრული მოსახლეობის პოლონეთის ბატონობისაგან განთავისუფლების საბაბით, თავისი არმიები შეიყვანა პოლონეთში და დაიკავა გალიცია. ამის შემდეგ, საბჭოთა კავშირმა მოხდინა ბალტიისპირეთის ქვეყნების: ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაცია და „სოვეტიზაცია“. სამაგიეროდ, ფინეთთან გაჭიანურებულ ომში დამარცხდა, მისი სოვეტიზაცია ვერ მოახერხა, თუმცა გარკვეული ტერიტორიები, რომელიც ლენინგრადის უსაფრთხოების შენარჩუნების შესაძლებლობებს იძლეოდა, მაინც დაიკავა.

ყველა ამ სამხედრო ოპერაციებში ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ უკვე ამ დროისათვის ეროვნული სამხედრო ფორმირებები საბჭოთა კავშირში დაშალეს და ქართველები, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, იბრძოდნენ ერთიან სამხედრო შენაერთებში.

საფრანგეთმა და ინგლისმა ომი დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ იმდენად მოუმზადებელი და არაორგანიზე-

ბული მოქმედებები ჰქონდათ, რომ გერმანიამ ისინი ძალიან ადვილად დაამარცხა დიუნკერკთან და საფრანგეთის დიდი ნაწილის ოკუპაციაც მოახდინა.

ოკუპირებული პარიზი

1939 წლიდან მოყოლებული, საბჭოთა ქვეყანა მომავალი ომისათვის მზადების ეტაპზე გადავიდა – ყველაფერი მიმართული იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ისეთ მასშტაბებზე, რომელიც უმოკლეს დროში შეძლებდა შეიარაღების სახეობებში, მათ ხარისხში, გამძლეობაში ჯერ კიდევ არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციას და მსოფლიოს საუკეთესო მიღწევებს გაუტოლებდა თავის ახალ სამხედრო ნიმუშებს. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის რესურსების მასშტაბურ დაგროვებას, ხვავისა და ბარაქის გაზრდას, რომ მოახლოებული ომის კვირაძალზე ქვეყანას მნიშვნელოვანი რეზერვები ჰქონოდა. ამიტომაც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა და მათმა ხელმძღვანელებმა, ახალი სერიოზული დავალებები მიიღეს. პრობლემები კი, როგორც ჩანს, ძალიან ბევრი იყო როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

„თელავის რაიონში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. არ არის მუშა პირუტყვის მოვლა-პატრონობის საკითხი მოგვარებული. აქტები მოწმობენ, რომ სუსტად ხელმძღვანელობენ სამეურნეო ორგანიზაციები (მიწგანი და სასოფლო საბჭოები) მუშა-პირუტყვის დაზამთრების საკითხში. არ არის ზუსტი კვების ნორმები, ბინები უვარგისია, მომვლელები სრულად შეუფერებელია მუშა-პირუტყვისათვის, რომლებიც მასზე არიან მიმაგრებულნი მოსავლელად. ბინები მოკლებულია ყოველგვარ პირობებს: განათებას, გათბობას...

ხაშურის რაიონში საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის მზადება არ არის სათანადოდ გაშლილი. კოლმეურნეობებში არ არის საკმარისად დამუშავებული საკითხები გაზაფხულის თესვის მზადების შესახებ, რის გამოც, დღეს-დღეისობით, მუშა საქონელი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. საკვების დაჯავშნა მუშა საქონლისათვის ცუდად მიმდინარეობს...“

საქ. კპ (ბ) ინსტრუქტორების ინფორმაციები
საქართველოს შსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14. აღ. 12. ს. 362, გვ. 1-31.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი უამრავ ასეთ ინფორმაციას ეცნობოდა, იხილავდა, მათი გადაჭრის კონკრეტულ გეგმებს სახავდა. ის ხელმძღვანელობდა პარტიულ აპარატს, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში. ხშირად მართავდა თათბირებს, შეხვედრებს და მოელოდა კონკრეტულ შედეგებს. თავის მუშაობაში ის მთლიანად ხელმძღვანელობდა იმ მითითებებით, რასაც იღებდა ლ. ბერი-

ასაგან (რომელიც განაგრძობდა სამხრეთ კავკასიის კურირებას) და უშუალოდ ი. ბ. სტალინისაგან.

ომი დაიწყო

ომი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში მოელოდნენ ომის დაწყებას, ომი მაინც მოულოდნელად დაიწყო 1941 წლის 22 ივნისს, კვირა დილით. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მოლოტოვმა რადიო მიმართვით ამცნო საბჭოთა მოქალაქეებს ომის დაწყების შესახებ.

იმავე დღეს, თბილისში, ქუთაისში, გორში, სოხუმში, ბათუმში და სხვა ქალაქებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომელზეც რიგითი ადამიანები საბჭოთა მთავრობას ჰპირდებოდნენ ერთგულებას, საბრძოლო შემართებას, შრომით გმირობას, უშრეტ პატრიოტიზს.

„სამშობლოსათვის, დირსებისათვის, თავისუფლებისათვის ჩვენ გავიღებთ ყველაფერს – ძალას, შესაძლებლობებს და თუ საჭირო გახდა – სიცოცხლესაც კი... ყოველივე ჩვენგანი მოსთხოვს საკუთარ თავს და სხვასაც დისციპლინას, ორგანიზებულობას, თავგანწირვას, რაც ასე ახასიათებს საბჭოთა პატრიოტებს“

სოხუმის საქალაქო პარტიული აქტივის მიმართვა
(1941 წ. 24 ივნისი) (ამონარიდი)

1941 წლის 3 ივლისს რადიოთი გამოვიდა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი იოსებ სტალინი თავისი მეტად მოკლე, მაგრამ მრავლისთქმელი სიტყვით, რომელიც მან ასე დაასრულა: „ჩვენი საქმე სამართლიანია! მტერი განადგურებული იქნება! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმისთანავე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა უ. ჩერჩილმა და ფ. რუზველტმა სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადეს საბჭოთა კავშირს. შეიქმნა საფუძველი ანტიჰიტლერული კოალიციის შესაქმნელად.

ომის პირველი ეტაპი საბჭოთა კავშირისათვის მეტად წარუმატებელი აღმოჩნდა, გერმანელებმა სწრაფად დაიკავეს უკრაინა, ბელორუსია, ბალტიიპირეთი. ფაშისტური ჯარები ჩრდილოეთში ლენინგრადს უახლოვდებოდნენ, ცენტრში – მოსკოვის მიმართულებით წარმატებით მოქმედებდნენ და სამხრეთით – კავკასიას უმიზნებდნენ: ეს ხომ მეტად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და სამხედრო მიმართულება იყო.

„კავკასია – უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რაიონია. ომის დაწყების წინ აქ იყო შექმნილი უმსხვილესი სათბობ-ენერგეტიკული ბაზა. ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში თავმოყრილი იყო ნავთობის საერთო საკავშირო მოპოვების 86,5 პროცენტი, სამრეწველო გაზის 65 პროცენტი, მარგანეცის მადნის 56,6 პროცენტი... სწორედ კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით განისაზღვრება მისი სტრატეგიული მნიშვნელობაც... ომის დროს, სწორედ კავკა-

სიის ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზები, რომლებიც სპარსეთის ყურის ნავსადგურებიდან გამოდიოდნენ და კასპიის ნავსადგურების გავლით, რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებამდე აღწევდნენ, იყო ჩრდილოეთის საზღვაო გზის შემდეგ, მეორე მნიშვნელობის სტრატეგიული მაგისტრალი, რისი დახმარებით ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო შემწეობა – სტრატეგიული ნედლეული, შეიარაღება აღწევდა დანიშნულების ადგილებს"...

რუსი სამხედრო ექსპერტი

„История втарой мировой войны (1939-1945), М. 1975, т.5, ст.199.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ასეთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობა აღძრავდა მოკავშირეების: აშშ, დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების ინტერესს, სცოდნოდათ ამ რესპუბლიკებში არსებული პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ვითარების შესახებ. მაგალითად, მათ სურდათ გაეგოთ, თუ რა მოხდებოდა საქართველოში, თუ კი გერმანელები შეძლებდნენ ქვეყნის ოკუპაციას, როგორი იყო საბჭოთა სისტემის მდგრადობა ამ რესპუბლიკაში, რამდენად ძლიერი იყო პრორუსული თუ რუსოფობიური განწყობილებები, აინტერესებდათ ქართველი ხალხის დამოკიდებულება საბჭოთა ხელმძღვანელებისადმი. სწორედ ამაზე მიუთითებს ის საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ინგლისის დაზვერვის არქივებში დღესაც ინახება.

„ქართველები ყველაზე უფრო რთულ სურათს წარმოადგენენ. სტალინ-ჯუღაშვილი და მისი ქართველი თანამშრომლები რუსეთისა და საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ბატონ-პატრონები იყვნენ და ამის გამო, სავსებით ბუნებრივია, ბევრი ქართველი საბჭოთა ორიენტაციის იყო. თუმცა ძალზე ცოტა შეიძლებოდა ყოფილიყო პრორუსული განწყობის. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის უმრავლესობისათვის დამახასიათებელი იყო, როგორც ანტისაბჭოთა, ასევე ანტირუსული განწყობა. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები გერმანიის მომხრენი იქნებოდნენ... ქართველები, არა მარტო ძლიერი ნაციონალისტური სულისკვეთების მქონე ხალხია, არამედ ძლიერი დემოკრატიული და ლიბერალური ტრადიციების მქონე ერიცაა და ნაცისტური იდეები მათი უმრავლესობისათვის მიუღებელია..."

ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცრის ანგარიში (ამონარიდი)

ეს ანალიზი მთლიანად დაადასტურა ისტორიულმა რეალობამ და სწრაფად განვითარებულმა მოვლენებმა. საქართველოში, მის სხვადასხვა რეგიონში თავიდანვე გაიშალა დიდი სამობილიზაციო საქმიანობა: უკვე 1941 წლის 27 ივნისისათვის ჯარის ნაწილებში გაიგზავნა 6 183 უფროსი და საშუალო მეთაური, 7 086 უმცროსი სამეთაურო პერსონალი, 68 385 რიგითი ჯარისკაცი. შეიარაღებულ ძალებს გადაეცა 4 319 ავტომანქანა, 324 ტრაქტორი, 18 226 ცხენი და ა.შ. სულ საქართველოდან II მსოფლიო ომის ფრონტებზე იბრძოდა დაახლოებით 700 ათასამდე კაცი, ხოლო საქართველოში დარჩენილები, მათი უდიდესი ნაწილი, როგორც შემორჩენილი დოკუმენტები ამტკიცებენ, ძლიერი პატრიოტიული შემართებით იღვწოდა შრომით ფრონტზე და სწორედ თავისი გმირული საქმიანობით სჭედდა საერთო ისტორიულ გამარჯვებას.

შრომაში, როგორც ბრძოლაში! უპირველესი ამოცანა და თანაც ძალიან რთული – მრეწველობის სამხედრო რელსებზე გადაყვანა აღმოჩნდა. ეს ამოცანა ძალიან სწრაფად უნდა განხორციელებულიყო, მეტად შევიწროებულ დროში, ამასთან ტრადიციული ეკონომიკური კავშირების

თბილისის ტანკსარემონტო ქარხანა

გაწყვეტის პირობებში, ნედლეულისა და მასალების დეფიციტის ვითარებაში. სერიოზული პრობლემა შექმნა მუშახელის დეფიციტმაც – ბევრი წავიდა ფრონტზე, წარმოების რიგ დარგში შეიქმნა მძიმე ვითარება. ამ დროს პატრიოტული შემართების საფუძველზე წარმოების ვეტერანები, მუშების ცოლები, შვილები, მოზარდები ჩაენაცვლნენ და გარკვეულწილად შეასუსტეს ამ პრობლემის ზეგავლენა ეკონომიკაზე. ძალიან გააქტიურდნენ რაციონალიზატორები და გამომგონებლებიც: ისინი ახერხებდნენ შეეცვალათ დეფიციტური მასალები და ნედლეული, განეხორციელებინათ ისეთი ტექნიკური სიახლეები, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებდა არსებულ დეფიციტს.

„გადაწყდა ადგილზე ფეხსაცმლის შემკერი და სპეციალური მანქანების სათადარიგო ნაწილების წარმოების მოწყობა. ამ მიზნით გაფართოვდა ფაბრიკის საკონსტრუქტორო ბიურო... გაძლიერდა მექანიკური საამქროს მატერიალური ბაზა, დაიდგა სპეციალური მანქანა-დანადგარები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სათადარიგო ნაწილების წარმოებას. 1942 წელს, ადგილზე მოგვარდა წარმოების ისეთი აუცილებელი მასალის დამზადება, როგორიც იყო „მაკეის ძაფი“, ხელის ტექსი, ლურსმანი ...“

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“, 1942 წლის ანგარიში (ამონარიდი)

ომის ვითარებამ აუცილებელი გახადა საქართველოში სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების ორგანიზება. თბილისის ორთქმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში, მ. კალინინის სახ. მექანიკურ ქარხანაში და სხვა საწარმოებში დაიწყეს პისტოლეტების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნი დანადგარის „კატუშას“ ძირითადი ელემენტების დამზადება. უდიდესი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ თბილისის

განაპირას, ომის უმძიმესი პირობების მიუხედავად, საქართველოს პარტიული ლიდერის კანდიდ ჩარკვიანის აქტიური მონაწილეობით, დაიწყო საავიაციო ქარხნის მშენებლობა. აქ უნდა დაემზადებინათ სახელგანთქმული თვითმფრინავები: „იაკ-1“, „იაკ-3“. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს ადგილზე ხელმძღვანელობდა მუშა-სტახანოველი და თბილისის საავიაციო ქარხნის მომავალი დირექტორი ვ. სალაძე.

ომის უმძიმესმა ვითრებამ გამოავლინა, რომ კოლმეურნეობები საკმაოდ კარგად ახერხებდნენ საბჭოთა მთავრობის მოლოდინების რეალიზებას – ისინი უმძიმესი ვითარების მიუხედავად, აწვდიდნენ ფრონტს სისტემატურად იაფ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს: მტკიცე ფასებში და ულევად – კოლმეურნეობამ გაუმართლა საბჭოთა ხელისუფლებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ომის პერიოდში ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობები საგრძნობლად უფასურდებოდა, კოლმეურნე გლეხები ფაქტობრივად ენთუზიაზმის ფასად, პატრიოტული შემართებით ცდილობდნენ დაკისრებული დავალებების შესრულებას.

„...საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის სულადობა გაიზარდა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის – 3,3 პროცენტით, ცხვრისა და თხის – 31,6 პროცენტით, ღორის – 53,6 პროცენტით, მუშა ხარ-კამეჩის – 5,3 პროცენტით. სულადობის გადიდებაში წარმატება ჰქონდათ ნეძვის, თონეთის, ტიმოთეს უბნის კოლმეურნეობებს. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა თორის კოლმეურნეობამ, სადაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გაიზარდა 20 პროცენტით, ცხვარი და თხა – 117 პროცენტით; ღინტურის კოლმეურნეობაში მსხვილფეხარქოსანი პირუტყვი გაიზარდა 13,6 პროცენტით; მოლითის კოლმეურნეობაში – მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 12 პროცენტით, ხარ-კამეჩის – 4 პროცენტით, ცხვრისა და თხის – 68,8 პროცენტით...

ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს
აღმასკომის 1942 წლის დადგენილება (ამონარიდი)

სამრეწველო საწარმოთა წაბაძვით სხვადასხვა შრომითი თაოსნობები გავრცელდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ ურთულეს პირობებშიც გრძელდებოდა ურთიერთობები მოკავშირე რესპუბლიკების შრომით კოლექტივებთან: სომხეთის სსრ ნალბანდიანის კოლმეურნეობა და ნატანების სოფლის მშრომელები აგრძელებდნენ შრომით შეჯიბრებას; სოფელ ყანდაურას კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენა“ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული სინელნიკოვის კოლმეურნეობასთან და ა.შ. და ა.შ.



ესკადრილია „საბჭოთა საქართველო“

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ომის წლებში საქართველოს სოფლის მშრომელების ის უანგარო და პატრიოტული შემართება, რაც გამოვლინდა ფრონტისათვის საჩუქრების გაგზავ-

ნის პრაქტიკაში. სოფლის აქტივისტები აგროვებდნენ თბილ ტანსაცმელს, ხელთათმანებს, შარფებს, საკვებ პროდუქტს, ხმელ ხილს და ეშელონებით უგზავნიდნენ ფრონტზე საბჭოთა მებრძოლებს. საქართველოს კოლმეურნეთა ინიციატივით (დავუშვათ, რომ ესეც პარტიული ზეწოლის შედეგი იყო) დაიწყო მოძრაობა საკუთარი დანაზოგით შექმნილიყო თვითმფრინავების ესკადრილია „საბჭოთა საქართველო“. II მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე საქართველოს მოსახლეობამ უანგაროდ, პატრიოტული მოსაზრებით თავდაცვის ფონდში შეიტანა ათობით კილო ოქრო და მრავალი ძვირფასეული, მილიონობით საბჭოთა მანეთი. დადასტურებული ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილში პატრიოტული გრძნობები კიდევ უფრო ძალუმად გამოვლინდა, როცა გერმანიის ვერმახტის ჯარები ჩრდილოეთ კავკასიაში შევიდნენ.

ანტიფაშისტური მიტინგი თბილისში. ომის დაწყებისთანავე, საკ. პ (ბ) ცეკას პოლიტბიუროს წევრებზე გადანაწილდა რეგიონები, რომლებიც თავდაცვის საქმეს, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებს კურირებდნენ – ისინი პირადად იყვნენ პასუხისმგებლები, რომ მათ რესპუბლიკებში თავდაცვა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური სფერო საუკეთესოდ ყოფილიყო ორგანიზებული. კავკასია და სამხრეთ კავკასია ლ. ბერიას ჩააბარეს.

„მან გააერთიანა ამიერკავკასიის ჯარებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების ღონისძიებანი კავკასიის დასაცავად და რკინისებური ხელით დაამყარა ჯეროვანი წესრიგი, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ბერიას მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად გერმანელები შეჩერებულნი იქნენ მდ. თერგზე და კავკასიის უღელტეხილებზე“

კანდიდ ჩარკვიანი

“დედა-სამშობლო გვიხმობს” – ი. თოიძის პლაკატი

სამხედრო ორგანიზაციულ და სამეურნეო მუშაობასთან ერთად, საბჭოთა სისტემის დროს, მუდამ უდიდესი ყურადღება ექცეოდა პროპაგანდა-აგიტაციას, მოსახლეობისათვის ფსიქოლოგიური განწყობის შექმნას. ეს კი მუდამ ხდებოდა მიტინგებზე და საჯარო შეკრებების დროს.

ანტიფაშისტური მიტინგი თბილისში ითვალისწინებდა სწორედ ამიერკავკასიის ხალხების წარმომადგენელთა ერთიანობის დემონსტრირებას, ი. ბ. სტალინის გარშემო მათ დარაზმულობას. ამ მიტინგის ორგანიზების საქმეში უდიდესია კ. ჩარკვიანის პირადი დამსახურება. მან საქართველოს დედაქალაქში შეკრიბა ქრთველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, ქურთი, ოსი, ლეკი, ებრაელი და სხვა ეროვნების ადამიანების საუკეთესო წარ-

მომადგენლები, რომ მათ საჯაროდ განეცხადებინათ საბჭოთა ხელისუფლებისადმი სრული და უპირობო მხარდაჭერის შესახებ. სიტყვით გამოვიდნენ სომეხი პოეტი ნაირი ზარიანი, პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, ოსი კომპოზიტორი ბორის გალაევი, აკადემიკოსი იოსებ ორბელი, იგოეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მარიამ ჩადუნელი და სხვ. მიტინგის თითოეული მონაწილე თავის სიტყვაში ფიცს დებდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, რომ ერთგულად და ბოლომდე იბრძოლებდნენ ფაშისტი ურდოების წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე.

„მტერს უნდა ხელში ჩაიგდოს საბჭოთა ნავთი, საქართველოსა და სომხეთის მდიდარი ნაყოფიერი ველები, დაიმონოს ამიერკავკასიის თავისუფალი ხალხები – ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, აფხაზები, ოსები... ამიერკავკასიის ხალხები მეგობრობის მჭიდრო კავშირით არიან შედუღაბებული სსრ კავშირის ყველა ხალხთან, დიდ რუს ხალხთან... მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გათიშოს ამიერკავკასიის ხალხები, მოსწყვიტოს ისინი დიდ რუს ხალხს, ჩვენს უფროს ძმას სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ ოჯახში“.

ამიერკავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილეთა მიმართვა (ამონარიდი)

გაზ. „კომუნისტი“, 1942 წ. 24 აგვისტო

ქართველები II მსოფლიო ომის ფრონტებზე. ქართველების გმირული შემართება, უპირველეს ყოვლისა, კავკასიისათვის ბრძოლის დროს გამოვლინდა. კავკასიის დასაპყრობად გერმანიის ვერმახტმა შეიმუშავა სამხედრო გეგმა „ედელვეისი“, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი თუ როდის, როგორ და რა საშუალებებით უნდა მიეღწიათ წარმატებებისათვის. ჰიტლერი, იმდენად იყო დარწმუნებული, კავკასიის ადვილად დაპყრობაში, რომ მან თბილისის გაულაიტერიც კი შეარჩია და დანიშნა.

გერმანიის ვერმახტის შესაჩერებლად, კავკასიის მისადგომებთან შექმნილი იყო ორი ფრონტი: ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის. ამ უკანასკნელის სამხედრო ამოცანა იყო სრულად დაეცვა შავი ზღვა სადგურ ლაზარევსკაიადან ბათუმამდე. ეს ურთულესი ამოცანა იყო, მაგრამ შესასრულებადი.

უკვე ამ პერიოდში საბჭოთა ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ აუცილებლად საჭირო იყო ეროვნული სამხედრო შენაერთების აღდგენა, რაც ჯარში უამრავ პრობლემას მოხსნიდა და საქმეს წაადგებოდა (რუსული ენის უცოდინრობა, რუსი სამეთაურო კადრებისა და ახალწვეულთა შორის რთული დამოკიდებულება, კომუნიკაბელურობის გაჯანსაღება, თანამემამულეობის მნიშვნელობა ომის დროს და ა.შ.). საქართველოს ახალწვეულებისაგან ჩამოყალიბდა 224-ე ქართველ მსროლელთა დივიზია, მოგვიანებით გორში შეიქმნა 392-ე ქართველ მსროლელთა დივიზია, დაღესტანში, მახაჩკალაში გაფორმდა ასევე ახალი ქართული დივიზია და ა.შ. და ა.შ. ქართველებმა და საქართველოდან გაწვეულმა მებრძოლებმა უდიდესი როლი შეასრულეს კავკასიის დაცვის დროს. ბევრი ქართველი გმირული სიკვდილით აღესრულა კავკასიის მისადმომებთან.

„მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს...
ირაკლი აბაშიძე, „კაპიტანი ბუხაიძე“

ისტორიული სტალინგრადის ბრძოლაში უამრავი ქართველი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის იყვნენ, სახელოვანი ქართველი მხედართუფროსები, გენერლები თუ რიგითი მებრძოლები. გვარდიულ დივიზიას, შემდეგ გვარდიულ კორპუსს სარდლობდა გენერალ-მაიორი პორფილე ჩანჩიბაძე, საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე იყო გენერალ-მაიორი ვლადიმერ ნანეიშვილი. სხვადასხვა ჯარის ნაწილებს ხელმძღვანელობდნენ: გ. გოცირიძე, მ. დიასამიძე, ი. ჯორჯაძე, შ. ჭანკოტაძე და მრავალი სხვ. ათასობით ქართველი მებრძოლი იცავდა სტალინგრადის მისადგომებს. სტალინგრადთან წყდებოდა II მსოფლიო ომის მომავალი...

„ისევ მიწურში ვართ. უკვე ერთი ბოთლი არაყი გამოვცალეთ, რომ სიცივეს გავუძლოთ. გარეთ საშინელი ყინვაა, ოთხ-ხუთ წუთში ცხვირს მოგყინავს თუ ხშირად თოვლით არ დაისრისე. ხევები, გორაკები ჩვენს ირგვლივ გერმანელების გვამებით არის მოფენილი... ჩვენი ჯარის ნაწილები წინ მიიწევენ. სტალინგრადის საალყო რკალი თანდათან ვიწროვდება. გერმანელები გარბიან. ბევრი კი ძაღლებივით იხოცებიან. კიდევ რამდენიმე დღე და მათი სამარცხვინო სიცოცხლეც დასრულდება. ვამაყობ, რომ ამ ისტორიული ამბების ერთ-ერთი მონაწილე და მხილველი ვარ...“

გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ თავართქილაძე
„იყო ასეთი დღეები“ (ამონარიდი)

გენერალ-ლეიტენანტი ნ.თავართქილაძე

სტალინგრადის წარმატებულმა ბრძოლამ დიდი ხნით გადაადებინა საბჭოთა კავშირზე თავდასხმა თურქეთს, რომელიც დროს ელოდა, რომ კვლავ დაებრუნებინა თავისი საოცნებო „ჩრდილოეთის ტერიტორიები“ – აჭარა და ახალციხე; იაპონიასაც დაეკარგა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში გააქტიურების სურვილი და მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებთან ბრძოლებში გადაერთო. სტალინგრადის ეპოპეამ დააჩქარა და კიდევ უფრო განამტკიცა ანტიჰიტლერული კოალიციის მცდელობები. რომ მიეღწიათ ქმედითი წარმატებებისათვის ფაშისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში, გადაწყდა სამი დიდი სახელმწიფოს: ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის პირველი პირების საიდუმლო შეხვედრა თეირანში.

თეირანის კონფერენცია 1943 წლის თებერვალში გაიმართა და მას ესწრებოდნენ ი. სტალინი, ფ. რუზველტი და უ. ჩერჩილი. საბჭოთა მხრიდან კონფერენციის უსაფრთხოებას სრულად უზრუნველყოფდა ლ. ბერია თავისი უზარმაზარი აპარატით. თეირანის თბილისთან სიახლოვე აპირობებდა მჭიდრო კავშირს საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობასთან. კანდიდ ჩარკვიანის მონაწილეობით ბევრი ორგანიზაციული, ადმინისტრაციული საკითხი გადაწყდა. მათ შორის, კონფერენციის მონაწილეთა კვებასთან დაკავშირებული საკითხებიც. ცნობილია, რომ კონფერენციაზე, სხვადასხვა ბანკეტზე, მ. ლაღიძის ფირმის ჩინებული ქართული გამაგრილებელი სასმელი, ქართული კონიაკი და ღვინოც კი იყო წარმოდგენილი.

"დიდი სამეული"

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე განიხილეს მიმდინარე ომის პერიპეტიები და მომავალი ამოცანები, დაადასტურეს ურღვევი ერთგულება ანტიჰიტლერული კოალიციის მიზნებისადმი, დასახეს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის სავარაუდო თარიღი და ა.შ. სწორედ თეირანში, კონფერენციის წარმატებით დამთავრების გამო, უ. ჩერჩილმა თავისი დაბადების დღეც გაიხსენა.

„იმ საღამოს სტალინი ძალზე შთამბეჭდავად და ლამაზადაც კი გამოიყურებოდა. მას მარშლის ფორმის ზემოთ ეცვა გრძელი სამხედრო ფარაჯა და ხელი ნამდვილი ნაპოლეონური ჟესტით ჰქონდა ფარაჯაში გაჩრილი... ბანკეტზე დაახლოებით ოცდაათი სტუმარი იქნებოდა: მთავრობის პირები, მარშლები, გენერლები, ადმირალები, ელჩები – დასავლეთისა და საბჭოეთის თითქმის ყველა გამოჩენილი ლიდერი. მათ შორის იყო ერთი ქართველი – სტალინი-ჯუღაშვილი. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ ის იქ ცენტრალური ფიგურა იყო... მთელ ამ ელიტას იცავდა სამი ქართველი: გენერლები წერეთელი და ნაჭყებია საბჭოთა მხრიდან და მე, კაპიტანი მერაბ კვიტაშვილი, დასავლეთის მოკავშირეთა მხრიდან. წინა ოთახში მხოლოდ ორი კაცი ვიყავით, ორივე ქართველი – წერეთელი და მე, რომლებსაც დროდადრო მესამე ქართველი გენერალი ნაჭყებია შეუერთდებოდა ხოლმე... მთელი იმ საათების განმავლობაში, რაც სადილი გრძელდებოდა, წერეთელს, ნაჭყებიას და მე ხელთ გვეპყრა მთელი მსოფლიოს ბედი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით...“

მ. კვიტაშვილი

დიდი ბრიტანეთის დაზვერვის პოლკოვნიკი
მერაბ კვიტაშვილი (მემუარები)

ქართული საჯარისო ფორმირებები წარმატებით იბრძოდნენ ომის სხვადასხვა ფრონტზე: ყირიმში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ლენინგრადის მისადგომებთან, ბალტიისპირეთში. ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინა უმცროსმა სერჟანტმა შოთა გამცემლიძემ, რომელიც გადამწყვეტ მომენტში ხელყუმბარებით ხელში ქვეშ შეუვარდა ტანკს და საკუთარი სიცოცხლის ფასად მტრის შემოტევა შეაჩერა. უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებში 1 110 ქართველი მონაწილეობდა, მათგან 42 მებრძოლს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში კი განსაკუთრებით თავი გამოიჩინა კაპიტანმა ირაკლი ციციშვილმა. მის ბატალიონს დაევალა აეგო ხიდი მდ. დნეპრზე მტრის გაფართოებული იერიშისა და დაბომბვის პირობებში. ირ. ციციშვილმა, რომელიც განათლებით არქიტექტორი იყო, თავის მებრძოლებთან ერთად, ოთხ დღე-ღამეში, ააგო 550 მ. სიგრძის ხიდი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ჯარების შეტევის შემდგომი განვითარებისათვის. ირ. ციციშვილი საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკლავით დააჯილდოვეს.

გენერალ-ლეიტენანტი ე. კობერიძე

საქართველოდან გაწვეული მებრძოლები მონაწილეობას იღებდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განთავისუფლების საქმეში (დღეს ზოგიერთი ექსპერტი ამას საბჭოთა დიქტატის დამკვიდრების პირველ ნაბიჯებს უწოდებს). აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებაში აქტიურად მონაწილეობდნენ 242-ე სამთო მსროლელი, 276-ე და 351-ე ქართული ეროვნული დივიზიები. პოლონეთის ქ. პოზნანის განთავისუფლებაში მონაწილეობდა 117-ე მსროლელი დივიზია გენერალ-მაიორ (შემდგომში გენერალ-ლეიტენანტი) ე. კობერიძის მეთაურობით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, ქართველი მებრძოლების აქტიურობა დასავლეთ ევროპის იმ პარტიზანულ მოძრაობებშიც, რომლებიც საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ჰოლანდიაში და სხვა ქვეყნებში საკმაოდ შთამბეჭდავ მასშტაბებს იღებდა და ფაშისტური გერმანიის დამარცხებას აახლოვებდა.

ფ. მოსულიშვილი

პოლონეთში, საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეულმა ქართველმა მებრძოლებმა ვასილ მანჯავიძის ხელმძღვანელობით („ვასია გრუზინ“), ერთ-ერთი პირველი პარტიზანული რაზმი შექმნეს. ჩეხოსლოვაკიაში მოქმედებდა ქართველ პარტიზანთა ჯგუფი, რომელიც გერმანელებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. იუგოსლაველ პარტიზანებთან ერთად, რომელსაც იოსებ ტიტო ხელმძღვანელობდა, ბევრი ქართველი იბრძოდა. იყო სხვა ფაქტებიც.

მაგრამ, განსაკუთრებით აღსანიშნავია კახელი ფორე მოსულიშვილის პარტიზანული საქმიანობა იტალიელთა ანტიფაშისტურ მოძრაობაში.

1944 წლის 3 დეკემბერს გერმანელებმა ალყა შემოარტყეს ქოხს, რომელშიც იტალიელ პარტიზანებთან ერთად ფორე მოსულიშვილიც იყო. მძიმე ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა პარტიზანებს შესთავაზეს წინადადება – თუ კი მეთაური ჩაბარდებოდა, ისინი მებრძოლებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. მაშინ უკვე მძიმედ დაჭრილმა ფორე მოსულიშვილმა ქოხის კარები გამოაღო და ომახიანად დაიძახა: „მეთაური მე ვარ, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს თავისუფალ იტალიას“ და შუბლში ტყვია დაიხალა. იტალიელი პარტიზანები გადარჩნენ.

1970 წლის 28 თებერვალს, იტალიის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატიმ ქართველი მებრძოლი ფორე მოსულიშვილი (სიკვდილის შემდეგ), ომის დროს ჩადენილი მამაცობისათვის, იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდებით დააჯილდოვა.

ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე დღესაც ახსოვთ ქართველი ტყვეების გმირული ამბოხების ამბავი 1945 წლის მარტში, როცა ადგილობრივ ანტიფაშისტებთან ერთად ქართველებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ტყვეებისაგან ომის წლებში შექმნილი ჯგუფები, სხვადასხვა მოსაზრებით, ზოგჯერ გერმანელებთანაც თანამშრომლობდნენ, მაგრამ, უფრო ხშირად, ისინი ადგილობრივ პარტიზანულ ჯგუფებს ეკედლებოდნენ.

ანტისაბჭოთა ჯგუფები და ორგანიზაციები. დღეს აღარავის უკვირს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შეიძლება არ ჰყოლოდა ოპოზიცია ქვეყნის შიგნით. ბოლშევიკებმა, თავისი იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე ჩატარებული ექსპერიმენტის დროს, საკმაოდ ბევრი სოციალური ძალა თუ ფენა გაანადგურა, ჩამოაცილა ისინი სახელმწიფოს მართვის სადავეებს, რითაც აშკარად დაიმსახურა მათგან ოპოზიციური დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ 1937 წლის რესპრესიების დროს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ყველა ასეთი შესაძლო ოპოზიციონერის ტოტალური განადგურება ან იზოლირება, ჩანს, ასეთი ადამიანები მაინც დარჩნენ საქართველოში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადარჩენილი ნაწილი, რომელიც დროს ელოდა, რომ მსოფლიოში შექმნილი ვითარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად გამოეყენებინა. ამ ადამიანებს აშინებდათ მსოფლიოს გიგანტი სახელმწიფოების ორთაბრძოლაში პატარა საქართველოს მოსახლეობა არ განადგურებულიყო და ცდილობდნენ ეს საფრთხე ქვეყნისათვის თავიდან აერიდებინათ. მათ შორის იყო ახალგაზრდა მწერალი ლევან გოთუა, რომელმაც თავისი მომხრეებისა და თანამოაზრეებისაგან შექმნა „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი“, რომელშიც გაერთიანდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი, ასპირანტი.



ლ. გოთუა

იყო სხვა გაერთიანებებიც – არის ცნობები „ავჭალის ორგანიზაციის“ შესახებ, რომელსაც იდეურად ხელმძღვანელობდა კ. ხიმ-

შიაშვილი. თბილისში დააპატიმრეს 33 კაცი, რომლებსაც წაუყენეს ბრალდება „არალეგალური სამხედრო-მეამბოხური ფაშისტური ორგანიზაციის“ შექმნა; სოფელ ალვანის მკვიდრმა ადამ ბობდიაშვილმა დააარსა საიდუმლო ორგანიზაცია „სამანი (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ნაციონალისტები). „სამანელებს“ არ მოსწონდათ სოციალისტური წყობა, ისინი არ აპირებდნენ ბრძოლას გერმანელებთან და საბჭოთა კავშირის ადვილად დამარცხებას ვარაუდობდნენ. ასეთ შემთხვევაში კი, ისინი იმედოვნებდნენ, რომ გერმანია, ისევე, როგორც I მსოფლიო ომის დროს, ახლაც დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

ეს მცირერიცხოვანი პატრიოტული ორგანიზაციები, ძალიან მალე, აღმოაჩინა საქართველოს უშიშროების სამსახურმა და აქედან 17 კაცი დახვრიტეს, ძირითადი ნაწილი კი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს შორეულ ციმბირსა და სხვა შრომაგასწორებით კოლონიებში.

უნდა გვახსოვდეს: II მსოფლიო ომის პერიოდში, მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების ისტორიულ ბრძოლაში ნაციზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი ასრულებდა წამყვან და ძირითად ფუნქციას – ეს მისი ისტორიული მისია აღმოჩნდა. ამას კარგად გრძნობდნენ ფ. რუზველტიც და უ. ჩერჩილიც. ძლიერი ტოტალიტარული რეჟიმის განადგურება ხელეწიფება მხოლოდ მასზე ძლიერ ტოტალიტარულ სახელმწიფოს. ამიტომ ეს ლიდერები ომის წლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ყველა ამბოხების, სეპარაციის სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ და არასოდეს მას მხარს არ დაუჭერდნენ (ასე გააკეთეს მათ სუდეტების გერმანელების, დანცინგელი გერმანელების, სლოვაკი, ხორვატი და უკრაინელი ნაციონალისტების მცდელობების მიმართ). ქართველი პატრიოტების ასეთ პოზიციას შეეძლო დიდი საფრთხე შეექმნა საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის.

ამასთან, როცა საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების გამო, II მსოფლიო ომის ფრონტებზე საქართველოს 700 000 კაცი იბრძოდა, ხოლო ზურგში – იმაზე ორჯერ მეტი დიდი შრომითი შემართებით იღვწოდა, უფრო მეტი სიფრთხილე უნდა ყოფილიყო გამოჩენილი. ფაქტია: ფაშისტური გერმანიის დახმარებით მიღწეული დამოუკიდებლობა არცერთ ევროპულ ქვეყანას (სლოვაკებს – ჩეხოსლოვაკიაში, ხორვატებს – იუგოსლავიაში, კათოლიკე უკრაინელებს – უკრაინაში და ა.შ.) ბოლომდე არ „შეერგოთ“ – ამ მოძრაობების ყველა ლიდერი ანტიფაშისტური კოალიციის გამარჯვების შემდეგ თავინთი ქვეყნების მთავრობების მიერ სასტიკად დაისაჯნენ.

მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაცია. ომის პირველსავე თვეებიდან საქართველოსკენ დაიძრა უდიდესი მიგრაციული ნაკადი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დასავლეთის რეგიონებიდან მოსახლეობისა და საწარმოო ობიექტების ევაკუირება და მათთვის ნორმალური პირობების შექმნა მოითხოვა. საბჭოთა მთავრობის სპეციალური განკარგულებით, პირველ რიგში, უკრაინიდან და ბელორუსიიდან ებრაელი მოსახლეობა გამოიყვანეს. მათი ერთი ნაწილი საქართველოშიც აღმოჩნდა.

როგორც სტატისტიკა მიუთითებს, 1941 წლის დეკემბრიდან, მარტო მახაჩკალიდან საქართველოში 15 ათასი ლტოლვილი შემოიყვანეს. კა-

ლინინის ოლქიდან დამატებით კიდევ 7484 კაცი შემოვიდა და ა.შ. საქართველოში გადმოიტანეს ტაგანროგის საავიაციო ქარხანა თავისი პერსონალით, ფოთში ევაკუირებული იყო სევასტოპოლის საარტილერიო-სარემონტო ქარხანა, გემსაშენი ქარხანა, ბათუმში – ტუაფსიდან გემთმშენებელი ქარხანა ჩამოიტანეს და სხვ. ბევრი საწარმო შეიხიზნა თბილისმა: მოსკოვის მაუდის ფაბრიკა „ოქტომბერი“, როსტოვისა და ჩისტიაკოვის ავეჯის ფაბრიკები და კიდევ ბევრი სხვა საწარმო.

საქართველოში ჩამოიყვანეს თეატრალური კოლექტივები, ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები: კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრები, იალტის კინოსტუდია, „მოსფილმის“ კოლექტივის ერთი ჯგუფი, ცნობილი მსახიობები: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ო. კნიპერ-ჩეხოვა, ვ. კაჩალოვი და სხვ. თბილისში ცხოვრობდა და განაგრძობდა შემოქმედებით მოღვაწეობას ლეგენდარული კომპოზიტორი ს. პროკოფიევი, სსრკ არქიტექტორის აკადემიის პრეზიდენტი – ვ. ვასნინი, მწერლები: ვ. ვერესიევი და ი. ნოვიკოვი და კიდევ უამრავი სხვ. ისინი, აქტიურად ჩაებნენ თბილისის შემოქმედებით ცხოვრებაში, მონაწილეობდნენ კონცერტებში, ატარებდნენ საშეფო შეხვედრებს შრომით კოლექტივებში და ა.შ.

ევაკუირებული მოსახლეობისათვის შეძლებისამებრ ნორმალური პირობების შექმნა, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის უპირველესი მოვალეობა იყო. არსებობს უამრავი დადგენილება და ცირკულარი, რომელსაც კანდიდ ჩარკვიანი აწერს ხელს, და რომლის მიზანია, სწორედ ომის ურთულეს პირობებში ევაკუირებული მოსახლეობისათვის ასატანი პირობების შექმნა.

„სამხედრო-საზღვაო ესკადრის, მისი ხელმძღვანელი შტაბის, ოფიცრებისა და მათი ოჯახის წევრების ევაკუაციამ, დროებითი სიძნელეები შეუქმნა ქალაქს – საჭირო იყო მათი განთავსება, ელემენტარული ცხოვრების პირობების შექმნა. ეს კი მოითხოვდა დიდ ძალისხმევას, რადგან თვითონ ქალაქ ფოთის მოსახლეობა ძლიერ შეჭირვებულ ვითარებაში ცხოვრობდა. ქალაქელები, ქართველი ქალები როგორც ნათესავებს, ისე ხვდებოდნენ რუსებს და უკრაინელებს, მიყავდათ თავისთან, უყოფდნენ უკანასკნელ ლუკმას...

მ.ფ. კუმანინი
ფოთის სამხედრო ბაზის უფროსი ომის წლებში

შედარებით დრამატული იყო მიგრაციის ძალისმიერი ფორმა, რომელიც ასევე ომის წლებში განხორციელდა და მიზნად ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ არალოიალური ეთნიკური ჯგუფების საქართველოდან მასობრივ გასახლებას (დეპორტაციას). იძულებით გასახლებას დაექვემდებარნენ: ეთნიკური გერმანელები (თუ გერმანელი ქალი ინტერნაციონალური ოჯახის წევრი იყო – ის არ გადაუსახლებიათ), საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის არმქონე პირები (ანატოლიელი ბერძნები, აფხაზეთში ჩასახლებული სომხების ჯგუფები, „დაშნაკციუტუნის“ პარტიის ფარული წევრები და ა.შ.), თითქმის სრულად – მაჰმადიანი ქართველები, რომლებსაც პროთურქული ორიენტაცია ჰქონდათ. როგორც დოკუმენტურად ირკვევა, ამ უკანასკნელ ქმედებას გარკვეული წინაპირობა შეექმნა – თურქეთი, ომის წლებში, გერმანიის პოტენციურ მოკავში-

რედ განიხილებოდა, რადგან ის ხელსაყრელ დროს ელოდა, რომ განეხორციელებინა აგრესია საბჭოთა კავშირზე თავისი „ჩრდილოეთის ტერიტორიების“ – აჭარისა და ახალციხის უკან დასაბრუნებლად.

„ჩვენ გვქონდა ცნობა, რომ თურქებმა ჩვენი საზღვრებიდან გაასახლეს ქართველები საზღვრის გაწმენდის მიზნით. ჩვენ შეიძლება თურქებისათვის არ მიგვებაძა, მაგრამ საკავშირო მთავრობამ საზღვრის გაწმენდა აუცილებლად მიიჩნია... თურქ მესხებს არ ჰქონდათ საშუალება გამოევლინათ თავისი მოღალატური ზრახვები, თუმცა, ჩვენ ისინი ძალიან სერიოზულ სიძნელეებსა და პრობლემებს გვიქმნიდნენ“.

კანდიდ ჩარკვიანი

მოსახლეობის დეპორტაცია

1944 წელს, თურქეთ-საქართველოს საზღვართან მდებარე ხუთი რაიონიდან მასობრივად განხორციელდა მაჰმადიანი მოსახლეობის დეპორტაცია შუა აზიაში. მაშინ ამ რეგიონში, დაახლოებით, 87 987 მაჰმადიანი ცხოვრობდა, თუმცა გასახლებულთა რაოდენობა უფრო ნაკლებია. ამას იმით ხსნიან, რომ დეპორტაციისას ადგილობრივ მოსახლეობას უსვამდნენ შეკითხვას – ვინ ხარ ეთნიკურად? ვინც უპასუხა, რომ ქართველია – ის არ გაუსახლებიათ.

მოსახლეობის ტოტალურმა გასახლებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ამ ეთნოსების გენეტიკურ განვითარებას და მათში დაბადა უსამართლობისა და რევანშის გრძნობა, მით უფრო, რომ ძალიან ბევრს შემორჩა მეხსიერებაში ამ გასახლებების კონკრეტული სურათები.

„...დამის 2 საათზე ალეა შემოარტყეს ყველა დასახლებულ პუნქტს, გააკეთეს ჩასაფრება და დააყენეს მზვერავები. გათიშეს რადიოსატრანსლიაციო არხები და სატელეფონო კავშირები. დილის 5 საათზე მამაკაცები მიიწვიეს სასოფლო თავყრილობაზე, სადაც მათ მშობლიურ ენაზე გამოუცხადეს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ. იქვე თავშეყრის მონაწილეები განაიარაღეს... ყოველ ოპერატიულ ჯგუფს, რომელიც შედგებოდა ერთი ოპერმუშაკისა და შინსახკომის ორი მებრძოლისაგან, ევალებოდა გაესახლებინა ოთხი ოჯახი“

ლავრენტი ბერია
ი.ბ.სტალინისათვის გაგზავნილი ერთ-ერთი ანგარიში (ამონარიდი)

გამონთავისუფლებულ ბინებში, დეპორტირებულთა თითქმის ხელუხლებულ ნაფუძვარზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ძირითადად მთისა და მთისწინა ზოლის მწირი რეგიონებიდან, ასევე იძულებით, ქვემო ქართლში ჩამოასახლეს რაჭა-ლენჩხუმიდან, მთიანი იმერეთიდან, ხევსურეთ-გუდამაყრიდან მოახალშენეები, მათი ახალ ტერიტორიებზე

ნორმალური ცხოვრებისათვის, ასევე მთავრობის მიერ განხორციელდა სერიოზული მატერიალური დახმარება.

„გადასახლებულთა დაკრედიტებაზე სულ 1944 წელს გათვალისწინებულია 11 500 ათასი მანეთი, მშენებლობასა და რემონტზე – 2 960 ათასი მანეთი, სამეურნეო მშენებლობებისათვის – 1 745 ათასი მანეთი, საქონლის შესაძენად – 555 ათასი მანეთი, პირადი მეურნეობის მოწყობისათვის – 871,3 ათასი, პირადი მოხმარების საქონლისათვის გამოყოფილია – 2 178 ათასი მანეთი...

საქართველოს მიწსახკომის დადგენილება (ამონარიდი)
სუიცსა, ფ. 288, ს. 4612, ფურც. 14.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო მთავრობამ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩეჩნებისა და სხვა კავკასიელი ეთნოსების დეპორტაციის შემდეგ, მის მიმართ ლოიალურ ერებს: ქართველებს, ოსებს, დაღესტნელებს რეპრესირებული ხალხების საცხოვრებელი ტერიტორიები გადაუნაწილა. საქართველოს სსრ-ს გადმოეცა: თებერდის რაიონი, ინგუშეთის ასსრ შაროევის რაიონი, გალაშკინსკისა და პრიგოროდის რაიონების სამხრეთ ტერიტორიები. ზემო სვანეთის რაიონის შემადენლობაში შევიდა ყაბარდოს ავტონომიური რესპუბლიკის იალბუზისა და ნაგორნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი და ა.შ. ამ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობას უნდა ჩაესახლებინა მოსახლეობა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა იგივე პრივილეგიებს ჰპირდებოდა, რასაც საქართველოს სხვა ტერიტორიებზე განსახლებულ მიგრანტებს. როგორც კანდიდ ჩარკვიანი ამტკიცებს, ქართველი მოსახლეობა ნაკლებად მიეძალა ჩრდილო კავკასიაში შემომატებულ ტერიტორიებს, უფრო საქართველოს ოსი მოსახლეობა გადასახლდა იქით და საკმოდ კარგადაც დამკვიდრდა.

იმასაც ამტკიცებენ, რომ როგორც კი ნ. ხრუშჩოვმა აღადგინა ჩრდილოეთ კავკასიაში დეპორტირებული ერები თავის უფლებებში, ქართველებმა ულაპარაკოდ დატოვეს აღნიშნული რაიონები ისე, რომ ყველაფერი: სახლები, საქონელი, ავეჯი ჩეჩნებსა და ინგუშებს ძმურად დაუტოვესო.

მეცნიერება და კულტურა ომის წლებში. ამ ურთულეს პერიოდში, საქართველოში მაინც გრძელდებოდა მეტად ნაყოფიერი საქმიანობა განათლების, მეცნიერების, კულტურის სფეროში და, უამრავი პრობლემის მიუხედავად, ერთი დღეც არ შეუწყვეტიათ ამ სისტემაში ჩაბმულ ადამიანებს ნაყოფიერი საქმიანობა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სასკოლო მუშაობა. აღმზრდელობითი საქმიანობა გრძელდებოდა – 4 114 სკოლაში ყოველდღიურად 766,8 ათასი ბავშვი სწავლობდა და მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდა. შემოქმედებით მუშაობას აგრძელებდნენ უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბაზაზე შეიქმნა „თავდაცვითი მუშაობის ხელშემწყობი მუდმივმოქმედი კომისია“, რომელსაც მისი პრეზიდენტი, აკად. ნ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა. სამეცნიერო ინსტიტუტების უმეტესი ნაწილი სამხედრო რელსებზე გადაიყვანეს: თბილისის ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა დაამუშავა მაღალი ხარისხის ცემენტისაგან საავიაციო ბომბების დამზადების ტექნოლოგია. დიდი ეკონომი-

კური და თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა ქიმიის ინსტიტუტის მიერ ტყიბულის ქვანახშირის ფუჭი ქანების ფიქალისაგან სილიკოალუმინის ელექტროთერმული გზით მიღების მეთოდის დამუშავებას. იყო სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც.

საინტერესო მუშაობას ეწეოდნენ ქართველი ისტორიკოსები – ისინი აქვეყნებდნენ პატრიოტული შინაარსის სამეცნიერო-პოპულარულ შრომებს, მნიშვნელოვან გამოკვლევებს. სწორედ ომის წლებში დაიბეჭდა ი. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას ერთობლივი „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო, რომელმაც ი. სტალინის დიდი მოწონება დაიმსახურა და მოგვიანებით სტალინური პრემიითაც დაჯილდოვდა.

ფილმი “გიორგი სააკაძე”

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აკად. ნ . ბერძენიშვილის კონსულტაციით, რეჟისორმა მ. ჭიაურელმა გადაიღო მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე“ – ფილმი - ლეგენდა, ფილმ - შედევრი. მისი სცენარი, რომელიც მწერალი ქალის ა. ანტონოვსკაიას რომანის მიხედვით დაიწერა, ი. სტალინის გამორჩეული ინტერესის სფეროში აღმოჩნდა – არსებობს მისი დასკვნა ამ ფილმის სცენარზე და მისი საქმიანი შენიშვნებიც, რაც ფილმის შემქმნელებმა გაითვალისწინეს. ფილმმა წარმოუდგენელი პოპულარობა მოიპოვა საბჭოთა მებრძოლთა შორის. ფილმის მთავარი დევიზი: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უცემს გული!“ ძალიან ახლობელი და მისაღები იყო ფრონტებზე მებრძოლი ნებისმიერი ჯარისკაცისათვის. ფილმში გიორგი სააკაძის დაუვიწყარი სახე შექმნა აკაკი ხორავამ. გფილმმა ი. სტალინზე იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რომ, როგორც ამბობენ, თეირანის კონფერენციის დროს, ის ერთ-ერთ საღამოს, კონფერენციის მონაწილეებსაც კი უჩვენეს.

ომის წლებში საქართველოს თეატრებში იდგმებოდა პატრიოტული შინაარსის სპექტაკლები, რომლებშიც მონაწილეობდნენ დამსახურებული მსახიობები: აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, გიორგი შავგულიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და მრავალი სხვ. ქართველი მსახიობები ქმნიდნენ შემოქმედებით ბრიგადებს და ფრონტზე, ჯარისკაცებისათვის სპეციალურ პროგრამებს ამზადებდნენ. სწორედ ომის წლებში, ჯარისკაცების წინაშე ხშირი გამოსვლებით უდიდესი სიყვარული დაიმსახურა ძველებური რომანსების ჩინებულმა შემსრულებელმა თამარ წერეთელმა.

ომის პერიოდში, გამორჩეული ჟღერადობა შეიძინა ქართველი, აფხაზი, ოსი, სომეხი პოეტების მხატვრულმა შემოქმედებამ: მათი ლექსები გამოხატავდნენ საბჭოთა ადამიანების სულისკვეთებას, სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტიზმს, გამარჯვების რწმენას. დღეს ბევრი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენი დიდი პოეტები (გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე და სხვები) ანტისაბჭოთა შეხედულებების მატარებლები იყვნენ და ეს „განწყობები“ მათ ჭეშმარიტ მრწამსს არ გამოხატავდა, მაგრამ შემორჩე-

ნილი მათი შემოქმედება ასეთი დასკვნების გაკეთების საფუძველს არ იძლევა.

ქართველი მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი აქტიურად იყვნენ ჩაბმული იმ ორგანიზაციულ თუ პროპაგანდისტულ ღონისძიებებშიც, რაც მოითხოვა ქვემო ქართლში ინდუსტრიის ახალი ცენტრის – ქალაქ რუსთავისა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ამოცანამ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

ქალაქ რუსთავის დაარსება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მახლობლად ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტის აშენების გეგმა ომამდე დამტკიცდა, მხოლოდ 1944 წლის 23 მარტს მიიღო საბოლოოდ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მისი მშენებლობის გადაწყვეტილება. ამასთან, გარკვეული კორექტირება განიცადა პირველსაწყისმა გეგმამ და მეტალურგების ქალაქის მშენებლობა სხვა ადგილზე გადაწყდა. ახალი ტერიტორია თბილისიდან 27 კილომეტრზე შეარჩიეს – ძველი ისტორიული ქალაქის – რუსთავის ნანგრევების მიდამოებში. ეს არჩევანი განაპირობა ამ ისტორიული ქალაქის გამორჩეულმა გეოგრაფიულმა ლოკაციამ: იგი მდებარეობდა რკინის მადნის, სათბობისა და მანგანუმის საბადოების, ფეროშენადნობთა წარმოების შუალედში, ამავე დროს ლითონის მოხმარებლებთან ძალიან ახლოს; დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რკინიგზის მაგისტრალურ ხაზთან და მნიშვნელოვან საზღვაო პორტებთან მისი სიახლოვეც. მდინარე მტკვარი განაპირობებდა წარმოების წყლით უწყვეტად მომარაგებას. აქ იყო ხელსაყრელი ელექტროენერგეტიკული პირობები და, რაც მთავარია, და ხაზგასასმელი – დიდი ინდუსტრიული ქალაქის მშენებლობა ქვემო ქართლში, სადაც ქართველი ეთნოსი შედარებით სუსტად იყო წარმოდგენილი, თავისი ახალი ინფრასტრუქტურის დანერგვით, საჭირო მიგრაციული პროცესების დახმარებით უზრუნველყოფდა ისეთი, აუცილებლად საჭირო, დემოგრაფიული პროცესების განვითარებას, რაც განაპირობებდა ქართველი ერის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის ზეაღმავლობას. ეს უდიდესი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის ტოლფასი იყო, ამიტომაც უდავოდ, გამორჩეულად დასაფასებელი. ყველაფერი კი მისი დამპროექტებლებისა და განმახორციელებლების დიდ გამჭრიახობაზე მიუთითებს.

მეტალურგიული ქარხნისა და ქალაქის სამშენებლოდ სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელსაც აკადემიკოსი ი. პ. ბარდინი ხელმძღვანელობდა. უკვე 1944 წლის იანვარში, რუსთავის მიდამოებში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება. მომავალი ქარხნის დირექტორად დაინიშნა ცნობილი მეცნიერ-მეტალურგი ნიკოლოზ გომელაური. ძალიან მალე ჩამოყალიბდა როგორც ქარხნის, ისე ქალაქის სამშენებლო სტრუქტურები, რომლებიც პარალელურ რეჟიმში მუშაობდნენ. ქალაქი რუსთა-

ვი დააპროექტა საქართველოს საპროექტო სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა. პროექტის რამდენიმე ვარიანტიდან შეირჩა რუსთავ-ფონიჭალის ერთიანი ფართობის ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის განვითარებას მტკვრის ორივე მიმართულებით.

პარალელურად, მიმდინარეობდა მომავალი ქარხნისათვის კადრების მომზადება – დაახლოებით 5000 ახალგაზრდა გაიგზავნა რუსეთისა და უკრაინის მოწინავე მეტალურგიულ საწარმოებში: დონეცკში, მაკეევკაში, გორლოვკასა და სხვა ქალაქებში. ქართველი ახალგაზრდები ეუფლებოდნენ ლითონის დნობის პროგრესულ მეთოდებს, როგორც თეორიას, ისე პრაქტიკას. ამ ახალგაზრდების პირველ ეშელონში იყვნენ მომავალში ძალიან ცნობილი ქართველი მუშა-ნოვატორები ა. ფანცულაია, შ. კუხალეიშვილი, გ. სიგუა, ზ. ყაველაშვილი და მრავალი სხვა.

დღეს, ისტორიის გადასახედიდან, აშკარად ჩანს, ქალაქ რუსთავის მშენებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უდიდესი ეროვნული და ეკონომიკური მნიშვნელობა. რუსთავი საბჭოთა სისტემის არსებობის პერიოდში ამიერკავკასიის ეკონომიკის ერთ-ერთი მძლავრი კერა გახდა, მოგვიანებით, აქ აშენდა ქიმიური მრეწველობის არა ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმო და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობაც საგრძნობლად გაიზარდა. რუსთავი გადაიქცა არა მარტო ეკონომიკურ ცენტრად, არამედ ის საქართველოს კულტურულ განვითარებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა – მოგვიანებით აქ შეიქმნა ახალი ქართული თეატრალური დასი გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, ფუნქციონირებდა მუსიკალური სკოლები, კულტურის სახლები, კინოთეატრები და ა.შ.

ქალაქის მოსახლეობა თავიდანვე ინტერნაციონალური იყო: ბევრი კვალიფიციური რუსი მეტალურგი ჩამოვიდა და საბოლოოდ ოჯახებით დამკვიდრდა საქართველოში. რუსთავის საწარმოებში მუშაობა დაიწყეს ქვემო ქართლში მოსახლე ბერძენმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა მოქალაქეებმაც, რითიც მათი სოციალური სტატუსიც შეიცვალა.

ე. თაყაიშვილი

ეროვნული განძი კვლავ საქართველოშია. II მსოფლიო ომის მიწურულს შეიქმნა პირობები, რამაც გააადვილა საფრანგეთში, ჯერ კიდევ, 1921 წელს გატანილი ეროვნული განძეულობის საქართველოში უკან დაბრუნება. პრობლემა იმაში იყო, რომ საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ ემიგრაციაში ვერ შეძლო მარსელის ბანკში დავანებული ქართული განძეულის შენახვისათვის საჭირო საბანკო პროცენტის სისტემატური გადახდა, რის გამოც ქონება დაიკარგა და ის გადაეცა საფრანგეთის სახელმწიფოს იურიდიული კანონების სრული დაცვით. ამ გადაწყვეტილებამ ძალიან შეაშფოთა ამ განძის ოფიციალური მცველი პროფ. ექვთიმე თაყაიშვილი, ის თბილისში, თავის ნაცნობებს დაუკავშირდა.

„ჩემი მეთვალყურეობა ამდენ ხანს იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ ყუთებისათვის არავის ხელი არ ეხლო და არც უხლიათ, მანამ საფრანგეთის მთავრო-

ბის მოხელეს არ ჩააბარეს ყუთები, ამას მარსელის ბანკის გამგეობა დაამტკიცებს ... ახლა მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა, ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარ მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვისა და ჯეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გავუწიო, ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას, მოვხუცდი...“.

ექვთიმე თაყაიშვილი
თბილისში გამოგზავნილი წერილი (ამონარიდი)

შ. ამირანაშვილი

მოხდა ისე, რომ მზადდებოდა საფრანგეთის ახალი მთავრობის მეთაურის შარლ დე გოლის მოსკოვში ვიზიტი. სტალინთან ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რადგან საქმე ეხებოდა საფრანგეთის სრულუფლებიან წევრობას ანტიჰიტლერულ კოალიციაში, რასაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა უ. ჩერჩილი. შ. დე გოლს სტალინის მხარდაჭერა აუცილებლად სჭირდებოდა. როგორც საქმეში ჩახედულები აღნიშნავენ: „პირადი შეხვედრების დროს ი. სტალინი ესაუბრა გენერალ დე გოლს საფრანგეთში დაცული განძეულობის შესახებ და მისგან დაპირება მიიღო ქონების დაბრუნებაზე“.

რა საჭირო იყო ი. სტალინის პირადი თხოვნა? საქმე ის არის, რომ საფრანგეთის კანონებით განძეულობა უკვე საფრანგეთის რესპუბიკის საკუთრებად ითვლებოდა და მხოლოდ კანონების დარღვევით შეიძლებოდა ამ საკითხის საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტა. თუ გავითვალისწინებთ რაოდენ დიდ მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეზეა საუბარი, კარგად წარმოვიდგენთ, როგორ შეეცდებოდნენ ფრანგი ჩინოსნები არ დაერღვიათ ეს კანონები.

ამ შემთხვევაშიც პრაგმატიზმმა კვლავ გაიმარჯვა. სტალინის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად დე გოლმა თვალი დახუჭა საფრანგეთის კანონების უხეშ დარღვევაზე და სხვებსაც ამის გაკეთება დაავალა. გადაწყდა – საფრანგეთში გატანილი ქართული განძეული ქართველ ხალხს უკან დაბრუნებოდა.

ეროვნული განძის მისაღებად პარიზში ჩამოვიდნენ საქართველოს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი პ. შარია და პროფ. შ. ამირანაშვილი. სწორედ ამ უკანასკნელმა გაუგზავნა ი. სტალინს წერილი, რომელშიც დეტალურად აღუწერა საფრანგეთში ქართული ეროვნული განძის სავალალო მდგომარეობა და სთხოვა ქმედითი დახმარება.

დაიწყო უაღრესად რთული და დამღლელი სამუშაო განძის აღსაწერად, რაშიც მხცოვანი ექვთიმეც იღებდა მონაწილეობას. ხანგძლივმა სამუშაომ ის გადაღალა და ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეერყა. განძის სამშობლოში დაბრუნების ყველა ტექნიკური, ორგანიზაციული და ფორმალური სამუშაოს შესრულების შემდეგ, 1945 წლის აპრილში, განძეული დაიტვირთა თვითმფრინავებზე და 12 აპრილს უკვე თბილისში ჩამოიტანეს – ეს იოსებ სტალინის უდიდესი დამსახურებაა ქართველი ერის წინაშე.

საეკლესიო ცხოვრება საქართველოში II მსოფლიო ომის წლებში შედარებით მოწესრიგდა. რა თქმა უნდა, სახელმწიფო კვლავ ათეისტური იყო და ყველა კონფესია ფაქტობრივად კანონგარეშედ გამოცხადებული, მაგრამ ამ სფეროშიც გარკვეული ძვრები აღინიშნა. უპირველესი მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც არ აღიარებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიერებას, განაახლა ევქარისტული კავშირი ორ ეკლესიას შორის. ექსპერტები ამ ამბავს ი. ბ. სტალინის სახელს უკავშირებენ – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) იოსებ სტალინთან ერთად სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობდნენ.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე

1945 წლის იანვარ-თებერვალში კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე მიიწვიეს მოსკოვში „ფრიად საპატიო სტუმრად“. მოსკოვში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელზეც ძალიან დიდი ხნის შემდეგ აირჩიეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი მამა – პატრიარქი. არის გადმოცემა, რომ სამღვდელმთავრო გვირგვინი რუსეთის პატრიარქს სწორედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ დაადგა თავზე.

ომის წლებში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უდიდეს ძალისხმევას ახმარდა მრევლის სულიერი გაჯანსაღების საქმეს, მათ სულში სიმშვიდისა და გამარჯვების იმედის, რწმენის დამკვიდრებას. ძალიან მწირი მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ თავდაცვის ფონდში შეიტანა ასეულ ათასი მანეთი, რითიც სტალინის მადლობაც კი დაიმსახურა.

საბჭოთა მთავრობის მიმართ ამ ეტაპზე სრულ ლოიალობას ავლენდნენ საქართველოში მოქმედი სხვა რელიგიური კონფესიებიც.

II მსოფლიო ომი კი დასასრულს მიუახლოვდა.

დიადი გამარჯვება. 1945 წლის დასაწყისში თვით ადოლფ ჰიტლერიც დარწმუნდა, რომ ომი წააგო და მხოლოდ ბედისწერაზე დაამყარა თავისი იმედები. ამასობაში კი ახლადგანთავისუფლებულ ყირიმში, ლივადიის სასახლეში, რვა დღის განმავლობაში თათბირობდნენ სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი იმაზე, თუ როგორ დაეგვირგვინებინათ ხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. მათ მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ხაზგასმულია მოკავშირეთა უახლესი ამოცანები: გერმანიის საბოლოო განადგურება, გერმანიის ოკუპაცია და მისდამი კონტროლი, გაერთიანებული ერების კონფერენციის მოწვევა, დეკლარაცია განთავისუფლებული ევროპის შესახებ და ა.შ. და ა.შ.

მოკავშირეები ერთგულად ასრულებდნენ თავის მოვალეობას და შორს აღარ იყო ნანატრი გამარჯვებაც. მაგრამ, ვაშინგტონში, მოულოდნელად გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი

ფ. რუზველტი. მისი ადგილი ვიცე-პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა დაიკავა. მიუხედავად ჰიტლერის დიდი მოლოდინისა, ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ერთგულად გააგრძელა მოკავშირეების მიერ არჩეული კურსი გამარჯვებისაკენ და მას ანტიჰიტლერული კოალიციის ერთობა არ დაურღვევია.

მრავალი ათასი ქართველი მეომარი მონაწილეობდა ბერლინის ისტორიულ ბრძოლებში. ამ გრანდიოზული ოპერაციის მონაწილენი იყვნენ: 91-ე კორპუსის მეთაურის მოადგილე, გენერალ-მაიორი ი. რაზმაძე, მსროლელი დივიზიების მეთაურები ვ. ჯანჯღავა და ე. კობერიძე, დივიზიის მეთაური, ავიაციის გენერალ-მაიორი ე. ტატანაშვილი და მრავალი სხვა. დღეს ბევრს აღარ სჯერა, მაგრამ ოფიციალური ფაქტია: გამარჯვების დროშა რაიხსტაგის თავზე დაამაგრეს რუსმა მ. ეგოროვმა და ქართველმა მ. ქანთარიამ. ადოლფ ჰიტლერმა თავი მოიკლა. გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას.

ქართველი მებრძოლები წარმატებით იბრძოდნენ შორეული აღმოსავლეთის ფრონტებზეც – იაპონიის წინააღმდეგ, როცა ამის აუცილებლობა დააყენა ანტიჰიტლერული კოალიციის ერთობლივმა შეთანხმებამ.

1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჰ. ტრუმენის ბრძანებით, იაპონიის ქალაქებზე – ხიროსიმასა და ნაგასაკზე ჩამოაგდეს ატომური ბომბები, რამაც წარმოუდგენელი ნგრევა და ტერიტორიის რადიაციული მოწამვლა გამოიწვია. აშკარაა, რომ ეს ი. სტალინის გასაფრთხილებლადაც იყო გაკეთებული. განადგურებულმა იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

II მსოფლიო ომი დასრულდა.



გამარჯვების დროშა – მ. ქანთარია და მ. ეგოროვი

ქართველები სტალინთან. საბჭოთა სახელმწიფომ ამ ომში მოკავშირეებთან ერთად გაიმარჯვა, თუმცა ადამიანური მსხვერპლი და ნგრევის მასშტაბები ყველაზე მეტად სწორედ მან განიცადა: ტრილიონობით მანეთის ზარალი, ევროპულ ტერიტორიაზე ტოტალურად განადგურებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურა, ათასობით გადაბუგული ქალაქი თუ სოფელი, დაახლოებით 20 მილიონი დაღუპული ადამიანი (თანამედროვე ექსპერტები 40 მილიონსაც კი ვარაუდობენ). ასეთმა დანაკარგებმა საბჭოთა ხელმძღვანელებს გაუჩინა სურვილი კატასტროფული ზარალის სანაცვლო კომპენსაცია ტერიტორიული შენაძენებითაც განეხორციელებინა.

ომის დასრულების პირველსავე თვეებში სერიოზულად დადგა საკითხი სამხრეთ კავკასიაში საქართველოსა და სომხეთისათვის დაებრუნებინათ ის ტერიტორიები, რაც თურქეთმა წაიღო მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების საფუძველზე.

1945 წლის ოქტომბერში ი. სტალინმა თავის აგარაკზე მიიწვია ქართველი ისტორიკოსები – ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი და სამი დღის განმავლობაში მათ ეთათბირა.

ძალიან მალე, როგორც საკავშირო, ისე თბილისის ოფიციალურ გაზეთებში დაიბეჭდა ნ. ბერძენიშვლისა და ს. ჯანაშიას წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. წერილის ავტორები, რა თქმა უნდა, ი. სტალინის თანხმობით, მოითხოვდნენ თურქების მიერ ოკუპირებულ ტაო-კლარჯეთს – ქართული ცივილიზაციის აკვანს. თურქების მიმართ თავისი პრეტენზიები ოფიციალურად განაცხადეს სომხეთის ინტელიგენციის წარმომადგენლებმაც.

„ერის ტერიტორიის დათმობისა და გაჩუქების უფლება არავის აქვს. ერის ტერიტორია ხელუხლებელია. ომის შემდეგაც გადავუკარი ორიოდე სიტყვა და ზუსტად მივანიშნე ოსმალებს – საზღვრების საკითხი არ დამვიწყებია მეთქი. საპასუხო ხმას არ იღებენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩვენი ევროპელი და ოკეანის გაღმელი „ძმები“ მხარს მათ უჭერენ, თუმცა, აშკარად, ვერაფერს ამბობენ ამაზე. საქართველოს და სომხეთის მიწების დაბრუნება საბჭოთა კავშირის ინტერესებშიც შედის და ჯერჯერობით არ ვაპირებ ამ პოზიციების დათმობას და არც დადუმებას“

იოსებ სტალინი
აკაკი ვასაძის მოგონება 1946 წ. ოქტომბერი (ამონარიდი)

1946 წლის ოქტომბერში ქართველების დიდი ჯგუფი, კანდიდ ჩარკვიანის ხელმძღვანელობით (მსახიობები: ა. ხორავა, ა. ვასაძე, ს. ბაღაშვილი, სტალინის ბაშვობის მეგობრები: პ. კაპანაძე და მ. ტიტვინიძე, მოჭიდავე ს. ცერაძე და სხვ.) ორი დღე სტუმრობდა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურთან და ამ არაოფიციალური შეხვედრების დროსაც საქართველოს ისტორიაზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე იყო საუბარი.

ამ შეხვედრებისა და საუბრების მასალები შემორჩენილია. ისინი მიუთითებენ სტალინის დაინტერესებას საქართველოს ისტორიით. ქართველ ისტორიკოსებთან საუბრისას მან დაადასტურა თავისი კმაყოფილება მათ მიერ დაწერილი „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოთი და ის სანიმუშოდ დასახა. სწორედ ამ საუბრების დროს, მან ხაზგასმით აღინიშნა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება XIX საუკუნის დასაწყისში სიკეთე კი არა, აუცილებლობით გამოწვეული „უმცირესი ბოროტება“ იყო.

როგორც კანდიდ ჩარკვიანი ამტკიცებს, ომის დასასრულს სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ირანის აზერბაიჯანში შეიქმნა ისეთი ვითარება, რამაც დღის წესრიგში კვლავ დააყენა ისტორიული ჰერეთის (უკვე საინგილოს) საქართველოსთვის დაბრუნების საკითხი, რაზეც მას სტალინთან პირადად ჰქონდა საუბარი.

„...საბჭოთა მთავრობის ემისრები გარკვეულ მუშაობას ეწეოდნენ სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობაში ანტიირანული განწყობილებების გასაძლიერებლად. მის შედეგად განვითარდა საბჭოთა კავშირის ფარგლებში ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანის გაერთიანების საკმაოდ ძლიერი მოძრაობა. სტალინი,

როგორც ჩანს, ამ პროცესის წარმატებით დასრულებას ელოდა და კ. ჩარკვიანის თხოვნას ასე უპასუხა:

– ვნახოთ, საქმე როგორც დამთავრდება, თუ სამხრეთ აზერბაიჯანი შემოგვიერთდება, თქვენი საინგილოს საკითხიც მოგვარდება...“

კანდიდ ჩარკვიანი
სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები (ამონარიდი)

ირანის ხელისუფლებამ შეძლო პროსაბჭოთა ძალების მცდელობები აღეკვეთა სამხრეთ აზერბაიჯანში, ევროპაში შექმნილმა ვითარებამაც აღარ მისცა საშუალება საბჭოთა მთავრობას ბოლომდე მიეყვანა თურქეთის წინააღმდეგ დაწყებული დიპლომატიური დემარშები. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხრუშჩოვმა ქართველ და სომეხ ხალხებთან შეუთანხმებლად, საბჭოთა კავშირის სახელით, უარი განაცხადა თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ეს საკითხი დიდი ხნით დაიხურა.

ინდუსტრიული საქართველო. ყველა ექსპერტი ერთხმად მიუთითებს, რომ ომის შემდგომი ხუთწლედი (1946-1950 წწ.) საქართველოს ისტორიაში შევიდა, როგორც მისი ინდუსტრიული პოტენციალის განსაკუთრებული გაძლიერების პერიოდი – არასოდეს არც მანამდე, და არც მის შემდეგ, ამდენი საწარმოო გიგანტი საქართველოს ტერიტორიაზე აღარ აშენებულა: ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა რუსთავში, ავტოქარხანა ქუთაისში, დაიწყო მეტროპოლიტენის მშენებლობა თბილისში, ბამბეულის კომბინატის პირველი რიგი ჩადგა მწყობრში გორში, აიგო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში კვების მრეწველობის ძალიან ბევრი ობიექტი შევიდა ექსპლუატაციაში, თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში ფუნქციონირება დაიწყო ადგილობრივი სამრეწველო კომბინატებმა, რომლებიც მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნებზე იყო გათვალისწინებული და საკმაოდ ბევრ მუშახელს ასაქმებდა.

ქუთაისური ავტომობილი

1950 წლის 27 აპრილს უდიდესი ისტორიული დღე იყო, როცა ქართველმა მეფოლადეებმა გამოადნეს პირველი ფოლადი და ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი შეუდგა ფუნქციონირებას. რუსთავში ძალიან მალე დაიწყეს აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობა, შემდეგ სხვა საწარმოებიც შევიდნენ ექსპლუატაციაში – ახალი ქალაქი ჭეშმარიტად „ინდუსტრიის მშენებელი“ გახდა.

1951 წლის 18 აგვისტოს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონვეირიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი. ეს ქარხანა საბჭოთა მთავრობამ გერმანიისაგან რეპარაციით მიიღო და მისი ტექნიკური შეიარაღება იმჟამად საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. ქარხნაში სამუშაოდ კადრები მოამზადეს რუსეთის წამყვან საავტომობილო ქარხნებში. ამავე მიზ-

ნით, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა სპეციალური ფაკულტეტი, ხოლო ქუთაისში – ტექნიკუმი, რომელიც ამზადებდა კადრებს ამ ახალი ავტოგიგანტისათვის.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ 1950 წელს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის განვითარების ტემპი 56% ნიშნულს მიუახლოვდა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო კავშირში.

ომის შემდგომ წლებში სერიოზული პრობლემები შეიქმნა სოფლის მეურნეობაში – ეს გამოიწვია მთავრობის მხრიდან სამრეწველო განვითარების საკითხებისადმი უპირატესმა ყურადღებამ. ამასთან, 1946 წელს იყო დიდი მოუსავლიანობა რუსეთსა და უკრაინის ხორბლით მდიდარ რეგიონებში. საქართველოშიც შეიქმნა პრობლემები სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მაგრამ „საკარმიდამო მიწის“ რეალური არსებობა გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა გლეხს – მას დამატებითი შემოსავლის წყარო მუდამ ჰქონდა. თანაც, ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებს, ჯერ კიდევ, ომის წლებში დაურიგეს დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად სავარგულები, სადაც ისინი საკუთარი მოხმარებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ამზადებდნენ.

ექსპერტები მიანიშნებენ, რომ სოფლის მეურნეობაში სერიოზული პრობლემები შექმნა ინიციატივამ, რომლის მიზანი იყო საქართველოს ხორბლით თვითუზრუნველყოფა, რამაც მოითხოვა ახალი სათესი ფართობები. სოფლის მეურნეობის განვითარება ჯერ კიდევ ექსტენსიური იყო, შრომისნაყოფირების მაჩვენებლი საგრძნობლად დაბალი. საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის უდიდესი ძალისხმევა ხშირ შემთხვევაში სათანადო ეფექტიანობით არ გამოირჩეოდა. წარმოიშვა დისბალანსი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს შორის.

სწორედ საბჭოთა ეკონომიკაში უკვე შემჩნეული პრობლემები გახდა ი. ბ. სტალინის იმ წლების თეორული საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი. მან ახალგაზრდა ეკონომისტების ჯგუფთან ერთად დაიწყო საბჭოთა ეკონომიკის განვითარებისა და გაჯანსაღების პრობლემებზე მუშაობა.

ჯ. სტეინბეკი

ჯონ სტეინბეკი თბილისში. ხანგრძლივი და გამანადგურებელი ომის შემდეგ, რა თქმა უნდა, სერიოზული სოციალური, ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები შეიქმნებოდა, და შეიქმნა კიდეც, ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოში. მაგრამ, როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირში გამარჯვების აპოთეოზი მაინც მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური და მაცემენტებელი ფაქტორი გახდა, რამაც მოსახლეობის, მათ შორის, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში, უდიდესი ენთუზიაზმი, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული და მომავლის ოპტიმიზმი აშკარად გამოიწვია. ამტკიცებენ, რომ ეს გრძნობები საქართველოში უფრო თვალში საცემი იყო, ვიდრე მოსკოვსა თუ კიევში. რა თქმა უნდა, ასეთ ნიუანსებს უფრო „უცხო თვალი“ აფიქსი-

რებდა, თუმცა ყოველთვის ვერ ხსნიდა მას სიღრმისეულად. ომისშემდგომი თბილისის შესახებ არაჩვეულებრივი მოგონებები დაგვიტოვა ცნობილმა ამერიკელმა რომანისტმა და საზოგადო მოღვაწემ, მოგვიანებით ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჯონ სტეინბეკმა, რომელიც საბჭოთა კავშირს 1947 წელს ესტუმრა.

„თბილისში იდგა ჩინებული ზაფხულის საღამოები; ჰაერი იყო რბილი, მსუბუქი და მშრალი. ახალგაზრდა ვაჟები და გოგონები სეირნობდნენ ქუჩებში, ტკბებოდნენ ბუნებით... ძველი სახლების მაღალი აივნებიდან, ღამის სიბნელეში, ისმოდა წყნარი მელოდია სიმღერა-გალობის, უაღრესად განსაცვიფრებელი ჟღერადობა რაღაც უჩვეულო ინსტრუმენტის, რომელიც მანდოლინას მაგონებდა. ზოგჯერ ისმოდა ფლეიტის ნაზი აკომპანიმენტიც, რომელიც ღამის სიბნელეს განსაკუთრებულ სიცხადეს ანიჭებდა...

ჯონ სტეინბეკი «Русский дневник»
(ამონარიდი)

რამდენიმე დღე გაატარა ჯ. სტეინბეკმა თბილისსა და ბათუმში ცნობილ ფოტოხელოვან რ. კაპასთან ერთად. სწორედ მან შემოგვინახა თბილისის აღუწერელ მშვენიერებასა და მისი ქუჩების განსაცვიფრებელ სისუფთავეზე დაუჯერებელი ამბავი. არ დაიზარა იმის აღნიშვნაც, რომ რუსებისათვის საქართველო – ეს სამოთხეა დედამიწაზე, სადაც მშვენიერი და დიდბუნებოვანი ადამიანები ცხოვრობენ. თბილისში მას ყველაფერი მოსწონდა: მისი ისტორიაც და მისი თანამედროვეობაც, ქალიშვილების მომხიბლელობაც და ვაჟების ვაჟკაცური გამოხედვაც...

„როცა ჩვენ დავეშვით მამადავითის ტაძართან, რიხიანად ჩამორეკეს მისმა ზარებმა და ჩვენც შევედით ეკლესიაში. ეს იყო აღმოსავლურად მდიდარი ტაძარი, რომელიც უკვე მაგრად იყო შეჭვარტლული სანთლების ალისა და სიძველისაგან. აქ უამრავი ხალხი დაგვხვდა. ღვთისმსახურება მიჰყავდა ჭაღარა მოხუცს ოქროს გვირგვინით თავზე. ის ისეთი მშვენიერი იყო, რომ ირეალურს ჰგავდა. ამ მოხუც კაცს ჰქვია კათოლიკოსი, ის საქართველოს ეკლესიის წინამძღოლია: მისი ტანსაცმელი მდირულად არის ოქროცურვილით დაფარული. ღვთისმსახურება მიდიოდა დიდებულად, ხოლო საკმაოდ დიდი გუნდის გალობა შეუდარებელი იყო. კელაპტრებიდან ატაცებული კვამლი ზემოთ, ტაძრის გუმბათისაკენ მიემართებოდა, რომლის სარკმლებიდან გამოკრთოდა ნათელი მზე...

ჯონ სტეინბეკი «Русский дневник»
(ამონარიდი)

ამერიკელ მწერალსა და მის თანხმლებ პირს თვალში მოხვდათ თბილისის მოქალაქეების მშვენიერი გარეგნობა, კარგი ჩაცმა, მოხდენილობა, პეწი, რაც სხვაგან მათ არ შეუმჩნევიათ. და ეს არც არის გასაკვირი – თბილისში მუდამ უყვარდათ კარგი ჩაცმა. მართალია, საბჭოთა მსუბუქი მრეწველობა ვერასოდეს თვალს ვერ მოგჭრიდათ ნამუშევრების მაღალი ხარისხით, მაგრამ თბილისში მუშაობდა საკმაოდ ბევრი კერძო მკერავი, ხარაზი და „მოდისტკა“. პლეხანოვის პროსპექტის ფანჯრებიდან იმზირებოდნენ მანეკენები ჩინებული და გემოვნებით შესრულებული თავსამკაულებით, მაქმანებითა და ყვავილებით გაწყობილი აქსესუარებით. თბილისელი სომეხი ხარაზები თავისი მაღალი ოსტატობით ქრომისა და

შევროს ჩინებულ, მოდურ ფეხსაცმელებს კერავდნენ, ხოლო გამოცდილი თბილისელი მკერავები ქართული ნატურალური ქსოვილისაგან ჩინებულ მოდურ კაბებსა და პალტოებს სთავაზობდნენ კლიენტებს.

თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები – 1947 წ.

ომის შემდეგ, რა თქმა უნდა, საქართველოში ჭირდა ყოველდღიური ცხოვრება, მაგრამ ნანატრი გამარჯვების ეიფორია ბევრ პრობლემას აწესრიგებდა, ბევრსაც ასატანს ხდიდა. საქართველოს საშუალო შეძლების მოსახლე დამაკმაყოფილებლად ცხოვრობდა: ბინა თუ ჰქონდა, ძირითადად ადგილობრივი ავეჯით გაწყობილი, აუცილებლად „აბაჟური“, რომელსაც თბილისელი ქალები ზოგჯერ თვითონ კერავდნენ. თუ ოჯახი შეძლებული იყო, სახლში ჰქონდათ მუხის ტრადიციული კარადა, მაგიდა და სკამები, ხელოვნური ტყავის დივანი. რა თქმა უნდა, აუცილებლად რადიო. კედელზე – ბელადის სურათი ან მისი მცირე ქანდაკება. ფანჯარასთან – კაკტუსები. და აუცილებლად, დარაბები – ვინმეს არ დაენახა, ან არ მოესინა თუ რა ხდებოდა ბინაში.

უმრავლეს შემთხვევაში, საქართველოს ქალაქებში – მოსახლეობა ცხოვრობდა კომუნალურ სახლებში, სადაც სამზარეულო და სველი წერტილები საერთო იყო. აბანო ძირითადად მუნიციპალურია – თბილისში იყო პოპულარული „ჭრელი აბანო“, „გოგილოს აბანო“, „კიევის აბანო“ და ა.შ. ყოფა, მართალია, აშკარად პრობლემურია, მაგრამ საინტერესო. მთავარია, რომ იყო მომავლის რწმენა.

ომის შემდეგ, დასვენების მნიშვნელოვანი კერა გახდა საქალაქო პარკები. თბილისში განსაკუთრებით პოპულარული იყო „მუშტაიდის“ ბაღი, თავისი კარუსელით, მოძრავი „სახლებით“, პარაშუტის კოშკურით და განსაცვიფრებლად გემრიელი ნაყინით. ბაღში კვლავ ფუნქციონირებდა პიონერული რკინიგზა, რომელსაც მთლიანად პიონერები ემსახურებოდნენ. ამ რკინიგზამ ჯონ სტეინბეკზეც დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

უკვე დაიწყეს ვაკის პარკის მშენებლობა. სოხუმში, ქუთაისში, გორში, ბათუმში საქალაქო ბაღის მოვლა და „კულტმასობრივი“ მუშაობის საუკეთესოდ დაყენება პარტიული და საქალაქო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ხშირად იდგა. ძალიან პოპულარული იყო გაზონების დეკორატული კრეჭვა. უკვე იმ წლებში საქართველოში დიდი პოპულარობა მოიპოვა მცხეთაში მცხოვრები მ. მამულაშვილის ბაღმა თავისი ვარდების ორიგინალური კოლექციით.

ქალაქის კინოთეატრები: ზამთრისა თუ საზაფხულო, სავსე იყო მაყურებლით: საბჭოთა კინოფილმებთან ერთად დიდ ინტერესს იჩენდნენ ე.წ. „ტრაფეულ ფილმებზე“: გერმანულ, ამერიკულ, ფრანგულ კინოპროდუქციაზე, რომელთა ხელწერა, მდიდრული გადაღებები და ნეიტრალური თემატიკა იმპონირებდა ომით გადაღლილ საქართველოს მაყურებელს. სწორედ იმ წლებში შემოიტანეს მხატვრული ფილმები: „ტარზანი“, „დიდი ვალსი“, „ჭირვეული მარიეტა“ და მრავალი სხვა.

სტალინი და არნოლდ ჩიქობავა. ომის შემდგომ წლებში, საქართველოში ფუნდამენტური მეცნიერება აღმავლობას განიცდის. მას საფუძველი უკვე 20-იან წლებში საკმაოდ მტკიცედ ჩაეყარა და უკვე ჩინებულ შედეგებსაც იმკიდა. განსაკუთრებით აღმავლობის გზაზე ქართველოლოგიური მეცნიერების მიღწევები ჩანს – იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმე აშკარად წარმატებულია – უდიდესი მიღწევები აქვთ კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, გიორგი ახვლედიანს და სხვებს. მუშავდებოდა, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის კარდინალური საკითხები, ქართული ენის გრამატიკის განვითარების პრობლემები თუ პერსპექტივები, ასევე სიღრმისეულად მუშავდებოდა ზოგადი ენათმეცნიერების ფუნდამენტური საკითხებიც. ამ სფეროში საინტერესო და ანგარიშგასაწევი მოსაზრებები ჰქონდა იმჟამად უკვე აღიარებულ ქართველ ენათმეცნიერს, არნოლდ ჩიქობავას, რომლის დასკვნებსა და მოსაზრებებს კანდიდ ჩარკვიანიც გაეცნო. არნოლდ ჩიქობავას შესახებ ინფორმაცია ი. სტალინამდე მივიდა და მან თავისთან დაიბარა ახალგაზრდა ენათმეცნიერი.

ა. ჩიქობავა

1950 წლის 9 მაისს, გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ა. ჩიქობავას წერილი, რომელშიც საფუძვლიანად გაკრიტიკებული იყო ნიკო მარის „ახალი მოძღვრება ენის შესახებ“. როგორც ამტკიცებენ, ნიკო მარის მიმდევრები „ცეცხლითა და მახვილით“ ამკვიდრებდნენ მარისეულ მოძღვრებას და მოწინააღმდეგეთა დასაშინებლად იყენებდნენ ადმინისტრაციულ ზომებს. ა. ჩიქობავას სტატიას მხარი დაუჭირეს ცნობილმა საბჭოთა ენათმეცნიერებმა ბ. ა. სერებრიანიკოვმა, გ. ა. კაპანციანმა, ლ.ა. ბულხოვსკიმ და სხვ.

დისკუსიის ამოსავალი დებულება იყო ნ. მარის იმ შეხედულების კრიტიკა, რომლის მიხედვით ენა „არის ზედნაშენური მოვლენა“, რომელიც მთლიანად დაკავშირებულია კონკრეტულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციასთან.

ა. ჩიქობავა და მისი მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ენის ფუნქციონალური დანიშნულება არ დაიყვანება კონკრეტულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პროცესებზე, მას კლასობრივი დატვირთა არ გააჩნია, ის ზეკლასობრივია.

ა. ჩიქობავას ამ სტატიას მხარი დაუჭირა თვით ი. სტალინმაც, რომელმაც სპეციალური ნაშრომი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ მიუძღვნა სადისკუსიო პრობლემას. ამ ნაშრომში სტალინი, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გამოყენებით და მარქსიზმის კლასიკოსების შრომებიდან ამოღებული ციტატებით, კიდევ უფრო აძლიერებს ა. ჩიქობავას შეხედულებებს ნ. მარის წინააღმდეგ და მხარს უჭერს მოსაზრებას ენის ზეკლასობრივი არსის შესახებ. ის მიუთითებდა, რომ რუსული ენა „ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც არ შეცვლილა, ხოლო ენის კლასობრიობის შეხედულება არამარქსისტულია“.

„ამრიგად:

ა) ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის იყო და დარჩება საერთო საზოგადოებისთვის და საერთო ყველა მისი წევრისათვის;

ბ) დიალექტებისა და ჟარგონის არსებობა არა თუ უარყოფს საერთო-სახალხო ენის არსებობას, რომლის განაყოფებიც ისინი არიან და რომელთაც ისინი ექვემდებარებიან, არამედ ასაბუთებს საერთო-სახალხო ენის არსებობას;

გ) ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ არის მცდარი, არამარქსისტული ფორმულა.

ი. ბ. სტალინი
„მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ (ამონარიდი)

აღნიშნულმა დისკუსიამ და სტალინის მხარდაჭერამ, ქართველი ენათმეცნიერი სწრაფად დააყენა არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოს ენათმეცნიერების გამორჩეული კორიფეების გვერდით. მისი ნაშრომები გადაითარგმნა არაერთ უცხო ენაზე, ის აირჩიეს ბევრი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიისა თუ ენათმეცნიერთა საზოგადოების საპატიო წევრად.

„მეგრელთა საქმე“. როგორც ჩანს, ი. ბ. სტალინთან სხვა ქართველებიც დადიოდნენ. მეცნიერებზე უფრო ხშირად საქართველოდან მას პარტიული მუშაკები აწუხებდნენ. 50-იანი წლების დასასრულს, სტალინი ძალიან დაუახლოვდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს – ამ პერიოდში ბელადი ხშირად ისვენებდა გაგრაში, სამთავრობო აგარაკზე და ადგილობრივი კომუნისტების ხელმძღვანელი, ვალდებული იყო ეზრუნა მის კომფორტზე, გაეკონტროლებინა ვითარება აგარაკზე, გამოეჩინა ყურადღება. როგორც ჩანს, სიჭარმაგეში შესული „ხალხთა ბელადი“ ბევრს ესაუბრებოდა ახალგაზრდა კაცს სხვადასხვა თემაზე, ისიც საკმაოდ ბევრ ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს პარტორგანიზაციაში, მის ხელმძღვანელ ბირთვში შექმნილი ვითარების შესახებ. საქართველოში ზოგიერთი სწორედ ამ საუბრებს უკავშირებდა 1951 წლის ნოემბერში საკ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებას „საქართველოში მექრთამეობისა და ამხ. ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.

„მგელაძის აზრით, ყველაფერი იმის ბრალია, რომ ბარამია ხის ცენტრალურ კომიტეტში და მეგრელებს იცავსო. მერე იყო ერთი მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე, რომელმაც ქრთამი აიღო და ეს სამი ფაქტი იყო სულ. დანარჩენი უკვე სტალინმა საკუთარი ფანტაზიით დაუმატა. აქედან შეიქმნა იმხელა მითი, რომ ცკ-ას ხელმძღვანელობა მოხსნეს, მეგრელები დაიჭირეს“.

კანდიდ ჩარკვიანი

ამ დადგენილების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, კანდიდ ჩარკვიანი მალე გაანთავისუფლეს და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ახალი ხელმძღვანელი – აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, აკაკი მგელაძე ჩაუდგა სათავეში.

მისი ვერსიით, ი. სტალინს ძალიან აღელვებდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში შექმნილი ვითარება, სტალინს მასთან საუბარში არაერთხელ აღუნიშნავს საქართველოში გავრცელებული მექრთამეობის, ხაზინის ქურდობის, სოციალისტური ქონების დატაცების შესახებ. როგორც ჩანს, ი. სტალინს საქართველოს შესახებ აკაკი მგელაძის გარდა, სხვა წყაროც ჰქონდა. საუბრებში ხშირად წამოტივტივდებოდა ხოლმე ცნობილი პარტიული მუშაკების ვ. ბაქრაძისა და გ. სტურუას სახელი. ორივე „ძველი ბოლშევიკი“ იყო და ორივეს ბრწყინვალე პარტიული კარიერა ჰქონდა, მაგრამ „ბიუროკრატიულმა სენმა“ მათაც სერიოზული შეცდომები (დანაშაული!) დააშვებინა – რაც კომუნისტური კანონებით, სტალინის დროს, ძალიან მკაცრად ისჯებოდა. ვალერიან ბაქრაძემ, თბილისში, ვერის პრესტიჟულ უბანში სამსართულიანი სახლი აიშენა უძვირფასესი მარმარილოს ღუმელებით და ხის ძვირფასი ჯიშების ინკუსტრაციებით შემკული ოთახებით. ეს რომ სტალინმა გაიგო, მისი განკარგულებით „ბაქრაძის სახლი“ საბავშვო ბაღს გადასცეს და დღესაც აქ საბავშვო ბაღია. ყოფითი დამახინჯების ფაქტები შეამჩნიეს ცნობილი პარტიული მუშაკის გ. სტურუას ცხოვრებაშიც, რომელიც თვითონ ღარიბი პროლეტარი იყო წარსულში და ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულს სოსო ჯუგაშვილის საგანმანათლებლო ჯგუფში სწავლობდა.

თანამედროვე ექსპერტების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ სტალინმა „მეგრელთა საქმე მოიგონა „დიდი მეგრელის“ – ლავრენტი ბერიას „მოსაშორებლად“, რომ მისთვის „წყალი შეეყენებინა“. მაგრამ რატომ უნდა დასჭირვებოდა ყოვლადძლიერ დიქტატორს თავისი ჩინოსნის გასანეიტრალებლად ასეთი „ალიაქოთი“ – ამაზე პასუხი მათ არა აქვთ. ხომ მოიშორა ნ. ხრუშჩოვმა ბერია, როცა მას ის აღარ დასჭირდა, ძალიან მარტივად და სწრაფად?

„მეგრელთა საქმის“ ჭეშმარიტი მიზეზი უფრო სხვა შეიძლება იყოს და ის უნდა დაუკავშირდეს ქართველთა კონსოლიდაციის პროცესს – ამაზე ხაზგასმით არის აქცენტირებული დადგენილებაში, რასაც ბევრი იგნორირებას უკეთებს.

„უეჭველია, რომ თუ ამხ. ბარამიას მიერ დანერგილი მეგრული შეფობის ანტიპარტიული პრინციპი სათანადო წინააღმდეგობას არ წააწყდება, თავს წამოჰყოფენ ახალი „შეფები“ საქართველოს სხვა პროვინციებიდან: ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, გურიიდან, რაჭიდან, რომლებიც ასევე მოისურვებენ „თავისი“ პროვინციების შეფობას და იქ დანაშაულის ჩამდენთა მფარველობას,

რათა ამით განიმტკიცონ ავტორიტეტი „მასებში“ და თუ ეს მოხდა, საქართველოს კომპარტია დაიშლება რამდენიმე პროვინციულ პარტიულ სამთავროდ, რომლებსაც „რეალური“ ხელისუფლება ექნებათ, საქართველოს კპ (ბ) ცკ-ისა და მისი ხელმძღვანელობისაგან კი მხოლოდ ცარიელი ადგილი დარჩება...“

საკ. პ (ბ) ცკ 1951 წლის 9 ნოემბრის დადგენილება (ამონარიდი)

დადგენილების ეს სულისკვეთება, ძალიან უახლოვდება მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ, ჯერ კიდევ, 1921 წლის ზაფხულში ნათქვამ შემდეგ სიტყვებს: „პარტიკულარიზმი საქართველოს წარსულში ერთი დამღუპველი მიზეზთაგანი იყო. ახალმა საქართველომ უნდა უარყოს ყოველგვარი პარტიკულარიზმი, სულ ერთია რომელი ქართული ტომი გამოიჩენს ამას“.

საქმე იმაშია, რომ ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში წარმატებით დასრულდა, საჭიროებდა გაფრთხილებას, დაცვასა და განმტკიცებას. პარტიკულარიზმი, აქედან გამომდინარე ვიწრო კუთხურობა, ნათლიმირონობა, ე.წ. „ყუფარაძეობა“ (ნათლიმირონობის გამო უღირსთა დაწინაურება და ნიჭიერთა უგულებელყოფა, რაც დღესაც ქართული ყოველდღიური პრაქტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია) ქართველი ერისათვის დაღუპვის ტოლფასია, რადგან ის ხელს უშლის ერის ჯანსაღი ნაწილის განვითარებას, ამყარებს რუტინას, არქაიზმს. ასეთი ანტიეროვნული საქმიანობის წინააღმდეგ უნდა წარმოებდეს პერმანენტული ბრძოლა, რომ ის დაითრგუნოს ისე, როგორც ეს მოახერხეს თავის დროზე დასავლეთ ევროპის ძლიერმა, დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა. სწორედ ეს არის ილიას, აკაკის, გალაკტიონის, კონსტანტინეს და სხვათა გზა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში.

ამ ამბებიდან ძალიან მალე, კანდიდ ჩარკვიანი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და ისიც, ოჯახით, მოსკოვში გაემგზავრა.

თავი VI. აკაკი მგელაძე

ა. მგელაძე

საუბრები სტალინთან. ამ პოლიტიკური მოღვაწის შესახებ საერთოდ არაფერს წერდნენ არც ისტორიკოსები და არც პოლიტიკოსები. სადღაც ჩუმად კულუარებში, „პარტიულ მასებში“ დადიოდა მოარული ხმა „პრინციპულ, მკაცრ, სამართლიან კაცზე, რომელიც რიგით ადამიანზე ზრუნავდა, მისი ბედით ინტერესდებოდა, ებრძოდა მექრთამეებს და მედროვეებს“. სამაგიეროდ, მასზე მხოლოდ ცუდს ლაპარაკობდა პარტიული ელიტის ერთი ჯგუფი.

„ყალბი ცნობების მიწოდებაში განსაკუთრებით გააქტიურდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი მგელაძე, რომელმაც სასმელების და საჩუქრების მირთმევით სტალინის თანაშემწესთან, პოსკრებიშევთან, ახლო ურთიერთობა დაამყარა. სწორედ იგი აწვდიდა ცილისმწამებლურ მასალებს საქართველოს ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკზე, განსაკუთრებით კი მიხა ბარამიაზე“

ალექსანდრე მირცხულავა
საქართველოს კპ ცკ მდივანი (ამონარიდი მოგონებიდან)
გაზ. „ალია“, 2001 წ. 5-11 მარტი.

საქმე იმაშია, რომ 50-იანი წლების დასაწყისში, ისევე როგორც 30-იანი წლების მეორე ნახევარში, წარმატებული ომის ეიფორიამ, ძალიან გააძლიერა ე.წ. „მარშლების სინდრომი“, ანუ საბჭოთა მმართველი ელიტის ერთ ჯგუფში ზომაზე მეტად გაძლიერდა „ობივატელობა“, სწორედ ისეთი ფსიქო-სოციალური განწყობილება, რაც დაემართათ ნაპოლეონ I-ის მარშლებს – ყოფილ ღარიბ, რევოლუციის მიერ წამოტივტივებულ და ნაპოლეონის წარმატებებით გამდიდრებულ ადამიანებს, რომლებსაც მობეზრდათ მუდამ ბრძოლის ველზე ყოფნა და მოენატრათ პარიზში ნეტარი არსებობა. ეს სინდრომი, ფაქტობრივად, დამახასიათებელია ყველა რევოლუციის შემდგომი პერიოდისათვის. სტალინი კარგად გრძნობდა, რომ მის მიერ გაკეთებული საქმის დამხობა მხოლოდ სახედაკარგულ, გადაგვარებულ, კარიერისტ პარტიულ „ბოსებს“ შეეძლოთ, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა ისინი ჩაეყენებინა „საბჭოთა ჩარჩოებში“. მის მიერ დაწყებული „ლენინგრადის საქმე“, „ექიმების საქმე“, „მეგრელთა საქმე“ და ა.შ., სხვა საკითხებთან ერთად, პარტიული ნომენკლატურის „ჩარჩოებში ჩაყენებასაც“ ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, პარტიული ნომენკლატურის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა საშუალება, გარდა მკაცრი რეპრესიებისა – სტალინმა ვერ მოძებნა.

სწორედ პარტიული ნომენკლატურის გადაგვარების წინააღმდეგ საბრძოლველად დააწინაურა სტალინმა ა. მგელაძე, რომელიც თბილისში, საქ.კპ ცენტრალურ კომიტეტში ბევრს არ მოსწონდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1952 წლის აპრილში ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ის საქართველოს კომუნისტების ხელმძღვანელად აირჩია.

ახალმა პირველმა მდივანმა მუშაობა ენერგიულად დაიწყო – მან მთლიანად განაახლა საქართველოს კომპარტიის ბიურო, დააწინაურა ახალი კადრები. როგორც ხალხური გადმოცემები ამტკიცებენ, ის ხშირად უნახავთ თბილისში, ფეხით მოსიარულე, ათვალიერებდა საწარმოო დაწესებულებებს, ხვდებოდა მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას. სავარაუდოა, რომ ის ცდილობდა განეხორციელებინა სტალინის მითითება ქართველ ინტელიგენციასთან დაკავშირებითაც.

„უნდა შეიგნო, რომ არცერთი ხელმძღვანელობა არ იქნება საქართველოში პოპულარული, თუ კი ვერ დაიმსახურებს ინტელიგენციის სიმპათიას. და არა მარტო საქართველოში. ძველ დროში, როცა ამიერკავკასიაში სერგო მუშაობდა, ის საკმაოდ უნარიანად აცემენტებდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ინტელიგენციას პარტიის იდეების გარშემო... სერგოს ამაში ეხმარებოდა მისი პირადი მომხიბვლელობა, განსაცვიფრებელი კაცი იყო! მამია ორახელაშვილსაც კარგად შეეძლო ინტელიგენციასთან მუშაობა, მუდამ ნახულობდა მათთან საერთო ენას...“

ი. სტალინი

ა. მგელაძის მოგონებიდან «Сталин каким я его знал»

(ამონარიდი)

პირველი ნაბიჯები. საქართველოში, ა. მგელაძის მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ეს იყო ძალიან რთული პერიოდი – გამარჯვების საზეიმო, საყოველთაო ეიფორია ვერ ფარავდა იმ სერიოზულ საერთაშორისო დაძაბულობას, რაც მსოფლიოში გამოიწვია ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის (რუსეთის) მოულოდნელმა აღზევებამ. ი. სტალინმა ფაქტობრივად, საერთაშორისო არენაზე გამარჯვებას მიაღწია ძალიან ბევრი მიმართულებით: მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური თუ ნახევრადკომუნისტური, პროსაბჭოთა რეჟიმების დამკვიდრება. წარმატებულად განვითარდა ჩინელი კომუნისტების მცდელობაც და 1949 წლის 1 ოქტომბერს ისინი პეკინში შევიდნენ – თითქმის მილიარდიანი მოსახლეობა შეუერთდა სტალინურ, სოციალისტურ ბანაკს.

1949 წელს, ლ. ბერიას ხელმძღვანელობით, საბჭოთა მეცნიერების ჯგუფმა შექმნა საბჭოთა ატომური ბომბი, რომელიც წარმატებით გამოსცადეს – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მონოპოლია ამ იარაღზე საბოლოოდ დაკარგა. ამან სერიოზულად შეაშინა ამერიკის საზოგადოება, იმდენად სერიოზულად, რომ ქვეყანაში დაიწყო რაღაც „1937 წლის რეპრესიების“ მსგავსი მოვლენები – ანტიამერიკული საქმიანობისთვის ეძებდნენ და სასტიკად სჯიდნენ მემარცხენე შეხედულებების მქონე ადამიანებს, ბევრი უსამართლოდ გასწირეს, იყო ქვეყნიდან გაძევების შემთხვევებიც.

დასავლეთში გადაწყდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ შეექმნათ ერთობლივი ძლიერი ფარი. ამ ერთიანობის იდეოლოგიური საფუძვლები უ. ჩერჩილმა, ჯერ კიდევ, 1946 წელს, ფულტონში გამოსვლის დროს შეამზადა – „ევროპაში ჩამოეშვა რკინის ფარდა“ – ასე უწოდა სტალინის ყოფილმა მოკავშირემ ვითარებას, რაც შეიქმნა II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში. საბჭოთა საფრთხის თავიდან ასაცილებლად, 1949 წელს, ჩამოყალიბდა

„ნატოს“ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აშშ-სა და ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს აერთიანებდა. მალე მას სტალინის ტერიტორიული პრეტენზიებით შეშინებული თურქეთიც შეუერთდა.

საბჭოთა ქვეყანას კი რეალიზებული ატომური პროექტი და უზარმაზარი სამხედრო ხარჯები, ახლადშემოერთებული სტრატეგიული მოკავშირეების (პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვ.) სუბსიდირება ძალიან ძვირი უჯდებოდა და ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა საბჭოთა მწარმოებელს – რიგით მოქალაქეს. საჭირო იყო ან „სუპერსახელმწიფოს“ იმიჯზე უარის თქმა, ან საბჭოთა მოქალაქეებისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. ი. სტალინმა გადაწყვიტა ეს ორი, შეუთავსებელი ამოცანა დაებალანსებინა იმით, რომ გაეუმჯობესებინა საბჭოთა ეკონომიკური სისტემა, ის უფრო ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი გაეხადა.

ახალგაზრდა ეკონომისტებთან ერთად სტალინმა დაიწყო ეკონომიკური პრობლემების შესწავლა, რათა გამოევლინა ახალი რეზერვები და ეკონომიკური შესაძლებლობები, რომლებიც მსოფლიო იმიჯსაც შეუნარჩუნებდნენ საბჭოთა ქვეყანას და თანაც, მოსახლეობაში სოციალური განვითარების ახალ პერსპექტივებს გააღვივებდნენ.

თბილისის ზღვა

საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური პრობლემები შესამჩნევი გახდა საქართველოშიც. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ გრძელდებოდა საინტერესო ეკონომიკური პროექტები – თბილისის მახლობლად, სამგორში, ივრის ზეგანზე, მლაშე ტბების: ავლაბრის, ილდგუნიანისა და კუკიის ადგილას დაიწყეს დიდი წყალსაცავის მშენებლობა, რომელსაც თბილისში საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა წყლის უწყვეტი მომარაგება, უზრუნველეყო ახლომდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ახალი მელიორაციული სიმძლავრეებით და შეექმნა თბილისელების დასვენების კიდევ ერთი ახალი კერა – „თბილისის ზღვა“. ამ ახალი ეკონომიკური პროექტით სრულად იყო დაკავებული ახალი პარტიული ლიდერი. მისი მმართველობის დასაწყისი მთლიანად დაემთხვა XIX პარტიული ყრილობის (1952 წ. ოქტომბერში) მიერ მიღებული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზებას – ხუთწლედში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდა იგეგმებოდა 70 პროცენტით, სოფლის მეურნეობის – 40-50 პროცენტით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის – 18-29 პროცენტით და ა.შ. გათვალისწინებული იყო ტექნიკური კულტურების ინტენსიური ზრდა, ტრანსპორ-

ტისა და საქონელბრუნვის ამაღლება და საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ა.შ.

საქართველოს კომუნისტების ახალი ლიდერი, თავის თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად, ცხოვრებაში ახორციელებდა პარტიის მიზანდასახულობებს, მით უფრო, რომ მას ბევრი ფარული კრიტიკოსი ჰყავდა, რომლებიც მის შესახებ დეტალურ ინფორმაციას აწვდიდნენ მოსკოვში ლ. ბერიას.

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირში, ჯერ კიდევ გრძელდებოდა სტალინის მიერ დაწესებული ყოველწლიური ფასების შემცირების კამპანია, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა ჰქონდა. ამ სოციალურ პროექტზე პოსტსაბჭოთა პერიოდში ეკონომისტებს ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი აქვთ, მაგრამ მასზე ხსოვნა სტალინის გარდაცვალების შემდეგაც ძალიან დიდხანს შემორჩა საბჭოთა რიგით მოქალაქეს.

ი.ბ. სტალინის წიგნი

საქართველოს ეკონომიკაში წარმატებებთან ერთად სულ უფრო აშკარად იკვეთებოდა ნეგატივიც – ეს არ იყო ცალკეული რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მოვლენა. საბჭოთა ეკონომიკა გეგმიური იყო, მთლიანად გამორიცხავდა საბაზრო ურთიერთობების ელემენტებს, ეფუძნებოდა წარმოების საზოგადოებრივ საკუთრებას და მას მუდმივად გაძლიერებული ყურადღება, „ხელით წაბიძგება“ სჭირდებოდა. სწორედ ამიტომაც დაწერა ი. სტალინმა – „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

„აუცილებელია მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოების განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელი სიცოცხლე ერთ რომელიმე პროფესიაზე კი არ იყვნენ მიჯაჭულნი, არამედ, თავისუფლად აირჩიონ პროფესია“...

ი.ბ.სტალინი

„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ (ამონარიდი)

ნაშრომში, სტალინის მიერ ჩამოყალიბებული ეკონომიკის მართვის სახელმძღვანელო დებულებების პრაქტიკულად რეალიზება უფრო რთული ამოცანა აღმოჩნდა. ა. მგელაძეს ამისათვის არც დრო ჰქონდა და არც საქართველოს კომუნისტური ნომენკლატურის მხარდაჭერა. მხოლოდ ქართველი კომუნისტების ერთ ყრილობაზე მოუწია ა. მგელაძეს გამოსვლა საანგარიშო მოხსენებით, 1952 წლის სექტემბერში, სადაც მან წარმოადგინა თავისი ხედვა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კარდინალურ საკითხებზე, გამოკვეთა მიღწევებიც და წარმოაჩინა ნაკლოვანებებიც, რაც შემდგომ გამოსწორებას საჭიროებდა. ფრი-

ად კარგი მაჩვენებელია, როცა საქართველოს მრეწველობა 1952 წლის მხოლოდ 8 თვეში გაიზარდა 8 პროცენტით. მაგრამ იყო სერიოზული ჩავარდნებიც – იმავე წელს რესპუბლიკის 317 მსხვილმა სამრეწველო საწარმომ ვერ შეასრულა გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო დავალებები. სერიოზული პრობლემები იყო სოფლის მეურნეობაში – ვერ შესრულდა სახელმწიფო დავალებები სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგებში (ჩაი, ციტრუსები, ყურძენი და სხვ.).

ა. მგელაძეს სურდა ქართველი კომუნისტების დახმარებით დაეძლია ჩამორჩენა და მოეპოვებინა ახალი გამარჯვებები, მაგრამ მას დრო უკვე აღარ ეყო... დრო მის საწინააღმდეგოდ მუშაობდა.

1953 წლის 5 მარტს, მოსკოვთან ახლოს, თავის აგარაკზე გარდაიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ი.ბ. სტალინი. როგორც დღევანდელი ექსპერტები ამტკიცებენ, მისი გარდაცვალების მეორე დღესვე მისმა „მოწაფეებმა“ დაიწყეს სტალინური სისტემის დემონტაჟი. ლ. ბერია კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩაუდგა სათავეში და პოლიტბიუროში თავისი გავლენები განამტკიცა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ნ. ხრუშჩოვი გახდა, ხოლო საბჭოთა მთავრობას გ. მალენკოვი ჩაუდგა სათავეში.

უპირველესი, რაც გააკეთა ახალმა საბჭოთა ხელმძღვანელობამ საქართველოში, ა. მგელაძე გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად ა. მირცხულავა დანიშნა, რომელიც აშკარად ლ. ბერიას მფარველობით სარგებლობდა და ა. მგელაძეს სერიოზულად უპირისპირდებოდა.

აჯანყება ბერლინში

1953 წლის ივნისში, აღმოსავლეთ ბერლინში იფეთქა ანტისაბჭოთა გამოსვლებმა, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ფუნქციონირებას. გერმანიაში ვითარების დასარეგულირებლად სასწრაფოდ გააგზავნეს ლ. ბერია, რომელმაც ვითარება სწრაფად დააცხრო და იქ პროსაბჭოთა რეჟიმი შეინარჩუნა. როგორც დღეს ამტკიცებენ, ლ. ბერია თავისი უშრეტი ენერგიით და ორგანიზატორული თვისებებით სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა კრემლის ახალი ხელმძღვანელობისათვის. 1953 წლის ივლისში, გამოგონილი ბრალდებით, ის დააპატიმრეს და მალევე დახვრიტეს. როგორც ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტშია ხაზგასმული, „ბერია და მისი თანამზრახველები დიდი ხნის განმავლობაში სჩადიოდნენ უკანონობას, თხზავდნენ ყალბ ბრალდებებს პატიოსანი პარტიული და საბჭოთა მუშაკების წინააღმდეგ, მხეცურად უსწორდებოდნენ მათ“.

საქართველოში დაიწყო ტოტალური პროცესი „დებერიიზაციისა“ – უამრავ ფაბრიკა-ქარხანას, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას

შეეცვალა სახელწოდება, წიგნებში, სადაც კი შესაძლებელი იყო, მელნით გადაიშალა ბერიას გვარსახელი, მისმა ნათესავებმა და მოგვარეებმა სასწრაფოდ გამოიცვალეს გვარი...

მაგრამ ა. მგელაძე პარტიულ სამუშაოზე აღარ დააბრუნეს. ერთ ხანს საკმაოდ წარმატებით ხელმძღვანელობდა ბებნისის ეკონომიკურად ძლიერ საბჭოთა მეურნეობას, სადაც მასთან არაერთი სახლოვანი და მსოფლიოში სახელგანთქმული ადამიანი სტუმრობდა (სსრკ ავიაციის მთავარი მარშალი ა. ე. გოლოვანოვი, მწერალი ა. ანტონოვსკაია, აკად. ა. ზურაბაშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე და მრავალი სხვა).

1953 წლის სექტემბერში, კვლავ „გამოაშკარავდა სერიოზული ნაკლოვანებები რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში: პლენუმმა არადამაკმაყოფილებლად სცნო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა და შეიმუშავა ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ შეცდომების გამოსწორებას და პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას“. ამის გამო, სულ ახლადარჩეული საქ კპ ცეკას პირველი მდივანი, ა.ი.მირცხულავა გაანთავისუფლეს თანამდებობიდან და მის ნაცვლად ქართველ კომუნტისტებს სათავეში ჩაუდგა პროფესიონალი სამხედრო, გენერალ-ლეიტენანტი ვასილ პავლეს ძე მჟავანაძე.

თავი VII. ვასილ მჟავანაძე



ვ. მჟავანაძე

1902 წლის 20 სექტემბერს, ქუთაისში დაიბადა ვასილ პავლეს ძე („ვასილ პავლოვიჩი“ – ასე მიმართავდნენ მას მისი თანამშრომლები და ასე დარჩა ისტორიაშიც), მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწე საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, პროფესიონალი სამხედრო, პროლეტარული ბიოგრაფიით, ღარიბი ოჯახიდან, რომელიც საკუთარი ცოდნითა და გამჭრიახობით სახელმწიფოს მაღალი რანგის მოღვაწე გახდა. ის 1924 წლიდან უკვე სამხედრო სტრუქტურებში საქმიანობდა და კარიერა რიგითი ჯარისკაცობით დაიწყო. საბჭოთა სისტემამ მას მისცა ყველაფერი – ცოდნა, გამოცდილება, კარიერული ზრდა, წარმატება. მან დაამთავრა ლენინგრადის ვ.ი.ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემია და უკრაინის სსრ სხვადასხვა სამხედრო ოლქში კარგი სახელი ჰქონდა დამკვიდრებული თავისი პროფესიონალიზმის, თეორიული მომზადებით თუ პრაქტიკული სამხედრო-პარტიული საქმიანობით. სწორედ უკრაინაში მუშაობის დროს გაეცნო და დაუახლოვდა ვასილ მჟავანაძე სკკპ ცეკას მომავალ ხელმძღვანელს, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს, რომელიც ერთ ხანს უკრაინის კომპარტიის ცეკას I მდივანიც იყო.

„რომელ ეპოქაში ან სისტემაში უნდა ეცხოვრა მამას, რომელი პარტიის წევრიც უნდა ყოფილიყო – დარწმუნებული ვარ, იგი ყოველთვის თავისი ქვეყნის პატრიოტად დარჩებოდა და მისი მთავარი მიზანი ადამიანზე ზრუნვა იქნებოდა“.

ალექსანდრე მჟავანაძე (ვაჟიშვილი)

საქართველოში ჩამოსვლა, მრავალი წლის განშორების შემდეგ, მისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა – ვითარება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში არასახარბიელო ჩანდა – ცეკას პირველი მდივნების „ათთურმამ“ გაამწვავა ვითარება – სამ წელიწადში სამი პირველი მდივანი შეიცვალა, აშკარად დატრიალდა კადრების „კარუსელი“, საქართველოს კომპარტიის ცეკა უმართავ სამართავს ჰგავდა – უმაღლესი პარტიული მოღვაწის ხშირი გადაყენება თითქმის მთლიანად ცვლიდა მართვის ვერტიკალს.

პირველ რიგში საჭირო იყო საკადრო პოლიტიკის ოპტიმიზირება და საკუთარი ერთგული გუნდის ჩამოყალიბება. ძალიან მალე შეიქმნა თანამოაზრეთა სამეული, რომელშიც მასთან ერთად შევიდნენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი. ამ ჯგუფს შემდეგ შეუერთდნენ: აკად. გიორგი ძოწენიძე, რომელიც მოგვიანებით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახდება, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვიქტორია სირაძე, საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილების ხელმძღვანელი - როინ მეტრეველი, განათლების მინისტრი თამარ

ლაშქარაშვილი, კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი და მრავალი სხვა. როგორც იმჟამინდელი პარტისტორიის სპეციალისტები ამტკიცებდნენ, ვ. მჟავანაძის ხელმძღვანელობით „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გააჩაღა ბრძოლა ხელმძღვანელობის ფორმალურ-ბიუროკრატიული მეთოდების წინააღმდეგ, აღმზრდელობითი მუშაობის ადმინტისტრირების წინააღმდეგ. სერიოზული ყურადღება დაეთმო ხელმძღვანელობის კოლექტიურობის საკითხებს, პარტიული და სამეურნეო მუშაკთა კადრების შერჩევასა და განაწილებას“ და ა.შ.

მართველობის პირველ წლებში ვ. პ. მჟავანაძე მთლიანად მოსკოვზე იყო დამოკიდებული, ტრადიციულად იქიდან იღებდა ცირკულარებს და დადგენილებებს. მოსკოვში, კრემლში კი ვითარება ფრიად დაძაბული ჩანდა – ფარულად მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის: ლ. ბერიას უსამართლო რეპრესიამ ვერ განმუხტა ვითარება კრემლში. პარტიული „ბოსები“ აშკარად ავლენდნენ უსუსურობას, დაბნეულობას. ასეთ ვითარებაში, თანდათან დაწინაურდა ნ. ხრუშჩოვი, რომელმაც მიზნად დაისახა „დესტალინიზაციის“ პროცესის ბოლომდე მიყვანა.

1956 წლის თებერვალში სკკპ XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვმა, პოლიტბიუროს წევრებთან შეუთანხმებლად, ყრილობის დასასრულს წაიკითხა მომზადებული მოხსენება: „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“. როგორც დღეს ამტკიცებენ ექსპერტები, მოხსენება ძალიან უსამართლო იყო თავისი შინაარსით, არა არგუმენტირებული, ცილისმწამებლური და მიზნად ისახავდა საბჭოთა სისტემის ყველა დანაშაულისა თუ გადაცდომის სტალინისათვის დაბრალებას, რაც რიგით ადამიანში უსამართლობის განცდას ბადებდა.

„სტალინის ყველა დამსახურება თუ შეცდომა – ობიექტურად არსებული ისტორიული რეალობაა. თუ ერთმანეთს შევადარებთ სტალინის დამსახურებებსა და შეცდომებს მას დამსახურება უფრო მეტი აქვს, ვიდრე შეცდომა. სტალინის მოღვაწეობაში მის ძირითად შემადგენელს მართებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს, ხოლო მისი შეცდომები – მხოლოდ მეორეხარისხოვანია. ყველა პატიოსანი, ისტორიის დამფასებელი კომუნისტი, სტალინის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის გააზრებისას, უნდა ხედავდეს მისი მოღვაწეობის ამ მთავარ, მართებულ მხარეს. ამიტომაც სამართლიანად შევიმეცნებთ, გავიაზრებთ, გავაკრიტიკებთ და გამოვასწორებთ რა მის შეცდომებს, აუცილებლად დავიცავთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ, მართებულ მხარეს...“

მაო ძედუნი

ბევრმა სწორედ ასე აღიქვა ხრუშჩოვის ანტისტალინური მოხსენება საქართველოშიც, სადაც, ამასთან ერთად, წამოტივტივდა სტალინის ეთნიკური კუთვნილების საკითხიც – „ის რომ ქართველი იყო, ამიტომაც შეჰკადრესო, ამიტომ გასწირესო, რუსს ამას არ გაუბედავდნენო“ და ა.შ. ამდენად, საქართველოს საზოგადოების გარკვეულ წრეებში ხრუშჩოვის მიერ სტალინის კრიტიკა ანტიქართულ ისტერიად ჩაითვალა (დაიმახსოვრე ეს მკითხველო, ამას ჩვენ საქართველოში კიდევ გადავაწყდებით 30 წლის შემდეგაც!) და ამ დემარშზე საკუთარი მკაცრი პასუხიც მომზადდა.

1956 წლის 9 მარტი. თბილისში, სანაპიროსთან, სადაც ი. სტალინის უზარმაზარი ქანდაკება იდგა, 5 მარტიდან, სტალინის გარდაცვალების

წლისთავის აღსანიშნავად, თბილისელებისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული ადამიანების უამრავი რაოდენობა შეიკრიბა. ისინი ადასტურებდნენ საბჭოთა სისტემისა და სტალინის ხსოვნისადმი უდიდეს ერთგულებას – კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ხელმძღვანელმა ბირთვმა ათეული წლების მანძილზე იმდენი უმტკიცა თავის რიგით მოქალაქეს სტალინის შეუცდომლობის, გენიალურობის დოგმა, რომ საზოგადოებაში თაობები გაიზარდნენ ამ დოგმატიკაზე და დღეს ისინი საკუთარ თავს უსვამდნენ შეკითხვას – როდის იყო მატყუარა კომუნისტური პარტია, როცა ის სტალინის შეუცდომლობაზე ლაპარაკობდა, თუ დღეს, როცა ცდილობენ ყველა შესაძლო დანაშაული სტალინის პიროვნებას უაპელაციოდ „მიაწერონ“?

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შინაგანად გრძნობდა, რომ „სტალინს ხელი შეახოცეს“, „სტალინს დააბრალეს ის, რაც ლენინისა და სრულიად კომუნისტური პარტიის დანაშაული იყო“, რომ „სტალინი განტევების ვაცად აქციეს“. ამრიგად, აქციაში მონაწილე რიგით ქართველს ამოძრავებდა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისა და უღირსად ფეხქვეშგათელილი, დაუცველი პიროვნების გამოქომაგების სურვილი. სტალინის კრიტიკა საქართველოში, ასევე, აღქმული იყო ქართველის ღირსების შებღალვად და სწორედ ამანაც დაბადა უდიდესი მოთხოვნილება ამას წინ აღდგომოდნენ, დაეცვათ ქართველი კაცის ეროვნული ღირსება.

9 მარტი 1956 წ.

სანაპიროზე, სკვერთან, მონუმენტის წინ იკრიბებოდა საქართველოს ყველა თაობისა და სოციალური ფენის წარმომადგენელი. სიტყვებით გამოდიოდნენ ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ადამიანები, თბილისის თეატრის მსახიობები ლენინისა და სტალინის გრიმში პერფორმანსებს მართავდნენ, მგზნებარე მოწოდებებით გამოდიოდნენ ცნობილი მწერლები და პოეტები, იკითხებოდა საბჭოთა პატრიოტული ლექსებიც.

იმჟამად თბილისში სტუმრობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე – ის კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში იმყოფებოდა. მიტინგზე შეკრებილებმა მასთან დელეგაცია გააგზავნეს და აზრის გამოთქმა სთხოვეს. ჯუ დემ თავისი წარმომადგენელი გააგზავნა სანაპიროზე, რომელმაც მიტინგზე ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობის შესახებ მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა.

ის დღეები ვასილ მჟავანაძის გამოცდის დღეები იყო – თვითონაც სტალინის კულტის პირობებში გაზრდილი სამხედრო კაცი, შინაგანად, ალბათ, თანაუგრძნობდა თანამემამულეებს, მაგრამ მოსკოვიდან დაშიფრული დეპეშებიც მოსვენებას არ აძლევდნენ – მოსკოვი ითხოვდა დროულ რეაგირებას. ვ. მჟავანაძე სამჯერ შეხვდა მომიტინგეებს, სთხოვა დაშლილიყვნენ, რათა თავიდან აეცილებინათ ვითარების ესკალაცია, რასაც შეიძლება ცუდი შედეგები მოეტანა. საერთო მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ თბილისის გარდა მიტინგები იმართებოდა გორში, ქუ-

თაისში, ცხინვალში, ბათუმში, სოხუმში. ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით, თბილისში შემოიყვანეს სპეციალური სამხედრო ნაწილები და სამხედრო ტექნიკა, ჩამოვიდა მისი პირადი წარმომადგენელიც.

მიტინგზე ვითარება ძალიან დაიძაბა 9 მარტს ღამით, როცა ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა მოსკოვში საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის გაეგზავნა დეპეშა და ამ მიზნით, კავშირგაბმულობის სახლისკენ გაემართა, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობდა. მაგრამ აქ უკვე დისლოცირებულნი იყვნენ საბჭოთა მებრძოლები, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეებს და ახალგაზრდები ჩაცხრილეს.

დაზუსტებული ინფორმაციით, იმ ღამეს დაიღუპა 23 კაცი, დაიჭრა – 36 ადამიანი. დაღუპულთა შორის იყვნენ მუშები, სტუდენტები, რიგითი მოქალაქეები. თბილისში ვითარებას უკვე სრულად განკარგავდა მოსკოვიდან ხრუშჩოვის სპეციალური წარმომადგენელი – მისი ბრძანებით, მეორე დღეს თბილისში დააპატიმრეს 318 კაცი, ბევრი მათგანი ერთი თვე იზოლაციაში ამყოფეს.

სულ პირველად ქართველებმა სტალინის საქმისათვის სისხლი 1902 წლის 9 მარტს დაღვარეს – ბათუმში მის მიერ ორგანიზებული პროლეტარული სოლიდარობის მიტინგის დარბევის დროს. ამის შემდეგ კი მისი საქმისათვის დაიღვარა უამრავი ქართული (და არა მარტო ქართული) სისხლი და კიდევ უფრო მეტი – ოფლი. 1956 წლის 9 მარტს, ქართველებმა თავისი სისხლი უკანასკნელად გაიღეს სტალინისათვის...

1956 წლის 9 მარტი ნიშანსვეტია საქართველოს ისტორიაში – მან საკმაოდ შეარყია საბჭოთა სისტემა რესპუბლიკაში და მოკლა რწმენა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ძალიან დიდ უმრავლესობაში. მან საფათის ძილისაგან გამოაფხიზლა ქართველობა და საქართველოში დაიწყო „დესოვეტიზაციის“ შეუქცევადი პროცესი. მაგრამ, რაც მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია – სერიოზული ტეხილი მოხდა თვით საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის, ვასილ მჟავანაძის პიროვნებაშიც – მასაც ბევრ რამეზე აეხილა თვალი...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, უშუალოდ ვასილ მჟავანაძისა და მისი პოლიტიკური გუნდის სასახელოდ, რომ მათ შეძლეს შეუძლებელი – 9

მარტის სიხლიანი ტრაგედიის მორალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალა საქართველოს საზოგადოებაზე მინიმალური აღმოჩნდა, მან არ გამოიწვია ის შოკი და მორალურ-ფსიქოლოგიური კოლაფსი საზოგადოებაში, რაც მოხდა 30 წლის შემდეგ 1989 წლის 9 აპრილს. ისტორია ადასტურებს, რომ 9 მარტის დამთრგუნველი ზეგავლენა არ განუცდია არც ქართულ ეკონომიკას, არც მეცნიერებას და არც კულტურას. ეს ფაქტორი ძალიან მალე გახდება საცნაური.

თბილისი 1500. ნ. ს. ხრუშჩოვი, ალბათ, შინაგანად გრძნობდა დიდ დანაშაულს ქართველების წინაშე და ის აშკარად შეეცადა რაიმე ფორმით ვითარების განმუხტვას. ეს აშკარად გამოვლინდა რესპუბლიკისათვის ახალ, დიდ, ზეგეგმურ სუბსიდიებში, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში, მეცნიერებისა და ხელოვნების ქართველი წარმომადგენლების მატერიალურ თუ მორალურ წახალისებაში. 1957 წელს ლენინური პრემიის პირველი ლაურეატების სიაში იყო ქართველი ისტორიკოსი, პროფ. გიორგი მელიქიშვილი, რომლის გამოკვლევებმა ურურტულოგიაში, საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და დღესაც, ამ დარგის სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნია. იმ წლებში მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდებები: ქორეოგრაფ ი. სუხიშვილს, მსახიობ ვ. გოძიაშვილს, დირიჟორ ო. დიმიტრიადის და სხვებს. თბილისში გაიხსნა ტელესტუდია და დაიწყო ყოველდღიური მაუწყებლობა, ექსპლოატაციაში გაუშვეს ახალი ფაბრიკები და ქარხნები.

მოსკოვის ცენტრალურმა მთავრობამ ასევე გამოჰყო საკმაო სუბსიდია, რომ ქართველებს დიდი ზეიმით აღენიშნათ თბილისის დაარსების 1500 წლისთავი. საბჭოთა მთავრობის მიერ გამოყოფილი დამატებითი თანხები მოხმარდა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე საბაგირო ხაზის მშენებლობას და მის ექსპლუატაციას, თბილისს შეემატა ახალი კეთილმოწყობილი ქუჩები, სკვერები, მოედნები.

საიუბილეო ღონისძიება თავიდანვე კოლოსალური ჩაიფიქრეს – ის ქართველობის ეროვნული დღესასწაული უნდა გამხდარიყო – ყველაფერი რაც კარგი იყო, საჯაროდ გამოიტანეს: იმართებოდა ქართული მუსიკის, თეატრალური ხელოვნების, კინოს, სახალხო ფოლკლორის მიღწევების დემონსტრაცია. მოსალოცად მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დედაქალაქებიდან და საზღვარგარეთიდანაც ბევრი სტუმარი ჩამოვიდა.

იმ დღეებში საოცრად წარმოჩინდა ქართული ეროვნული შემოქმედება. რევაზ ლაღიძემ და პეტრე გრუზინსკიმ იუბილეს მიუძღვნეს თავისი უჭკნობი შედევრი – „სიმღერა თბილისზე“, რომელიც დებმა ჩაფიჩაძეებმა შეასრულეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს ლეგენდას.

საიუბილეო დღეებში ყველგან ისმოდა რ. ლაღიძის საოცრად ეროვნული, თბილი და კოლორიტული სიმღერები, კანტატები. სწორედ იმ

წლებში, განსაკუთრებული ჟღერადობა შეიძინა მისმა მუსიკამ ქართული მხატვრული ფილმებისათვის, რომელთა მშვენიერება დღესაც ატკბობს მსმენელს.

თბილისში მოეწყო ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა. მეტეხის კლდეზე, ისტორიული ტაძრის წინ, საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ლეგენდარული მეფის ვახტანგ გორგასლის ძეგლს (მოქანდაკე ე. ამაშუკელი), კომკავშირის ხეივანში დაიდგა „ქართლის დედის“ მრავალმეტრიანი ქანდაკება (მოქანდაკე ე. ამაშუკელი), თბილისის I საშუალო სკოლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე, დაიდგა ვ. თოფურიძის მიერ შესრულებული ილიასა და აკაკის სკულპტურული მონუმენტი. იუბილის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო დიდი სახალხო ზეიმი თბილისის „დინამოს“ არენაზე, რაც ფანტასტიკური ფეიერვერკით დასრულდა.

ნ. ხრუშჩოვმა, ალბათ, ჩათვალა, რომ ცოდვა ქართველების წინაშე ბოლომდე გამოისყიდა...

ხრუშჩოვი და მჟავანაძე. ნ. ხრუშჩოვს ქართველები შინაგანად არ უყვარდა, შეიძლება ეს მომდინარეობდა სტალინის მიმართ მისი მრავალწლიანი ფარული ზიზღიდან და ძალაუფლებით აღჭურვილი ამას ძალიან ხშირად ავლენდა. 50-იანი წლების დასასრულს, ნ. ხრუშჩოვმა განიმტკიცა პოზიციები პარტიაში, შეძლო სერიოზული ოპოზიციის (ვ. მოლოტოვის, გ. მალენკოვის, ლ. კოგანოვიჩის და სხვების) ნეიტრალიზება. მან თანამდებობიდან გადააყენა თავდაცვის მინისტრი გ. ჟუკოვი, რომელსაც „ბონაპარტისტული“ ტენდენციები შეამჩნია და ფაქტობრივად უზარმაზარი სოციალისტური ქვეყნის ლიდერი გახდა. მართალია, მას სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა ჩინეთისა და ალბანეთის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელებთან, რის გამოც მოხდა განხეთქილება ერთიან კომუნისტურ მოძრაობაში, მაგრამ საბჭოთა კავშირში ის მაინც ყველასათვის „ძვირფასი ნიკიტა სერგის ძე“ იყო.

ვ. მჟავანაძესთან ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ის ხრუშჩოვის მიერ დაწინაურებული კადრი იყო (უკვე სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი), არც თუ მთლად უღრუბლო ჩანს. აგრესიული ქმედებები, უხეშობა და ხრუშჩოვის ზოგჯერ აშკარა დაუფარავი შინაგანი ანტიქართული განწყობა, მისი მოუზომავი იმპულსები, უსამართლობა არ მოსწონდა შინაგანად მოწესრიგებულ ქართველი კომუნისტების ლიდერს. არსებობს უამრავი ფაქტი და მოგონება, რომელიც მიუთითებს, რომ ვ. მჟავანაძეს უწევდა ყოფილიყო მაქსიმალურად ფრთხილი, გამოეჩინა უდიდესი მოქნილობა, რომ გაენეიტრალებინა ხრუშჩოვის იმპულსური ბუნებიდან გამომდინარე ანტიქართული საქმეები, რომლებიც ქვეყნისათვის შეიძლება ტრაგიკულად დასრულებულიყო.

ფ. კასტრო და ნ. ხრუშჩოვი საქართველოში

ყველაზე უფრო ხშირად ანტიქართულ ტენდენციებს ნ.ხრუშჩოვი აფხაზეთთან დამოკიდებულებაში ავლენდა. ტრადიციულად, ის ხშირად ისვენებდა გაგრის სამთავრობო რეზიდენციაში და ხვდებოდა ადგილობრივ პარტიულ თუ საბჭოთა ხელმძღვანელებს. ეთნიკურ აფხაზებთან შეხვედრის დროს ის არ ერიდებოდა წაექეზებინა ისინი ანტიქართული საქმეებისკენაც...

„მე როგორღაც ბიჭვინთის აგარაკზე ხრუშჩოვმა სადილზე დამიბარა. ვისადილეთ. სულ ცოტა დავლიეთ კიდეც. სადილის შემდეგ ხრუშჩოვი მეკითხება: „მისმინე, ბგაჟბა, წაიკითხე დღევანდელ „პრავდაში“ ინფორმაცია ჩემს მიერ უცხოელი სტუმრის მიღების შესახებ?

– არა, არ წამიკითხავს, ნიკიტა სერგის ძევ, – ვადიარე მე.

ხრუშჩოვმა დაავალა თანაშემწეს მოეტანა „პრავდის“ ნომერი და თითით მიჩვენა პირველ გვერდზე დაბეჭდილი საგაზეთო მასალა. მე სასწრაფოდ გადავავლე თვალი ამ ინფორმაციას.

– აბა, რა წერია? – შემეკითხა ხრუშჩოვი და თვითონვე უპასუხა დასმულ კითხვას: – რომ მე ის მივიღე სოჩის რაიონში. ხოლო მე ის სად მივიღე? აი აქ, ამ ოთახში, ხომ გაიგე?

– ვერა, – ვუთხარი მე.

– რა არის აქ გაუგებარი, – განრისხდა ხრუშჩოვი, – მე მივიღე უცხოელი ბიჭვინთის აგარაკზე, ხოლო ინფორმაციაში კი ნათქვამია, რომ მიღება მოხდა სოჩის რაიონში. ახლა ადექი, მოტვინე ცოტა და მომიმზადე მოხსენებითი ბარათი.

მე შეშინებულმა ვიაზრე, რომ ის მე მაიძულებდა დამეწერა მოხსენებითი ბარათი აფხაზეთის კრასნოდარის მხარესთან შეერთებაზე, მე კი ამის გაკეთებას არ ვაპირებ, რადგან ეს იქნება აფხაზი ხალხის საბოლოო განადგურება...

მ. თ. ბგაჟბა

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის I მდივანი (1962 წ.)

ცნობილი პარტიული მუშაკი დევი სტურუა, სტურუების დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი, რომელსაც ვ.პ. მჟავანაძესთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და სამთავრობო სტრუქტურებში არსებულ ვითარებაშიც კარგად ერკვეოდა, თავის მოგონებებში იმასაც კი იხსენებს, რომ ქართველების მოძულე ნიკიტა ხრუშჩოვი ერთჟამს, ერთი რუსი დამსვენებლის ბრიყვულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქართველების ტოტალურად ყაზახეთში გასახლებას აპირებდა. ნ. ხრუშჩოვი ამის შესახებ თვითონ პირადად ელაპარაკა ვ. მჟავანაძეს სამთავრობო ტელეფონით. ეს ინციდენტი ვ. პ. მჟავანაძის აქტიური ჩარევით განეიტრალდა. ხოლო ამის შემდეგ, უკვე 1963 წელს, ფიდელ კასტროსთან ერთად, ნ. ხრუშჩოვი უკანასკნელად ესტუმრა საქართველოს სკკპ ცეკას პირველი მდივნის რანგში.

შესაძლებელია, ვასილ მჟავანაძემ გულში ჩაიდო ხრუშჩოვის მიერ ესეთი გახშირებული ანტიქართული გამოხდომები და სამაგიერო თავისებურადაც გადაუხადა 1964 წელს, როცა ხრუშჩოვის წინააღმდეგ ცენტრალურ კომიტეტში მომზადდა დიდი შეთქმულება.

საქმე იმაშია, რომ ნ. ხრუშჩოვმა თავისი არაპროფესიონალიზმით, იმპულსური ბუნებით, სერიოზული დიპლომატიური შეცდომებით ხელი შეუწყო მსოფლიოში დაძაბულობის ესკალაციას – ჯერ იყო მის მიერ

პროვოცირებული „კარიბის კრიზისი“, რაც გამოიწვია კუბაზე დაუფიქრებლად საბჭოთა ატომური იარაღის შეტანამ. ეს ნაბიჯი ფაქტობრივად დიდი სამხედრო დაპირისპირების პრელუდიად ჩაითვალა და მისი განმუხტვა ძლივს მოხერხდა.

უკვე საბოლოოდ მოხდა განხეთქილება ჩინეთის, ალბანეთისა და იუგოსლავიის კომუნისტურ პარტიებთან; 1962 წელს, სკკპ XXII ყრილობაზე, მიიღეს კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც ჩაიწერა უტოპიური ილუზიები – საბჭოთა კავშირში 20 წელიწადში (1980 წ.) უნდა აშენებულიყო კომუნისტური საზოგადოება. ეს ყველაფერი, აშკარად მიუთითებდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს არაადეკვატური ხელმძღვანელი ჰყავდა.

1964 წლის ოქტომბერში, მოსკოვში უკვე ყველაფერი მომზადდა იმისათვის, რომ ნ. ხრუშჩოვი გადაეყენებინათ დაკავებული თანამდებობიდან. როგორც საქმეში კარგად ჩახედულები ამტკიცებენ, ვასილ მჟავანაძე ამ საქმეში აქტიურად მხარში ამოუდგა შეთქმულებს და მათ ერთად შეძლეს ნ. ხრუშჩოვის „პენსიაზე გაცილება“. ასე გადაუხადა სამაგიერო „ვასილ პავლოვიჩმა“ ქართველთმოძულეს ქართველების სახელით.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოვიდა ახალი ხალხი: პარტიას სათავეში ჩაუდგა ლ.ი. ბრეჟნევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა ა.ნ. კოსიგინი, რომელსაც სიძე ქართველი, ჯ. გვიშიანი ჰყავდა.

ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ ამ შემთხვევაშიც გაიმარჯვა...

ახალი ეკონომიკური რეფორმები. ნ. ხრუშჩოვის დამხობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, მისმა გაუმართლებელმა ეკონომიკურმა ნოვაციებმაც გამოიწვიეს: მან ჯერ გააუქმა დარგობრივი სამინისტროები და მათ ნაცვლად შექმნა „სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები“, ნაკლებად ეფექტიანი, მოუქნელი ეკონომიკური სტრუქტურა. სიახლემ საბჭოთა ეკონომიკაში სერიოზული წინსვლა ვერ გამოიწვია. შუაზე გაყო პარტიული ორგანიზაციები დარგობრივი პრინციპით: სამრეწველო და სასოფლო სამეურნეოდ, რამაც ადმინისტრაციული მუშაობა დაქსაქსა. მიუხედავად იმისა, რომ სხვებზე უფრო სოფლის მეურნეობის გაჯანსაღებას ცდილობდა და, ამერიკელების წაბაძვით, სიმინდის ტოტალურ კულტივირებასაც აპირებდა (მაგალითად, საქართველოში ყოფნისას მან ურჩია საქართველოს ხელმძღვანელობას „მიწის რაციონალურად გამოყენების მიზნით“ სიმინდი დაეთესათ ვენახებში, ვაზის რიგებს შორის), მაინც სამომხმარებლო ბაზარზე ვითარება ისე გაუარესდა, რომ საბჭოთა ქვეყანა პურის დეფიციტის წინაშე დადგა. ქალაქებში პურის მაღაზიებთან კვლავ გაჩნდა გრძელი რიგები.

ლ. ბრეჟნევი

1961 წელს განხორციელდა ფულის რეფორმა, რომელმაც ათჯერ შეამცირა ფულის არსებული მასშტაბი და მომავალში საბჭოთა ფულის ინფლაცია გამოიწვია. როგორც ექსპერტები ამბობენ სიძნელეები შეიქმნა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად შემცირდა შრომის-

ნაყოფიერება, ყოველ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უკუგება, ჭიანურდებოდა ახალი სამრეწველო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლა, ნელა ინერგებოდა წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, ეკონომიკური დაგეგმვის დროს ხშირი იყო შეცდომები, ადგილი ჰქონდა მართვის პროცესში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გამოვლენას, წარმოებული პროდუქცია იყო დაბალი ხარისხის, საბჭოთა ქვეყანაში ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა პროდუქციის დიზაინს, მის იერსახეს. იყო სხვა პრობლემებიც.

ხელისუფლების სათავეში მოსულმა ლ.ი. ბრეჟნევის პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული ბევრი „ნოვაციის“ მოქმედება შეაჩერა: აღადგინეს სამინისტროები, გააერთიანეს დაშლილი პარტიული ორგანიზაციები, და რაც მთავარია, დაიწყეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. სკკპ ცკ 1965 წლის სექტემბრის პლენუმმა მიიღო დადგენილება: „მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფის და სამრეწველო წარმოების ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების შესახებ.“

დადგენილება ითვალისწინებდა ეკონომიკურ რეფორმას, რომლის დროს განსაკუთრებული ყურადღება საწარმოთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოების საკითხებს უნდა დათმობოდა. დაგეგმარების დროს მაქსიმალურად უნდა გათვალისწინებულიყო საწარმოთა შესაძლებლობები. დაწესდა მატერიალური წახალისების ახალი სისტემა, ე.წ. „მეცამეტე ხელფასი“. მისი ოდენობა მთლიანად იყო დამოკიდებული საწარმოს წლიური ეკონომიკური მაჩვენებლების საბოლოო შედეგებზე. მიზნად დაისახეს ფართოდ წაეხალისებინათ რაციონალიზატორ-გამომგონებელთა მოძრაობა, ამ მიზნით დამატებითი რესურსები გამოიძებნა და ა.შ. მოსახლეობისათვის განსაკუთრებით მისაღები და მოსაწონი იყო, რომ დაწესდა კვირაში ორი გამოსასვლელი დღე (შაბათი და კვირა) და ამასთან, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ასამაღლებლად დაიწყო სამრეწველო პროდუქტების განვადებით ვაჭრობა. მან ძალიან წაახალისა საბჭოთა სავაჭრო სისტემა, რომელიც მანამდე საკმაოდ მოუქნელად მუშაობდა.

ამ დადგენილების რეალიზაციის პირველ ეტაპზე, 1966 წლის 11 იანვარს, თბილისში გაიხსნა მეტროპოლიტენი – მეოთხე საბჭოთა კავშირში, 33-ე – მსოფლიოში.

ამავე წელს, თბილისში, ვასილ მჟავანაძის მხარდასაჭერად და საქართველოს მშრომელებთან შესახვედრად ჩამოვიდა თვითონ ლ. ი. ბრეჟნევი. ახლადგახსნილ სპორტის სასახლეში შეხვედრის დროს ქართველი კომუნისტების ლიდერმა მოსკოვიდან ჩამოსულ სტუმარს ანგარიში ჩააბარა ყველაფერ იმაზე, რაც მან საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძვანელობის პერიოდში გააკეთა – ეს კი ცოტა არ იყო...

საქართველოს მრეწველობა. სამრეწველო საწარმოები თანდათან გადავიდნენ ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, მომზადდა სპეციალური გრაფიკები, ამუშავებდნენ ეკონომიკურად დასაბუთებულ სქემებს. ამ ეტაპზე, მეტი ყურადღება დაეთმო შრომისნაყოფიერების მაჩვენებლების გაუმჯობესებას, უშუალოდ საამქროებში – სამეურნეო ანგარიშის მეთოდების სრულყოფას, შრომის მეცნიერულ ორგანიზებას. 1967 წელს საქართვე-

ლოში სულ 8 საწარმო მუშაობდა ახალი ეკონომიკური სისტემით, უკვე 1970 წელს რესპუბლიკის წამყვანი 800 საწარმო, რომელიც საქართველოს მთელი მრეწველობის 83 პროცენტს აწარმოებდა, უკვე ახალი ეკონომიკური პრინციპების დაცვით მუშაობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეფორმები მიმდინარეობდა „მშრომელთა შრომითი ენთუზიაზმის ფონზე“ – მოსკოველი მუშების თაოსნობით ტოტალურად გავრცელდა „კომუნისტური შრომის ბრიგადების“ შექმნის თაოსნობა. საწარმოებში ახალგაზრდები ცდილობდნენ ეცხოვრათ „კომუნისტურად“ – შრომაში, სწავლაში, პირად ცხოვრებაში ისინი მუდამ ყოფილიყვნენ მოწინავენი, დახმარებოდნენ ჩამორჩენილებს, გამოეჩინათ საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, ყოფილიყვნენ კულტურულები-განათლებულები. ასეთი ბრიგადები ჩამოყალიბდა თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, თბილისის კერამიკულ კომბინატში, ქუთაისის ავტოქარხანაში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, სოხუმის ფეხსაცმლის ფაბრიკაში და სხვ.

ვასილ მჟავანაძის პირადი დამსახურებაა ისიც, რომ მან შეძლო და ცენტრალური ხელისუფლება აიძულა თბილისში გაეხსნა ელმავალმშენებელი ქარხანა, რომელიც ძალიან მალე ეკონომიკური მაჩვენებლებით საუკეთესო გახდა კავშირში. ეს ქარხანა 70-80-იან წლებში, უკვე ყოველ მესამე საბჭოთა ელმავალს თბილისში აწარმოებდა.

ეკონომიკური რეფორმების რეალიზება საქართველოში დაემთხვა ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის უპირატეს განვითარებას. სახე იცვალა რუსთავმა: მეტალურგიასთან ერთად ის ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ბაზა გახდა. აქ დაიწყეს აზოტოვანი სასუქების, სინთეზური ბოჭკოების წარმოება. გაიზარდა ქუთაისის ეკონომიკური პოტენციალიც – ლითოფონის წარმოება, ქიმიური პრეპარატების დამზადება, კოფეინისა და სხვა საწარმოო სიმძლავრეები განსაზღვრავდნენ მეორე ინდუსტრიული ცენტრის იერსახეს.

1965 წელს საქართველოს ელექტროენერგეტიკამ გამოიმუშავა 6 მილიარდი კვ.სთ ელექროენერგია, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი რესპუბლიკის მზარდი ეკონომიკისათვის. ვ. პ. მჟავანაძის პირადი დამსახურებაცაა, რომ საბჭოთა მთავრობის დახმარებით, ზუგდიდის მახლობლად, უნიკალური ენგურჰესის მშენებლობა დაიწყეს. მისი სიმაღლე – 271,5 მეტრი, ე.ი. ევროპაში ყველაზე მაღალი უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი სიმძლავრე გაუტოლდებოდა 1 300 000 კვტ.

მშენებლობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირისთვის და, რომ უფრო სწრაფად დასრულებულიყო, იგეგმებოდა მისი „საკავშირო მშენებლობად“ გამოცხადება (ამ იდეის ავტორი იყო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის I მდივანი ე. ტიაჟელნიკოვი), რაც დამატებით მუშახელსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ადამიან-

თა რესურსების გადმოსროლას, ანუ ზუგდიდში მოსახლეობის დიდი მასის მიგრაციას გულისხმობდა.

ენგურჰესი

„მე ყველაფერი ვასილ მჟავანაძეს მოვახსენე, კერძოდ მშენებლების ჩივილის შესახებ მუშახელის ნაკლებობის თაობაზე და საჭიროდ ჩავთვალე, მეთქვა მისთვის ევგენი ტიაჟელნიკოვის წინადადების შესახებ. ბატონმა ვასილმა ყურადღებით მომისმინა, მაგრამ არავითარი რეაქცია არ გამოუხატავს, ჩუმად იყო. მეგონა კარგად ვერ გავაგებინე ზუგდიდის ამბები–მეთქი და კვლავ სიტყვასიტყვით გავუმეორე. ვასილ მჟავანაძემ გაიღიმა და მითხრა: უნდა ვიზრუნოთ მშენებლობის ხარისხისა და ტემპის გაუმჯობესებაზე. ეს საქმე ჩვენ თვითონ უნდა დავასრულოთ. შეიძლება ენგურჰესის მშენებლობა დაგვიანდეს, მაგრამ იგი ქართველებმა უნდა ავაშენოთ.“

აკად. როინ მეტრეველი
„წარსული გახსენება“ (ამონარიდი)

სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა კაზრეთის მადნეულის კომბინატის მშენებლობა – ადგილობრივი ფერადი ლითონების გადასამუშავებლად. ეს უნიკალური საბადო უხვად შეიცავდა სპილენძს, ტყვიას, ბარიტს, თუთიას და ა.შ.

რეფორმამ გარკვეულად დააჩქარა საქართველოში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების, ელექტროტექნიკური, საინსტრუმენტო, საავტომობილო მრეწველობის, სატრაქტორო წარმოების, კვების ტექნოლოგიური მოწყობილობების წარმოების განვითარება. თუმცა ამან შექმნა გარკვეული პრობლემებიც – წარმოიშვა საქართველოს ეკონომიკის მთელი რიგი დარგების მჭიდრო დამოკიდებულება სსრ კავშირის სხვა ეკონომიკურ რეგიონებთან („ეკონომიკური ღვედები“), რამაც სერიოზული პრობლემები გააჩინა უკვე XX საუკუნის 90-იან წლებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობა. ახალი საბჭოთა რეფორმები, მიზნად ისახავდა, სტაგნაციაში შესული საბჭოთა სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებასაც, ამ სფეროში ეკონომიკური სტიმულირების სისტემების დანერგვას. საქმე იმაშია, რომ ნ. ხრუშჩოვმა ამ სფეროშიც განახორციელა თავისი „ნოვაციები“, რამაც დამატებითი პრობლემები შექმნა. მან გააუქმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლმეურნეობები დაავალდებულა შეეძინათ გამონთავისუფლებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ამან სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა კოლმეურნეობების ფინანსური მდგომარეობა და ბევრი მათგანი ვალებში ჩააგდო. ამასთან, ნ. ხრუშჩოვის პირადი მითითებით, კოლმეურნეებს აეკრძალათ 1 სულზე მეტი მსხილფეხა რქიანი საქონლის ყოლა. კვლავ ტოტალურად დაკლა სოფლის მოსახლეობამ პირუტყვი და ამით მომავალში უკვე შექმნა დაძა-



თ. ყუფუნია

ბულობა სამომხმარებლო ბაზარზე. მას ემატებოდა სოფლის მეურნეობის დაბალი პროდუქტიულობა, უპასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი ქონების დატაცება, კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა ერთპიროვნული „დიქტატურა“, და ა.შ.

ასეთი და სხვა სუბიექტური ხარვეზების გამოსწორებას ითვალისწინებდა 1965 წლის სკკპ ცკ მარტის პლენუმი, რომლის გადაწყვეტილებებს უნდა გაეცოცხლებინა ვითარება სოფლად: გამოიყო ასიგნებანი სამელიორაციო სამუშაოების გასაფართოვებლად, ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და ავტომატიზაციას, სოფელში შეიტანეს ახალი, გაუმჯობესებული სისტემის მანქანები და მოწყობილობები, დიდი ყურადღება მიექცა მინერალური სასუქებით სოფლის მომარაგებას და ა.შ.

საქართველოში, ამ დროს, 1435 კოლმეურნეობა და 168 საბჭოთა მეურნეობა იყო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ სასოფლო-სამეურნეო დარგებს, რომლებიც საკავშირო დარგობრივ განაწილებაში საქართველოს იმიჯს ქმნიდა: მევენახეობას, მეჩაიეობას, მეციტრუსეობას. დასავლეთ საქართველოში ციტრუსების დამზადება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი და შემოსავლიანი მიმართულება იყო. თუ 1960 წელს ციტრუსების პლანტაციები საქართველოში გაშენებული იყო 9,3 ათას ჰექტარზე, 1970 წელს – უკვე 16,3 ათას ჰექტარზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის პლანტაციების საერთო მოცულობა: თუ 1960 წელს მან შეადგინა 55,6 ათასი ჰექტარი, 1970 წელს – უკვე 64,8 ათასი ჰექტარი. უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 70-იან წლებში, საქართველო მსოფლიოში ჩაის წარმოებით IV ადგილზე გავიდა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს, რომლებმაც დააპროექტეს და ხორცი შეასხეს ჩაის საკრეფ მანქანას – „საქართველოს“.

ჩაის საკრეფი მანქანა
“საქართველო”

საქართველოს სოფელში თუ კი რამ კეთდებოდა, რიგითი კოლმეურნეების მუხლჩაუხრელი შრომით, საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით, კოლექტივისტური სულისკვეთების საფუძველზე.

„ათობით წელია, რაც საკოლმეურნეო შრომაში ვარ ჩაბმული და კოლმეურნეობის წინსვლის თითოეული ნაბიჯი ვიცი. საკოლმეურნეო მშენებლობის გარიჟრაჟზე მეც მივიტანე პირველი აგური, აქტიურად ჩავები მის მშენებლობაში... ომი იყო და ფრონტზე წასული კაცების ნაკლებობა არ ვაგრძნობინეთ სოფელს. მათი შრომა მეც ვიდე თავზე. კოლმეურნეობას ხომ ერთი წუთითაც არ მოვშო-

რებულვარ, ყველა გამარჯვების მონაწილე ვიყავი. ასე მოვედი დღემდე, ასე იქნება მომავალშიც...

მარგარიტა ღონღაძე
სოციალისტური შრომის გმირი (1971 წ.)
მეჭარხლე, ხაშურის რაიონი, სოფ. სატივე

ყოველწლიურად იზრდებოდა საქართველოში ყველა სახის მეურნეობაში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ღირებულებითი მაჩვენებელი. თუ 1960 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა აწარმოეს 940 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, 1970 წელს ეს მაჩვენებელი უკვე უდრიდა 1 462,3 მილიონ მანეთს. დღეს ბევრი ექსპერტი თვლის, რომ ამ წლების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მიწერებისა და გაყალბებების გამო, ნაკლები ნდობა უნდა ჰქონდეს, თუმცა, როგორც ყოფილი საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები ირწმუნებიან – მიწერების საერთო ოდენობა არასოდეს აჭარბებდა 5 პროცენტს.

პრობლემა სხვაა. საქართველოს აგრარულ სექტორს ძალას აცლიდა ე.წ. „სტალინური დუალიზმი“ სოფლის მეურნეობაში. პირადი საკარმიდამო ნაკვეთის მნიშვნელობა, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ანგარიშგასაწევი ფინანსური ძალა ხდებოდა საქართველოში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრების შედარებითმა ლიბერალიზაციამ, დისციპლინის მოშლამ კოლმეურნეობებში, გლეხის ყურადღება საკუთარ საკარმიდამო მეურნეობისაკენ გადაიტანა; საუკეთესოდ მოვლილი, დროულად დამუშავებული პატარა ნაკვეთების საჰექტარო მოსავლიანობა განსაცვიფრებელი იყო და ის ბევრად ჭარბობდა საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებულ შრომისნაყოფიერებას. ახალი რეფორმების პირობებში, ისე მკაცრად აღარ ზღუდავდნენ გლეხს გაეჩინა თავის კარმიდამოში საქონელი, ფრინველი, რაც ასევე ახალისებდა ინდივიდუალურ სექტორს, ეს კი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც აისახებოდა. რაც დრო გადიოდა, სოფლად საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ბალანსი დაირღვა და ის დაირღვა კერძო სექტორის სასარგებლოდ...

საქართველოს სოციალური სტრუქტურა. 1970 წელს, საქართველოში 4 686 ათასი კაცი ცხოვრობდა. მოსახლეობის მატებამ 10 წელიწადში 13 პროცენტი შეადგინა, თუმცა 50-იან წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტი – 18 პროცენტი იყო. საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური სტატუსით შედიოდა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთში ცხოვრობდა 486 959, აჭარაში – 309 768 და სამხრეთ ოსეთში – 99 421 კაცი. საქართველოს ქალაქებში ბინადრობდა 2 239 ათასი კაცი, სოფლად – 2 446 ათასი კაცი. სოფლიდან ქალაქისაკენ მოსახლეობის მიგრაცია უპირატესი ტენდენციაა 60-70-

თბილისის მშენებლობებზე

იან წლებში.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჩაბმული იყო შრომით საქმიანობაში, მათ შორის, 956 780 იყო მუშა, 521 575 – კოლმეურნე, 608 736 – მოსამსახურე.

მუშები საბჭოთა საქართველოში „პრივილეგირებული“ კლასი იყო. მუშებად საბჭოთა სისტემის დროს ითვლებოდნენ საბჭოთა მეურნეობებში ჩაბმული ადამიანებიც, ყოფილი გლეხები. იმ წლებში, ძალიან გავრცელდა წარუმატებელი კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გადაკეთების ტენდენცია, თუმცა, ეს ნაჩქარევი სოციალური სტატუსის შეცვლა თითქმის არ მოქმედებდა მათ ფაქტობრივ სოციალურ მდგომარეობაზე – ეს „ახალი მუშები“ თავისი რეალური ყოფა-ცხოვრებით უფრო გლეხებს წააგავდნენ.

საბჭოთა სისტემა ახალისებდა ქალების შრომით აქტივიზებას – ისინი საკმაოდ კარგად არიან წარმოდგენილი, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. მარტო მრეწველობაში ჩაბმული იყო 387 651 ქალი, კოლმეურნეთა შორისაც უმეტესობა ქალი ჩანს – 286 568. ამის მიზეზი კი ის არის, რომ შედარებითმა ლიბერალიზაციამ, „საკარმიდამო მამულების“ აქტივიზაციით მიღებულმა შემოსავლების ზრდამ, სოფლად მამაკაცი მეტ-ნაკლებად მოწყვიტა კოლმეურნეობას – ისინი ცდილობენ უფრო დაკავდნენ პირად მეურნეობებში, რომლის შემოსავლიანობა ყოველწლიურად იზრდებოდა. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიწა არ ჩამოერთმია, ოჯახის რომელიმე წევრი (უფრო ხშირად ქალი) იხდიდა თავის „სოციალურ მოვალეობას“ კოლმეურნეობაში მუშაობით.

საქართველოს სოციალური სტრუქტურის მესამე შემადგენელი ნაწილი იყო მოსამსახურე – მეტად მრავალფეროვანი კატეგორია. ის აერთიანებდა როგორც ინტელიგენციას: ექიმებს, პედაგოგებს, მეცნიერებს, ისე უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატსაც.

საქართველოში ძალიან ძლიერი იყო ინტელიგენცია – ამას აპირობებდა იმჟამად ახალგაზრდებში, ჯერ კიდევ შესამჩნევი, მზარდი ტენდენცია უმაღლესი განათლებისაკენ. საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალანაზღაურებადი კატეგორია მეცნიერი მუშაკი იყო (მეცნიერების დოქტორი 500-600 მანეთს იღებდა თვეში, რაც XX ს. 60-70 წლებში ძალიან კარგი შემოსავალი იყო). აქედან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრდობას ჰქონდა სერიოზული მოტივაცია ეზრუნა უმაღლესი განათლების გაგრძელებაზე, გამხდარიყო ასპირანტი, მეცნიერი. ამ დარგში საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა პირველობას საბჭოთა კავშირში – 1000 კაცზე საქართველოში მოდიოდა 73 უმაღლესი განათლებით, 481 – არასრული და საშუალო განათლებით და 251 – დაწყებითი განათლებით.

განათლება არ იყო პრივილეგია მხოლოდ ქალაქის მოსახლეობისათვის, ამ პერიოდში სოფლის მშრომელები აქტიურად იყვნენ ჩაბმული უმაღლესი განათლების სისტემაში და მის საკმაოდ დიდ ნაწილსაც წარმოადგენდნენ.

საქართველოს ჰყავდა საუკეთესო ელიტა – მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ხელოვნების მოღვაწენი – მათი რაოდენობა 343 507 კაცია. 1970 წელს, მარტო სამეცნიერო შრომით დაკავებული ჩანს 20 160 კაცი. 1960 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი, ფაქტობრივად, გაორმაგდა. საქართვე-

ლოში თითქმის ათასი მეცნიერების დოქტორი იყო, ხოლო ასპირანტების რაოდენობა გაუტოლდა 1 427 კაცს.

ზრდა შეიმჩნევა რიგითი ადამიანების შემოსავლებშიც. ბევრი ამას უკავშირებს ეკონომიკური რეფორმების წარმატებებს, განსაკუთრებით მისი რეალიზაციის პირველ ეტაპზე: თუ 1966 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 3 022,1 მილიონი მანეთი იყო, 1970 წელს მან შეადგინა 4 099,2 მილიონი მანეთი. როგორც ოფიციალური სტატიტიკა ამტკიცებდა, საქართველოს მოსახლეობის ყოველწლიური შემოსავალი იზრდებოდა 5-7 პროცენტით.

ახალი საცხოვრებელი მასივი

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ საქართველოს მოსახლეობის რეალური ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებისაგან. მცირე ხელფასის გამო, მოხერხებული ადამიანები ცდილობდნენ ეშოვათ დამატებითი შემოსავლები (ექიმებს – კერძო პაციენტები, პედაგოგებს – კერძო მოსწავლეები, ლექტორებს – კერძო აბიტურიენტები და ა.შ.). ეს ტენდენცია მზარდი იყო და სულ უფრო თვალში საცემიც გახდა. ეს შემოსავლები „ჩრდილოვანი“ იყო, მაგრამ ვ. მჟავანაძის პერიოდში ეს უკვე „კრიმინალად“ აღარ ითვლებოდა.

მთავარი სოციალური მიღწევა ვ. მჟავანაძის პოლიტიკური დაჯგუფებისა არის ის, რომ საქართველოში მასობრივად დაიწყო დაბალბიუჯეტიანი საცხოვრებელი ბინების მშენებლობა: საბურთალოზე, დიღომში, ვარკეთილში. თბილისში და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში უწყვეტად აშენებდნენ ე.წ. „ხრუშჩოვკებს“, სადაც მოსახლეობა თავის საცხოვრებელ პირობებს იუმჯობესებდა თითქმის უფასოდ (იმ წლებში ბინის ქირა ძალიან სიმბოლური იყო). ასევე ძალიან იაფი ჩანს ელექტროენერგია (4 კაპიკი 1 კვტს), გაზი (20 კაპიკი ერთ სულზე), პური (1 კგ. 30 კაპ.), რძე (1 ლიტრი 46 კაპიკი), შედედებული რძე (55 კაპიკი), კარაქი (1 კგ. 3,60 მან.), ხორცი (1 კგ. 2 მანეთი), მეტროსა და ავტობუსის ბილეთი (5 კაპ.), ტროლეიბუსით მგზავრობა – (4 კაპ.), ტრამვაით მგზავრობა – (3 კაპ.) და ა.შ.

ახალ ბინებს საქართველოს მოსახლეობა ძირითადად საქართველოს ავეჯის ფაბრიკებში (ძალიან პოპულარული იყო ქუთაისისა და ახალდაბის ავეჯის ფაბრიკების პროდუქცია) დამზადებული ავეჯით აწყობდა, თუმცა მოხერხებულ ადამიანებს მოსკოვიდან, ბალტიისპირეთიდან კერძო ინიციატივით საქართველოში ჩამოჰქონდათ შედარებით უკეთესი ხარის-

ხის ავეჯიც. დაიწყეს საზღვარგარეთიდან შემოტანილი (გერმანული, იუგოსლავური, რუმინული და სხვ.) ავეჯის შეძენაც.

60-70–იანი წლების მთავარი საოჯახო კოლორიტი მაინც პიანინო გახდა. ძალიან ბევრ ოჯახში, როგორც ქალაქში, ისე სოფლად ჰქონდათ პიანინო, ძირითადად ადგილობრივი – თბილისის წარმოების „საქართველო“, თუმცა იყო ოჯახები, რომლებიც პიანინოებს იწერდნენ რუსეთიდან, ამ დარგში აღიარებული ფაბრიკებიდან („კრასნი ოქტიაბრი“, „როდინა“ და ა.შ.), დაიწყო საზღვარგარეთული პიანინოების შეძენაც („პეტროფი“, „როინიში“ და ა.შ.).

ამ წლებში თვალსაჩინოდ იზრდება მოსახლეობის შემოსავლიანობაც – მათი პირადი დანაზოგები. თუ 1960 წელს, აქართველოში პირადი დანაზოგი ჰქონდა 760 ათას კაცს, 1970 წელს მეანაბრეთა საერთო რაოდენობა საქართველოში მილიონს აჭარბებდა (1 146 ათასი კაცი). საგრძნობლად გაიზარდა ანაბრების საშუალო რაოდენობა – თუ 1960 წელს ანაბარზე 282 მანეთი ჰქონდათ, 1970 წელს უკვე ის გახდა 1 016 მანეთი. ეს საბჭოთა კავშირში საუკეთესო მაჩვენებელი იყო. ამ წარმატებაში რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წვლილი არ დავინახოთ – დიდი უსამართლობა იქნება. მაგრამ მთავარი წარმატება – ეს ქართული ინტელექტუალური პოტენციალის სულ უფრო ეფექტიანი გამოყენება უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს მეცნიერება. საბჭოთა კავშირში მეცნიერებას აფასებდნენ და ხელს უწყობდნენ, მათ შორის, ფუნდამენტურ მეცნიერებას. 70-იან წლებში, საქართველოში სამეცნიერო კვლევებში ჩაბმული იყო, როგორც აღინიშნა, დაახლოებით 20 ათასი კაცი, მათგან 1 335 მეცნიერებათა დოქტორი იყო. კიდევ უფრო მეტი იყო მეცნიერებათა კანდიდატი. რა თქმა უნდა, ამ სფეროშიც ყველაფერი იდეალური არ იყო. გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, განსაკუთრებით გამოყენებით მეცნიერებაში, შედეგიანობა დაბალი ჩანს. მაგრამ ამ პერიოდში თვალსაჩინოა ქართული სამეცნიერო სკოლები და მათი მუშაობის შედეგები. ქართული მათემატიკური სკოლა, რომელსაც აკად. ნ. მუსხელიშვილი ჩვეული ენერგიით უძღვებოდა, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი წარმატებული იყო. მის შედეგებს კარგად იცნობდნენ და აღიარებდნენ საზღვარგარეთაც. ქართველი მათემატიკოსები ამუშავებდნენ დრეკადობის თეორიის პრობლემებს, სინგულარული ინტეგრალების განტოლებათა სისტემების აქტუალურ საკითხებს და სხვ.

ე. ხარაძე

ქართველმა ასტრონომებმა, აკად. ე. ხარაძის ხელმძღვანელობით, გალაქტიკის შერჩეულ უბნებში მოახდინეს ვარსკვლავთა ორგანზომილებიანი კლასიფიკაცია, შეადგინეს 30 ათასამდე ვარსკვლავის სპექტრული ტიპებისა და მნათობათა კლასების კატალოგები და სხვ.

დაწინაურდა ქართველ გეოლოგთა სკოლაც: მომზადდა და გამოიცა „კავკასიის ტექტონიკური რუკა“ (მთ. რედაქტორი აკად. პ. გამყრელი-

ძე) აკად. გ. ძოწენიძის მონოგრაფიას – „ვულკანოგენური ფორმაციების მადნიანობა“, ლენინური პრემია მიენიჭა.

განვითარდა ტექნიკური მეცნიერების ახალი დარგები: კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, რადიოტექნიკა და ტელემექანიკა და სხვ. კვლავ წარმატებული იყო აკად. ივანე ბერიტაშვილის ქართველ ფიზიოლოგთა სკოლაც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მეცნიერული კვლევების განვითარებას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში. მარტო აფხაზეთში 70-იან წლებში 17 სამეცნიერო დაწესებულება იყო. ცხინვალში არსებობდა პედაგოგიური ინსტიტუტი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ა.შ. ბათუმელმა მეცნიერებმა არა ერთი საინტერესო პრობლემა შეისწავლეს და გამოაქვეყნეს მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო სამეცნიერო ჟურნალებში.

ქართული სამეცნიერო პოტენციალის უდიდესი გამარჯვებაა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ჯერ მომზადება და შემდეგ მისი გამოცემა. ამ კოლოსალური სამუშაოს რეალიზებას ხელმძღვანელობდნენ აკად. ი. აბაშიძე და პროფ. რ. მეტრეველი. 11 ტომში აისახა, როგორც ქართული, ისე მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების სრული პალიტრა.

ენციკლოპედიის გამოცემაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი საზოგადოებათმცოდნეებიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი პარტიული ნომენკლატურის მიერ გამორჩეული „ყურადღებით“ სარგებლობდა, მაინც საინტერესო და ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა: ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტსა და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში. მნიშვნელოვანი მიღწევებია: „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ (8 ტომეულის), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (8 ტომის), „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ (6 ტომის) „ორთოგრაფიული ლექსიკონისა“ და სხვა უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების პუბლიკაციები. მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ქართველოლოგიური მეცნიერებები: აკად. გ. მელიქიშვილმა, აკად. თ. გამყრელიძემ, აკად. ქ. ლომთათიძემ და სხვათა გამოკვლევებმა.

შოთა რუსთაველის ბარელიეფი

ქართული მეცნიერების საერთაშორისო აღიარების დადასტურებად გადაიქცა 1966 წელს, დიდი შოთა რუსთაველის 800 წლისთავის იუბილის დღეებში, სხვადასხვა თემატური სამეცნიერო კონფერენცია თუ დისკუ-

სია. თბილისში ჩამოვიდნენ მეცნიერები ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან, საზღვარგარეთიდან. სამეცნიერო შეხვედრებმა, დისკუსიებმა, კონფერენციებმა დაადასტურეს ქართველოლოგიური მეცნიერების ძალიან მაღალი დონე.

საქართველოში, აგროკულტურის მქონე ქვეყანაში, დიდი ყურადღება ეთმობოდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებას. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აერთიანებდა ძალიან ბევრ სამეცნიერო ინსტიტუტს, რომლებიც სწავლობდნენ საქართველოში განსაკუთრებით წარმატებული აგროკულტურების გენეტიკურ, მორფოლოგიურ და კონკრეტულ პრაქტიკულ საკითხებს. ვასილ მჟავანაძის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან მოახერხა თბილისში ჩატარებულიყო მეღვინეთა მორიგი მსოფლიო კონგრესი. ამ შეხვედრას უმასპინძლა მეღვინეობა-მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომლის მუზეუმმა და ღვინოთეკამ უცხოელი სტუმრების დიდი აღრთოვანება გამოიწვია (სამწუხაროდ ეს მუზეუმი დღეს აღარ არსებობს).


ირ. აბაშიძე

ქართული ლიტერატურა იმ წლებში, უდავოდ, აღმავლობის გზაზეა. მრავალფეროვანი კრებულები, პოეტური და მხატვრული თხზულებები ქვეყნდებოდა თითქმის ყოველთვიურად. საინტერესო შემოქმედებითი მიღწევებით გამოირჩევიან: ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, შ. ნიშნიანიძე, ა. კალანდაძე, ჯ. ჩარკვიანი და სხვები. ქართული ლირიკა იმ წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა თავისი შინაარსით, გაძლიერდა ინტერესი რთული პოეტური სახეებისადმი. უფრო აშკარად და უფრო ხმამაღლა ჟღერდა სამშობლოს თემა, პატრიოტული მოტივი. უდავოდ, ამ სულისკვეთებას ბიძგი მისცა 1964 წელს ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ექსპედიციამ პალესტინაში, რომლის დროსაც მიაკვლიეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკას. ამ ექსპედიციის შედეგად, ი. აბაშიძემ დაწერა თავისი უკვდავი „ხმა კატამონთან“ – მარადიული სადიდებელი ქართული ენისა...

„...თუ რა მზე მწამდა,
თუ რა მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო...
ირ. აბაშიძე

60-70 იან წლებში, საგრძნობლად წინ წავიდა ისტორიული ბელეტრისტიკა. ქართველ მკითხველში დიდი მოწონებით სარგებლობდა: გრ. აბაშიძის „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, ირ. სონღულაშვილის „მირანდუხტ იადხმობილი“, დ. კასრაძის „იბე-

რიის დედოფალი“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და მრავალი სხვა.

ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლების პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, როგორც წესი, ითარგმნებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, გამოდიოდა მოსკოვში, კიევში, ერევანში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში.

მ. ლაკერბაი

ვითარდებოდა აფხაზური და ოსური ლიტერატურა. მწერლები (ბ. შინკუბა, ი. თარბა, მ. ლაკერბაი და სხვ.) და პოეტები (მ. ლასურია, ნ. კვიწინია, ტ. ახბა და სხვ.) ეხმაურებოდნენ თანამედროვე პრობლემატიკას, საინტერესო პუბლიკაციებით ამდიდრებდნენ მშობლიურ ლიტერატურას. აფხაზეთში გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი „ალაშარა“. ცხინვალში მოღვაწე ოსი მწერლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: გ. ბესთაუთი, კ. მარდიევი, გ. ძუგაევი და სხვ. აქაც სისტემატურად გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი „ფიდიუაგი“

საქართველოს კინომატოგრაფი. ეს წლები ქართულ კინომატოგრაფში გამორჩეულია – კინომცოდნეები აღნიშნავენ თვალსაჩინო სიახლეებს ჟანრში, სტილისტიკაში, გამოხატვის ხერხებსა და კინოენის მოდერნიზების საქმეში. ამ სიახლეების განმახორციელებელი უკვე ახალგაზრდა თაობა ჩანს: რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, ე. შენგელაია და სხვ. მკვეთრ გარდატეხად თვლიან რ. ჩხეიძისა და თ. აბულაძის შედევრს „მაგდანას ლურჯას“, რომელმაც თავისი სტილისტიკით კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორების ყურადღება მიიქცია და საპატიო ჯილდოც დაიმსახურა.

50-იან წლებში, განსაკუთრებით პოპულარული გახდა კ. პიპინაშვილის მიერ გადაღებული ფანტასტიკური ფილმი „ორი ოკეანის საიდუმლოება“, რომელიც დღესაც წარმატებულია, განთავსებულია ინტერნეტში და მას მილიონობით მაყურებელი უყურებს. საყოველთაო მოწონება დაიმსახურა რ. ჩხეიძის შედევრმა „ჩვენი ეზო“ – ქართველი ახალგაზრდობის ყოველდღიური ცხოვრების ღრმა და პოეტურმა ინტერპრეტაციამ.



ს. ზაქარიაძე

იმ წლებში ეროვნულ-პატრიოტული თემატიკის გამრავალფეროვნებაც აშკარაა: „მამლუქი“ (რეჟისორი დ. რონდელი), მაია წყნეთელი (რეჟისორი რ. ჩხეიძე), „ბაში აჩუკი“ (რეჟისორი ლ. ესაკია) და სხვები, აშკარად, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის ხელშეწყობის და ლობირების შედეგია.

იყო მნიშვნელოვანი და სახელოვანი საერთაშორისო აღიარებებიც: რეჟისორ რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“ მოსკოვის კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა, სერგო ზაქარიაძემ, მამაკაცის როლის შესრულებისათვის სპეციალური ჯილდო მოიპოვა. რეჟისორ გ. შენგელიას ფილმი „ფიროსმანი“, აშშ ჩიკაგოს X საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავა-

რი პრიზით („ოქროს ჰიუგო“) დააჯილდოვეს და ა.შ.

საქართველოს თეატრი: ტრადიციების ერთგული ქართული თეატრი 60-70-იან წლებში, განსაკუთრებით წარმატებულია: ყოველწლიურად იდგმება ახალ-ახალი სპექტაკლები, კლასიკურ დრამატურგიასთან ერთად ადგილი აქვს საინტერესო თეატრალურ ძიებებს, ახალი გამომსახველი საშუალებებისა და ფორმების წინ წამოწევას. უკვე ახალი მსახიობებიც გამოჩნდნენ თეატრის ოლიმპზე. თავისი შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში არიან რეჟისორები: დ. ალექსიძე, ვ. ყუშიტაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ.

თეატრალურ მოვლენად იქცა დ. ანთაძის მიერ ინსცენირებული „ოდიპოს მეფე“, რომელშიც კვლავ გაიბრწყინა გენიალური აკაკი ხორავას უჭკნობმა ნიჭმა. მარჯანიშვილის თეატრში განხორციელდა შექსპირის „რიჩარდ III“ უნიკალური ინტერპრეტაცია, რომელშიც რიჩარდის როლი ბრწყინვალედ შეასრულა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ვასო გოძიაშვილმა. იყო სხვა მნიშვნელოვანი მიღწევებიც.

გამორჩეულ მოვლენად იქცა და ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის უნიკალური შენაძენიც გახდა მსახიობთა ე.წ. „შვიდკაცას“ გამოჩენა ქართულ თეატრალურ ოლიმპზე: მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, ეროსი მანჯგალაძე და სხვ. ისინი მაშინაც და შემდეგაც, ძალიან დიდი ხნის მანძილზე, ატკბობდნენ საქართველოს მაყურებელს თავისი შესანიშნავი ოსტატობით და თამაშის გამორჩეული კოლორიტით.

ე. მანჯგალაძე

თანამედროვე თეატრმცოდნეები, განსაკუთრებით გამოჰყოფენ 60-იანი წლების შუა ხანებში, რუსთაველის თეატრში განხორციელებულ ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქას“, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა ასე ნიჭიერად აამეტყველა, სწორედ, „შვიდკაცას“ დახმარებით. ამ სპექტაკლში დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს: ს. ზაქარიაძემ, რ. ჩხიკვაძემ, ბ. მირიანაშვილმა, კ. საკანდელიძემ და სხვ. ეს სპექტაკლი, მნიშვნელოვანწილად, ჩაითვალა საეტაპოდ, რომელმაც ახალი თეატრალურ ენა დაამკვიდრა, ახალ გამომსახველობითი საშუალებებით დაუდო საფუძველი თეატრალური კულტურის შემდგომ განვითარებას.

წარმატებები ჰქონდათ და ძალიან ხშირად მიმართავდნენ ეროვნულ რეპერტუარს სოხუმის და ცხინვალის ეროვნული (აფხაზური და ოსური) თეატრალური კოლექტივები. მათთვის თეატრისათვის საჭირო კადრებს მუდამ ამზადებდა თბილისის შ. რუსთაველის სახ. თეატრალური ინსტიტუტი. ამ ქალაქებში პარალელურად ფუნქციონირებდა თეატრალური დასები ქართულ ენაზეც – ქართული რეპერტუარით. ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიცაა ქუთაისი, ბათუმი, თელავი, გორი, ჭიათურა და სხვ. მოქმედებდნენ მეტად საინტერესო თეატრალური კოლექტივები. მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დაახლოებით 20-მდე პროფესიული თეატრალური კოლექტივი არსებობდა და, როგორც სტატისტიკური კრებულები გვიმტკიცებენ, 60-70-იან წლებში საქართველოში თეატრალურ წარმოდგენებს დაახლოებით 3 000 000 ადამიანი დაესწრო.

ვ. ჭაბუკიანი

საქართველოს საოპერო ხელოვნება. წარმატებები, რომელიც ქართულმა საოპერო და საბალეტო კოლექტივებმა მოიპოვეს წინა წლებში, კიდევ უფრო გამორჩეული და აღსანიშნავი გახდა ახალ პერიოდშიც. თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე იდგმებოდა, როგორც მსოფლიოს კლასიკა, ისე ქართული ეროვნული რეპერტუარი. კვლავ დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ სახელოვანი მომღერლები: პ. ამირანაშვილი, ნ. ცომაია, მ. ნაკაშიძე და სხვ. 50-იანი წლები განსაკუთრებით სასახელო გახდა თეატრის საბალეტო დასისათვის – თბილისში საბოლოოდ დამკვიდრებული სახელოვანი ბალერონი ვახტან ჭაბუკიანი თავის დასთან და ქართველ კომპოზიტორებთან ერთად, საბალეტო სცენაზე ქორეოგრაფიულ საოცრებებს ახორციელებდა. სწორედ, ვახტანგ ჭაბუკიანის ინტერპრეტაციით განხორციელდა ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“, რითიც დაიწყო ქართული კლასიკური ბალეტის განვითარების ისტორია. შემდეგ დაიდგა დ. თორაძის ბალეტი „გორდა“. მაგრამ განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ა. მაჭავარიანის მუსიკაზე ამეტყველებული შექსპირის უკვდავი „ოტელო“ – ვახტანგ ჭაბუკიანის, ვერა წიგნაძის, ზურაბ კიკალეიშვილისა და სხვათა მონაწილეობით. ოტელოს როლის ბრწყინვალე შესრულებისათვის ვ. ჭაბუკიანს ლენინური პრემია მიენიჭა.

დეკორაციების, კოსტუმების ესკიზები ამ სპექტაკლისთვის უნიჭიერესმა თეატრალურმა მხატვარმა ს. ვირსალაძემ შეასრულა, რომელიც განსაკუთრებულ წარმატებებს მოგვიანებით – მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე ბალეტმეისტერ ი. გრიგოროვოჩის მიერ განხორციელებული სპექტაკლებით მოიპოვებს.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ისიც, რომ 1961 წელს თბილისში პირველად ჩამოვიდა მსოფლიოში ცნობილი ბალეტმეისტერი, „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ დამფუძნებელი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი ჯორჯ ბალანჩინი (ბალანჩივაძე) თავისი სახელგათქმული დასით. დაბრუნება სამშობლოში, შეხვედრა ძმასთან ა. ბალანჩივაძესთან და საქართველოს საზოგადოებასთან დიდხანს ტკბილ მოგონებად გაჰყვა დიდ მაესტროს.

ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი

საქართველოს ხალხური ქორეოგრაფია თავისი განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა. ამისათვის სერიოზული ფუნდამენტიც არსებობდა – ყველა რაიონში, ძალიან ბევრ სკოლაში ფუნქციონირებდა ქართული ცეკვის შემსწავლელი ჯგუფები, თითქმის ყველა რაიონს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რაც გულისხმობდა უამრავ ადგილობრივ ლოტბარსა და ქორეოგრაფს. ჯერ კიდევ პოპულარული იყო ხალხური შემოქმედების ყოველწლიური ოლიმპიადები და რაიონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერაში, ცეკ-

ვაში, სახალხო მთქმელებში.

ეს უდიდესი საქმიანობა ქართული ფოლკლორისა დაცვისა და მისი განვითარებისათვის ორგანულად აკუმულირდა სწორედ საქართველოს ცეკვის აკადემიური ანსამბლის მოღვაწეობაში (ანსამბლს უცვლელად ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი). სწორედ ამ წლებში, განსაკუთრებულ ვირტუოზობას მიაღწიეს ეროვნული ქორეოგრაფიის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიც იყვნენ იამზე დოლაბერიძე, ლატავრა ფოჩიანი, ფრიდონ სულაბერიძე და მრავალი სხვა. მათ საზღვრგარეთ „მერვე საოცრებას“ უწოდებდნენ და მათი მიღწევები უკვე იმ პერიოდში მართლაც შთამბეჭდავი იყო.



ლ. გუდიაშვილი

საქართველოს სამხატვრო შემოქმედება. 50-60-იან წლებში სამხატვრო ტრადიცია საქართველოში კიდევ უფრო განვითარდა, უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური გახდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს პერიოდი ამ დარგში გარდატეხის პერიოდია. სამხატვრო ხელოვნების შემდგომი განვითარების პროგრამა, როგორც ისინი გვიმტკიცებენ, განსაზღვრა ცხოვრებისეული მოვლენების ფართოდ და მრავალმხრივ ასახვის ამოცანამ. დაიწყო გამომხატველობის ახალი სამეტყველო ფორმების ძიება. კვლავ საინტერესო შედევრებით ამდიდრებდნენ ეროვნულ გალერეას გენიალური ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, უჩა ჯაფარიძე და მრავალი სხვა.

ძველი სკოლის წარმომადგენლებს მხარში ამოუდგა თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა ახალი ნიჭიერი თაობა: რ. თარხან-მოურავი, რ. სტურუა (უფროსი), თ. მირზაშვილი, დ. ერისთავი და ბევრი სხვა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ ამ წლებში ქართველი ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ააღორძინა და კვლავ დაამკვიდრა ყოველდღიურ პრაქტიკაში ჭედურობის ხელოვნება. ამ ახალგაზრდებს შორის იყვნენ კობა გურული, ირაკლი ოჩიაური და სხვები. შუა საუკუნეების ოქრომჭედლების საუკეთესო შედევრების თანამედროვე ინტერპრეტაციით მათ ქართულ გამომსახველობით ხელოვნებაში ახალ და საინტერესო მიმართულებას ჩაუყარეს საფუძველი.

50-იანი წლების ბოლოდან განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა წიგნის ილუსტრაცია, პლაკატი, თეატრალური აფიშა. ამ საქმეში განსაკუთრებით წარმატებულნი იყვნენ მხატვრები ს. ქობულაძე, ლ. ცუცქირიძე და სხვ. სერგო ქობულაძის მიერ მოხატული თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის ფარდა „მუზა“ თავიდანვე აღიარეს გამორჩეულ შედევრად.

ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში
მოქანდაკე ე. ამაშუკელი

60-70-იან წლებში, აღმავლობის გზაზეა საქართველოში ქანდაკების ხელოვნებაც. ახალგაზრდა მოქანდაკეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, გამოხატვის ეროვნულ ფორმებს. ბევრი მუშაობდა პორტრეტის ჟანრშიც (ი. ოქროპირიძე, ვ. მხეიძე, გ. ქაჯაია და სხვ.)

განსაკუთრებულია მერაბ ბერძენიშვილის შემოქმედება – მისი ორიგინალური და საინტერესო სკულპტურული კომპოზიციები ამშვენებდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქს, მოედანს თუ საზოგადოებრივ შენობას. თბილისში ახალადგახსნილი ფილარმონიის გრანდიოზული საკონცერტო დარბაზის წინ აღმართული მისი „მუზა“ ერთმანეთში აერთიანებს, როგორც მონუმენტურობას, ისე საოცარ გამომსახველობით სიფაქიზეს.

არქიტექტურა საქართველოში ჯერ კიდევ ინარჩუნებს ტრადიციულ ფორმებს, თუმცა, ის სერიოზულად დააზარალა ხრუშჩოვის მითითებამ, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯები გამოეყენებინათ არქიტექტურული შედევრების შესაქმნელად. რამდენადაც არქიტექტურული მშვენიერების შენარჩუნება შეუძლებელი გახდა მასობრივი ბინათმშენებლობის პროცესში, არქიტექტურამ თავისი მხატვრული გამომსახველობა ჯერ კიდევ შეინარჩუნა საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის დროს. 1967 წელს აშენდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობა (არქიტექტორი ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი), სასტუმრო „ივერია“ (არქიქტექტორი ო. კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძე), ბიჭვინთაში სასტუმროების კომპლექსი (არქიტექტორი მ. პოსოხინი), თბილისის ვაგზლის ახალი შენობა (არქიტექტორები რ. კიკნაძე და ვ. ქურთიშვილი) და მრავალი სხვა.

ქართული სპორტის შემდგომი განვითარების საფუძველი – მისი მასობრიობა გახდა: ყველა სკოლაში, თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ფიზკულტურის გაკვეთილები, ფიზკულტურული სექციები აუცილებლად არსებობდა და ახალგაზრდობა იმ დროს ძალიან ეტანებოდა განსაკუთრებით სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი და სხვ.

ნ.გაფრინდაშვილი

1962 წელს, ჭადრაკში, ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ნონა გაფრინდაშვილი. შემდეგ მან ეს მიღწევა რამდენჯერმე გაიმეორა და მსოფლიოს ჩემპიონობა ხუთგზის მოიპოვა. უკვე იმ პერიოდიდან ქართველი ქალების საჭადრაკო სკოლა წარმატებული გახდა მსოფლიოში (ნ. ალექ-

სანდრია, ნ. იოსელიანი და სხვ.). ვაჟთა შორის გროსმეისტერები გახდნენ: ბ. გურგენიძე, გ. ზაიჩიკი, ზ. აზმაიფარაშვილი და სხვ.).

მაგრამ იმ წლებში, საქართველოში ყველაზე პოპულარული მაინც იყო ფეხბურთი – თბილისის „დინამო“ ეროვნული ნაკრების რანგში იყო აყვანილი და გამორჩეული სიყვარულით სარგებლობდა საქართველოს მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ლეგენდარული გუნდის მოთამაშეები მუდამ წარმატებებს აღწევდნენ საკავშირო შეჯიბრებების დროს, პირველად, მხოლოდ 1964 წელს, ტაშკენტში შეძლეს და მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება. მწვრთნელი გ. კაჩალინი და „ოქროს ბიჭები“: ს. კოტრიკაძე, მ. მესხი, ს. მეტრეველი, ზ. კალოევი, შ. იამანიძე და სხვები საბოლოოდ შევიდნენ ქართული სპორტის დიდ მატიანეში.

გადაცდომები. ვასილ მჟავანაძეს და მის გუნდს წარმატებები უდავოდ ჰქონდათ, მაგრამ ის ტეხილი, რაც მათში 1956 წლის 9 მარტს, თბილისში საბჭოთა ჯარის მიერ ახალგაზრდობის დარბევამ გამოიწვია, სულ უფრო საცნაური ხდებოდა და მან თავი გამოავლინა, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ისე ყოფიერებაშიც. რაც დრო გადიოდა ეს სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა უცხო თვალისათვის.

1. ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება და განვითარება ძალიან მალე დაეტყო პირველ რიგში, ქართულ ლიტერატურას – პატრიოტული ლირიკა, ისტორიული ბელეტრისტიკა, მხატვრული ფილმები, საქართველოს გმირული წარსულის განდიდება იმ წლებში მხატვრული შემოქმედების მნიშვნელოვანი მიმართულება გახდა. „ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალურის“ საბჭოთა მოდელი, ქართულ ლიტერატურაში, აშკარად, შინაარსით ეროვნულობისაკენ გადაიხარა. ეს პროცესი ვერ განვითარდებოდა საქართველოს პირველი პირის ფარული დასტურის გარეშე. ვასილ პავლეს ძე მჟავანაძის ცხოვრებაში ეროვნულმა გრძნობამ, საქართველოს სიყვარულმა, როგორც ჩანს, გამოკვეთილი სახე მიიღო.

„პიროვნებას, რომელსაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ჯარის... სამსახურში ჰქონდა გატარებული და რომელსაც ვერაფრით ნაციონალისტობას ვერ დასწამებდით, სრულიად სწორი, ეროვნული პოზიცია ეკავა და ამგვარად წყვეტდა საკითხს...

აკად. როინ მეტრეველი
„წარსულის გახსენება“ (ამონარიდი)

2. ვ. მჟავანაძის მმართველობის დროს, შედარებით თავისუფლება მიენიჭა კოლმეურნე გლეხს, რომელიც „საკარმიდამო ნაკვეთზე“ უფრო ხშირად იყო, ვიდრე კოლმეურნეობის ფერმებსა და ვენახებში. მას უკვე მკაცრად აღარ აკონტროლებდნენ და მისთვის საკოლმეურნეო ბაზრობები მნიშვნელოვანი შემოსავლების წყარო გახდა. საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის გვერდით საბაზრო ურთიერთობებიც ვითარდებოდა და გარკვეულ ეტაპზე ბალანსი აშკარად დაირღვა. ქვეყანაში გაჩნდა ფული და, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო, არა მარტო საკოლმეურნეო ბაზრებში.

ფული გაუჩნდათ ზოგიერთი საწარმოს უპასუხისმგებლო საქმიან ხელმძღვანელებს, რომლებიც ახერხებდნენ უკანონო საამქროების ორგანიზებას („ე.წ. ცეხავიკები“), უგეგმო პროდუქციის წარმოებას, მის რეალიზებას, საკმაოდ დიდი ფულადი მასის აკუმილირებას. ასეთ ადამიანებს, შორის პირველ რიგში, იმ წლებში ძმებ ლაზიშვილებს ასახელებდნენ, რომელთა შესახებ თბილისში განსაცვიფრებელი ჭორები ვრცელდებოდა (ერთ-ერთი ასეთიც იყო: თვითმფრინავში მგზავრს 20 კაპიკი დაუვარდა და სავარძლის ქვეშ შეძვრა მოსაძებნად, ლაზიშვილმა სიბნელე ცეცხლმოკიდებული 25 მანეთიანით გაუნათა და აპოვნინა).

3. ტოტალური დეფიციტის პირობებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაიწყო იმპორტული სამრეწველო საქონლით სპეკულაცია. მან მიიღო საკმაოდ მასობრივი ხასიათი: თბილისის ლესელიძის ქუჩა, დაბა სურამისა და დაბა კულაშის ბაზრობები („ტალკუჩკები“) ქართველი ახალგაზრდების მოთხოვნილებებს სრულად აკმაყოფილებდა იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ თუ ბელგიურ სამრეწველო, დეფიციტური ნაწარმით. რა თქმა უნდა, ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირად. თბილისის კულუარებში ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ ცნობილ გადამყვიდველ „ჩაშკაზე“, რომელსაც „უკვდავების წყლის“ გაჩენაც კი შეეძლო და ა.შ. როგორც ჩანს ვ. მჟავანაძეს გაახსენდა კარგად დავიწყებული ნ. ბუხარინის ძველი მოწოდება „გამდიდრდით!“

4. მაგრამ, მთავარი პრობლემა ისიც იყო, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწყებულმა ეროზიამ, იმოქმედა სახელმწიფო გეგმების შესრულებაზე, გაჩნდა საკმაოდ დიდი დანაკლისი საკავშირო ბიუჯეტის მიმართ – ზარალმა, როგორც ამტკიცებდნენ, ასეულობით მილიონი მანეთი შეადგინა. დაკვირვებულ თვალს ეს არ გამოპარვია და რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება დაუყოვნებლივ აცნობეს მოსკოვს.

„ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის მანკიერებასა და კორუფციას შორის პირდაპირი კავშირი არსებობდა... ამის გამო, კორუფციისაგან ყველაზე მეტად ზარალდებოდა „პატარა ადამიანი“. რიგითი მოქალაქე. ის არ იყო დაცული არც ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების, არც სამართალდამცავ ორგანოების მიერ, რადგან მაფია ამ სტრუქტურებშიც აღწევდა და აკონტროლებდა მათ. ხელისუფლებისადმი ნდობა შეირყა, ყველაფერს ნაღდი ფული წყვეტდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. ლპობისა და რღვევის ნიშნები განსაკუთრებით საშინელი იყო კომუნისტური და პატრიოტული ფრაზეოლოგიის დახვავების ფონზე...“

ე. შევარდნაძე
„ფიქრები და განცდები“ (ამონარიდი)

ვინც ეს ნაკლი დაინახა და მოსკოვს აცნობა, საკუთარი არგუმენტაციაც ზედ მიაყოლა. როგორც ჩანს, მოსკოვშიც ჩათვალეს, რომ სიბერეშეპარული ცეკას მდივანი უფრო ახალგაზრდა, ენერგიული კაცით შეეცვალათ...

1972 წლის 22 თებერვალს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. მართალია, დადგენი-

ლება თავისი შინაარსით თბილისის კომიტეტის მუშაობის კრიტიკულ შეფასებას წარმოადგენდა, მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ მოსკოვი სერიოზულად უკმაყოფილო იყო საქართველოს პარტიული ხელმძღვანელის საქმიანობით. განსაკუთრებით აღიზიანებდა მოსკოვს საქართველოს ინტელიგენციაში მზარდი ნაციონალისტური განწყობილებები, რაც აშკარად ვლინდებოდა მათ შემოქმედებაში. მის შესახებაც ხაზგასმულია დადგენილებაში. სერიოზულ ნაკლად ჩაუთვალეს საქართველოს კომუნისტებს ახალგაზრდობის საბჭოთა პატრიოტიზმით აღზრდის საქმეში სერიოზული ჩავარდნები, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეშიც მოიძებნა საკმაო დარღვევები...

„...მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო მნიშვნელობა არ ენიჭება მშრომელთა, განსაკუთრებით, ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ აღზრდას... საქალაქო პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძვის საზოგადოებისათვის უცხო ისეთ მოვლენებს, როგორიც არის სახელმწიფო საკუთრების დატაცება, სპეკულაცია, მექრთამეობა, მუქთახორობა...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება (ამონარიდი)

დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, ძალიან მალე, ვასილ მჟავანაძემ თანამდებობა დატოვა და ოჯახითურთ მოსკოვს გაემგზავრა. მის მიერ ბარნოვის ქუჩაზე გამონთავისუფლებული პრესტიჟული ბინა საცხოვრებლად გადასცეს ფილიპე მახარაძის ძმისშვილის ოჯახს...

თავი VIII. ედუარდ შევარდნაძე

ე. შევარდნაძე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე – პროფესიული პარტიული მუშაკი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მას უკვე გავლილი ჰქონდა კომკავშირული მუშაობის საკმაოდ დიდი გზა, საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველი მდივანიც იყო, ხელმძღვანელობდა მცხეთის პარტიულ ორგანიზაციას, თბილისის ორჯონიკიძის რაიკომს, ხოლო გარკვეული პერიოდიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. სწორედ აქედან ჰქონდა მას დეტალური ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების შესახებ.

ქართველი კომუნისტების ახალი ლიდერი, ქართულმა საზოგადოებამ კარგად მიიღო – ვრცელდებოდა ხმები მისი და მისი ოჯახის უბრალოების, გულისხმიერებისა და მოკრძალების შესახებ. ბევრს საუბრობდნენ მის მეუღლეზეც – ნანული ცაგარეიშვილზე, რეპრესირებულთა ოჯახიდან, რომელიც კვლავ აგრძელებდა ჟურნალისტურ სამუშაოს რიგით თანამდებობაზე ჟურნალ „საქართველოს ქალში“ და თვალში, როგორც მაშინ ამბობდნენ, ჯერ არავის „ეჩხირებოდა“. მოკრძალებული იყო მათი საცხოვრებელი ბინაც – თბილისის პრესტიჟულ უბანში ვაკეში, მრგვალ ბაღთან. იმჟამად ეს წყვილი ჯერ კიდევ გაღიზიანებას არავისში არ იწვევდა. პირიქით...

„დიდად პატივცემულო და ყოველი ქართველისათვის სასიქადულო მეგობარო ედუარდ ბატონო!

დიდი მადლობა მოლოცვის გამო.

ჩვენ ვამტკიცებთ: გიორგი ბრწყინვალესა და ბაგრატ V შემდეგ ასეთი ვაჟკაცური მთავრობა საქართველოს აღარ ღირსებია.

თუ განგებამ დამაცალა, მე საქმით დავუმტკიცებ მთელს ქვეყანას ამ ამბავს.

მრავალი წლის მანძილზე მემუქრებოდნენ დაჭერას, დახვრეტას, სიკვდილს ცეკას მდივნები: მამულია, ლ. ღოღობერიძე, ფ. მახარაძე, მ. კახიანი, ა. მგელაძე, მერე, როგორც გვიან გავიგე, სტალინმა შერისხა ისინი: მოეშვით ამ კაცს, მის მწყერებსა და მიმინოებს, ასეთი მწერალი ჩვენ სხვა არ გვყავსო. მერმე ის იყო მოსკოვიდან დაბრუნებულმა ა. მგელაძემ ბოდიში მოიხადა. ჩემს არქივშია მისი უსტარი.

გიძღვნით მდაბალ სალამს და ვუსურვებ ქართველ ხალხს დიდხანს, დიდხანს გეხელმძღვანელოთ ჩვენი მრავალტანჯული ერისათვის. ჩემი საახალწლო თხოვნაა უშველოთ დავით გარეჯას და ქართულ ხელნაწერებს.

მარად თქვენი ერთგული

კონსტანტინე გამსახურდია, კოლხური კოშკი, 1974.7.1.

გაზ. „ცხოვრება“, 1991 წ. 27 თებერვალი

ტრადიციულად, ე. შევარდნაძემ წინამორბედის სახელისუფლო სტრუქტურების სრული დემონტაჟი განახორციელა, მოიყვანა ახალი ხალხი, ახალი სახეები და მიზნად დაისახა სკკპ ცეკას 1972 წლის თებერვლის დადგენილების სწრაფად და ულაპარაკოდ შესრულება. მან თავისი მუშაობა, ძირითადად, სამი მიმართულებით წარმართა: იდეოლოგიური, სამეურნეო-ორგანიზაციული და კულტურულ-აღმზრდელობითი.

მისი პირველი ნაბიჯები აშკარად პოპულისტური იყო: მან ბრძოლა გამოუცხადა არსებულ კორუფციას და განსაკუთრებით ამ დარგში „ცნობად სახეებს“. უპირველეს ყოვლისა, დააპატიმრეს და ქონება სრულად წაართვეს ლაზიშვილებს. პატიმრობაში აიყვანეს კარგად ცნობილი „ჩაშკა“. საქართველოს ინტელიგენციის „დასაშინებლად“ დააპატიმრეს და საკმაოდ მკაცრად დასაჯეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი აკად. პ. გელბახიანი და მისი „დანაშაულებრივი ჯგუფი“ – „მექრთამეობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო“. ამტკიცებენ, რომ თავისი მმართველობის პირველსავე წლებში, ე. შევარდნაძემ თანამდებობიდან გაანთავისუფლა 20 მინისტრი, პარტიის რაიკომის 44 მდივანი, 3 ქალაქის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი, 10 ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე და ა.შ.

სერიოზულად შეზანზარდა საქართველოს საზოგადოება, როცა დაიწყეს სოფელ ცხვარიჭამიაში პრესტიჟული აგარაკების ჩამორთმევის კამპანია (სხვათაშორის, აგარაკი ჩამოართვეს საქართველოში პლასტიკური ქირურგიის პიონერს – „წოპეს“ (ვახტანგ ხუციძეს). საბჭოთა ტრადიციისამებრ ჩამორთმეულ აგარაკებში გაიხსნა პიონერთა ბანაკები, საბავშვო ბაღები.

იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. შედარებით უფრო რთული აღმოჩნდა „თავისუფლების სიო შეპარული“ ქართული საზოგადოების საბჭოთა ჩარჩოებში კვლავ დაბრუნება. უპირველესად ე. შევარდნაძემ გააძლიერა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა – სკკპ ცეკას დადგენილება სწორედ ამისკენ განაწყობდა – იქ ხაზგასმით იყო მითითებული, რომ საქართველოში შეიმჩნეოდა ნაციონალისტური ტენდენციების გამოღვიძება. მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთ საშუალებად კი საბჭოთა ადმინისტრაციას მუდამ ჰქონდა „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა“.

1972 წელს, საბჭოთა საზოგადოება ზეიმობდა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის 50 წლიან იუბილეს. ეს ჩინებული საბაბი იყო პარტიული ხელმძღვანელობისათვის დაემტკიცებინა კრემლისათვის, რომ საქართველო კვლავ ინტერნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელია, რომ ქართული ტრადიციული ტოლერანტობა ახალ პირობებში უფრო ცხოველმყოფელი გახდა. გაიხსენეს, რომ საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა, რომ მის თითოეულ წევრს აქვს სრული უფლება განავითაროს საკუთარი კულტურა მშობლიურ ენაზე, მიიღოს განათლება დედა ენის საშუალებით, აქვს შრომის, დასვენების უფლება და არ განიცდის არავითარ დისკრიმინაციას.

კომკავშირული ქორწილი

განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთ-საქართველოს ისტორიული თუ თანამედროვე ურთიერთობების პოზიტიური შეფასება – ეს მიმართულება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი გახდა. „ძვირფას ლეონიდ ილიჩს“ ყველა შესაძლო ხერხით უმტკიცებდნენ, რომ რუსეთს საქართველოს მსგავსი ერთგული პარტნიორნი არ ყოლია, არ ყავს და მომავალშიც არ ეყოლება. პარტიის ცეკას დავალებით იწერებოდა მეცნიერული ტრაქტატები, თხზულებები იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ აფასებს საქართველოს საზოგადოება რუსეთის მიერ საქართველოსათვის საუკუნეების მანძილზე გაკეთებულ ისტორიულ ღვაწლს. საერთოდ დაივიწყეს და ხმარებიდან ამოიღეს ი. სტალინისეული „უმცირესი ბოროტების“ თეორია.

„რესპუბლიკის მოსახლეობაში რუსული ენის ცოდნის დონე კვლავ დაბალია. რუსული ენის სუსტი ცოდნის მთავარ მიზეზად ის არის მიჩნეული, რომ ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მეტადრე სოფლის სკოლებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მისი სწავლების საქმე... გადაისინჯოს ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმები, რათა გაიზარდოს რუსული ენის შესასწავლად განკუთვნილი სასწავლო საათები, 1973-1974 სასწავლო წლიდან შემოიღოს რუსული ენის სწავლება ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პირველი კლასიდან...

საქ. კპ ცკ და საქსსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 10 ივნისის დადგენილება (ამონარიდი)

ამრიგად, მოსკოვის გულის მოსაგებად საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობა წავიდა საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის უმკაცრესი პრინციპის წინააღმდეგაც კი – დაწყებითი განათლება აუცილებლად და მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა წარმართულიყო, რომ არ მომხდარიყო „ენათა აღრევა“ და მომავალში ბავშვის გონებრივი დაქვეითება.

1975 წელს საქართველოს კომპარტიის იდეოლოგიური სამსახური გამოვიდა ინიციატივით გამოეცხადებინათ ტოტალური ომი „მავნე ტრადიციებისათვის“: იქნებოდა ეს ზღვარგადაცილებული ქორწილები, ქელეხები, თუ ჯერ კიდევ მთაში შემორჩენილი რელიგიური რიტუალები. საქ. კპ ცეკამ მიიღო სპეციალური დადგენილება: „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა ტრადიციამ ამ პერიოდში მართლაც ძალიან მახინჯი შინაარსი შეიძინა – გახდა რაღაც კომერციული წამოწყების მსგავსი მოვლენა, რასაც მხოლოდ იმიტომ აკე-

თებდნენ, რომ ოჯახს დამატებითი ფინანსური შემოსავალი გასჩენოდა. ეს გარემოება საქართველოს ინტელიგენციას სერიოზულად აღელვებდა და მისი გამოსწორების გზად მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო დონის შემდგომი ამაღლება ესახებოდა. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ ამ მიმართულებით წნეხი საკმაოდ გააძლიერა, კომუნისტებსა და კომკავშირლებს აეკრძალათ სამგლოვიარო რიტუალების მოწყობა, მასში მონაწილეობა. ხალისდებოდა მხოლოდ ახალი, საბჭოთა ტრადიციების დაცვა და ამ რიტუალების შესრულება.

„შესანიშნავ საერთო-სახალხო ტრადიციულ შრომით დღესასწაულად იქცევა კომუნისტური შაბათობანი, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება. ჩვენს ყოფაში სამუდამოდ დამკვიდრდა მუშად და კოლმეურნედ კურთხევა, ხუთწლედის გმირების, რევოლუციისა და შრომის ვეტერანების, შრომითი დინასტიების წარმომადგენლების საზოგადოებრივი აღიარება, „მოსავალის დღესასწაულები“, „შრომითი დიდების იუბილეების“, პროფესიის დღეების მოწყობა, რომლებიც ადიდებენ შრომას, უნერგავენ ადამიანს კომუნისტურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ინტერესებისადმი...“

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. 1975 წ. 21 ოქტომბერი.
(ამონარიდი)

თბილისობა

თბილისობა. ნოვაციებს შორის, რომელიც იმ წლებში საკმაოდ ბევრი იყო, დღემდე შემორჩა ხვავისა და ბარაქის, მზიანი შემოდგომის უჭკნობი დღესასწაული „თბილისობა“. ეს იყო ედუარდ შევარდნაძის, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსის საოცრად კარგი მიგნებაა, რაც მეტად საჭირო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. როგორც ჩანს, მას კარგად ახსოვდა ძველი ქართული ტრადიციები: „ალავერდობა“, „მცხეთობა“ და მათი ანალოგიით მოისურვა თბილისშიც, ახალ კომუნისტურ საფუძველზე, შეექმნა ისეთი სახალხო დღესასწაული, რომელიც ერთმანეთში გააერთიანებდა შრომით დღესასწაულს, კულტურულ აპოთეოზს და საერთო სახალხო აღტაცებას. მას ეს, უდავოდ, გამოუვიდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მისი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ვინც კი სცადა „თბილისობის“ გაუქმება, მისი კვალის წაშლა დედაქალაქის ცხოვრებიდან – მას არაფერი გამოუვიდა, ვერ შეძლო და ეს დიდებული დღესასწაული დღესაც არსებობს, სიყვარულსა და სიხარულს ანიჭებს ყველა მასში მონაწილეს.

დღესასწაულის ინიციატორთა გეგმით, თბილისობა დღეს, ყოველი წლის ოქტომბერში, მთელი რესპუბლიკიდან, ყველა რაიონიდან უნდა ჩამოსულიყვნენ წარმომადგენლები და თან უნდა ჩამოეტანათ საკუთარი ეთნოგრაფიული კუთხე და შემოდგომის ნობათი – სურსათ-სანოვაგე, ახ-

ლადდაწურული ღვინო, ხალხური რეწვის პროდუქცია და ა.შ. თბილისის ცალკეულ უბნებში ეწყობოდა ეთნოგრაფიული გამოფენები, სოფლის ნობათის დეგუსტაცია, შედარებით იაფად იყიდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და ა.შ. ეს ყველაფერი თბილისელებს და თბილისის სტუმრებს ძალიან მოსწონდათ.

შემაჯამებელ სახალხო ზეიმზე ხდებოდა თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა (როგორც წესი, ასეთად ხდებოდნენ მეცნიერების, კულტურის, შრომითი ფრონტის ღვაწლმოსილი ადამიანები), იმართებოდა გალა-კონცერტი, დიდი სახალხო სეირნობები და ა.შ. და ა.შ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

საეკლესიო ცხოვრება. ომის შემდგომ პერიოდში კონფესიების მუშაობა საქართველოში ათეიზმის ტოტალური ბატონობის პირობებში მიმდინარეობდა და არცერთ მათგანს არ ჰქონდა გამორჩეული მდგომარეობა – ყველა მრევლის ხარჯზე არსებობდა და ეს მრევლიც ძალიან მცირერიცხოვანი იყო. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ომის შემდგომაც, დიდხანს უძღვებოდა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), რომლის დროს ურთიერთობა სახელმწიფოსთან შედარებით დარეგულირდა. ეკლესია პირნათლად ასრულებდა იმ სახელმწიფო დავალებებს, რომელსაც მას სახელმწიფოს ჩინოსნები აკისრებდნენ: ეკლესიას ეკრძალებოდა რელიგიის მასობრივი პროპაგანდა და უნდა დაკმაყოფილებულიყო მიზერულით. სახელმწიფო ეკლესიას მატერიალურად არ ეხმარებოდა. ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ჰქონდა თავისი პერიოდული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, და შეეძლო ყოველწიურად დაებეჭდა საეკლესიო კალენდარი. რელიგიური შინაარსის წიგნების ბეჭდვა სასტიკად იკრძალებოდა.

1977 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა ილია II (ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი). ამ არჩევანს, უდავოდ, საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა არ შეწინააღმდეგებია, თუმცა არც ბევრს დაპირებია. მთავარი იყო ის, რომ ქართულ მართმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოში დამატებითი პრობლემიები არ უნდა შეექმნა. ახალი პატრიარქის აღსაყდრების დროს საქართველოს ეკლესია ძლიერ დამცრობილი იყო – მას ჰქონდა სულ 15 ეპარქია, რომელშიც მხოლოდ ექვსს ჰყავდა მღვდელმთავარი. სულ მოღვაწეობდა 80 სასულიერო პირი. წმინდა სინოდი შვიდწევრიანი იყო, მათ შორის, თვითონ პატრიარქი, 3 მიტროპოლიტი და 3 ეპისკოპოსი. მცხეთაში მოქმედებდა სასულიერო სემინარია. საქართველოში სულ 34 მოქმედი ეკლესია იყო. მძიმე მდგომარეობაში იყვნენ სხვა კონფესიებიც.

თავიდანვე ახალმა პატრიარქმა მიზნად დაისახა ინტენსიური მუშაობა გაეჩაღებინა მრევლის სულიერი გაჯანსაღებისათვის. მან საზოგადოებაში გამოარჩია ორი ფენა – ახალგაზრდობა და ინტელიგენცია და სწორედ მათთან გაშალა აქტიური მუშაობა. პატრიარქმა შემოიღო ტრა-

დიციული ორშაბათობები – „ბავშვების დალოცვის დღე“, სისტემატური შეხვედრები სტუდენტ ახალგაზრდობასთან ოთხშაბათობით, ხოლო ინტელიგენციასთან – ხუთშაბათობით.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში – განსაკუთრებით მძიმე წლებში – პატრიარქის ქადაგებები ღვთისმეტყველური, დიდაქტიკური ხასიათის იყო. იგი გრძნობდა იმ პრობლემებს, რომლებიც საქართველოში ათეიზმის მრავალწლიანმა ბატონობამ წარმოშვა და მათ დასაძლევად, საღვთისმეტყველო იდეებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობის საქმედ მრევლისათვის მშობლიური ქვეყნის ისტორიის სიღრმისეული სწავლებაც მიაჩნდა.

„მძიმე განსაცდელის დროს, მტერთა შემოსევების ჟამს, წმ. თამარ მეფეს ბრძოლის წინ ლაშქარი ტაძარში მიჰყავდა. აქ მეომრები მეფესთან ერთად ლოცულობდნენ, ამბობდნენ აღსარებას, ეზიარებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეკვეთებოდნენ მტერს...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
საადგომო ეპისტოლე, 1983 წელი (ამონარიდი)

ეს მაგალითი, კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს ერთი წლის შემდეგაც შეახსენა, რაც ამ ფაქტის მნიშვნელობაზე მრევლის ყურადღების განსაკუთრებულ გამახვილებად უნდა ჩაითვალოს. ისტორიის ამგვარი შეხსენებით საქართველოს ეკლესიის წინამძღვარმა მრევლს ეკლესიის როლსა და მნიშვნელობაზე გაუმახვილა ყურადღება, მომავლის ბრძოლისთვის ის აშკარად შეამზადა... მომავალი დაგვანახებს, თუ რატომ დასჭირდა კათოლიკოს-პატრიარქს ამ ფაქტზე ყურადღების ასე გამახვილება...

ვითარება მსოფლიოში, ევროპასა და საბჭოთა კავშირში იმჟამად ერთსახოვანი არ იყო. 70-იან წლებში, მსოფლიოში მოხდა კარდინალური ძვრები, რომლებმაც მოითხოვეს რადიკალურად შეცვლილიყო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა სოციალისტურ ქვეყნებშიც. პოსტ-ინდუსტრიული განვითარების შედეგად დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ჩამოყალიბდა „ღია საზოგადოება“, რომელმაც უზრუნველყო თავისი მოქალაქეების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების საუკეთესო პირობები (თუმცა, ამის აღიარება საბჭოთა პროპაგანდას ჯიუტად არ სურდა), დაიწყო და წარმატებით განვითარდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის რამდენიმე ტალღა, მოხერხდა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმების რეალიზება, ამ ქვეყნებში დაგროვდა ხვავი და ბარაქა.

სოციალისტურ ბანაკში ვითარება ისევ რთული ჩანს. ეს აჩვენა უნგრეთში 1956 წლისა და ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლების ანტიკომუნისტურმა გამოსვლებმა, როცა საჭირო გახდა სოციალისტური ბანაკის გაერთიანებული ჯარების ერთობლივი ძალისხმევა პროკომუნისტური რეჟიმების შესანარჩუნებლად – ანტისაბჭოთა განწყობილებები ამ ქვეყნების რიგით მოსახლეობაში ძალუმად ვრცელდებოდა.

XX საუკუნის 70-იან წლებში, მოხდა გარდატეხა დასავლეთ ევროპის ბევრ კომუნისტურ თუ მუშათა პარტიის ცხოვრებაშიც – წარმოიშვა

„ევროკომუნიზმი“, რომელიც სოციალიზმის ახალ პრინციპებს და ბრძოლის ახალ ფორმებს სთავაზობდა საზოგადოებას. საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის გავლენიანი კომუნისტური პარტიების ლიდერები უკვე აშკარად აკრიტიკებდნენ საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელების ზოგიერთ გადაწყვეტილებას. კვლავ გრძელდებოდა დაძაბულობა ჩინეთისა და ალბანეთის კომუნისტურ პარტიებთან, რომლებიც კრემლის ლიდერებს „რევიზიონიზმში“ ადანაშაულებდნენ.

საბჭოთა სახელმწიფოს კოლოსალური ძალისხმევა სჭირდებოდა, რომ შეენარჩუნებინა, ჯერ კიდევ, არსებული ერთიანობა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, უზრუნველეყო თავისი სატელიტებისათვის ნორმალური სოციალური პირობები, დახმარებოდა სუბსიდიებით, გაეძლიერებინა მათი შეიარაღება და, ამავე დროს, წარმატებით შეესრულებინა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ავანგარდის ურთულესი მოვალეობა. ყველაფერ ამას მიჰქონდა ქვეყნის ბიუჯეტის დიდი უმეტესობა. პარტიული ლიდერები ვარაუდობდნენ, რომ ბევრის მომთმენი რუსი ერი კიდევ დიდხანს მიიტანდა თავის შრომით მიღწევებს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობისა და ძმობის სამსხვერპლოზე.

იმისათვის, რომ შექმნილიყო მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა დაპირისპირებულ კაპიტალისტურ და კომუნისტურ დაჯგუფებებს შორის, საბჭოთა კავშირი ყველა შესაძლო ძალით ახორციელებდა თავისი შეიარაღების ზრდას: უზარმაზარი სახსრები ხმარდებოდა თანამედროვე იარაღის წარმოებას, ატომური იარაღის მოდიფიკაციას, კოსმოსის ათვისებას, რომელსაც, იმჟამად, მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა.

დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები ცდილობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ექსპანსიის შეჩერებას, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ცივილურ ჩარჩოებში ჩაყენებას, რომ მას შეეწყვიტა დიქტატორული რეჟიმებისათვის (ლიბიელი კადაფის, ჩრ. კორეელი კიმ ირ სენის, სირიელი ანვარ სადათის, ერაყელი სადამ ჰუსეინისა და სხვ.) ფარული თუ აშკარა მხარდაჭერა. ამ მიზნით, შეიქმნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელმაც მიზნად დაისახა ახალ ვითარებაში დაპირისპირებულთა შორის ინტერესთა დაახლოება, საერთო ისეთი ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდნენ ხანგრძლივ მშვიდობას ევროპის კონტინენტზე. ამ ღონისძიებაში აშშ და კანადაც მონაწილეობდა.

ჰელსინკის დასკვნითი აქტის ხელმოწერა

1975 წელს 1 აგვისტოს, ფინეთში, ჰელსინკის კონგრესების სასახლეში შეიკრიბნენ ევროპის ქვეყნების, აშშ და კანადის სახელმწიფოების პრეზიდენტები, პრემიერ მინისტრები, სახელმწიფო მეთაურები და ხელი მოაწერეს „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის დასკვნით აქტს“, რომელიც აღიარებდა

ომისშემდგომი სახელმწიფო საზღვრების ურღვეობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, ევროპის უშიშროებას, ადამიანთა უფლებათა დეკლარაციის მოთხოვნათა უპირობო აღიარებასა და შესრულებას, ინფორმაციის გაცვლას, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის დარგში ქვეყნებს შორის ინტენსიური კავშირების განვითარებას. საბჭოთა სახელმწიფომ და მისმა სატელიტებმა ხელშეკრულებას ხელი კი მოაწერეს, მაგრამ მის შესრულებას სულ არ ფიქრობდნენ.

„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ სუვერენულ თანასწორობას და ერთმანეთის თავისებურებებს, ამავე დროს ყველა უფლება, რაც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის და მოცულია მათ მიერ, რომელთა შორისაა, კერძოდ, ყოველი სახელმწიფოს უფლება იურიდიულ თანასწორობაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, თავისუფლებასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობებზე. ისინი ასევე პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას თავისუფლად აირჩიონ და განავითარონ საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები, რამდენადაც ექნებათ უფლება დააფუძნონ საკუთარი კანონები და ადმინისტრაციული წესები...

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი
ჰელსინკი, 1975 წ. 1 აგვისტო (ამონარიდი)

ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოღვიძება. 1956 წლის 9 მარტის მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტამ, საქართველოს ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში, კვლავ გამოაცოცხლა ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ბრძოლის ამოცანა. მას განსაკუთრებით ხელი შეუწყო მსოფლიოში დეკოლონიზაციის წარმატებულმა პროცესმა, რომელიც 50-იანი-60-იან წლებში განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა: გაერთანებული ერების ორგანიზაციის წევრები გახდნენ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ისეთი ქვეყნები, რომლებიც ისტორიასაც კარგა დიდხანს დავიწყებული ჰყავდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, არსებულ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში საქართველოს ყოფნა ზოგიერთ ახალგაზრდა ინტელიგენტს უკვე ნონსენსად ეჩვენებოდა და ჯერ მხოლოდ თანამოაზრეთა მცირე ჯგუფებში მისი მომავალი განთავისუფლების გეგმებს ადგენდა.

უკვე 60-იანი წლების დასასრულს, თბილისში, შეიქმნა არარეგალური ორგანიზაცია „ეროვნული თვითშეგნების აღორძინება“ (ვ. ღლონტი და სხვ.). ახალგაზრდა ინტელიგენტების ეს პატარა დაჯგუფება ძალიან მალე უშიშროების ორგანოების რეპრესიის მსხვერპლი გახდა.

1974 წელს, თბილისში, შეიქმნა „ადამიანთა უფლებათა დაცვის“ საინიციატივო ჯგუფი (ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და სხვ.). დიდი იმპულსი მისცა ანტისაბჭოთა დაჯგუფებების ორგანიზებას

1975 წელს ჰელსინკში მიღებულმა „ეუთო“-დეკლარაციამ და იმ ნაბიჯებმა, რაც გადაიდგა ევროპაში მათი პრინციპების სარეალიზაციოდ. როცა 1976 წლის 12 მაისს, მოსკოვში, ჩამოყალიბდა „ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულების ხელშემწყობი ჯგუფი“, თბილისელმა ახალგაზრდებმა „ადამიანთა უფლებების დაცვის“ ჯგუფი გადააკეთეს „ჰელსინკის ჯგუფად“. მათ გამოსცეს ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი „ოქროს საწმისი“ (სულ 4 ნომერი) და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, მაგრამ ეს გამოცემები ვრცელდებოდა ერთგული ადამიანების ძალიან ვიწრო წრეში და მათ არ შეეძლოთ დიდი ზეგავლენა მოეხდინა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. თუმცა ინფორმაცია ასეთი ჯგუფის არსებობისა და მათი პუბლიცისტური მოღვაწეობის შესახებ სტუდენტ ახალგაზრდობაში მაინც ვრცელდებოდა.

ასეთი ახალგაზრდების საქმიანობას კრძალავდა საბჭოთა კანონმდებლობა, მათ სისტემატურად უთვალთვალებდნენ სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები, ამიტომაც საზოგადოებაზე მათი ზემოქმედების შესაძლებლობები ერთობ მოკრძალებული იყო, ზეგავლენის მასშტაბები ძალიან მიზერული.

მაგრამ სულ სხვა იყო ის ძლიერი ეროვნული ტენდენციები და საკმაოდ საგრძნობი საპროტესტო მუხტი, რაც უკვე XX საუკუნის 70-იანი წლებიდან შესამჩნევი იყო ქართულ ლიტერატურაში, თეატრალურ ხელოვნებაში, კინომატოგრაფში. უკვე, ამ პერიოდში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავის მოთხრობებში, ლექსებში მკვეთრად ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის, რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, აქტიურად იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებისათვის. რამდენადაც მათი საქმიანობა ძირითადად ლეგალური იყო – ისინი იბეჭდებოდნენ, დგამდნენ სპექტაკლებს, იღებდნენ მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებს, მათი მოღვაწეობის მასშტაბები და შედეგებიც უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ახალი გენერაციის მწერლებს შორის, არ შეიძლება არ აღინიშნოს ვ. ურჯუმელაშვილი და მისი რომანი „ფერისცვალება“, რ. ჯაფარიძის ნარკვევი „ადამიანთა მორჩილი ზღვა“. გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“ და სხვ. ამ მწერლებისა და მათი შემოქმედების შესახებ მუდამ კრიტიკულად იყო საუბარი საქართველოს კომპარტიის სპეციალურ დადგენილებაში თუ ცირკულარებში. მათ ნაშრომებში მკვეთრად იყო გამოხატული თანამედროვე საზოგადოების წყლულები, არსებული სულისშემხუთველი ვითარება, პიროვნების სულიერი კაეშანი.



ა. ბაქრაძე

70-80-იან წლებში საქართველოს ინტელიგენციის დემოკრატიულ თვალსაზრისს და რეჟიმისადმი საკმაოდ კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავდა მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი აკაკი ბაქრაძე. მისი ობიექტური, პატრიოტული და უკომპრომისო სტატიები მოს-

წონდა საქართველოს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს.

„ჩვენ ათეული წლების მანძილზე ვცხოვრობდით სხვისი ჭკუით, სხვისი სინდისით, სხვისი ნებით, სხვისი კარნახით, თავის შეუწუხებლად. ახლა აღარ გვინდა ეს. თვალი გავახილეთ, გონება გაგვეხსნა და ნამუსმა შეგვაწუხა. გვინდა გვქონდეს ვაჟკაცობა და ვცხოვრობდეთ საკუთარი ჭკუით. გვინდა დემოკრატია, მაგრამ არა მორჩილისა. გვინდა თავისუფალი ადამიანის დემოკრატია. ამიტომ ვთქვით უარი მორჩილებაზე...

აკაკი ბაქრაძე
„გაბაასება“ (ამონარიდი)

ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისა და განვითარების საქმეში ძალიან დიდი დამსახურება მიუძღვის მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს რეზო თაბუკაშვილს, რომელმაც სწორედ 70-იან წლებში გააქტიურა თავისი პუბლიცისტური კინო-დოკუმენტალისტიკა. მისი „ალპიური ვარსკვლავი“, „ვიტორიო ცელა“ და სხვა დოკუმენტური ფილმები, სწორედ, პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების პრობლემებს ეხებოდა. ეს ფილმები ამკვიდრებდნენ ეროვნული ღირსების, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის ჭეშმარიტ იდეალებს. უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის აქცია იყო რ. თაბუკაშვილის ინიციატივით იტალიიდან სამშობლოში დიდი მამულიშვილის, მეცნიერისა და მოღვაწის, მიხეილ თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენება (1978 წ.).

აღსანიშნავია, მწერლისა და მეცნიერის, ფოლკლორისტის, ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ ორგანიზებული „ფოლკლორული საღამოები“, რომელზეც იკრიბებოდნენ სახალხო მთქმელები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ამ საღამოებზე ისმოდა ეროვნული სიტყვა, ეროვნული ლექსი, ეროვნული სულისკვეთება...

ეროვნული ტენდენციები, ეროვნული სულისკვეთება შესამჩნევად განვითარდა საქართველოს საზოგადოებათმცოდნეთა ნაშრომებშიც – ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ფილოლოგების შრომებში. ისინი შეფარვით, ეზოპეს ენით ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი თუ პრობლემა განეხილათ ახლებურად, ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით და არ უშინდებოდნენ იდეოლოგიურ წნეხს. ისტორიკოსების: ა. ბენდიანიშვილის, უ. სიდამონიძის და ფილოსოფოს მ. მამარდაშვილის ნაშრომებში უკვე აშკარად შესამჩნევია ეს ტენდენციები.

ყველაფერ ამას უნდა დაემატოს ქართული თეატრის, კინოს, მეცნიერების, სპორტის ის არაჩვეულებრივი წარმატებები, რამაც მართლაც საოცრად გაიბრწყინა 70-80-იანი წლების მიჯნაზე და ეროვნული ღირსების გრძნობა გაუმახვილა რიგით ქართველს.

სწორედ ყველაფერმა ამან შეამზადა მსოფლმხედველობითი საფუძვლები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობისათვის. ამ პერიოდში მისი რეალური ჰეგემონი და საჭეთმპყრობელი, აშკარად, საქართველოს ინტელიგენცია ჩანს, რომელიც საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლის რადიკალურ ფორმების გამორიცხვით, ცდილობდა საზოგადოების ევოლუცია მოეხდინა სულიერი განწმენდის გზით. ამ საქმეში ისინი სრულ თანხვედრაში იყვნენ საქართველოს კათოლიკოს-

პატრირაქ ილია II საგანმანათლებლო სულიერ მოღვაწეობასთან – ორივე ეს ძალა ერთი მიზნისკენ ამზადებდა ქართულ საზოგადოებას.

დედა ენის ძეგლი თბილისში

მშობლიური ენა – ქართული. ის ინტენსიური საგანმანათლებლო მუშაობა, რასაც საქართველოს ინტელიგენცია ეწეოდა ეროვნული ფასეულობების აღორძინების, განმტკიცების, დაცვისა და განვითარებისათვის, თავის გამოხმაურებას ასიათასობით საქართველოს ახალგაზრდის გულში პოულობდა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველა მხრიდან იყვნენ იდეოლოგიური ზეწოლის ქვეშ, იყვნენ კომკავშირლები, კომუნისტური პარტიის წევრები, უკვე 70-იანი წლების მეორე ნახევარში, ეროვნული ფასეულობები მათთვის უკვე მნიშვნელოვანი ღირებულება გახდა. ეს კარგად ცხადყო იმ მოვლენებმა, რაც დაუკავშირდა 1977 წელს რესპუბლიკებისათვის ახალი საბჭოთა კონსტიტუციების მიღების პროცესს.

საქართველოს ყველა საბჭოთა, მათ შორის 1938 წლის სტალინური კონსტიტუცია, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს აღიარებდა და ამით მასზე ზრუნვა, მისი უფლებების დაცვა საკანონმდებლო უფლებებით იყო განმტკიცებული. 1977 წელს, ახალი კონსტიტუციის ინიციატორებმა მოსკოვში შესაძლებლად ჩათვალეს, რომ სტალინური კონსტიტუციის ეს მუხლი საქართველოს კონსტიტუციიდან ამოღებულიყო, როგორც მოძველებული.

საქმე იმაშია, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარში უკვე აშკარა გახდა ყველასათვის – ხრუშჩოვის მიერ კომუნისტური საზოგადოების აშენების კონკრეტული პროგრამა უტოპიური აღმოჩნდა და ის სასწრაფოდ შეცვალეს ახალი თეორიულ-იდეოლოგიური პოსტულატით: „განვითარებული სოციალისტური საზოგადოებით“, რომელიც „საბჭოთა სისტემის სოციალურ-ეკონომიკური შეუჩერებელი ზრდის საფუძველზე ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში და ამან უზრუნველყო ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის ფორმირება“. აქედან გამომდინარე: „არავითარი პრივილეგია არცერთ ერს, არცერთ ენას“ (ვ.ი.ლენინის ცნობილი ფორმულა). საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობას ენის სახელმწიფო სტატუსის პარაგრაფი კონსტიტუციაში ადრეც არ ჰქონდათ შეტანილი, ამიტომაც არც ამოუღიათ და მათთვის ეს საპრობლემო საკითხი არ აღმოჩნდა.

ვითარება დაიძაბა საქართველოში. განსაკუთრებით ღელავდა საქართველოს ინტელიგენცია: საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, მის სამეცნიერო დარგობრივ ინსტიტუტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და სხვა ორგანიზაციებში დიდი ხმაურით ჩატარდა – საქრთველოს პროფესურა მკაცრად მოითხოვდა შენარჩუნებულიყო ახალ კონსტიტუციაში უმნიშვნელოვანესი მუხლი – საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. „საერთო სახალხო განხილვები“ ისე დას-

რულდა, რომ საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ ვერ გაბედა პროექტში კვლავ დაემატებინა უკვე ამოღებული სტალინური მუხლი.

1978 წლის 14 აპრილს, თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია (რომლის პროექტიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის მუხლი ამოღებული იყო).

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის მიერ შემზადებული თბილისის ახალგაზრდობა რუსთაველის გამზირზე გამოიშალა და მთავრობის სასახლის წინ გამართა გრანდიოზული მიტინგი. ქართველი ახალგაზრდები მოითხოვდნენ ეროვნული ინტერესების დაცვას. ყოველ წუთს ვითარება შეიძლება უმართავი გამხდარიყო. მობილიზებულნი იყვნენ სამართალდამცავი სტრუქტურებიც. ე. შევარდნაძე შეხვდა მიტინგის მონაწილეებს – პირად მამაცობას მას აშკარად ვერ წაართმევდა ვერავინ. მან ისინი დაარწმუნა, რომ შეეცდებოდა შეუძლებელს...

საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა სესიის მიმდინარეობის პერიოდში მოსკოვში, კრემლში დაურეკა ლ. ი. ბრეჟნევს და დეტალურად აცნობა თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მოსკოვი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ახალგაზრდების მოთხოვნას – კონსტიტუციიდან ამოღებული მუხლი კვლავ შეიტანეს მასში და სესიამ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს ახალი საბჭოთა კონსტიტუცია.

„მუხლი 75. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ქართული ენა.

საქართველოს სსრ ახორციელებს ქართული ენის საყოველთაოდ განვითარებაზე სახელმწიფო ზრუნვას და უზრუნველყოფს მის გამოყენებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კულტურის, განათლების დაწესებულებებში და სხვ.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია. 1978 წ. 15 აპრილი

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი შენარჩუნდა – საქართველოს ახალგაზრდობამ გაიმარჯვა, მაგრამ ამ გამარჯვებაში ქართველი კომუნისტების ლიდერის ღვაწლიც არის. ამიტომაც, სწორედ მისი მმართველობის პერიოდში სანაპიროზე, იქ, სადაც ი. სტალინის უზარმაზარი ქანდაკება იყო აღმართული და 1956 წლის 9 მარტს, მშვიდობიანი მომიტინგეები იკრიბებოდნენ, მოგვიანებით აღიმართა ქართული ენისადმი მიძღვნილი ჩინებული ქანდაკება (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

1978 წლის დრამატული ინციდენტი. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა თავისი საქმიანობით აშკარად ცდილობდა ქვეყანაში შეექმნა ისეთი მორალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომ რესპუბლიკა ყოფილიყო მოწინავე, არ გამხდარიყო აუტსაიდერი და არ გადაკეტვოდა წყარო ეკონომიკური და სოციალური პროექტებისათვის – მოსკოვის, კრემლის კეთილგანწყობა. ამის საფუძველი, ედუარდ შევარდნაძის აზრით, იყო მაქსიმალურად ლოიალური პოზიციების დაფიქსირება, მოსკოვის მითითებებების ზუსტი და სწრაფი აღსრულება, მკვეთრი ანტისაბჭოთა ტენდენციების განეიტრალება (შენიღბვა). მის ამ ამოცანას საქართველოში საკმაოდ ენერგიულად და თავისი ნაცადი მე-

თოდებით „სრულყოფილად“ ახორციელებდა საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის („კგბ“) უცვლელი ხელმძღვანელი – ალექი ინაური, რომლისაც ძალიან ეშინოდათ, მაგრამ პატივსაც სცემდნენ.

ძალიან მალე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მიაგნეს და დააპატიმრეს „ჰელსინკის ჯგუფი“ სრული შემადგენლობით. როგორც საქმეში ჩახედულები გადმოგვცემენ, დაპატიმრებულ ქართველ პატრიოტებზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში საშინელი, აუტანელი ზეწოლა განხორციელდა. მის შედეგად ზოგი დაპატიმრებული „გატყდა“, „აღიარა დანაშაული საბჭოთა სახელმწიფოს“ წინაშე, ზოგმა – არა. ვინც აღიარა – ის ძალიან მალე გამოუშვეს, მისგან მიიღეს აღიარებითი ჩვენება, გამოსვლა მონანიებით საკავშირო ტელევიზიაში და თავისუფლება კავკასიის მთებში გადასახლებით. ასეთი აღმოჩნდა ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია.

„ადვოკატი – ბოლომდე თუ გაქვთ შეგნებული მავნებლური ხასიათი თქვენს მიერ გავრცელებული ლიტერატურის, განსაკუთრებით – სოლჟენიცინის წიგნების?

გამსახურდია – ადრე ეს არა მქონდა შეგნებული, ეხლა მესმის... მე არ ველი სასამართლოსაგან არავითარ შეწყალებას...

მოსამართლე – ადამიანის რომელ უფლებებს იცავდით?

გამსახურდია – მე ვცდებოდი.

პროკურორი – თქვენ ინანიებთ?

გამსახურდია – დიახ.

პროკურორი – როდის შეიგნეთ თქვენი შეცდომები?

გამსახურდია – დაპატიმრების შემდეგ, რამდენიმე თვეში.

ადვოკატი – თქვენი მონანიება გულწრფელია, თუ ის შეიძლება მომავალში შეიცვალოს?...

სასამართლოს სტენოგრამა, ინტერნეტ გამოცემა (ამონარიდი)

სასამართლოზე არ მოინანია, არც აღიარებითი ჩვენებები მისცა და 10 წელი ციხეში გაატარა სწორედ „ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის“ მომავალში საქართველოს ეროვნულმა გმირმა მერაბ კოსტავამ...

ვითარება აფხაზეთში. მოსკოვმა, საქართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებული მარცხი, საკმაოდ კარგად და ძალიან მალე აინაზღაურა აფხაზეთში, ადგილობრივი სეპარატისტების საშუალებით. საქმე ის არის, რომ 1978 წელს უნდა შეცვლილიყო აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაც და ადგილობრივმა ეთნოკრატიამ, რომელიც მუდამ გრძნობდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ კრემლის მხარდაჭერას თავის ანტიქართულ საქმიანობაში, გადაწყვიტა კვლავ თბილისის საწინააღმდეგო დემარში განეხორციელებინა. ამ ჯგუფმა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიის ბოლო რამდენიმე ათეული წლის მონაკვეთიდან წამოატივტივეს ზოგიერთი, მათ მიერ გაზვიადებული ისტორიული ფაქტი, საბჭოთა რეპრესიული პოლიტიკის ცალკეული შედეგი და ამ ყველაფრის რეალიზატორი თბილისის ქართული ხელისუფლება გამოაცხადეს, ანუ, მათ საბჭოთა სისტემის რეპრესიებს ქართული შინაარსი შესძინეს. მათ უარყოფით კონტექსტში გაიხსენეს 30-იან წლებში აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა (რუსეთის ფედერაციამ ყველა თავის ავტონომიაში

განახორციელა „კირილიცაზე“ ადგილობრივი ენების დამწერლობის გადაყვანა და ეს არავის ჩაგვრად არ ჩაუთვლია), ასევე უარყოფითად შეაფასეს 40-იანი წლების მეორე ნახევარში საშუალო სკოლების მე-5 კლასიდან ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელების პრაქტიკაც (რასაც რუსული ენის საფუძველზე წარმატებით ახორციელებდა და დღესაც ახორციელებს რუსეთის ფედერაცია თავის ავტონომიებში), 1937 წელს განხორციელებული რეპრესიები მხოლოდ სტალინისა და ბერიას სახელებს დაუკავშირეს და ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ წერილში მოითხოვეს აფხაზეთის სტატუსის შეცვლა.

იმ წლების პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ წერილის შინაარსს საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა გულდასმით მალავდა, მაგრამ მის შესახებ ცნობილი გახდა ქართველი პატრიოტებისათვის, ინტელიგენციის გარკვეული ჯგუფისათვის და ისინი მოითხოვდნენ ამ ინსინუაციებზე საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისაგან მკაცრ რეაგირებას.

რეაგირება კი იყო აშკარად შემრიგებლური: კრემლმა მხარი არ დაუჭირა აფხაზეთის სტატუსის შეცვლას (ეს გამოიწვევდა ცვლილებას სსრკ კონსტიტუციაში, რაც სერიოზულად გაართულებდა ვითარებას ქვეყანაში) – ის კვლავ დარჩა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებები, დაფინანსების წყაროების საგრძნობი ზრდა განხორციელდა. ამასთან, სოხუმის პედინსტიტუტი გადაკეთდა აფხაზეთის უნივერსიტეტად და სოხუმში მაუწყებლობა დაიწყო სოხუმის ტელევიზიამ (აფხაზურ, ქართულ, რუსულ ენებზე). სკკპ ცეკამ და სსრკ მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილებაც კი მიიღეს, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების დაჩქარებას, გამოინახა დამატებითი სახსრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და ა.შ.

ამ ეტაპზე კონფლიქტი მოწესრიგდა, მაგრამ „ნაღმები“ კვლავ დარჩა. მას ორივე (ქართულიც და აფხაზურიც) მხარე კარგად გრძნობდა. მას ვერ ანეიტრალებდა ე. შევარდნაძის მიერ ორგანიზებული ქართულ-აფხაზური ყოველწლიური შეხვედრები რუხში, ქართული და აფხაზი პარტიული ნომენკლატურის განუწყვეტელი „ერთგულების ფიცი“, ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების შეხვედრები ბორჯომში და ა.შ. აფხაზი სეპარატისტები ლოდინის რეჟიმში გადავიდნენ, ადგილობრივმა ქართველებმა კი სიფხიზლე აშკარად მოადუნეს...

„საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოდის...“ ე. შევარდნაძის მმართველობის მთელი პერიოდი ინტერნაციონალიზმის, რუსეთ-საქართველოს ისტორიული მეგობრობის გაფეტიშების ერთიანი უწყვეტი პროცესია. ის ყოველთვის ეძებდა საშუალებებს, ფაქტებს, რომ არ შენელებულიყო ამ თემაზე საუბარი, ამ თემით საზოგადოების ყურადღების აჟიტირება – აშკარაა, ეს მას ძალიან სჭირდებოდა და ეს იმდენად იყო მისთვის მნიშვნელოვანი, რომ ზოგჯერ, აშკარად, თავის თავს აყენებდა უხერხულ მდგომარეობაში და საქართველოს ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის გაკვირვებას, ხოლო ზოგიერთების დაუფარავ აღშფოთებასაც იწვევდა.

საზოგადოებაში სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია საქართველოს კომუნისტების ლიდერის მიერ ინიცირებულმა გადაწყვეტილებამ – დიდი ზეიმით აღენიშნათ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ გაშალა წარმოუდგენლად მასშტაბური აგიტ-პროპაგანდისტული მუშაობა. სწორედ ამის გამო გაიხსენა საქართველოს ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ი. სტალინის შეფასება რუსეთ-საქართველოს შეერთებასთან დაკავშირებით ნათქვამი – „უმცირესი ბოროტება“, და, კიდევ უფრო მეტი, ქართველი ბოლშევიკების პირველი თაობის 1901 წლის ცნობილი პროკლამაციაც – „რუსეთის ხიშტის 100 წელი კავკასიაში“ და მოითხოვა ამ ისტორიული ფაქტის არა თუ ზეიმით აღნიშვნა, არამედ მისი სრული იგნორირება.

ე. შევარდნაძე კრემლის ყრილობათა სასახლეში

მაგრამ, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა ამ ისტორიული ფაქტის აღნიშვნით მოელოდა მოსკოვის კრემლის ლიდერებისაგან შექებას, პროპაგანდისტულ ხმაურს, საკავშირო მასშტაბით რესპუბლიკის მნიშვნელობის განსაკუთრებულ წარმოჩენას, ახალ მზარდ ინვესტიციებს და ა.შ. ამიტომაც ე. შევარდნაძე პარტიულ აქტივთან შეხვედრების დროს, საჯარო გამოსვლებზე თვითონაც დიდი ენთუზიაზმით უწევდა პროპაგანდას ამ ისტორიულ თარიღს და ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მან ი. სტალინის „უმცირესი ბოროტების“ თეორიასთან დაკავშირებით თქვა დაახლოებით შემდეგი: ბოროტება, გინდა „მცირე“ იყოს, გინდა „დიდი“ – მაინც ბოროტებაა... რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არ შეიძლება იყოს რაიმე „ბოროტება“, დღეს „საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის!“ (პერეფრაზირება).

ყველასათვის ნათელია, თუ რას გულისხმობდა ეს ხატოვანი გამოთქმა – სოციალიზმის რუსული მოდელის რეალიზება საქართველოსთვის იყო, არის და იქნება უდიდესი ბედნიერება, – ამტკიცებდა ამ გამოთქმით საქართველოს კომპარტიის I მდივანი, – და ამით შეიძლება მხოლოდ იამაყო, არ შეიძლება მას უწოდო „უმცირესი ბოროტება“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტის მიმართ ასეთმა დამოკიდებულებამ ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, დაგეგმილი ზეიმის ორგანიზება მაინც მოხდა. მოსკოვმაც ამ ზეიმის მოსაწყობად არ დაიშურა ასიგნებანი: გამოიყო სახსრები ძალიან ბევრი მიმართულებით – დაიგეგმა და განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბანში, ელბაქიძის დაღმართთან გრანდიოზული, ორსართულიანი მოედნის მშენებლობა უზარმაზარი კოლონადებით და ქვედა სართულის დიდი დარბაზებით, ასაწევ-დასაწევი მოედნებით, თბილისის შემოსასვლელთან დაიდგა სახელოვანი მოქანდაკის ზ. წერეთლის რუსეთ-საქართველოს მეგობრობისადმი მიძღვნილი მონუმენტი (დღეს აღარ არე-

ბობს), საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისში, ლარსის ტერიტორიაზე განათავსეს ქანდაკებების უზარმაზარი კომპლექსი „თერგდალეულები“, მცხეთაში, ჯვრის ტაძრის მიდამოებში აღმართეს მიხეილ ლერმონტოვის ძეგლი, თბილისის კინოსტუდიამ ამ ისტორიულ ფაქტს მიუძღვნა მრავალსერიანი ფილმი „წიგნი ფიცისა“, რომელიც საკავშირო ტელეარხებითა და „ინტერვიზიით“ მთელმა სოცილისტურმა სამყარომ ნახა და ა.შ. და ა.შ.

თბილისში, იუბილეზე მოსკოვის მთავარი პარტიული ხელმძღვანელი, მართალია, ვერ ჩამოვიდა, მაგრამ საიუბილეო ღონისძიებები მაინც მასშტაბურად ჩატარდა. მოსკოვის მიერ გამოყოფილი ახალი ასიგნებანის მნიშვნელოვანი ნაწილი ე. შევარდნაძემ მიმართა სახალხო მეურნეობის რიგითი დარგის განვითარების საჭიროებაზე.

მრეწველობა და სოფლის მეურნეობა იყო ედუარდ შევარდნაძის საქმიანობის უპირველესი მიმართულება. ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი ჩანდა პრობლემა – უპირველეს ყოვლისა მთავარი იყო იმ დავალიანების გასწორება, რაც რესპუბლიკას დაუგროვდა საკავშირო ბიუჯეტის მიმართ ჯერ კიდევ ვასილ მჟავანაძის მმართველობის წლებში. 1975 წელს, საქართველოს კომუნისტების ლიდერმა პარტიული აქტივის სხდომაზე რესპუბლიკის სახელით ივალდებულა, რომ ქვეყანას გეგმის ზევით მისცემდა 200 მილიონი მანეთის სამრეწველო და 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

ამ პერიოდში, საბჭოთა საქართველოს სამრეწველო პოტენცია საკმაოდ მასშტაბური ჩანს – ქვეყანაში 1976 წელს უკვე 1127 სამრეწველო საწარმო არსებობდა, აქედან 94 იყო – საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, ე.ი. მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ძალიან მაღალ ნიშნულზე იყო ასული და ისინი მსოფლიო დონის პროდუქციას აწარმოებდნენ. იმჟამად, საქართველოს სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქცია მსოფლიოს 80-მდე ქვეყანაში იგზავნებოდა. საზღვარგარეთ გაჰქონდათ: მაგისტრალური ელმავლები, ნაგლინი, მანგანუმი, ფერონადნობები, აზოტოვანი სასუქები, ჰიდრავლიკური ამწეები, ლითონდამამუშავებელი ჩარხები, ჩაი, ციტრუსები, ღვინო, კონიაკი, კაკლის მურაბაც კი.

ე. შევარდნაძემ მოახერხა, რომ 70-იან წლების მეორე ნახევრიდან, საქართველოს მრეწველობა შედარებით სტაბილურად ვითარდებოდა. მას, ჯერ ერთი, აპირობებდა ეკონომიკური რეფორმების რეალიზება, მატერიალური სტიმულირების სისტემის შედარებით უკეთ გამოყენება, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მოძრაობის ინტენსიფიკაცია; და მეორე, სამრეწველო საწარმოებში მოხდა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ინტენსიფიკაცია, სოციალისტური შეჯიბრებები, ნოვატორთა მოძრაობა ფართოდ გაიშალა და ა.შ.

„70-იან წლებში, მოხდა მნიშვნელოვანი ხარისხობრივი წინსვლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. ერთიანი საზოგადოებრივი პროდუქტის საერთო მოცულობა მხოლოდ ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა 42 პროცენტზე მეტად და შეადგინა დაახლოებით 16 მილიარდი მანეთი, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი 46 პროცენტით გაიზარდა და მან, 1980 წელს, შეადგინა

7,4 მილიარდი მანეთი. მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ყველა სამრეწველო ფონდის განახლების კონფიცენტმა შეადგინა 28 პროცენტი. საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გაზრდის საფუძველზე მიღებულია ეროვნული შემოსავლის 86 პროცენტიანი და სამრეწველო პროდუქციის 74 პროცენტიანი ზრდა. ამის შედეგად, რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მოცულობების ზრდის მაჩვენებლის ჩამორჩენა საერთოსაკავშირო მონაცემებთან მეცხრე ხუთწლედში, წინასწარი მონაცემებით, შემცირდა: ეროვნულ შემოსავლებში – 14, სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში – 9 და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კუთხით – 8 პროცენტული პუნქტით...“

ე.ა. შევარდნაძე
საქ. კპ ცკ ანგარიში საქართველოს კომპარტიის
XXVI ყრილობას. 1981 წ. 22 იანვარი (ამონარიდი)

ქუთაისის ავტოქარხნის ახალი მოდელის ავტომობილი

იმ წლებში, სოციალისტური შეჯიბრება კვლავ ითვლებოდა შრომისნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანეს საშუალებად, ყველა საბაბით, ყველა ისტორიულ ფაქტს ეძღვნებოდა ახალ სოციალისტურ შეჯიბრება, რომელიც აუცილებლად ყველა საწარმოს უნდა აეთვისებინა, დაენერგა და კონკრეტული შედეგისთვისაც უნდა მიეღწია. მაგალითად, იყო ასეთი თაოსნობაც – „იმ ყმაწვილისათვის...!“. ეს ინიციატივა მოსკოვის ერთ-ერთ საწარმოში დაიბადა II მსოფლიო ომის საიუბილეო დღეებში და ავალებდა ამ თაოსნობაში მონაწილე ბრიგადებს დამატებით საწარმოო დავალება შეესრულებინათ ფრონტზე დაღუპული მებრძოლის ნაცვლადაც.

მატერიალური სტიმულირებისა თუ სოციალისტური შეჯიბრების განვითარების საფუძველზე, საქართველოს მრეწველობაში, თუ ვერწმუნებით საბჭოთა სტატისტიკას, არის აღმავლობა – ე. შევარდნაძის საქმიანობა წარმატებულად შეიძლება გამოცხადდეს: ექსპლოატაციაში შევიდა ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა, რომლისთვისაც ჩეხოსლოვაკიიდან სრულად ჩამოიტანეს, როგორც ტექნიკური მოწყობილობა, ისე მდიდარი გამოცდილებაც; ხაშურში დასრულდა საკმაოდ დიდი საგალანტერიო ფაბრიკის მშენებლობა; საჩხერეში ააშენეს ბამბეულის დიდი ფაბრიკა. კრემლთან ურთიერთობის დარეგულირებამ პარტიულ ლიდერს შესაძლებლობა მისცა დაეწყო ადრე აშენებული და უკვე მოძველებული ტექნოლოგიის მქონე საწარმოების გადაიარაღება, დიდი ინვესტიციები ჩაიდო ქუთაისის საწარმოების (ქუთაისის ავტოქარხნის, სატრაქტორო ქარხნისა და ა.შ.) მოდერნიზებაში, იაპონური ტექნოლოგიის დანერგვით მოხერხდა ჭიათურის ფეროკომბინატის ტექნიკური გადაიარაღება, რამაც რადიკალურად გააუმჯობესა ეკოვითარება ქალაქში, დაიწყო თბილისის უმსხვილესი საწარმოების – საავიაციო, ელმავალმშენებელი და სხვა საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზება და ა.შ. და ა.შ.

“ფოთის ექსპერიმენტი”

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელს ძალიან სურდა მისი რესპუბლიკა სიახლეების, ექსპერიმენტების განხორციელების არენა ყოფილიყო, ამიტომაც არ იშურებდა ენერგიას, სახსრებს, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევას, რომ ადგილებზე, რაიონებში, ქალაქებში წაეხალისებინა თაოსნობები, რომლებიც „ხმაურიანიც“ იქნებოდა, და თანაც ეკონომიკური ეფექტიანობითაც გამორჩეული. ერთ-ერთი ასეთი იყო ე.წ. „ფოთის ექსპერიმენტი“, რომელიც 80-იან წლებში განახორციელეს და მისგან ძალიან ბევრს მოელოდნენ: შეიქმნა თვითმმართველობის ტერიტორიულ-დარგობრივი ორგანო, მის იურისდიქციაში მოაქციეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, რომელსაც დაევალათ თავისი წილი შეეტანათ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერებისა და განვითარების საქმეში და ა.შ.

მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, საქართველოს მრეწველობაში მაინც შეიმჩნეოდა დარღვევები და გადაცდომები: კვლავ იყო მიწერები, ნედლეულის, ენერგორესურსების უყაირათო გამოყენება, უხარისხო პროდუქციის წარმოება (განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში), მუშაობა იყო მხოლოდ გეგმის შესასრულებლად, წარმოებული პროდუქციის დიდი პარტიები რჩებოდა საწყობში და მომხმარებლებამდე არც კი მიდიოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ქუთაისური ავტომობილი, რომელიც სოფლის მეურნეობისთვის იყო ძირითადად გათვალისწინებული, რამდენიმე ათეული კილომეტრის გარბენის შემდეგ, გაჩერებულა. მართალია, ეს და მსგავსი ხარვეზები არ იყო მხოლოდ ქართული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, მაგრამ მაინც, მცდელობების მიუხედავად ვითარება ამ სეგმენტში ვერ გამოსწორდა.

პრობლემები ბევრი იყო სოფლის მეურნეობაშიც, თუმცა, ოფიციალური სტატისტიკით და პარტიული ყრილობების ანგარიშით თვალსაჩინოა ყოველწლიური ზრდა, ხვავისა და ბარაქის დაგროვება.

“X ხუთწლედის განმავლობაში, ჩვენი სოფლის მეურნეობის განსავითარებლად ასიგნებულია 1 მილიარდ 600 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდება, რაც 6 პროცენტით მეტია IX ხუთწლედის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში, სოფლის მეურნეობამ მიიღო თითქმის 16 ათასი ტრაქტორი, ერთი ათასი კომბაინი, 12 ათასი სატვირთო ავტომობილი; მაღალნაყოფიერი სასოფლო სავარგულების მოცულობა გაიზარდა 83 ათასი ჰექტარით ამოშრობილი და გაწყალოსნებული მიწების ხარჯზე და ა.შ. ხუთწლედის განმავლობაში მემცენარეობაში მექანიზაციის დონე გაიზარდა 12 პროცენტით, ხოლო მესაქონლეობაში – 16 პროცენტით...

ე.ა. შევარდნაძე

საქ. კპ ცკ ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

1981 წ. 22 იანვარი (ამონარიდი)

წარმატებული მაჩვენებლების უკან კი მკაცრი სინამდვილე იმალებოდა: მიუხედავად, უზარმაზარი სუბსიდიებისა, საბჭოთა სოფლის მეურნეობაში სერიოზული და გადაულახავი პრობლემები სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. გეგმების შესრულებას გამოდევნებული საქართველოს სოფლის მეურნეობა რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა – სერიოზულ სიძნელეებს ქმნიდა ჩაის წარმოების სისტემატურად მზარდი გეგმა – დასალეთ საქართველოს რამდენიმე რაიონს ჩაის პროდუქციით უნდა უზრუნველეყო 300 მილიონიანი საბჭოთა კავშირი და კიდევ ექსპორტში უნდა გაეტანათ. ეს სიზიფეს შრომას უდრიდა და ჩაის მოვლა-მოყვანის, მისი ვეგეტატიური განვითარების, მოკრეფის, გაშრობის და დამუშავების საყოველთაოდ მიღებული წესების დარღვევის გარეშე ეს ამოცანა ვერ ხორციელდებოდა. ჩაი, ამ პერიოდში, კი არ „იკრიფებოდა“, არამედ „იცელებოდა“ – სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით, რომელსაც „ხელით საკრეფი მანქანები“ შეარქვეს. უკვე ამ წლებში, საბჭოთა მთავრობამ ინდოეთსა და ცეილონში დაიწყო მაღალხარისხოვანი ჩაის შეძენა, რომ ის შეერიათ ქართული ჩაისათვის და ისე დაკუპაჟებული გაეტანათ საკავშირო ბაზარზე. „ქართული ჩაის“ ღირსება სერიოზულად შეირყა.

მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა მევენახეობაში. გადიდებული წლიური გეგმების შესრულებას კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ აუდიოდნენ და რაიონების პარტიული ხელმძღვანელები ხშირად აიძულებდნენ გლეხებს საკარმიდამო მამულებში მოყვანილი ყურძენი მიზერულ ფასად ჩაებარებინათ სახელმწიფოსათვის.

სერიოზულად შეირყა ქართული ღვინის სახელი საკავშირო ბაზარზე – ხშირად ფიქსირდებოდა ღვინის წარმოებაში ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის ფაქტები.

საქართველოში დიდი პრობლემები შეიქმნა მესაქონლეობაშიც. საზოგადოებრივ ფერმებში საქონლის მოვლისა და მისი პროდუქტიულობის მაჩვენებელი, ხშირად, დაბალ ნიშნულზე იყო. ამ პრობლემების გამოსასწორებლად ე. შევარდნაძის პირადი ინიციატივით საკავშირო მთავრობამ გამოჰყო სუბსიდიები მესაქონლეობის დიდი კომპლექსების მშენებლობისათვის. ამ მიზნით, საზღვარგარეთ შეიძინეს ჯიშიანი საქონელი და მათი მოვლის პროგრესული ტექნოლოგია.

სამომხმარებლო ბაზარზე დაძაბულობის შესამცირებლად მნიშვნელოვნად წაახალისეს საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმების მოწყობის პრაქტიკა, მოხდა ამ სფეროში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემოტანა, რამაც ფრინველის ხორცის წარმოება მნიშვნელოვნად გაზარდა. საქართველოს დიდი ქალაქების სამომხმარებლო ბაზარზე გამოჩნდა ადგილობრივი წარმოების ახალი ქათმის ხორცი.

სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი კვლავ სოციალისტური შეჯიბრება რჩებოდა, მაგრამ შრომადღეების მიზერული ანაზღაურება (XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ის ძლივს გაუტოლდა შრომადღეზე დაახლოებით 6 მანეთს) ყოველთვის არ იწვევდა შრომის მაღალნაყოფიერებას. ეს იმ დროს, როცა „სტალინური დუალიზმი“ სოფლის მეურნეობაში საქართველოში უკვე 70-80-იან წლებში, აშკარად, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენდა წარმოების არსებულ კოლექტივისტურ

ფორმებზე. ზედაპირული სტატისტიკური ცნობებიც კი ნათელს ჰფენს, რომ კოლექტიური მეურნეობა, თავისი უზარმაზარი სუბსიდიებით, სახელმწიფო ტექნიკური და ტექნოლოგიური დახმარებებით, აშკარად აგებდა „კერძო სექტორთან“. დადასტურებული ფაქტია, რომ XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, საქართველოში წარმოებულ ყოველ 100 კილოგრამ ყურძენში 60 კილოგრამი იყო „საკარმიდამო ნაკვეთებიდან“, ხოლო 40კგ – კოლექტიური მეურნეობებიდან.

ვითარების გამოსწორებას ე. შევარდნაძე სოფლადაც შრომის რაციონალიზაციით, ახალი თაოსნობების ტირაჟირებით ცდილობდა. დიდი რეზონანსი მოჰყვა და ამაზე საკავშირო პრესაც ალაპარაკდა ე.წ. „აბაშის ექსპერიმენტის“ გამო. აბაშის პატარა რაიონის ხელმძღვანელმა, გურამ მგელაძემ სოფლის მეურნეობაში განახორციელა შრომითი პროცესების რაციონალიზაცია, გეგმიური მეურნეობრიობის პირობებში დანერგა საბაზრო ურთიერთობის ელემენტები, მიაღწია შრომის საბოლოო შედეგებით გლეხის დაინტერესებას, მიღებული ანაზღაურების მოცულობა მთლიანად დაუქვემდებარეს წარმოებული პროდუქციის ხარისხს და ა.შ. ამ სიახლემ გარკვეული ბიძგი მისცა რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ ექსპერიმენტის მასობრივ გავრცელებას საქართველოში ხელი შეუწყო ძალიან ცნობილი საბჭოთა მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის საგაზეთო ნარკვევმაც „რა მოხდა აბაშაში?“. აბაშის ექსპერიმენტი ჩაითვალა საქართველოს სოფლის ჩიხიდან გამოყვანის მთავარ საშუალებად, ეკონომიკური წინსვლისა, ხვავისა და ბარაქის დაგროვების მნიშვნელოვან ბერკეტად. მასობრივად შეეცადნენ ეს ექსპერიმენტი მთელ რესპუბლიკაში დანერგათ, მაგრამ ეს მცდელობაც დროში ძალიან გაიწელა.



კ. ლორთქიფანიძე

„ ...ბოლოს მოხდა დაუჯერებელი ამბავი: 1965-1970 წლებში აბაშის მიწამ ჰექტარზე საშუალოდ ხუთი-ექვსი ცენტნერი სიმინდის მეტი ვერ მიიღო... თანდათან გაუფასურდა შრომადღე, ცარიელზე დარჩენილმა გლეხმა გან-განზე დაიწყო სიარული, ან არადა... შუაღამე რომ მოაწევდა, რომელ ყანაში არ გაიგონებდი ტაროს მოტეხის ხმას. ხან აგერ გაიტკაცუნებდა მოულოდნელად ნასხლეტი ტარო, ხან აგერ შეირხეოდა ორი კაცის სიმაღლეზე აყრილი ხაშარი...

...ნამდვილი სასწაული მოახდინეს ტყვირელმა გლეხებმა. სამასი ჰექტარიც არ იქნება მათი საყანე მინდვრები, მაგრამ არც ქარწვიმას, არც წყალდიდობას ნათესი არ დააჩაგვრინეს და შრომის ნაყოფიერების გაუგონარ მაჩვენებლებს მიატანეს: ჰექტარზე საშუალოდ სამოცდაშვიდი ცენტნერი სიმინდი მოიწიეს: სულ 1942 ტონა...

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, „რა მოხდა აბაშაში“ (1978 წ.)
(ამონარიდი)

ხოლო რაც შეეხება წინსვლას, რაც შეეხება ხვავსა და ბარაქას, საქართველოში ეს უდავოდ დაგროვდა, და ის დაგროვდა, არა საკოლმე-

ურნეო ფერმებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, არამედ ინდივდუალური მოქალაქის საცხოვრებელ ბინაში.

საქართველოს მოქალაქის მატერიალური ყოფა. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, დღევანდელი რუსი ექსპერტების გამოკვლევით, საბჭოთა კავშირში ყველაზე საუკეთესო ჩანს – როგორც ისინი ამტკიცებენ საქართველოს რიგით მოქალაქეს ყველაფერი გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე რუსს, უკრაინელს თუ ბალტიისპირელს.



გლდანის საცხოვრებელი მასივი

შემორჩენილი საბჭოთა სტატისტიკური მონაცემები, თუ კი მათ დავეყრდნობით, ასევე მიუთითებენ, რომ საქართველოს სსრ საშუალო მოქალაქის ცხოვრება ყოველდღიურად უკეთესდებოდა, ყოველწლიურად რიგითი საშუალო ქართველი უფრო მატერიალურად გამართული და სოციალურად უზრუნველყოფილი ხდებოდა. როგორი იყო ეს სტატისტიკა?

ე. შევარდნაძის მმართველობის პირველ ხუთ წელიწადში, რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი 7,7 პროცენტით გაიზარდა (იყო 4 379,8 მილიონი მანეთი და გახდა 5 784,4 მილიონი მანეთი). საგრძნობი ზრდა შეიმჩნევა მოსახლეობის რეალურ შემოსავლებშიც – საშუალოდ 19%.

უწყვეტი ზრდაა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მოცულობებშიც (სახალხო განათლება, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და ა.შ.) – 1976 წელს ამ ფონდებით რესპუბლიკაში დაიხარჯა 479,2 მილიონი მანეთი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე, სანატორიულ-საკურორტო მომსახურებაზე – 221 მილიონი მანეთი, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა რესპუბლიკას დაუჯდა – 575,2 მილიონი მანეთი.

მეტად თვალსაჩინოა საცხოვრებელი ბინებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ზრდის მაჩვენებელიც. უსამართლობა იქნება და არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ, ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში უკვე დაწყებულ ახალ საცხოვრებელ მასივებს შეემატა: გლდანის, მუხიანის, დიდი დიღომის, ნუცუბიძის პლატოსა და ვარკეთილი III მასშტაბური მშენებლობები. მართალია, ყველა ეს მასივი და იქ აგებული შენობა კეთილმოწყობისა და დიზაინის თვალსაზრისით არ გამოირჩეოდა, იყო ე.წ. „ტიპიური“ საცხოვრებელი ბინა (ე.წ. „ხრუშჩოვკები“), მაგრამ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მას საწარმოო ან რაიადმასკომებში არსებული სიებით, სიმბოლური „ბინის ქირით“, იღებდნენ ხანგრძლივი მოხმარებისათვის (ამ ბინის გაყიდვა არ შეიძლებოდა). მარტო 1976 წელს, საქართველოში ექსპლოატაციაში შევიდა 1 667 ათასი კვმ ფართის საცხოვრებელი ბინა. აქედან, 233 ათასი კვმ საცხოვრებელი ბინა აშენდა კოლმეურნეებისა და სოფლის ინტელიგენციის მიერ საკუთარი სახსრებით სოფ-

ლებში. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ე. შევარდნაძის მმართველობის წლებში, ძირითადად, დასრულდა საქართველოს სოფლებში, მართალია, მარტივი კონსტრუქციის, მაგრამ საკმაოდ იმპოზანტური საცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

ასევე, წორედ ამ წლებში, დაიწყო საცხოვრებელი ბინების მშენებელი კოოპერატივების შექმნის „ბუმი“. ამ ფორმით და საკუთარი დანაზოგით საქართველოში აშენდა 1975 წელს 171 ათასი კვმ. საცხოვრებელი ბინა, ხოლო 1976 წ. – 190 ათასი კვმ ახალი საცხოვრებელი ბინა. ახალი საცხოვრებელი ბინები ყოველწლიურად შედიოდა ექსპლოატაციაში საქართველოს ავტონომიურ ერთეულებშიც – აფხაზეთში 1976 წელს აშენდა 118,6 ათასი კვმ საერთო ფართის ბინა, სამხრეთ ოსეთში – 21,9 ათასი კვმ ფართის ბინა და ა.შ.

თვალშისაცემია, მოსახლეობის მიერ საბანკო ანგარიშებზე შეტანილი თანხების საგრძნობი ზრდის მაჩვენებელიც – 1976 წელს საქართველოში უკვე 1 506 ათას კაცს ანგარიში ჰქონდა გახსნილი შემნახველი ბანკის ფილიალებში და ეს ანგარიშიც საკმაოდ მზარდი ჩანს – 1976 წელს ამ ანგარიშებზე ირიცხებოდა დაახლოებით 2 049 000 000 მანეთი. სტატისტიკა მიუთითებს, რომ საქართველოს საზოგადოების ყველა ფენას ჰქონდა ანგარიში გახსნილი და გააჩნდა გარკვეული დანაზოგი. მაგალითად, იგივე პერიოდში, ანგარიში გახსნილი ჰქონდა 494 ათას მუშის ოჯახს, რომელთა ანგარიშზე ირიცხებოდა დაახლოებით 625 მილიონი მანეთი. 142 ათას კოლმეურნეს ჰქონდა გახსნილი სალაროში ანგარიში და ჰქონდა ყველას ერთად 338 მილიონი მანეთის დანაზოგი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მუშებისაგან განსხვავებით საქართველოს სოფლის მოსახლეობას საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა საკარმიდამო ნაკვეთებიდანაც, სალაროში შეტანილი ფულადი ანგარიში ერთობ მოკრძალებული ჩანს, მაგრამ საქართველოს სოფლებში, როგორც ჩანს, ფულის შენახვის უფრო მამა-პაპეულ წესს მისდევდნენ...

სტატისტიკური კრებულები მიუთითებენ, თუ როგორ იზრდება ყოველწლიურად საქართველოში ძვირადღირებული ნივთების: საათების, რადიომიმღებების, ტელევიზორების, სარეცხი მანქანების, მოტოციკლეტების, ველოსიპედების, საკერავი მანქანების შეძენის მაჩვენებელი. მაგრამ სტატისტიკური კრებულები არ ფლობენ ინფორმაციას, თუ ყოველწლიურად რამდენი ავტომობილი, საიუველირო პროდუქცია გაიყიდა საქართველოში და რამდენი ტონა ოქრო, ვერცხლი და განძეული იყო დავანებული საქართველოს რიგითი მოსახლის საცხოვრებელ ბინაში. ეს მაჩვენებელი კი ყოველწლიურად იზრდებოდა და საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ბოლო წლებში

ქართული პიანინო “ივერია”

უცხო თვალისათვის ეს მზარდი ქონება აშკარად შესამჩნევიც გახდა. ამაზე უკვე ხშირად საუბრობდნენ მოსკოვის სამთავრობო, თუ ინტელიგენციის ლიტერატურულ სალონებში.

რა იყო ამის მიზეზი?

დღეს აშკარად შეიძლება იმის თქმა, თუ რა განსაზღვრავდა XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მოსახლეობის შედარებით მაღალ მატერიალურ შემოსავლებს.

1. სტალინ-ბერიას 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება, რომელმაც ხანგრძლივი პერიოდისათვის დააკანონა საქართველო, როგორც სამხრეთული კულტურების (ჩაი, ციტრუსები, ტუნგო და ა.შ.) უმნიშვნელოვანესი მწარმოებელი ანუ ამ დარგში რესპუბლიკას ჰქონდა თავისებური მონოპოლია; 2.უმნიშვნელოვანესი იყო ისიც, რომ საქართველოს დაეკისრა ჯანმრთედლობის დაცვის უმნიშვნელოვანესი კერის საერთოსაკავშირო ფუნქცია და ამის გამო არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო დაფინანსებითაც საქართველოში საკურორტო ინფრასტრუქტურის საკმაოდ განტოტვილი ქსელი შეიქმნა;

3. რესპუბლიკას გამორჩეული მნიშვნელობა დაეკისრა შრომის საკავშირო დანაწილებაში როგორც ღვინოების, საფირმო კონიაკის, სამხრეთული ხილის მწარმოებელს. ეს ყველაფერი საკავშირო ბაზარზე გადიოდა კონკურენციის გარეშე, ამ პროდუქციისათვის ღია იყო 300 მილიონიანი საბჭოთა ქვეყნის ბაზარი.

„დღეს სამუდამოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს ის ხელსაყრელი სავაჭრო პირობები, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი სოციალისტური წყობილების დროს. ბუნებრივი პირობებით (განსაკუთრებით ეს შეეხება კლიმატურ პირობებს) განპირობებული უპირატესობა, რაც საქართველოს გააჩნდა სხვა ქვეყნებთან შედარებით, კვლავაც არსებობს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც აადვილებს ვაჭრობას მთელი მსოფლის სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორთან, ისინი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია...“

დასავლეთ ევროპელი ექსპერტი-აგრარიკოსები (1996 წ.) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე არქივი, დამატება, აღ. 1, ს. 29, ფურც. 16.

ზემოთმოტანილი ამონარიდი არის დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში სხვადასხვა ევროპული საექსპერტო ორგანიზაციის მიერ მოვლენილი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების ერთობლივი დასკვნა, რაც ხსნის, თუ რა იყო საფუძველი იმ რეალური მატერიალური კეთილდღეობისა, რაც შეიქმნა XX საუკუნის 70-80-იან წლების საქართველოში.

მატერიალური კეთილდღეობის განმაპირობებელ ფაქტორებს აუცილებლად უნდა დაემატოს: 1. საკურორტო-ტურისტული მომსახურება კერძო სექტორში, რამაც უზრუნველყო აჭარის, აფხაზეთის, სქართველოს სხვა საკურორტო რეგიონების ამ დარგში მოსაქმე (ან შემთავსებელი) რიგითი ადამიანების დამატებითი, ძალიან მნიშვნელოვანი შემოსავლები; 2. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ღია საზღვრების არსებობის პირო-

ბებში სწორედ 70-80-იანი წლებიდან მოხდა რუსეთის, ჩრ. კავკასიის ბაზარზე ინდივიდუალური ქართველი მწარმოებლების (ზოგიერთის აზრით – „სპეკულაინტების“) განსაკუთრებული მომრავლება. მათ ძირითადად თავის საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეული პროდუქცია: ხილი, ციტრუსები, ქუთაისური მწვანილი, მიხაკები და ა.შ. თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გაჰქონდათ. მიუხედავად ე. შევარდნაძის მმართველობის პირველ ეტაპზე კერძო „ბიზნესის“, კერძო ინიციატივის წინააღმდეგ მიმართული დრაკონული კანონმდებლობისა და ფაქტობრივი აკრძალვებისა, მაინც კვლავ კულტივირებდა საქართველოში, როგორც „კერძო ბიზნესი“, ისე „კერძო პრაქტიკაც“ – ესეც თვალსაჩინოდ ზრდიდა შემოსავლებს. „სპეკულიანტების“ წინააღმდეგ პერიოდული დარბევები, „კერძო მესაკუთრული ფსიქიკის წინააღმდეგ“ ბრძოლის კამპანიები, საჭირო ეფექტიანობას იყო მოკლებული.

მატერიალური შესაძლებლობების ზრდამ (შეიძლება სხვა ფაქტორებმაც) ამ პერიოდში განსაკუთრებით გაზარდა საქართველოს საზოგადოებაში კულტურული მოთხოვნილებები, რამაც გამოიწვია კულტურული ცხოვრების განსაკუთრებული დაწინაურება.

რენესანსი. ე. შევარდნაძის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანები, რომლებიც ძალიან ბევრია საქართველოში, მუდამ ცდილობენ ის მნიშვნელოვანი წარმატებები იმ წლების განმავლობაში მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის თითქმის ყველა მიმართულებით, არანაირად არ დაუკავშირონ საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს, მის ინიციატივებს, მის ძალისხმევას, საქართველოს ინტელიგენციასთან მის დამოკიდებულებას, ამ დარგში მის მიზანმიმართულ პოლიტიკას. თუმცა ისტორიას არ ახსოვს, რომ ქვეყნის ხელმძღვანელს სერიოზულად მოეკლოს ყურადღება მეცნიერების, ხელოვნების, კულტურისა და სპორტისათვის, და ის დარგები თვითგანვითარებით, მხოლოდ შინაგანი იმპულსებით, „ზემოდან“ დახმარების გარეშე განვითარებულიყვნენ, გასულიყვნენ მოწინავე პოზიციებზე, მიეღწიათ შთამბეჭდავი შედეგებისათვის (ამის ტიპური მაგალითია დამოუკიდებელი საქართველოს 30 წელი: 1991-2021წწ.).

საბჭოთა სისტემის ყველაზე გულანთებული მოწინააღმდეგეც კი საქართველოში დღეს უკვე აღიარებს: „ქართულ მათემატიკურ“, „ქართულ ფიზიოლოგიურ“, „ქართულ ენათმეცნიერულ“ და სხვა მრავალი სამეცნიერო სკოლის არსებობას და უკვე ადრეულ წლებში მათ მაღალ დონეს; ისინი ამაყობენ იმ წლებში ქართული თეატრის, კინოს, მუსიკის, ხელოვნების წარმოუდენელი გაელვებითა და მიღწევებით; თავს იწონებენ ქართველი ფეხბურთელების, მოჭადრაკეების, კალათბურთელების, მოჭიდაველების ფანტასტიკური შედეგებით. საიდან მოვიდა, როგორ მივიღეთ ეს ყველაფერი?

„განვითარებული სოციალიზმის პირობებში საოცრად ვითარდება მეცნიერება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რაც, თავის მხრით, იწვევს სამეცნიერო ტექნიკური ინტელიგენციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას, რომლის ბირთვს წარმოადგენენ აკადემიკოსები, წევრკორესპონდენტები, დოქტორები, მეცნიერების კანდიდატები, პროფესორები და დოცენტები. ეს არის ჩვენი სამეცნიე-

რო და ტექნიკური ინტელიგენციის ოქროს ფონდი. მას უნდა პატივი ვცეთ, გავუფრთხილდეთ, შევუქმნათ შრომისა და შემოქმედების ოპტიმალური პირობები...

ე. ა. შევარდნაძე

საქ. კპ ცკ ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

1981 წ. 22 იანვარი (ამონარიდი)

ე. ა. შევარდნაძეს ჰქონდა ინტელიგენციასთან ურთიერთობის თავისი პერსონალური მეთოდი. შესაძლებელია, მან იცოდა, ან გაგებული ჰქონდა ი. სტალინის მიერ მისი ერთ-ერთი წინამორბედისათვის, ა. მგელაძისათვის მიცემული ჭკვიანი რჩევა საქართველოს ინტელიგენციასთან დაკავშირებით? ან იქნებ ე. შევარდნაძეს ეს თვითონ ჩამოუყალიბდა საკუთარი პარტიული გამოცდილებისა და საქართველოს სინამდვილეზე დაკვირვების შედეგად? ე. შევარდნაძემ თავისი მმართველობის წლებში, შეძლების ფარგლებში გააკეთა მაქსიმალური საქართველოს მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის განსავითარებლად – ეს არ დაინახო და არ დააფასო, უსამართლობა იქნება.

ა. თავხელიძე

მეცნიერება. ე. შევარდნაძემ ქართული მეცნიერება „სასახლეში“ შეიყვანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – მოკრძალებული და მეტად ვიწრო, ნახევრადჩაბნელებული სათავსოდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია რუსთაველის პროსპექტზე სტალინური არქიტექტურის კანონებით შესრულებულ დიდებულ შენობაში ე.წ. „მეშახტეთა სახლში“ დააბინავა. პირობები გაიუმჯობესეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში არსებულმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (მის შესახებ საქ. კპ ცეკამ სპეციალური დადგენილებაც კი მიიღო), ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, ხელნაწერთა ინსტიტუტმა, მათემატიკის ინსტიტუტმა და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებმა. ე. შევარდნაძის დამსახურებაა, თბილისში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ორგანიზების დროს ამ საქმის დიდი ენთუზიასტისა და გამოჩენილი ქართველი არქეოლოგის, ო. ლორთქიფანიძისათვის საქმის დაგვირგვინებაში ხელშეწყობა.

აკადემიის სისტემა, იმჟამად – ეს სახელმწიფო იყო სახელმწიფოში (დღეს ამისაგან ჩრდილიც აღარ არსებობს), ის აერთიანებდა დაახლოებით 45 სამეცნიერო ორგანიზაციას, რომელშიც ასეულობით თანამშრომელი მუშაობდა (1981 წელს საქართველოში დაახლოებით 25 ათასი მეცნიერი იყო). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, იმ წლებში, რამდენიმე ხელმძღვანელი გამოეცვალა: მას ხელმძღვანელობდნენ აკად. ი. ვეკუა, აკად. ე. ხარაძე, აკად. ა. თავხელიძე. ყოველწლიურად მეცნიერებათა აკადემია ამზადებდა ახალგაზრდა ასპირანტების მნიშვნელოვან რაოდენობას (წელიწადში დაახლოებით 1000 მეტი). მეცნიერებათა აკადემიას ჰქონდა თავისი სამეცნიერო ბიბლიოთეკა ახლადაშენებულ უზარმაზარ შენობაში, საკუთარი გამომცემლობა „მეცნიერება“, რომელიც დოტაციური

იყო და გამოცემული წიგნების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. აკადემიას ჰქონდა თავისი პოლიკლინიკა, დასასვენებელი სახლები და ა.შ. მეცნიერება საქართველოში მართლაც პრივილეგირებული ჩანს – ქართველი მეცნიერები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და თვითონ ე. შევარდნაძესაც ბევრ მათგანთან აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა, პირადი ნაცნობობა. ეს კი საქართველოში ზრდიდა ახალგაზრდობაში სწავლის გაგრძელების, მეცნიერების სხვადასხვა დარგში აქტიური ჩართულობის მოტივაციას.

XX საუკუნის 70-80 იან წლებში სისტემატურად იზრდებოდა ასიგნებანი სამეცნიერო ცოდნის განვითარების, მისი ინტენსიფიკაციის მიმართულებით. მართალია, მეცნიერთა შრომის ანაზღაურება არ შეცვლილა ამ პერიოდში, მაგრამ ის მაინც ყველა სხვა ანაზღაურებაზე მაღალი იყო საქართველოში.

მათემატიკური სკოლა კვლავ წამყვანი და მნიშვნელოვანია, ი. ვეკუას, ა. ბიწაძის, ვ. კუპრაძისა და სხვათა სამეცნიერო ნაშრომები უკვე იმ წლებში იბეჭდებოდა საზღვარგარეთის გამოცემებში. მათემატიკური ფიზიკისა და მექანიკის დარგებიდან ინტენსიური მუშაობა გრძელდებოდა დრეკადობის თეორიის საკითხებზე. მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის დარგში შეისწავლეს რადიაციული დეფექტების გენერაციის კანონზომიერებანი. აღსანიშნავია, რომ მცხეთასთან ახლოს აშენდა ატომური რეაქტორი, სადაც ქართველი ფიზიკოსები ატარებდნენ ურთულეს ექსპერიმენტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სწორედ იმ წლებში პროფ. ალბერტ თავხელიძის მიერ (მოგვიანებით ის სათავეში ჩაუდგება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას), სხვა მეცნიერებთან ერთად, განხორციელებული უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების ციკლი „პი-მეზონების ფოტოდაბადება ნუკლონებზე“, რამაც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

ი. ვეკუა

მნიშვნელოვანი მიღწევებით გამოირჩეოდა აბასთუმნის **ასტროფიზიკური ობსერვატორია**, რომელიც წარმატებით აგრძელებდა გალაქტიკის შერჩეული უბნების ღრმა მეცნიერულ კვლევებს. აქ დამუშავდა და დაინერგა ხელოვნური კოსმიური ობიექტების ზუსტი კოორდინატების დადგენის მეთოდიკა, რომელიც თავისი მნიშვნელობის გამო სსრკ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებდნენ **ქართულ გეოლოგიურ სკოლას**. ქართველმა მეცნიერებმა შეისწავლეს მაგნიტიზმის განვითარების, ზემო რაჭის სტიბიუმის, მოლიბდენისა და ვოლფრამის გამადნებათა ფორმირებისა და სივრცეში განაწილების კანონზომიერებანი და სხვა პრობლემები.

თანამედროვე ქიმიისა და მეტალურგიის აქტუალური საკითხების დამუშავებისას ქართველმა მეცნიერებმა მიაღწიეს მნიშვნელოვან შედეგებს. ახალი წარმატებები მოიპოვა ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა, რომლის თანამშრომელთა გამოკვლევები ასევე აღიარებული იყო საბჭოთა კავშირში.

მ. ლორთქიფანიძე

იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, მასშტაბურ მუშაობას ეწეოდნენ ქართველოლოგები. **ენათმეცნიერები** აგრძელებდნენ აკად. ა. ჩიქობავას ტრადიციებს და პირველობას არ თმობდნენ ამ დარგში. დაიბეჭდა „ქართული დიელექტოლოგია“, შეიქმნა 30-ზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო აკად. ვ. თოფურიას, პროფესორების ი. გიგინეიშვილის, ი. ქავთარაძის და სხვათა ნაშრომები. მსოფლიო ენათმეცნიერების უდიდეს მონაპოვრად ჩაითვალა თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის კაპიტალური მონოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (1984 წ.).

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში მოვიდა ახალი თაობა: მ. ლორთქიფანიძე, თ. ყაუხჩიშვილი, დ. მუსხელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, გ. ხაზარაძე, გრ. გიორგაძე, ი. კაჭარავა და სხვები. ქართველმა ისტორიკოსებმა დიდი იდეოლოგიური წნეხი განიცადეს განსაკუთრებით 1983 წელს – გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის იუბილის აღნიშვნის დროს. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ მოახერხა და პარტიული ზეწოლის შედეგად მაინც გამოქვეყნდა რამდენიმე ქართველი ისტორიკოსის მიერ პარტიული მოთხოვნების გათვალისწინებული საიუბილეო პანეგერიკული ნაშრომები.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მაჟორული შეფასებები **ქართულ ლიტერატურაშიც** აისახა როგორც პოეზიაში, ისე პროზაში. ამის მიზეზი კი ისიც არის, რომ ქართველი ლიტერატორების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო კომუნისტური პარტიის წევრი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სხვადასხვა პრემიის ლაურეატი და ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ გაეტარებინათ „პარტიის გენერალური ხაზი ლიტერატურაში“. არ შეიძლება გამოირიცხოს იმ წლებშიც კი გულწრფელი რწმენა, კომუნისტური პარტიის იდეალებისადმი ერთგულების ფაქტორებიც.

თუმცა, იყვნენ ჭეშმარიტი პოეზიის პრინციპების მატარებელი თანამედროვე კლასიკოსები: ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე და ბევრი სხვა. მწერლობაში თავისი შეუდრეკელი მოქალაქეობრივი პოზიციებით გამოირჩეოდნენ: ნოდარ დუმბაძე, თემურ ჭილაძე და სხვა პროზაიკოსები.



ნ. დუმბაძე

გამორჩეულად უნდა აღინიშნოს, ცნობილი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ურთიერთობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ლიდერთან. მისი დახმარებით ნ. დუმბაძე საბჭოთა ლიტერატურის ოლიმპზე ავიდა და მისი მადლიანი, საოცრად ჰუმანური, სევდანარევი პროზა მთელმა სოციალისტურმა სამყარომ გაითავისა. ე. შევარდნაძემ მხარი დაუჭირა დიდი მწერლის ძლი-

ერ სურვილს – თბილისში, ვაკეში შექმნილიყო ბავშვების ქალაქი "მზიური"...

ჭ. ამირეჯიბი

არნახულად განვითარდა მთარგმნელობითი ხელოვნებაც. ქართველი მთარგმნელები (ბაჩანა ბრეგაძე, გიორგი და კარლო ჯორჯანელები, აკაკი გელოვანი, ფილიპე ბერიძე, რეზო თვარაძე, ელგუჯა მაღრაძე და სხვ.) წარმატებით თარგმნიდნენ ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ, ამერიკულ, პოლონურ და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატორების საუკეთესო ნაწარმოებებს. 1980 წლის მდგომარეობით, ქართველმა მთარგმნელებმა, ქართველ მკითხველს მიაწოდეს 1228 რუსული, 116 აფხაზური, 112 უკრაინული, 181 გერმანული, 192 ინგლისური, 255 ფრანგული, ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის სხვადასხვა ხალხების მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო შედევრები.

იმ წლებში, ჭეშმარიტ ბესტსელერად გადაიქცა მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია" – რთული პიროვნული კოლიზიებითა და საინტერესო ლიტერატურული ხერხებით გამორჩეული რომანი, რომელიც ამკვიდრებდა ადამიანურ სიკეთეს, პატიოსნებას, მეგობრობისა და ერთგულების საკაცობრიო იდეალებს ქართული სინამდვილიდან. ნაშრომის მთავარი დედაარსი – ყოველგვარი ძალადობის, ადამიანის ღირსების შელახვის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაა, თავისუფლებისადმი დაუოკებელი ლტოლვაა. წიგნმა საკავშირო აღიარებაც მოიპოვა. ამას ხელი შეუწყო საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით კინოსტუდია „ქართულ ფილმში" წიგნის მრავალსერიანი კინოვერსიის შექმნამ (რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე). ფილმში საოცარ სიმაღლეებს მიაღწია ქართულმა სამსახიობო ოსტატობამ: ო. მეღვინეთუხუცესის, თ. არჩვაძის, ს. ჭიაურელის, კ. საკანდელიძის და სხვათა მიერ შესრულებული გმირთა სახეები ქრესტომათიული გახდა. საკავშირო მთავრობამ მხატვრული ფილმის გადამღები ჯგუფი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით დააჯილდოვა.

თ. აბულაძე

საერთოდ, XX საუკუნის 70-80–იანი წლები, **ქართული კინოს** წარმოუდგენელი აღმავლობის წლებია. ახალი გენერაციის რეჟისორები, ეჭრდნობიან რა ძლიერ ეროვნულ ტრადიციებს, საოცრად აღიქვამდნენ დროს, თანამედროვე პრობლემებს. საზღვარგარეთ, ძალიან ბევრ საერთაშორისო ფესტივალზე, ერთიმეორეს მიყოლებით, ქართული ფილმები აღწევდნენ დიდ გამარჯვებებს. ალაპარაკდნენ „ქართული ფილმის ფენომენზეც" კი. ქართულ ფილმებს გამოარჩევდა ორიგინალური ეროვნული კოლორიტი, ადამიანური სულისკვეთების ურთულესი პლასტების ორიგინალური და მასშტაბური ინტერპრეტაცია და ა.შ.

ამ წლებში სრულად გამოვლინდა უნიჭიერესი ქართველი რეჟისორის თენგიზ აბულაძის ღრმად ფილოსოფიური, ღრმად ეროვნული და ღრმად ჰუმანური კინოსტილისტიკა, მისი მსოფლმხედველობითი კრედო, საოცარი მეტყველი - მდიდარი გამომსახველი პალიტრა. ამასთან, ფილმში დაკავებული მსახიობების მიერ რეჟისორის ჩანაფიქრის სრულად გადმოცემის უნარი. მის მიერ გადაღებული ფილმი „ვედრება“ უკვე აშკარად მიანიშნებს რეჟისორის სურვილს ღრმად წარმოადგინოს ადამიანის სულიერი კაეშნის ურთულესი პლასტები, საკუთარ თავთან ბრძოლის ეტაპები, მიზნისაკენ მიმართული თავშეუკავებელი რბოლა.

მაგრამ ის განუმეორებელი სამყარო, რომელიც თ. აბულაძემ შექმნა გ. ლეონიძის მოთხრობების მიხედვით გადაღებულ თავის ლეგენდარულ „ნატვრის ხეში“, მართლაც სცილდება ყოველგვარ მოლოდინს – მან ერთ ფილმში ჩატია სრულიად საქართველო, თავისი სიხარულით და ტკივილით, თავისი იმედებითა და იმედგაცრუებით, თავისი დიდებულებითა და თავისი ნაკლით. ეს შედევრი იმდენად განმაცვიფრებელი იყო, რომ მან 1979 წელს იტალიაში მოიპოვა „დონატელოს დავითის“ პრესტიჟული პრიზი.

„...იდეალურ სოფელში, რომელიც ასახულია ფილმში „ნატვრის ხე“, ცხოვრობენ განსაცვიფრებელი ადამიანები, რომანტიკოს-ფანტაზიორები, რომლებსაც ნაკლებად აინტერესებთ მიწიერი საქმეები. თითქოს არცერთი მათგანი არსად არ მუშაობს, დაფრთიალებენ, როგორც ციური ჩიტები. მაგრამ, როცა ეს ჩიტები გუნდად იკვრებიან, როგორც კი მათგან ყალიბდება განრისხებულთა ბრბო, ბევრი მათგანი კარგავს თავის კეთილსახიერებას. როგორ ჩინებულად გვიჩვენა რეჟისორმა ბრბოს თვითგადიზიანება, რომელიც მთლიანად არის მოკლებული გონიერებას და გულმოწყალებას! როგორ ძალიან ძნელია დაუპირისპირდე ამ ბრბოს ფიზიკურად და მორალურად!...

კინომცოდნე მარგარიტა კვასნევეცკაია (მოსკოვი)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ფარული შეთანხმებით, მისი ხელშეწყობით იმ წლებში, დიდმა მაესტრომ დაიწყო თავისი ცხოვრების საეტაპო ფილმის „მონანიების“ გადაღება...



რ. სტურუა

წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწია **ქართულმა თეატრმა**. ამის მიზეზად, თეატრში, ახალი გენერაციის რეჟისურის მოსვლა უნდა ჩაითვალოს: რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ სპექტაკლებზე ალაპარაკდა მთელი თეატრალური სამყარო. ქართულ, ღრმა თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი რეჟისორების ახალი თაობა საოცრად გრძნობდა როგორც დროის მოთხოვნას, ისე თეატრალური ხელოვნების განვითარების უახლეს თავისებურებებსაც და ამიტომაც, მათ საზოგადოებას შესთავაზეს „თეატრი ფეერია“, „თეატრი მისტერია“. მეტად თავისებური, ღრმად სუბიექტური გააზრებით, რომელშიც ტრადიცია ორგანულად იყო გადახლართული ნოვაციასთან და ქმნიდა საოცარ, ირეალურს და მეტად საინტერესო თეატრალურ სამყაროს.

1975 წელს, რობერტ სტურუამ რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე განახორციელა დიდი გერმანელი დრამატურგის, ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ გენიალური რამაზ ჩხიკვაძისა და არანაკლებ გენიალური თეატრალური დასის მონაწილეობით. სპექტაკლი ძალიან მალე იქცა ლეგენდად. ცოტა მოგვიანებით რეჟისორმა რ. სტურუამ, მსახიობ რ. ჩხიკვაძის შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენით, თეატრალურ სამყაროს შესთავაზა შექსპირის „რიჩარდ მესამის“ საკუთარი, ორიგინალური ინტერპრეტაცია, რამაც გააოცა არა მარტო სრულიად საქართველო, არამედ ინგლისის მრავლისმნახველი მაყურებელიც.

„წუხელ საღამოს, ლაისიმეს სამეფო თეატრში ედინბურგის ფესტივალის ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე წარმოდგენა უჩვენეს... სპექტაკლი მხიარულად მიქრის იმ თეატრალურ ტერიტორიაზე, სადაც ჩოჩიალს მივეჩვიეთ... მე დიდი ხანია არ მინახავს უფრო გამომსახველი მსახიობი, ვიდრე რამაზ ჩხიკვაძეა...

გაზ. „სკოტსმენი“, ედინბურგი, შოტლანდია

ბევრს არ სურს დაინახოს, რომ ამ საერთო წარმატებებში საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ხელშეწყობაც იყო. თვითონ, საოცრად თეატრომანი ე. შევარდნაძე მაქსიმალურს აკეთებდა, რომ კულტურის ეს სფერო არა მარტო წარმატებული, არამედ მსოფლიოში გამორჩეულიც ყოფილიყო. და მან მიაღწია ამ მიზანს – საქართველოს იმჟამად ჰქონდა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრი.

უშუალოდ ე. შევარდნაძის პირადი დამსახურებაა, რომ თბილისი გადაიქცა თეატრალურ მექად – მისი მმართველობის წლებში თბილისში გაიხსნა: კინომსახიობის თეატრი (მთ. რეჟისორი მ. თუმანიშვილი), მინიატურების თეატრი (მთ. რეჟისორი რ. გაბრიაძე), მეტეხის თეატრი (მთ. რეჟისორი ს. მრევლიშვილი), გლდანის თეატრი (მთ. რეჟისორი ლ. პაქსაშვილი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასეთი კულტურული აღორძინების საფუძველი – **განათლების არსებული სისტემა** იყო, მართალია, საბჭოური, მართალია კომუნისტურ პრინციპებზე დაფუძნებული, მაგრამ, ჯერ კიდევ, მოსწავლის განათლებაზე ორიენტირებული. საქართველოში 80-იან წლებში დაახლოებით 3957 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო, რომელსაც ყოველდღიურად ესწრებოდა 962 200 ახალგაზრდა. პარალელურად ფუნქციონირებდნენ ქართული, აფხაზური, ოსური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული სკოლები. ამ პერიოდში, ისტორიას ჩაბარდა აფხაზურ და ოსურ სკოლებში ის მნიშვნელოვანი ექსპერიმენტი, რომელიც აქ 40-იან წლებში განხორციელდა და გულისხმობდა ამ მონათესავე ხალხების ქართველ ერთან კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებას.

მოსკოვის განკარგულებით აფხაზურ ოსურ სკოლებში სწავლება ზედა კლასებში უკვე რუსულ ენაზე და რუსული პროგრამებით მიმდინარეობდა, რაც კიდევ უფრო აშორებდა ამ ეთნოსებს ქართველებს. აფხაზი და ოსი ახალგაზრდების მთელი თაობა გაიზარდა პუშკინზე და დოსტოევსკზე, რუსულ კლასიკურ ლიტერატურაზე და პროცესი ქართულ ენასთან, ქართულ კულტურასთან გაუცხოვებისა თანდათან განვითარდა და გაღრმავდა. მაგრამ აქ მდგომარეობა კიდევ უფრო რთული ჩანს: აფხაზეთის რუსულ სკოლებს სულ უფრო მეტი ქართველი ბავშვი ეტანებოდა და მათ შეგნებაში რუსთაველის, ილიასა და აკაკის ადგილს პუშკინი და ლერმონტოვი თანდათან მყარად იკავებდა.

მიუხედავად პრობლემებისა, საქართველოში განათლება კვლავ პრესტიჟულია. პერიოდულად ტარდებოდა რეფორმებიც, იხვეწებოდა საგანმანათლებლო პროგრამებიც და შედეგებიც ცუდი არ ჩანს – 19 უმაღლეს სასწავლებელში, საკავშირო და მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების ფილიალებში ათასობით ახალგაზრდა სწავლობდა. მაგრამ უკვე შესამჩნევია ნაკლი, რაც მოგვიანებით კიდევ უფრო გაღრმავდება – გაჩნდნენ პრივილეგირებული ინსტიტუტები, ფაკულტეტები, სადაც მხოლოდ „რჩეულებს“ ჰქონდათ სწავლის უფლება, გავრცელდა „პროტექცია“, „ყუფარაძეობა“. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე რიგითი ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდას ძალიან უჭირდა სწავლის გაგრძელება.

ე. ვირსალაძე

მაგრამ, ნაკლის მიუხედავად, ფაქტია: განათლება საყოველთაო იყო, ჯერ კიდევ იყო შესაძლებლობა უფასოდ სწავლა გაეგრძელებინათ, როგორც საქართველოს, ისე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოდან ძალიან ბევრი ახალგაზრდა ავსებდა აბიტურიენტების რიგებს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაქოს, ტაშკენტის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში.

ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას ემსახურებოდა სამუსიკო სკოლების მასშტაბური ქსელი. მარტო თბილისში სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთად ფუნქციონირებდა რამდენიმე ტექნიკუმი, „ნიჭიერთა ათწლედი“, უამრავი სამუსიკო სასწავლებელი. ამიტომაც იყო, რომ ამ წლების მანძილზე სამუსიკო ცხოვრება საქართველოში მეტად ინტენსიური და საინტერესოა – მას ჰქონდა მდიდარი და ძლიერი საფუძველი. სწორედ ამ პერიოდში, განსაკუთრებით გაიბრწყინა მუსიკოს-შემსრულებლების წარმოუდგენლად ბრწყინვალე თაობამ, პიანისტები: ელისო ვირსალაძე, მარინე მდივანი, მარინე დოიჯაშვილი, ლექსო თორაძე და სხვ. მევიოლინეები: ლიანა ისაკაძე, მარინე იაშვილი, ვილონჩელისტი თამარ გაბარაშვილი და მრავალი სხვა. არა ერთი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატები გახდნენ.

80-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრს სათავეში ჩაუდგა დიდი მაესტრო ჯანსუღ კახიძე, გა-

ცოცხლდა საოპერო და საბალეტო ცხოვრებაც. საკმაოდ ხშირად იდგმებოდა ახალი ქართული ოპერები. მელომანების დიდი ინტერესი გამოიწვია რევაზ ლადიძის ოპერამ „ლელა“, გია ყანჩელის ოპერამ „და არს მუსიკა“ და ა.შ. სახელოვანი ოპერის დასი მაყურებელს ყოველწლიურად სთავაზობდა ცნობილი ოპერებისა და თუ ბალეტის საინტერესო ინტერპრეტაციებს. მოვლენად გადაიქცა ჯ. ვერდის ოპერა „დონ კარლოსში“ ახალგაზრდა, უნიჭიერესი ბანის, პაატა ბურჭულაძის გაბრწყინება.

პ. ბურჭულაძემ თავის აღიარებას მოსკოვში, ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსში მიაღწია, შემდეგ მან მ. კალასის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, რამაც მას გზა გაუხსნა მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრებისკენ: ის მიიწვიეს ვენის ოპერის თეატრში, მღეროდა და დღესაც მღერის მილანის ლა-სკალაში და ევროპის სხვა წამყვან თეატრებში.

ნ. ანანიაშვილი

ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმატებით აგრძელებდნენ მოღვაწეობას საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: ზურაბ ანჯაფარიძე, ცისანა ტატიშვილი, მედეა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია, ნოდარ ანდღულაძე, ოლგა კუზნეცოვა, საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებებს აღწევდნენ ახალგაზრდა მომღერლები: მაია თომაძე, ნუგზარ გამგებელი და სხვ.

საინტერესო დადგმები განახორციელა თეატრის საბალეტო დასმაც. ის შეივსო ახალი ძალებით, ახალი შემსრულებლებით. მაგრამ იმ წლების საბალეტო ცხოვრებაში, მაინც გამორჩეულია ნინო ანანიაშვილი – ქართული საბალეტო სკოლის აღზრდილი, რომელმაც მოსკოვში საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია მოიპოვა და დიდი თეატრის წამყვანი „პრიმადონა“ გახდა.

კლასიკურ მუსიკასთან ერთად, 70-80-იან წლებში, არნახულად განვითარდა ქართული ესტრადა – შეიქმნა პირობები წარმოჩენილიყო და განვითარებულიყო, როგორც ცალკეული შემსრულებლის ინდივიდუალური შესაძლებლობები, ისე შექმნილიყო ახალი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები. საკავშირო აღიარება მოიპოვეს ქართველმა შემსრულებლებმა: ნანი ბრეგვაძემ, ვახტანგ კიკაბიძემ, გიული ჩოხელმა, რობერტ ბარძიმაშვილმა, ირმა სოხაძემ, გოგი დოლიძემ, თემურ წიკლაურმა, მანანა თოდაძემ, ბესო კალანდაძემ და მრავალმა სხვამ. იმ წლებში განსაკუთრებით საინტერესო საესტრადო კომპოზიციები შექმნეს კომპოზიტორებმა: გიორგი ცაბაძემ, ალექსანდრე ბასილაიამ და სხვ. ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლები: „რერო“, „ორერა“, „ივერია“, „დიე-

ნ. ბრეგვაძე

ლო“, „ვია 75“, „აფსნი 75“ და სხვები თავისი შემოქმედებით აცისკროვნებდნენ საბჭოთა მსმენელის რთულ ყოველდღიურ ცხოვრებას.

არნახულ განვითარებას მიაღწია საქართველოში ფოლკლორულმა ხელოვნებამ – მისი საფუძველი იყო ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისა, მატერიალური და სულიერი კულტურის ღრმა მეცნიერული კვლევა, ქართველი ფოლკლორისტების მიერ წარმოებული ინტენსიური ძიება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, რამაც უკვე 70-იან წლებში თავი მოუყარა საინტერესო და მდიდარ მასალას. სწორედ ამ სიახლეს ეყრდნობოდნენ ცნობილი ქართველი ლოტბარები და ქორეოგრაფები თავის შემოქმედებაში. იმ წლებში გამორჩეული ადგილი და ქართველების საყოველთაო სიყვარული მოიპოვა ეთნოგრაფიულმა ანსამბლმა „რუსთავმა“, რომლის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი იყო შთამომავლობით ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი. ანსამბლის განუმეორებელი ვოკალისტის ჰამლეტ გონაშვილის მიერ შესრულებული „წინწყარო ჩამოვიარე...“ დღესაც ეტალონად ითვლება და ეს ეტალონი დღემდე ვერავინ გადალახა.

განსაკუთრებული და განუმეორებელი კვლავ იყო „მსოფლიოს მერვე საოცრება“ ქართული ცეკვის აკადემიური სახელმწიფო ანსამბლი ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ყოფნისას დასის ვირტუოზი სოლისტები საზღვარგარეთელ მაყურებელს აოცებდნენ ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის განუმეორებელი ინტერპრეტაციით.

„ორსაათნახევარი გაირბენს როგორც რამდენიმე წუთი, სანამ გაიაზრებ რას მიაქციო განსაკუთრებული ყურადღება, რითი აღფრთოვანდე – მუსიკით, წარმოუდგენლად ლამაზი კოსტუმებით თუ მოცეკვავეთა მომნუსხველი ტექნიკურობით... ქართველი მსახიობები – ეს თვითონ სრულყოფილებაა. ეს არ არის ცეკვა – ეს აღმაფრენაა, ეს ნამდვილი შტორმია სცენაზე...

გაზ. „დეილი მირორი“ (დიდი ბრიტანეთი)

სუხიშვილების აკადემიურმა ანსამბლმა განაცვიფრა მაყურებელი ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ჩავიდა და წარმოადგინა „როკვაში განფენილი სული ქართული“ (გრ. რობაქიძე). მილანის „ლა-სკალას“ ლეგენდარული ოპერის სცენის ფარდა ოვაციებისათვის 14-ჯერ აიწია (რეკორდული მაჩვენებელი, გინესების წიგნშია შეტანილი), ინგლისის დედოფალი ელისაბედ II თვითონ ესტუმრა დასის სოლისტებს კულისებში და პირადად გადასცა ი. სუხიშვილს ოქროს მედალი...

ლ. თედიაშვილი

საბედნიეროდ, ამ ლეგენდარული დასის ეს წარმატება დღესაც გრძელდება...

სპორტი საქართველოში ამ წლებშიც განსაკუთრებით წარმატებული და ნაყოფიერია. ამაზე მეტველებს შედეგების სტატისტიკა: 1952 წლიდან 1980 წლამდე გამართულ ოლიმპიადებში ქართველებმა მოიპოვეს 23 ოქრო, 20 ვერცხლი და 29

ბრინჯაოს მედალი. მართალია, ქართველი სპორტსმენები საერთაშორისო ასპარეზზე გამოდიოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს სახელით, მაგრამ ეს მაინც მიანიშნებს სპორტის მაღალ დონეზე და მის მასობრიობაზე. ძალიან ბევრი მიმართულებით ქართველმა სპორსტსმენებმა მოიპოვეს გამორჩეული წარმატება: გახდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, პრიზიორები. კვლავ საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა ქართველი მოჭადრაკე ქალების საერთაშორისო ტრიუმფი: ნონა გაფრინდაშვილის წარმატებები ჭადრაკში დიდი ხნით განაგრძო ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ მაია ჩიბურდანიძემ, რომელიც ქალთა შორის ასევე ხუთგზის ჩემპიონი გახდა. მსოფლიო ალაპარაკდა ქართველი მოჭადრაკე ქალთა გუნდის წარმატებებზე საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადებზე.

ვ. სანეევი

გამარჯვებებს აღწევდნენ ქართველი ფრენბურთელები, წყალბურთელები, მოჭიდავეები, ძალოსნები, მძლეოსნები, მოფარიკავეები, ჩოგბურთელები და სხვ.

მაგრამ, ამ წლების ყველზე დიდი და ისტორიული გამარჯვება, მაინც 1981 წლის 13 მაისს დუსელდორფშია მოპოვებული. ევროპის თასის მფლობელთა თასზე („უეფას თასი“) „კარლ ცაისს“-ის (იენა, გდრ) გუნდთან ფინალურ ორთაბრძოლაში თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდულმა შემადგენლობამ: ა. ჩივაძემ, დ. ყიფიანმა, ო. გაბელიამ, რ. შენგელიამ, ვ. გუცაევმა ვ. დარასელიამ, ნ. ხიზანიშვილმა, შ. ხინჩიგაშვილმა, თ. სულაქველიძემ, თ. კოსტავამ და სხვებმა თავის მწვრთელთან, ნ. ახალკაცთან ერთად, მოიპოვეს და თბილისში ჩამოიტანეს სანუკვარი თასი. არასოდეს დაავიწყდებათ საქართველოში ფინალის დასასრულს ამ მატჩის კომენტატორის, კოტე მახარაძის, სიხარულით ამოხეთქილი შეძახილი – „წარმომიდგენია რა ხდება ახლა საქართველოს დედაქალაქში. ზეიმობს საქართველოს დედაქალაქი, ზეიმობს მთელი ჩვენი ქვეყანა...“ და მართლაც, იმ ღამეს თბილისში არავის ეძინა, სიხარული საყოველთაო იყო, მისი გამოვლენა – ქართველების საკადრისი...

თბილისის დინამო 1981 წ.

„აშკარა იყო „დინამოს“ უპირატესობა ტექნიკაში, ბურთის ფლობასა და თამაშის აგებაში. როცა ისინი განუმეორებელი ყიფიანის მეშვეობით მინდვრის ჭადრაკის თამაშს იწყებდნენ, „კარლ ცაისს“ მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ თავი დაეცვა... თბილისის „დინამომ სავსებით დამსახურებულად მოიპოვა თასი, ვინაიდან ის ტექნიკურად უფრო სრულყოფილი გუნდია და მის შემადგენლობაში უფრო ძლიერი ინდივიდუალები თამაშობენ...“

გაზ. „დოიჩე შპორტეჰო“, 1981 წლის 15 მაისი

რა იყო ყველა ამ წარმატების მიზეზი? მხოლოდ სუბიექტური ფაქტორი, მხოლოდ მკვეთრი ინდივიდუალობების მოჭარბება ქართულ მეცნიერებაში, ხელოვნებაში, კულტურაში, სპორტში? რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია, მაგრამ ობიექტურ ფაქტორებსაც აქვთ არსებობის უფლება და მათ შორის არის ხელისუფლებაც – მისი კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა, მისი დამოკიდებულება კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებისადმი. აქედან გამომდინარე, თავისთავად დგება საკითხი საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის პირადი დამსახურების საკითხიც.

საქართველოს კომუნისტური პარტია ძლიერი და მობილური ორგანიზაცია იყო XX საუკუნის 70-80-იან წლებში. ე. შევარდნაძემ თავისი შიდაპარტიული საკადრო პოლიტიკით უზრუნველყო პარტიის გადაქცევა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების განმავითარებელ ძალად. ბევრი ენერგიული და საქმის მცოდნე პიროვნება იყო პარტიის მმართველ ბირთვში. მათ ჩინებულად იცოდნენ საქართველო, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ძირითადად საქმის ცოდნით უძღვებოდნენ საქმეს, აღწევდნენ წარმატებებს, ჰქონდათ ნაკლიც, შეცდომებიც, სერიოზული გადაცდომებიც. მოგვიანებით, ამ ცოდნას პარტიული ნომენკლატურა ძალიან კარგად გამოიყენებს საკუთარი ინტერესებისათვის (ბევრი, თუმცა არა ყველა).

იმჟამად საქართველოს მართვა კომუნისტური პარტიის მიერ ხორცილდებოდა შიდაპარტიული სტრუქტურების საფუძველზე, რაც ტრადიციულად ჩამოყალიბდა და, მართალია, უკვე საერთო იყო ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, მაგრამ საქართველოში, განსაკუთრებით ე. შევარდნაძის მმართველობის პირველ ეტაპზე, ის უფრო შედარებით ეფექტიანობით გამოირჩეოდა. 1981 წელს საქართველოს კომუნისტური პარტია 350 435 კაცს აერთიანებდა, 80-იანი წლების შუა რიცხვებში უკვე 400 000 წევრი ყავდა. კომუნისტური პარტიის წევრობა პატივიც იყო და მწვანე შუქიც – კარიერული წინსვლისთვის. არის ფაქტები, რომ წევრობის ზოგიერთ კანდიდატს საქმის დასაჩქარებლად გარკვეული საფასურიც კი გადაუხდია რაიკომის აპარატის ჩინოსნისათვის. ეს უზარმაზარი არმადა გადანაწილებული იყო ქალაქებსა და რაიონების ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. საქართველოში იშვიათი იყო ორგანიზაცია, რომელსაც თავისი პატარა პარტიული ჯგუფი მაინც არა ჰყოლოდა. პარტიის წევრები იხდიდნენ საწევროს – საქართველოში კომუნისტურ პარტიას საკმაოდ დიდი სახსრები უგროვდებოდა ყოველთვიურად. ისინი ვალდებულნი იყვნენ დაეცვათ პარტიის პროგრამა და წესდება, ყოფილიყვნენ „კრისტალივით სუფთა“.

პარტიული მეცადინეობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მთავარი სვე-

ტი და ერთ-ერთი მთავარი ბერკეტიც, სწორედ, კომუნისტური პარტია იყო. მას, იმუამად, საკმაოდ ძლიერი ინტელექტუალური ელიტა ჰყავდა, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. მეტად მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ ქვეყანაში მეტად დასაფასებელი და საპატიო ადამიანებიც: აკადემიკოსები, პროფესორები, ცნობილი მსახიობები, რეჟისორები, მომღერლები, სპორტსმენები. საქართველოში იშვიათი იყო ოჯახი, რომ კომუნისტი არ ყოლოდათ ნათესაობაში. ამბობდნენ, რომ ერთ სულ მოსახლეზე კომუნისტების რაოდენობით საქართველო საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას უსწრებდა.

საქართველოს კომპარტია ძირითადად მუშაობდა XX საუკუნის 30-იან წლებში შემუშავებული სქემით – აგიტატორებით, პროპაგანდისტებით, აქტივისტებით, დადგენილებებითა და ცირკულარებით. 70-იან წლებში, მუშაობის ეს სტილი უკვე ანაქრონიზმს დაემსგავსა. საქმე ის არის, რომ როგორც ევროპაში, ისე საბჭოთა კავშირშიც „პროლეტარიატი“, როგორც კლასი, თავისთავად გაქრა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და იმ რეფორმების შედეგად, რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით ტარდებოდა, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთში. მის ნაცვლად დარჩა მუშათა კლასი, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობით, ინტერესებითა და მიდრეკილებებით აშკარად საჭიროებდა პოლიტიკის შეცვლას, ახალ იმპულსებს, იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალ მიმართულებებს, ფორმებს, მეთოდებს. პარტიული ცხოვრება კი გაყინული იყო, საქართველოში მუშები კარგავდნენ ინტერესს პარტიული ცხოვრებისადმი. ამიტომაც საქართველოს კომპარტიის შემადგენლობაში მუშათა წარმომადგენლობა დავიდა 36,4 პროცენტამდე, რასაც არ შეიძლება არ ემოქმედა პარტიის შემადგენლობის სულისკვეთებაზე, განწყობებზე, მათ მსოფლაღქმაზე, მომავალი განვითარების პერსპექტივებზე. იმ წლებში პარტიაში უკვე ძირითადად შედიოდა ის, ვისაც კარიერა აინტერესებდა, თავის პიროვნულ წინსვლას გეგმავდა: მომავლის „ნათელი იდეალების“ ბევრს უკვე აღარ სჯეროდა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1956 წლის 9 მარტის დარბევის შემდეგ, საქართველოს კომუნისტების რიგებში მოხდა ტეხილი, რაც ყოველწლიურად ღრმავდებოდა. სოციალურმა ძვრებმა, განსაკუთრებით მუშათა რიგებში „პროლეტარული“ სულისკვეთების შესუსტებამ პარტიაში შექმნა ახალი ვითარება, რასაც, უდავოდ, გათვალისწინება სჭირდებოდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ სწორედ ე. შევარდნაძის მმართველობის წლებში საქართველოს კომუნისტურ ნომენკლატურას შორის ნელა, მაგრამ ძალიან ინტენსიურად გავრცელდა უცნობი „მომაკვდავი“ „ბაცილა“, რამაც თითქმის 400 000 კაციანი პარტიული ორგანიზაცია საბჭოთა სახელმწიფოს დამხობისთანავე გადააქცია უფერულ, ამორფულ, უძლურ მასად, რომელიც ძალიან ადვილად აორთქლდა პოლიტიკური ასპარეზიდან. ეს პროცესი საერთოდ შეუსწავლელია და მისი შედეგები დღემდე ბოლომდე გაუაზრებელი.

საკუთარ ქვეყანაში და კომუნისტურ პარტიაში ცვლილებების აუცილებლობა, უკვე მაო ძედუნის გარდაცვალების შემდეგ, ძალიან მალე იგრძნეს ჩინელმა კომუნისტებმა და ახალი ლიდერის, დენ სიაოპინის ხელმძღვანელობით ნელა, აუჩქარებლად, მაგრამ საკმაოდ გეგმაზომიერად

დაიწყეს ქვეყნის მოდერნიზება, რაც ბოლომდე წარმატებით დააგვირგვინეს.

ეს კარგად დაინახეს და შეიგნეს ევროპის მოწინავე ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმაც და დასავლეთ ევროპაში შეიქმნა ე.წ. „ევროკომუნიზმი“, რომელიც მარქსიზმის ფუძემდებლურ პრინციპებს თანამედროვე მსოფლიოს განვითარების კანონებს უხამებდა.

საბჭოთა კავშირის გერონტოკრატიას პარტიულ მუშაობაში არავითარი განახლება არ სურდა, მას გულუბრყვილოდ ეგონა, რომ სტალინის დროს შემუშავებული ორგანიზაციული პრინციპები კვლავ წარმატებით იმუშავებდნენ და უზრუნველყოფდნენ ქვეყნისა და პარტიის ზეაღმავალ განვითარებას.

საბჭოთა კავშირში, მის მმართველ პარტიაში კი უძრაობა, უცვლელობა, გერონტოკრატიის ბატონობა იწვევდა სერიოზულ პრობლემებს, რომლის დანახვა ჯიუტად არ სურდათ არც მოსკოვში და არც თბილისში.

საქართველოს კომპარტიის ერთგული თანაშემწე კვლავ **ალკკ საქართველოს ორგანიზაცია** იყო. XX საუკუნის 80-იან წლებში ის აერთიანებდა დაახლოებით 800 000 ახალგაზრდას. ორგანიზაციაში საკმაოდ ბევრი (5%) იყო კომუნისტური პარტიის წევრი – ძირითადად ცენტრალურ აპარატებში მომუშავე პირები, რომლებიც, ფაქტობრივად, კომუნისტური პარტიის სარეზერვო პოტენციას წარმოადგენდნენ. გამორჩეულად აღსანიშნავია საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის I მდივანი ჟიური შარტავას დამსახურება (მოგვიანებით, დამოუკიდებელ საქართველოში, ის აფხაზეთის ომის აქტიური მონაწილე იყო, სეპარატისტებმა დახვრიტეს – ჟიური შარტავა საქართველოს ეროვნული გმირია). სწორედ მან, იმ წლებში, უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს ახალგაზრდების ორგანიზაციული მობილიზაციის საქმეს. საქართველოში იმჟამად იყო ალკკ-ს 10 562 პირველადი ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალიზმი, მოვლენათა ვარდისფრად წარმოჩენა ახალგაზრდულ ორგანიზაციებშიც გავრცელდა, იმ წლებში ქართველი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით მისი მუშა ნაწილი, სტუდენტობა ერთიანად და აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე შრომით თუ კულტურულ პროცესებში. ქართველი ახალგაზრდები „მესამე სემესტრში“ აქტიურად საქმიანობდნენ ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალის („ბამის“) მშენებლობაზე – ქალაქებსაც აშენებდნენ („ნიაგრუზინსკაია“), სისტემატურად ჩადიოდნენ ჩრდილოეთ ყაზახეთის ყამირ მიწებზე ახალი, ნასვენი ტერიტორიების ასათვისებლად. იმ წლებში გავრცელდა ე.წ. „შიდა ყამირიც“, როცა ახალგაზრდები საქართველოს რაიონებში იხდიდნენ „შრომით ვალდებულებას“ და ეხმარებოდნენ კოლმეურნეებს

ჟ. შარტავა

ხილისა და ციტრუსების კრეფაში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და ა.შ.

ჟ. შარტავას ინიციატივით და ე. შევარდნაძის დასტურით შავნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყეს და მოკლე ვადაში ააშენეს კომკავშირული ქალაქი „ბორის ძნელაძე“. საქართველოს ყველა რაიონის კომკავშირის ორგანიზაცია ვალდებულად თვლიდა თავს ამ ახალ ქალაქში თავისი რაიონის სახსრებით და ახალგაზრდების ძალისხმევით გამორჩეული შენობა-ნაგებობა აეშენებინა. საქართველოს ალკკ ორგანიზაცია მეორე მნიშვნელოვანი სვეტი იყო საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურაში.

პროფკავშირები საქართველოში ჯერ კიდევ წარმოადგენდნენ რეალურ ძალას, რომელიც უკვე 80-იან წლებში, წარმოუდგენლად დიდ ქონებას ფლობდა, თუმცა არავითარი დამოუკიდებლობა არ გააჩნდა – ის მხოლოდ მესამე მნიშვნელოვანი სვეტი იყო საქართველოს საბჭოთა სისტემაში. ორგანიზაცია აერთიანებდა დაახლოებით 2 000 000-ზე მეტ საქართველოს მოქალაქეს, რომლებიც ყოველთვიურად საწევროებს იხდიდნენ. აქედან გამომდინარე უფლება ჰქონდათ მათ, და მათი ოჯახის წევრებს, გამოეყენებინათ ამ ორგანიზაციის მომსახურების სხვადასხვა ფორმა.

საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო ორგანოების არჩევნებში, სამეურნეო ხელმძღვანელობაში, საწარმოო ორგანიზაციებში ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების („მუშათა თათბირები“, „სადელეგატო კრებები“ და ა.შ.) ჩამოყალიბებაში. სწორედ პროფკავშირები უკეთებდნენ მუშათა ინიციატივას ორგანიზებას, ახორციელებდნენ „მუშათა კონტროლს“ და ა.შ. რაც მთავარია, სწორედ პროფკავშირებს ევალებოდა მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების ყოფითი პრობლემების აღნუსხვა და მოწესრიგება. საქართველოს საბჭოთა სტატისტიკა მიუთითებს პროფკავშირების მასშტაბურ მუშაობაზე: პროფკავშირებს საქართველოში ჰქონდათ 278 კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, 4 464 წითელი კუთხე, 216 ბიბლიოთეკა 2,5 მილიონი წიგნადი ფონდით, 330 კინოდანადგარი, რომლებმაც მომსახურება, მარტო 1980 წელს, გაუწიეს 7 730 700 მაყურებელს. პროფკავშირის კულტურის სახლებსა და სასახლეებში არსებობდა 2 646 მხატვრული თვითმოქმედების წრე, რომელშიც დაკავებული იყო 51 477 ადამიანი.

საქართველოს პროფკავშირები, ამასთან ერთად, ხელმძღვანელობდნენ 7 ნებაყოფლობით სპორტულ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებდა 901 360 წევრს. საქართველოს პროფკავშირები ფლობდნენ 3 076 სპორტულ ნაგებობას, 52 ტურისტულ ბაზას, 86 სანატორულ-სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულება (24 791 საწოლით). წლის განმავლობაში დაახლოებით ასეთ სამკურნალო თუ დასასვენებელ დაწესებულებაში სიმბოლური ფასით (7 მანეთით ან ცოტა მეტით), პროფკავშირის საგზურით ისვენებდა საბჭოთა კავშირის 105 906 მოქალაქე, ხოლო უამრავ პიონერთა ბანაკში დაისვენა 158 811 ბავშვმა. პროფკავშირელი ორგანიზაციები საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, იმ წლებშიც აწყობდნენ „კორპორაციულ შეხვედრებს“: ახალი წლის საღამოებს, 8 მარტის

ზეიმებს და ა.შ. ამ სტრიქონების ავტორს, ჯერ კიდევ ლამაზ მოგონებად ახსოვს 1985 წლის ზაფხულში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის პროფკავშირული ორგანიზაციის მიერ მოწყობილი ორი უბრწყინვალესი 5 დღიანი თვითმფრინავით მოგზაურობა ლენინგრადში (30 მანეთად) და კიევში (58 მანეთად).

მართალია, უუფლებო, მაგრამ ძალიან მდიდარი საქართველოს პროფკავშირები საზოგადოების გარკვეული მაცემენტებელი ძლიერი ძალაც იყო.

პ. გილაშვილი

ხელისუფლება, კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში მთლიანად და განუყოფლად ეკუთვნოდა სახალხო დეპუტატების საბჭოებს: სასოფლო-სადაბო, სარაიონო, საქალაქო და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს. მართვის პირველი რგოლი ძალიან მრავალრიცხოვანი ჩანს: 70-იან წლებში საქართველოში მარტო 910 სასოფლო და სადაბო საბჭო აღირიცხა. ადგილობრივ საბჭოებში არჩეული იყო 48 888 დეპუტატი. მათში მუშების, გლეხების მონაწილეობის მაჩვენებელი ყოველთვის ძალიან მაღალია.

სასოფლო-სადაბო საბჭოებს ძირითადად ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა ევალებოდათ, თუმცა, ძალიან მწირი ადგილობრივი ბიუჯეტი ჰქონდათ. სოფლის მართვას ისინი ახორციელებდნენ კომისიების საშუალებით, რომლებიც იქმნებოდა ადგილობრივ საბჭოებთან. ფუნქციონირებდა სახალხო კონტროლის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტ-საგანმანათლებლო, საგზაო მშენებლობის და სხვა კომისიები. სასოფლო საბჭოს ნებართვის გარეშე სოფლის მცხოვრებს ეკრძალებოდა საკოლმეურნეო ბაზარზე საკუთარი პროდუქციის გაყიდვა.

სასოფლო საბჭოები აწესრიგებდნენ ასევე სახელწიფოსა და გლეხებს შორის წარმოშობილ პრობლემებს. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა საჭირო, როცა სხვადასხვა მიზეზის გამო, რაიონი ვერ ასრულებდა სახელმწიფო გეგმას და საჭირო იყო მისი „შევსება“ საკარმიდამო მამულებში მოკრეფილი მოსავლით.

საბჭოთა მეთოდოლოგიით საბჭოების ეს სისტემა ითვლებოდა დემოკრატიის უმაღლეს გამოვლენად, რადგან მასში რიგითი ადამიანების (მუშების, გლეხების, მოსამსახურეების) მრავალრიცხოვანი მონაწილეობა ფიქსირდებოდა.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში 1981 წელს 440 დეპუტატი ირჩეოდა. დეპუტატები გარკვეულ კვოტებს აკმაყოფილებდნენ, მათ რიგებში აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ცნობილი მუშები, კოლმეურნეები, სახელოვანი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, აღიარებული სპორტსმენები. მუდამ იცავდნენ ეროვნული წარმომადგენლობის კვოტას: უზენაეს საბჭოში ირჩევდნენ საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ძირითადი ეთნოსის დამსახურებულ პირებს.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ჰყავდა 4 მოადგილე. მათ შორის აუცილებლად იყვნენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. წელიწადში ორჯერ უმაღლესი საბჭო იკრი-

ბებოდა თავის სესიებზე, გამორჩეულად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.

უმაღლესი საბჭო მუდმივმოქმედი ორგანო არ იყო. თავის მხრივ ის ირჩევდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელსაც ჰყავდა თავმჯდომარე (ამ პერიოდში ეს თანამდებობა ეკავა პ. გილაშვილს). უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი წარმართავდა ყოველდღიურ მუშაობას სესიებს შორის პერიოდში და იღებდა გადაწყვეტილებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის მუშაობას მთლიანად აკონტროლებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი პირველი მდივანი. საბჭოთა პოლიტიკური სისტემა უარყოფდა დასავლეთის დემოკრატიის ძირითად პრინციპს – ხელისუფლების შტოების გაყოფას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას. საქართველოში უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იყვნენ მინისტრებიც, პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლებიც, სასამართლო სტრუქტურების ჩინოსნებიც. ფაქტობრივად, კომუნისტურ პარტიას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე უზურპირებული ჰქონდა ძალაუფლება და მას განუყოფლად განკარგავდა.

უმაღლესი საბჭოს სხდომებზე პოლიტიკური მწვავე დისკუსიები, უკვე ამ პერიოდში, საერთოდ აღარ იმართებოდა. როგორც წესი, დეპუტატები, პარტიულ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, თავის გამოსვლებში აყენებდნენ იმ საჭირბოროტო საკითხებს, რასაც მიზანშეწონილად თვლიდა პარტიული ხელმძღვანელობა. სწორედ ამის გამო, როგორც უმაღლეს, ისე ადგილობრივ საბჭოებს მუდამ ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ისინი პარტიული ელიტის გადაწყვეტილებების ფორმალურ კოდიფიკაციას ახდენდნენ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნიდა საქართველოს მთავრობას – მინისტრთა საბჭოს (1975 წელს ეს თანამდებობა დაიკავა ზ. პატარიძემ), რომელიც პასუხისმგებელი იყო მის მიმართ, მაგრამ შეირჩეოდა და კონტროლდებოდა უშუალოდ საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ. მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგენდნენ მინისტრების კანდიდატურებს დასამტკიცებლად უმაღლეს საბჭოს. სამინისტროები საბჭოთა საქართველოში ძალიან ბევრი იყო – თითქმის ყველა სამრეწველო დარგს თუ მიმართულებას თავისი სამინისტრო ჰქონდა. II მსოფლიო ომის შემდეგ აღადგინეს და 80-იან წლებში რუნდიმენტივით შემორჩა საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც რეალურ ძალაუფლებას მოკლებული იყო და ძირითადად საზღვარგარეთთან კულტურული გაცვლითი პროგრამების რეალიზაციით იყო დაკავებული. მას თითქმის უცვლელად, დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა არჩილ გიგოშვილი.

ო.თაქთაქიშვილი

კომუნისტი მინისტრები უკვე რეალურ ძალაუფლებას ფლობდნენ, მათ ევალებოდათ ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მობილიზება და მათი ათვისება, ამიტომ მათი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე მნიშვნელოვანი

იყო. იმ პერიოდის მოღვაწეებიდან ისტორიულ მეხსიერებას განსაკუთრებით შემორჩნენ: კულტურის მინისტრი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი, განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდნენ საკუთარ უწყებებს და სერიოზული გადაცდომები არ ჰქონიათ.

სწორედ ამ სისტემით და ამ კომპონენტებით ხორციელდებოდა საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მართვა.

შეცდომები თუ გადაცდომები მართვის სტრუქტურებში, რა თქმა უნდა, საქართველოშიც იყო. საკავშირო ტოტალიტარულ სახელმწიფოში ძნელია მთლიანად დააბრალო ადგილობრივ რეგიონალურ მართველს მათი გამომწვევი ყველა მიზეზი, როცა ამ ცდომილებებისა და გადაცდომების თაურსახე მოსკოვში, კრემლში იყო ხშირად საძებარი. საკავშირო სახელმწიფოს კანონმდელობებით, პარტიული მუშაობის წეს-განრიგით დეტერმინებული საქართველოს პარტიული ხელმძღვანელი მუდამ უნდა ყოფილიყო ძალიან ფრთხილად, რომ მისი მრავალწლიანი შრომა წყალში არ ჩაყრილიყო და არ დარჩენილიყო „თამაშგარე“ მდგომარეობაში. მით უფრო, რომ მასაც უამრავი „თვალი“ უთვალთვალებდა. 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის II მდივანი აუცილებლად მოსკოვიდან მოვლენილი რუსი ეროვნების პირი უნდა ყოფილიყო, რომლის მთავარი ამოცანა სწორედ საქართველოს ქართველი ხელმძღვანელის კონტროლი და მოსკოვში დასმენა იყო. საჭირო „ოპოზიცია“ კი, საჭირო შემთხვევაში, მუდამ მოიძებნებოდა. ამიტომაც ე. შევარდნაძის მთელი საქმიანობა მკაცრად კონტროლდებოდა არა მარტო მოსკოვიდან მოვლენილი პირის, არამედ საკუთარი „ოპოზიციის“ და საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომლების მიერ. მიტომაც ის მუდამ „ფორმაში“ უნდა ყოფილიყო.

მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარება კი საქართველოში აშკარად გაუარესებისკენ შეიცვალა – ამის მიზეზი გლობალურიც იყო და ადგილობრივიც. რაც დრო გადიოდა საბჭოთა კავშირს სულ უფრო და უფრო უჭირდა „ზესახელმწიფოს“ იმიჯის შენარჩუნება. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის მმართველობის ხანაში. მან საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკურ მოქმედებებს დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევა დაუპირისპირა ჯერ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის დროს (1979 წ.), შემდეგ თავისი პრინციპული ბოიკოტით მოსკოვის ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებით (1980 წ.).

მსოფლიო პრესა ალაპარაკდა საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევების გამო: საბჭოთა კავშირი მკაცრად კრძალავდა დასავლეთ ევროპაში, საერთოდ საზღვარგარეთ საბჭოთა მოქალაქეების მიგრაციას – საბჭოთა ებრაელების სამშობლოში დაბრუნებას ტოტალურად ხელს უშლიდნენ, პრობლემები ექმნებოდათ ცნობილ საბჭოთა ხელოვანების საზღვარგარეთ გახშირებული გასტროლების დროს. ამის გამო გახშირდა მათი მხრიდან დასავლეთ ევროპაში დარჩენის ფაქტები. განსხვავებული აზრის მქონე პირთა მიმართ იღებდნენ მკაცრ რეპრესიულ ზომებს, ზოგჯერ იყო ფსიქო-ზემოქმედების

მკაცრი ზომების გამოყენების შემთხვევებიც – მათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ათავსებდნენ.

ყველა ეს პროცესი საქართველოშიც შეიმჩნეოდა – სწორედ ე. შევარდნაძის დროს დაიწყეს ქართველმა ებრაელებმა სამშობლოში წასვლა. ეს პროცესი არ იყო მარტივი, ბევრი იყო დაბრკოლება. თუმცა ქართველმა ებრაელებმა, სხვებისგან განსხვავებით, სამშობლოში წაიღეს ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარული და მადლიერების გრძნობა. საზვარგარეთ გასტროლების დროს სამშობლოში აღარ დაბრუნდნენ: ცნობილი პიანისტი ლ. თორაძე, აღიარებული დირიჟორი ვახ. ჟორდანია, მსახიობი ნ. შარია, უფლება დამცველი ჯ. კაშია და სხვ. ანტისაბჭოთა შეხედულებებისათვის იდევნებოდა და შემდეგ ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც მოათავსეს ნაზი შამანაური. იყო სხვა დრამატული შემთხვევებიც.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობა კი კვალში მიჰყვებოდა მოსკოვს, მის უკვე აშკარად ავანტურისტულ კურსს. ავღანეთში ჯარების შეყვანა ძლიერ ძვირად დაუჯდა საბჭოთა სახელმწიფოს – ის ყოველდწლიურად უზარმაზარ სახსრებს საჭიროებდა, ყოველდღიურად ავღანეთში ასეულობით საბჭოთა ახალგაზრდა იღუპებოდა. ძალიან ბევრი მეომარი საქართველოდანაც იღებდა მონაწილეობას ამ სამხედრო ოპერაციებში, ბევრი უკან ვეღარ დაბრუნდა. ეს საზოგადოებაში გაძლიერებულ უკმაყოფილებას იწვევდა.

შესამჩნევი გახდა ეროზიული პროცესები საქართველოს საზოგადოებრივ ცნობიერებაშიც. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა მოსკოვის კრემლის თეორეტიკოსთა ყველა ახალ დებულებას, ყველა „მიგნებას“ უსიტყვოდ უჭერდა მხარს. მოსკოვმა კი იმ პერიოდში, როცა მსოფლიოში ხდებოდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მშენებლობის პროცესი, როცა აღარსად დარჩა აშკარა კოლონიალიზმის ფაქტიც კი (1975 წელს პორტუგალიის ბოლო კოლონიებმა ანგოლამ და მოზამბიკამ დამოუკიდებლობა მოიპოვეს და გაეროს წევრები გახდნენ), მოსკოვის კრემლის იდეოლოგებმა მოიგონეს და გაძლიერებულად დაიწყეს „საბჭოთა ხალხის“ როგორც ახალი ისტორიული ერთობის დოგმის პროპაგანდა, ტოტალურად ამკვიდრებდნენ ერების შერწყმის პროცესის განვითარების თეორიას, „ორენოვნების“ აუცილებლობას და ა.შ.. საქართველოში ინტელიგენციის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა რუსიფიკაციის სულ მუდამ მზარდი ტენდენციებიც.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ხელმძღვანელი კი მაინც ბრმად მიჰყვებოდა ამ საკავშირო ხელისუფლების მართვის მეთოდებსა და ტრადიციებს. 80-იან წლებში საქართველოს კომუნისტებისათვის უკვე აშკარა იყო კრემლის იდეოლოგიური სისუსტეები, მაგრამ ხელისუფლების, პრივილეგიების შესანარჩუნებლად ისინი აგრძელებდნენ მოსკოვზე ორიენტირებას, გამოგონილ სამყაროში ცხოვრებას.

ვითარება ძალიან გაამძაფრა დაძაბულობამ სამომხმარებლო ბაზარზე – დასავლეთში წარმატებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციებისა და პოსტინდუსტრიალური საზოგადოების შედეგების მაქსიმალური გამოვლენის გამო ძალიან აშკარად დაინახა რიგითმა საბჭოთა ადამიანმა ღრმა უფსკრული კომუნისტურ სისტემასა და თავისუფალ სამყაროს შო-

რის. დასავლეთი აშკარად უგებდა ბრძოლას კომუნისტურ სისტემას ფართო მოხმარების საგნების მრავალფეროვნებით, ამ ნივთების დიზაინით, ელექტრო-ტექნიკური საქონლის ხელმისაწვდომობით და უამრავი სხვა წვრილმანით. მართალია, საბჭოთა ბიუროკრატია ყველაფერ ამას „ობივატელობას“, „ჩვაროსნობას“ უწოდებდა, მაგრამ პარტიული და საბჭოთა ელიტისათვის შექმნილ სპეცმაღაზიებში ამ ნივთებს საკმაოდ ინტენსიურად თვითონ მუდამ ეტანებოდა.

ქართული საზოგადოებრიობა ასეთ მდგომარეობას გარკვეულწილად ეგუებოდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ კომუნისტური სახელმწიფო, ჯერ კიდევ, ახერხებდა პიროვნების დასაქმებას („შრომის უფლება“), საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფას („ბინის უფლება“), სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, პიონერთა ბანაკებში მოქალაქეთა უფასო ან შეღავათიან მომსახურებას („დასვენების უფლება“), უფასო სწავლებას („განათლების უფლება“), უფასო სამედიცინო მომსახურებას („ჯანმრთელობის დაცვის უფლება“) და ა.შ. ეს მნიშვნელოვანი სოციალური მონაპოვარი იყო. ასევე ძალაში იყო ორდღიანი დასვენება კვირაში და საყოფაცხოვრებო ნივთებზე განვადების პრაქტიკაც.

მაგრამ ასეთი კომპრომისები იდეოლოგიასა და რეალურ ცხოვრებას შორის, აშკარა კონფორმისტობა საზოგადოებაში გარკვეულ ფსიქო-სოციალურ გადახრებს იწვევდა, რაც აისახებოდა ქვეყნის საერთო მორალურ ვითარებაზეც. ძალიან თვალშისაცემი გახდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გაძლიერება, კარიერიზმი, საკუთარ ოჯახურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, ცხოვრების აკრძალულ სიამოვნებათა უკანონო გზების მოპოვების სურვილი და ა.შ. ყველაფერი ეს, უკვე ძალიან შორს იყო პირველი კომუნისტი-იდეალისტების საპროგრამო ჩანაფიქრებისაგან.



მ. მაჭავარიანი

„დაუსჯელობის სინდრომი“ გავრცელდა პარტიულ და საბჭოთა ნომენკლატურაშიც. ეს პროცესი უკვე შესამჩნევი გახდა თვითონ პარტიული ლიდერებისათვის. ე. შევარდნაძემ სავალუტო ორპერაციებში შემჩნეული ერთ-ერთი რაიაღმასკომის თავმჯდომარე საბჭოთა კანონმდებლობას მთელი სიმკაცრით დასაჯა, რომ როგორმე შეეჩერებინა ეს პროცესი. მაგრამ ამაოდ. იმ პერიოდში, მიუხედავად პარტიული ლიდერების მტკიცებულებებისა, ქვეყანაში საკმაოდ გაძლიერდა კორუფციის, მაამებლობის, პროტექციონიზმის ტენდენცია. ეს ყველაფერი ისეთ გულისამრევ სახეს იღებდა, რომ ცნობილმა ქართველმა პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა ამის თაობაზე აღნიშნა შემდეგი:

უბედურება რა გინდა მეტი?
რომ დაიძახო:
ქურდს ქუდი ეწვის!...
არ მეგულება მაძღრებში ერთიც,
რომ არ იტაცოს
მყის ქუდზე ხელი.

ეს დრამატული სიტყვები, რა თქმა უნდა, პარტიულ და სახელმწიფო ნომენკლატურაზეც იყო ნათქვამი, ამიტომაც ამას მკაცრი რეაგირება მოჰყვა. მაგრამ თავისუფალი სიტყვა უკვე გზას იკვალავდა საქართველოშიც.

ძალიან აღზიანებდა საზოგადოებას ლ. ბრეჟნევის კულტის დამკვიდრების მოსკოვისეული სცენარი, რასაც საკმაოდ კარგად აუწყო ფეხი საქართველოს კომუნისტების ლიდერმაც. წრეგადასული ლიქნი და მაამებლობა, რაც საქართველოს კომპარტიის ყრილობებზე, პლენუმზე, აქტივის შეკრებებზე გაისმოდა, არა მარტო საქართველოს ინტელიგენციას, არამედ რიგით კომუნისტსაც ცუდ ხასიათზე აყენებდა.

1981 წლის ოქტომბერში, საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში ჩამოსულ ლ. ბრეჟნევს მეფური მიღება მოუწყვეს, დაიხარჯა უზარმაზარი სახსრები იმ მასობრივი ღონისძიებებისათვის, რომელიც თავისი სანახაობრივი თვალსაზრისით მოსკოვის ოლიმპიადის მასშტაბებს უტოლდებოდა.

მაგრამ ლ. ბრეჟნევთან ჩინებულმა ურთიერთობამ, მისმა პოლიტიკამ, რესპუბლიკის ეკონომიკურმა მიღწევებმა და კიდევ სხვა ფაქტორებმაც, ედუარდ შევარდნაძეს, ჯერ სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობა (1978 წ.), ხოლო შემდეგ სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი (1981 წ.) მოუპოვა.

1982 წლის 7 ნოემბერს, სამხედრო აღლუმზე გაცივდა და მალე გარდაიცვალა ლ. ბრეჟნევი. გენერალურ მდივნად აირჩიეს ი. ანდროპოვი, რომელიც წლების განმავლობაში საბჭოთა უშიშროების ორგანოებს ხელმძღვანელობდა და ჭეშმარიტად მართლაც „საშიში“ კაცი იყო. მას ყველაზე ბევრი კომპრომატი ჰქონდა პარტიულ და საბჭოთა ნომენკლატურაზე და ნებისმიერი შეეძლო ადვილად გაენადგურებინა – ამის უფლება და საშუალება ჯერ კიდევ ჰქონდა. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ დისციპლინის განმტკიცება ქვეყანაში გამოიწვევდა რადიკალურ ცვლილებებს, მოხდებოდა ეკონომიკაში ვითარების გაუმჯობესება, გამოსწორდებოდა სამომხმარებლო ბაზარი, ხალხის უკმაყოფილება განეიტრალდებოდა. მაგრამ, სწორედ მისი მმართველობის პერიოდში მოხდა შესაზარი ტრაგედია – 1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა მესაზღვრე-მეზენიტეებმა, შეცდომით ჩამოაგდეს სამხრეთ კორეის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი, რამაც საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია, გააძლიერა საბჭოთა ქვეყნის იზოლაცია, ანტისაბჭოთა განწყობილებები.

მ. გორბაჩოვი

ამ ტრაგიკული მოვლენიდან ძალიან მალე, 1983 წლის 18 ნოემბერს, თბილისში ახალგაზრდების ჯგუფმა (გ. კობახიძემ, ძმებმა ივერიელებმა, ს. წერეთელმა და სხვ.) სცადეს სამოქალაქო ავიაციის კუთვნილი თვითმფრინავის გატაცება და ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფრის სათხოვნელად გადასვლა.

ბორტზე მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაიღუპა ბორტგამცილებელი ქალი და ორი პილოტი. თვითმფრინავის გატაცება ვერ მოხერხდა და ახალგაზრდები დააპატიმრეს. საბჭოთა კანონმდებლობა ასეთი დანაშაულის მიმართ ძალიან ულმობელი იყო, მით უფრო, რომ ინციდენტის დროს დაიღუპა რუსი ეროვნების სამი ადამიანი. მათ საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ დიდი სამგლოვიარო რიტუალი მოუწყო, ხოლო დამნაშავეთა სასამართლო პროცესი – რეზონანსული გახადა. ახალგაზრდების მიერ ჩადენილი საქციელი მართლაც უმძიმესი იყო – არავის არა აქვს უფლება საკუთარი კეთილდღეობის, მიზნებისა თუ ინტერესების გულისათვის საფრთხის ქვეშ დააყენოს ასობით მგზავრის სიცოცხლე და მათი უსაფრთხოება. მით უფრო, როცა ინციდენტი ტრაგედიით დასრულდა. მაგრამ სასამართლო პროცესში ჩაბმული აღმოჩნდა სამღვდელო პირიც – მამა თევდორე, რომელიც თვითმფრინავში საერთოდ არ იმყოფებოდა და უდანაშაულო იყო. ვერდიქტი უაღრესად მკაცრი გამოიტანეს, მით უფრო, რომ მშობლებს მათ გარდა სხვა შვილები არა ჰყავდათ. საბჭოთა სასამართლომ თავისი განაჩენი სისრულეში მოიყვანა. ქართველი ინტელიგენციის თხოვნა ახალგაზრდების შეწყალების შესახებ საბჭოთა ხელისუფლებამ არ შეისმინა...

გარდაქმნა. ასეთ რთულ ვითარებაში 1984 წელს გარდაიცვალა ი. ანდროპოვიც და კომუნისტური პარტიის ლიდერი გახდა ნ. ი. ჩერნენკო, ყოვლად უფერული პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ასევე ძალიან მალე – 1985 წელს გარდაიცვალა.

1985 წლის 23 აპრილს ჩატარდა სკკპ ცეკას პლენუმი, რომელმაც პარტიის ლიდერად აირჩია შედარებით ახალგაზრდა პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ გორბაჩოვი. მას იცნობდნენ საზღვარგარეთ, თვლიდნენ იმ პროგრესულ საბჭოთა პოლიტიკოსად, ვისთანაც შეიძლებოდა მუშაობა მსოფლიოში შექმნილი მკვეთრი დაძაბულობის განსამუხტავად, ახალი შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის ახალი ფორმების მოსაძებნად. საბჭოთა საზოგადოება, პირველ რიგში ინტელიგენცია, მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. მდგომარეობა კი ქვეყანაში უმძიმესი იყო: ეკონომიკური კრიზისის ნიშნები აშკარად ჩანდა, დაცარიელდა მაღაზიების თაროები, ხელფასის დასაქონლება აღარ ხდებოდა, მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაში აშკარად შესამჩნევი გახდა შრომისნაყოფიერების შემცირების ტენდენცია, „ნავთოდოლარები“ აღარ კმაროდა საზღვარგარეთ სურსათისა და პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად. უზარმაზარი რიგები სურსათის მაღაზიებთან საბჭოთა ცხოვრების მთავარი მახასიათებელი გახდა. საჭირო იყო პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის მხრიდან სწრაფი და ადეკვატური ღონისძიებების გატარება, დაახლოებით ისეთის, რაც უკვე დაიწყეს და საკმაოდ წარმატებით ახორციელებდნენ კომუნისტურ ჩინეთში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალმა გენერალურმა მდივანმა, თავის გუნდთან ერთად, საბჭოთა მოქალაქეებს შესთავაზა ე.წ. „გარდაქმნა“ – ანუ პოლიტიკური, სოციალური-ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც, მისი აზრით, ძალიან მოკლე დროში უნდა გამოესწორებინა საბჭოთა ქვეყანაში როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მდგომარეობა. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ეკონომიკუ-

რი ცხოვრების გაჯანსაღება. პროპაგანდას უწევდნენ ლოზუნგს „ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს!“, ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა, კვლავ ენთუზიაზმის საფუძველზე, შეეცდებოდა მძიმე ვითარების გამოსწორებას. მაგრამ წლების მანძილზე უამრავი ფუჭი სიტყვებითა და დაპირებებით შებეზრებული საბჭოთა მშრომელები საოცარ ინერტულობას იჩენდნენ. რუსეთში კატასტროფული ხასიათი მიიღო ლოთობამ.

1985 წლის ზაფხულში სკკპ ცეკასა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება ითვალისწინებდა ქვეყანაში ალკოჰოლური სასმელების მოხმარების მკვეთრ შემცირებას, ცხოვრების „ჯანსაღი წესის“ დანერგვას. პროპაგანდას უწევდნენ უალკოჰოლო ქორწილებს, დღეობებს. ამ დადგენილებამ, პირველ რიგში, დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს მეღვინეობას, ბევრი საწარმო დაიხურა ან წარმოება მკვეთრად შეამცირა.

საბჭოთა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კი გამოიწვია სამხედრო ბიუჯეტის სისტემატურმა ზრდამ, საბჭოთა სატელიტების (სოციალისტური და განვითარებადი ქვეყნების უწყვეტმა ეკონომიკურმა და სამხედრო დახმარებამ), კოსმოსის ათვისებაზე დახარჯულმა მილიარდებმა და ა.შ. კვლავ გრძელდებოდა ომი ავღანეთში, რომელიც, ასევე, უზარმაზარ თანხებს მოითხოვდა. საჭირო იყო საგარეო პოლიტიკური ვექტორის შეცვლაც. საკავშირო სახელმწიფოს ხელმძღვანელობას მოსკოვში უკვე დიდი ხანია დაავიწყდა, რომ 1922 წელს, როცა მრავალეროვანი საკავშირო სახელმწიფო იქმნებოდა, მისი მთავარი მიზანი რიგითი მშრომელების მაქსიმალური კეთილდღეობის ერთად მიღწევის შესაძლებლობებიც იყო. საბჭოთა რიგითი მოქალაქე ელოდებოდა რადიკალურ ცვლილებებს...

ახალ საგარეო პოლიტიკურ კურსს ძველი საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო ვეღარ გააგრძელებდა: დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვის დროს მისი ხისტი მანერა ძალიან აღიზიანებდა დასავლელ პარტნიორებს. საჭირო იყო ახალი კადრის შერჩევა-დაწინაურება.

ყველასათვის მოულოდნელად, მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის წარმართვა დაავალა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს. ამ გადაწყვეტილებამ, როგორც მოსკოვში, ისე თბილისშიც დიდი გაკვირვება გამოიწვია. მართალია, ახალი კანდიდატი განათლებით ისტორიკოსი იყო და პარტიული მუშაობის უზარმაზარი გამოცდილებაც ჰქონდა, მაგრამ ის პროფესიონალი დიპლომატი არასოდეს ყოფილა, უცხო ენები სათანადოდ არ იცოდა და ამ საქმეში მეტად მცირე გამოცდილება ჰქონდა (სკკპ ცეკას დავალებით ე. შევარდნაძე რამდენჯერმე წარმოადგენდა საბჭოთა კომუნისტებს სხვადასხვა კომპარტიის ყრილობებზე, როგორც საპატიო სტუმარი, ატარებდა მოლაპარაკებებს ძმური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებთან და ა.შ.). მიუხედავად ამისა, საქართველოში ამ გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდნენ. 1985 წლის 2 ივლისს სკკპ ცკ პოლიტბიურომ ე. შევარდნაძე პოლიტბიუროს წევრად აირჩია.

მის ნაცვლად მ. გორბაჩოვმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად შეარჩია ჯუმბერ პატიაშვილი, რომე-

ლიც საქართველოს კომპარტიის კომიტეტში აგრარულ საკითხებს კურირებდა და სუბორდინაციით გარკვეული წლების მანძილზე, მოსკოვში უშუალოდ მ. გორბაჩოვს ექვემდებარებოდა, როცა ის სოფლის მეურნეობის სექტორს ხელმძღვანელობდა, ე.ი. მას პირადად იცნობდა.

თავი IX. ჯუმბერ პატიაშვილი

ჯ. პატიაშვილი

საჯაროობა. ჯუმბერ პატიაშვილი საქართველოში მაინცდამაინც დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა – მას საერთოდ არ ჰქონდა ქარიზმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატშიც საკმაოდ სერიოზული ოპოზიცია ჰყავდა. იმასაც კი ამბობდნენ, რომ ე. შევარდნაძეს მისი არჩევა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის თანამდებობაზე მაინცდამაინც არ უნდოდა, ამისათვის მას თავისი ერთგული კადრი ს. ხაბეიშვილი ჰყავდაო, მაგრამ მ. გორბაჩოვის სურვილს ანგარიში გაუწია და ამ კანდიდატურას იძულებით დათანხმდაო.

„მაინც დაეპატრონა „ქაჯეთის ციხეს“ დევი-მამადუ!“
ხალხური

ძალიან რთულ პერიოდში მოუწია საქმიანობა საქართველოს კომპარტიის ცეკას ახალ პირველ მდივანს – მართალია ბოლო ათწლეული საქართველოს პარტიული პროპაგანდა საყოველთაოდ აცხადებდა თავისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების წარმატებებზე, მაგრამ ვითარება საქართველოშიც დაძაბული იყო – საერთო საკავშირო ტენდენციები საქართველოში კიდევ უფრო გამძაფრებულ ფორმებს იძენდა.

ახალ პარტიულ ლიდერს არა მარტო უნდა განეხორციელებინა მოსკოვის მიზანდასახულობები, არამედ მუდამ იმაზეც უნდა ეფიქრა, რომ მოსკოვში გადასული ე. შევარდნაძე გაძლიერებული ინტერესით დაეკვირდებოდა მის საქმიანობას, მან ხომ ამისათვის საკმაოდ მრავალრიცხოვანი „წყაროთმცოდნეობითი ბაზაც“ დატოვა საქართველოში.

ტრადიციულად, ჯ. პატიაშვილმაც „მცირე რეპრესიებით“ დაიწყო – მან პარტიული თანამდებობიდან გადააყენა ე. შევარდნაძის ერთგული „ფავორიტი“ ს. ხაბეიშვილი, რომელიც გაასამართლეს და სხვადასხვა რეალური, თუ გამოგონილი საბაბით 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ციხიდან ის მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს დამხობის შემდეგ გამოვიდა. ამბობდნენ, ე. შევარდნაძემ ვერ დაიცვა თავისი „პროტეჟე“, თუმცა მან ეს წყენა ღრმად გულში ჩაიმარხაო. მაგრამ ძალიან მალე ე. შევრდნაძეს იმდენი საქმე გამოუჩნდა საზღვარგარეთ, რომ მას საქართველოსთვის უკვე აღარ ეცალა.

ვითარება კი საბჭოთა ქვეყანაში ყოველდღიურად უარესდებოდა. საქმე იმაშია, რომ მ. გორბაჩოვმა თავისი „გარდაქმნის“ მთავარ კომპონენტად გამოაცხადა ე.წ. „საჯაროობა“, რომელსაც ცალმხრივად ჩაეჭიდნენ მოსკოვში მოკალათებული რუსი ნაციონალისტები და ცენტრალურ გაზეთებში დაიწყეს არა ლენინისა და ლენინიზმის, არა საბჭოთა დანაშაულობებისა და გადაცდომების კრიტიკა, არამედ ი. სტალინისა და ლ.

ბერიას ზღვარგადასული დისკრედიტაცია. საბჭოთა სახელმწიფოს ყველა დანაშაული მხოლოდ სტალინისა და ბერიას მიერ ჩადენილად გამოაცხადეს (დღეს, თანამედროვე "დამოუკიდებელ და თავისუფალ" რუსეთის ფედერაციაში, ამ მოვლენებიდან 30 წლის შემდეგ, სტალინსა და ბერიას გამორჩეულ პატივს მიაგებენ).

1986 წლის ზაფხულში, ჟურნალ „ნაშ სოვრიმენიკის" მეხუთე ნომერში, საქართველოში ძალიან ცნობილმა და დაფასებულმა მწერალმა ვიქტორ ასტაფიევმა დაბეჭდა თავისი მოთხრობა „ციმორების ჭერა საქართველოში".

„იყო რაღაც უსიამოვნო ოთარის ქცევასა და გამოხედვაში. სად, როდის მიეჩვია ის ასეთ ბატონკაცურ ქცევას? იქნებ კურსებზე სხვა იყო, ხოლო საქართველოში სულ სხვაა, მსგავსად იმ ყველასთვის მომაბეზრებელი ტიპებისა, რომლებსაც, ენა ვერც მოგიტრიალდება, დაუძახო ქართველი. როგორც ჩამოტეხილი, მომაბეზრებელი ტოტი ადამიანური ურთიერთობების ხეზე, ასე ხშირად რომ დაძრწიან რუსეთის ყველა ბაზარში. თვით მურმანსკამდე და ნარილსკშიც კი. ასე თავხედურად რომ ყვლეფენ ჩრდილოეთის გულუბრყვილო ხალხს თავის სიდამპლემორეული ხილით თუ დამჭკნარი, ნახევრად გაფშეკილი ყვავილებით. ასე ხარბნი, უსწავლელნი, აშკარად იმ ჯგუფიდან, რუსეთში რომ შეაძახებენ ხოლმე „სულო კაპიკიანო", ყველგან რომ ყოვლისშემძლეა, ყველგან რომ ჯიბეგადახსნილი..."

ვ.ვ. ასტაფიევი
„ციმორების ჭერა საქართველოში" (ამონარიდი)

ეს პუბლიკაცია სავსე იყო ქართველი ხალხის ცილისწამებით და უსამართლო ჩანართებით. მწერალი თავის ნარკვევში ქართველი ადამიანისათვის ღირსებაშემლახავი ტონით აკრიტიკებდა ყველაფერს, რაც მან საქართველოში მოგზაურობის დროს ნახა. რუს მწერალს საქართველოში აღიზიანებდა ყველაფერი: ქართველი ხალხის ცხოვრების მაღალი დონე, ქართული სტუმართ-მასპინძლობის ტრადიცია, საოჯახო ურთიერთობების თავისებურებები. მართალია, ნარკვევში დაფიქსირებული ზოგიერთი ნაკლი, მართლაც, დამახასიათებელი იყო იმჟამინდელი საქართველოს ყოფისათვის, რაც ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებსაც აღიზიანებდათ და აკრიტიკებდნენ, მაგრამ ეს ხარვეზები, დანახული რუსი მწერლის მიერ არასწორი ინტერპრეტაციით, ძალიან სუბიექტურად და უსამართლოდ გამოიყურებოდა.


ვ. ასტაფიევი

საქართველოში მოთხრობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქართული საზოგადოებრივი აზრი ბობოქრობდა. ამ მოთხრობას მოჰყვა მოსკოვში სხვა ავტორების, ტელეკომენტატორების, ტელეჟურნალისტების ანტიქართული განწყობილებით დაწერილი პუბლიკაციების მთელი სერია. თანაც ეს ავტორები ყველაფერ ამას აკეთებდნენ ისეთი ტონით, ისეთი ხელწერით, რომ ყველაზე უფრო ანტისტალინელ ქართველსაც კი ეროვნული ღირსება ელახებოდა. ფაქტია: ცნობილი ქართველი

ანტისტალინელი, „გულაგ“-ის მრავალი წლის პოლიტპატიმარი, მწერალი კიტა ბუაჩიძე ისე გაღიზიანდა ამ უსამართლობით, რომ ასეთი ავტორების საპასუხოდ უზარმაზარი წიგნიც დაწერა: „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафиеву и другие послание с картинками в черно-белом цвете“, სადაც მოითხოვდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ცოდვები შეეფასებინათ ობიექტურად, ეთნიკური კუთვნილების გარეშე და დაიცვა ქართველების შელახული ღირსება.

ვითარება კიდევ უფრო მწვავდებოდა: ანტიქართული ინსინუაციების გამო ქართველი მწერლების პროტესტს მოსკოვში, საკავშირო მწერალთა ყრილობაზე, ზოგიერთი რუსი მწერლის (ვ. რასპუტინი და სხვ.) კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი რეპლიკები მოჰყვა, რის გამოც ქართველმა მწერლებმა დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი.

საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა, შინაგანად უკმაყოფილო იყო ასეთი ანტიქართული ისტერიით მოსკოვის ცენტრალურ გაზეთებში, მაგრამ მკვეთრი მოქმედების გაკეთებას ერიდებოდა – ეშინოდათ, რომ ეს არ ასახულიყო საკავშირო მომარაგებაზე, დაფინანსებაზე, საკადრო პოლიტიკაზე. მით უფრო ვითარება საკავშირო სახელმწიფოში ძალიან დაიძაბა: ჯერ იყო და 1986 წლის 26 აპრილს მოხდა თერმობირთვული კატასტროფა ჩერნობილში, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე დღე დამალა და ამით თავისი მოსახლეობა რადიაციისათვის გასწირა.

ამ ტრაგედიის დროს საქართველოდან ენთუზიასტების დიდი ჯგუფები დაიძრა უკრაინისკენ მათ დასახმარებლად (ე.წ „ლიკვიდატორები“), საწარმოო-დაწესებულებებში საქართველოს მოქალაქეები აგროვებდნენ ფინანსურ თანხებს უკრაინელი მეგობრების დასახმარებლად. ამ კატასტროფას კოლოსალური თანხების მობილიზება დასჭირდა.

მ. ტეტჩერი

ამ მეტად რთულ, დაძაბულ, წინააღმდეგობრივ ვითარებაში, 1987 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი. მან მოისურვა მოსკოვის გარდა საბჭოთა ქვეყნის სხვა კუთხეებშიც ჩასულიყო. არჩევანი საქართველოზე შეაჩერა და თბილისში ჩამოვიდა. მას საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელები დიდი პატივით შეხვდნენ, დაათვალიერებინეს თბილისის ისტორიული უბნები, გააცნეს ქართველი ერის მდიდარი კულტურა, ფოლკლორი. მ. ტეტჩერი შეხვდა რიგით თბილისელებსაც – ამ სტრიქონების ავტორს ხვდა ბედნიერება ახლოს ენახა ეს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე: თბილისელებთან ერთად რუსთაველზე, „იმელის“ შენობის წინ ვიდექით და ძვირფასს სტუმარს ველოდებოდით. მოულოდნელად ჩვენს წინ ოფიციალური კორტეჟის მანქანა გაჩერდა და მ. ტეტჩერი მანქანიდან გადმოვიდა. ის სწრაფად წამოვიდა ჩვენსკენ... ჩემს გვერდით

მდგომ დაბალ, უბრალოდ ჩაცმულ, ხნიერ ქალბატონს ხელი გულთბილად ჩამოართვა და შემდეგ მეც შემომხედა... მივესალმე და გამოწვდილ ხელს ხელი შევაგებე...

საღამოს, სამთავრობო რეზიდენციაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის საპატივისაცემოდ საზეიმო მიღება გაიმართა, სადაც დიდებულმა ქალბატონმა ქართველ ხალხს ბედნიერება და წინსვლა უსურვა.

მაგრამ ბედნიერებამ და წინსვლამ საბჭოთა სახელმწიფო უკვე საბოლოოდ მიატოვა - მას ბუნებაც კი განურისხდა.

1988 წლის 7 დეკემბერს, საშინელმა მიწისძვრამ მთლიანად გაანადგურა სომხეთის ქალაქი სპიტაკი. ქართველი ექიმები პირველები იყვნენ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ვინც დასახმარებლად სომხეთში გაეშურა. დაიწყო დახმარების ფონდში საქართველოს მოქალაქეების მიერ თანხების შეგროვება. სტიქიის ამ შედეგების დაძლევასაც უზარმაზარი თანხების მობილიზება დასჭირდა.

ასეთი მეგობრული, ინტერნაციონალური დახმარება საბჭოთა სომხეთისა თუ უკრაინის მოსახლეობის მიმართ მიმდინარეობდა შეუწყვეტელი ანტიქართული ფსიქოზის ფონზე. ეს კი საქართველოში კიდევ უფრო აძლიერებდა ეროვნულ-განმათავისულებელ მოძრაობას.

საქმე ის არის, რომ მ. გორბაჩოვის მიერ დაწყებული „გარდაქმნა“ რეალურ შედეგს ვერ იძლეოდა – ეკონომიკა კვლავ უკან მიექანებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ სწორედ ასეთ დროს მიიღო დასავლეთისთვის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება – მისი თხოვნით საუდის არაბეთის მთავრობამ ხელოვნურად ძირს დასწია ნავთობის ღირებულება საერთაშორისო ბაზარზე, რამაც საბჭოთა კავშირის მთავარი წყაროს „ნავთობდოლარების“ შემოდინება ქვეყანაში მინიმუმამდე შეამცირა, ეს მაშინ, როცა საბჭოთა ბაზარზე სოციალური დაძაბულობა ყოველდღიურად ძლიერდებოდა. აშშ-მა ამ ფაქტით გორბაჩოვს აშკარად „წირვა გამოუყვანა“.

მოსკოვში მ. გორბაჩოვის მდგომარეობა გააუარესა იმანაც, რომ მას გამოუჩნდა სერიოზული კონკურენტი – ბორის ელცინი, რომელიც საჯაროდ აკრიტიკებდა მის პოლიტიკურ კურსს, უფრო რადიკალური ზომების გატარებას მოითხოვდა.

ფილმი „მონანიება“

საქართველოს კომპარტიის ახალი ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობდა აჰყოლოდა მოსკოვის პარტიული ლიდერების საქმიანობას, მიეღო ადეკვატური გადაწყვეტილებები, არ გაეღიზიანებია რუსეთის საზოგადოებრივი აზრი. ჯ. პატიაშვილის მითითებით, გორში დახურეს სტალინის სახლ-მუზეუმი, საქართველოშიც დაიწყეს „სტალინიზმის“ კრიტიკა, მოხდა „ნაციონალ-უკლონისტების“ რეაბილიტაცია (მ. ოკუჯავა, ბ. მდივანი და სხვ.), გატარდა სხვა ღონისძიებებიც. მ. გორბაჩოვი და მისი თეორეტიკოსების დასი შეეცადა სტალინიზმი შეეცვალა ტროცკიზმით, დაიწყეს ლ. ტროცკის ნაშრომების პუბლიკაცია,

გაიხსენეს სტალინის სხვა მოწინააღმდეგენი – ნ. ბუხარინი, გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი და სხვ. მოხდა მათი რეაბილიტაცია, აქვეყნებდნენ მათ ნაშრომებს.

სწორედ ამ ანტიქართული ისტერიის ფონზე, საკავშირო ეკრანებზე გამოვიდა თ. აბულაძის მიერ დასრულებული შედევრი „მონანიება“, გენიალური ავთო მახარაძის მონაწილეობით. ფილმმა წარმოუდგენელ წარმატებას მიაღწია, მან მთელი მსოფლიო აალაპარაკა, არა ერთი საერთაშორისო პრიზი დაიმსახურა. ავტორების მიერ გააზრებული მთავარი პერსონაჟის, ვარლამ არავიძის სახე, ტოტალიტარიზმის მსოფლიო გამოვლენის საუკეთესო კინოსახედ აღიარეს და ეს მოხდა კანში, საერთაშორისო კინოფესტივალის დროს, 1987 წელს – როცა საერთაშორისო ჟიურიმ მას ერთხმად „გრან პრი“ მიანიჭა.

„საქმე ეხება მეტაფორულ, მაგრამ მეტად მწვავე სოციალურ კინოს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში კინომატოგრაფიის მონაწილეობის მსგავსი მაგალითი, ძალიან დიდი გამონაკლისის გარდა, ჩვენ მეტი აღარ გვქონია... რატომ გაურბიან თანამედროვე რეჟისორები საუბრებს თანამედროვე პრობლემებზე ან იმ საკითხებს, ასე რომ აღელვებდა აბულაძეს? საიდან არის თანამედროვე რეალობის წინაშე ასეთი კომლექსები, ტენდენციურობა, უუნარობა? რას ნიშნავს ეს? იქნებ სწორედ ამაში მდგომარეობს იმ შეკითხვებზე დღევანდელი პასუხები, რომლებიც დააყენა ფილმმა „მონანიება“?“

დანიელ დანდურეი (კინომცოდნე)
ფილმის ეკრანზე გამოსვლის 20- წლისთავისადმი მიძღვნილი
დისკუსია რუსეთში «Искуство кино», 2004 № 4.

პარალელურად კი საბჭოთა კომუნისტების ფორუმებზე, აქტივის კრებებზე დიდი წარმატებებით მიმდინარეობდა სახელოვანი ქართველი კინორეჟისორის, რეზო ჩხეიძის „რაიკომის მდივნის“ დემონსტრირება, სადაც ასევე გაიელვა თემურ ჩხეიძის ბრწყინვალე სამსახიობო ოსტატობამ.

საბჭოთა კავშირში უკვე შექმნილი ვითარების აბსურდულობა წარმოუდგენლად ადეკვატურად, გროტესკულად და მომავლის ზუსტი პროგნოზით გამოხატა ელდარ შენგელაიამ ფილმში „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“. ჩინებული სცენარი, ბრწყინვალე რეჟისურა, შეუდარებელი აქტიორული ანსამბლი (ს. თაყაიშვილი, რ. გიორგობიანი, თ. ჩირგაძე და სხვები) და რაც მთავარია, ფილმის ფინალური აკორდი – ასეთი ორგანიზაცია „აბსურლენდი“ უნდა დაინგრეს – მართლაც ბოლომდე გამოხატავდა ქვეყანაში მყოფი ჯანმრთელი ძალების იმჟამინდელ გუნებაგანწყობილებას.

საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ საზოგადოების გულისმოსაგებად საკმაოდ მაშტაბურად ჩაატარა ილია ჭავჭავაძის იუბილე, რომელზეც საზღვარგარეთიდან უამრავი სტუმარი იყო ჩამოსული. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ სწორედ იუბილეს დღეებში, 1987 წლის 11 დეკემბერს დაფუძნდა „ილია ჭავჭავაძის სახ. საზოგადოება“ – პირველი არაფორმალური, ლეგალური ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის კულტივირება – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“. მასში შევიდნენ: ზურაბ ჭავჭავაძე, გურამ მა-

მულია, მიხეილ ქურდიანი, ვალერი ვაშაკიძე, თამარ ჩხეიძე, კახაბერ კახაძე, ჯუმბერ კოპალეიშვილი და სხვ. შექმნისთანავე საზოგადოებამ ჩაატარა რამდენიმე ანტისაბჭოთა ღონისძიება: ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლთა სულის მოსახსენიებელი პანაშვილი დიდუბის ეკლესიაში, მოაწყო მასობრივი საპროტესტო აქციები საბჭოთა პოლიგონის წინააღმდეგ, რომელიც დანგრევით ემუქრებოდა დავით გარეჯის უნიკალურ კომპლექსს და ა.შ.

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და მას ეწოდა „ილია მართალი“.

ჯ. პატიაშვილის ინიციატივით და მოსკოვის დასტურით სასწრაფოდ შეიქმნა „შოთა რუსთაველის“ საზოგადოება პოეტ ირ. აბაშიძის თავმჯდომარეობით. ეს ორგანიზაცია კომპარტიის მიმართ ლოიალურ ქართველ ინტელიგენციას აერთიანებდა და, რა თქმა უნდა, მთავრობის კეთილგანწყობითა და მისი სუბსიდიებით სარგებლობდა.

საქართველოში შეიქმნა ორგანიზაცია „მემორიალი“ (თავმჯდომარე თ. ბუაჩიძე), რომლის მიზანი იყო საბჭოთა წლებში რეპრესირებული მოქალაქეების პოლიტიკური რეაბილიტაცია, მათი ოჯახების სოციალური დაცვის საკითხების მოწესრიგება და ა.შ.

აღდგა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობა (გ. ჭანტურია, ი. სარიშვილი, მ. გიორგაძე, ი. ქადაგიშვილი და სხვ.). ცნობილმა დისიდენტმა ირ. წერეთელმა შექმნა „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“. ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფ. ნოდარ ნათაძე სათავეში ჩაუდგა „სახალხო ფრონტს“. მასობრივად იქმნებოდა სხვადასხვა არაფორმალური ორგანიზაცია თუ პარტიული გაერთიანება. საქართველოში ნამდვილი პოლიტიკური ბუმი დაიწყო.

სწორედ ამ ეტაპზე, საქართველოს საზოგადოებრივი აზრი აშკარად გაიყო ორ პოლუსად, მათ შორის რომელი გაძლიერდებოდა და რომელი გაიყოლებდა საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას – ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო. ერთი მხარე, გამორჩეულად ის მოღვაწეები იყვნენ, ვინც ფაქტობრივად გამოაღვიძეს ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, გააღვივეს საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული დამოუკიდებლობის სულისკვეთება ღია, ლეგალური ფორმებით (ა. ბაქრაძე, ვ. კოტეტიშვილი, რ. თაბუკაშვილი, მ. მამარდაშვილი და სხვ.) და ახლა უკვე ცდილობდნენ ეს დამოუკიდებლობა, ეს სუვერენიტეტი მოეპოვებინათ რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით, დიდი მსხვერპლის გარეშე. ამ სტრიქონების ავტორს თვითონ აქვს მოსმენილი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში საჯარო ლექციის დროს ა. ბაქრაძის მიერ ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „საბჭოთა კავშირი ინგრევა და იქნებ ვცადოთ ამ ნანგრევებში არ მოვყვეთ მაინც“ (პერეფრაზირე-



ზ. ჭავჭავაძე

ბა). ქართველი ინტელიგენციის ეს ჯგუფი ვარაუდობდა, რომ საზოგადოებაში არ უნდა მომხდარიყო მკვეთრი პოლარიზება, რომ მას სამოქალაქო ომის პროვოცირება არ გამოეწვია.

სამაგიეროდ, მეორე დაჯგუფებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის უფრო რადიკალური და უფრო შეურიგებელი გზა აირჩია და ჩათვალა, რომ სწორედ ეს გზა მოუტანდა საქართველოს ჭეშმარიტ თავისუფლებას. მათ თავის მიტინგებზე, შეკრებებზე უკვე აშკარად გამოჰქონდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლიკა და ა.შ.

ხაზგასასმელია, რომ ქართველმა ახალგაზრდებმა, არაფორმალურმა ორგანიზაციებმა და ჯგუფებმა უპირველესად ეროვნულ ფასეულობებზე ზრუნვა დაიწყეს: ისინი დაუპირისპირდნენ ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლობის იდეას და მის რეალიზებას. გააპროტესტეს და შეაჩერებინეს ხუდონჰესის მშენებლობა იმ მიზეზით, რომ ის გამოიწვევდა რეგიონში მეწყერული პროცესების გაძლიერებას. ახალგაზრდები აპროტესტებდნენ საქართველოს საზვრების გასწვრივ ქართული მიწების უკანონო გასხვისების ფაქტებს, მოითხოვდნენ მთავრობისაგან დაეცვა მეწყერით დაზარელებული აჭარის მოსახლეობის კანონიერი ინტერესები და სწორედ ისინი ჩაესახლებინა სასაზღვრო რეგიონებში. მაგრამ უკვე ამ საწყის ეტაპზე შესამჩნევი გახდა ზოგიერთი არაფორმალური ლიდერის ირაციონალიზმი, მოვლენების არაადეკვატური შეფასება. ხშირად ისმოდა ასეთ მიტინგებზე მომავალი ეკონომიკური განვითარების მოუფიქრებელი პროექტები, ბოლომდე გაუაზრებელი გადასადგმელი ნაბიჯები. ხშირად იმასაც კი ამბობდნენ, რომ საქართველოს ეკონომიკური მომავალი გარანტირებულია, რადგან „ბორჯომი გადაგვარჩენს!“ და ა.შ. ეს „ინფანტილიზმი“ პოლიტიკაში ძვირად დაუჯდა მომავალში საქართველოს...

ქართველი ახალგაზრდების უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ 1988 წელს, მკაცრად გააპროტესტეს მოსკოვის საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება კონსტიტუციიდან ამოეღოთ მუხლი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკას კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას ანიჭებდა (ეს სტალინური კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული) და ეს უფლება უნდა გადასცემოდა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობას (ეს, ფაქტობრივად, ამ უფლების ანულირებას ნიშნავდა). აშკარა იყო, რომ კრემლი შეტევაზე გადავიდა – ის შეაშინა მის მიერვე ინიცირებულმა „გარდაქმნამ“ და მრავალეროვანი სახელმწიფოს დაშლის შიშით სერიოზულ შეცდომებსა და გადაცდომებს უშვებდა.

ამ „სიახლის“ გამოქვეყნებისთანავე საქართველოში დაიწყო ძლიერი საპროტესტო მოძრაობა. 1988 წლის 12 ნოემბერს, არაფორმალების მიერ თბილისში მოეწყო არნახული, 100 000 კაციანი საპროტესტო მიტინგი. გადაიკეტა რუსთაველის, ჭავჭავაძისა და გურამიშვილის ქუჩები. პოლიტიკური აქცია დასრულდა გრანდიოზული მიტინგით იპოდრომზე. მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმული იყო ძირითადი მოთხოვნები: ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების დაუშვებლობა, დემონსტრაციებისა და ქუჩაში მსვლელობების თავისუფლება, სვანეთში გიგანტური წყალსაცავებისა და ჰესების მშენებლობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება, შეშინებული არაფორმალების აქტივობით, დათმობებზე წავიდა, 19 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა ახალგაზრდების კანონიერი მოთხოვნები. მაგრამ თბილისში საპროტესტო გამოსვლები კვლავ გრძელდებოდა – ახალგაზრდებს იმედი არა ჰქონდათ, რომ მათი მოთხოვნები შესრულდებოდა. 25 ნოემბერს თბილისელმა მოქალაქემ გაბრიელ ისაკაძემ მოახერხა და მთავრობის სასახლის თავზე მოფრიალე წითელი დროშა ჩამოხსნა. ის დაუყოვნებლივ დააპატიმრეს.

ანტისაბჭოთა დემონსტრაცია თბილისში

1988 წლის ნოემბრის აქცია თავისი გრანდიოზულობით გამოირჩეოდა. მისი ორგანიზატორები იყვნენ: გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები. მიტინგებსა და სხვა მასობრივ მსვლელობებში აქტიურად მონაწილეობდნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ნოდარ ნათაძე, ირაკლი ბათიაშვილი, ირინე სარიშვილი, ირაკლი ქადაგიშვილი და სხვ. ვითარება ყოველდღიურად მწვავდებოდა. საქართველოს კომუნისტების ახალმა ლიდერმა ამ კრიზისის დროს თავი ვერაფრით გამოიჩინა – ის კვლავ მოსკოვიდან მოელოდა მითითებებს. 29 ნოემბერს მოსკოვიდან დარეკა ე. შევარდნაძემ, რომელმაც გააცნო საქართველოს ხელისუფლებას მ. გორბაჩოვის გადაწყვეტილება – საბჭოთა მთავრობა ქართველი ახალგაზრდების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. მიტინგი შეწყდა, მაგრამ საქართველოში „დესოვეტიზაციის“ პროცესი მაინც შეუჩერებლად მიექანებოდა წინ.

მეზობელ რესპუბლიკებში ვითარება ანალოგიურად მძიმე იყო. განსაკუთრებული სიმწვავეს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიაღწია ბალტიისპირეთში: ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. აქ გაიხსენეს „მოლოტოვის-რიბენტროპ“ 1939 წლის აგვისტოს პაქტი და ის საიდუმლო პუნქტებიც, რომლის საფუძველზე უკვე 1940 წელს სამივე ბალტიისპირეთის რესპუბლიკა „გასაბჭოდა“, განიცადა რუსეთის ოკუპაცია და საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის რადიკალური ცვლილება. ი. სტალინის ტოტალური კრიტიკის ფონზე ბალტიისპირეთის ხალხების მოთხოვნები სრულიად კანონიერი ჩანდა, მით უფრო, რომ ევროპის და ამერიკის ბევრმა ქვეყანამ ეს „გასაბჭოება“ თავიდანვე უკანონოდ სცნო და ის ოკუპაციად აღიქვა. მაგრამ აქ მთავარი და აღსანიშნავი მაინც ის არის, რომ ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში ანტისაბჭოთა მოძრაობას თავიდანვე საოცარი ერთიანობა ახასიათებდა და ის ვერ გათიშა ვერავითარმა ვერც პარტიულმა და ვერც ზეპარტიულმა ინტრიგამ.

ვითარება სრულიად განსხვავებული შეიქმნა სამხრეთ კავკასიაში. აქ მოვლენები სწრაფად დაიწყო და ძალიან დრამატულადაც განვითარდა. ანტისტალინური ფსიქოზის ფონზე, შესაძლებელია მოსკოვის კრემ-

ლის ზოგიერთი იდეოლოგის (მათ შორის იყვნენ სომეხი ეროვნების წარმომადგენლებიც) კარნახით, გაიხსენეს 1921 წელს სამხრეთ კავკასიაში ი. სტალინის ვიზიტის დროს საზღვრების გადანაწილების პროცესი, აზერბაიჯანის შემადგენლობაში ყარაბაღის დატოვება ი. სტალინს მიაწერეს და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური სტატუსის გადახედვაც განიზრახეს.

პოლიტიკური კრიზისის დაწყების მომენტში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სულ ცხოვრობდა 475 486 ეთნიკური სომეხი (მოსახლეობის 8%), უშუალოდ ავტონომიურ ოლქში მხოლოდ 123 076 კაცი. ამრიგად, სომეხი მოსახლეობის დიდი უმეტესობა (74%) ბინადრობდა ბაქოში, სუმგაითში და სხვა სამრეწველო ქალაქებში აზერბაიჯანელებთან გულითად, მეგობრულ ურთიერთობაში. თანაც სომეხი მოსახლეობის ეს ნაწილი, მნიშვნელოვანწილად, განეკუთვნებოდა ინტელიგენციას: იყვნენ ექიმები, მეცნიერები, ინჟინრები, საზოგადოების დამსახურებული და შეძლებული მოქალაქეები.

ნამდვილი სომეხი პატრიოტი აზერბაიჯანში მცხოვრები სომხების დიდი უმეტესობის ინტერესს არ შესწირავდა ერთი მუჭა ოლქის მოსახლეობის გუნება-განწყობილებებს, მაგრამ მოსკოვში ჩათვალეს, რომ საბჭოთა კავშირის გადასარჩენად საჭირო იყო სერიოზული არეულობა სამხრეთ კავკასიაშიც, ერთაშორის დაპირისპირების გაღვივება (შეიძლება ვიღაც პირიქით, იმას ფიქრობდა, რომ ამით საბჭოთა კავშირის დასამარების მოახლოება შეიძლებოდა?! არც ეს არის გამორიცხული).

1988 წლის 20 თებერვალს მთიანი ყარაბაღის საკანონმდებლო ორგანომ – საოლქო საბჭომ, ბაქოსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, „ერის თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე“ განახორციელა თავისი „უფლება“, ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის სსრ შემადგენლობიდან გასულად გამოაცხადა და სომხეთის რესპუბლიკასთან ამ ტერიტორიის შეერთება დაადასტურა.

ეს, საბჭოთა კოსტიტუციის საწინააღმდეგო აქტი რომ აზერბაიჯანში სერიოზულ მღელვარებას გამოიწვევდა და აზერბაიჯანელი ხალხის რისხვა უპირველეს ყოვლისა ოლქის გარეთ მცხოვრები სომხების 74 პროცენტს (352 410 კაცი) დაატყდებოდა თავს, ეს ჩინებულად იცოდნენ, როგორც მოსკოვსა და ერევანში, ისე სტეფანოკერტშიც. მაგრამ ამ პროცესის ორგანიზატორებს სულ არ აღელვებდათ 352 410 კაცის ბედი. მათთვის მთავარი იყო სამხრეთ კავკასიის ერებს შორის არ მომხდარიყო კონსოლიდაცია, დაწყებულიყო და გაძლიერებულიყო დეზინტეგრაციული პროცესები.

ვითარება სწრაფად დაიძაბა სუმგაითში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში. როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო ეროვნული ღირსებაშელახული აზერბაიჯანელი მოქალაქეების მხრიდან სომხური ოჯახების დარბევა. მოსკოვის ჩანაფიქრი შესრულდა – ადრე, რესპუბლიკაში მცხოვრები ორი ერის მოქალაქეების კეთილმეზობლური ურთიერთობა, სწრაფად შეიცვალა საშინელი მტრობით.

ამ ამბავზე იმიტომ შევჩერდით დეტალურად, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ ამბისაგან საჭირო დასკვნა ვერ გამოიტანეს. მოსკოვმა იგივე სცენარი, იგივე თანმიმდევრობით, სულ რაღაც ორი წლის შემდეგ წარმატებით განახორციელა სამხრეთ ოსეთშიც...

9 აპრილი, 1989 წელი. სოციალური ფონი საქართველოში სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დასავლეთის ყველა მოთხოვნა ან გაითვალისწინა, ან ბოლომდე შეასრულა (მაგალითად, ორი გერმანიის გაერთიანება წარმატებით დაგვირგვინდა, მიაღწიეს შეთანხმებას ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ, დაიწყო კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟი აღმოსავლეთ ევროპაში და ა.შ.), ეს შედეგები დადებით ზეგავლენას საბჭოთა ქვეყნის საშინაო მდგომარეობაზე ვერ ახდენდა. აშკარა გახდა, რომ ქვეყანა ინგრეოდა, რომ რესპუბლიკები დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ. ასეთ ვითარებაში კრემლმა თავისი „კოზირი“ გამოიყენა – ერთაშორისი ურთიერთობების გამწვავება გადაიტანა უშუალოდ რესპუბლიკებში. ეს გეგმა, როგორც ვნახეთ, წარმატებით განახორციელეს აზერბაიჯანში.

საპროტესტო მიტინგი მთავრობის სასახლის წინ

ვითარებამ კვლავ გამოაცოცხლა აფხაზი სეპარატისტებიც, რომლებიც მუდამ ცდილობდნენ აშკარად თუ ფარულად დაპირისპირებოდნენ თბილისს. მათ ჩინებულად გამოიყენეს მოსკოვის პრესაში ანტისტალინური ვაკხანალია და უკვე ახალ ვითარებაში, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩადენილი ყველა ბოროტება სტალინსა და ბერიას გადააბრალეს, თბილისი დაადანაშაულეს ანტიაფხაზური პოლიტიკის გატარებაში, ასიმილაციის მცდელობებში, მათი იდენტობის წინააღმდეგ მიმართულ ბოროტ საქმიანობაში. ყველაზე უფრო რელიეფურად აფხაზეთის ინტელიგენციის დიდი ჯგუფის ანტიქართული გუნება-განწყობილება წარმოჩინდა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზთა შეკრებაზე (1989 წ. 18 მარტი). მას ესწრებოდნენ აფხაზეთის ასსრ პარტიული და საბჭოთა აფხაზი მუშაკებიც. ამ თავყრილობაზე მიიღეს ე.წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელშიც ისტორიული ფაქტების საშინელი გაყალბებით არის მოცემული საქართველო-აფხაზეთის ისტორიული ურთიერთობა XIX-XX საუკუნეებში. სეპარატისტები შეეცადნენ ამ წერილში ეჩვენებინათ საქართველოს მხრიდან „ძალმომრეობის, ყოველმხრივი შეზღუდვის, ჩაგვრის, კულტურული ასიმილაციის მცდელობის, რეპრესიული პოლიტიკის გატარების“ პროცესი და ითხოვდნენ საკავშირო მთავრობის დახმარებას, საქართველოდან გამოყოფას და რუსეთის ფედერაციაასთან შეერთებას. ეს მაშინ, როცა 1979 წლის აღწერის მონაცემებით აფხაზეთში ასს რესპუბლიკაში აფხაზები მოსახლეობის მხოლოდ 17,1 პროცენტს (83 ათასი კაცი) შეადგენდნენ და მათ შორისაც მნიშვნელოვანი ნაწილი – გააფხაზებული ქართველები იყვნენ. ქართველების ხვედრითი წილი ავტონომიურ რესპუბლიკაში იმჟამად იყო – 43,9% ანუ 213 000 კაცი.

ფაქტობრივად, აფხაზი სეპარატისტები თავისი პროგრამით ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს და მათი მოთხოვნები უკანონო იყო, ის ხელს ვერ შეუწყობდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიულ მეგობრობას. მათი მიმართვის შესახებ თბილისში არაფორმალებმა ძალიან მალე გაიგეს. საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა კი აშკარა ქმედებებისაგან ჯერ თავს იკავებდა და მოსკოვიდან ელოდა დირექტივებს.

25 მარტს თბილისში, ვაკის პარკში, შედგა თბილისის საზოგადოებრიობის დიდი მიტინგი, რომელზეც განიხილეს აფხაზი სეპარატისტების ახალი დემარში. მიტინგმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა მიმდინარე მოვლენების ობიექტური გაშუქება და მისი შეფასება, გადამწყვეტი ზომების მიღება სეპარატისტების უკანონო მოქმედებების აღსაკვეთად.

26 მარტს საქართველოს კპ ცკ ბიურომ განიხილა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები, მაგრამ ამ სხდომაზე ვერ გაბედეს სეპარატისტთა ლიხნის აქციაში მონაწილე პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების დასჯა, მხოლოდ სიტყვით დაგმეს აფხაზეთის სტატუსის შეცვლის უკანონო მოთხოვნა.

ქართული საზოგადოებრივი აზრი კი მღელვარებდა. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სხვა ქალაქებში ინტელიგენციის შეკრებებზე მიმდინარეობდა მსჯელობა აფხაზეთში მიმდინარე პრობლემებზე.

თვითონ აფხაზეთში, სოხუმში, გალში, სხვა რაიონებსა და დაბებში ადგილობრივმა ქართველობამ მკაცრად დაგმო „ლიხნის მიმართვა“. გალში უკვე 25 მარტს შედგა გრანდიოზული მიტინგი. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე გაგრაში შეიკრიბნენ საქართველოს ერთიანობის მხურვალე დამცველები. ანალოგიური მიტინგები ჩატარდა სოხუმში, დაბა ლესელიძეში. მიტინგების მონაწილეები საქართველოს ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ ენერგიულ მოქმედებებს.



ლ. მარშანია

30 მარტს, სოხუმში ჩავიდნენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები: ჯ. პატიაშვილი, გ. ანჩაბაძე, ნ. ფოფხაძე, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია. ისინი ადგილზე გაეცნენ პრობლემას. თბილისში დაბრუნების შემდეგ ჯ. პატიაშვილი შეხვდა არაფორმალური მოძრაობის ლიდერებს: ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და სთხოვა მათ, მიეცათ შესაძლებლობა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისათვის პრობლემა მოეგვარებინა თვითონ და არ გაემწვავებინათ დედაქალაქში პოლიტიკური ვითარება.

თეორიულად, საბჭოთა კონსტიტუციაზე დაყრდნობით და მოსკოვის ქართული ლობის დახმარებით, შეიძლებოდა ამ საკითხის მოგვარება – მოსკოვი ჯერ კიდევ აშკარად კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას ვერ დაუშვებდა და შეიძლებოდა კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება.

ლ. ალექსიძე

მაგრამ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისათვის მოულოდნელად, უკვე 4 აპრილიდან, დაიწყო თბილისელი ახალგაზრდებისა და სტუდენტების პერმანენტული მიტინგების სერია: ჯერ სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში შეიკრიბნენ პროტესტანტები, შემდეგ ასეთივე შეხვედრა შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ა. ბაქრაძე, მ. მაჭავარიანი, ჯ. ჩარკვიანი, ლ. ალექსიძე და სხვები. საქართველოს ინტელიგენციამ ხელისუფლებას მოსთხოვა დაუყოვნებლივ მოეწესრიგებინა აფხაზეთში პრობლემები და შეეწყვიტა აფხაზი სეპარატისტების უკანონო ქმედებები. ამის შესაძლებლობა საქართველოს მთავრობას იმჟამად ჯერ კიდევ ჰქონდა.

მაგრამ იმავე დღეს, უკვე 7 საათზე თბილისის უნივერსიტეტში შედგა სტიქიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. ამ შეკრებას უკვე რადიკალური მოძრაობის ლიდერები აკონტროლებდნენ. რეზოლუცია მოითხოვდა ეროვნულ დაუმორჩილებლობას, საქართველოში დროებითი მთავრობის შექმნას, ქვეყანაში ავტონომიური ფორმირებების გაუქმებას და ა.შ.

მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით გადაწყდა მთავრობის სახლის წინ ხალხმრავალი მიტინგის მოწყობა. მისი იდეა „ი. ჭავჭავაძის სახ. საზოგადოებას“ ეკუთვნოდა, რომლის ფაქტიური ლიდერი ზ. ჭავჭავაძე იყო. 4-5 აპრილს მიტინგის მსვლელობას სწორედ ეს არაფორმალური ორგანიზაცია აკონტროლებდა და მისი შინაარსი ძირითადად აფხაზი სეპარატისტების უსამართლო და უკანონო მოთხოვნების წინააღმდეგ დროული რეაგირება იყო. 6 აპრილს მიტინგზე ინიციატივა უფრო რადიკალების: ი. წერეთლის, გ. ჭანტურიას და სხვათა ხელში გადავიდა. აფხაზეთის თემატიკა მიტინგის დღის წესრიგში კი დარჩა, მაგრამ ის შეივსო და გადაიფარა ისეთი ლოზუნგებით, რომლებიც მოითხოვდნენ „რუსეთის იმპერიის დაშლას“, „საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას“, „საქართველოს გამოსვლას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან“, „საქართველოში გაეროს ჯარების შემოყვანას“, „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის გაუქმებას და ა.შ.

„პოლიტიკური, მორალური და სხვა, მათ შორის, სამართლებრივი პასუხისმგებლობა თავის მოქმედებებზე უნდა იტვირთონ მთავრობის სასახლესთან არასანქციონირებული მიტინგების ორგანიზატორებმა – წერეთელი, გამსახურდია, ჭანტურია და არაფორმალური ორგანიზაციათა სხვა ლიდერები, რომელთაც მიტინგის მსვლელობისას დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი სხვადასხვა სახით, მოუწოდებდნენ ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნათა შეუსრულებლობისაკენ, ხოლო, როდესაც დადგა შეიარაღებული ძალის გამოყენების რეალური საშიშროება, არ მიიღეს ზომები მიტინგის შესაწყვეტად, არ შეეცადნენ, რომ ამ გზით ხელი შეეშალათ მოვლენათა ტრაგიკული დასასრულისათვის“

ურთულეს ვითარებაში ჯ. პატიაშვილი შეეცადა ინიციატივა ხელიდან არ გაეშვა, ის ჩაფრინდა სოხუმში, აქ შეიკრიბა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც საოლქო კომიტეტის მდივნად ახალი, ქართველების მიმართ ლოიალური პიროვნება – ვლ. ხიშბა აირჩია. ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა აფხაზი და აფხაზეთში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის ერთობლივი წერილი, რომელშიც მოითხოვდნენ არსებული გაუგებრობის სასწრაფო ლიკვიდაციას, რომ მას სერიოზული ჩრდილი არ მიეყენებინა აფხაზი და ქართველი ხალხების ტრადიციული ისტორიული მეგობრობისათვის. ამრიგად, იმ მომენტში საქართველოს პარტიული ხელმძღვანელი შეეცადა თავის ხელში აეღო ინიციატივა, მაგრამ მან ეს ბოლომდე ვერ გააკეთა. რატომ?

საფიქრებელია, რომ მას ხელი შეუშალა არასანქცირებულ მიტინგზე ვითარების წარმოუდგენლად დაძაბვამ, რამაც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში სერიოზული შიშის გრძნობა დაბადა – მიტინგის ახალი ორგანიზატორები, სიტყვებში გამომსვლელები ისე ძაბავდნენ ვითარებას, ისეთი აგრესიული პათოსით გამოდიოდნენ, თითქოს სწორედ ეხლა და სწორედ აქ წყდებოდა საქართველოს საბოლოო ბედი. სავარაუდოა ისიც, რომ სწორედ იმ დღეებში, თავისი შეურიგებლობით, აგრესიულობით რადიკალურმა მოძრაობამ საბოლოოდ „ჩააცურა“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საჭეთმპყრობელი – საქართველოს ინტელიგენციის ზომიერი ნაწილი არენიდან და მასში განუყოფლად, უაპელაციოდ წამყვანი ადგილი დაიმკვიდრეს ულტრა-რადიკალებმა. ეს ძალიან მალე აშკარად შესამჩნევი გახდება მიტინგის ორგანიზატორთა განცხადებებშიც, მიტინგის მონაწილეთა დამოკიდებულებაში საქართველოს ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლების მიმართ, რომლებიც შეეცდებიან ვითარების განმუხტვას, რადგან იმ დროს და იმ წუთში არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა მდგომარეობის ასეთი წარმოუდგენელი ესკალაცია.

„მდგომარეობა რესპუბლიკაში უკანასკნელ ხანს მკვეთრად გამწვავდა და პრაქტიკულად კონტროლიდან გამოდის. ექსტრემისტული ელემენტები ამძაფრებენ ნაციონალისტურ განწყობილებებს, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, იწვევენ უწესრიგობას... აუცილებლად მიგვაჩნია:

1. დაუყოვნებლივ უნდა იქნენ მიცემული სისხლის სამართლის და ადმინიტრაციულ პასუხისგებაში ექსტრემისტები...

2. შინაგან საქმეთა სამინიტროსა და ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის ძალების გამოყენებით თბილისში გამოცხადებულ იქნას საგანგებო მდგომარეობა (კომენდანტის საათი)

3. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით.

4. საკავშირო და რესპუბლიკური მასობრივი ინფორმაციის წყაროებში არ დაიშვას პუბლიკაციები, რომლებიც სიტუაციას გაართულებენ“...

ჯ. ი. პატიაშვილი

ი. ლიგაჩოვი

იმჟამად საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელისუფალი და საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში არ იმყოფებოდნენ. ვითარებას ქვეყანაში აკონტროლებდა სკკპ ცეკას II მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, ღრმად კონსერვატორი, ორთოდოქსული შეხედულებების ადამიანი. სწორედ ის თავმჯდომარეობდა სკკპ ცკ პოლიტბიუროს თათბირს, რომელმაც თბილისში შექმნილი ვითარება განიხილა. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჩებრიკოვი.

„7 აპრილის საღამოს დამტკიცებული მუშა თათბირის რეკომენდაციები მიმართული იყო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით რეგულირებისაკენ...

ი.კ. ლიგაჩოვი
„გორბაჩოვის გამოცანა“ (ამონარიდი)

გვიან ღამით მოსკოვში ლონდონიდან მ. გორბაჩოვი და მისი თანხმლები პირები ჩამოფრინდნენ. მათ აეროპორტშივე მოახსენეს თბილისში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მ. გორბაჩოვმა ე. შევარდნაძესა და ვ. რაზუმოვსკის დაავალა 8 აპრილს თბილისში გამგზავრება, ადგილზე ვითარების გაცნობა და მდგომარეობის გამოსწორება.

ვითარება თბილისში უმართავი გახდა. 8 აპრილს სცადეს მიტინგის მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა სამხედრო ძალის დემონსტრირებით, რასაც, ინიციატორთა აზრით, მიტინგზე დამსწრეთა რაოდენობის შემცირება უნდა გამოეწვია. მაგრამ მოხდა პირიქით – იმ დღეს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო თბილისის ცენტრში. მიტინგზე თითქმის მთელი ქალაქი გამოვიდა.

შუადამისას მიტინგზე იმყოფებოდა დაახლოებით 8-10 ათასი კაცი, ძირითადად მოზარდები და ქალები. მგზნებარე პატრიოტულ მოწოდებებს ცვლიდა ხალხური სიმღერები და ცეკვები. ამასობაში მიტინგის დაშლის ბრძანება უკვე გაცემული იყო.

9 აპრილს, დილით, 3 საათზე და 55 წუთზე მიტინგზე მივიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც შეატყობინა მიტინგის მონაწილეებს, რომ საფრთხე რეალურია და მრევლს მიმართა:

„მე მოვედი იმისათვის, რომ წავიდეთ ტაძარში და მადლობა შევწიროთ ღმერთს გადარჩენისათვის. მე ახლა მაცნობეს, რომ საშიშროება რეალურია. შეიძლება ამ საშიშროებამდე დარჩა სულ რამდენიმე წუთი...

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ფაქტობრივად, საქართველოს სულიერმა მამამ თავის მრევლს, საქართველოს ახალგაზრდებს შესთავაზა სწორედ ის, რასაც წმინდა მეფე თამარი აკეთებდა დიდი შეტაკებების წინ – ჯარი მიჰყავდა ტაძარში სალოცავად და უფლის სადიდებლად, რომ უფალს მოეტანა დიდი გამარჯვება. ამის შესახებ ხომ არაერთხელ გააფრთხილა, შეახსენა მისმა უწმინდესობამ საქართველოს საზოგადოებას (ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი), მაგრამ „ჭირვეული მრევლი“ არ დაემორჩილა ერის სულიერი მამის ბრძნულ მოწოდებას და დარჩა ადგილზე, ბედისწერასთან მარტო. იქნებ ამაშია ის მთავარი დიდი შეცდომა, რამაც საქართველოს გზა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ ასეთი სისხლიანი გახადა?

ილია II 9 აპრილის მიტინგზე

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა... სულ უფრო ძლიერდებოდა პროსპექტზე მომავალი ტანკების გრიალი. სწორედ ამ დრამატულ მომენტში მიკროფონში აჟღერდა უსინათლო გოგონების (ზაირა გელაშვილის, თინა ბირკაძის, დონარა ცხადიაშვილის) მიერ საოცარი გრძნობით შესრულებული ხალხური სიმღერა „დაუკარით...!“. ამ პატრიოტულმა შეძახილმა გული გაუთბო მიტინგზე მყოფ ქართველობას, მხნეობა შესძინა...

მომიტინგეები რუსთაველის გამზირზე მომავალ ტანკებს ჯოხებით წინ აღუდგნენ. ჯარისკაცებს ხელში ალესილი სადესანტო ბარები და ხელკეტები ეკავათ. ისინი იყენებდნენ უხეშ ფიზიკურ ძალას მათზე, ვინც წინააღმდეგობას უწევდა – მათ იქვე ჩეხდნენ, ამახინჯებდნენ. სამხედროებმა მიტინგის დასაშლელად გამოიყენეს უცნობი გაზის ჭავლიც, რამაც ძალიან ბევრი დააზიანა. მიტინგის დაშლის დროს დაიღუპა 16 კაცი – მხოლოდ ქალები და გოგონები. შემდეგ დღეებშიც იყო ადამიანური მსხვერპლი...

საქართველოში საერთო-სახალხო გლოვა დაიწყო...

თბილისში მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოფრინდნენ ე. შევარდნაძე და ვ. რაზუმოვსკი. მათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში, ქართველ ინტელიგენციასთან შეხვედრისას, სცადეს ვითარების განმუხტვა, მოუსმინეს ჯ. პატიაშვილს, გააანალიზეს შექმნილი ვითარება.

„რა დასკვნებამდე მიმიყვანა მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა ადგილზე გაცნობამ?

ჯერ ერთი, მომიტინგეთა რიცხვი და შემადგენლობა, რომელთა შორის ბევრი ქალი და მოზარდი იყო, სრულებით გამორიცხავდა მიტინგის დაშლისთვის ძალის გამოყენების რამენაირ აუცილებლობას.

მეორე, „გამოდევნების ძალებმა“ გამოიყენეს საშუალებები, რომლებიც დაუშვებელია ასეთ შემთხვევებში.

მესამე, ამაზე პასუხისმგებელი პირები თბილისში ჩემი ყოფნისას მალავდნენ ქიმიური საშუალებების გამოყენების ფაქტს და სარწმუნო მხილებათა გა-

მო მხოლოდ მერვე დღეს გახდნენ იძულებული ედიარებინათ ეს, თან განაცხადეს, რომ საბრძოლო წყობაში „ასეთი საშუალებების არსებობა არ იცოდნენ“.

მეოთხე, ოპერაციის წარმმართველმა გენერალმა დაარღვია მიღებული ბრძანება, რომელიც მას ავალებდა ზოგი ობიექტის დაცვას და არა ძალით მიტინგის გარეკვას.

მეხუთე, ადგილობრივ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღოთ სამხედრო ზომების შესახებ, ის თავდაცვის სამინისტროს სანქციის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, ამიტომ, რაც მოხდა, ამაში მხოლოდ ადგილობრივი ხელმძღვანელობის დადანაშაულება უმართებულოა“

ე. ა. შევარდნაძე
„ჩემი არჩევანი დემოკრატიისა და თავისუფლების
დასაცავად“ (ამონარიდი)

14 აპრილს შეიკრიბა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მან დააკმაყოფილა საქართველოს კპ ცეკას პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის თხოვნა გადადგომის შესახებ. თანამდებობა დატოვეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ო. ჩერქეზიამ და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ზ. ჩხეიძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს გივი გუმბარიძე, რომელიც მანამდე საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

თავი X. გივი გუმბარიძე

გ. გუმბარიძე

აგონია. საქართველოში დაიწყო ბოლო კომუნისტი ხელმძღვანელის მმართველობის უღიმღამო დღეები. 9 აპრილის ტრაგედიამ კრიზისული მოვლენები კომუნისტურ პარტიაში საგრძნობლად გააძლიერა – იყო პარტიული ბილეთების დემონსტრაციულად გადაყრის, დახევისა თუ დაწვის ფაქტები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ ხელმძღვანელს არც ნებისყოფა, არც გამბედაობა და, როგორც ჩანს, აღარც სურვილი ჰქონდა სათავეში ჩასდგომოდა 400 000 კაციან ორგანიზაციას და მათი საშუალებით განემუხტა უაღრესად დაძაბული ვითარება ქვეყანაში.

„გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე, დაბადებული 1945 წლის 22 მარტს თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობით „რუსული ფილოლოგია“. 1968 წლიდან მუშობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1969 წლიდან იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანაშემწე. 1972 წელს შევიდა სკკ პარტიის რიგებში, ხუთი წლის შემდეგ გადავიდა პარტიულ სამუშაოზე. 1977-1983 წელს მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში (ინსტრუქტორად, სექტორის გამგედ, ცკ-ას ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ). 1983 წლიდან – საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანია. 1985-1988 წლებში – საქ. კპ ცკ ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგეა. 1988 წლიდან – საქ. კპ თბილისი საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1988 წლის დეკემბრიდან 1989 წლის აპრილამდე იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.“

ვიკიპედია (ამონარიდი)

მართლაც, ურთულესი პერიოდი დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცხოვრებაში – ის თანდათან, მაგრამ აშკარად, კარგავდა ძალაუფლებას და მთელ ამ პროცესს კი უნარიანად ხელმძღვანელობდა გ. გ. გუმბარიძე...

15 აპრილს დაკრძალეს დარბევის დროს ტრაგიკულად დაღუპულები. სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II პარაკლისი გადაიხადა. სამგლოვიარო მიტინგები დედაქალაქის სხვადასხვა რაიონშიც გაიმართა. საქართველოში მომრავლდა წვერმოშვებული ახალგაზრდების რიცხვი, თბილისში ხეები სამგლოვიარო სტრიქონებით შეიმოსა. საქართველოში გლოვა საყოველთაო იყო....

ტრაგედიის შემდეგ პირველსავე დღეებში რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს (მინისტრი ი. მენაღარაშვილი) საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს დახმარებისთვის მიმართა ასეულობით მოქალაქემ, მათ შორის მოწამლული იყო 66, ბასრი და ბლაგვი საგნებით მიყენებული

მძიმე ჭრილობა ჰქონდა – 24 კაცს, თავის ტრავმული დაზიანება აღენიშნა 67 კაცს.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა შეეცადა შეესუსტებინა თბილისის ტრაგედიის საერთაშორისო რეზონანსი, „ტაასის“ კომენტარები დეზინფორმაციული და არაფრისმთქმელი იყო. მაგრამ მსოფლიომ მაინც გაიგო სიმართლე – როგორც საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით (კინოდოკუმენტალისტ გ. ხაინდრავას გადაღებული კადრები და სხვ.), ისე რუსეთის დემოკრატიული ორიენტაციის მქონე ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველთა (ა. სახაროვი, ი. როსტი და სხვ.) საშუალებით. თბილისში მოვლენების გასარკვევად ჩამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უკვე ოპოზიციურად განწყობილი ბ. ელცინი, აკადემიკოსი ა. სახაროვი და სხვ.

ა.სობჩაკი

1989 წლის 25 მაისს მოსკოვში შეიკრიბა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობა. საქართველოს დეპუტაციამ (ე. შენგელიამ, თ. გამყრელიძემ, ჯ. პატიაშვილმა, ვ. ადვაძემ, თ. ბუაჩიძემ, ა. ბაქრაძემ და სხვ.) მოითხოვა თბილისის ტრაგიკულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის საკითხის ყრილობის დღის წესრიგში შეტანა. მათი მამხილებელი გამოსვლები ხელს უწყობდა ტრაგიკულ მოვლენებზე ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას, მაგრამ ყრილობის „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ სათანადოდ არ რეაგირებდა ქართველი დეპუტაციის გამოსვლებზე.

ყრილობაზე შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა და გამოეტანა ვერდიქტი, თუ რა მოხდა თბილისში 1989 წლის 9 აპრილს. მას სათავეში ჩაუდგა უფლებადამცველი და იმჟამად ძალიან დიდი ავტორიტეტის მქონე დეპუტატი, ლენინგრადელი ანატოლი სობჩაკი. კომისიამ დოკუმენტურად შეისწავლა და მსოფლიო საზოგადოებას წარუდგინა რუსეთის სადამსჯელო ექსცესის სრული სურათი და სამარცხვინო ბოძზე გააკრა მისი ინიციატორ-შემსრულებლები.

„სხვათა შორის, რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა 1905 წლის იანვარში გაცილებით უფრო ერთსულოვნად და მტკიცედ დაგმო სისხლიანი კვირის ამბები, ვიდრე ჩვენმა საზოგადოებრივმა აზრმა (თუ პრესის პუბლიკაციებით, რადიოსა და ტელევიზიის გამოსვლებით ვიმსჯელებთ) მოახდინა რეაგირება 1989 წლის აპრილში მომხდარ თბილისის ამბებზე...“

ა.ა. სობჩაკი
«Тбилисский излом, или, Кровавое воскрисенье 1989 года», стр. 221.
(ამონარიდი)

9 აპრილის ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში ძალიან დიდია: 1. მან ცხადყო საბჭოთა სისტემის აგონია და საბოლოო კრახი, განაპირობა ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის პროცესის მოახლოება; 2. წარმოუდგენლად გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებე-

ლი მოძრაობა; 3. უზრუნველყო „დესოვეტიზაციის“ პროცესის დასასრული საქართველოში.

მაგრამ იყო „მედლის მეორე მხარეც“: 1. მოხდა სისხლიანი დაპირისპირება ქართველ პატრიოტებსა და რუს სამხედროებს შორის; 2. საქართველო სამხრეთ კავკასიაში მარტო დარჩა; 3. ეს კარგად „შეიგრძნეს“ საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლმა ფარულმა თუ აშკარა მტრებმა და თავისთვის მეტად სასარგებლო დასკვნები გამოიტანეს.

9 აპრილის შემდეგ საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება ფიქციად გადაიქცა – მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მიმდინარეობდა პარტიის რაიკომების მდივნების კაბინეტების აჭედვის, რაიკომებში შეჭრის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების შტაბ-ბინების დაკავების, დარბევის შემთხვევები. ადგილი ჰქონდა თვით საქართველოს უშიშროების კომიტეტის ცენტრალურ ოფისში წარმატებული შეჭრის ფაქტსაც, რომლის დროს, როგორც შემდეგ ამტკიცებდნენ, „განადგურდა რამდენიმე საიდუმლო ყუთი“.

9 აპრილის შემდეგ თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქებში თითქმის ყოველდღე იმართებოდა საპროტესტო მიტინგები, რესპუბლიკის ეკონომიკური ცხოვრება თითქმის გაჩერდა, ყველა დისკუტირებდა, აკრიტიკებდა, ანგრევდა, აცამტვერებდა...

ულტრარადიკალები ნაციონალისტურ იდეოლოგიას ავრცელებდნენ: მიტინგებზე ძალიან ხშირად ისმოდა საბჭოთა მთავრობის კრიტიკა თავის დროზე საქართველოში ავტონომიური ერთეულების შექმნის გამო, იყო მათი გაუქმების, საქართველოში უნიტარული სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბების მოწოდებებიც. ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ საზღვრისპირა რეგიონებში არაქართული ეთნოსების ეკონომიკურ აქტივიზაციასთან დაკავშირებით, გამოითქმოდა ვარაუდი არაქართველებზე მიწების მიყიდვის მიზანშეწონილობის შესახებ და ა.შ.

ეს მარადიული ნაციონალური საკითხი! საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული წარმომადგენლის აშკარად შოვინისტური რიტორიკა ჩინებულად გამოიყენეს კრემლმა და მისმა საიდუმლო სამსახურებმა საქართველოში ეთნიკური დაძაბულობის შესაქმნელად. მათ საქართველოში მოსახლე ყველა ეთნიკურ ჯგუფში თავისი ერთგული კადრი ჰყავდათ და ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ძალიან მალე დაუპირისპირდა აფხაზების, ოსების, აზერბაიჯანელების, სომხების „ეროვნულ-განმათავისუფლებელი“ ძლიერი იმპულსები, რაც ასევე მიტინგებზე, მსვლელობებზე და ზოგჯერ ქართველებთან აშკარად შეჯახებაშიც გამოვლინდა.

საქართველოში დიდი რეზონანსი გამოიწვია უზბეკეთში, საქართველოდან 1944 წელს გასახლებული, მაჰმადიანი ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ, შეუწყნარებლობამ და სასტიკმა დარბევამ. 1989 წლის მაისში ფერგანის ოლქში ჩასახლებულ მესხეთელ მაჰმადიანებს თავს დაესხნენ და სახლები გადაუწვეს ადგილობრივმა ულტრანაციონალისტებმა. საქართველოდან გასახლებულები მოითხოვდნენ მშობლიურ ადგილებზე დაბრუნებას და თურქეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე განსახლებას.

საქართველოში გამოჩნდნენ პოლიტიკური ძალები (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და სხვ.), რომლებიც ცდილობდნენ ეს მოთხოვნები გაეთვალისწინებინათ და მოენახათ გამოსავალი. ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯებიც. სამაგიეროდ ამ რეპატრიაციის წინააღმდეგი აღმოჩნდნენ თვით მესხეთში, როგორც ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობა, ისე იქ მოგვიანებით ჩასახლებული მაცხოვრებლები. ეს პრობლემა დროში გაიწელა.

1989 წლის 24 ივნისს მარნეულის ცენტრში შეიკრიბა აზერბაიჯანელი ეთნოსის ათიათასი წარმომადგენელი, რომლებმაც თბილისს სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს: ისინი ითხოვდნენ ქვემო ქართლში აზერბაიჯანული ავტონომიის შექმნას, მის ცენტრად ქალაქ რუსთავის გამოცხადებას, რეგიონში ქართული ადმინისტრაციის აზერბაიჯანულით ჩანაცვლებას, რეგიონში ჩამოსახლებული ეკომიგრანტების – სვანების დაუყოვნებლივ გასახლებას და ა.შ. მდგომარეობა დროებით განმუხტეს.

კვლავ დაიძაბა ვითარება აფხაზეთში. მოსკოვში საბჭოების ყრილობაზე აფხაზების წარმომადგენელი ვლ. არძინბა თავის გამოსვლებში თავისი ტენდენციური, ანტიქართული გამოსვლებით ძალიან აღიზიანებდა უშუალოდ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს. სამწუხაროდ, ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ, მისმა იმჟამინდელმა ლიდერებმა ვერ მოახერხეს კონსტრუქციული დიალოგი და ერთიანობა აფხაზების პროგრესულ, ზომიერ, არააგრესიულ ძალებთან. ამის მცდელობა იყო „ილია ჭავჭავაძის სახ. ორგანიზაციის“ მხრიდან, თუმცა უშედეგოდ. ამით კი ისარგებლა აფხაზთა ეთნოკრატიის აგრესიულმა ნაწილმა და სადაც ეს შესაძლებელი იყო, ქართველებს აუტანელი ვითარება შეუქმნა.

ძლიერ დაიძაბა მდგომარეობა სოხუმის უნივერსიტეტში – ადგილობრივმა ქართველმა პროფესურამ და სტუდენტებმა აფხაზებთან პერმანენტულ დაპირისპირებას ცალკე გამოყოფა ამჯობინეს. შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა აფხაზი სეპარატისტები და მათ ქალაქში რამდენიმე პროვოკაცია მოაწყვეს. სოხუმის ქართული საზოგადოება აქტიურად ჩაება საპროტესტო მოძრაობაში, მათ გამოაცხადეს გაფიცვა.

აფხაზმა ექსტრემისტებმა ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლების წაყრუებით და მოაწყვეს სოხუმის ზოგიერთი ორგანიზაციის, მათ შორის სოხუმის №1 სკოლაში შეხიზნული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის რბევა. ვითარება უმართავი გახდა. თბილისის ცენტრალური მთავრობა სიცოცხლის ნიშნებს აღარ ავლენდა. 16 ივლისს სოხუმის შესასვლელთან, გუმისთას ხიდთან მოხდა შეტაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის. შეტაკებები მოხდა სხვა ადგილებშიც. იყო მსხვერპლიც. მღელვარება შეიმჩნეოდა გულრიფშში, ოჩამჩირეში, გალში.

აფხაზი სეპარატისტები სარგებლობდნენ დაუსჯელობის სინდრომით და ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ. მათ 25-26 აგვისტოს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაუკითხავად, სოხუმში შეკრიბეს კავკასიის ხალხთა I ყრილობა, რომელშიც კავკასიის რესპუბლიკების არაფორმალური ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფაქტობრივად, ეს იყო ანტიქართული თავყრილობა. მისმა მონაწილეებმა მიიღეს

დადგენილება კავკასიის მთიელ ხალხთა სათათბიროს შექმნის შესახებ, რომელიც მოამზადებდა პირობებს კავკასიის მთიელი ხალხის ერთიანი სახელმწიფოს შესაქმნელად, ხოლო მის დედაქალაქად განისაზღვრა სოხუმი.

სიწყნარე არც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიმჩნეოდა. ქართველებზე განაწყენებულმა მოსკოვის უშიშროების სამსახურმა საოცარი ოსტატობით აამოქმედა „ოსური საკითხი“ საქართველოში. მოსკოვის კარნახით აქაც შეიქმნა არაფორმალური ნაციონალისტური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“, მოსკოველი იდეოლოგების წაქეზებით მათაც დაიწყეს იმის მტკიცება, რომ „სამხრეთ ოსეთი სტალინმა აჩუქა საქართველოს“, რომ „ოსები იტანჯებიან ქართველებისაგან“, რომ „მუდამ განიცდიდნენ ეროვნულ ჩაგვრას, ასიმილაციის მცდელობას“ და ა.შ. და ა.შ. აქაც მოსკოვმა საკმაოდ წარმატებით გაითამაშა მთიანი ყარაბაღის სცენარი...

საქართველოში, კრიზისის წინ, სულ 160 ათასი ოსი ცხოვრობდა (მთელი მოსახლეობის 3,2%), აქედან უშუალოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბინადრობდა მხოლოდ 65 ათასი ოსი, დანარჩენი იყვნენ ქართველები (28 ათასი კაცი), რუსები (2000 კაცი), სომხები (1000 კაცი) და სხვ. ამრიგად, საქართველოში ოსების ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 100 000 კაცი) ცხოვრობდა ქართლში, კახეთში, თბილისში და რესპუბლიკის სხვა რაიონებში ქართველებთან ერთად, ძალიან ახლო ნათესაურ თუ სამეზობლო ურთიერთობებში.

„მსოფლიო ისტორიაში ძნელია ორი სხვა მეზობელი ხალხის მოძებნა, რომლებიც ასე მჭიდროდ ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მოქმედებდნენ და აზროვნებდნენ ერთნაირი კატეგორიებით, როგორც ჩვენი ხალხები. ქვეყნის ვერც ერთ რეგიონში ვერ ნახავთ ისე ხშირ შერეულ ქორწინებებს, როგორც ქართველებსა და ოსებს შორის“

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. ჩიბიროვი
გაზ. „კომუნისტი“ 1989 წ. 22 ივნისი (ამონარიდი)

ლ. ჩიბიროვი

ეს, მართლაც, ასე იყო და საქართველოში მცხოვრები ოსების უმრავლესობისათვის, ვინც ავტონომიური ოლქის ფარგლებს მიღმა ცხოვრობდა ქართველებთან მჭიდრო კავშირში, მათ არ სჭირდებოდათ ქართველებთან ტრადიციული ეკონომიკური და ნათესაური ურთიერთობების გაწყვეტა, ამ ურთიერთობაში გაუგებრობების შეტანა, გამოგონილი საბაბით დაძაბულობის ესკალაციის გამწვავება. ამრიგად, ვინც საქართველოში „ოსთა საკითხის“ გაღვივება გადაწყვიტა (იქნებოდა ეს მოსკოვში, თბილისში თუ ცხინვალში), ის, უპირველეს ყოვლისა, 100 000 ოსის, მისი ოჯახის წევრების, მათი შთამომავლობის წინააღმდეგ პროვოკაციულ თამაშს იწყებდა, რადგან როგორც აზერბაიჯანში გასწირეს ერთი მუჭა სომხებისათვის, თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანის ბედი, ისევე 60 ათასი ოსის ადგილობრივი

ეთნოკრატიის ფსევდოინტერესებს შეეწირა საქართველოში მცხოვრები ოსების დიდი ნაწილის მომავალი.

აქაც, როგორც სტეფანოკერტში, სამხრეთ ოსეთის აო საოლქო საბჭოს სესიამ, თბილისთან შეუთანხმებლად, „ადამონ ნიხასის“ (ალბათ უფრო მოსკოვის სპეცსამსახურების) დავალებით გადაწყვიტეს მიემართათ თბილისისათვის მოთხოვნით – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი შეეცვალათ და ის უნდა გამხდარიყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. დაიწყო საუბარი ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებაზე რუსეთის ფედერაციის ფარგლებში და მიმართავდნენ სხვა ინსინუაციებსაც. ამავე პერიოდში ოსეთის არაფორომალური ორგანიზაციები, საქართველოში დისლოცირებული საკავშირო ჯარის ნაწილების ხელმძღვანელებთან გარიგებით, ქმნიდნენ თავის ფარულ საბრძოლო შენაერთებსაც. ცხინვალის რეგიონში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობისათვის შეიქმნა გაუსაძლისი ვითარება.

1989 წლის 23 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ გადაწყვიტა ცხინვალში ჩაეყვანა დაახლოებით 50 ათასი მომიტინგე, რომლებიც რეგიონში ქართველების უფლებების შელახვას გააპროტესტებდნენ. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება წინააღმდეგი იყო ამ აქციის – შიშობდნენ არ გამეორებულიყო აფხაზეთის სცენარი. მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი რამ: ქართველები საქართველოს ქალაქში არ შეუშვეს. „ადამონ ნიხასი“ ქართველი მომიტინგეების დარბევით იმუქრებოდა. მიტინგის ორგანიზატორებმა ვითარება აღარ გაამწვავეს და უკან გამობრუნდნენ. ეს ქართველების მორალური მარცხი იყო. ამან გაათამამა და წაახალისა ოსი სეპარატისტები.

საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვითარებიდან გამოსავალი იმაში მონახა, რომ 1990 წლის 25 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები დანიშნა.

„არც ახალ ღვინოს ჩაასხამენ ძველ ტიკებში...“ (მათე 9:17). საქართველოში შეიქმნა წარმოუდგენლად რთული ვითარება. ის კიდევ უფრო გაართულა 1989 წლის ოქტომბერში მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენამ, რომელმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ზომიერი ფრთის ლიდერები დააკარგვინა. ქუთაისიდან თბილისში მომავალ ავტომანქანას, რომელსაც თამარ ჩხეიძე მართავდა და სადაც მასთან ერთად მ. კოსტავა და ზ. ჭავჭავაძე იმყოფებოდნენ, მძიმე ავარია შეემთხვა. მ. კოსტავა ადგილზევე გარდაიცვალა, ზ. ჭავჭავაძემ კიდევ რამდენიმე კვირა იცოცხლა. თ. ჩხეიძე, ავადმყოფობის გამო, დიდი ხნით გამოეთიშა პოლიტიკურ საქმიანობას.

1989 წლის 21 ოქტომბერს, მერაბ კოსტავა უმაღლესი სამხედრო პატივით და ეროვნული ტრადიციების სრული დაცვით დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში. ზ. ჭავჭავაძე 25 დეკემბერს გარდაიცვალა. თბილისში დაირხა ხმები ამ ტრაგიკული შემთხვევის პოლიტიკური გამიზნულობის შესახებ, აყალიბებდნენ ახალ ვერსიებს, ხედავდნენ „კგბ“-ს კვალსაც, შეთქმულებასაც და ა.შ. ფაქტი ერთია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზომიერმა, გაწონასწორებულმა ნაწილმა დაკარგა თვალსაჩინო ლიდერები.

ყველა ელოდა, რომ შიდაპოლიტიკური ვითარების განმუხტვას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მით უფრო ასეთი ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, ერთობლივი ძალისხმევით შეეცდებოდა და მონახავდნენ საკუთარ თავში ძალას და ნებისყოფას, რომ საქართველო ასეთი ურთულესი პოლიტიკური კრიზისიდან რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოეყვანათ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

დაიწყო ეროვნული მიმართულების წარმოუდგენლად ბევრი პარტიისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ბევრ მათგანს საკუთარი შეიარაღებული ჯგუფებიც ჰყავდა. დაახლოებით 80 პარტია და ორგანიზაცია ცდილობდა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი საკუთარი გზის მონახვას და საზოგადოებისათვის შეთავაზებას. ეს „პლურალიზმი“ პატარა საქართველოში დიდი საფრთხის შემცველი იყო.

„ყოველი ქართველი – ეს თავისთავადი სახელმწიფოა, თითოეულია მეფე. მას არ შეუძლია დაემორჩილოს სხვას. სწორედ ამან გადაარჩინა საქართველო სრულ მონობას, მისი დამორჩილება არასოდეს ხერხდებოდა, რადგან საამისოდ საჭირო იყო ყველა მათგანის ამოწყვეტა. მეორე მხრივ, სწორედ ეს ღუპავდა საქართველოს, როგორც ერთიან სახელმწიფოს...“

მერაბ მამარდაშვილი

მ. მამარდაშვილი

მერაბ მამარდაშვილს სერიოზულად გაურთულდა ურთიერთობა ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის ლიდერებთან, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიასთან. მას ვერ პატიობდნენ ცნობილ გამოთქმას: „ჭეშმარიტება სამშობლოზე ძვირფასია“ და ყველანაირად ცდილობდნენ მის დისკრედიტაციას. პოლიტიკური პროცესებისაგან მისი მოკვეთით, ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ, ფაქტობრივად, დაასრულა საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდ უმრავლესობასთან თანამშრომლობა. მან ისინი „წითელ პროფესურად“ გამოაცხადა.

მაგრამ ამან ვერ გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, პირიქით, დაიწყო დეზინტეგრაციული პროცესები. მისი გამომწვევი მიზეზები ჯერ კიდევ ბოლომდე შესწავლილი არ არის, მაგრამ შედეგები დამაფიქრებელია.

1990 წლის 13-15 მარტს, თბილისში ჩატარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. აქ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი პრინციპული აქსიომა: 1. საქართველოს უნდა განსაზღვროდა ოკუპირებული ქვეყნის სტატუსი; 2. 1990 წლის 25 მარტის უზენაესი საბჭოს არჩევნებს უცხადებდნენ ბოიკოტს; 3. პარტი-

ულ საწყისებზე შეიქმნებოდა ეროვნული ფორუმი; 4. ყველა შეიარაღებულ ძალას უნდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და ა.შ.

ამ რეზოლუციას ხელი ყველა დამსწრე პოლიტიკური პარტიის ლიდერმა მოაწერა. ამან ძალიან შეაშფოთა საქართველოს კომუნისტური ხელმძღვანელობა და მათ არჩევნების თარიღი გადასწიეს – ის დაინიშნა 1990 წლის 25 ოქტომბერს. ვარაუდობდნენ ამით გარკვეული დრო მოეგოთ.

„მავანთა“ ხელშეწყობით, ვითარება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში კიდევ უფრო დაიძაბა. მოხდა ისე, რომ 1990 წლის 7 მაისს საქართველოს ჰელსინკის კავშირმა (ზ. გამსახურდია), მერაბ კოსტავას საზოგადოებამ (ვ. ადამია), ტრადიციონალისტებმა (ა. ასათიანი) და სხვა ორგანიზაციებმა მიატოვეს ფორუმი და შექმნეს ე.წ. „მრგვალი მაგიდა“, რომლის სახელითაც გამოქვეყნდა პოლიტიკური კონცეფცია.

„საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადება უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით, საყოველთაო, მრავალპარტიული, შეუზღუდავი, დემოკრატიული არჩევნების საშუალებით. კონცეფციას, ჯერჯერობით გამართლებულად არ მიაჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადება. ეს უნდა მომხდარიყო გარდამავალი პერიოდის შემდეგ...“

„მრგვალი მაგიდა“
გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“.1990 წ. №30

ეს აშკარად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალიან დიდ ნაწილთან არა მარტო იდეოლოგიური, არამედ პრაქტიკული ურთიერთობის გაწყვეტის ტოლფასი იყო – თუ აღიარებ, რომ ქვეყანა უკანონოდ არის ოკუპირებული რუსული სამხედრო ძალის მიერ, რომელმაც თავს მოგახვია საბჭოთა სისტემა, კომუნისტური ურთიერთობები და ეს ყველაფერი უცხოა და არ არის ორგანული საქართველოსთვის, მაშინ მისი პოლიტიკური სისტემის მთავარი გამოხატულება – საბჭოები, როგორც სახელმწიფო მმართვის ფორმა, ასევე მიუღებელი და აუცილებლად შესაცვლელი უნდა იყოს. ამ, კონფერენციის მიერ მიღებული ძირითადი პოსტულატის მიმართ შეხედულების ასე სწრაფი შეცვლა – გარდამავალ პერიოდზე, მშვიდობიან „დესოვეტიზაციაზე“ კომუნისტებთან ერთად საუბარი უზენაესი საბჭოს ტრიბუნიდან – ეროვნულ-პატრიოტული ძალების მეორე ნაწილისათვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა და ვარაუდობდნენ, რომ „მრგვალი მაგიდის“ ხელმძღვანელობაზე, ვისთანაც კი მათ ეს შეეძლოთ, საბჭოთა საიდუმლო ორგანოებმა აამოქმედეს თავისი „ბერკეტები“.

აქედან გამომდინარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფორუმში დარჩენილი ნაწილი მთლიანად გაემიჯნა ზ. გამსახურდიას ამ კონცეფციას და გადაწყვიტეს, რომ ახალი ღვინო ჩაესხათ ახალ ტიკებში, 1990 წლის 25 მაისს ეროვნულ ყრილობაზე გადაწყდა „ეროვნული კონგრესის“ – როგორც დამოუკიდებელი საქართველოს გამოსაცხადებლად აუცილებლად საჭირო და მისი ეკონომიკური თუ სოციალური ფუნდამენტის ასაშენებლად ახალი, განსხვავებული წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა. მისი არჩევნები დაინიშნა 30 სექტემბერს.

ამრიგად, საქართველოში, პარალელურად მიმდინარეობდა ორი პროცესი – „უზენაესი საბჭოსა“ და „ეროვნული კონგრესის“ არჩევნებისათვის მზადება. საქართველოს მოსახლეობას მოუხდა აერჩია ორი კონცეფცია – ევოლუციური პროცესი (ზ. გამსახურდია და მისი ჯგუფი კომუნისტებთან ერთად) და რევოლუციური განვითარება (ეროვნული კონგრესის მომხრე პოლიტიკური ძალები). 400 000 კომუნისტს და 800 000 კომკავშირელს, მათი ოჯახის წევრებს, უდავოდ, ევოლუციური პროცესები აწყობდათ, რომ არ დაეკარგათ ის, რაც ჯერ კიდევ ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, რადგან სხვა გზა არ არსებობდა, მათ „ნაკლები ბოროტება“ არჩიეს და მხარი დაუჭირეს ზ. გამსახურდიას პოლიტიკურ დაჯგუფებას. მათ საშინლად ეშინოდათ ულტრარადიკალების ანტიკომუნისტური რიტორიკის.

ეროვნული ყრილობის დადგენილების შესასრულებლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, რადიკალური ნაწილის მიერ დაიწყო დიდი წინასაარჩევნო საქმიანობა, ელექტორატთან შეხვედრები, აგიტაცია-პროპაგანდა. საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები ყოველნაირ წინააღმდეგობას უწევდნენ ამ არჩევნებს, მაგრამ „ეროვნული კონგრესი“ მაინც აირჩიეს.

პარალელურად მიმდინარეობდა უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს: საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, ბლოკმა „თავისუფლება“, „საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ“, „საქართველოს სახალხო ფრონტმა“, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, საქართველოს სახალხო პარტიამ, პოლიტიკურმა გაერთიანებამ „თანხმობა“ და სხვ.

ბევრი ექსპერტი დღესაც თვლის, რომ უზენაესი საბჭოს ეს არჩევნები იყო მრავალპარტიული, თავისუფალი გამოხატულება საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებების, ამიტომაც ის ლეგიტიმურია. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ: 1. ეს არჩევნები მოხდა ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების არსებობის პირობებში; 2. ის ჩატარდა ჯერ კიდევ ოკუპირებულ საქართველოში; 3. ჩატარდა საბჭოთა საარჩევნო ადმინისტრაციის დახმარებით, აქედან გამომდინარე, ყველა შუქ-ჩრდილებით; 4. და, რაც მთავარია, ეს არჩევნები იყო **„უზენაესი საბჭოს“** არჩევნები – ანუ, ეროვნული მოძრაობის ერთი ჯგუფი შეეცადა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის რუნდიმენტში („ძველ ტიკში“), ჩაესხა „ახალი ღვინო“, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მიეღწია საბჭოების საშუალებით.

არჩევნების პროცესში საქართველოს კომუნისტების ლიდერმა გ. გუმბარიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ მისი პარტია არ ჩაატარებს საარჩევნო შეხვედრებს, არ გასწევს პროპაგანდას, აქტიურად არ აამოქმედებს თავის შესაძლებლობებს, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მთლიანად დაემორჩილება ქართველი ხალხის ნების თავისუფალ გამოხატულებას.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. მან უზენაეს საბჭოში მიიღო 155 მანდატი. კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 64, სახალხო ფრონტმა – 12, რუსთაველის საზოგადოებამ – 1, პოლიტიკურმა გაერთიანებამ „დემოკრატიული საქართველო“ – 4, ბლოკმა „განთავისუფ-

ლება და დემოკრატიული აღორძინება“ – მხოლოდ 1 მანდატი. უზენაეს საბჭოში 9 დამოუკიდებელი დეპუტატიც გავიდა.

ამრიგად, საქართველოში პარალელურად არსებობდა ორი წარმომადგენლობითი ორგანო – „ეროვნული კონგრესი“ და „უზენაესი საბჭო“ – ფაქტობრივად შეიქმნა ობიექტური საფუძველი სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირებისათვის...

1990 წლის 14 ნოემბერს, შეიკრიბა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია. მან მიიღო მიმართვები: „მსოფლიო ხალხებს“, „სრულიად საქართველოს“, „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფერენციას“.

„საქართველომ მოიპოვა შესაძლებლობა აერჩია ის გზა, რომელმაც იგი ევროპის ხალხების ოჯახში უნდა დააბრუნოს“

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია

სესიაზე შეიქმნა საქართველოს ახალი მთავრობა, მას სათავეში ჩაუდგა თენგიზ სიგუა. შეიცვალა საქართველოს სიმბოლიკა – აღდგა საქართველოს I რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა, ჰიმნი „დიდება“, სახელმწიფო გერბი – „თეთრი გიორგი“.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზ. გამსახურდიას ჰყავდა ორი მოადგილე: აკაკი ასათიანი და ნემო ბურჭულაძე. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა გ. ხოშტარია, განათლების – ლ. ანდღულაძე, ფინანსთა – გ. აბსნაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი – დ. ხაბულიანი, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის – ი. მენაღარაშვილი და სხვ.

მართალია, საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება კი დაემხო, მაგრამ საბჭოების ძალაუფლება – ჯერ კიდევ არა.

გივი გუმბარიძემ თანამდებობა დატოვა და მალე მოსკოვს გაემგზავრა...

„ბევრ ქართველს დღესაც ეჩვენება, რომ ჩვენ ყველაზე ლამაზები და ყველაზე უკეთესები ვართ. მაგრამ, სინამდვილეში, თანამედროვე სამყაროს გადმოსახედიდან, ჩვენ არც კი ვარსებობთ, რადგან ჩვენ არა გვაქვს მთავარი რამ – რეალური აღქმა იმისა, თუ რა ხდება თანამედროვე მსოფლიოში, რა დაემართა ჩვენს ჩვეულებს, ჩვენს კაპიტალს, ჩვენს კულტურას. ხოლო ეს ტრაბახი კი არავის არა სჭირდება. ყველაფერი ის, რაც იხლართება მსოფლიოში და თავზე მეხივით გვატყდება – წყდება პარიზში, ლონდონში, მსოფლიო განვითარების ცენტრებში. და ხანდახან, თუ კი ჩვენი ხმა ისმის სადმე, ესეც მხოლოდ კომედიის, ფარსის სახით. გზა მსოფლიოსკენ გადის სოფლის, პატარა ქალაქის, ანუ საქართველოს ადგილობრივი ცხოვრების ბილიკზე. სწორედ აქ არსებობს ის წერტილი, რომელშიც ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია ემპირიულად, კონკრეტულად, თუმცა, ჯერ კიდევ, არ ვიცით როგორ გავაკეთოთ ეს, რადგან არ არსებობს საერთო ფორმულა, როგორ კონკრეტულად, ემპირიულად აღვადგინოთ თავისუფალი მუშაობა. ხოლო თავისუფალი მუშაობა – ეს არის საფუძველი, წყარო საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა. სხვა გზა არ არსებობს...

მერაბ მამარდაშვილი

თავი XI. ზვიად გამსახურდია

ზ. გამსახურდია

დასაწყისი. თავისი საქმიანობის დაწყება საქართველოს უზენაეს საბჭოს ურთულეს ვითარებაში მოუწია – მსოფლიოში მოვლენები კალეიდოსკოპივით იცვლებოდა: საბჭოთა კავშირის პირველი პრეზიდენტის, მ. გორბაჩოვისა და მისი საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის იმჟამინდელი მოღვაწეობა დღეს, მართალია, ბევრ რუს ექსპერტში სერიოზულ ეჭვებს იწვევს და ზედმეტად თამამი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ, იმჟამად, სწორედ ეს პოლიტიკური ხაზი დასავლეთის ლიდერების წარმოუდგენელ აღფრთოვანებას აპირობებდა. მ. გორბაჩოვის ნების გამომხატველი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ხელს აწერდა ყველა იმ დოკუმენტს, რაც კი იმჟამად დასავლეთისთვის იყო მისაღები: უპირველეს ყოვლისა, მოხდა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაქრა პოლიტიკური რუკიდან. საბჭოთა მთავრობა დათანხმდა იმას, რომ გერმანიიდან თავისი საჯარისო კონტინგენტს მთლიანად გაიყვანდა (1989 წ.). ასევე ხელი მოეწერა ჟენევის შეთანხმებას, რომელიც ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანას და ავღანეთის საშინაო საქმეებში საბჭოთა კავშირის ჩაურევლობას ითვალისწინებდა (1988 წ.), დაიშალა ვარშავის სამხედრო ორგანიზაცია (1991 წ.), აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სატელიტი ერთიანად გადავიდა „ნატოს“ ქვეყნებთან პოლიტიკურ ალიანსში. მოხერხდა აშშ-თან ხელშეკრულების გაფორმება სხვადასხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხზე. იმჟამად ეს ყველაფერი ითვლებოდა უდიდეს დიპლომატიურ გამარჯვებებად, რამაც ე. შევარდნაძეს მსოფლიოში ძალიან დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა, თუმცა რუსი სამხედროები, გენერალიტეტი მისით ძალიან უკმაყოფილო იყვნენ და ამას არც მალავდნენ.

საგარეო პოლიტიკურმა წარმატებებმა ვერ გადაფარეს საბჭოთა ქვეყანაში შექმნილი ძალიან რთული სოციალური მდგომარეობა და დეზინტეგრაციის შეუქცევადი პროცესი. ამის შესაჩერებლად ბაქოში (1990 წ. იანვარი), ვილნიუსში (1991 წ.) პატრიოტული ძალების წინააღმდეგ მიმართული დამსჯელი ღონისძიებები კიდევ უფრო ამძაფრებდნენ ქვეყანაში არსებულ ვითარებას.

საბჭოთა ქვეყანაში საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა ისე გაუარესდა, რომ ცენტრალური ხელისუფლება უკვე ვეღარ აკონტროლებდა სიტუაციას, რაც იწვევდა ქვეყანაში კონსერვატული ელემენტების გაძლიერებას. ისინი უკვე საჯაროდ თავს ესხმოდნენ „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ გორბაჩოვისეულ პოლიტიკას, აღიზიანებდათ ყველაფერი რასაც საერთაშორისო სარბიელზე ე. შევარდნაძე მისი დასტურით აკეთებდა. 1990 წლის დასასრულს ეს ტენდენცია უკვე იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე დემონსტრაციულად გა-

დადგა – საბჭოთა კავშირის საბჭოების ყრილობის ტრიბუნაზე გამოსვლის დროს, 1990 წ. 20 დეკემბერს მან იწინასწარმეტყველა ახლო მომავალში სამხედრო გადატრიალებისა და დიქტატორული რეჟიმის დამყარების მცდელობა.

„...ახლოვდება დიქტატურა – ვაცხადებ ამას მთელი პასუხისმგებლობით. არავინ არ იცის როგორი იქნება ეს დიქტატურა, ვინ მოდის, ვინ არის ეს დიქტატორი და როგორი იქნება წესები... მე მინდა გავაკეთო შემდეგი განცხადება – მე უნდა გადავდგე. დაე ეს იყოს... ნუ რეაგირებთ და ნურც მაგინებთ, დაე ეს იყოს ჩემი წვლილი, თუ გინდათ – ჩემი პროტესტიც კი ამ დიქტატურის წინააღმდეგ...

ე.ა. შევარდნაძე
სსრკ უზენაესი საბჭოს IV ყრილობა (ვიდეოჩანაწერი),
1990 წ. 20 დეკემბერი (ამონარიდი).

ე. შევარდნაძე
თანამდებობიდან გადადგა

ეს სენსაციური განცხადება იყო. ამ გადაწყვეტილებამ ე. შევარდნაძე სწრაფად ჩააყენა დემოკრატიისათვის მებრძოლ მსოფლიო ლიდერების გამორჩეულ ჯგუფში, რამაც მისი ავტორიტეტი საზღვარგარეთ კიდევ უფრო გაზარდა. მაგრამ ამ ნაბიჯს უკვე არ შეეძლო შეეჩერებინა დეზინტეგრაციული პროცესები საბჭოთა კავშირში. ვითარება ქვეყანაში ყოველდღიურად უმართავი გახდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად კრემლის იდეოლოგებმა გააძლიერეს ზეწოლა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ეთნოკრატიაზე, რომ მათ მაქსიმალურად აემღვრიათ ვითარება საკუთარ რესპუბლიკებში. საქართველოში ამ ეტაპზე განსაკუთრებით გააქტიურდნენ ოსი სეპარატისტები – მათი „აგრესიის“ გაძლიერების ობიექტური საფუძველი ისიც იყო, რომ უკვე ექსპლოატაციაში შესული როკის სატრანსპორტო მაგისტრალი მათ შესაძლებლობას აძლევდა, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მიეღოთ მატერიალური და ადამიანური რესურსი ჩრდილო ოსეთიდან, რუსეთის ფედერაციისაგან.

ისარგებლეს რა საქართველოში უზენაესი საბჭოს არჩევნების მიმდინარეობით და ხელისუფლების რადიკალური შეცვლით, მათ უკვე 1990 წლის 20 სექტემბერს საოლქო საბჭოს პლენარულ სხდომაზე გააუქმეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და ის რესპუბლიკად გამოაცხადეს. ამის შემდეგ ცხინვალის რეგიონში ჩაატარეს არაკონსტიტუციური „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები“. ამ არჩევნებს ადგილობრივმა ქართველმა მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა და მიმართა თბილისის ხელისუფლებას, რომ

გულდასმით შეესწავლათ ოსი სეპარატისტების ძირგამომთხრელი საქმიანობა და მიეღოთ ადეკვატური გადაწყვეტილება.

ოსი სეპარატისტების ამ არაკონსტიტუციურ ქმედებებს საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს უპასუხა კანონით „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“. სესიაზე ამ გადაწყვეტილებას მხარი კომუნისტმა დეპუტატებმაც დაუჭირეს. ყოფილი ოლქის ზოგიერთი რაიონი გადანაწილდა შიდა ქართლის რაიონებს შორის. ზოგიერთი ექსპერტი დღესაც თვლის, რომ ეს გონივრული და ადეკვატური გადაწყვეტილება იყო. თუმცა მან უფრო ცუდი შედეგი მოიტანა, ვიდრე ამას მოელოდნენ.

საქართველოში ვითარება იმანაც გაართულა, რომ ახალ ხელმძღვანელობას სერიოზულად გაუუარესდა ურთიერთობა არსებულ „ეროვნულ კონგრესთან“ და განსაკუთრებით მის ზეგავლენაში მყოფ სამხედრო გაერთიანება „მხედრიონის“ ხელმძღვანელობასთან. ეს სამხედრო ფორმირება ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით შეიქმნა და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც უკვე ჰქონდა გადადგმული. ზ. გამსახურდიას ბრძანებით ამ სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჯ. იოსელიანი დააპატიმრეს, ხოლო სამხედრო ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადეს. ამ ფორმირების დაშლა განახორციელა საბჭოთა საჯარისო სტრუქტურის დახმარებით, რამაც ზ. გამსახურდიას ყოფილ მეგობრებს „ეროვნული კონგრესიდან“ კვლავ მისცა საფუძველი ზ. გამსახურდიას კრემლთან კავშირზე ალაპარაკებულიყვნენ.

ამასობაში, საქართველოს ახალი, ეროვნული ხელისუფლება ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით თანდათან გაეცნო ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და გარკვეული პოლიტიკური პლატფორმაც ჩამოაყალიბა.

„არიან საქართველოში გარკვეული ძალები, რომელთაც არ აწყობთ სტაბილური მდგომარეობა... მაგრამ, საბედნიეროდ, ისინი იმდენი არ არიან, რომ რეალური ზეგავლენა იქონიონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ხელისუფლების საქმიანობაზე... საბედნიეროდ საქმის ვითარება იმგვარია საბჭოთა კავშირში, რომ აქტიური ჩარევა, უხეში ჩარევა რესპუბლიკების შინაურ საქმეებში უკვე შეუძლებელი ხდება ცენტრისათვის... თუმცა, იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ჩვენ მთლიანად თავისუფალნი ვართ, მთლიანად დამოუკიდებელნი ვართ, განსაკუთრებით, ეკონომიკური თვალსაზრისით...

ზ. გამსახურდია
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 1 იანვარი

სამწუხაროდ, ზ. გამსახურდიას ზემოთ მოტანილი შეფასებებები არ აღმოჩნდა სწორი, რადგან ძალიან მალე გამოჩნდა, რომ მისი მოლოდინები არსებულ ობიექტურ ვითარებას არ ასახავდნენ. როგორც ისტორიამ დაამტკიცა, მისი შიდა ოპოზიციური ძალებიც საკმაოდ ძლიერნი იყვნენ, ხოლო მოსკოვმა, ცენტრმა ყველა შესაძლო ბერკეტი აამოქმედა საქართველოს წინააღმდეგ და მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია.

მოსკოვის პირველი ნაბიჯი იყო მ. გორბაჩოვის მიერ 1991 წლის 7 იანვარს გამოცემული ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებდა საქარ-

თველოში 1990 წლის დეკემბერში გამოცემული სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოსა და საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტების დენონსაციას. ზ. გამსახურდიას პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ეს მოსკოვის მიერ ქვეყნის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად შეაფასა (სულ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ხელისუფალი ამტკიცებდა, რომ მოსკოვს რესპუბლიკების შინაურ საქმეებში ჩარევა აღარ ხელეწიფებაო) და მისი შესრულება თავისთვის სავალდებულად არ ჩათვალა.



ჯ. იოსელიანი

ზუსტად ასევე მოიქცა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოც და არც ისინი დაემორჩილნენ არც მოსკოვის და არც თბილისის გადაწყვეტილებებს. დაიწყო რეგიონში ვითარების სერიოზული ესკალაცია.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მ. გორბაჩოვის აღნიშნული ბრძანებულება რეგიონში „სტატუს კვოს“ აღდგენას ითვალისწინებდა და კარგი დიპლომატიური გათვლებით მოხერხდებოდა ოსების ეთნოკრატიის პრეტენზიების შეკავება, ვითარების ესკალაციის თავიდან აცილება, ამ არასაჭირო კონფლიქტის გადავადება. სრულიად ადვილი შესაძლებელია მომხდარიყო საკავშირო კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპების გამოყენებით, უშუალოდ მოსკოვის დახმარებით, ოსი ექსტრემისტების განეიტრალება. მაგრამ მოხდა პირიქით...

10 იანვარს ზ. გამსახურდიას ხელმოწერით გამოქვეყნდა უზენაესი საბჭოს დადგენილება, რომელშიც დადასტურებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებების ურღვევობა, ხოლო მ. გორბაჩოვის ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის საქმეებში უხეშ ჩარევად“ ჩაითვალა.

შესაძლებელია, საქართველოს ინტერესებში უფრო იყო იმჟამად რეგიონში „სტატუს კვოს“ აღდგენა და ამ საქმის მოსკოვის ხელით გაკეთება, ვიდრე ქართულ-ოსური დაპირისპირების ესკალაცია?

საერთოდ არ ჩანდა მცდელობა მთავრობის მხრიდან, როგორმე ცხინვალის რეგიონში დაძაბული ურთიერთობის განსამუხტავად „სახალხო დიპლომატიის“ გამოყენებისა – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მაცხოვრებელი 100 000 ოსი მოქალაქე მდუმარედ უყურებდა თუ როგორ ანგრევდნენ ერთი მუჭა ოსი სეპარატისტები მათი ოჯახების კეთილდღეობას. პირიქით, თბილისში და ზოგიერთ სხვა რეგიონში დაიწყო ანტიოსური ისტერიაც კი. იყო სამსახურებიდან ოსების დათხოვნის, მათ მიმართ არაადეკვატური ქცევების გამოვლენის შემთხვევებიც. ძალიან ბევრი, თითქმის უკვე გაქართველებული ოსი აიყარა და რუსეთის ფედერაციაში გაიხიზნა. მიგრაცია დაიწყო ე.წ. „რუსულენოვანმა მოსახლეობამაც“.

რთული ეკონომიკური ცხოვრება. საქართველოში ეკონომიკური ნგრევა „გარდაქმნასთან“ ერთად დაიწყო – ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სოფლის მეურნეობას მ. გორბაჩოვის „მშრალმა კანონმა“, როცა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის საბა-

ბით მაქსიმუმამდე შეამცირეს სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელების წარმოება. ამან სერიოზულად დააზარალა საქართველოში მეღვინეობის დარგი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული მოძრაობის ძალიან ბევრ ლიდერს ზერელე წარმოდგენა ჰქონდა „საბაზრო ეკონომიკაზე“, მასზე გადასვლის შესაძლებლობებზე, კონკრეტული გეგმების რეალიზების თავისებურებებზე (ეს ნათლად დაადასტურა ამ ძალების მოსვლამ ხელისუფლებაში 1992 წლის შემდეგ.). ძალიან ხშირად გაიგონებდით მიტინგებზე, საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასებისას, ასეთ გაუაზრებელ შეძახილებს: „საქართველოს ბორჯომიც აცხოვრებსო!“. კონკრეტული პროექტები არავის ჰქონდა, ეროვნული მოძრაობის წამყვან ლიდერებს შორის სპეციალური ეკონომიკური განათლებით არავინ იყო. მათ გაგებული ჰქონდათ „საბაზრო ურთიერთობა“, „კერძო ინიციატივა“, „კერძო საკუთრება“, მაგრამ როგორ უნდა გადაეყვანათ საქართველოს ეკონომიკა ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციიდან მეორეზე, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით – ამის შესახებ მათ ბევრი არაფერი იცოდნენ.

ნ. ნათაძე

ამაზე კარგად მიუთითებს ის მეტად ზერელე, კონკრეტულობას მოკლებული ეკონომიკური პროგრამები, რაც საზოგადოებას წარუდგინეს საპრეზიდენტო არჩევნების დროს პრეზიდენტობის კანდიდატებმა.

„...4. მიწათმოქმედებისა და მიწათსარგებლობის ძირეული რეორგანიზაცია. იქ, სადაც არ არსებობს დამატებითი სირთულეები, საკარმიდამო და სამოსახლო ნაკვეთების დაუყოვნებლივ გაცემა და გაზრდა მაქსიმუმამდე, ხოლო დანარჩენი სავარგულების გაცემის წესის რეგულირებისათვის მიწის კანონმდებლობის სასწრაფოდ შემუშავება და მიღება.

5. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგილი მავნე ე.წ. საიჯარო ფორმებიდან, თავისუფალ, კერძო მიწათმფლობელობაზე გადასვლა და მისი სახელმწიფო ხელშეწყობა.

6. თავისუფალი კერძო მეწარმეობის დაუყოვნებლივ დაკანონება და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობის გარანტიები...

ნ. ნათაძე
საპრეზიდენტო პროგრამა (ამონარიდი)
გაზ. „საქართველო“, 1991 წ. 1 მაისი.

კიდევ უფრო ზოგადი შტრიხებით გამოირჩევა ზ. გამსახურდიას საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ბლოკი, სადაც ნათქვამია:

„საქართველოს ეკონომიკის აღორძინება თავისუფალი მეწარმეობის განვითარების გზით... აუცილებელია საქართველოში ოდითგანვე განვითარებული მემარცვლეობის ტრადიციის აღდგენა. მისი პროდუქცია უნდა გახდეს მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეალური საყრდენი და მეც-

ხოველეობის აღორძინების ბაზა. ამ ამოცანის გადაჭრა სოფლად საკუთრების ურთიერთობების შეცვლით არის შესაძლებელი. საქართველოში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნამ ქართველი გლეხი მოწყვიტა მიწას, შეაძულა მას შრომა, მოაშორა მშობლიურ ფესვებს...“

ზვიად გამსახურდია
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 22 მაისი.

უდავოდ, კონკრეტიკას მოკლებული ეკონომიკური პროგრამაა და მის რეალიზებას თვით პროგრამის ავტორიც არ ჩქარობდა: მას საშინლად ეშინოდა ეკონომიკაში განხორციელებულ რადიკალურ რეფორმებს კიდევ უფრო არ გაეუარესებინა სოციალური ფონი ქვეყანაში და არ მომხდარიყო მოსახლეობის უკმაყოფილების ესკალაცია. ის არ ჩქარობდა არც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლას, არც კოოპერატივების შექმნას და არც კერძო საბანკო სტრუქტურების ჩამოყალიბებას.

ეკონომიკის გარდაქმნის რეალური გეგმა არა ჰქონდა არც პაატა კოღუაშვილს, პროფესიონალ ეკონომისტს, რომელიც საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი იყო – ზ. გამსახურდიას დამხობისა და ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ის რამდენიმე ხნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა და რეალური წინსვლის მიღწევა ეკონომიკაში მანაც ვერ მოახერხა.

სამაგიეროდ, ძალიან ადვილად მოხდა უკვე საკმაოდ შელახული საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ნგრევის შემდგომი გაძლიერება. უზენაესი საბჭოს კულუარებში ჩაითვალა, რომ მოსკოვის ანტიქართული საქმიანობის შეჩერებას შეძლებდა სატრანსპორტო მაგისტრალების ტოტალური ბლოკადა, მრეწველობის ლოკდაუნი – მასობრივი გაფიცვები, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საპროტესტო მიტინგები.

„...შეაჩერეს მუშაობა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ტრანსპორტმა. ასე აღინიშნა საერთო-რესპუბლიკური საპროტესტო აქცია, რომლის მოწყობის ინიციატორად გამოვიდა საქართველოს დემოკრატიული პროფკავშირების კონფედერაციასთან შექმნილი საგაფიცვო ჯგუფი...“

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 27 აპრილი.

სახელმწიფოს წახალისებით, თბილისიდან გაგზავნილი ემისრები საქართველოს ქალაქებსა და დაბებში აწყობდნენ სატრანსპორტო კოლაფსს, რუსეთის ფედერაციისაკენ არ ატარებდნენ მატარებლებს (მათ შორის სატრანზიტო შემადგენლობებსაც სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან), ფუშავდნენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას და ა.შ. ეს ითვლებოდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ ომად.

„23 აპრილს, თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის“ 500 მუშა-მოსამსახურიდან სამუშაოზე არცერთი არ გამოსულა... გაფიცვა 29 აპრილამდე გასტანს... ზუგდიდში შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი. პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ საპროტესტო აქციას – მიმართულს კრემლის პოლიტიკის წინააღმდეგ... მხარი დაუჭირეს ზუგდიდის საწარმოო დაწესებულებებმა... „საქქაღალდმრეწვმა“, ფაიფურის და მანქანათმშენებელ-

მა ქარხნებმა, ჩაის კომბინატმა „ოდიშმა“, ჩაის ფაბრიკებმა და საკონსერვო ქარხანამ, სხვა ორგანიზაციებმა. მათ შეწყვიტეს საკავშირო ბაზრისადმი პროდუქციის მიწოდება.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 30 აპრილი.



თ. სიგუა

გაფიცვების ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ სატრანსპორტო კოლაფსი და ტოტალური გაფიცვა, თავისთავად გულისხმობდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან გეგმით გათვალისწინებული სურსათისა და სანოვაგის, ნედლეულის, ენერგორესურსების და სხვა პროდუქციის საქართველოში შემოტანას. სატრანსპორტო კოლაფსმა სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკურ კავშირებს. ქალაქებისა და რაიონების მაღაზიების დახლები თითქმის სულ დაცარიელდა. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ალტერნატიული ბაზრების მოძიება, მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსები, უცხოური ვალუტა საზღვარგარეთიდან კვების პროდუქტების შემოსატანად. იმ წელს მთელი საქართველო დიდი იმედით ელოდებოდა „კენიის ხორცსა და კარაქს“, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა ასე უხვად დაპირდა მოსახლეობას.

„ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს.
საქართველოს პრემიერ-მინისტრის, თენგიზ სიგუას ინტერვიუ
ტელეჟურნალისტ მ.ბერიძესთან

მ.ბ. – გუშინ ხორცზე ვლაპარაკობდით. რა არის აქ დასაიმედებელი?

თ.ს. – საქმე ასეა, გავაფორმეთ ხელშეკრულება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და კენიასთან ხორცისა და კარაქის მოწოდების შესახებ. კენიაში უკვე გაემგზავრა ორი სარეფერჟერატორო გემი, რათა ხორცისა და კარაქის პირველი პარტიები ჩამოიტანოს...“

1991 წლის 29 აპრილს, საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელმაც სერიოზული ნგრევა გამოიწვია იმერეთის რეგიონში. ხელისუფლებამ ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოხსნა სატრანსპორტო ბლოკადა, რაც შეეხება „კენიის ხორცს და კარაქს“, მას დღესაც ელოდება ზოგიერთი...

დამოუკიდებლობის დეკლარაცია და სხვა მნიშვნელოვანი აქტები. შიდა ქართლში პოლიტიკური მდგომარეობის ესკალაცია, რთული ეკონომიკური მდგომარეობა – მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გაღატაკება, საქართველოს ახლადარჩეულ ხელისუფლებას სერიოზულ საფიქრალს აღუძრავდა – საჭირო იყო ელექტორატის გამოცოცხლება, ადვილი „დიდი გამარჯვება“, რომელიც ხელისუფლებას მოსახლეობის მასზე გულაცრუების შესაძლებლობას არ მისცემდა და მის იმიჯს ხალხში კარდინალურად არ დასცემდა. გამოსავლი ძალიან ადვილად მოინახა...

კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში მყოფი მ. გორბაჩოვის ხელისუფლება, რომელიც უკვე აშკარად „ხავს ეჭიდებოდა“, ეძებდა ახალ გზებს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა გადაერჩინა მომაკვდავი საბჭოთა

კავშირი. გადაწყდა საბჭოთა კავშირის შემდგომი არსებობის ყოფნა-არ-ყოფნის საკითხზე საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება.

მოსახლეობის გამოკითხვა ივარაუდებოდა 1991 წლის 17 მარტს. მოსკოვიდან მოკავშირე რესპუბლიკებში დაიგზავნა ცირკულარები ამასთან დაკავშირებით და ითხოვდნენ ამ ღონისძიების უპირობო ჩატარებას. საკავშირო მთავრობის ამ ღონისძიებას ბევრ რესპუბლიკაში თუ ავტონომიურ ოლქში დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ.

საქართველოს ხელისუფლება თავიდანვე გაემიჯნა ამ საკავშირო ღონისძიებას და გადაწყდა საქართველოში ჩატარებულიყო ადგილობრივი რეფერენდუმი საქართველოს სახელწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ 1991 წლის 31 მარტს (ზ. გამსახურდიას დაბადების დღეს). ეს შემთხვევითი დამთხვევა იყო თუ შორსგამიზნული პიარ-აქცია, ამას მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა შეურიგებელი ოპოზიცია ამ ფაქტით საქართველოს ხელისუფალს უკვე საკუთარი პიროვნების კულტის დამკვიდრებისაკენ აშკარა მიდრეკილებაში ადანაშაულებდა.

საქართველოს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას აფხაზეთის ეთნოკრატია და მასთან ასოცირებული ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფები (რუსები, სომხები და სხვ.) შეხვდნენ დიდი აღშფოთებით – მათ გადაწყვიტეს აფხაზეთში ჩაეტარებინათ საკავშირო გამოკითხვა და ის ჩაატარეს კიდეც. მიუხედავად ქართული მხარის მტკიცებისა, რომ აფხაზეთში საკავშირო რეფერენდუმი ჩატარდა დიდი გაჟალბებით, აფხაზებს მაინც მიეცათ საფუძველი, რომ ემტკიცებინათ „ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მოსახლეობის 60 პროცენტმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის არსებობის აუცილებლობას“.

აქ უნებურად იბადება შეკითხვა – რატომ არ ჩატარდა საკავშირო რეფერენდუმი საქართველოში? საქართველოს მხარე ხომ იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომხრე იყო? საქართველოს მთელ ტერიტოორიაზე – მათ შორის აფხაზეთში, სამაჩაბლოში საერთო ძალისხმევით ჩატარებულ რეფერენდუმში თუ კი გამოვლინდებოდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უარზეა საკავშირო სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნებისა, ეს ხომ უფრო ძლიერი არგუმენტი იქნებოდა მოსკოვთან ურთიერთობის დროს და ინსინუაციების საფუძველს მთლიანად გამოაცლიდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს? შეიძლება შეეშინდათ, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის არსებობის მომხრეთა რაოდენობა იმაზე მეტი იქნებოდა, ვიდრე ესახებოდათ? ძნელი სათქმელია... სამაგიეროდ აფხაზ ეთნოკრატიას მიეცა არგუმენტი, აქტიურად გაეთამაშებინა საკავშირო რეფერენდუმის „წარმატებით ჩატარება აფხაზეთის ტერიტორიაზე“.

საქართველოში დაიწყო 31 მარტის რეფერენდუმისათვის მზადების პროცესი. საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ზ. გამსახურდიას ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას ბევრი თავიდანვე კრიტიკულად შეხვდა და თავისი მნიშვნელოვანი არგუმენტიც წარმოადგინა.

„საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ იურიდიული თვალსაზრისით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, დღესაც განაგრძობს არსებობას... „ქართველი ერის“ ნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ დღესაც... იურიდიული უფლებამოსილების მქონე პოლიტიკური აქტია, რომელიც ხელახალ სამართლებრივ დადასტურებას არც პლებისციტით და არც რეფერენდუმით არ საჭიროებს...

ირაკლი წერეთელი
საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ.
14 მარტი.

ი. წერეთელი

ი.წერეთელი, ამ შემთხვევაში, იურიდიულადაც მართალია და ლოგიკურადაც – ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოს გასაბჭოების დროს ბოლშევიკურ ხელისუფლებას საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი ოფიციალურად არც გაუუქმებია, არც შეუჩერებია. პირიქით, ისინი ყველანაირად ამტკიცებდნენ, რომ სწორედ მათი ხელისუფლებაში მოსვლით ქართველი ხალხის დამოუკიდებლობამ რეალური შინაარსი შეიძინა. მართალია, საქართველო მოგვიანებით შევიდა საკავშირო სახელმწიფოში, მაგრამ მაშინაც, იურიდიულად, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა, რომელმაც მხოლოდ თავისი სუვერენიტეტის ზოგიერთი ელემენტი გადასცა საკავშირო სახელმწიფოს.

ი. წერეთლის არგუმენტს შეიძლება კიდევ დაემატოს ისიც, რომ რუსეთის სამხედრო ბაზებით გატენილ, ეკონომიკური კავშირებით და ურთიერთობებით გაჯერებულ, საკავშირო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ და საბჭოთა ფულის ნიშნებით გადატენილ საქართველოში ამ რეფერენდუმს, მართლაც, მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი ექნებოდა და მისი პრაქტიკული რეალიზაციისაგან ჯერ კიდევ ძალიან შორს იყო.

მიუხედავად ამისა, 1991 წლის 31 მარტს, რეფერენდუმი საქართველოში ჩატარდა, მასში მონაწილეობა მიიღო 3 334 286 კაცმა, რაც შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 90,78 პროცენტს. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილეთა 99,08 პროცენტმა.

უკვე 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს დიდ დარბაზში შედგა საგანგებო სხდომა, რომლის დროს უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღდგენას.

„9 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა..., დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა მისი დამოუკიდებლობის შესახებ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის სა-

ფუძველზე. ამ საკითხის გამო მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ...“

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 10 აპრილი.

მართალია, ხელისუფლების რადიკალური ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ ოფიციალურ დოკუმენტზე ხელი მოაწერეს არაოფიციალურმა პირებმაც (მაგალითად, ზ. გამსახურდიას მეუღლე მ. არჩვაძე-გამსახურდიამ), მაგრამ იმჟამად უფრო დიდი მნიშვნელობა იმას ენიჭებოდა, თუ რაში გამოიყენებდა საქართველოს ხელისუფლება ამ ისტორიულ ფაქტს, რამდენად წაადგებოდა ის საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეს. სწორედ რეალურ დამოუკიდებლობასა და არა მხოლოდ დეკლარირებულ განცხადებას ითხოვდა იმჟამად რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლებისაგან.

უფრო რეალური იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ უკვე 14 აპრილს გამართულ სხდომაზე მიღებული კანონი საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის დაწესების შესახებ. უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. ამ თანამდებობაზე სესიის სხდომაზე აირჩიეს ზ. გამსახურდია. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა დეპუტატი აკაკი ასათიანი.

მაგრამ, ძალიან მალე, საჭიროდ ჩაითვალა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ლეგიტიმურობა კიდევ უფრო განმტკიცებულიყო იმით, რომ ჩატარებულიყო საპრეზიდენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში, რომელშიც სხვა კანდიტატებიც მიიღებდნენ მონაწილეობას.

შეიქმნა პრეზიდენტობის კანდიდატის ზ. გამსახურდიას საარჩევნო შტაბი, რომელსაც სათავეში მისი მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია ჩაუდგა. არჩევნები დაინიშნა 1991 წლის 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურები წამოაყენეს: ვ. ადვაძემ, ი. შენგელიამ, ჯ. მიქელაძემ, თ. კვაჭანტირაძემ და ნ. ნათაძემ. მათ თავისი პროგრამები და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ვარაუდები პრესაში დროულად გამოაქვეყნეს. როგორც ნ. ნათაძე ამტკიცებდა, საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა ჯანმრთელ, კონკურენტუნარიან გარემოში. თუმცა, ამ შეხედულებას არ იზიარებდნენ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებიც საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ საქართველოში პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღებისა და უფრო საპარლამენტო რესპუბლიკის დამკვიდრებისაკენ იხრებოდნენ.

26 მაისს ჩატარებული არჩევნების დროს (მონაწილეობდა ამომრჩეველთა მხოლოდ 83,59%) ზ. გამსახურდიამ მიიღო ამომრჩევლების 86,52 %, ვ. ადვაძემ – 7, 59%, ნ. ნათაძემ – 1,17% და ა.შ. ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა.

„თუკი ჩემი ხალხი გამსახურდიას აირჩევს, მაშინ, მე იძულებული ვიქნები წავიდე ჩემი ხალხის წინააღმდეგ ჩემი აზრებით და ჩემი განწყობილებით. მე არ მინდა ეს დავიჯერო...

მერაბ მამარდაშვილი

საქართველოში ძალიან მალე გამოქვეყნდა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ“, რომლის ძალით პრეზიდენტის საჯარო შეურაცხყოფა, ან მის მიმართ ცილისწამება უკვე დასჯადი ქმედება გახდა.

საერთოდ, საქართველოს უზენაესი საბჭო ამ პერიოდში საოცარი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. მიღებულია უამრავი კანონი და კანონქვემდებარე აქტი, გამოცემულია უამრავი განკარგულება და ბრძანებულება. მაგალითად იყო ასეთიც: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურის შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, „კანონი ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“. „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ და ა.შ.

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები:
ორდენები და მედლები:
დავით აღმაშენებლის ორდენი – პირველი ხარისხის; მეორე ხარისხის;
ილია მართლის ორდენი;
მედალი „მამულის სამსახურისათვის“.
მედალი „მხედრული მამაცობისათვის“.

საპატიო წოდება:
„ქართლის დედა“

საპატიო სიგელი...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე ზ. გამსახურდია
გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 9 თებერვალი

უმაღლესი ხელისუფლების სათავეში. თითქმის ერთი წელი იყო ხელისუფლების სათავეში ზ. გამსახურდია და მეტად რთული, წინააღმდეგობრივი ეტაპი გაიარა – უპირველესად თვითონ და მასთან ერთად ქართველმა ხალხმაც. ჩვენ ვნახეთ, რომ მ. მამარდაშვილი ზ. გამსახურდიას საქართველოს უმაღლეს ხელისუფლად არჩევის სასტიკი წინააღმდეგი იყო და მას ამის არგუმენტებიც ჰქონდა. ზ. გამსახურდიას უმაღლეს ხელისუფლად არჩევას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მისი პოლიტიკური ოპონენტებიც: მათ შორის კი ბევრი მისი პირადი მეგობარიც იყო. მაგრამ ქართველმა ხალხმა მაინც ის აირჩია – ენდო და მასთან ერთად განვლო წარმოუდგენლად რთული და სისხლიანი გზა თავისუფლებისაკენ. რა შესთავაზა, რითი მოიპოვა რიგითი ქართველი ამომრჩევლის ნდობა, პატივისცემა, სიყვარული ზ. გამსახურდიამ?

ქართველი ერის გამორჩეულობის საკუთარი იდეის პროპაგანდით!

1990 წელს 100 000 ტირაჟით გამოქვეყნდა მისი ნაშრომების კრებული: „წერილები და ესეები“, რომელშიც სხვადასხვა სტატიასა და ესეს შორის არის მისი საჯარო ლექციის სტენოგრამა: „ქართველი ერის სულიერი მისია“, სადაც ჩამოყალიბებულია მისი კრედო ქართველებთან დაკავშირებით, გასიგრძეგანებულია საქართველოს ისტორიული განვითარების მთელი პროცესი საკუთარი კონცეფციის თვალსაზრისით. სწორედ ამ ნაშრომში მის მიერ წამოყენებული მნიშვნელოვანი და რიგითი ქართველის ყურისათვის მეტად მომხიბლავი კონცეფცია „ქართველი ერის გამორჩეულობის, განსაკუთრებულობის შესახებ“

გავიხსენოთ, როგორი მკაცრი იყო „თერგდალეულთა“ დამოკიდებულება ქართველი ერის მიმართ. თვით დიდმა ილია ჭავჭავაძემ მკაცრი ბრალდება წაუყენა მშობელ ერს თავის ლექსში „ბედნიერი ერი“ და თავის სხვა თხზულებებშიც. „თერგდალეულების“ მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ ისიც იყო, რომ ისტორიული პროცესის დანაშრევების გამო ქართველებში შემორჩენილი ნაკლი, მახინჯი მოვლენები, აზროვნების ირაციონალური ელემიენტები საბოლოოდ აღმოფხვრილიყო და „ახალი ქართველის აღზრდა“, რასაც ისინი გეგმავდნენ, მუდამ წარმართულიყო ისე, რომ მომხდარიყო დასავლეთ ევროპის მოწინავე ერების მიღწევების პრაგმატული გააზრება, მისი სინთეზი ქართულ ტრადიციებთან და ამის საფუძველზე ჩვენი ქართველობისა და მამულიშვილობის კიდევ უფრო წინ წაწევა. ილიას დროს საქართველოში არსებული რეალობა სხვაგვარი ჩანდა...

„ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი,
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?

ამის საპირისპიროდ, სტალინის კულტის პერიოდში, მოსკოველმა მლიქვნელებმა, თბილისში ყოფნისას, ქართველ ერს საჯაროდ განუცხადეს ქართველი ერის გამორჩეულობის იდეის შესახებ – რაც, თურმე იმაში მდგომარეობდა, რომ „საქართველომ მსოფლიოს მისცა ხალხთა დიდი ბელადი – იოსებ სტალინი“. საქართველოს ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ეს კრემლის პროპაგანდის უნიჭო გამოვლენად ჩათვალა და მას, მაინცდამაინც, არ აჰყვა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს – ნაკლი, რომელზედაც ილია ჭავჭავაძე მიანიშნებდა, ქართველებს არ დაუძლევიათ არც XX საუკუნის 80-იან და არც დღევანდელ პერიოდში: ეს ჩვენ ძალიან გვიშლის ხელს განვითარებაში და საჭიროა დიდი ილიას ამ ანდერძის შესრულება.

მაგრამ ზ. გამსახურდიამ თავის კონცეფციით კვლავ ააღორძინა იდეა „ქართველი ერის გამორჩეულობის“ შესახებ უკვე ახალ საისტორიო მასალაზე დაყრდნობით, ახალ ისტორიულ ვითარებაში და ახალი მიზან-

დასახულობით. ამ კონცეფციას რომ ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მის ფართო მასებში გავრცელებას ფიქრობდა, ამაზე მიუთითებს ჯერ მის მიერ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში 3000 კაციან აუდიტორიაში ამ მოხსენების წაკითხვა, ხოლო შემდეგ, მისი ზეობის ხანაში – მასობრივი ტირაჟით მისი პუბლიკაციაც.

რა მისია ჰქონდა ზ. გამსახურდიას თვალსაზრისით ქართველ ერს?

„რა მისიაა ეს? ეს არის სანქტიფიკაციის, განწმენდის მისია, კაცობრიობის განწმენდისა... ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განახორციელოს ამ საწყისმა.“

ზვიად გამსახურდია
„წერილები და ესეები“, გვ.191-192.

რატომ? რის საფუძველზე კეთდებოდა ასეთი კატეგორიული დასკვნა? განა ჩვენ უკვე დავძლიეთ ის ნაკლი – რაზეც ილია ასე გულისტკივილით საუბრობდა, განა ჩვენ, ჩვენი მატერიალური ყოფიერებით და ინტელექტუალური ცნობიერებით, გადავასწარით მსოფლიოს განვითარებულ ერებს და ვართ უფლებამოსილნი რომ ვინმე „ვამხილოთ“ და ვინმე „განვწმინდოთ“?

ქართველი ერის მისიაა იყოს ღირსეული წევრი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამეგობრობაში, რაც მან დაიმსახურა თავისი გმირული ისტორიით, მაღალგანვითარებული კულტურული მიღწევებით და კიდევ უფრო მეტი პოტენციალით – რომელიც ჯერაც კიდევ მიძინებულია. ქართველი ერის მისია კი ზუსტად და ამომწურავად უკვე განსაზღვრა ილია ჭავჭავაძემ და ჩვენი ვალია ის ბოლომდე შევასრულოთ...

„ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, ჩვენ ზემოთ რომ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვდროდ ვერ წარსდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დაამჩნევს...“

ილია ჭავჭავაძე
თხზ. ტ. 5, გვ. 228.

როცა ობიექტური რეალობა ასეთი რთულია, რა თქმა უნდა, დაუშვებელია ერს მიზნად დაუსახო ისეთი ამოცანა, რომელიც „უტოპიურ ნაციონალიზმს“ უახლოვდება და მხოლოდ ირაციონალური პოლიტიკური აზროვნების შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. ეს სრულიად ასატანია სამეცნიერო დისკუსიების დროს, მეცნიერთა შორის პაექრობისას, როცა მას უპირისპირდება რაციონალიზმი, და კიდევ უფრო მეტი – პრაგმატიზმი, რომლის გარეშე დღეს ძალიან უჭირს ქართველ ერს თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. მით უფრო ისეთი იდეების პროპაგანდა პოლიტიკაში იმჟამად, როცა ინგრეოდა ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია და ყალიბდებოდა მეორე – კაპიტალისტური, მხოლოდ სერიოზული პრობლემების მომტანი შეიძლება გამხდარიყო და გახდა კიდეც...

არის მეორე ასპექტიც: ასეთი კონცეფცია პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური სახელმწიფოს ხელმძღვანელის მხრიდან არის სერიოზული გართულებებისა და დაპირისპირებების ხელშემწყობი. და აი რატომ: თუ ქართველებს კაცობრიობის „მხილებისა და განწმედის“ მისია აქვთ, რა მისია აქვთ საქართველოში მცხოვრებ აფხაზებს, ოსებს, რუსებს, სომხებს, ჩეჩნებს, ლეკებს, ბერძნებს, აისორებს, იეზიდებს და ა.შ. და ა.შ.? ამ კონცეფციით გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ „ისტორიული“ კონცეფციის, ამ „მისიის“ გარეთ რჩება. გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის ეს მეორე „არამისიისტური“ ნაწილი „მეორე კატეგორიისაა“ და ქართველთა „მსოფლიო ისტორიული მისიის“ შორიდან პასიური მაყურებელი და მომსახურე უნდა იყოს...

ასეთი კონცეფცია კი სერიოზულად გვაახლოვებს სხვა, მსოფლიოს ცივილიზაციის მიერ ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილ კონცეფციასთან, რამაც სერიოზული დანაკარგები მოუტანა იმ იდეების გამზიარებელ ერს და მის სახელმწიფოს. ზ. გამსახურდიას მსოფლმხედველობაში, აგრესიული ნაციონალიზმის ელემენტები, იმჟამად, უკვე იყო შემჩნეული:

„...ეროვნული მოძრაობის მეორე ფრთა, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა, ერთ ადგილზე დარჩა და შიშველი, ხშირ შემთხვევაში, აგრესიული ნაციონალიზმითა და პოპულიზმით დააპირა ფონს გასვლა...

გიორგი ჭანტურია
გაზ. „ქართული ქრონიკა“. 1991, №2.

ამრიგად, ზ. გამსახურდიას კონცეფცია „ქართველი ერის სულიერი მისიის“ შესახებ, ეფუძნება ფაქტებისა და მოვლენების მეტად სუბიექტურ ინტერპრეტაციას, მათ ჰიპერბოლიზებას, ქართველი ერის მისიის არასწორ, არაადეკვატურ და, რაც მთავარია, ირაციონალურ გააზრებას, რაც დასაშვებია სამეცნიერო პაექრობაში და დამღუპველია – პოლიტიკაში. ვფიქრობთ, რომ სწორედ ირაციონალიზმმა როგორც პოლიტიკურ აზროვნებაში, ისე მის პრაქტიკულ რეალიზებაში შექმნა ის გადაულახავი წინააღმდეგობა საქართველოს საზოგადოებაში, რამაც ძალიან მალე საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაცია გამოიწვია.

„მდედრიონი“. ქართველი ერის გამორჩეულობის იდეა, რომელიც ტირაჟირდებოდა როგორც ზ. გამსახურდიას მიერ საჯარო გამოსვლების დროს, ისე „საინფორმაციო მიტინგებზე“ – მისი იდეოლოგების მხრიდან, სერიოზულ მხარდაჭერას და გაგებას პოულობდა საქართველოს იმჟამინდელი საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში. პირველ რიგში ესენი იყვნენ ასაკოვანი ქალები, რომლებიც აღფრთოვანებული ამ „მისიანისტური“ იდეით, ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მხოლოდ ზ. გამსახურდიას და მის პოლიტიკურ გუნდს ძალუძდა საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოპოვება, რომ მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა იყო ერთადერთი და სამართლიანი. ამ ადამიანებმა დაკარგეს პოლიტიკური პროცესების კრიტიკულად გააზრების უნარი – ისინი ეთაყვანებოდნენ თავის კერპს.

„ათასი წლისაც რომ შეიქმნას, მაინცდა ისევ,
მოვიხსენიებთ მზეჭაბუკად, მშვენებით რადგან
ათასებშიც შეიცნობა, იცნობა მყისვე.
ხატებას მისას ჩაუქრობელი ნათელი ადგას.
იგი ზღაპრიდან გადმოსული მზეჭაბუკია...“

ბელა შალვაშვილი
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991 წ. 13 დეკემბერი

სწორედ ამ და მსგავსმა ქალბატონებმა ჩაუყარეს პირველსაწყისი საფუძვლები ზვიადის კულტის რეალიზებას ქართულ სინამდვილეში. ისინი ზ. გამსახურდიას ყოველნაირ კრიტიკას პირად შეურაცხყოფად აღიქვამდნენ და მიაჩნდათ ის ქართული იდეისათვის საზიანოდ. ბევრი მათგანი მორიგეობდა მთავრობის სახლის წინ გაშლილ კარვებში (ოპოზიცია მათ „კარვის ქალებს“ უწოდებდა, იყვნენ ისინიც, რომლებიც მათ „მდედრიონად“ მოიხსენიებდა). მათგან ზოგიერთი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა – ისინი ოპოზიციურად განწყობილ დეპუტატებს (ე. შენგელაიას, ნ. ნათაძეს, პ. კოღუაშვილს და სხვ.) „სირცხვილის კორიდორებს“ უწყობდნენ, იყო მათი მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებიც, ისინი განსაკუთრებული ეგზალტირებით გამოირჩეოდნენ და მნიშვნელოვნად დააზიანეს ზ. გამსახურდიას პოლიტიკური იმიჯი.

„3 დეკემბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდენტის თაყვანისმცემელ ქალთა ორგანიზებული, აგრესიული მოქმედების შედეგად რამდენიმე დეპუტატი, მათ შორის, მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე, ბატონი ვაჟა ადამია და ამავე საზოგადოების წევრი გიორგი ხავთასი სხდომას ვერ დაესწრნენ.

გაზ. „საქართველო“, 1991 წ. 5 დეკემბერი.

აგრესიულ ქალბატონებს ზ. გამსახურდიას პოლიტიკის უკრიტიკო აპოლოგიაში არც მამაკაცები ჩამოუვარდებოდნენ. ისინი იღვწოდნენ ორი მიმართულებით – დაემტკიცებინათ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ოპოზიცია კრემლთან, „სუკ“-თან თანამშრომლობაში და მეორე, მსოფლიო პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ზ. გამსახურდიას – გამოეცხადებინათ გლობალისტებად, მასონებად. იმჟამად საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება ყველანაირად გმობდა სახელმწიფოთა შორის ყოველგვარ კავშირს, გაერთიანებას: ეს ის დრო იყო, როცა დასავლეთ ევროპა მაასტრიხტის ხელშეკრულებაზე მუშაობდა და საერთო ევროპული სახლის მშენებლობას გეგმავდა. ევროპაში აქტიურად მიმდინარეობდა სამზადისი ევროკავშირის შემდგომი ინტეგრაციისათვის. ბევრს საუბრობდნენ საერთოევროპული ზესახელმწიფო სტრუქტურების შექმნის, ერთიანი ფულის ნიშნების შემოღების, ეროვნული სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის საერთოსაკავშირო ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ. ამის საწინააღმდეგოდ „მდედრიონის“ წარმომადგენლები ხშირად ბეჭდავდნენ სხვადასხვა გაზეთში ასეთ კრიტიკულ წერილებს:

„...ეს ოპოზიციონერები, ჩვენი აზრით, პირწმინდად მასონურ თეორიას ავითარებენ: „20 წლის შემდეგ არ იქნება არავითარი პოლიტიკა, იქნება მხოლოდ ეკონომიკა“. დიახ, თუ ეროვნულ ინტერესს გადავაქცევთ საქონელად, ეროვნული სიამაყიდან – სუვენირებს შევქმნით... დიდი ხანი არ გასულა, რაც მსოფლიოში ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ თემად საყოველთაო ინტეგრაციის, ევროპის გაერთიანების იდეა ამოტივტივდა. საქართველოს თავისუფლების დამოუკიდებელი გზის კრიტიკოსები, სწორედ მსოფლიო პოლიტიკის ინტეგრაციულ ტენდენციებზე მიუთითებენ...

ვ. ქ. ჭყონია
„მათთვის, ვისაც არ სურს ქართული საქართველო“.
გაზ. „ქართველი ერი“, .1991, №21.

„ქართული საქართველოს“ მხარდამჭერები – ქალები, კაცები და მოზარდები სულ უფრო და უფრო აშკარად დაიარებოდნენ მიტინგებზე, შეკრებებზე ზ. გამსახურდიას სურათებით, საკუთარ სახლებში აწყობდნენ „ზვიადის კუთხეებს“, წრეგადასულ ლიქნს და ხოტბას ასხამდნენ ყველაფერს, რასაც აკეთებდა ზ. გამსახურდია და მისი პოლიტიკური გარემოცვა, ნერგავდნენ ზ. გამსახურდიას უშეცდომობისა და გამორჩეულობის დოგმას, პრეზიდენტის კულტს. ეს პროცესები მართვადი იყო – მას საგრძნობ მუხტს სძენდნენ ზვიადის იდეოლოგები და პროპაგანდისტები საჯარო შეკრებების დროს, „საინფორმაციო მიტინგებზე“: თ. ქორიძე, მ. ძოძუაშვილი, ვ. დომუხოვსკი, მ. ნადირაშვილი, გ. პეტრიაშვილი და სხვები. მათთან ურთიერთობა განსაკუთრებით უჭირდა საპარლამენტო ოპოზიციას.

ხელისუფლების საპარლამენტო ოპოზიცია შედგებოდა კომუნისტებისა და იმ არაკომუნიტსტი დეპუტატებისაგან, რომლებმაც უზენაესი საბჭოს არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ გაერთიანების სახელით („სახალხო ფრონტი“, „შოთა რუსთაველის საზოგადოება“, „დემოკრატიული საქართველო“, 9 დამოუკიდებელი კანდიდატი და სხვ.). საპარლამენტო ოპოზიციის დეპუტატებს შორის ყველაზე ავტორიტეტული და ანგარიშგასაწევი ძალა უდავოდ იყო ნოდარ ნათაძე – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უხუცესი წევრი, „სახალხო ფრონტის“ უცვლელი ხელმძღვანელი, იმჟამად საოცრად აქტიური საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე.

რას საქმიანობდა ოპოზიციის არაკომუნისტური ნაწილი?

უზენაესი საბჭოს არსებობის პირველი რამდენიმე თვის მანძილზე ოპოზიციის ეს „არაკომუნისტური ნაწილი“ მთლიანად იზიარებდა ზ. გამსახურდიას პოლიტიკური დაჯგუფების შეხედულებებსა და მოსაზრებებს იმჟამად არსებულ ყველა კარდინალურ საკითხზე, შეეხებოდა ეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას, სსრ კავშირის პრეზიდენტთან და საკავშირო სტრუქტურებთან ურთიერთობას, აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, სატრანპორტო ბლოკადის დაწესებას, საყოველთაო გაფიცვების მოწყობას და სხვა პრობლემურ საკითხებს.

გარკველი „მოძრაობა“ ამ ჯგუფში შეიმჩნევა უკვე მაისში, როცა დეპუტატები ნ. ნათაძის ხელმძღვანელობით გააკეთებენ საჯარო განცხადებას ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის“ შექმნის შესახებ.

„ოპოზიციური ფრაქცია – „დემოკრატიული ცენტრის“ შექმნა განაპირობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ნახევარწლიანი მუშაობის შედეგებმა და მიღებულმა გამოცდილებამ. იგი შეიქმნა უმრავლესობის პოლიტიკაზე ორგანიზაციული ზემოქმედებისა, უმცირესობის ინტერესების დაცვის, აგრეთვე ალტერნატიული პოზიციის კოლექტიურად ჩამოყალიბებისა და წარდგენის მიზნით. საპარლამენტო ფრაქცია, როგორც ორგანიზაციულად შეკრული ჯგუფი ნაკლებად იქნება დამოკიდებული უმრავლესობის მხრით ზემოქმედებისაგან.“

ნ. ნათაძე, ე. შენგელაია, რ. გოცირიძე, თ. ნინიძე, დ. არევაძე, დ. ბერძენიშვილი, პ. კოღუაშვილი, ა. ბობოხიძე, ა. სიჭინავა, თ. დიასამიძე, კ. ჩაფიძე და გ. ლობჟანიძე

გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, 16 მაისი. (ამონარიდი)

ე. შენგელაია

აშკარაა, რომ „ნახევარწლიანი მუშაობის შედეგებმა“, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და მისი „მონურად მორჩილი უმრავლესობის“ საქმიანობისადმი ბრმა მხარდაჭერის პოლიტიკამ მათთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ გამოიღო და საჭირო იყო პოლიტიკის შეცვლა, ახალი ორგანიზაციული გაერთიანება.

ამ პოლიტიკური ჯგუფის მიერ უკვე ახალი სამოქმედო გეზის მონახვის გადაწყვეტილებაზე, ალტერნატიული პოლიტიკური კურსის საზოგადოებისათვის შეთავაზების მცდელობაზე მიუთითებს ისიც, რომ ფრაქციის ლიდერმა ნ. ნათაძემ გადაწყვიტა შეექმნა კონკურენცია ზ. გამსახურდიასათვის და თავისი კანდიდატურა წარადგინა საპრეზიდენტო არჩევნებზე.

საპრეზიდენტო არჩევნები ზ. გამსახურდიამ დიდი უპირატესობით მოიგო. ნ. ნათაძეს მხარი დაუჭირა ელექტორატის მხოლოდ 1,17 პროცენტმა. ამან აჩვენა იმჟამინდელ საქართველოში ნ. ნათაძის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, ჭეშმარიტი რეიტინგი.

არჩევნებში მიღებულმა წარუმატებლობამ კიდევ უფრო გაუღვივა ნ. ნათაძეს და მის ფრაქციას ოპოზიციური მუხტი, რაც იმაში გამოვლინდა, რომ ნ. ნათაძე ამ მარცხის შემდეგ კიდევ უფრო კარგად ხედავდა ხელისუფლების შეცდომებსა თუ გადაცდომებს. არჩევნების შემდეგ, ნ. ნათაძის დამოკიდებულება ე. შევარდნაძის მიმართ ნამდვილად არ შეცვლილა და ის ზ. გამსახურდიას შეხედულებასთან სრულ თანხვედრაში იყო. თავის საჯარო განცხადებებში ის, ზოგჯერ, უფრო კრიტიკული იყო, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტი. ეს განსაკურებით კარგად გამოჩნდა ზაფხულში, როცა დაირხა ხმა ე. შევარდნაძეს გაეროს გენერალური მდივნის თანამდებობაზე წარდგინების შესახებ.

„მას დიპლომატიისა და მოხიბვლის ნიჭი აქვს. მისი წამოყენება მსოფლიოს საზოგადოებრიობის გემოვნებაზე ლაპარაკობს. მაგრამ ეს გემოვნება არანაირად არ ვრცელდება საქართველოზე. მან ბევრი ცუდი გაუკეთა რესპუბლიკას. საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის პოსტზე ყოფნისას 1971 წელს მან დაიწყო ბრძოლა ქართველი „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ წარმომადგენლების წი-

ნაადმდეგ. ამ ექსპერიმენტს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. დააპატიმრეს ათეულ ათასობით ადამიანი“.

ნ. ნათაძე
გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 6 ივლისი

ნ. ნათაძის ფრაქცია ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა ბანაკში საბოლოოდ გადავიდა უკვე „აგვისტოს პუტჩის“ შემდეგ, როცა საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა სერიოზული შეცდომა დაუშვა და მას შეცდომების მთელი კასკადიც მოაყოლა.

ი. სარიშვილი

„ეროვნული კონგრესი“ და უზენაესი საბჭოს ოპოზიცია. ძალიან მალე საქართველოში დაგროვდა საკითხები, პრობლემები, რომელთა შესახებ ხელისუფლებასა და მის რადიკალურ ოპოზიციას სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდათ. „ეროვნული კონგრესი“ ზ. გამსახურდიას ეროვნული მოძრაობის გათიშვას, კომუნისტებთან გარიგებას, სამხრეთ ოსეთში სამოქალაქო დაპირისპირების ხელოვნურ ესკალაციაში ადანაშაულებდა, აბრალებდა მას რუსეთის ინტერესების გატარებას და ეროვნულ ღალატს.

„საქართველოში მიმდინარე უკანასკნელი პროცესები ადასტურებენ იმას, რასაც ბევრად ადრე წინასწარმეტყველებდნენ ეროვნული კონგრესის წარმომადგენლები. კერძოდ იმას, რომ კრემლი საქართველოს მარიონეტული უზენაესი საბჭოს ხელშეწყობით და ზვიად გამსახურდიას აქტიური მხარდაჭერით შეეცდება გაანადგუროს ჭეშმარიტი ოპოზიცია... მივმართავ თხოვნით მსოფლიოს ყველა... მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, დაგვეხმარეთ!“

ირინა სარიშვილი
გაზ. „ქართული ქრონიკა“, 1991 წ. №1.

დაპირისპირებას ეროვნული მოძრაობის ორ, მკვეთრად გამიჯნულ ძალას შორის, აძლიერებდა ზ. გამსახურდიას ხელისუფლების მიერ გადადგმული თითქმის ყველა პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ნაბიჯი. რადიკალურ ოპოზიციას არ მოსწონდა საქართველოში პრეფექტების ინსტიტუტის დანერგვა, რომლებიც პირადად ზ. გამსახურდიას მიერ შეირჩეოდნენ და ინიშნებოდნენ. ძალიან მალე პრეფექტები ხელისუფლების ინტერესების ბრმად გამტარებელ ჩინოსნებად ჩამოყალიბდნენ, თუმცა არა ყველა.

რადიკალური ოპოზიცია მოითხოვდა პრეფექტების ინსტიტუტის გაუქმებას, გლეხებისათვის მიწის გადაცემას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაუყოვნებლივ დაშლას, უარის თქმას როგორც 17 მარტის (საკავშირო), ისე 31 მარტის (ადგილობრივი) რეფერენდუმების ჩატარებაზე, რადგან მათი აზრით „1918 წლის 26 მაისის აქტი არავითარ რეფერენდუმსა, თუ აზრის გამოკითხვას არ საჭიროებს“.

დაპირისპირების ძლიერი ესკალაცია გამოიწვია შავნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურების მიერ „მხედრიო-

ნის“ მებრძოლების განიარაღებამ და მათი ხელმძღვანელის, ჯაბა იოსელიანის დაპატიმრებამ.

„1991 წლის 18 თებერვალს, დილის 4 საათზე, სსრკ შეიარაღებული ჯარების ნაწილები და სპეცდანიშნულების სამხედრო რაზმები შავნაბადაზე, კოჯრის მიდამოებიდან, თავს დაესხნენ „მხედრიონის“ ბაზას. ოკუპანტებმა შავნაბადას აღებისათვის, გარდა ავტომატური იარაღისა, გამოიყენეს აგრეთვე ჯავშანტრანსპორტიორები და ვერტფრენებიც კი... არიან დაჭრილები ორივე მხრიდან... მიღებულია ინფორმაცია, რომ სამხედრო ტყვედ ჩავარდნილებს მხეცურად აწამებენ...“

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პრესცენტრის განცხადება
გაზ. „ქართული ქრონიკა“, 1991 წ. №1.

რაც დრო გადიოდა, დაპირისპირება ხელისუფლებასა და რადიკალურ ოპოზიციას შორის ძლიერდებოდა. „ეროვნული კონგრესის“ ლიდერები, საკმაოდ ენერგიული ადამიანები (გ. ჭანტურია, ი. წერეთელი, ი. სარიშვილი, თ. ჩხეიძე და სხვ.) ზ. გამსახურდიას ყველა გადადგმულ ნაბიჯს უაღრესად კრიტიკულად უდგებოდნენ და ყველა მის ნაბიჯს კრემლის ინტერესების რეალიზებად აღიქვამდნენ.

თავის მხრივ, ხელისუფლებამ მასმედიაში რადიკალური პოლიტიკური ოპონენტების (გ. ჭანტურიას, ი. სარიშვილის, თ. ჩხეიძის და სხვათა) დისკრედიტაციის მიზნით მათზე, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის პერიოდიდან გამოყოლილი სხვადასხვა „კომპრომატის“ პუბლიკაცია დაიწყო, რამაც ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა და ბევრს 1937 წლის რეპრესიებიც გაახსენა.

რადიკალური ოპოზიცია ელოდებოდა ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ შეცდომებს, გადაცდომებს, რასაც, როგორც ისინი ფიქრობდნენ, უნარიანად გამოიყენებდნენ. ეს შესაძლებლობა მათ მიეცათ მხოლოდ ზაფხულის მიწურულში.

ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე. თუ გავიხსენებთ ე. შევარდნაძისადმი გაგზავნილ კ. გამსახურდიას პირად წერილს და ვირწმუნებთ დიდი მწერლის გულწრფელობას, საქართველოს კომპარტიის ლიდერის მიმართ გამსახურდიების ოჯახში ლოიალური განწყობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ზვიად გამსახურდიას ე. შევარდნაძე პათოლოგიურად სძულდა – შესაძლებელია ე. შევარდნაძემ იცოდა მასზე ისეთი რამ, რაც დაკავშირებული იყო მის 1978 წლის ცნობილ „მონანიებასთან“, ან კიდევ უფრო მეტიც... საქართველოს პრეზიდენტის ეს ანტიპატია, ეს ზიზღი ჩანდა ყოველთვის, როცა მას ეკითხებოდნენ ე. შევარდნაძის შესახებ, ან სთხოვდნენ კომენტარს მის მიერ გაკეთებული პოლიტიკური ნაბიჯისა თუ მკვეთრი დემარშის გამო. ე. შევარდნაძისადმი მისი ეს ანტიპატია, ეს ზიზღი მთლიანად შეითვისა მისმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ, განსაკუთრებით პრეზიდენტის მოყვარულმა ფანატიკოსთა საკმაოდ დიდმა აუდიტორიამ.

ე. შევარდნაძემ კი თავისი გადადგომის შემდეგ კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები მსოფლიოს ლიდერთა შორის: ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ჯ. ბეიკერი და გერმანიის ფედერაციუ-

ლი რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი ჰ-დ. გენშერი საჯაროდ მის მეგობრობას აღიარებდნენ. თვითონ სსრკ საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მოსკოვში შექმნა „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობა“ და თავის გარშემო შემოიკრიბა რუსი დემოკრატების საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელთა ძალისხმევას უდავოდ ახალისებდნენ (შესაძლებელია აფინანსებდნენ კიდეც) მისი საზღვარგარეთელი მეგობრები. სწორედ ასეთ ვითარებაში, ზ. გამსახურდია მოსკოვში ყოფნისას იძლევა ე. შევარნაძის შემდეგ შეფასებას:

„...როცა შევარდნაძე გამოკვეთს თავის დამოკიდებულებას სკკპ-სადმი და თავის ადგილს სკკპ-ში, როგორც ადსარებისას, მთელი ხალხის, ისტორიის წინაშე მოუყვება, რა ჩაიდინა სკკპ-ში და საქართველოში, პირველ რიგში, სწორედ საქართველოში, როცა იქ სკკპ-ს ემისარი იყო, აი მაშინ დავუჯერებ შევარდნაძეს...

ზვიად გამსახურდია

გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 6 ივლისი

ასეთი დამოკიდებულება ქართველ პოლიტიკოსთა შორის, რა თქმა უნდა, მათ შორის სერიოზულ კონფრონტაციას გულისხმობს და ეს გზა ზ. გამსახურდიამ თვითონ აირჩია – მან საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში ცნობილი, გავლენიანი და საკმაოდ დიდი რესურსების მქონე გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე თავისი მტრების ბანაკში გადაისროლა, რა თქმა უნდა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხისათვის. საკავშირო მთავრობასთან უაღრესად დაძაბული ვითარების განსამუხტავად ხელისუფლებამ გადაწყვიტა გამოენახა ახალი მისასვლელი გზები რუსეთის ფედერაციასთან, ბორის ელცინთან და ერთობლივად გადაეშალათ ახალი ფურცელი საქართველო-რუსეთის ისტორიულ ურთიერთობებში. ეს მცდელობა წარმატებით დასრულდა – 23 მარტს დაბა ყაზბეგში, საქართველოს ტერიტორიაზე, ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც გულთბილად და მეგობრულად დახვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია. ის ფაქტი, რომ უზარმაზარი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელი ჩამოვიდა საქართველოში, „ეახლა“ საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს – ეს ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა და ეს არ იქნეს დანახული – უსამართლობა იქნება.

შეხვედრამ აზრთა ურთიერგაზიარებაში, კეთილმეზობლურ და კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა, რისი შედეგები აისახა კიდეც ყაზბეგში მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტში.

„1991 წლის აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები... რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე. სსრკ-ის თავ-

დაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები. რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობები შექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების აღდგენა...

ბ. ელცინი, ზ. გამსახურდია
1991 წ. 23 მარტი



ზ. გამსახურდია და ბ. ელცინი

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ორი რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალი ოფიციალური შეხვედრისა და მოლაპარაკების დროს ხელმოწერილ დოკუმენტში – ოქმში აფიქსირებენ საქართველოს მხარისათვის მეტად მნიშვნელოვან ასპექტს – „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“. ამას საქართველოსათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ამ ასპექტის გამო პროტესტი არ გამოუთქვამს და ის უპირობოდ იზიარებს ამ საკითხზე საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას. ეს არის დიდი გამარჯვება. მაგრამ „მოლაპარაკების ოქმი“ არ არის ხელშეკრულება (მისი მომზადება ამ დოკუმენტის მიხედვით მომავალში ივარაუდებოდა), ამიტომაც მას დიპლომატიური შეთანხმების, საბოლოო გადაწყვეტილების მნიშვნელობა არ შეიძლება მიეცეს. საჭირო იყო ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება, მაგრამ ძალიან მალე გამოვლინდა, რომ ამ მიმართულებით კონკრეტული არაფერი კეთდებოდა. რატომ?

სავარაუდოა, რომ ამ საქმეს ძლიერ შეუშალა ხელი ორმა გარემოებამ: 1. საქართველოს მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებაში ატეხილმა აჟიოტაჟმა ამ ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის შესახებ; და 2. საქართველოში თათრეთის ასსრ სამთავრობო დელეგაციის სტუმრობამ და მასთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ.

ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების წარმომადგენელი ღიად აცხადებდა, რომ საჭირო იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის – „ბოროტების იმპერიის“ დაშლა, არამედ თვით რუსეთის ფედერაციის დაშლაც და ცალკეულ ნაწილებად დაქუცმაცება (გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“ და სხვ.). ამ აზრს საქართველოში ბევრი რიგითი მოქალაქეც იზიარებდა და ეს განწყობილებები არ შეიძლება არ მიეტანათ ბორის ელცინის ყურამდე.

მეორე გარემოება, ეს უკვე საქართველოს ხელისუფლების სერიოზული შეცდომა იყო. ყაზბეგის შეხვედრიდან ძალიან მალე თბილისში ჩამოვიდა თათრეთის ასს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინის-

ტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რავილ მურატოვის ხელმძღვანელობით. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ თ. სიგუამ მიიღო ეს დელეგაცია, ჰქონდა კონსტრუქციული საუბარი და მიზნად დაისახეს სამთავრობო ხელშეკრულების მომზადება, მთელი რიგი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმება. ფაქტობრივად, საქართველოს მთავრობა, რსფსრ-ს სამთავრობო სტრუქტურების გვერდის ავლით, უშუალოდ ამყარებდა ეკონომიკურ კავშირს რუსეთის ერთ-ერთ რეგიონთან. ეს რუსეთში ბევრმა სეპარატიზმის ხელისშეწყობად, მის წახალისებად ჩათვალა, მით უფრო, რომ ჩინებულად იცოდნენ, როგორი საზოგადოებრივი აზრი მუსირებდა საქართველოში რუსეთის ფედერაციის მომავალზე. საქართველოს მთავრობის ეს შეცდომა, მართალია ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც მწვავედ გააკრიტიკა საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა მოსკოვში ვ. ყაველაშვილმა.

„...დაიდო პოლიტიკური მნიშვნელობის ხელშეკრულება საქართველოს და თათრეთის რესპუბლიკას შორის, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის სახელით ხელი მოაწერა ბატონმა მურმან ომანიძემ... როგორი რეაქცია ექნებოდა საქართველოს ხელმძღვანელობას, რუსეთს რომ აფხაზეთთან დაედო მსგავსი ხელშეკრულება? ცნობილია, რომ თათრეთის რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებას მოჰყვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი...

ვანო ყაველაშვილი
საქართველოს მთავრობის მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში
გაზ. „დრონი“, 1991 20 სექტემბერი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის „გაციების“ მიზეზებს შორის ვ. ყაველაშვილი საქართველოს პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას აგვისტოს პუტჩზე დაგვიანებულ რეაქციასაც ასახელებს, როცა მისი პოზიცია მკვეთრად გაემიჯნა ბ. ელცინის მიერ პუტჩის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს და ძალიან დააგვიანა ბ. ელცინისადმი თანაგრძნობის, მხარდაჭერის გამოხატვის განცხადების გამოქვეყნება.

მაგრამ არის საყოველთაოდ გაზიარებული დიპლომატიური აქსიომა – როცა სერიოზულად ფუჭდება ურთიერთობა მეზობელთან, აუცილებლად უნდა მოძებნო მეზობლის მეზობელი...

ასეთი მეზობელი, ახალი მეგობარი უნდა გამხდარიყო სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები.

ზვიად გამსახურდია და აშშ. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ 1991 წლის იანვარში ამერიკის კაპიტოლიუმზე აღიმართა ამერიკის ნაციონალური დროშა ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით და ამით დიდი პატივი მიაგეს ამ ისტორიულ ფაქტს.

ამის შემდეგ საქართველოში აშშ-დან არაოფიციალური რამდენიმე დელეგაცია ჩამოვიდა, მათ შორის, 1991 წლის მარტის ბოლოს თბილისს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონიც, რომელმაც განაცხადა, რომ ის პრეზიდენტის პირადი დავალებით არის ჩამოსული და სურს საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გაცნობა. შეხვედრის დროს ზ. გამსახურდიამ განაცხადა შემდეგი:

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ დემოკრატიული მსოფლიოს უპირველესი ამოცანაა ისეთივე როლი შეასრულოს იმპერიისაგან დაპყრობილი ხალხების განთავისუფლებაში, როგორც მან ქუვეითის განთავისუფლებაში შეასრულა...“

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ზ. გამსახურდია
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 30 მარტი.

ეს აშკარად აშშ-ის მიერ კუვეიტის გასანთავისუფლებლად წარმოებული ომი შეახსენა საქართველოს ხელისუფალმა რ. ნიქსონს და ალბათ ამით საბჭოთა კავშირის საშინაო საქმეებში დასავლეთის ქვეყნების აქტიურ, მათ შორის, აშკარად სამხედრო ჩარევასაც გულისხმობდა. ეს ყურში მოხვდა გამოცდილ ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეს და მან სწრაფად მიუგო: „იმედი მაქვს, რომ გარდამავალი პერიოდი საქართველოში უსისხლოდ დასრულდება“.

ამ ვიზიტის შემდეგ ურთიერთობა აშშ-ს წარმომადგენლებთან ინტენსიური აღარ ჩანს. 4 ივლისს საქართველოს უკვე პრეზიდენტის რანგში მყოფი ზ. გამსახურდია, მიიწვიეს მოსკოვის ამერიკის საელჩოში აშშ-ის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებულ ოფიციალურ მიღებაზე. მაგრამ ამის შემდეგ ურთიერთობა ამერიკასთან საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას სერიოზულად გაუფუჭდა – შესაძლებელია ამის მიზეზი საქართველოს პრეზიდენტის, მისი მთავრობის მეტად მოუზომელი შენიშვნებიც იყო?

„ბატონი ბუშის ვიზიტმა მოსკოვსა და კიევში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... ამერიკის პრეზიდენტი ჩამოდის იმპერიაში და აგიტაციას უწევს სამოკავშირეო ხელშეკრულებას... ჩვენ ვისურვებდით, რომ ამერიკის პრეზიდენტი და მთავრობა მხარს უჭერდნენ არა კომუნიზმს, ტირანიას და მოჩვენებით რეფორმებს, არამედ ჭეშმარიტ დემოკრატიას“

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განცხადება
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 9 აგვისტო

თავისი შინაარსით უტაქტო, დიპლომატიური ეტიკეტის სრული უგულებელყოფით გაკეთებული ეს განცხადება, საქართველოს ხელისუფლების სრულ უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს. ეს განცხადება თავიდანვე დაგმო საქართველოში ხელისუფლების ოპოზიციამ, ცოტა მოგვიანებით – სახელისუფლო სტრუქტურის ზოგიერთმა წარმომადგენელმაც. ზ. გამსახურდიას და მის მთავრობას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია თავის მოქმედებებში, უპირველეს ყოვლისა, მუდამ გამოდიოდა მისთვის ფუძემდებლური დემოკრატიის საყოველთაო პრინციპებიდან. ითვალისწინებდა იმასაც, თუ რამდენად ბოლომდე იყო საქართველოს ხელისუფლება ერთგული დასავლური ფასეულობებისადმი, ადამიანის აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებებისადმი, რამდენად ადეკვატურად აღიქვამდა საქართველოს პრეზიდენტი მსოფლიოს გლობალურ გამოწვევებს. როგორც ჩანს, ამერიკის პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა (უფროსი) ეს ზვიად გამსახურდიას მოქმედებებში ვერ შეამჩნია.

„მე მგონია, რომ ეს არის კაცი, რომელიც ცოტა არ იყოს დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს.“

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი)
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 13 სექტემბერი

ჯ. ბუში (უფროსი)

ამერიკის სახელმწიფოს მეთაურის ეს თვალსაზრისი, ძალიან მალე გაიზიარეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა, ინფორმაციის წამყვანმა სააგენტოებმა, უცხოელმა ჟურნალისტებმა. სავარაუდოა, რომ საქართველოს ზ. გამსახურდია და მისი გარემოცვა ვერ გაერკვა მსოფლიოს გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში და თავისი ოფიციალური გამოსვლებით უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია.

შეუჩერებელი დემოკრატიული ფრაზეოლოგიის ვითარებაში, ქვეყანაში აშკარად ინერგებოდა ავტორიტარული რეჟიმის ავბედითი კონტურები, „პიროვნების კულტის“ მავნე პრაქტიკა, რაც სრულიად დაუფარავად ხალისდებოდა ხელისუფლების მხრიდან; არსებული რეჟიმი სულ უფრო აქტიურად იყენებდა ოპოზიციის დათრგუნვის ტოტალიტარულ მეთოდებს, რაც საზოგადოებას 1937 წლის საშინელ რეპრესიებს ახსენებდა; ხალისდებოდა საქართველოს პრეზიდენტის მომხრე ფანატიკოსთა თავაწყვეტილი თარეში, ოპოზიციის ლიდერების დევნა, სისხლიანი ანგარიშსწორების მეთოდები.

„შეერთებული შტატების მთავრობა შეშფოთებულია საქართველოში შექმნილი სიტუაციით. ჩვენ ვგმობთ ძალადობასა და მუქარის გამოყენებას მიმდინარე კრიზისის დროს და მოვუწოდებთ ორივე მხარეს შეწყვიტოს ასეთი ტაქტიკა... ძალადობის გამოყენება რომელიმე მხარის მიერ დაუყოვნებლივ გამოიწვევს ჩვენს უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოსადმი... ამ სიტუაციაში ამერიკის შეერთებული შტატებისათვის შეუძლებელი იქნება საქართველოსთვის იმ პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების აღმოჩენა, რომელიც მის კეთილდღეობას სჭირდება“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება (1991 წ. ნოემბერი)
გაზ. „საქართველო“, 1991 წ. 20 დეკემბერი.

სწორედ გლობალური პროცესების არაადეკვატურმა აღქმამ დააკარგვინა ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას ავტორიტეტი და გავლენა საერთაშორისო არენაზე. აქ უპრიანია გავიხსენოთ დიდი ქართველი ფილოსოფოსის მ. მამარდაშვილის ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი გლობალური პოლიტიკის ძირითადი კანონებისა და ამ ვითარებაში საქართველოს პოლიტიკოსთა ქმედედებების მიზანშეწონილობის შესახებ, სწორედ იმ კანონების შესახებ, რომელთა გაუთვალისწინებლობამ ზვიად გამსახურდია საერთაშორისო არენაზეც მარტო დატოვა.

ურთიერთობა საპატრიარქოსთან და პატრიარქთან. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როცა მრევლმა არ შეისმინა კათოლიკოს-პატრიარქის

ბრძნული რჩევა და ისტორიული განვითარების წარმოუდგენლად სისხლიანი გზა აირჩია, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, კვლავ საქართველოს მოსახლეობას უფლისკენ მისასვლელი გზების ძიებას შთააგონებდა და ცდილობდა თავისი ეპისტოლეებით, მიმართვებით, საღვთო სწავლებებით გაენეიტრალებინა ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მატერიალური თუ სულიერი მდგომარეობა. უაღრესად დიდი მნიშვნელობის იყო მისი მიმართვა საქართველოს მთელი მოსახლეობისადმი, რომ შეეწყვიტათ ძმათაშორის დაძაბულობა და გახშირებული მკვლელობის შემთხვევები. მიიღეს ბრძანებულება, რომ „ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის დანაშაულისა თუ უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად და მკვლელის სახელი შეტანილ იქნას საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში თაობიდან თაობაზე გადასაცემად“. ვერ ვიტყვით, რომ ეს მთლად რაციონალური გადაწყვეტილება იყო, მან გარკვეული სტიმული მისცა სეპარატისტებს ანტიქართული ისტერიის გასაღვივებლად და ეს ინიციატივა საპატრიარქომ ძალიან მალე დაივიწყა.

ურთულესი კრიზისის პირობებში, 1991 წლის აპრილში, როცა რუსეთის სამხედრო ძალები და მოსკოვის უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები ახალისებდნენ საქართველოში ძმათამკვლელ ომს, საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სუვერენიტეტს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ოფიციალურად მიმართა თხოვნით რომის პაპს იოანე-პავლე II, კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს დემეტრიოს I-ს, მოსკოვის პატრიარქს ალექსი II-ს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს, ღირსს ემილიო კასტროს, დახმარებოდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს შეენარჩუნებინა ტერიტორიული ერთიანობა, აღედგინა დაკარგული სუვერენიტეტი და მოეგერიებინა გარეშე მტრების შეუნიღბავი აგრესია.

მისი უწმინდესობა ძრწოლით შეჰყურებდა იმას, თუ როგორ თანდათან უპირსპირდებოდნენ საქართველოს საზოგადოების დიდი ჯგუფები ერთმანეთს უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების განცხადებებისა თუ ქმედებების გამო, როგორ მოახერხეს და შეძლეს ამ ადამიანებმა საზოგადოების შუაზე გახლეჩა, ეს იმ დროს, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო ერთიანობა და ერთობლივი მიზანმიმართული საქმიანობა ქვეყნის საბოლოო განთავისუფლებისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის.

„საქართველოს ისტორიაში მოხდა მეტად სავალალო ფაქტი: ერი დაიყო. ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს; დაუპირისპირდნენ ერთმანეთს თაობები, ოჯახის წევრები...“

საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II

საქართველოს სულიერი მამა ცდილობდა მოენახა საშუალება დაპირისპირებული მხარეების შესარიგებლად, მათი ძალისხმევის გასაერთიანებლად, რათა ქვეყანას შესძლებოდა არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, თავისუფლებისაკენ მიმავალი ოპტიმალური გზების მონახვა და

რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მოპოვება. საქართველოს საპატრიარქოში რამდენჯერმე შედგა შეხვედრა ოფიციალური ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ უშედეგოდ. არცერთი მხარე თავისი პოზიციებიდან უკან არ იხევდა. მისმა უწმინდესობამ ძალიან კარგად ახსნა ეს მოვლენა:

„ამპარტავნება ეს არის უპირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც თითქმის ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტ-ნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლოებისა“...

საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II

მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმულ პარტიებს და მათ ლიდერებს იმჟამად არც პატრიარქის რჩევები აღელვებდათ და, როგორც ისტორიამ დაადასტურა, რეალურად არც ქვეყნის მომავალი ბედი. პირიქით, ოფიციალური ხელისუფლების წახალისებით დაიწყო საქართველოს საპატრიარქოსა და მისი საჭეთმპყრობლის შეუნელებელი, აღვირახსნილი დისკრედიტაცია. მას გაუხსენეს, რომ იგი მსოფლიო ეკლესიების საბჭოს ერთ-ერთი თავმჯდომარეა, რომ ეს საბჭო „ეკუმენისტური ორგანიზაციაა“ და ე.ი. არამართლმადიდებლურია თავისი არსით. გაიხსენეს ისიც, რომ კომუნისტური მმართველობის წლებში, ათეიზმის ბატონობის ხანაში „მოხერხდა ეკლესიის შერყვნა, რასაც სასწრაფოდ გამოსწორება სჭირდებოდა“. თბილისში ხმები დაირხა, რომ მთავრობა აპირებდა ახალი რუის-ურბნისის კრების მოწვევას, რათა კათოლიკოს-პატრიარქი ტახტიდან გადაეყენებინათ.

„...ჩვენს ეკლესიას სჭირდება განწმენდა – ძველი კომუნისტური დროიდან ბევრი უარყოფითი მოვლენა და პიროვნება გადმოჰყვა ამ ახალ პერიოდს. საბოლოოდ იგი უნდა იქცეს ჭეშმარიტ წმინდა ეკლესიად. საერთოდ ვთვლი, საჭიროა საეკლესიო კრების მოწვევა და დიდი წმენდა კადრების სფეროში. საჭიროა ახალი რუის-ურბნისის კრება...“

საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია
გაზ. „ქართველი ერი“, 1991 წ. №21

ამრიგად, საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ, ნოემბრის თვეში, როცა მას განსაკუთრებით უჭირდა და აშკარად ეულად ჩანდა პოლიტიკურ სარბიელზე, საქართველოს საპატრიარქოსთან მიმავალი გზაც გადაიჭრა.

შემოქმედებითი ინტელიგენცია ურთულეს პერიოდში. ზემოთ არაერთხელ აღინიშნა XIX-XX საუკუნეში ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის უდიდესი დამსახურების შესახებ ქართველი ერის კონსოლიდაციის, მისი იდენტობისა და პოლიტიკური ერთობის აღორძინებისა და განმტკიცების საქმეში. ინტელიგენციის გამორჩეული როლი ქვეყნის ცხოვრებაში – საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი თავისებურებაა და სწორედ მან უზრუნველყო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებშიც კი ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების არნახული განვითარე-

ბა. სწორედ ქართველმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ თავისი დიდებული და პროგრესული შემოქმედებით განაპირობა XX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართველებში ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაც, ეროვნული სიამაყის აღორძინებაც და თავისუფლებისადმი ლტოლვის დაუოკებელი წყურვილის განვითარებაც.

ჯ. ჩარკვიანი

საქართველოს ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველ ეტაპზე, მიუხედავად სხვადასხვა შეხედულებისა თუ პოლიტიკური თვალსაზრისისა, შემოქმედებითი ინტელიგენცია აშკარად მხარს უჭერდა თბილისის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მის საქმიანობაში. საჯარო კრიტიკა ჯერ არსად ჩანდა. ეს შესამჩნევი იყო მწერლის რ. ჯაფარიძის, ფილოსოფოსის ნ. ნათაძის, ფილოლოგ თ. კვაჭანტირაძისა და სხვათა საჯარო გამოსვლებში, პუბლიკაციებში. მაგრამ უკვე ორი-სამი თვის გასვლის შემდეგ ბევრი მათგანის პოზიცია ხელისუფლების მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ამის მიზეზი ინტელიგენციაში კი არ უნდა იყოს საძებარი, არამედ ხელისუფლებაში – რაც დრო გადიოდა სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა ავტორიტარიზმის ელემენტების გაძლიერება, პიროვნების კულტის დამკვიდრების მცდელობა, ოპონენტების მიმართ ღვარძლიანი დამოკიდებულების ესკალაცია.

ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ პოლიტიკურ მიტინგებზე სიტყვაში გამოსული პრეზიდენტის მომხრე პოლიტიკური ძალები საკმაოდ მწვავედ აკრიტიკებდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ბედავდნენ ზ. გამსახურდიას პოლიტიკური გუნდის გადადგმული ნაბიჯების სამართლიან კრიტიკას, რასაც „მდედრიონის“ წარმომადგენლები, როგორც წესი, უსამართლოდ თვლიდნენ.

ვითარებას კიდევ ისიც ამძიმებდა, რომ პრეზიდენტის მომხრე ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები (მაგალითად, პოეტი მ. მაჭავარიანი და სხვ.) შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ გაძლიერებულ უსამართლო კრიტიკას არც კი ამჩნევდნენ და არ ცდილობდნენ ამ ზეწოლის ნეიტრალიზებას.

ვითარება ისე გამწვავდა, რომ ქართველი ინტელიგენციის დიდმა ჯგუფმა უკვე მარტის თვის დასაწყისში (ფაქტობრივად ხელისუფლებაში ზ. გამსახურდიას მოსვლის მეოთხე თვეს), საპროტესტო წერილით მიმართა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მას შეეწყვიტა მისი მხარდამჭერების მხრიდან ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების დაუმსახურებელი დისკრედიტაცია, ზეწოლა, ცილისწამება.

„...საქართველოს მტრები აკლია..., რომ ბაქრაძის, ადვაძის და სხვათა სახით კიდევ მტრები ვეძებოთ? თითქოს გარშემო მხოლოდ ერის მოღალატეები და კრემლის აგენტები არიან? არ გეცნობათ... ტელევიზიაში და ოფიციალურ პრესაში ატეხილი „მუშურ-გლეხური“ კამპანია ინტელიგენციის წინააღმდეგ? აქედან ხომ ერთი ნაბიჯი რჩება ამბროსი კათოლიკოსის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშ-

ვილის, მიხ. ჯავახიშვილის, გრ. წერეთლისა და სხვათა მოკვეთამდე! ხოლო დიქტატურამდე ის ერთი საბედისწერო ნაბიჯიც ადარაა დარჩენილი!

ჭ. ამირეჯიბი, მ. ბაქრაძე, ი. ბერიშვილი, გ. გეგეჭკორი, მ. გიგინეიშვილი,
ნ. გელაშვილი, რ. მიმინოშვილი, კ. მახარაძე, ო. მეღვინეთუხუცესი,
ნ. მჭედლიძე, ვ. კოტეტიშვილი... მ. კოკოჩაშვილი, თ. კვაჭანტირაძე,
გ. სალარაძე, ...ლ. თაბუკაშვილი, რ. ჩხიკვაძე... ს. ჭიაურელი... ჯ. ჩარკვიანი...
გაზ. „საქართველო“, 1991 წ. 12 მარტი.

ეს ყველა ქართველისთვის ძვირფასი და გამორჩეული სახელებია, ყველა მათგანმა უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული კულტურის, მეცნიერების განვითარებას, ყველა მათგანს გულწრფელად შესტკიოდა გული საქართველოს მომავალზე და სურდა ეს მომავალი, ეს თავისუფლება რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით, სამოქალაქო დაპირისპირებისა და კონფრონტაციის გარეშე მომხდარიყო.

იყო თუ არა მცდელობა საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის მხრიდან მომხდარიყო ხელისუფლებასთან დაახლოება, კომუნიკაცია, შერიგება? სამწუხაროდ ეს მცდელობა აწყდებოდა გაუგებრობის კედელს, გულგრილობას, ღვარძლს...

„დღეს საქართველოს ბედი ჰკიდია სასწორზე და თუ ამას ქართველი ხალხი ვერ შეიგნებს, მაშინ მას გარდაუვალი უბედურება ელის. თუ ქართველი ხალხი შეიგნებს, თუ რა დიდი უბედურება გველის წინ, თუ რა საფრთხის წინაშე დგას დღეს მთელი საქართველო, მაშინ ჩვენ გავუწოდებთ შერიგების ხელს, მაშინ ჩვენ შევეცდებით იმას, რომ ჩვენ ერთმანეთს სახეში კი არ მივაფურთხოთ, არამედ ძმურად გადავეხვიოთ და შევეცადოთ ჩვენი ქვეყნის გადარჩენას, რადგან არ არის სხვა გზა, კიდევ ვიმეორებ გადარჩენისა, გარდა ერთიანობის, გარდა შეთანხმებისა და ერთიანი გეგმით მოქმედებისა, სხვა ყველა გზა დამღუპველია...
აკაკი ბაქრაძე
გაზ. „ერთობა“,1991 წ. №3.

შერიგება, საერთო გზის დასახვა, ერთობლივი ძალისხმევა საქართველოს გადასარჩენად – ეს დროის გამოწვევა იყო და არც თუ ისე ძნელი შესასრულებელიც – საჭირო იყო მხოლოდ მეორე მხარესაც გადაედგა შემხვედრი ნაბიჯი... მაგრამ მეორე მხრიდან ოპონენტებისაგან მხოლოდ კაპიტულაციას ითხოვდნენ... ამაზე კი საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილი არ წავიდა. ისინი უკვე დადგნენ რადიკალური ოპოზიციის მხარეზე – ზ. გამსახურდიამ აშკარად დაკარგა ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა.

ამ დაპირისპირებას, საკმაოდ ყურადღებით, თვალს ადევნებდნენ ავტონომიურ რესპუბლიკებშიც...

საქართველოს ავტონომიები კრიზისის პირობებში. შანსი, შეჩერებულიყო ძმათამკვლელი ომი ცხინვალის რეგიონში, როგორც ვნახეთ, 1991 წელს ხელიდან იქნა გაშვებული. დღეს მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას, რომ მ. გორბაჩოვის 7 იანვრის გადაწყვეტილების რეალიზება გარკვეულ დადებით შედეგებს გამოიღებდა და მოხერხდებოდა კონფლიქ-

ტის მოგვარება „ცენტრის ხელით“ – საკავშირო კონსტიტუციის პრინციპებზე დაყრდნობით. მაგრამ, დღეს ჩვენ დაბეჯითებით მხოლოდ ის ვიცით, თუ რა გამოიწვია სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულმა თბილისის ხისტმა პოლიტიკამ – რეგიონში მოხდა დაძაბულობის შემდგომი ესკალაცია და მასში დაპირისპირების მხარე – საქართველოს ხელისუფლება იყო. ვითარება იმდენად დაიძაბა ცხინვალის რეგიონში, რომ ზ. გამსახურდია იძულებელი გახდა დათანხმებულიყო სსრკ შინაგანი ჯარების სპეციალური ქვედანაყოფების შეყვანასაც კი. ეს მისი სერიოზული შეცდომა იყო. მოგვიანებით, თვითმხილველები აღნიშნავდნენ, რომ ტელევიზიით გამოსვლის დროს, ამ გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს „სახე დაკარგული ჰქონდაო“. ფაქტობრივად ოსმა სეპარატისტებმა მიიღეს ის, რასაც ელოდნენ – აშკარა მატერიალური დახმარება რუსეთის სამხედროებისაგან. ვითარება არ განიმუხტა, პირიქით – ოსი ექსტრემისტები კიდევ უფრო გათავხედდნენ...

„17 იანვარი... დაიძაბა ვითარება ჯავის რაიონსა და ცხინვალში. 18 საათსა და 30 წუთზე, მდინარე ლიახვის ხიდის მიმდებარე მიდამოებში, ექსტრემისტებმა ააფეთქეს ავტომანქანა „ჟიგული“, რომელშიც ისხდნენ ქართველი მილიციის თანამშრომლები... 18 იანვარს ცხინვალში, განსაკუთრებით, მის გარეუბნებში, ისმოდა სროლა...

„მდგომარეობა ცხინვალში“
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 19 იანვარი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ქართველი დეპუტატების, სამღვდელოების, ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების უამრავი მიმართვა სხვადასხვა ინსტანციაში ოსი სეპარატისტების ქმედების აღსაკვეთად, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ინტერესების დასაცავად რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა აღმოჩნდა გაუსაძლის მდგომარეობაში – ვერც სსრ კავშირის შინაგანი ჯარებისა და ვერც საქართველოს მილიციის გაძლიერებული რაზმების საქმიანობა ვერ ახერხებდა ოსი სეპარატისტების ცალკეული ბანდების გაუვნებელყოფას. სამაგიეროდ მოხერხდა 29 იანვარს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის“ ტ. კულუმბეგოვის დაპატიმრება. ამან კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება ცხინვალის რეგიონში, რასაც მოწმობს იმჟამად ოპოზიციურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

„სოფელ აჩაბეთის, 27 იანვრის შეკრების მონაწილეთა გადაწყვეტილება – დროულად მოგვხედოთ – გამოწვეულია არა მარტო საქართველოს მიწა-წყლის დაცვის აუცილებელი სურვილით, არამედ ჩვენი მოხუცი მშობლებისა და უმწეო ბავშვების თხოვნითა და ვედრებით. დიდად დაგვამწუხრა თქვენმა გადაწყვეტილებამ სამაჩაბლოდან ქართული მილიციის გამოყვანის თაობაზე... მოვითხოვთ: 1. საქართველოს უზენაესმა საბჭომ უახლოეს სხდომაზე განიხილოს შიდა ქართლში შექმნილი რთული მდგომარეობა და გაატაროს ყველა ქმედითი სასწრაფო ღონისძიება ოს ექსტრემისტთა თარეშის აღსაკვეთად; 2. უახლოეს დღეებში სამაჩაბლოს ქართულ მოსახლეობას ადგილზე შეხვდეს დეპუტატი ვაჟა ადამია და სხვა დაინტერესებული ხელმძღვანელები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დავაყენებთ

საკითხს ვ. ადამიას გაწვევის შესახებ; 3. მსჯელობის საგნად იქცეს კომენდანტის საათის შემოღების სისწორე და თვით კომენდანტის მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა“

წაკითხულია მიტინგზე სოფ. აჩაბეთში 1991 წლის 27 იანვარს.
გაზ. „ქართული ქრონიკა“ № 1.



ა. აბაშიძე

პოლიტიკური სიმშვიდის ოაზისს 1991 წელს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. თუმცა, აქაც იმართებოდა მიტინგები, სადაც აპროტესტებდნენ მოსკოვის ცენტრის სხვადასხვა გადაწყვეტილება, საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევას, ოსი ექსტრემისტების თარეშს და ა.შ.

5 იანვარს, ადგილობრივმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ადგილობრივი უზენაესი საბჭოსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დასაკომპლექტებლად არჩევნები დაენიშნა 1991 წლის 3 მარტს, თუმცა არჩევნები რამდენჯერმე გადაიდო: ცენტრი აჭარაში თავის ერთგულ კანდიდატს ამზადებდა, შეიძლება სხვა ჩანაფიქრებიც იყო...

როგორც ჩანს, იგეგმებოდა აჭარის ავტონომიის გაუქმებაც – ეროვნული მოძრაობის სახელისუფლო ფრთა ავტონომიებს „ხელოვნურ წარმონაქმებს“ უწოდებდა, „სტალინის საქმიანობის შედეგებად“ აღიქვამდა. როგორც ჩანს, ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ ლიდერს დაავიწყდა, რომ აფხაზეთისა და სამუსლიმანო საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭება გათვალისწინებული იყო საქართველოს I რესპუბლიკის კონსტიტუციითაც.

ზ. გამსახურდიას უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოს ერთიან სხეულზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხელოვნური ავტონომიური ერთეულებების შექმნის შესახებ, აჭარის ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელიც იზიარებდა და მათი საგაზეთო პუბლიკაციები თბილისსა თუ ბათუმში საკითხისადმი საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების ხარისხის გარკვევას ითვალისწინებდა.

„...კრემლი მას იმიტომ ქმნიდა, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობა დანარჩენი საქართველოსათვის დაეპირისპირებინა, რაც მომავალში გააადვილებდა ქართველთა, მათ შორის მაჰმადიან ქართველთა გარუსების საქმეს... საბოლოოდ, ავტონომიურმა სტრუქტურამ მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მართვისა და დაგეგმვის პირობებში უაღრესად უარყოფითი, დამთრგუნველი როლი შეასრულა აჭარის მთელი მოსახლეობის (ქართველებისა და არაქართველების) ცხოვრებაში...

პროფ. დავით ხახუტაიშვილი
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“.1991 წ. 12 ივლისი.

აჭარაში უაღრესად პატივცემული, დამსახურებული ქართველი ისტორიკოსის ეს განცხადება სწორედ იმ ძალების ზემოქმედების შედეგია, რომლებიც ავტონომიების დაუყოვნებლივ გაუქმებას გეგმავდნენ. არ შეიძლება დ. ხახუტაიშვილს არ სცოდნოდა, რომ აჭარის ავტონომიის იდეა ბოლშევიკებს კი არა, არამედ დიდ ქართველ მამულიშვილს, მემედ აბაშიძეს ეკუთვნოდა და ეს სათანადოდ აისახა კიდეც მის პროგრამაში. ეს მოსაზრება თავის დროზე ნ. ჟორდანიასაც წარედგინა და სწორედ მისი ზეგავლენაც იყო, რომ დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელობამ სამუსლიმანო საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების საკითხი კონსტიტუციაში ასახა.

1991 წლის 14 მარტს, ზ. გამსახურდიას წარდგინებით, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად აირჩიეს ასლან აბაშიძე, მემედ აბაშიძის შვილიშვილი. ჩაითვალა, რომ იმჟამად მისი კანდიდატურა საუკეთესო და უალტერნატივო იყო. და მართლაც, მთელი 1991 წლის მანძილზე აჭარაში, ცენტრალურ ხელისუფლებას მისგან პრობლემები არ შექმნია: ასლან აბაშიძე თავის დროს ელოდებოდა და რეგიონში თავის შესაძლებლობებს (ძალაუფლებას) მაქსიმალურად აფართოებდა.

განსხვავებული ვითარება შეიქმნა აფხაზეთში. ქართულ ისტორიოგრაფიაში არის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „ზ. გამსახურდიას ხელისუფლების სტაბილური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციისა და მასობრივი მხარდაჭერის პირობებში, ვ. არძინბას კლანი ვერ ბედავდა აშკარა სეპარატისტული პოლიტიკის წარმოებას. ვ. არძინბა და მისი გარემოცვა, „მიუხედავად ანტიქართული ორიენტაციისა, იძულებულნი იყვნენ მიეღოთ არსებული „თამაშის წესები“ და თავი შეეკავებინათ აქტიური სეპარატისტული პოლიტიკური აქციებისაგან“.

„აფხაზეთის ავტონომიის გარანტიები, რასაც გვთავაზობს საქართველოს უზენაესი საბჭო, ეფუძნება ძველ იმპერიულ აზროვნებას და სურვილს, რადაც უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნონ არსებული იერარქია, რაც ერთ ხალხს მეორეს უმორჩილებს... ეს მოძველებული ფორმაა სახელმწიფოებრიობისა, არავითარ შემთხვევაში არ პასუხობს აფხაზი ხალხის ინტერესებს...

Абхазия: курс неизмнен
გაზეთი „Абхазия“ მოწინავე. 1991 წ. 5 აპრილი

ვ. არძინბა

ამრიგად, აფხაზეთის ეთნოკრატია თავიდანვე მკვეთრად ეურჩებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას და თამაშობდა თავისი წესებით (მათ ჩაატარეს მ. გორბაჩოვის მიერ ორგანიზებული რეფერენდუმი, გააყალბეს ის და საჯაროდ ამტკიცებდნენ, რომ აფხაზებს განახლებულ კავშირში შესვლა სურდათ), იმკვიდრებდა და იმტკიცებდა გავლენებს მოსკოვში და საკმაოდ ძლიერი მფარველებიც დაძებნეს ე.წ. რუს „უფლებადამცველებში“ (აკად. ა. სახაროვი, აკად. ს. ლიხაჩო-

ვი და სხვ.), ამიტომ მთლად არგუმენტირებული არ ჩანს ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი. აფხაზები რეგიონში ძალიან მცირერიცხოვანი იყვნენ. ეთნიკური ოსების რაოდენობა საქართველოში მათ თითქმის სამჯერ ჭარბობდა და სწორედ ამიტომაც მათ დაუთმეს ანტიქართულ ბრძოლაში „პირველი ვიოლინოს“ უფლება – აფხაზეთის ეთნოკრატიამ საწყის ეტაპზე, აშკარად, ლოდინის პოზიციას ამჯობინა, ის ძალებს იკრებდა, ანტიქართული ძალების კონსოლიდაცია საკმაოდ წარმატებით ახორციელებდა და თავის დროს ელოდა.

აფხაზეთში თავის პოზიციებს ყოველთვიურად იმტკიცებდა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“ (თანადგომა) – პირწავარდნილი ანტიქართული პოლიტიკური ორგანიზაცია. უკვე 1991 წლის 23 აპრილს შეიქმნა ე.წ. „სლავური სახლი – რუსული კულტურის საზოგადოება აფხაზეთში“. როგორც სამართლიანად არის აღნიშნული „სლავური სახლი იყო მკაცრად იდეოლოგიზირებული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის ფუნქციას აფხაზეთში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გატარება წარმოადგენდა“. ასევე სერიოზულ პრობლემას ქმნიდა აფხაზეთში მცხოვრები სომხების აშკარად პრორუსული ტენდენციები და ანტიქართული ფრაზეოლოგია, რაც თავიდანვე გამოვლინდა პოლიტიკურ გაერთიანებაში „კრუნქი“, რომელიც ასევე ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბდა. ამ გაერთიანებამ სამხედრო შენაერთი „ბაგრამიანის ბატალიონიც“ ჩამოაყალიბა და თავისი ანტიქართული საქმიანობით ზოგჯერ აფხაზ ეთნოკრატიასაც კი გადაასწრო.

ქართველობა აფხაზეთში მნიშვნელოვნად ბევრი იყო, მაგრამ, როგორც ხშირად ხდებოდა საქართველოს ისტორიაში, აქაც გამოიკვეთა განსხვავებები შეხედულებებში ზ. გამსახურდიას მხურვალე მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის. ეს დაპირისპირება კი ყოველდღიურად ძლიერდებოდა.

ზ. გამსახურდიას, ერთ პერიოდში, სურდა აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრებულიყო ბ. ადლეიბა და მისი „ოჩამჩირული“ პოლიტიკური დაჯგუფება, მაგრამ ეს მან ვერ მოახერხა. მოსკოვში საბჭოების ყრილობებზე, აშკარად ანტიქართული გამოსვლებით სახელგანთქმული ვ. არძინბა თანდათან აფხაზთა უალტერნატივო ლიდერად ჩამოყალიბდა. აფხაზებისათვის გაგზავნილ ზ. გამსახურდიას უამრავ მოწოდებებს, შეხსენებებს „აფხაზურ-ქართული ისტორიული ძმობისა და ინტერესთა ერთობის“ შესახებ, კონკრეტული შედეგები არ მოჰქონდა. პროსაბჭოთა, პრორუსული ორიენტაცია საკმაოდ მყარად აცემენტებდა რეგიონში მცხოვრებ აფხაზს, რუსს და სომეხს. ქართველობამ ამ ერთობის გათიშვა ვერ შეძლო.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ვითარება კიდევ უფრო გააუარესა, დაგეგმილი ადგილობრივი უზენაესი საბჭოს არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებამ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი მას „კომპრომისულს“ უწოდებს, ზოგიც „აპართეიდულს“. მე მას დავარქმევდი „უვარგისს“. მართალია, კოდექსი საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტების მიერ იყო შედგენილი, მაგრამ ის არ შეიძლება ყოფილიყო „კომპრომისული“ – რა კომპრომისზე წავიდნენ აფხაზები ამ კოდექსის მისაღებად? – არაფერზე. მაგალითად, რომ მომხდარიყო თბილისსა და სოხუმს შორის ასეთი შეთანხმება, რომ აფხაზეთის ეთნოკრატია, ამ კომპრომისის სანაცვლად, 20-30 წლის მან-

დ. ჯაიანი

ძილზე ანტიქართულ პოლიტიკას არ გაატარებდა, არ დააყენებდა საქართველოსაგან გამოყოფის, სხვა – მესამე სახელმწიფოსთან „ანშლუსის“ განხორციელების მოთხოვნას და ა.შ. და ა.შ., მაშინ შეიძლება კიდევ დარქმეოდა მას „კომპრომისული“. ამ საარჩევნო კოდექსმა, როგორც ეს მომდევნო წლებმა ცალსახად აჩვენა, აფხაზეთის ქართველობას დიდი უბედურება მოუტანა, რადგან მან „ვერ იმუშავა“, და რომ „ვერ იმუშავებდა“, ეს თავიდანვე ჩანდა: 17 პროცენტიან აფხაზებს რეგიონალურ პარლამენტში ექნებოდათ 28 მანდატი, 47 პროცენტიან ქართველობას – 26 მანდატი და სხვა ეთნკურ წარმომადგენლობას 11 მანდატი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აფხაზეთში რუსი და სომეხი ყოველთვის აფხაზების, მოსკოვის მხარეს დაიჭერდნენ და მუდამ უმრავლესობა ექნებოდათ რეგიონალურ საკანონმდებლო ორგანოში – უნდა ჩაითვალოს, რომ ამ გარიგებით თბილისმა დიდი შეცდომა დაუშვა. ეს იმწუთშივე შეიგრძნეს აფხაზეთში მცხოვრებმა ჭეშმარიტმა ქართველმა პატრიოტებმა, მაგრამ უკვე გვიან იყო...

„ამა წლის 8-9 აგვისტოს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ოლქების შესახებ“, რომელიც უხეშად არღვევს სარჩევნო კანონის და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მიერ დეკლარირებულ მოქალაქეთა თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპს.

აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს – მ. პატარაია, დ. ჯაიანი
გაზ. „საქართველო“, №16 (აგვისტო)

ამ „კომპრომისული“ საარჩევნო კანონით, აფხაზეთში ჩატარდა არჩევნები, რომელიც დაემთხვა თბილისის პოლიტიკური პროცესების მკვეთრ გაუარესებას, ხელისუფლებისა და ოპოზიციას შორის დაპირისპირების ესკალაციას და აფხაზეთის პრობლემებისათვის არავის ეცალა. „კომპრომისული“ საარჩევნო კანონი და ქართველთა გათიშულობა ჩინებულ ფონს ქმნიდა აფხაზეთის ეთნოკრატიის გარკვეული ჯგუფებისათვის მოსკოვის დახმარებით წარმატებით გაეგრძელებინათ თავისი ანტიქართული საქმიანობა.

აგვისტოს პუტჩი. მიუხედავად „საგარეო პოლიტიკური წარმატებებისა“, რასაც მ. გორბაჩოვის ხელისუფლება აღწევდა და რის გამოც საბჭოთა ლიდერს დიდი სიხარულით ხვდებოდნენ ევროპასა და ამერიკაში, საბჭოთა კავშირში მის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება ყოველდღიურად ძლიერდებოდა. ეს პროცესი კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, როცა ე. შევარდნაძემ სახალხო დეპუტატების უზენაესი საბჭოს ყრილობის ტრიბუნიდან საჯაროდ იწინასწარმეტყველა ქვეყანაში დიქტატურის მოახლოება და სამარცხვინო ძელზე გააკრა ის პირები, რომლებიც პოზიტიურ პროცესებს აფერხებდნენ და ქვეყანას აშკარა რეგ-

რესისაკენ უბიძგებდნენ. 1991 წლის ზაფხულში ე. შევარდნაძე ოფიციალურად გამოვიდა კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

ბარიკადები მოსკოვში

რუსეთის ფედერაციაში სოციალური და ეკონომიკური დაძაბულობა კულმინაციას მიუახლოვდა: დიდი საწარმოო ცენტრები, ინდუსტრიული ქალაქები, მთელი რეგიონები ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ასეთ ვითარებაში, პოლიტიკურმა და სამხედრო ძალებმა, რომლებიც საბჭოთა სისტემის გადარჩენას ცდილობდნენ, გადადგეს რადიკალური ნაბიჯი: მათ 18 აგვისტოს ყირიმში დასასვენებლად მყოფი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი დააპატიმრეს და ოფიციალურად განაცხადეს „მისი ავადმყოფობის გამო თანამდებობიდან გადადგომის შესახებ“. ამ ადამიანებმა შექმნეს ე.წ. „გკჩპ“ (განსაკუთრებული მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტი), რომელმაც გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და ხელში აიღო უზენაესი ძალაუფლება. სულ მცირე ხნით ქვეყანაში დამყარდა გაურკვეველი ვითარება. გადატრიალების ორგანიზატორებმა რესპუბლიკებში თავისი ემისრები დაგზავნეს და ადგილობრივ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მოსთხოვეს მთელი რიგი პირობების აუცილებლად შესრულება. ასეთი ემისარი საქართველოშიც ჩამოვიდა.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში, უკრაინაში, თვითონ მოსკოვში და ქვეყნის ზოგიერთ სხვა კუთხეში „გკჩპ“ უკანონობის საპირისპიროდ დაიწყო ძლიერი წინააღმდეგობის მოძრაობა, გაფიცვები, დემონსტრაციები. მოსკოვში საპროტეტო გამოსვლებს ხელმძღვანელობდა ბ. ელცინი. მასთან ერთად დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად გამოვიდა და პროტესტანტებს მხარი დაუჭირა ე. შევარდნაძემაც.

საქართველოში მოხდა ისე, რომ ხელისუფლებამ 18-21 აგვისტოს ოფიციალური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აღარ გაავრცელა და მოსახლეობამ არ იცოდა, თუ რა ხდებოდა და როგორ მოქცეულიყვნენ. მთავრობის სატელევიზიო მოწოდებაში ნათქვამი იყო შემდეგი:

„...საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნიათ, რომ შექმნილ ვითარებაში, მთავარია შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა... მოგიწოდებთ ყველას ვიყოთ სამუშაო ადგილებზე, შევასრულოთ სამსახურეობრივი მოვალეობა, არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ დავუშვათ თვითნებური მოქმედება... დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამგვარად შევძლებთ ჩვენს რესპუბლიკაში სამოქალაქო სიმშვიდისა და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას...“

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

თბილისი. 1991 წ. 19 აგვისტო.
გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 20 აგვისტო.

საქართველოს ხელისუფლების ეს ფრთხილი და აწონდაწონილი განცხადება მთლიანად გამომდინარეობდა მოსკოველი ემისარის მიერ ჩამოტანილი დირექტივების სულისკვეთებიდან. არა გაფიცვას, არა საპროტესტო გამოსვლას, არამედ „შევინარჩუნოთ სიმშვიდე, წესრიგი და დისციპლინა...“ ეს ზ. გამსახურდიას სერიოზული შეცდომა იყო...

მაგრამ „გკჩპ“ ამ დირექტივაში იყო სხვა მნიშვნელოვანი მოთხოვნაც, რაც ასევე აისახა საქართველოს პრეზიდენტის უკვე სხვა ბრძანებულებაში:

„1. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს – ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი; 2. გაუქმდეს თავდაცვის სამთავრობო კომისია. 3. გაუქმდეს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა...

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზ. გამსახურდია
თბილისი, 1991 წ. 19 აგვისტო

ეროვნული გვარდია

აშკარაა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ეს ნაბიჯი, გათვლილი იყო მოსკოვში „გკჩპ“ საბოლოო გამარჯვებაზე: მათ ეგონათ, ამით ქვეყანას ააცილებდნენ განრისხებული პუტჩისტების აგრესიას და მათ „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს“.

პოლიტიკური მდგომარეობა გაამძაფრა იმანაც, რომ ზ. გამსახურდიამ განახორციელა მნიშვნელოვანი სამთავრობო ცვლილებები: მან გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან: პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა (მოგვიანებით თ. სიგუამ განაცხადა, რომ ის თვითონ, თავისი ნებით გადადგა შექმნილი გაუსაძლისი პოლიტიკური ვითარების გამო), საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ხოშტარია, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ქვილითაია და სხვები. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ბ. გუგუშვილი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად – მ. ომანიძე.

ამასობაში, მოსკოვში მოხერხდა „გკჩპ“ სამხედრო გადატრიალების ლიკვიდაცია, დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვეს, მ. გორბაჩოვი კვლავ დაუბრუნდა კრემლის კაბინეტს.

საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას ეს სიფრთხილე, ეს თავშეკავება უკვე არა მარტო მისმა ძველმა ოპონენტებმა, არამედ

თანამდებობიდან ახლადგანთავისუფლებულმა პირებმაც, მისმა ძველმა თანამებრძოლებმაც, ლაჩრობად, „გკჩპ“-სთან გარიგებად, თანამშრომლობად ჩაუთვალეს და მის საწინააღმდეგოდ ძლიერი აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს.

სირთულეს ქმნიდა ისიც, რომ თვით ზ. გამსახურდიას მომხრე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმშიც ფიქრობდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ „გკჩპ“ დროს რეაქცია დააგვიანა, რომ მათ აშკარად შეცდომა დაუშვეს.

„3. აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 19-21 აგვისტოს მოვლენებს ვერ მისცა დროული და კვალიფიციური შეფასება და დააგვიანა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევა, რითიც შექმნა მსოფლიო პოზიტიური პროცესებიდან საქართველოს ამოვარდნისა და იზოლაციის საფრთხე. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ამგვარი მოქმედება შეფასდეს უარყოფითად.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება (პროექტი)
„1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენათა პოლიტიკური შეფასების შესახებ.
სუიცსა, ფ. 1165, აღ. 8, საქ. 2954, ფურც. 6-8.

ეს №3 პუნქტი, რომელიც შეტანილია პროექტის საბოლოო ვარიანტში, გამოქვეყნების წინ ვიღაცის ენერგიულმა ხელმა გადახაზა და ის აღარ გამოქვეყნებულა, რაც მიანიშნებს, რომ საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება ამ შემთხვევაში თვითკრიტიკულად ნამდვილად არ იყო განწყობილი და არ სურდა ამის შესახებ საქართველოს მოსახლეობას სცოდნოდა. სამაგიერდ, ყურადღების გადასატანად და ვითარების განსამუხტავად მთელი თავისი მრისხანება დაატეხეს საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

გ. ქავთარაძე

კომუნისტები და კომუნისტური ცხოვრება. საქართველოს უზენაეს საბჭოში საქართველოს კომუნისტებს 66 ადგილი ჰქონდათ და ქვეყნის მთავარი ოპოზიციური პარტია იყო. მის რიგებში საქართველოს პოლიტიკური სპექტრისა და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები შედიოდნენ: სახელოვანი რეჟისორი თ. აბულაძე, მსახიობი გ. ქავთარაძე, აკადემიკოსი ნ. ჯავახიშვილი, პროფ. ვ. კეშელავა, პროფ. გრ. მარგიანი, პროფ. ლ. ჩიქავა, პოლიტიკოსები: თ. შაშიაშვილი, ბ. გულუა, გ. ფაცაცია და სხვ. კომუნისტურ პარტიას უკვე ავთანდილ მარგიანი ხელმძღვანელობდა და კომუნისტების სადეპუტატო კორპუსი უზენაეს საბჭოში მუშაობის პირველ ეტაპზე აშკარად ლოიალურად იყო განწყობილი ზ. გამსახურდიას ხელისუფლების მიმართ. საქართველოს კომუნისტები მმართველი ბლოკის მიერ თითქმის ყველა გადადგმულ ნაბიჯს მხარს უჭერდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები და კომკავშირლები ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრნი იყვნენ და საკმაოდ ბევრ (თითქმის მესამედს)

საპარლამენტო მანდატსაც ფლობდნენ, მათი მდგომარეობა საკმაოდ არაკომფორტული იყო. თუ როგორ რთულ სიტუაციაში უხდებოდათ კომუნისტებს მუშაობა პარლამენტში, ამაზე კარგად აჩვენებს იმჟამინდელი პუბლიკაციებიც.

„...ჩვენს ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს კომპარტია იძულებული გახდა დაეთმო თავისი პოზიციები. მე კი, შეიძლება ვცდები, მაგრამ სხვაგვარად ვფიქრობ. ჩვენ ეროვნულ მოძრაობას ავყევით და მოხდა ისე, რომ არჩევნებში სხვა პარტიულმა ძალამ გაიმარჯვა. ოპონენტები გვიკიჟინებენ: არა ხართ მართლები, კი არ დათმეთ, არამედ დაგათმობინეთო... ჩვენი გაჩერება და გაყუჩება კი შეშინებული ხალხის გაჩერებას ნიშნავს...“

მსახიობი გოგი ქავთარაძე. გაზ. „ცხოვრება“, 1991 წ. 9 მარტი.

უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტების დისკრედიტაცია, ზეწოლა, სხვადასხვა ინსინუაცია ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. როგორც ჩანს, არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას, მის ლიდერს დაავიწდათ, რომ 1. სწორედ მათ განახორციელეს ალიანსი კომუნისტებთან, როცა დათანხმდნენ საოკუპაციო რეჟიმის მმართველობის სტრუქტურის არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა და, რომ სწორედ მათთან ერთად ჩაატარეს 1990 წლის ოქტომბრის არჩევნები; 2. რომ კომუნისტები ქვეყანაში მეორე გავლენიანი პარტია იყო და მას უნდა ჰქონოდა არა მარტო სადეპუტატო მუშაობის ნორმალური პირობები, არამედ ადგილებზე, ქალაქებსა და რაიონებში პარტიული მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობაც. ეს კი ნამდვილად არ იყო ასე. მმართველმა პარტიამ ჩათვალა, რომ მათ კომუნისტებისაგან უკვე მაქსიმუმი მიიღეს – პოლიტიკური ძალაუფლება და ახლა შეეძლოთ მათი ბოლომდე არა მარტო განადგურება, არამედ სანაგვეზე გადაგდებაც.

„1. ქართველ კომუნისტებს, კერძოდ, პარტიის ხონის რაიკომს არ აქვს მორალური უფლება სარგებლობდეს პრივილეგიებით და ეძლევათ წინადადება, დაუყოვნებლივ მოახდინონ დეპარტიზაცია და თვით რაიკომის თვითლიკვიდაცია;

2. კომპარტიის ხონის რაიკომს წინადადება ეძლევა დატოვოს რაიკომის შენობა და ის გადასცეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს...

ხონის რაიონის პრეფექტის მ. კუხალაშვილის ბრძანებიდან
გაზ. „ცხოვრება“, 1991 წ. 22 მაისი

მსგავსი დამოკიდებულება იყო კომუნისტებთან მთელ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ კომპარტიის განახლებული ხელმძღვანელობა მაქსიმალრად ცდილობდა ახალ პოლიტიკურ ვითარებას მორგებოდა და შეესრულებინა ძლიერი ოპოზიციური ძალის ფუნქცია. პარტიის ხელმძღვანელობაში ფაქტობრივად ახალი ადამიანები მოვიდნენ, სახელწოდება შეუცვალეს პარტიულ გაზეთს და „კომუნისტის“ ნაცვლად მას უწოდეს „ცხოვრება“. გარკვეული პროგრამული ცვლილებებიც შეიტანეს თავის პოლიტიკურ გეგმებში, ფორმალურად გაწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოებთან და ა.შ. და ა.შ.

„ვფიქრობთ, თეორიულად და პრაქტიკულად ყველაზე სწორი გზაა რესპუბლიკური და საკავშირო კონსენსუსის გზა, არა „კონსტიტუციათა და კანონთა ომი“, არა „პარლამენტთა ომი“, არამედ ეროვნული ნების გამომხატველი რესპუბლიკური კანონმდებლობის ფაქტობრივი უზენაესობის მიღწევა, მისი აღიარება ცენტრის მიერ, ცენტრთან კონსტრუქციული მოლაპარაკების საშუალებით და ამ გზით სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვება...

„საქართველოს კომპარტიის როლისა და ამოცანების
შესახებ მიმდინარე ეტაპზე“
გაზ. „ცხოვრება”, 1991 წ. 26 ივნისი

კომუნისტური პარტია, თავისი სატელიტებით: კომკავშირით, პიონერული ორგანიზაციით საბჭოთა საქართველოს არსებობის ფუნდამენტი იყო თავის დროზე და ისინი კომუნისტური შენობის ძლიერ სვეტებს წარმოადგენდნენ: 400 000 კომუნისტი და 800 000 კომკავშირელი საქართველოში – ეს უზარმაზარი ციფრია და მნიშვნელოვანი ძალაც იყო. ამ ზღვა ხალხში ძალიან ბევრი იყო პრაგმატულად მოაზროვნე პიროვნება, რომელიც უკვე ფიქრობდა „თავისუფალ საბაზრო ურთიერთობაზე“, „კერძო საკუთრებაზე“, „კაპიტალის დაგროვებაზე“, „კაპიტალისტურ განვითარებაზე“. ისინი თვლიდნენ, რომ ამ ახალ საქართველოში მათაც უნდა დაემკვიდრებინათ თავისი კანონიერი ადგილი, მისცემოდათ „კაპიტალისტური განვითარების“ შესაძლებლობა, მით უფრო, რომ თვლიდნენ, ზ. გამსახურდიას პოლიტიკური ბლოკის გამარჯვებაში მათი მნიშვნელოვანი წვლილიც იყო. მაგრამ, მოხდა ისე, რომ ზ. გამსახურდიას პოლიტიკურმა დაჯგუფებამ, რომელმაც ჩათვალა, რომ მდგომარეობა განიმტკიცა, რომ ქართველი კომუნისტებისაგან ყველაფერი მიიღო, რაც შეიძლებოდა მიეღო, გადაწყვიტა ეს პოლიტიკური ძალა, განსაკუთრებით კი მისი აქტიური, პრაგმატული ნაწილი „პირში ჩალაგამოვლებული“ დაეტოვებინა. საქართველოში ანტიკომუნისტური აგრესია ყოველთვიურად უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა და მან, როგორც ეს აშკარად გამოჩნდა, თავის კულმინაციას მიაღწია მოსკოვის „პუტჩის დღეებში“.

ზემოთ აღინიშნა, როგორი დაბნეულობა, შიში და არაადეკვატურობა გამოავლინა საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ აგვისტოს იმ დრამატულ ვითარებაში. მან, როგორც ვნახეთ, დაიჯერა „პუტჩის“ წარმატება და გადადგა არაადეკვატური ქმედითი ნაბიჯები. როგორც ჩანს, „მოსკოვის პუტჩის“ წარმატება საბოლოოდ ჩათვალა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამაც, რომელმაც გააკეთა შემდეგი ნაჩქარევი განცხადება:

„იმის გამო, რომ რესპუბლიკაში იმძლავრა სამართალდარღვევამ, ეკონომიკა დადგა კრახის წინაშე, რესპუბლიკის ბიუჯეტში დეფიციტმა მიაღწია არნახულ მოცულობას, მრეწველობამ თითქმის შეაჩერა ფუნქციონირება... დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სამტრედიის რკინიგზის უაზრო ბლოკირებამ... არადემოკრატიული გზით დანიშნული პრეფექტები თვითონ გახდნენ თვითნებობისა და განუკითხაობის ხელშემწყობნი, დარღვეულია კანონის უზენაესობა... საქართველოს კომპარტიის ბიუროს დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრკ მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღება...

ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის ბიუროს სხდომის შესახებ.
გაზ. „ცხოვრება“, 1991 წ. 21 აგვისტო.

აქ აშკარაა ლოიალური პოზიციის დაფიქსირებაა „გკჩპ“ მიმართ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი განცხადება იყო და მეტი არაფერი. საქართველოს მთავრობისაგან განსხვავებით, კომპარტიის ლიდერებს რაიმე კონკრეტული ანტისახელმწიფოებრივი ქმედება არ ჩაუდენიათ. მაგრამ: „რაც ეპატიება ლომს, არ ეპატიება გნომს!“

საქართველოს ხელისუფლება მიხვდა, რომ შექმნილი კრიზისიდან მისთვის კარგი გამოსავალია ყურადღების კომპარტიის „მავნებლურ ქმედებაზე“ გადატანა, მისი ამ შეცდომის გამოყენება ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ძალის გასანადგურებლად და მისი ქონების მისათვისებლად. ამიტომაც უკვე 26 აგვისტოს, ყოველგვარი სასამართლო განხილვის, საკითხის შესწავლისა თუ პარლამენტში დებატების გარეშე საქართველოს კომუნისტური პარტია, უზენაესი საბჭოს მთავარი ოპოზიციური ძალა, კანონგარეშედ გამოცხადდა.

„...საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საქართველოს კომუნისტური პარტია და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა კომუნისტური გაერთიანება, შეწყდეს მათი ორგანოების ფუნქციონირება.

2. ნაციონალიზებულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონება და იგი გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად.“

საქართველოს უზენაესი საბჭოს XXX საგანგებო სხდომა
სუიცსა, ფ. 1165, აღ. 8, საქ. 2954, ფურც. 11-12.

საქართველოში დაიწყო „კუდიანებზე ნადირობა“, კომუნისტური პარტიის მილიონობით მანეთის ღირებულების ქონება დაიტაცეს და გააცამტვერეს, რაიკომები და ქალაქკომები დახურეს, თანამშრომლები გარეთ გაყარეს. საქართველოს კომპარტიის მრავალათასიანმა კონტინგენტმა, მისმა სადეპუტატო წარმომადგენლობამ უზენაეს საბჭოში, ეს ქმედება სამართლებრივად უკანონოდ გამოაცხადა და ამ უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად განეწყო. ზ. გამსახურდიამ საქართველოს მრავალეროვანი კომუნისტები თავის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადარეკა.

საქართველოს ეროვნული გვარდია. 9 აპრილის ტრაგედიის დღეებში, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა საქართველოში მასობრივად დაიწყეს მოსახლეობისაგან ფულადი შემოწირულობის შეგროვება. ეს სხვადასხვა საბაბით ხდებოდა. სად წავიდა ეს უზარმაზარი თანხა, ოფიციალურად უცნობია, უფრო სავარაუდოა, რომ ის მოხმარდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კორუმპირებულ ჩინოსნებთან გარიგებებს, რომლის ძალით ეროვნული მოძრაობის ხელში დიდძალი იარაღი აღმოჩნდა.

ასევე სავარაუდოა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ეროვნული სამხედრო ძალის ფორმირებას და მის გამოყენებას, მიუ-

ხედავად მის მიერ „გარდამავალი პერიოდის“ აღიარებისა და კომუნისტებთან გარკვეული გარიგების მიღწევისა, მაინც აპირებდა. უკვე 1991 წლის პირველ თვეებში, საქართველოში ეროვნული შეიარაღებული ძალის ფორმირების პროცესი ოფიციალურად დაიწყო.

„გვარდიის დაარსების გადაწყვეტილება 1991 წლის 16 იანვარს მიიღო ოთხმა კაცმა – ბატონებმა ზვიად გამსახურდიამ, თენგიზ კიტოვანმა, შოთა ზალდასტანიშვილმა და ჯონდო ტაბატაძემ. ადგილი – უზენაესი საბჭოს მეორე სართული, მე-3 ოთახი. დრო – ღამის 3 საათი...

გაზ. „ახალი ივერია“, 1991 წ. 23 მაისი.

ამრიგად, თენგიზ კიტოვანი გვარდიის დამფუძნებელთა შორის თავიდანვე იყო მოაზრებული და, მიუხედავად იმისა, რომ ის პროფესიონალი სამხედრო არ იყო და მხოლოდ ზ. გამსახურდიასთან პირადი მეგობრობა აკავშირებდა, ის სათავეში ჩაუდგა ამ პროცესს – ის გახდა ეროვნული გვარდიის სარდალი.

ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჰყავს დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალები, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზ. გამსახურდიამ საჯაროდ 5 თებერვალს განაცხადა. იმ დროს უკვე ვარაუდობდნენ გვარდიაში 12 000 კაცის მობილიზებას, ხოლო რაც შეეხება იარაღს, როგორც ზ. გამსახურდიამ განაცხადა „ის საკმაო რაოდენობით ჰქონდათ“. უკვე 1991 წლის 23 აპრილის საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით, გამოცხადდა „სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესი“, რომლის საფუძველზეც, დაიწყო ახალწვეულთა მობილიზება. ქართველ ახალგაზრდებში საკმაოდ მაღალი იყო პატრიოტული მუხტი და ძალიან ბევრი ხალისით მიდიოდა გვარდიის შემადგენლობაში. დიდად წაადგა ახლადშექმნილ სამხედრო სტრუქტურას „საქართველოს ოფიცერთა კავშირის“ განცხადება, რომ თადარიგისა და საბჭოთა ჯარებში მომსახურე ქართველი და არაქართველი ოფიცრები შეუერთდებოდნენ ეროვნული გვარდიის მშენებლობის პროცესს და უზრუნველყოფდნენ მის მაღალ ქმედითუნარიანობას.

საქართველოს ხელისუფლების აქტივობამ, საკუთარი ავტონომიური სამხედრო ძალების შექმნის მიმართულებით, აშკარად წააქეზა აფხაზეთში ადგილობრივი სეპარატისტები, რომ მათაც იგივე გაეკეთებინათ.

1991 წლის აგვისტომდე გვარდია და მისი ხელმძღვანელობა მთლიანად ემორჩილებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს და მისი ერთგულები იყნენ. მაგრამ, ვითარება რადიკალურად შეცვალა „აგვისტოს პუტჩის“ დღეებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რაც მოსკოვის ემისრის დირექტივებიდან გამომდინარეობდა. მან სტატუსი შეუცვალა ეროვნულ გვარდიას – ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაიყვანა, როგორც მისი ერთ-ერთი ქვედანაყოფი და თანამდებობიდან გაანთავისუფლა სარდალი თენგიზ კიტოვანი.

თ. კიტოვანი არ დამორჩილდა ამ გადაწყვეტილებას. ჩაითვალა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილი არ იყო ცალმხრივად შეეცვალა ეროვნული გვარდიის სტატუსი და გაენთავისუფლე-



ზ. გამსახურდიას განცხადება

ბინა მისი სარდალი. თ. კიტოვანმა ფრონდირება დაიწყო – თავისი ერთგული ჯარის ნაწილები გაიყვანა კასპის რაიონის რკონის ხეობაში და იქ გამაგრდა. ამ სამხედრო ბუნტის შედეგად, გვარდია ორ ნაწილად გაყოფილი აღმოჩნდა. თ. კიტოვანის სარდლობას კვლავ ემორჩილებოდა გვარდიელების საკმაოდ დიდი რაოდენობა, მათ შორის, ბევრი გამოცდილი პროფესიონალი სამხედრო (გ. ყარყარაშვილი, ბ. ქუთათელაძე, გ. ლანჩავა და სხვ.), თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ძალებს საკუთარი სამხედრო ფორმირებებიც (მაგალითად, „ლემი“, „თეთრი გიორგი“ და ა.შ.) ჰყავდათ, და ამასთან, ფაქტობრივად კვლავ არსებობდა „მხედრიონი“, თუმცა მისი ხელმძღვანელი ციხეში იმყოფებოდა, აშკარაა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ ძალიან ადვილად შეიძლება გაერთიანებულიყო ყველა ეს სამხედრო შენაერთი და საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნათ, როგორც პირადად მისთვის, ისე ქვეყნისათვის.

საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია სამხედროების ასეთ დემარშს მხოლოდ შემდეგი ოფიციალური განცხადებით გამოეხმაურა, რაც პრესაშიც დაიბეჭდა.

“საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება

ამ დღეებში თბილისში გავრცელდა პროკლამაცია, ეროვნული გვარდიის სახელით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ხელისუფლების დისკრედიტაციას. კერძოდ, პროკლამაციის ავტორები ამტკიცებენ, თითქოს „ხელისუფლებამ გვარდია დაშალა“, რაც უხეში ცილისწამება და პროვოკაციაა. სინამდვილეში გვარდია კი არ დაიშალა, მას მიეცა ახალი სტატუსი, განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის განაყოფისა, რაც აუცილებელი იყო შექმნილი მწვავე მდგომარეობის გამო, გვარდიის დაცვისათვის საბჭოთა იმპერიული ჯარების თავდასხმისაგან, რითიც არაორაზროვნად იმუქრებოდნენ სამხედროები იმ დღეებში... მე მოვუწოდებ ჭეშმარიტ გვარდიელებს გატარდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც შინაგანი ჯარის წარმომადგენლები, მიიღონ ტანსაცმელი, იარაღი, დაემორჩილონ ხელმძღვანელობას და ემსახურონ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს და არა ცალკეული პირების გაუმართლებელ ამბიციებს.“

აღნიშნულ მოწოდებას, ეროვნული გვარდიის გარკვეული ნაწილი დაემორჩილა, მაგრამ მისმა ძირითადმა ნაწილმა უერთგულა თენგიზ კი-

ტოვანს და ბოლომდე დარჩა საქართველოს პრეზიდენტის წინაამღდეგ მებრძოლ ძირითად ძალად.

საბედისწერო გასროლა. მოახლოვდა 1 სექტემბერი, თბილისს დაუბრუნდა მოსახლეობა (ე.ი. „აუდიტორია“) და არ შეიძლება რადიკალურ ოპოზიციას თავის სასარგებლოდ არ გამოეყენებინა ის უხეში პოლიტიკური შეცდომები, რაც ხელისუფლებას მოუვიდა „მოსკოვის პუტჩის“ დღეებში.

მართალია, ზ. გამსახურდია შეეცადა მოსახლეობის ყურადღება გადაეტანა საქართველოს კომპარტიის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე, პარტიის აკრძალვის პროცედურის დაწყებაზე, რაც, როგორც აღინიშნა, საოცრად სწრაფი ტემპით, ყოველგვარი სპეციალური გამოძიების გარეშე, მხოლოდ ერთი საგაზეთო ინფორმაციის საფუძველზე დაიწყეს და სულ რამდენიმე დღეში კანონგარეშე გამოაცხადეს პოლიტიკური ძალა, რომლის დახმარებით თვითონ ხელისუფლებაში მოვიდნენ. და, რაც კიდევ უფრო განსაცვიფრებელია, აკრძალეს იმავე გადაცდომის გამო, რაც თვითონვე ჩაიდინეს.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რამდენიმე დღით ადრე დააანონსა თბილისში, კინოს სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2 სექტემბერს საინფორმაციო მიტინგის ჩატარება. დათქმულ დღეს მიტინგზე დაახლოებით 400 კაცი მივიდა. მიტინგის ორგანიზატორებს სურდათ განემარტათ მოსახლეობისათვის თავისი შეხედულება „მოსკოვის პუტჩზე“, გაეანალიზებინათ საქართველოს ხელისუფლების მოქმედება კრიზისის პერიოდში, წარმოეჩინათ არსებული პოლიტიკური ვითარება.

„მიტინგის ორგანიზატორები იდგნენ კინოს სახლის წინ კიბეებზე. ეჭირათ ტრანსპარანტები: „მოვითხოვთ უზენაესი საბჭოს თვითლიკვიდაციას!“, „თავისუფლება პოლიტპატიმრებს!“, „თავისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს!“... ზუსტად ექვს საათზე, ისე რომ ორგანიზატორებმა მიტინგის გახსნაც ვერ მოასწრეს, კინოს სახლის კიბეებზე მდგომთ თავს დაესხა ჯავშანჟილეტებში და ფოლადის მუზარადებში გამოწყობილი მილიციის სპეციალური დანიშნულების (ე.წ. „ომონი“) ასეული (ეს არის ქართული ეროვნული გვარდიის ის ნაწილი, რომელმაც თანხმობა განაცხადა შინაგან ჯარებში სამსახურზე)... „ომონელების“ გამოჩენას მომიტინგეები შეხვდნენ შეძახილებით: „ჩაუ-შე-სკუ!“, აგრეთვე საკმაოდ უცენზურო გამოთქმებით. ამონელებმა ხელკეტები დაუშინეს მომიტინგეებს... ორი წუთის შემდეგ რაზმელებმა ისევ შეუტიეს მომიტინგეებს. ამჯერად ხელკეტებთან ერთად ავტომატური ცეცხლასროლი იარაღის გამოყენებითაც... ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრა სამი მოქალაქე, ორი ფეხში, ერთი გულმკერდის არეში... დარბევის მიუხედავად, მიტინგი მაინც ჩატარდა. ორატორებმა მოითხოვეს უზენაესი საბჭოს, მთავრობის და თვით საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გადადგომა. მიტინგის მონაწილენი (მათი რიცხვი უკვე რამდენიმე ათასს აღწევდა) ამგვარ მოთხოვნებს ტაშით შეხვდნენ...

გაზ. „დრონი“, 1991 წ. 6 სექტემბერი (ამონარიდი)

რამდენად კარგად იყო მოფიქრებული საინფორმაციო, მშვიდობიანი მიტინგის ასეთი სიმკაცრით დარბევა, ან ვინ გასცა ასეთი სიმკაცრის გამოყენების უფლება, რატომ უნდა ჰქონოდათ მშვიდობიანი მიტინგის დასაშლელად წასულ „ომონელებს“ ავტომატური იარაღი, რა საჭირო იყო

„ომონი“ მშვიდობიანი მიტინგის დასაშლელად, რატომ უნდა დაეშალათ საინფორმაციო მიტინგი დემოკრატიული ფასეულობების მაღიარებელ სახელმწიფოში – ასეთი კითხვები საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში ძალიან ბევრი გაჩნდა უკვე 2 სექტემბრის შემდეგ.

ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ განმარტებებს, ფაქტებზე ჯეროვან რეაგირებას, დამნაშავეთა დასახელებას და მათ მკაცრად დასჯას. საქართველოს ინტელიგენცია აღშფოთებული იყო...

„მე ვესწრებოდი ამ მიტინგს... შეიარაღებული „ომონი“ და „ომონისნაირი“ ქართველები (ვაი ამნაირ ქართველებს) ებრძოდნენ მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს... რა ვქნათ? ბოლოს და ბოლოს ვინა ვართ? მკვლელები?... როცა „ომონი“ ხელკეტებით მოადგა მომიტინგეებს კუთხიდან, მე უმალ თვალი მოვკარი მანქანასთან გაჩერებულ შინაგანი ჯარის ორ გენერალს... კვლავ ვაცხადებთ: ქართველის ქართველისადმი ასეთი დაუნდობელი მოპყრობით ჩვენ შორს ვერ წავალთ...

ჯანსუღ ჩარკვიანი
„რა ვუყოთ მაკაროვის ტყვიით დაჭრილ ბიჭებს?“
გაზ. „საქართველო“, 1991 წ. №17.

საბედისწერო გასროლამ, ერთ დღეში, სწრაფად გააერთიანა საქართველოში ანტისამთავრობო პოლიტიკური სპექტრი – ოპოზიციონერებმა იგრძნეს, რომ მთავრობამ ახლა უკვე მეორე საბედისწერო შეცდომა დაუშვა – მშვიდობიანი დემონსტრაციის დაშლის მიზნით, მან ავტომატური იარაღი დაუშინა საკუთარ მოქალაქეებს. სწორედ ამიტომაც იმ დღეებში ოპოზიციური გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა ინციდენტის მნახველთა უამრავი რეპორტაჟი, სხვადასხვა ანტისამთავრობო პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა კატეგორიული ტონით შედგენილი მიმართვები, სადაც ითხოვდნენ ინციდენტის ობიექტურად გამოძიებას, დამნაშავეების მკაცრად დასჯას, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასა და მისი მთავრობის გადადგომას. რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას კრიტიკოსების რიგებს შეემატნენ სულ რამდენიმე დღის წინ განთავისუფლებული „გუშინდელი თანამოსანგრეები“ – თ. სიგუა, თ. კიტოვანი, გ. ხოშტარია და სხვები, რომლებმაც კიდევ უფრო დაძაბეს არსებული ვითარება.

„გრძელდება ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციები – ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობის კიბეები, წინამდებარე ტერიტორია და კარიდორები გამოუყენებია და ოთხმოცამდე საწოლი გაუშლიათ აქციის მონაწილეთათვის. მჯდომარე გაფიცვა აქვს გამოცხადებული ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასაც, რომელიც თავისივე შტაბ-ბინის წინ აწყობს აქციას. პირველი სკოლის წინ აქციას აწყობს საქართველოს მონარქისტული პარტიაც... ისე, რომ დედაქალაქში კვლავ არეულობაა...

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 10 სექტემბერი.

პარალელურად, თითქმის უწყვეტ რეჟიმში, მიმდინარეობდა საინფორმაციო მიტინგების სერია მთავრობის სახლის წინ. მას ტრადიციუ-

ლად „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ მხარდამჭერები მართავდნენ და მუდამ ცდილობდნენ დაეცვათ ხელისუფლება, პირველ რიგში, ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტი. ისინი მთავრობის მოქმედებებში შეცდომებს, გადაცდომებს ვერ ხედავდნენ, ყველა მოწინააღმდეგეს „კრემლის აგენტებს“ და „პუტჩისტებს“ უწოდებდნენ, და ამით დაუსჯელობის სინდრომს უძლიერებდნენ მთავრობის წევრებს.

ჯ. ხეცურიანი

პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის მცდელობა. ზ. გამსახურდიას გარემოცვაში იყვნენ საღად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც კარგად ხედავდნენ, რომ კონფრონტაციის ესკალაცია სასიკეთო შედეგს ვერ მოუტანდა, ვერც ხელისუფლებას და ვერც საქართველოს. სწორედ ისინი შეეცადნენ დაერწმუნებინათ პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო, რომ საჭირო იყო გარკვეული კომპრომისი, მორიგება ოპოზიციურ სპექტრთან, რადგან მისი რაოდენობა საქართველოში ზვავივით იზრდებოდა და ადვილი შესაძლებელი იქნებოდა მათი მხრიდან მთავრობას სერიოზული პრობლემები შეჰქმნოდა. მათ შორის, ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ერთმა საინტერესო შეთავაზებამ. ამ პროექტის უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო მას მთლიანად ვაქვეყნებთ, რადგან იმ დღეებში მისი გამოქვეყნება კი არა, მისი სერიოზულად განხილვაც კი არ ჩაითვალა აუცილებლად.

„უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ა. ასათიანს.

საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიმაჩნია, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციური, სამართლებრივი გზით. კატეგორიულად დაუშვებლად და დამღუპველად მიმაჩნია ძალის გამოყენება პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად.

ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, სადაც განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზების ყველა საკითხი – პარლამენტია.

2. უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი, დროებითი დაზავება დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის. არცერთმა მხარემ არ უნდა მიმართოს მიტინგებს, მანიფესტაციებს, ტერორს, რეპრესიებს.

3. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, უმოკლეს ვადაში უნდა შეხვდეს ყველა პოლიტიკური ძალის უფლებამოსილ წარმომადგენელს მათი მოთხოვნების დაზუსტებისა და აღნუსხვის მიზნით...

4. უზენაესი საბჭოს ამავე სხდომაზე განხილულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

–პრეზიდენტის მოხსენება საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ...

–კანონი მიწის შესახებ.

–სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ჩატარების ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ...

–ინფორმაცია 2 სექტემბრის ფაქტთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მდგომარეობის შესახებ...

–კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ...

–საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ ახალი კანონის შემუშავებისა და არჩევნების ვადის განსაზღვრის შესახებ...

–კანონი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გაუქმების შესახებ.

–კანონი მილიციის (ან პოლიციის) შესახებ.

–ყოფილი კომპარტიის დეპუტატთა უფლებამოსილების შესახებ...

–ყველა პოლიტიკური პარტიისათვის სატელევიზიო გადაცემების უზრუნველყოფის შესახებ...

საქართველოს იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი
სუიცსა, ფ.1165, აღწ.8, საქ. 2915, ფურც. 42-44.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი ეს წინადადებები, შეიძლება სრულყოფილი არ მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ აშკარაა, რომ მისი რეალიზება განმუხტავდა ვითარებას – ჯ. ხეცურიანი სრულიად სამართლიანად სთავაზობს უზენაეს საბჭოს ახალ არჩევნებს ახალი საარჩევნო სისტემითა და საარჩევნო კანონის საფუძველზე, აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია ყველა პოლიტიკური პარტიისათვის საეთერო დროის მიკუთვნებაც, ასევე ეროვნული შერიგების გზაზე საჭიროდ თვლის პოლიტიკურ სპექტრთან მჭიდრო დიალოგს და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ, ამ უაღრესად საჭირო შეთავაზებას ზ. გამსახურდიამ მხარი არ დაუჭირა, მან ის არც კი მოისმინა – დატოვა სხდომათა დარბაზი ამ წინადადების განხილვის დროს. ჯ. ხეცურაინის ეს შეთავაზება დარჩა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ასათიანის არქივში. ის არც კი გამოქვეყნებულა და საქართველოს საზოგადოებამ მის შესახებ არაფერი იცოდა.

ქვეყანაში ვითარების დაძაბვის პარალელურად, ზ. გამსახურდიას თანამებრძოლთა შორის გამოჩნდნენ პირები, რომლებიც ასევე ურჩევდნენ პრეზიდენტს შეეცვალა თავისი ხისტი პოლიტიკა ოპონენტების მიმართ და უფრო ლოიალური გამხდარიყო არა მარტო პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, არამედ თავისი მომხრეების მიმართ, რომლებსაც შეიძლება განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონოდათ.

„თ. პაატაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთ ვითარებაში საჭიროა ძალის პოლიტიკით მოქმედება კი არა, არამედ დიალოგის გზით. მან განაცხადა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, გ. ჭანტურიას დაკავება წყალს ასხამს მოწინააღმდეგის წისქვილზე და მოითხოვა მისი განთავისუფლება. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა მ. ჩორგოლაშვილმა...“

ოქმი საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის სხდომისა. 17 სექტემბერი
სუიცსა, ფ. 1165, აღ.8, საქ. 2915, ფურც. 37-38.

დეპუტატის, საგარეო ურთიერთობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თ. პაატაშვილისა და მისი ჯგუფის ეს მოთხოვნაც არ შეისმინეს, რის გამოც ისინი მალე გამოეყვნენ სახელისუფლო ბლოკს და დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება „ქარტია 91“ შექმნეს.

საქართველოს პრეზიდენტმა არ გაიზიარა თავისი მომხრეების კიდევ უფრო გასათვალისწინებელი რჩევა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის, მ. ფაჩუაშვილის საკითხის განხილვის დროს. საქმე იმაშია, რომ ოფიციოზმა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებს (40 კაცს) დაუბეჭდა საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვის ტექსტი, რომლის შინაარსი არ მოეწონა სახელმწიფოს მეთაურს. ეს საკითხი განიხილეს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმზე.

„ზ. გამსახურდიამ აღნიშნა, რომ მიმართვა არის მხოლოდ ცილისმწამებლური, შორს არის სიმართლისაგან. დეპუტატთა მიმართვის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნება მოწმობს იმას, რომ ეს გაზეთი პუტჩისტების ხელში აღმოჩნდა, რაც ყოვლად დაუშვებელია. მან მოითხოვა გაზეთის რედაქტორის, მ. ფაჩუაშვილის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

თ. ქორიძემ განაცხადა, რომ დეპუტატების ასეთი მიმართვა „საქართველოს რესპუბლიკაში“ არ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ მ. ფაჩუაშვილის განთავისუფლება ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს, გამოიწვევს ნაკლებად საჭირო აჟიოტაჟს.

ა. ასათიანმა განაცხადა, რომ მ. ფაჩუაშვილს განთავისუფლების ნაცვლად საყვედური შეიძლება გამოეცხადოს, რაზეც ბატონმა ზ. გამსახურდიამ კატეგორიულად უპასუხა, რომ საჭიროა მ. ფაჩუაშვილის განთავისუფლება...

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმი. 1991 2 ოქტომბერი
სუიცსა, ფ.1165, აღ.8, საქ. 2915, ფურც. 54-56.

მ. ფაჩუაშვილი, მართლაც, გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან მხოლოდ იმიტომ, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს დაუბეჭდა მიმართვა, რაც პრეზიდენტს არ მოეწონა. ასეთი დამოკიდებულებით თავის თანამებრძოლების მიმართ, ზ. გამსახურდიამ განხეთქილების მუხტი თავის პოლიტიკურ ბანაკშიც შეიტანა – მას გაემიჯნა მისი პირადი მეგობარი და „მ. კოსტავას საზოგადოების“ თავმჯდომარე ვ. ადამიაც.

სამოქალაქო დაპირისპირება საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა სექტემბრის შუა რიცხვებში. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ კომუნისტების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები: პარტიის გაუქმება, მისი ქონების მითვისება, პარლამენტში მყოფი კომუნისტი დეპუტატების (66 კაცი) უფლებამოსილების შეწყვეტა საზოგადოების ყურადღებას მმართველი პარტიისა და მისი ლიდერის საქმიანობისაგან ახალ „მსხვერპლზე“ გადაიტანდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

მართალია, საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიციას და საქართველოს საზოგადოების ძალიან დიდ უმეტესობას იმჟამად კომუნისტური პარტიის ბედი, მისი მომავალი საერთოდ არ აღელვებდა და არავის ამ პარტიის დასაცავად ხმაც არ ამოუღია, მაგრამ არც პოლიტიკური თავდასხმის ორიენტირები შეუცვლიათ – პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას რეჟიმს აშკარად ტოტალიტარული სისტემის რეამინაციის ცდას აბრალებდნენ, მის გადადგომას, ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვდნენ.

ვითარების განმუხტვის ნაცვლად ხელისუფლება, თითქოსდა განგებ, სულ ახალ-ახალ პრობლემებს ქმნიდა – ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის გ. ჭანტურიას დაპატიმრე-

გ. ხაინდრავა

ბას, რაც არაორდინალურ ვითარებაში მოხდა: თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვში მიფრინავდა, აფრენის შემდეგ რამდენიმე წუთში, ნავიგაციის ყველა წესის დარღვევით, მგზავრების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, უკან მოაბრუნეს, გ. ჭანტურია და მისი ორი თანმხლები ძალოვნებმა დააკავეს და შემდეგ გ. ჭანტურია დააპატიმრეს. ეს აშკარა უკანონობა, უდავოდ, ზემდგომი ინსტანციების განკარგულებით შეიძლება მომხდარიყო. იმავე დღეს, ციხეში ჩასვეს ცნობილი ქართველი კინოდოკუმენტალისტი, ზ. გამსახურდიას პოლიტიკის კრიტიკოსი, გ. ხაინდრავა. იყვნენ სხვა პოლიტპატიმრებიც.

ვითარება თბილისში უკიდურესად დაიძაბა. ოპოზიციამ შეძლო ქალაქის სრული პარალიზება – ქალაქის სხვადასხვა ადგილზე: თბილისის უნივერსიტეტის კიბეებთან, ტელერადიოკომიტეტთან, ყოფილი „იმელის“ შენობის წინ, მ. კოსტავას საცხოვრებელ ბინასთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბთან, რესპუბლიკის მოედანზე, „სვაბოდნაია გრუზიას“ რედაქციასთან და სხვა ადგილებში დაიწყო მჯდომარე აქციები, გაიშალა კარვები, იმართებოდა პერმანენტული საპროტესტო მიტინგები.

ზ. გამსახურდიამ საპროტესტო მიტინგები და მისი გადადგომის მოთხოვნა „პუტჩად“ ჩათვალა და მოითხოვა მის წინააღმდეგ ქმედითი ზომების განხორციელება.

„...თბილისში მიმდინარეობს ტიპიური სამხედრო პუტჩი პრეზიდენტისა და მთავრობის წინააღმდეგ. შექმნილია ხუნტა, რომელშიც გაერთიანდნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, გვარდიის ყოფილი ხელმძღვანელი თენგიზ კიტოვანი. ისინი სჩადიან მრავალ უკანონობას. აიღეს ტელევიზიის შენობა... გეგმავენ სატელევიზიო ანძის, კავშირგაბმულობის, მთავრობის სახლის და სხვა ნაგებობათა აღებას. მათ აქვთ მძლავრი მხარდაჭერა მოსკოვიდან...“

ზვიად გამსახურდია
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 26 სექტემბერი

გამოსავალი რა მოინახა? საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით მთავრობის სახლის ქვედა სართულში მოეწყო ე.წ. „ბუნკერის რადიო“, „ბუნკერის ტელევიზია“, რომელიც მხოლოდ ოფიციალურ სამთავრობო შეხედულებებსა და მოსაზრებებს აქვეყნებდა და საჯაროს ხდიდა, ეთერიც მხოლოდ პრეზიდენტის პოლიტიკის დამფასებელთ და მხურვალე მხარდამჭერებს ეთმობოდა. ეს ნაბიჯი სერიოზულად გააპროტესტეს საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის გაფიცულმა თანამშრომლებმა, რომლებიც კომიტეტის წინ პერმანენტულ საპროტესტო მიტიგზე ცდილობდნენ თავისი სიმართლის დამტკიცებას. მათ გვერდზე იყვნენ ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები: ლანა ღოღობერიძე, ელდარ შენგელაია, ლევან ღვინჯილია და ბევრი სხვ.

პ. კოღუაშვილი

ოპოზიციის გააქტიურებას პრეზიდენტმა დაუპირისპირა რაიონებიდან ორგანიზებული წესით ჩამოყვანილი მოსახლეობა, რომელსაც „პუტჩისტებისაგან პრეზიდენტის დაცვა დაევალა“. მან კიდევ უფრო დაძაბა ვითარება თბილისში – რაიონებიდან ჩამოყვანილი მოსახლეობის დიდი მასები დადიოდნენ დედაქალაქში, მართავდნენ მიტინგებს, იქცეოდნენ გამომწვევად. ამ ფაქტმა თბილისის მოსახლეობის დიდი გაღიზიანება გამოიწვია და საქართველოს პრეზიდენტს ეს ნაბიჯი ბრძნულ გადაწყვეტილებად არ ჩაუთვალეს. თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ იმ დროს გაემიჯნა ზ. გამსახურდიას, რომელსაც „თბილისელების ეშინოდა“.

დაძაბულობის ესკალაცია თბილისში იგრძნობოდა ყოველდღიურად, ვითარებაზე სულ უფრო იკარგებოდა პოლიტიკური ძალების კონტროლი. შეიძლება მდგომარეობა უმართავი და კრიტიკული გამხდარიყო...

28 სექტემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა გამოაქვეყნეს კონკრეტული მოთხოვნები, რომლებსაც, მათი აზრით, შეეძლოთ განემუხტათ შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია.

„1. საქართველოს პრეზიდენტმა რადიოთი და ტელევიზიით დაუყოვნებლივ მოუწოდოს საქართველოს მოსახლეობას სამოქალაქო მშვიდობისაკენ.

2. უმოკლეს ვადაში შედგეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა. უზრუნველყოფილ იქნეს სხდომის პირდაპირი ტელეტრანსლიაცია.

3. უზენაესი საბჭოს სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნეს პარლამენტის გარეთ მყოფი პოლიტიკური ძალების შეთანხმებული წინადადებანი.

4. პრეზიდენტმა და მინისტრთა კაბინეტმა უზრუნველყონ მოწოდების შესაბამისად ქ. თბილისში ჩამოყვანილი მოსახლეობის დაბრუნება საცხოვრებელ ადგილებზე.

5. ეროვნული გვარდიის ნაწილები დაბრუნდნენ შავნაბადაზე, უზენაესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე ამ ნაწილების სტატუსთან დაკავშირებით.

6. ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციასთან კონსტრუქციული დიალოგისთვის მზადყოფნის სასურველ წინაპირობად მიგვაჩნია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით დაკავებული პოლიტპატიმართა განთავისუფლება.

7. მიეცეს, კანონის თანახმად, ტელევიზიით სარგებლობის უფლება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები: ა. იმნაძე, ე. შენგელაია, გ. ჩორგოლაშვილი, ზ. კანდელაკი, მ. დვალიშვილი, ა. სიჭინავა, ი. მელაშვილი, ნ. ლეკიშვილი, ვ. ადამია, ნ. ნათაძე, თ. დიხამინჯია, გ. კობერიძე, მ. ურიდია, ს. კავსაძე, რ. ღონღაძე, პ. კოღუაშვილი, ა. მარგიანი, დ. ბერძენიშვილი, დ. არევაძე, თ. პაატაშვილი, მ. კვანჭილაშვილი, რ. გოცირიძე, ა. სილაგაძე, ა. ბობოხიძე, თ. დიასამიძე, ვ. ჯაში.

გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 28 სექტემბერი.

სრულიად სამართლიანი, ძალიან ადვილად შესასრულებელი და ზომიერი მოთხოვნებია, რომელიც მთავრობას, რომელსაც თუ კი ძალიან უნდა შერიგება, კომპრომისი, ვითარების განმუხტვა და ძალაუფლების შენარჩუნება – არ უნდა გაძნელებოდა ამ ელემენტარული მოთხოვნების შესრულება.

რა გზა აირჩია საქართველოს პრეზიდენტმა და მისმა ახალმა მთავრობამ? დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია. მათ თავისი პოლიტიკური ოპონენტების მიერ ორგანიზებული მიტინგების, „მოშიმშილეების", „საპროტესტო კარვების" დასარბევად მიუშვეს თავისი „ერთგული მოსახლეობა" – რაიონებიდან და სოფლებიდან ჩამოყვანილი რიგითი მოქალაქეები, რომლებმაც სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეებიც, „მოშიმშილეებიც" და „საპროტესტო კარვებიც".

„5 ოქტომბერს, გამთენიისას დამირეკეს, ღამით რუსთაველის გამზირზე სროლები იყო და სისხლი დაიღვარაო. დილით შვიდ საათზე წავედი რუსთაველზე ... ხალხი ძალიან ცოტა იყო. დაახლოებით ორას კაცამდე... სრული სიწყნარე სუფევდა. სულ რამდენიმე წამში, მთავრობის სახლის მხრიდან ატყდა ავტომატების სროლა... გვარდიელები ავტომატების სროლით ჩვენსკენ მოდიან...

ლ. ჩარგაზია

გაზ. „საქართველო", 1991 წ. 11 ოქტომბერი.

ამ დარბევის შემდეგ თბილისში მოჩვენებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. პრეზიდენტს და მთავრობას შეექმნა ილუზია, რომ „პუტჩი" დაამარცხეს, რომ მიაღწიეს ნანატრ გამარჯვებას, რომ შეიძლებოდა „ცოტა ამოესუნთქათ", „დაესვენათ".

საქართველოს პრეზიდენტმა ეს „შესვენება" იმისთვის გამოიყენა, რომ სასწრაფოდ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დასამტკიცებლად „ვაკში", საძულველ მოსკოვში გადააგზავნეს. საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა უამრავი წერილი, მიმართვა, განცხადება გაეგზავნა მსოფლიოს ცნობილ თუ ნაკლებადცნობილ მოღვაწეებისათვის, მიელოცათ დამოუკიდებლობის დღე, მადლიერების დღე თუ მოახლოებული შობა-ახალი წელი. და, რაც მთავარია, არ დაივიწყეს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობისა და მომავალი სიბერის საფუძვლიანი უზრუნველყოფა:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება:

1.განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის შემდეგი სახელმწიფო უზრუნველყოფა და მომსახურება:

ხელფასი თვეში 4000 მანეთის ოდენობით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პერიოდში – სასამსახურო ბინა თბილისში და ორი აგარაკი.

სპეციალურად აღჭურვილი თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სპეციალური დანიშნულების ჯავშნიანი საავტომობილო ტრანსპორტი.

დაცვა, რომელიც ეკისრება პრეზიდენტის დაცვის სამსახურს.

ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ყოფნის დროს წარმომადგენლობითი მიზნებისათვის გაწეული ხარჯები ანაზღაურდება საზოგადოდ მიღებული საერ-

თაშორისო ნორმების ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლისა და ოჯახის დაცვასა და სატრანსპორტო მომსახურებას უზრუნველყოფს პრეზიდენტის დაცვის სამსახური.

3. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გადადგომის შემდეგ სამუდამოდ უწესდება პენსია თვეში 2400 მანეთის ოდენობით, ეძლევა აგარაკი საჭირო მომსახურებით, დაცვით, სატრანსპორტო უზრუნველყოფით...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე ნემო ბურჭულაძე. თბილისი, 1991 წ. 1 ნოემბერი.

ეს დადგენილება აშკარად მიუთითებს, რომ პრეზიდენტის ბანაკში, მართლაც, სიმშვიდის განწყობილებამ დაისადგურა – ჩაითვალა, რომ „პუტჩი“ დაძლეულია და შეიძლება ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, მომავალ პერსპექტივებზე, საკუთარი სიბერის უზრუნველყოფაზე ზრუნვა.

მაგრამ იმ ერთი „მშვიდობიანი თვის“ დროს მიღებული დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა თუ სამთავრობო მოქმედებების მთავარი შედეგი მაინც ის იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტმა აშკარად წააგო საინფორმაციო ომი.

„ბოლო აკორდი“ ძალიან მდიდარია მოვლენებით, ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებით, პოლიტიკური სიახლეებით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სსრკ პრეზიდენტმა მ.ს. გორბაჩოვმა, რომელსაც ხელთ ჰქონდა საბჭოთა მოქალაქეების მიერ საკავშირო რეფერენდუმის დროს განცხადებული სურვილი (76,43%) შეენარჩუნებინათ და განევითარებინათ განახლებული საბჭოთა კავშირი, თავისი საგარეო პოლიტიკური განზრახულობათა რეალიზატორად კვლავ ედუარდ შევარდნაძე შეარჩია.

მაგრამ ამასობაში მოხდა აშკარად მოულოდნელი ფაქტი: 1991 წლის 8 დეკემბერს ბულორუსიაში, ბელოვეჟის სამთავრობო რეზიდენციაში, შეიკრიბნენ რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ბელორუსიის ხელმძღვანელები: ბ. ელცინი, ლ. კრავჩუკი და ს. შუშკევიჩი. მათ მოსკოვის საკავშირო მთავრობის სრული იგნორირებით დააფუძნეს ახალი გაერთიანება – „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ (დსთ), რამაც წერტილი დაუსვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის თითქმის 70 წლიან ისტორიას. უკვე ამის შემდეგ, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორ-

ბელოვეჟის შეთანხმება

ბაჩოვს მეტი აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი და ის იძულებული გახდა გადამდგარიყო. საბჭოთა სახელმწიფო საბოლოოდ ჩაბარდა ისტორიას...

ამ უდიდესმა ისტორიულმა ფაქტმა ვერ განმუხტა ვითარება საქართველოში. პირიქით, ამან კიდევ უფრო აამოქმედა დაპირისპირებული მხარეები. უკვე ამ ეტაპზე საქართველოს პრეზიდენტს აშკარად უპირისპირდებოდნენ: საპარლამენტო ოპოზიცია („დემოკრატიული ცენტრი“, „ქარტია 91“, „მ. კოსტავას საზოგადოება“ და სხვ.), არასაპარლამენტო ოპოზიცია (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და სხვ.), აკრძალული კომუნისტური პარტია, აკრძალული კომკავშირული ორგანიზაცია თავისი მრავალათასიანი წევრებითა და მხარდამჭერებით, საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა (ლანა ღოღობერიძე, ქეთი დოლიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ჯანსუღ ჩარკვიანი და ბევრი სხვა), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მნიშვნელოვანი ნაწილი, პრეზიდენტის ყოფილი თანამებრძოლები: თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, გიორგი ხოშტარია, ეროვნული გვარდიის ამბოხებული ნაწილი. საქართველოს პრეზიდენტს მხარს უკვე აღარ უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ევროპის დემოკრატიული ქვეყნების დიდი უმრავლესობა. საქართველოს მთავრობას ზურგი შეაქცია რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამაც. საქართველოს პრეზიდენტმა გული ატკინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელსაც.

პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ნაწილმა, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ გააჩაღა დიდი საინფორმაციო ომი საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ. ამ საქმეში აქტიურობდნენ საქართველოდან გადახვეწილები: ჟ. კაშია, თ. დრაგაძე, რ. კლიმიაშვილი და სხვ. საქართველოში შექმნილ ვითარებაზე ობიექტურ და მკაცრ სტატიებს აქვეყნებნენ ფრანგული „მონდი“, ინგლისური „გარდიანი“, ამერიკული „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და სხვ.

„უკანასკნელი თვეების მანძილზე, არა კრემლი და არა მისი აგენტები ჩაგრავენ ქართველებს, არამედ ადამიანი, რომელიც არჩეული იქნა მაისში ხმების 87%-ით. ეს არის ზვიად გამსახურდია. ბრწყინვალე აღზევების შემდეგ მისი სწრაფი დაცემა ერთგვარად განმარტავს იმ სისხლიან შეტაკებებს უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში, თუკი ბატონი გამსახურდია არ გადადგება...

გაზ. „ინდიპენდენტი“ (დიდი ბრიტანეთი), 1991 წ. 23 სექტემბერი.

„52 წლის პოლიგლოტმა, პოეტმა თავისი ენერგია შეალია შეურიგებელი ნაციონალიზმის აღზევებას. მასში თავი მოიყარა ქართველი მმართველობის ყველაზე უარესმა თვისებებმა... ქართველი პრეზიდენტი იუწყება, რომ მას არა ჰყავს ნამდვილი ოპოზიცია, არამედ მტრები...

გაზ. „კუტიდიენ დე პარი“ (საფრანგეთი), 1991 წ. 11 ოქტომბერი.

ამრიგად, საქართველოს არსებულ ხელისუფლებას სერიოზულად შეელახა ავტორიი საზღვარგარეთაც, წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში. ვისი იმედი შეიძლება ჰქონოდა პრეზიდენტს, რომელიც ყოველდღიურად კარგავდა მომხრეებს და იმრავლებდა მტრებს?

დეკემბრის შუა რიცხვებში დაძაბულობამ თბილისში პიკს მიაღწია. ხელისუფლების მხრიდან არ ჩანდა ოპოზიციასთან მოლაპარაკების, დათმობაზე წასვლის, მორიგების არავითარი სურვილი. ისინი უსიტყვო კაპიტულაციას მოითხოვდნენ. პოზიციამ კი ეს გზა არ აირჩია...

„თანამემამულენო!

სამოქალაქო მოძრაობა „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო“ მეორე თვეა შეიქმნა, მაგრამ მას დღემდე არ ეძლევა საშუალება მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოების ფართო ფენებს... 1991 წლის 20 დეკემბერს, 15 საათზე, რესპუბლიკის მოედანზე სამოქალაქო მოძრაობის „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს“ საბჭო მართავს მიტინგს.

... მიტინგზე სიტყვებით გამოვლენ: პროფ. ნოდარ ლომოური, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ივლიანე ხაინდრავა, ლანა ღოღობერიძე, ელდარ შენგელაია, ირაკლი მელაშვილი, რომან გოცირიძე, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ იმნაძე, ზურაბ ყვანია, ირაკლი სურგულაძე და სხვ...

გაზ. „საქართველო“, 1991 წ. 20 დეკემბერი.



გ. ჭანტურია

მიტინგზე, მართლაც, ბევრი ხალხი მოვიდა. სიტყვებით გამოსულები კვლავ აქცენტს აკეთებდნენ პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებებზე, დემოკრატიის ძირითადი პრინციპების შეზღუდვაზე, მართვის ავტორიტარული ფორმების დანერგვის მცდელობაზე. ორატორების ყველა გამოსვლა ტაშის გრიალში იკარგებოდა. მიტინგის ერთსულოვნება ძალიან გადამდები აღმოჩნდა – იქ ყველას სამშობლოს სიყვარულით უცემდა გული. შეკრებამ გვიანობამდე გასტანა. მეც იქ ვიყავი მეგობრებთან ერთად. როცა კარგად შეღამდა, გადაწყდა მთავრობის სახლისკენ წავსულიყავით და იქ პრეზიდენტის მომხრეების მიერ მოწყობილ მიტინგზე ბარიკადების ორ მხარეზე მდგარ ქართველებს გული გადაგვეშალა ერთმანეთისათვის, ძმურად, მშვიდობიანად გაგვერკვია თუ რატომ არ შეიძლებოდა ერთმანეთთან მორიგება-შერიგება, ვინ და რატომ აფერხებდა ამ პროცესს, ვის აშინებდა ქართველების ძმური ერთიანობა...

მივდიოდი რუსთაველზე ადამიანების უზარმაზარ მასასთან ერთად ჩაკარგული საოცარ ერთიანობაში, საოცარ მიზანსწრაფვაში: აუცილებლად უნდა მომხდარიყო შერიგება-გაერთიანება... მოულოდნელად ცას ავხედე... წარმოუდგენლად დიდი და წარმოუდგენლად ახლოს მყოფი მთვარე დავინახე... ის გვიმზერდა ყველას... და თითქოს რაღაცასაც გვეუბნებოდა... თითქოს გვაფრთხილებდა... ცხოვრებაში არ მინახავს ასეთი დიდი, ასეთი კაშკაშა და ასეთი ავბედითად სავსე ბადრი მთვარე.

ოპოზიციის მიტინგის მსვლელობა ალექსანდრეს ბაღთან შეჩერდა... უკვე მოისმოდა თ. პეტრიაშვილის პატრიოტული შეძახილები...

მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. უკვე დაიწყო „ნერვების ომი“...

„გაეროს, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტებს და მთავრობებს!

ამჟამად თბილისში, საქართველოს დედაქალაქში დაძაბული სიტუაციაა. შეიარაღებული ე.წ. ოპოზიცია ცდილობს პარლამენტში შეჭრას და კანონიერი ხელისუფლების დამხობას. მათ მძევლად აიყვანეს ქალაქის მერი ბატონი თამაზ ვაშაძე და მომწამლავი გაზი შეასხურეს მათთან მოსალაპარაკებლად მისულ შინაგან საქმეთა მინისტრ ბატონ დილარ ხაბულიანს, რომელიც ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია. მოსალოდნელია სისხლისღვრა...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 24 დეკემბერი.

1991 წლის 22 დეკემბერს, დილის 8 საათზე, მთავრობის სახლის წინ გაისმა სროლა...

სამოქალაქო დაპირისპირება თბილისში

სროლის დაწყებას ხელისუფლება ოპოზიციას აბრალებდა, ოპოზიცია – მთავრობას. მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. სამოქალაქო ომი მუდამ ასე იწყება – ვიდაცამ, ავბედითმა, ხელი გამოჰკრა ავტომატს. დაიღვარა ქართველების სისხლი, დაიღუპა 17 და დაიჭრა 23 კაცი. საქართველოს პრეზიდენტი, უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მთავრობის წევრები და პრეზიდენტის მომხრე გვარდიის ნაწილები მთავრობის სახლში იმყოფებოდნენ – ისინი ე.წ. „ბუნკერში“ გამაგრდნენ.

შეიარაღებული შეტაკების დაწყებისთანავე თ. კეტოვანისა და თ. სიგუას მხარდამჭერი სამხედრო შენაერთები შემოვიდნენ თბილისში და მთავრობის სახლს ალყა შემოარტყეს. სამხედრო დაპირისპირების დროს დაიწვა მხატვრის სახლი, I სკოლის ისტორიული შენობა, რამდენიმე საცხოვრებელი ნაგებობა.

დაიწყო **თბილისის ომი**, რომელიც სულ ორი კვირა გაგრძელდა. ქალაქში შემოსულმა თ. კიტოვანის ჯარის ნაწილებმა გაანთავისუფლეს პოლიტპატიმრები ჯ. იოსელიანი, გ. ხაინდრავა, გ. ჭანტურია და სხვ.

„მხედრიონის“ საბრძოლო მეთაურის ენერგიამ დიდად უზრუნველყო ოპოზიციის მხრიდან სამხედრო უპირატესობის მიღწევა.

ადვილად მოხერხდა მთაწმინდაზე ტელე-რადიო ანძის ხელში ჩაგდება, რამაც საქართველოს მთავრობას საინფორმაციო საშუალებებზე წვდომა მოუსპო. თავისი მომხრე ტელე-რადიოკომიტეტის თანამშრომელთა დახმარებით ოპოზიციამ მოახერხა რადიო და ტელეგადაცემების განახლება. მთელმა რესპუბლიკამ გაიგო თუ რა ხდებოდა თბილისში, მთავრობის სახლის წინ...



“სამხედრო საბჭო”

1992 წლის 2 იანვარს, შეიქმნა სამხედრო საბჭო, რომელშიც შევიდნენ თ. კიტოვანი და ჯ. იოსელიანი. დროებითი მთავრობის ხელმძღვანელობა დაევალა თ. სიგუას. ოპოზიციური პარტიების დიდმა უმრავლესობამ მხარდაჭერა გამოუცხადა სამხედრო საბჭოს და დროებით მთავრობას.

პრეზიდენტი, მისი ოჯახი, პრეზიდენტის მომხრე დეპუტატები და მთავრობის წევრები მთავრობის სახლის ქვედა სართულზე სრულ ბლოკადაში იმყოფებოდნენ – დახმარება არსაიდან ჩანდა...

თბილისში შეიქმნა საოცრად ტრაგიკული ვითარება – პოზიციური ომი რამდენიმე დღე გაგრძელდა. ქალაქის მცხოვრებლები მოდიოდნენ მთავრობის სახლთან, რომ ენახათ თუ რა ხდებოდა იქ. კავშირგაბმულობის სახლის იქით სამხედროები მათ უკვე აღარ უშვებდნენ – მიმდინარეობდა ბრძოლა, ისროდნენ ავტომატები, ყუმბარმტყორცნები, კვდებოდნენ ადამიანები, ნადგურდებოდა ქალაქის ცენტრი...

5-6 იანვარს, გვიან ღამით, ზ. გამსახურდიას მომხრე სამხედრო დაჯგუფებამ შეძლო ალყის გარღვევა და საქართველოს პრეზიდენტი, მისი ოჯახი, უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მხარდამჭერთა მცირე ჯგუფი გაიყვანა თბილისიდან.

პრეზიდენტის კორტეჟმა კურსი სომხეთის რესპუბლიკის მიმართულებით აიღო.

საქართველოში უზენაესი საბჭოს უფლებამოსილება საბოლოოდ შეწყდა - საქართველოს II რესპუბლიკა დაემხო.

ეპილოგი ანუ დასკვნითი ნაწილი

უკვე გავიდა 30 წელი, რაც საქართველოში დაემხო საბჭოთა დიქტატურა. საქართველო დღეს თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, მოწინავეა რეგიონში, დინამიურად განვითარებადი ეკონომიკით, დასავლეთ ევროპაზე მტკიცე ორიენტაციით. ჩვენმა ქვეყანამ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა ჯერ კიდევ სახეზეა უდიდესი გამოწვევები: სიღატაკე, უმუშევრობა... მაგრამ საქართველოს საზოგადოება მომავლისკენ მაინც იმედით იყურება და წარსულში გახედვა ბევრს აღარც სურს – ნუთუ იქ კარგი და მოსაგონი არაფერი დარჩა?

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 70 წლის მანძილზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართველი ხალხის შრომის, ბრძოლის, იმედების, ტრაგიკული შეცდომების წლები იყო... მაგრამ ყველა ეს წელი ქართველი ერის შემოქმედების შედეგია, მისი ისტორიის კუთვნილებაა... იყო უდიდესი ტრაგედიები – „კლასობრივი ომები", „განკულაკებები", მასიური რეპრესიები, „გულაგში" გადასახლებები... მაგრამ ხომ იყო: ახალი ქალაქებისა და სოფლების მშენებლობა, გრანდიოზული პროექტები (ენგურჰესი, ჟინვალჰესი, ლაჯანურჰესი...), უზარმაზარი ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა...), აღორძინდნენ ახალი ქალაქები (რუსთავი, ტყიბული, ტყვარჩელი...), და ბოლოს... ხომ იყო მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ერთად უდიდესი ისტორიული გამარჯვება ფაშიზმზე და ამ საქმეში ქართველების მნიშვნელოვანი წვლილი, იყო ვერმახტის გუმბათზე ქართველის მიერ ატანილი გამარჯვების დროშაც...

ყველაფერ ამას, როგორც პოზიტიურს, ისე ნეგატიურს, თავისი ხელმძღვანელები და რეალიზატორები ჰყავდა. ისინი ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ზოგიერთი მათგანი ძლიერი იყო თეორიაში, ზოგიერთს უფრო პრაქტიკა იტაცებდა, ზოგი უფრო პოლიტიკური მოქნილობით გამოირჩეოდა, ზოგიერთი მათგანი კი ზედმეტად ხისტი იყო ...

ზემოთ დეტალურად გვქონდა საუბარი მათ მიერ გაწეულ როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ საქმიანობაზე, მათ მიერ სამშობლოსათვის გაკეთებულ მასშტაბურ პროექტებზე თუ მიყენებულ, დაუვიწყარ ტკივილებზე... ისტორიამ, ისტორიკოსმა უნდა შეძლოს შეაფასოს მათი საქმეები, მიღწევები, გადაცდომები, დანაშაულიც კი... საქართველოს ახალგაზრდა თაობამ უნდა იცოდეს თავისი მამა-პაპების მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, რაოდენ რთული და ეკალ-ბარდებით მოფენილი უნდა იყოს ის.

ჩვენც შევეცდებით ჩვენეული შეფასება მივცეთ საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეებს, რომლებსაც ხელეწიფებოდათ საქართველოს მოსახლეობისათვის მიეცათ როგორც პოზიტივი, ისე ნეგატივი... რა თქმა უნდა, ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია საბოლოო ჭეშმარიტებაზე, მაგრამ ეს არის ჩვენი ხედვა – დაბალანსებული მკაცრი და პირუთვნელი არგუმენტებით, რომელიც ღიაა დისკუსიისათვის, მეცნიერული პაექრობისათვის, რაშიც საბოლოოდ კიდევ უფრო აშკარად გამოვლინდება ისტორიის რაციონალური მარცვალი...

სერგო ორჯონიკიძე

პოზიტივი: 1. ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ფიქსირება საქართველოს პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში; 2. საქართველოში „დიდი ინდუსტრიალიზაციის“ დაწყება (ზაჰესის მშენებლობა, პირველი ქარხნები და ფაბრიკები და ა.შ.); 3. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის („ნეპის“) რეალიზების დაწყება საქართველოში; 4. მიწის რეფორმის განხორციელება საქართველოს სოფელში, რამაც ღარიბი გლეხების რაოდენობა მკვეთრად შეამცირა (13,8 პროცენტიდან ის დავიდა 4,4% პროცენტამდე); 5. მუშათა უმძიმესი საცხოვრებელი პირობების რევოლუციური წესით მოწესრიგება („კომუნალური სახლების“ დამკვიდრება საქართველოში); 6. საქართველოს ინტელიგენციასთან ინტენსიური ურთიერთობა და ლოიალურად განწყობილი ინტელიგენციისათვის სპეციალური პირობების შექმნა („სპეცსიები“, „სპეცილური დახმარებები“, შემოქმედებითი მუშაობისათვის ხელშეწყობა, საზღვარგარეთ მივლინებები და ა.შ.); 7. „კულტურული რევოლუციის“ პირველი ელემენტების დანერგვა-განვითარება (წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის დაწყება, საფაბრიკო-საქარხნო კლუბების ქსელის გაფართოება, მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილებისათვის უმაღლესი განათლების მისაღებად პირობების შექმნა, „მუშფაკების“ ორგანიზება და ა.შ.); 8. თურქეთის მხრიდან ისტორიულ ტერიტორიებზე (აჭარა, ახალციხე, ახალქალაქი) საქართველოს სუვერენიტეტის ოფიციალურად აღიარება („ყარსის ხელშეკრულება“).

ნეგატივი: 1. ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს, სრული „სოვეტიზაცია“ კომუნისტური რუსეთის XI არმიისა და ქართველი ბოლშევიკების დახმარებით; 2. კომუნისტური რუსეთის მართვის სისტემის სრული კულტივირება საქართველოში; 3. კლასობრივი ბრძოლის რუსეთში აპრობირებული ფორმების საქართველოში გადმონერგვა; 4. ნებისმიერი ანტისაბჭოთა მოძრაობის ლიკვიდაციის პროცესის დაწყება; 5. „მებრძოლი ათეიზმის“ ფორმების დანერგვა საქართველოში; 6. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების პროვოცირება და მისი სრული განადგურება; 7. თავადაზნაურობისა და სასულიერო წოდების ფიზიკური ლიკვიდაციის დაწყება; 8. კომუნისტური „შიშის სინდრომის“ დამკვიდრება; 9. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი კერების ლიკვიდაცია; 10. კომუნისტური რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესების დომინანტის დანერგვა ქართული ეროვნული ინტერესების საზიანოდ (ინტერნაციონალისტური პოზიციებიდან გამომდინარე ლორეს, ზაქათალის ტერიტორიების დათმობა-გაჩუქება და ა.შ.).

მამია ორახელაშვილი

პოზიტივი: 1. საქართველოში ინდუსტრიალიზაციის მასობრივი პროცესის განვითარება-განმტკიცება აქედან გამომდინარე სოციალური შედეგებით; 2. ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზება და განვითარება; 3. სეპარატიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა (აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი, სამეგრელო); 4. საქართველოს შემოქმედე-

ბით ინტელიგენციასთან ურთიერთობის დარეგულირება; 5. საქართველოს საპატრიარქოსთან ურთიერთობის შედარებით ნორმალიზება; 6. „სოციალური ლიფტის“ გამართული მუშაობა.

ნეგატივი: 1. რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა აჭარაში, გადაცდომები და დანაშაული; 2. ე.წ. „ქართული შოვინიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა; 3.სოფელში განკულაკების დრამატული პროცესი; 4. კოლექტივიზაციის პირველ ეტაპზე სოფლად ძალმომრეობითი ფორმების გამოყენება, დარღვევები და დანაშაული.

ლავრენტი ბერია

პოზიტივი: 1. ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის დასრულება სტალინური სოციალიზმის ეკონომიკური და იდეოლოგიური საფუძვლების ბაზაზე; 2. ქართული პოლიტიკური ნაციის ფორმირების დაწყება, აფხაზური და ოსური კულტურის ქართულთან უფრო ორგანულად დასაკავშირებლად აფხაზური და ოსური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა; 3. საქართველოს კომპარტიის სახელით, წინამორბედების მიერ, სოფლად განხორციელებული „განკულაკების“ ტრაგიკული პროცესების გამო საჯაროდ ბოდიშის მოხდა და ამ ვითარების გამოსწორების მცდელობა; 4. დასავლეთ საქართველოს ჭაობიანი მიწების ამოშრობით საქართველოს საუკუნოვანი პრობლემის გადაწყვეტა, „ახალი კოლხეთის“ მშენებლობა, ახალი სასოფლო სამეურნეო სავარგულების, ახალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნა; 5. ზემძლავრი ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული განვითარება საქართველოში, აქედან გამომდინარე თვალშისაცემი სოციალური შედეგებით, ახალი დაბებისა და ქალაქების მშენებლობა (ჭიათურა, ტყვარჩელი, ტყიბული და ა.შ.), ჰიდროენერგეტიკისა და მელიორაციის მნიშვნელოვანი ობიექტების (ხრამჰესი, ზაჰესის უკნასკნელი აგრეგატი, ალაზნის სარწყავი სისტემა და ა.შ.) მშენებლობა და ექსპლოატაცია; 6. საკ. კპ (ბ) ცეკას 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილების სოციალურ-ეკონომიკური, ინდუსტრიალურ-აგრარული და სოციო-კულტურული პროგრამის რეალიზების დაწყება-განვითარება, რამაც საქართველოს, როგორც მაშინ, ისე განსაკუთრებით, მომავალ წლებში, საგრძნობი ეკონომიკური შედეგები მოუტანა; 7. საკოლმეურნეო მოძრაობის დასრულება-განვითარება. „საკარმიდამო ნაკვეთების“ გამოყოფის პროცესის დასრულება. ქართულ სოფელში დუალისტური სისტემის – კოლექტიურისა და ინდივიდუალურის (“საკარმიდამო ნაკვეთები“) დაბალანსების დაწყება; 8. საქართველოში სტახანოვური მოძრაობის კულტივირება; 9. მრავალეროვან ქვეყანაში საეროვნებათაშორისო ურთიერთობის გადაყვანა ახალ განზომილებაში – საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის სოციალური ერთგვაროვნების მიღწევის მცდელობა; 10. პარტიკულარიზმის ყოველგვარი რეციდივის დიდი ხნით აღმოფხვრა; 11. საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესის ინტენსიფიკაცია; 12. საქართველოს ლიოალური ინტელიგენციისათვის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ღირსეული პირობების შექმნა; 13. 1938 წლის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება; 14. სტალინური სოცია-

ლიზმის ბაზაზე საქართველოს საზოგადოების მონოლითურობის მიღწევა II მსოფლიო ომის წინ.

ნეგატივი: 1. საქართველოს საზოგადოებაში „შიშის სინდრომის“ მაქსიმალური კულტივირება; 2. საქართველოს ეკონომიკის, სოციალური განვითარებისა და კულტურული პოტენციალის მაქსიმალურად ძლიერი ჩართულობის უზრუნველყოფა ერთიან საკავშირო ორგანიზმში; 3. სტალინის პიროვნების კულტის განვითარება-განმტკიცებისათვის ხელშეწყობა; 4. 1937 წლის მასობრივი რეპრესიების ორგანიზება – აღსრულება; 5. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაშთების სრული ლიკვიდაცია.

კანდიდ ჩარკვიანი

პოზიტივი: 1. არ მონაწილეობდა პარტიულ ბრძოლებში, არ ეკუთვნოდა არცერთ ფრაქციას და ხელისუფლებაში, ამ მხრივ, „სუფთა ხელებით“ მოვიდა; 2. მან და მისმა გუნდმა უზრუნველყვეს საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველად 1940 წელს სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების 100 პროცენტიანი შესრულება; 3. სწორედ მის დროს საქართველოშიც განხორციელდა „დემოკრატიზაციის“ პროცესები შიდაპარტიულ ცხოვრებაში, რითიც გადაიდგა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ; 4. მან და მისმა გუნდმა შეამზადა საქართველო თავის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევის – II მსოფლიო ომის წინ: მატერიალურად და მორალურად; 5. მან ღირსეულად უხელმძღვანელა ქვეყანას II მსოფლიო ომის პერიოდში, უზრუნველყო თავგანწირული შრომა ზურგში და ომის საჭიროებას სრულად დაუქვემდებარა როგორც ეკონომიკური პოტენციალი, ისე ადამიანური რესურსი; 6. მას ჰქონდა მოქნილი და შორსგამიზნული პოლიტიკა ქართველ ინტელიგენციასთან, მაქსიმალურად ხელს უწყობდა რეჟიმისადმი ლოიალურ ინტელიგენციას შემოქმედებით პროცესში იმდენად, რომ ადრეულ პერიოდში ფროინდირებაში შემჩნეული ცნობილი ქართველი ინტელიგენტებიც კი ჩააყენა საბჭოთა რეჟიმის სამსახურში; საქართველო, განათლების საერთო მაჩვენებლებით, მისი მმართველობის დროს სსრ კავშირში პირველ ადგილზე გავიდა; 7. მისი დიდი დამსახურებაა (სტალინთან და ბერიასთან ერთად) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ინტენსიფიკაცია ომის წინ, ომისა და ომისშემდგომ წლებში; 8. მის დროს, შედარებით შესუსტდა მებრძოლი ათეიზმის მარწუხები. სტალინის დახმარებით მიაღწია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან, რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს; 9. აქტიურად იღვწოდა (თუმცა უშედეგოდ) საქართველოს ისტორიული მიწების დასაბრუნებლად; 10. მხარს უჭერდა და ახალისებდა საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების მშრომელების, შრომითი კოლექტივების დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას; 11. დიდი მუშაობა ჩაატარა ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესის განვითარება-განმტკიცებისათვის, მის დროს შესამჩნევად განვითარდა ქართული პოლიტიკური ნაციის ფორმირების პროცესიც; 12. საქართველოში ქალაქმშენებლობის პროცესის გაძლიერება (რუსთავი,

ტყვარჩელი და სხვ.); 13. სამრეწველო გიგანტების ექსპლოატაციაში შესვლა (ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის ავტოქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგი და ა.შ.)

ნეგატივი: 1. საქართველოში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის შემდგომი განვითარება და განმტკიცება; 2. მკაცრი ადმინისტრირების სისტემის შენარჩუნება და განვითარება მმართვის ყველა რგოლში; 3. მექრთამეობის, ნათელმირონობის, კუთხური პარტიკულარიზმის ელემენტებისადმი ლოიალური დამოკიდებულება.

აკაკი მგელაძე

პოზიტივი: 1. მექრთამეობის, ნათულმირონობის, პარტიკულარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის დაწყება; 2. საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებით დაინტერესება; 3. საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა; 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების განზრახულობა. 5. ბრძოლა ბიუროკრატიასთან, კორუფციასა და პარტიულ გადაცდომებთან; 6. ქართველი პოლიტიკური ნაციის ფორმირების პროცესის ხელშეწყობა; 7. ი. სტალინის რჩევის თანახმად საქართველოს ლოიალური ინტელიგენციის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების გაძლიერება; 8. საქართველოს მოსახლეობის დემოკრატიულ ფენებში დიდი ავტორიტეტი.

ნეგატივი: 1.საბჭოთა ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სისტემის შემდგომი გამყარება-განვითარება.

ვასილ მჟავანაძე

პოზიტივი: 1. 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენების საქართველოს მოსახლეობაზე მორალურ-ფსიქოლოგიური უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაცია; 2. თბილისის 1500 წლის იუბილის ღირსეულად ჩატარება; 3. ნ. ხრუშჩოვის ანტიქართული ქმედებებისა და განზრახულობების ნეიტრალიზება; 4. ნ. ხრუშჩოვის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობა (შურისძიება 1956 წლის 9 მარტის გამო); 5. ინდუსტრიალიზაციის გეგმების წარმატებული რეალიზება, აქედან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით („თემქა“, ენგურჰესი, და ა.შ.); 6.სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის აქტიური რეალიზატორი საქართველოში; 7. ქართული კულტურის დიდი მეცენატი; 8. საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მატერიალური კეთილდღეობისათვის პირობების უზრუნველყოფა; 9. სოციალიზმის რუსული მოდელის შემდგომი დემონტაჟისათვის გარკვეული პირობების შექმნა; 10. შ. რუსთაველის საიუბილეო ღონისძიების გრანდიოზულად ჩატარება.

ნეგატივი: 1. კორუფციის გაძლიერება; 2. ჩრდილოვანი ეკონომიკის „გაფურჩქვნა“; 3. პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურისათვის სრული თავისუფლების მინიჭება; 4. ნეპოტიზმისა და „ყუფარაძეობის“ კულტივირების მახინჯი პროცესის შემრიგებლობა.

ედუარდ შევარდნაძე

პოზიტივი: 1. „ნეგატიური მოვლენების“ – კორუფციის, მომხვეჭელობის წინააღმდეგ ბრძოლა; 2. „თბილისობა“ – საერთო სახალხო დღესასწაულის დაფუძნება; 3. ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დამცველთა გვერდით დგომა; 4.სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მისეული მეთოდები; 5. საქართველოს მრეწველობის მოდერნიზება („ფოთის ექსპერიმენტი“); 6. სოფლის მეურნეობაში ნოვაციების დანერგვის მცდელობა („აბაშის ექსპერიმენტი“); 7. ქართული მეცნიერებისა და კულტურის არნახული განვითარება; 8.შემოქმედებით ინტელიგენციასთან მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა. 9. თეატრალური ცხოვრების ინტენსიფიკაცია (ახალი თეატრები, ახალი სპექტაკლები); 10. ქართული კინოს „ფენომენის“ განვითარებისათვის მაქსიმალური ხელის შეწყობა.

ნეგატივი: 1. ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა და ახალი, ხელოვნური საბჭოთა ტრადიციების კულტივირება; 2. თვითმფრინავის გამტაცებელი ახალგაზრდებისა და სასულიერო პირის (მამა თევდორეს) მიმართ გამოჩენილი ზედმეტი სისასტიკე; 3. ფარული კორუფციის არსებობაზე სუსტი რეაგირება მმართველობის ბოლო პერიოდში; 4. საზოგადოებაში ზნეობრივი დეგრადაციის ელემენტების გაძლიერებაზე სუსტი რეაქცია; 5. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა ნებისმიერი ხერხით.

ჯუმბერ პატიაშვილი

პოზიტივი: 1. საქართველოს პარტიულ და საბჭოთა სტრუქტურებში არსებული ნეგატიური მორალურ-ფსიქოლოგიური სიტუაციის მიმართ სრული იგნორირება, რამაც მმართველი პარტია ეროვნულ-განმათავისფლებელი მოძრაობისათვის ადვილად დასაძლევი გახადა; 2. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრული ლეგალიზება;

ნეგატივი: 1. გორში ი. სტალინის სახლმუზეუმის დახურვა; 2. სრული უსუსურობა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების მთელ პერიოდში, დაბნეულობა, ინიციატივის დაკარგვა, პოლიტიკური ფიასკო

გივი გუმბარიძე

პოზიტივი: 1. საქართველოს კომუნისტურ პარტიაში და სახელმწიფო სტრუქტურებში კომუნისტების ბრძოლისუნარიანობის სრული ნეიტრალიზება; 2. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზომიერ ჯგუფთან (ზ. გამსახურდია, „მრგვალი მაგიდა“) გარკვეული კომპრომისის მიღწევა; 3. პოლიტიკური ხელისუფლების უსისხლოდ და უპრობლემოდ გადაბარების პროცესის წარმატებული დასრულება. 4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის სრული „კლანტ ბლანშის“ გაცემა.

ნეგატივი: 1. მის დროს მოხდა მ. კოსტავას მკვლელობის ორგანიზება;

ზვიად გამსახურდია

პოზიტივი: 1. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება; 2. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ორგანიზება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირების მიზნით.

ნეგატივი: 1. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გათიშვა (ეროვნული ფორუმის დემონსტრაციული დატოვება); 2. კომუნისტურ რეჟიმთან ალიანსი (უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა); 3. საქართველო-აშშ-ის ურთიერთობის გაუარესება (დაპირისპირება ამერიკის პრეზიდენტთან); 4. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაუარესება (დაპირისპირება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან); 5. დაპირისპირება საპატრიარქოსთან; 6. დაპირისპირება საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილთან; 7. დაპირისპირება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ ნაწილთან; 8. არაადეკვატური მოქმედება „აგვისტოს პუტჩის“ დღეებში, გვარდიის სტატუსის შეცვლა, მოსკოვის ემისრის ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება; 9. პოლიტპატიმრები (გ. ჭანტურია გ. ხაინდრავა, ჯ. იოსელიანი და სხვ.); 10. საქართველოს ეროვნული გვარდიის გათიშვა; 11. პოლიტიკური კრიზისი საკუთარ პოლიტიკურ ჯგუფში (თ. სიგუა, თ. კიტოვანი გ. ხოშტარია, ვ. ადამია, თ. პაატაშვილი და სხვ.); 12. საკუთარი პოლიტიკური დაჯგუფების მხრიდან კონსტრუქციული შეთავაზებების იგნორირება (ჯ. ხეცურიანი, ა. ასათიანი, თ. ქორიძე და სხვ.), რასაც შეეძლო სამოქალაქო დაპირისპირების განმუხტვა; 13. სამოქალაქო დაპირისპირების გამწვავება, რაიონებიდან მომხრეების ჩამოყვანის უზრუნველყოფა, მათ მიერ თბილისში მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგნიზაციების მიერ მოწყობილი მიტინგებისა და პოლიტიკური აქციების დარბევის წახალისება; 14. სამოქალაქო ომის პროვოცირების უზრუნველყოფა (ერთ-ერთი მხარე).

ЗАКЛЮЧЕНИЕ

Прошло 30 лет после падения советской диктатуры в Грузии. Сегодня Грузия - свободное, независимое и суверенное государство с динамично развивающейся экономикой, с непоколебимой ориентацией на Западную Европу. Наша страна уже достигла огромных успехов в различных сферах общественной жизни, однако все еще сталкивается с такими значительными проблемами, как бедность, безработица ... Но грузинская общественность смотрит в будущее с надеждой, и многие уже не смотрят назад - в прошлое, хотя вполне возможно, за прошедшие годы в истории сохранились и светлые моменты, о которых не стоит забывать.

За 70 лет существования советского государства грузинский народ пережил годы упорного труда, борьбы, надежд, трагических ошибок... Но все эти годы - результат деятельности грузинской нации и часть ее истории: были и великие трагедии - «классовые войны», «раскулачивания», массовые репрессии, депортации в «ГУЛАГ», но при этом занимались строительством новых городов и сел, осуществлялись грандиозные проекты (Ингури ГЭС, Жинвальская ГЭС, Ладжанурская ГЭС), строились огромные заводы и фабрики (Руставский металлургический завод, Тбилисский локомотивный завод), возрождались новые города (Рустави, Ткибули, Ткварчели ...) и, наконец, вместе с ведущими странами мира одержали величайшую победу над фашизмом. Следует отметить, что Грузия внесла большой вклад в достижении этой победы и в этом отношении символичным явился «грузинский акцент» в лице М. Кантария, водрузившего вместе с соратниками знамя победы над зданием Рейхстага.

Все исторические события - как позитивные, так и негативные - имели собственных руководителей и реализаторов, в корне отличавшихся друг от друга: среди них были и политически убежденные теоретики, и увлекающиеся практической деятельностью личности, некоторые из них отличались политической гибкостью, а некоторые - безмерной жестокостью.

В книге мы подробно описали как положительные, так и отрицательные стороны их деятельности, рассказали о масштабных проектах, воплощаемых ими на благо страны, и о незабываемой боли, которую они причинили народу. Обязанность ученых-историков объективно оценить их деяния: достижения, ошибки и даже преступления, чтобы молодое поколение Грузии в свою очередь ознакомилось со всеми деталями пройденного предками жизненного пути, (каким бы трудным и терновым он ни был).

Мы предлагаем читателю собственную оценку видных деятелей Советского государства, которым было подвластно оказывать позитивное или негативное влияние на жизни грузинского народа. Разумеется, данная книга не претендует на истину в последней инстанции: мы лишь сформировали наше видение, сбалансированное при помощи реальных фактов и беспристрастных аргументов; следовательно, мы будем признательны за любые замечания и предложения, направленные на объективный анализ и способствующие обеспечению открытой научной полемики. Подобный подход, в конечном итоге,

позволит извлечь рациональное зерно из огромного количества исторических материалов.

Серго (Григорий) Орджоникидзе

Позитив: 1. Фиксирование государственного статуса грузинского языка в первой советской конституции Грузии. 2. Осуществление программы «Большой индустриализации» в Грузии (строительство ЗАГЭСа, первых заводов и фабрик и т.д.); 3. Запуск новой экономической политики (НЭП) в Грузии; 4. Проведение земельной реформы, в результате которой в стране резко сократилось количество бедняков (с 13,8 % до 4,4 %); 5. Решене тяжелейших бытовых условий рабочих в революционном порядке (введение «коммунальных домов» в Грузии); 6. Интенсивное общение с грузинской интеллигенцией и создание особых условий для ее лояльно настроенных представителей («спецсписки», «спецпомощь», «спецпредприятия», содействие творческой деятельности, заграничные командировки и т. д.);7. Внедрение и развитие первых элементов «Культурной революции» (начало ликвидации безграмотности, расширение сети фабрично-заводских клубов, создание условий для получения высшего образования детьми рабочих и бедняков, организация «рабфаков»/рабочих факультетов и др.); 8. Официальное признание со стороны Турции («Карсский договор»)суверенитета Грузии над историческими территориями (Аджария, Ахалцихе, Ахалкалаки).

Негатив: 1. Полная «советизация» Северного и Южного Кавказа, включая Грузию, с помощью российской XI армии и грузинских большевиков; 2. Полное культивирование системы правления коммунистической России в Грузии; 3. Введение апробированных в России форм классовой борьбы в Грузии; 4. Начало процесса ликвидации любого антисоветского движения. 5. Внедрение форм «воинствующего атеизма» в Грузии; 6. Провоцирование августовского восстания 1924 г. и его полное уничтожение; 7. Инициирование физической ликвидации дворянства и духовенства; 8. Укоренение коммунистического «синдрома страха»; 9. Ликвидация основных очагов национально-освободительного движения; 10. Внедрение доминирующих геостратегических интересов коммунистической России в ущерб национальным интересам Грузии (исходя из интернационалистских позиций уступка и раздаривание грузинских земель - Лоре, Закаталы и т.д.).

Мамия Орахелашвили

***Позитив*:** 1. Развитие и укрепление массового процесса индустриализации в Грузии с соответствующими социальными последствиями; 2. Организация и развитие технических вузов; 3. Непримиримая борьба с сепаратизмом (Абхазия, Аджария, Южная Осетия, Самегрело); 4. Регулирование отношений с творческой интеллигенцией Грузии; 5. Относительная нормализация отношений с Патриархией Грузии; 6. Налаженная работа «Социального лифта».

Негатив: 1. Бескомпромиссная борьба с религиозными обычаями в Аджарии, «отклонения» и преступления;2. Борьба с т.н. «грузинским шовинизмом»; 3. Драматический процесс «раскулачивания» зажиточных крестьян; 4. Использование насильственных методов на первом этапе коллективизации (правонарушения и преступные действия).

Лаврентий Берия

***Позитив*:** 1. Завершение процесса консолидации грузинской нации на экономических и идеологических основах сталинского социализма; 2. Начало формирования грузинской политической нации, перевод абхазской и осетинской письменности на грузинскую графику с целью органического сближения абхазской и осетинской культур; 3. Принесение публичных извинений за трагические последствия проведенного его предшественниками процесса раскулачивания и попытка исправления результатов содеянного; 4. Решение многовековой проблемы путем осушения заболоченных земель Западной Грузии, строительства «Новой Колхиды», создание новых сельскохозяйственных угодий, новых колхозов и совхозов; 5. Ускоренное развитие сверхмощной индустриализации в Грузии с успешными социальными последствиями, строительство новых городов (Чиатура, Ткварчели, Ткибули и др.), строительство и эксплуатация важных гидроэнергетических и мелиоративных объектов (ХРАМГЭС, последний агрегат ЗАГЭС-и, ирригационная система Алазани и др.); 6. Разработка и реализация социально-экономической, индустриально-аграрной и социокультурной программы согласно историческому постановлению ЦК ВКП (б) от 31 октября 1931 года, которая принесла Грузии ощутимые экономические результаты не только в свое время, но и (в особенности) в последующие годы; 7. Развитие и завершение колхозного движения и процесса выделения приусадебных земельных участков. Инициирование балансирования дуалистические системы - коллективной и индивидуальной (т.е. «приусадебные участки») - в сельских районах Грузии. 8. Культивирование стахановского движения в Грузии; 9. Трансформирование и переход в новое измерение международных отношений в многонациональной Грузии в целях достижения социальной однородности многонационального населения страны; 10. Искоренение всевозможных рецидивов партикуляризма на долгие времена; 11. Интенсификация культурно-образовательного процесса в Грузии; 12. Создание достойных условий для творческой деятельности лояльной части грузинской интеллигенции; 13. Начало процесса реабилитации в 1938 году; 14. Достижение монолитности грузинского общества на основах сталинской модели социализма перед началом Второй мировой войны.

***Негатив*:** 1. Максимальное культивирование «синдрома страха» в грузинском обществе; 2. Обеспечение максимального подключения экономики, социального развития и культурного потенциала Грузии в единый всесоюзный организм; 3. Содействие возвеличиванию и укреплению культа личности И. Сталина; 4. Организация массовых репрессий 1937 г.; 5. Полная ликвидация оставшейся части Грузинского национально-освободительного движения.

Кандид Чарквиани

Позитив: 1. Не участвовал в партийных баталиях, не принадлежал ни одной фракции и в этом плане пришел к власти с «чистыми руками»; 2. Вместе со своей командой он впервые в истории Советской Грузии обеспечил стопроцентное выполнение государственных планов и обязательств в 1940 году; 3. Именно в его время в Грузии начался процесс «демократизации» внутри-

партийной жизни и был проделан чрезвычайно важный шаг вперед; 4. Он и его команда материально и морально подготовили Грузию к одному из величайших испытаний в истории страны - Второй мировой войне; 5. Он достойно руководил страной в ходе Второй мировой войны, обеспечил самоотверженную работу в тылу и полностью подчинил требованиям войны как весь экономический потенциал страны, так и человеческие ресурсы; 6. Он проводил гибкую и дальновидную политику по отношению к грузинской интеллигенции, оказывая максимальное содействие лояльной режиму ее части и действовал настолько искусно, что даже ранее замеченных во фрондерстве известных грузинских интеллектуалов сумел склонить к службе советской власти; В итоге в период его правления Грузия заняла первое место в Советском Союзе по общим показателям уровня образования; 7. Велика его заслуга (вместе со Сталиным и Берией) в создании и активизации работы Академии наук Грузии, в содействии научно-исследовательской работе перед войной, в военные и послевоенные годы; 8. При нем относительно ослабло давление воинствующего атеизма. С помощью Сталина он добился признания от Московского Патриархата автокефалии Грузинской церкви, что по сей день остается событием величайшего исторического значения; 9. Активно, хотя и тщетно, стремился вернуть исторические земли Грузии; 10. Поддерживал и поощрял сближение и достижение взаимного благосостояния трудящихся Грузии и остальных братских республик;11.Была проделана большая работа по развитию и укреплению процесса консолидации грузинской нации, в ходе которой заметно ускорилось формирование грузинской политической нации. 12. Значительное усиление и развитие в стране градостроительного процесса в стране (Рустави, Ткварчели и др.); 13. Ввод промышленных гигантов в эксплуатацию (Закавказский металлургический комбинат, Кутаисский автозавод, Первый ряд Горийского хлопчатобумажного комбината и др.);

***Негатив*:** 1. Дальнейшее развитие и укрепление советского тоталитарного режима в Грузии; 2. Сохранение и усовершенствование системы строгого администрирования во всех сферах управления; 3. Лояльное отношение к элементам взяточничества, кумовства, провинциального партикуляризма.

Акакий Мгеладзе

***Позитив*:** 1. Начало непримиримой борьбы против взяточничества, кумовства, партикуляризма; 2. Проявление внимания к бытовой жизни населения Грузии; 3. Содействие развитию грузинской промышленности; 4. Стремление к возрождению сельского хозяйства в Грузии. 5. Борьба с бюрократией, коррупцией и партийными проступками; 6. Поддержка процесса формирования политической нации Грузии; 7. Усиление отзывчивого отношения к лояльной интеллигенции Грузии по советам Сталина; 8. Заслуженный большой авторитет среди демократических слоев населения Грузии.

Негатив: 1. Дальнейшее укрепление и развитие советской административно- бюрократической системы.

Василий Мжаванадзе

Позитив: 1. Минимизация негативного морально-психологического воздействия трагических событий 9 марта 1956 года на население Грузии; 2. Достойное проведение торжественных мероприятий в честь 1500-летия Тбилиси; 3. Нейтрализация антигрузинских действий и намерений Хрущева; 4. Участвие в заговоре против Хрущева (месть за 9 марта 1956 г.); 5. Успешная реализация планов индустриализации с успешными социально-экономическими последствиями (ТЭВЗ, Ингури ГЭС и др.); 6. Инициатор активной реализации научно-технического прогресса в Грузии; 7. Покровитель и меценат грузинской культуры; 8. Обеспечение благоприятных условий для материального благополучия населения Грузии в целом; 9. Создание определенных условий для дальнейшего демонтажа российской модели социализма; 10. Грандиозное празднование 800-летнего юбилея Шота Руставели;

Негатив: 1. Усиление коррупции; 2. Расцвет теневой экономики; 3. Предоставление полной свободы действия партийной и советской номенклатуре; 4. Примиренчество к культивированию непотизма.

Эдуард Шеварднадзе

Позитив: 1. Борьба с «негативными явлениями» - коррупцией и стяжательством; 2. Учреждение общенародного праздника «Тбилисоба»; 3. Поддержка защитников конституционного статуса грузинского языка; 4. Разработка эффективных методов для борьбы с сепаратизмом; 5. Модернизация грузинской промышленности («Потийский эксперимент»); 6. Попытка внедрения инноваций в сельском хозяйстве («Абашский эксперимент»); 7. Небывалый подъем и развитие грузинской науки и культуры; 8. Тесные деловые отношения с творческой интеллигенцией. 9. Интенсификация театральной жизни (новые театры, новые спектакли); 10. Максимальная поддержка развития «феномена» грузинского кино.

Негатив: 1.Борьба с национальными традициями и взращивание новых, искусственных советских традиций; 2. Чрезмерная жестокость по отношению к молодежи, угнавшей самолет, и священнослужителю (отец Феодор); 3. Ослабленная реакция на скрытую коррупцию в конце своего правления; 4. Пассивная позиция по отношению усиления элементов моральной деградации в обществе; 5. Борьба против национально-освободительного движения любыми, в том числе неприемлемыми способами.

Джумбер Патиашвили

Позитив: 1. Полное игнорирование негативной морально-психологической ситуации в партийных и советских структурах Грузии, тем самым превратив правящую партию в легко преодолимый барьер для национально-освободительного движения; 2. Полная легализация национально-освободительного движения в Грузии;

Негатив: 1. Закрытие Дома-музея Сталина в Гори; 2. Полная беспомощность во время трагических событий 9 апреля 1989 г., растерянность, потеря инициативы, завершившееся политическим фиаско.

Гиви Гумбаридзе

Позитив: 1. Полная нейтрализация боеспособности коммунистов в партийных и государственных структурах Грузии; 2. Достижение определенного компромисса с умеренной группой Национально-освободительного движения (З. Гамсахурдиа, «Круглый стол»); 3. Успешное завершение процесса бескровной и беспроблемной передачи политической власти. 4. Предоставление полного «карт-бланша» Национально-освободительному движению.

Негатив:1. При нем было организовано убийство Мераба Костава.

Звиад Гамсахурдиа

Позитив: 1. Укрепление национального духа среди значительной части населения Грузии; 2. Организация референдума 31 марта 1991 г. о восстановлении независимости Грузии.

Негатив: 1. Раскол национально-освободительного движения (демонстративный выход из Национального форума); 2. Альянс с коммунистическим режимом (участие в выборах Верховного Совета); 3. Ухудшение грузино-американских отношений (противостояние с президентом США); 4. Ухудшение грузино-российских отношений (противостояние с президентом РФ); 5. Противостояние с Патриархатом Грузии; 6. Противостояние со значительной частью творческой интеллигенции Грузии; 7. Противостояние с радикальной частью национально-освободительного движения; 8. Неадекватные действия в дни «августовского путча», изменение статуса национальной гвардии, выполнение всех требований московского эмиссара; 9. Наличие политзаключенных (Г. Чантурия, Г. Хаиндрава, Дж. Иоселиани и др.); 10. Раскол в Национальной гвардии Грузии; 11. Политический кризис в собственной политической группировке (Т.Сигуа, Т. Китовани, Г. Хоштария, В. Адамия, Т. Пааташвили и др.); 12. Игнорирование конструктивных предложений от собственной политической группировки (Дж. Хецуриани, А. Асатиани, Т. Коридзе и др.), которые моглиуспешно разрядить напряженность и избавить страну от гражданского противостояния 13. Усиление гражданских беспорядков, обеспечение вывода из разных районов страны своих сторонников, побуждая их к разгону организованных оппозиционными партиями и общественными организациями политических митингов в Тбилиси; 14. Провоцирование гражданской войны (одна из сторон).

შინაარსი

წინასიტყვა 3

თავი I. პროლოგი ანუ წანამძღვრები 9

თავი II. სერგო ორჯონიკიძე..... 36

თავი III. მამია ორახელაშვილი 78

თავი IV. ლავრენტი ბერია 101

თავი V. კანდიდ ჩარკვიანი 148

თავი VI. აკაკი მგელაძე..... 208

თავი VII. ვასილ მჭავანაძე 214

თავი VIII. ედუარდ შევარდნაძე..... 240

თავი IX. ჯუმბერ პატიაშვილი 287

თავი X. გივი გუმბარიძე 303

თავი XI. ზვიად გამსახურდია..... 313

ეპილოგი ანუ დასკვნითი ნაწილი 367

ЗАКЛЮЧЕНИЕ 374

შინაარსი 380

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში
0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. 10; ტელ.: 294 05 71
www.mtsignobari.ge

ISBN 978-9941-498-32-9

9 789941 498329